

კოლეკილი

ქართულ მწერლობაში

ტომი I

გამომცემლობა „ჯეოპრინტი“
თბილისი 2015

UDC (უაკ) 821.353.1-2+792(479.22)
გ - 472



იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iakob Gogebashvili Telavi State University

სამეცნიერო პროექტი „ვოდევილი ქართულ მწერლობაში (აკადემიური გამოცემა, I-II ტომები)“ განხორციელდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

The scientific project „**Vaudeville in Georgian Literture**“ (**Academic Edition, I-II Volumes**) was made possible by financial support from Iakob Gogebashvili Telavi State University.

უფასო გამოცემა

ქეთევან გიგაშვილის რედაქციით, შესავალი წერილით, გამოკვლევითა და ლექსიკონით.

© იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „ჯეოპრინტი“, 2015

E-mail: geogeoprint@mail.ru

ISBN 978-9941-0-8280-1 (ყველა ტომისათვის)

ISBN 978-9941-0-8281-8 (I ტომი)

წინამდებარე აკადემიური გამოცემის
მრავალტომეული ეძღვნება პროექტის
იდუის ავტორის, პროფესორ

გიორგი ჯავახიშვილის

ნათელ ხსოვნას.

შესავალი

წინამდებარე ტომით ვიწყებთ ქართული ვოდევილის მრავალტომეულის აკადემიურ გამოცემას. I ტომში მკითხველს წარმოუვდგენთ 4 ავტორს: გიორგი ერისთავს (1813-1864) ვოდევილებით: „თილისმის ხანი“, „უჩინმაჩინის ქუდი“ და „წარსული დროების სურათები“, დიმიტრი მელვინეთხუცესოვს (მელვინეთხუცესიშვილს) (1815-1878) ვოდევილებით: „კატა-ანონა“, „ანჩხლი ცოლი“, „უბედური მოარშიყე“ და „ეკიმბაში“, ივანე (ოქროპირ, ოქრო) ერისთავს (1818-1858) ვოდევილით – „ძალად ექიმი“ და გიორგი ორბელიანს (დაბად. 1818) ვოდევილით – „სიყვარულის სასმელი“, სულ 9 პიესას.

გამოცემაში პირველად ქვეყნდება დიმიტრი მელვინეთხუცესოვის (მელვინეთხუცესიშვილის) „ანჩხლი ცოლი“ და გიორგი ორბელიანის „სიყვარულის სასმელი“.

ვოდევილი, როგორც სანახაობის გარკვეული ფორმა, წარმოიშვა საფრანგეთში. მისი სახელწოდებაც წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან – „Val de Vire“ („Valley of Vire“), რაც ნიშნავს ვირის¹ ველს.

ვოდევილის დაბადების ერთ-ერთი ვერსია პოლიტიკურ მოტივს ეფუძნება: საფრანგეთის პროვინციის – ნორმანდიის – ტერიტორია, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, იყო ნორმანებს, ფრანგებსა და ინგლისელებს შორის ხანგრძლივი ბრძოლის სუბიექტი. მე-15 საუკუნის 30-იან წლებში ინგლისი შეეცადა, აქ თავისი ბატონობა დაემყარებინა. მისი კანონები მიუღებელი იყო ნორმანდიელებისთვის და მათი გავრცელება აღინიშნებოდა შეთქმულებებისა და აჯანყებების წყებით 1435-1436 წლებში. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აჯანყება მომხდარა სწორედ Val de Vire-ს ტერიტორიაზე. მან ხელი შეუწყო მნიშვნელოვანი ბალადური ლიტერატურის – Vaux de Vire (Voices of Vire) („ვირის ხმები“) – დაბადებას, რომელიც, ძირითადად, შეეხებოდა ისტორიულ (ინგლისის ჯარების ნორმანდიაში შეჭრის) თემას.²

მოგვიანებით, მე-17 საუკუნეში, აქ გავრცელდა სიმღერები სახელწოდებით „Chanson de val de Vire“,³ რომელთაც უკავშირებდნენ უფრო ადრე მოღვაწე სახალხო პოეტებს – ოლივიე ბასსელენსა

1 მდინარის სახელწოდებაა ნორმანდიაში.

2 Alexander V. Tselebrovski, The History of Russian Vaudeville from 1800 to 1850: A Dissertation Submitted to the Graduate Faculty of the Louisiana State University and Agricultural and Mechanical College in partial fulfillment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy in The Department of Theatre http://etd.lsu.edu/docs/available/etd-0130103-053846/unrestricted/Tselebrovski_dis.pdf. p. 13.

3 ფრანგ. „ვირის ველის სიმღერა“.

(1350-1408) და ჟან ლე-გუს (1551-1616).⁴

ზოგი მკვლევარის აზრით, სიტყვა „vaudevire“ მომდინარეობს საშუალო ფრანგულის დიალექტიდან: *vauder* „to go“ (წასვლა) + *vire* „to turn“ (დაბრუნება). ზოგიერთი მას ფრანგულ სლენგად მიიჩნევს – „ქალაქის ხმები“ (*voix de ville*).

ვხვდებით სხვა მოსაზრებებსაც ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ. მაგ., ალბერტ მკლინი (Albert Mclean) ფიქრობს, რომ სახელი უბრალოდ შეირჩა მისი გაურკვეველი, ბუნდოვანი, მაგრამ უწყინარი ეგზოტიკური ხასიათის გამო. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ სიტყვის მნიშვნელობა ბოლომდე არ არის გარკვეული.

ქართულ-, რუსულ- თუ ინგლისურენოვან ენციკლოპედიებსა თუ ლექსიკონებში ვოდევილის არაერთი განმარტება არსებობს. ინფორმაცია მისი წარმოშობის შესახებ თითქმის ყველა განსაზღვრებაში მეორდება. რამდენადაც იგი გავრცელებული იყო ევროპაში, ამერიკაში, რუსეთსა თუ საქართველოში, ვოდევილის ზოგიერთ განმარტებაში მისი გავრცელების ადგილიც არის ხოლმე მითითებული. მაგ., მარკ ორველის (Mark Orwell) სტატიაში – „რა არის ვოდევილი“ – აღნიშნულია, რომ „ვოდევილი არის სანახაობის განსაკუთრებული ჟანრი, რომელიც უკიდურესად პოპულარული იყო 1880-1930 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში.“⁵

საფრანგეთში ვოდევილად თავდაპირველად იწოდებოდა სიმღერები. შემთხვევითი არ არის, რომ კათოლიკურ ენციკლოპედიაში ის ასეა განმარტებული: „სიმღერები, რომლებიც მოგვიანებით გახდა საქეიფო, ან სატრფიალო თავისი ხასიათით (რომელიც შემდგომ განვითარდა პოპულარულ დრამაში), იწოდება ვოდევილად“.⁶

უცხო სიტყვათა ლექსიკონში ვოდევილი ახსნილია, როგორც „ერთ, ან ორმოქმედებიანი მსუბუქი კომედია, რომელშიც სასიმღერო კუპლეტებია ჩართული“⁷.

ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვითაც, ის არის „მსუბუქი შინაარსის კომედია მუსიკის თანხლებით შესრულებული კუპლეტებით“. არაფერია ნათქვამი მოქმედების რაოდენობაზე.⁸ ამ სემანტიკაზე ყურადღება არ არის გამახვილებული არც საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონში. ამასთან, აქ მითითებულია, რომ ვოდევილი უნდა იყოს მცირე ფორმის და, სასიმღერო კუპლე-

4 ამ უკანასკნელმა გამოსცა ლექსების კრებული სათაურით: „Vaux de vire nouveaux“. ლეგუსა და ბასსელენის მიბაძვით პარიზში ქმნიდნენ მსუბუქ სახუმარო სიმღერებს, რომლებსაც ხშირად პონ-ნევის ხიდზე მღეროდნენ მოხეტიალე მომღერლები.

5 http://www.ehow.com/about_4572346_what-is-vaudeville.html.

6 <http://www.newadvent.org/cathen/11104a.htm>

7 უცხო. სიტყვ. ლექს.: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=14909>

8 <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=7&t=202>

ტებთან ერთად, უნდა ახლდეს ცეკვები⁹.

კულტურული წიგნიერების ახალ ლექსიკონში ის ასეა ახსნილი: „მსუბუქი თეატრალური სანახაობა, პოპულარული გვიან მე-19 საუკუნესა და ადრეულ მე-20 საუკუნეში, რომელიც შედგება უწყვეტი მოკლე მოქმედებებისგან. შემადგენელ კომპონენტებში აქ დამატებულია განვრთნილი ცხოველები.“¹⁰ ეს სემანტი სხვაგანაც ფიგურირებს.¹¹

რუსულ ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში ვოდვეილის მრავალფეროვანი განმარტებაა წარმოდგენილი: ლიტერატურის ენციკლოპედიაში, რომელიც 1925 წელს გამოიცა რუსეთში, ვოდვეილი განმარტებულია, როგორც კრებითი სახელწოდება განსაკუთრებული ჟანრისა, მარტივი, სადა, მხიარული, ქუჩური სიმღერისა ხალხური ხასიათით, მსუბუქი მელოდური კომპოზიციით, დამცინავ-სატირული შინაარსითა და თავისი წარმომავლობით დაკავშირებული ვირის ველის სოფლებთან. ამით ხსნიან სახელწოდების შემდგომ ტრასფორმაციას: Val de Vire-იდან Voix de vill-მდე („სოფლის ხმა“).¹²

უშაკოვის განმარტებით ლექსიკონში ვოდვეილი ასეა განსაზღვრული: „კომიკური პიესა ფარსის ხასიათით, წარმოშობით კუპლეტების სიმღერა“.¹³ მის სინონიმებად დასახელებულია: სანახაობა, ტელეფოდევილი, ფარსი, ხუმრობა.

რუსული ენის გალიციზმების ისტორიულ ლექსიკონში მისი რამდენიმე განსაზღვრებაა მოცემული: „ხალხური სიმღერების სახეობა, რომელიც გავრცელებული იყო საფრანგეთში; თეატრალური პიესის ფინალი, სადაც ყველა მოქმედი პირი კითხულობს კუპლეტებს; მსუბუქი ჟანრის მოკლე დრამატული ნაწარმოები ინტრიგით, სასიმღერო-კუპლეტებითა და ცეკვებით; არასერიოზული ისტორია, ფარსი.“¹⁴

ინგლისურენოვან ინტერნეტ ლექსიკონში მისი განმარტება ასეა ფორმულირებული: „1. თეატრალური სანახაობა, რომელიც შედგება ინდივიდუალური წარმოდგენებისგან: შერეული ნომრებისგან, რომელშიც მონაწილეობენ კომედიანტები, მომღერლები, მოცე-

9 საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი, გ. გიორგაძე, გ. კარტოზია; საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ცენტრ. სამეც. ბიბ-კა, მე-2 შევს. და გადაამუშ. გამოც., თბ., 1974.

10 The American Heritage® New Dictionary of Cultural Literacy, Third Edition. Published by Houghton Mifflin Company.

11 აღნიშნავენ, რომ ვოდვეილებში ჩართული იყო ყველა სახალისო ნომერი, რომელსაც შეეძლო, მაყურებლის ყურადღება მიეზიდა სამ წუთზე მეტი ხნის განმავლობაში.

12 В. Волькенштейн., *Ив. Лысков. Литературная энциклопедия: Словарь литературных терминов: В 2-х т. / Под редакцией Н. Бродского, А. Лаврецкого, Э. Лунина, В. Львова-Рогачевского, М. Розанова, В. Чешихина-Ветринского. — М.; Л.: Изд-во Л. Д. Френкель, 1925.*

13 Д.Н. Ушаков, *Толковый словарь, 1935-1940.*

14 *Исторический словарь галлицизмов русского языка. Епишкин Н. И. 2010.*

კვაკვები, აკრობატები, ილუზიონისტები; 2. მსუბუქი, ან გასართობი ხასიათის თეატრალური პიესა, რომელშიც შერეულია სიმღერები და ცეკვები; 3. სატირული კაბარე სიმღერა.¹⁵

სხვადასხვა დროს გამოცემულ რუსულენოვან უცხო სიტყვათა ლექსიკონებში უანრი ასეა დახასიათებული: „მსუბუქი თეატრალური ნაწარმოები, რომელშიც საუბარი შერეულია სიმღერასთან. ხშირად შედგება ერთი მოქმედებისაგან;“¹⁶

„მსუბუქი სატირული, ან იუმორისტული შინაარსის პიესა, წარმოდგენილი თეატრის სცენაზე, უპირატესად ერთ აქტში;“¹⁷

„მხიარული, გასართობი შინაარსის თეატრალური პიესების სახეობა სიმღერით. წარმოიშვა საფრანგეთში მე-14 საუკუნის ბოლოს, სადაც ოლივიე ქმნიდა მხიარულ სუფრის სიმღერებს;“¹⁸

„კომედიური ხასიათის თეატრალური პიესა კუპლეტებითა და ცეკვებით.“¹⁹

უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონებში ის ყველგან თეატრალურ ჟანრშია განხილული.

ვოდევილმა განვითარების საკმაოდ რთული და საინტერესო გზა განვლო. მისი განვითარების თავისებურებები განსხვავებული იყო სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში. ამერიკაში, მაგ., ის შეზარხოშებულ მამაკაცთა წრის გამართობი საშუალებიდან მაღალი, არისტოკრატიული საზოგადოების გემოვნებიან სანახაობად იქცა და ქუჩიდან ნიუ-იუკისა თუ ბოსტონის უმდიდრესი თეატრების სცენაზე ავიდა.

ამიტომ, როდესაც კითხვა ისმის, რა არის ვოდევილი, პასუხი ცალსახა ვერ იქნება: გააჩნია, სად და როდის.

ქვემოთ მოკლედ ვაჩვენებთ განვითარების ამ საინტერესო გზას:

მე-17 საუკუნის II ნახევარში საფრანგეთში გაჩნდა მცირე თეატრალური პიესები „ვოდევილის“ სახელწოდებით.

მე-18 საუკუნის შუა წლებში ვოდევილი გამოიყო ცალკე თეატრალურ ჟანრად.

მე-18 საუკუნეში ფრანგი დრამატურგები თავიანთ კომედიებში რთავდნენ სასიმღერო კუპლეტებს, ანუ, ვოდევილებს.²⁰ ამისთვის თავდაპირველად იყენებდნენ პოპულარულ და კარგად ნაცნობ

15 <http://dictionary.reference.com/browse/vaudeville>.

16 *Словарь иностранных слов, вошедших в состав русского языка.* - Павленков Ф., 1907.

17 *Полный словарь иностранных слов, вошедших в употребление в русском языке.* - Попов М., 1907.

18 *Словарь иностранных слов, вошедших в состав русского языка.* - Чудинов А.Н., 1910.

19 *Словарь иностранных слов.* - Комлев Н.Г., 2006.

20 მაგალითად, მე-18 საუკუნის ცნობილმა ფრანგმა რომანისტმა და დრამატურგმა ალენ რენე ლესაჟმა (1668-1747), ლ. ფიუზელესა და მ. დორნევალთან ერთად, მსგავსი შინაარსის ტექსტები შეადგინა კომიკური ოპერებისა და ბაზრის თეატრებისთვის.

მელოდიებს, შემდეგ კი პროფესიონალმა კომპოზიტორებმა დაიწყეს ორიგინალური მუსიკის შექმნა სპეციალურად ვოდევილებისათვის. შეიცვალა ტექსტის სტრუქტურაც: ბალადური ტიპის პოემიდან ის იქცა მწვავე შინაარსის მქონე ტექსტებად. შემდგომი პერიოდის განმავლობაში კი მან დაკარგა სატირული ხასიათი და იქცა გასართობად პოლიტიკური დატვირთვის გარეშე.

ვოკალური მუსიკა „დიდ“ კომედიაში თანდათან იწოდებოდა ვოდევილად (ჯინ-ფრანსუა რეგნარდიდან (Jean-François Regnard) (1655-1709) მოყოლებული პიერ ბომარშემდე (Pierre-Augustin Caron de Beaumarchais) (1732-1799)).

დრამატურგებმა და რეჟისორებმა – ფ. პიისმა P. Piis-მა (1755-1832) და მ. ბარემ M. Barre (1749-1832)²¹ 1792 წლის 12 იანვარს პარიზში, პატარა პანთეონის დარბაზში (The Little Pantheon Hall), გახსნეს ვოდევილის თეატრი. მან მალე მოიპოვა პოპულარობა და კონკურენციას უწევდა პარიზის სხვა პატარა თეატრებს.

მე-19 საუკუნის დასაწყისისთვის ვოდევილი მთელ ევროპაში გავრცელდა. ამ პერიოდისთვის ის ჩანართი სასიმღერო კუბლეტიდან თანდათან იქცა თეატრალური წარმოდგენის მნიშვნელოვან ნაწილად, მოქმედების განვითარების საშუალებად. სახელმა „ვოდევილმა“ გაიფართოვა თავისი მნიშვნელობა – მის ქვეშ უკვე მოიაზრებოდა გარკვეული ტიპის დრამატული პიესა.

ასეთი პიესები საფრანგეთში იდგმებოდა სხვადასხვა კომპანიის მიერ ქალაქის სავაჭრო ადგილებში. მოგვიანებით ანგელა პაო (Angela Pao) თავის ნაშრომში²² აღნიშნავდა, რომ საბაზრო ადგილების დასების უმრავლესობამ დაიწყო გადაადგილება ბულვარებიდან ტაძრისაკენ, რომელიც მდებარეობდა პარიზის ჩრდილოეთ ნაწილში 1750-იანი წლების ბოლოსა და 1760-იან წლებში.

1815-1830 წლების წარმოდგენებში ვოდევილი ლიდერობდა კომიკურ ჟანრებს შორის. შემდგომი 50 წლის განმავლობაში იგი იყო წამყვანი და საყვარელი ჟანრი პარიზელებისათვის. ის დღესაც განიხილება, როგორც ფრანგული კულტურის ნაწილი.

ჟანრის კლასიკოსებად საფრანგეთში აღიარებულნი არიან დრამატურგი და ლიბრეტისტი ეჟენ სკრიბი (1791-1861) და დრამატურგი ეჟენ ლაბიში (1815-1888). ეჟენ სკრიბს ეკუთვნის 150-მდე ვოდევილი. მისი ვოდევილები – „ჭიქა წყალი“ და „ადრიენა ლეკუერერი“ – განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ევროპაში XIX

21 ისინი ეპაექრებოდნენ ფრანგ დრამატურგს, ლიბრეტისტსა და კომიკური ოპერის მმართველს – მიქელ-ჯინ სედენს (Michel-Jean Sedaine) (1719-1797), იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ პარიზელები ვალდებულები იყვნენ, ჰქონოდათ ვოდევილის თეატრი.

22 Angela C. Pao, *The Orient of the Boulevards: Exoticism, Empire, and Nineteenth-Century French Theater*, Philadelphia, Pennsylvania: University of Pennsylvania Press, 1998; pp 256.

საუკუნის 30-40-იან წლებში. ეჟენ ლაბიშის ვოდევილი „ჩალის ქუდი“ კი დღესაც წარმატებით იდგმება მსოფლიოს წამყვანი თეატრების სცენებზე.

მართალია, საკმაოდ ბევრი ავტორი მუშაობდა ვოდევილის ჟანრში, მაგ., კაპელი (Capelle), გუფე (Gouffé), ლოჟონი (Laujon), დე-ზოგიერი (Desaugiers), მაგრამ მას განსაკუთრებული წარმატება და პოპულარობა მოუტანეს სწორედ სკრიბმა და ლაბიშმა და ის ლიტერატურულადაც საპატივსაცემო გახადეს.²³

ევროპიდან ვოდევილი რუსეთსა და ამერიკაში გავრცელდა. რუსეთში ვოდევილი მე-19 საუკუნის დასაწყისში შევიდა, თუმცა მის პროტოტიპად თვლიან მე-17 საუკუნის ბოლოს შექმნილ მცირე კომიკურ ოპერას, რომელიც რუსული თეატრის რეპერტუარში შედიოდა მე-19 ს-ის დასაწყისისთვისაც.

ადრეული პერიოდის ვოდევილებია: კნიაჟინის „Сбитеньщик“, ნიკოლაევის „Опекун-Профессор“ და „Несчастье от кареты“, ლევიჩინის „Мнимые вдовцы“, მატინსკის „Санкт-Петербургский Гостиный двор“, კრილოვის „Кофейница“ და სხვ. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა აბლესიმოვის ოპერა-ვოდევილი „Мельник-колдун, обманщик и сват“, რომელიც დაიდგა 1779 წელს.

მე-18 საუკუნის II ნახევრიდან ვოდევილს რუსეთში თან ახლდა მუსიკა. ამით აიხსნებოდა ის ფაქტი, რომ მთელი ვოდევილის ტექსტი ინერებოდა ლექსად (მაგ., აბლესიმოვის „Мельник, колдун, обманщик и сват“).

მოგვიანებით ვოდევილი რუსეთში ქალაქურ სიმღერებად იქცა. მასში დასცინოდნენ ფეოდალებს, რომლებიც აბსოლუტიზმის ეპოქაში მიიჩნეოდნენ მონარქიული ხელისუფლების მთავარ მტრებად.

ვოდევილის განვითარების შემდგომი ეტაპი იყო პიესა „Маленькая комедия с музыкой“, როგორც მას განსაზღვრავს ბულგარინი. ის განსაკუთრებით გავრცელდა მე-19 ს-ის 20-იანი წლებიდან. ამგვარი ვოდევილის ტიპურ ნიმუშებად ბულგარინი ასახელებს შახოვსკოის ვოდევილებს: „Казак-стихотворец“, „Ломоносов“.²⁴

მე-19 ს-ის დასაწყისისთვის რუსეთში პოპულარული იყო ვოდევილის შექმნა ამა თუ იმ მსახიობის ბენეფისისთვის (ეს საქმიან-

23 Alexander V. Tselebrovski, The History of Russian Vaudeville from 1800 to 1850: A Dissertation Submitted to the Graduate Faculty of the Louisiana State University and Agricultural and Mechanical College in partial fulfillment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy in The Department of Theatre http://etd.lsu.edu/docs/available/etd-0130103-053846/unrestricted/Tselebrovski_dis.pdf. p. 18.

24 ამ პიესის მნიშვნელობას ფ. ვიგელი ხაზს უსვამდა თავის „ჩანაწერებში“: „განსაკუთრებით ყურადსაღებია იმით, რომ პირველად გამოვიდა სცენაზე ვოდევილის წამდვილი სახელწოდებით.“

ნობა განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ახალგაზრდა წარჩინებულ გვარდიელთა შორის). მაგ., ვოდვეილი „Своя семья, или замужняя невеста“ 1817 წელს მ. ი. ვალტერხოვისთვის დაწერა ალექსანდრე გრიბოედოვმა ა. ა. შახოვსკოისთან და ნ. ი. ხმელნიცკისთან თანაავტორობით.

რუსული ვოდვეილის განვითარების ისტორიაში გამოყოფენ ორ ეტაპს: პირველი იწყება 1812 წლიდან, როდესაც შახოვსკოის პირველი ორიგინალური ვოდვეილი დაიწერა სანკ-პეტერბურგში, და გრძელდება 1825 წლამდე, როდესაც გარდაიცვალა რუსეთის მეფე ალექსანდრე I და ტახტზე ავიდა მისი შვილი ნიკოლოზ I. ამას უწოდებენ არისტოკრატიულ პერიოდს.

მეორე პერიოდი, რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც დემოკრატიულ-რაზნოჩინურს, მოიცავს 1826-1855 წლებს, როცა მეფობდა ნიკოლოზ I. ასეთი დაყოფის საფუძველია ის, რომ პოლიტიკური მოვლენები რუსულ საზოგადოებაში ხშირად იწვევდა ცვლილებებს კულტურულ, სახელოვნებო, თუ ლიტერატურულ ცხოვრებაში.

პირველი პერიოდის წარმომადგენლები არიან, მაგ.: შახოვსკოი, ხმელნიცკი, გრიბოედოვი, პისარევი, ხოლო II პერიოდს მიეკუთვნებიან კონი, კარატიგინი, ნეკრასოვი და სხვები.

რუსეთში ვოდვეილს, უმრავლეს შემთხვევაში, წარმოადგენდნენ ხოლმე სერიოზული დრამის, ან ტრაგედიის შემდეგ. ამით განისაზღვრებოდა მისი მოცულობის სიმცირე, თუმცა რუსულ სინამდვილეში ცნობილია არა მხოლოდ სამმოქმედებიანი, არამედ ხუთმოქმედებიანი ვოდვეილებიც. მაგ., დიდი წარმატებით სარგებლობდა დ. თ. ლენსკის 5-მოქმედებიანი ვოდვეილი „Лев Гурыч Синичкин или провинциальная дебиютантка“, რომელიც გადმოკეთებული იყო ფრანგული პიესიდან „Отец дебиютантки“ (დაიდგა 1839 წელს). ეს პიესა რეპერტუარში დარჩა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.²⁵

ვოდვეილით გატაცება საკმაოდ დიდი იყო. 1840 წლის ოქტომბერში პეტერბურგის ალექსანდრეს თეატრში დაიდგა 25 სპექტაკლი, რომელთაგან თითქმის თითოეულში შედიოდა ერთი-ორი ვოდვეილი.

ყოველ სეზონზე რუსეთში (მოსკოვსა და სანკ-პეტერბურგში) 200-300 ახალი ვოდვეილი იდგმებოდა.

რუსული ვოდვეილის აყვავება მოდის 1820-1840-იან წლებ-

25 В. Волькенштейн., *Ив. Лысков. Литературная энциклопедия: Словарь литературных терминов: В 2-х т. / Под редакцией Н. Бродского, А. Лаврецкого, Э. Лунина, В. Львова-Рогачевского, М. Розанова, В. Чешихина-Ветринского.* _ М.; Л.: Изд-во Л. Д. Френкель, 1925.

ზე. ამ დროს მოღვაწეობდნენ ალექსანდრე შახოვსკოი (1777-1846),²⁶ დიმიტრი ლენსკი (1805-1860),²⁷ პეტრე კარატიგინი (1805-1879),²⁸ თეოდორე კონი (1809-1879)²⁹, ნიკოლოზ ნეკრასოვი (1821-1877/78) და სხვები.

ვოდვეილის ცნობილი რუსი მსახიობები არიან: მიხეილ შჩეპკინი (1788-1863)³⁰, ვასილი ჟივოკინი (1805/7-1874), კონსტანტინე ვარლამოვი (1848-1915) და სხვები.

ვოდვეილის წერას არ თაკილობდნენ კლასიკოსებიც. 1888 წლის 23 თებერვალს ანტონ ჩეხოვი (1860-1904) ერთ-ერთ თავის პიესაში აღიარებდა: „როდესაც წერით ვიღლები, ვინყებ ვოდვეილის წერას და ამით ცხოვრებას. მეჩვენება, რომ მე შევძლებდი, დამენერა 100-ობით ვოდვეილი წელიწადში.“ იმ პერიოდში მან დაწერა ხუმრობები ვოდვეილის სტილში: „О вреде табака“, „Медведь“, „Предложение“.³¹

არსებობს შეხედულება, რომ პუშკინიც არ იყო გულგრილი ამ გატაცების მიმართ და ახლო მეგობრების თხოვნით ქმნიდა ვოდვეილებს, თუმცა უეჭველი ტექსტები მისი ავტორობით არ დასტურდება.

დაახლოებით 40-იანი წლებიდან რუსულ ვოდვეილში შეინიშნება ცვლილებები შინაარსის თვალსაზრისით, მასში ჩნდება მწვავე სიუჟეტისა და პოლემიკის ელემენტები, რამაც მას კიდევ უფრო დიდი წარმატება მოუტანა. ამასთან, ამ პერიოდის ვოდვე-

26 რუსი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე, რეჟისორი, პედაგოგი, კრიტიკოსი, საიმპერატორო თეატრების სარეპერტუარო კომისიისა და რუსეთის აკადემიის წევრი (1810). თითქმის მეთხუთმედი საუკუნის განმავლობაში მართავდა თეატრებს პეტერბურგში. მისმა პიესებმა ხელი შეუწყო რუსული ეროვნული კომედიის ფორმირებას. მის კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი პიესა.

27 რუსი მწერალი, მთარგმნელი, მსახიობი, ხელესტაკოვის როლის პირველი შემსრულებელი გოგოლის კომედიაში „რევიზორი.“ ბელინსკი მას საუკეთესო ვოდვეილის-ტად მოიხსენიებდა.

28 რუსი დრამატურგი და მსახიობი. ცნობილია, როგორც ეპიზოდური კომიკური როლების შემსრულებელი, დაწერა დაახლოებით 70 პიესა, რომელთა შორის 46 ვოდვეილია, აქედან 20 – ორიგინალური, დანარჩენი – გადაკეთებულები ფრანგული ვოდვეილებიდან. მისი საუკეთესო ვოდვეილებია: „Дом на Петербургской стороне, или искусство не платить за квартиру“ (1838. გამოიცა 1943 წელს); „Ложа 1-го яруса на последний дебют Тальони“ (1838), „Булочная, или Петербургский немец“ (1843), „Вицмундир“ (1845), „Натуральная школа“ (1847) და სხვ.

29 რუსი დრამატურგი, თეატრალური კრიტიკოსი, თეატრის ისტორიკოსი, მემუარისტი. 1833 წელს გამოვიდა მისი ვოდვეილი „Принц с хохлом, бельмом и горбом“. ამას მოჰყვა სხვა ვოდვეილები და აგრეთვე მოკლე კომედიები: „В тихом омуте черти водятся“, „Женишок-горбунок“, „Покойник-муж и вдова его“, „Женская натура“, „Не влюбляйся без памяти, не женись без расчета“, „Деловой человек“, „Петербургские квартиры“, „Всякий черт – Иван Иванович“, „Беда от сердца и горе от ума“, „Чему посмеешься – тому поработашь“.

30 რუსული სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

31 <http://feb-web.ru/feb/litenc/encyclop/le2/le2-2706.htm>

ილებში უკვე შეინიშნება მსახიობების ჩანართები თამაშის დროს, რაც იმპროვიზაციას ეფუძნებოდა.

60-იანი წლების ბოლოს რუსეთში ასევე საფრანგეთიდან შემოვიდა ოპერეტა, რომელმაც შეასუსტა ვოდევილით გატაცება. მიუხედავად ამისა, ვოდევილი საკმაოდ დიდხანს დარჩა რუსული თეატრის რეპერტუარში. მისი შესამჩნევი დაღმასვლა იწყება მხოლოდ 80-იანი წლებიდან. თუმცა მიიჩნევენ, რომ ვოდევილმა, როგორც ჟანრმა, რუსეთში თავისი არსებობა დაამთავრა უფრო ადრე – 1850-იან წლებში.³²

ვოდევილის არსებით მახასიათებელ ნიშნებად რუსულ ლიტერატურაში დასახელებულია:

1. დრამატული წინააღმდეგობები კომედიურ პლანში;
2. კომედიური დარღვევის გამოხატვა რომელიმე მეტად არამნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ნორმისა, მაგ., სტუმართმოყვარეობისა, კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და ა. შ;
3. დარღვეული ნორმის ნაკლებმნიშვნელობის გამო, ვოდევილის დასვლა ჩვეულებრივ მწვავე მოკლე წინააღმდეგობებამდე ერთ სცენაში;
4. მოცულობის სიციხის გამო, კომიკური ელემენტების განსაკუთრებული სიჭარბე კომედიასთან შედარებით;
5. კომიზმის ჰიპერბოლურობის გამო, მოქმედების სწრაფი განვითარება;
6. სასაუბრო მეტყველების სიჭარბე;

თავდაპირველად ვოდევილი იწერებოდა ლექსებად, რომლებიც შემდეგ მონაცვლეობდა პროზაულ დიალოგებთან, ხშირი იყო ერთი და იმავე კუპლეტების გამეორება პუბლიკისკენ მიმართვით. მოგვიანო პერიოდში კუპლეტები და მუსიკა აღარ იყო აუცილებელი.

ვოდევილი ამერიკაშიც საფრანგეთის გზით შევიდა 1840-იანი წლებიდან. მის წარმოშობას, საზოგადოდ, უკავშირებენ მე-19 საუკუნის პასტორული თამაშის ფრანგულ ფორმას, რომელიც მოიცავდა მუსიკალურ ანტრაქტს. ტერმინი იშვიათად ჩნდებოდა 1890-იან წლებამდეც. ამ დროისთვის კი მან ფართოდ ჩაანაცვლა შოუ (variety), თუმცა ტერმინი „variety“³³ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყენებოდა, როგორც ვოდევილის სინონიმი.

32 1979 წელს რუსეთში გადაიღეს მხატვრული მუსიკალური ფილმი: „ეხ, ვოდევილი, ვოდევილი“ პეტრე გრიგორიევის ხუმრობა-ვოდევილის – „რუსი მსახიობის ქალიშვილი“ – მოტივზე (ფილმის რეჟისორი – გიორგი იუნგვალდი-ხილკევიჩი).

33 ტერმინი „მუზიკჰოლი“ („musichall“) იყო „variety“-ის ბრიტანული ფორმა, ოღონდ ამ შემთხვევაში სიმღერებს ასრულებდნენ მხოლოდ ინდივიდი მსახიობები. „musichall“ გამოიყენებოდა აგრეთვე აშშ-შიც, მაგრამ, როგორც მეორე სახელი „variety“-ისთვის: <http://memory.loc.gov/ammem/vshtml/vsforms.html>.

ორივე ტერმინით აღინიშნებოდა წარმოდგენა, რომელიც აგებული იყო რამდენიმე მოკლე, განსხვავებული ტიპის ცალკეული აქტებისაგან, თხრობითი სიუჟეტის, წიგნის, სცენარის, ან ერთმანეთთან დაკავშირებული თემების გარეშე. მიუხედავად ამისა, ვოდვეილის ამ აქტებს აერთიანებდა რიტმი, ტემპი და ქვეცნობიერად ერთიანი წარმოდგენის სახეობა. ეს ნიშანი განაპირობებდა მის წარმატებას კინოს, როგორც გართობის გაბატონებული ფორმის, გამოჩენამდე ადრეულ 1930-იან წლებში.

ვოდვეილი განვითარდა ინტერპრენიორების მიერ, რომლებიც ეძებდნენ უფრო მაღალ სარგებელს ფართო აუდიტორიისგან.³⁴ 1849 წლის შემდეგ გართობა ამერიკაში დაიყო კლასობრივ ხაზებად: ოპერა, ძირითადად, განკუთვნილი იყო უფრო ზედა კლასებისთვის, მოხეტიალე შოუები (minstrel shows) და მელოდრამები – საშუალო კლასებისთვის, ხოლო ესტრადა (variety shows) საკონცერტო სამიკოტინოებში – მუშათა კლასის წარმომადგენლებისთვის და შედარებით მძიმე სამუშაოებზე (მაღაროებზე) მომუშავე საშუალო კლასისთვის.

ლიტერატურაში ახსნილია ვოდვეილის გავრცელების ეკონომიკური საფუძველი. ჯონ კენრიხის (John Kenrick) სტატიაში „ვოდვეილი“, რომელიც 2004 წელს დაინერა, აღნიშნულია, რომ 1880-იანი წლებისთვის ინდუსტრიულმა რევოლუციამ შეცვალა ამერიკის ოდესღაც სოფლური იერი. მოსახლეობის ნახევარი ახლა კონცენტრირებული იყო პატარა თუ დიდ ქალაქებში და მუშაობდა რეგულარულ სამუშაოებზე, რომელთაც თავისუფალი დროც ჰქონდათ და პატარა დანაზოგიც, რომელიც შეეძლოთ, გართობისთვის გამოეყენებინათ. ვოდვეილი ასრულებდა იმ ფუნქციას, რომელიც შემდგომში რადიომ და ტელევიზიამ იკისრა. ის აგრეთვე ცდილობდა, შეეცხო სოციალური ნაპრალი, რომელსაც ამერიკული საზოგადოება გაყოფილი ჰყავდა მაღალ და დაბალ კლასებად.³⁵

უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის 10-იან წლებში ამერიკაში პოპულარული იყო შექსპირის წარმოდგენები, აგრეთვე აკრობატული, საესტრადო, საცეკვაო ნომრები, კომედიები, მოხეტიალე შოუები, რომლებიც განკუთვნილი იყო ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის. თავდაპირველი ვოდვეილი კი იყო დაუმუშავებელი, ხშირად უწმანური ტექსტები, რომლებსაც ისმენდნენ მამაკაცების თავშეყრის ადგილებში, ლუდხანებში. ამრიგად, ის მხოლოდ მამაკაცთა წრისთვის იყო დანიშნული.

ეს გრძელდებოდა მანამდე, სანამ 1880-იანი წლების დასაწყ-

34 Robert W. Snyder in *The Encyclopedia of New York City* (New Haven: Yale University Press, 1995), Kenneth T. Jackson, editor, p. 1226.

35 <http://www.musicals101.com/vaude1.htm#Need>.

ისში ბალადების მოხეტიალე მომღერალმა, შემდგომში კი სახელგანთქმულმა კომედიოგრაფმა ტონი პასტორმა (1837-1908) მას სახე არ შეუცვალა და ვოდევილი საოჯახო წარმოდგენად არ აქცია. თუმცა პასტორამდე იყვნენ ლივიტი (Leavitt) და სარჯენტი (Surgent), რომელთა წარმოდგენები განსხვავდებოდა მოხეტიალე მსახიობთა მიერ წარმოდგენილი უხეში სანახაობებისაგან.

პასტორმა ვოდევილი საპატისაცემო წარმოდგენა გახადა. იმდენად დიდია მისი დამსახურება ამ ჟანრის განვითარების საქმეში, რომ ამერიკაში ის ვოდევილის მამად აღიარეს. მან გახსნა საკუთარი ესტრადის თეატრი ნიუ-იორკ სიტიში ჯერ კიდევ 1865 წელს, ხოლო 1881 წელს – მე-14 ქუჩის თეატრი.

პასტერის სტილის ვოდევილისტი იყო ცნობილი კომედიოგრაფი ბენჟამინ ფრანკლინ ქეითი. 1883 წელს მან დააარსა საკუთარი მუზეუმი ბოსტონში, სადაც იმართებოდა შემდგომში საკმაოდ პოპულარული სპექტაკლი „Baby Alice the Midge Wonder“ და აგრეთვე სხვა წარმოდგენები. მან მკაცრად აკრძალა ვულგარულობა და ტლანქი, უხეში აქტები სპექტაკლებში, რითაც მიიზიდა მაცურებელი და მიიქცია ბოსტონის ძლიერი კათოლიკური ეკლესიის ყურადღებაც.

მაღე ვოდევილის ამ ფორმამ ამერიკაში მთლიანად ჩაანაცვლა ძველი და 1890-იანი წლებისთვის ის, როგორც ოჯახური გართობის საშუალება, აკმაყოფილებდა წარმოდგენის (სანახაობის) მაღალ სტანდარტებს. ის იქცა მსახიობთათვის დაოსტატების კერად.

ერთ-ერთ გაზეთი ქეითის ახალი თეატრის გახსნაზე ბოსტონში 1894 წელს წერდა: „ფუფუნების ასაკმა, ჩანს, მიაღწია თავის საბოლოო ზღვარს. თითქმის დაუჯერებელია, რომ მთელი ეს ელევანტურობა ხალხის კუთვნილებაა, მდიდრებისა თუ ღარიბებისა.“

პასტორისა და ქეითის მოღვაწეობამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ვოდევილის, როგორც თეატრალური ჟანრის, ხასიათი ამერიკაში. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია შეფასებული, მათი იდეები რევოლუციური ხასიათისა იყო. სამოქალაქო ომის მომდევნო წლებში მათი სპექტაკლების პოპულარობა შეუდარებლად გაიზარდა. ქეითის მეგობარი ედვარდ ალბი აღნიშნავდა, რომ ქეითის პროგრამებში ყოველთვის იყო „რალაც ყველასთვის“. ასე თანდათან მოამზადა ქეითმა ვოდევილები სრულყოფილი ცხოვრების პირობებისა და დედაქალაქისათვის.

პასტორმა და ქეითმა განავითარეს უწყვეტი წარმოდგენები, სადაც გაბატონებული ადგილი ეკავა ვოდევილს. ეს გრძელდებოდა მთელი ორი ათეული წლის განმავლობაში. 12-საათიანმა უწყვეტმა წარმოდგენებმა ვოდევილი ხელმისაწვდომი გახადა ფართო აუდიტორიისათვის. ქეითის მოსაზრება ასეთი იყო: „მნიშვნელობა არა აქვს, დღის რომელ მონაკვეთში ესტუმრები თეატრს, იქ ყოველთვის არის

მაყურებელი, შოუ არის სრულ წესრიგში, ყველაფერი ბრწყინავს, მხარულია, მიმზიდველი“.

ტიპური ვოდვეილის სანახაობები აუდიტორიას სთავაზობდა მცირე დოზით ყველაფერს 8-იდან 14-მდე აქტში, ან ათამდე მიმართვაში. ეს მოიცავდა მაგიურ (ილუზიონისტურ) სეგმენტებს, მუსიკალურ (ძირითადად, სოლო და დუეტურ ვოკალებს) და საცეკვაო ნომრებს, ან ამ ნომრების კომბინაციას, აკრობატიკას, ფოკუსებს, კომიკურ ნომრებს (პოპულარული იყო მონოლოგი), ცხოველთა აქტებს და დღის ახალი ამბების გაშარყებულ ნომრებს კრიმინალებზე, მოკრივეებზე და ა. შ.³⁶ მაგრამ მთავარი მასში იყო კომედია.

მე-20 საუკუნის დასაწყისში სპექტაკლები დღეში ორჯერღა იმართებოდა.

ვოდვეილის აქტები, განსაკუთრებით ისინი, რომლებშიც იყო ვერბალური (ზეპირი) ნაწილი, ეხებოდა ყოველდღიური ცხოვრების აქტუალურ თემებს: იმიგრაციას, ეთნიკურობას, გენდერულ როლებს, ქალაქურ ცხოვრებას, ინდუსტრიალიზაციას, ქალთა უფლებებს, ტექნოლოგიას (განსაკუთრებით ავტომობილებისას და ტელეფონისას) და სოციალურ პრობლემებს (როგორცაა ალკოჰოლიზმი).

ვოდვეილის სცენარისტების მთავარი მიზანი იყო არა ის, რომ ყოფილიყვნენ სოციოლოგები და ისტორიკოსები, ან კულტუროლოგები, არამედ გაერთოთ აუდიტორია, რაც შეიძლებოდა, ბევრი საშუალებით. თუ, მაგ., რომელიმე ნომერი სათანადოდ ვერ შეასრულებდა ამ ფუნქციას, რომ მოეჯადოვებინა და განეცვიფრებინა საზოგადოება, მას მოჰყვებოდა შემდეგი ნომრები, რომლებიც წარმატებული იქნებოდა ამ მხრივ. ასე რომ, რომელიმე აქტის ჩავარდნის შემდეგ ხალხს რჩებოდა მოლოდინი, განცდა იმისა, რომ

36 1907 წლისთვის ვოდვეილი წელიწადში გამოიმუშავებდა 30 მილიონ დოლარს. ბილეთის ფასი დაბალი იყო. 1912 წელს, მაგ., ბროდვეიზე ადგილები 2 დოლარი ღირდა, „დიდი დროის“ ვოდვეილის ბილეთის ფასი კი მერყეობდა 1 დოლარსა და 75 ცენტს შორის. მსახიობებს მაღალი ანაზღაურება ჰქონდათ. მე-20 საუკუნის 20-იანი წლებითვის, მაგ., „პატარა დროის“ ქეითის თეატრის მსახიობი კვირაში გამოიმუშავებდა 75 დოლარს და წელიწადში – 3150 დოლარს, მაშინ როდესაც ფაბრიკის მუშის საშუალო ხელფასი წელიწადში 1300 დოლარზე ნაკლებს შეადგენდა (<http://www.musicals101.com/vaudeil.htm#Need>). უფრო ადრეულ წლებში მსახიობებს უხდიდნენ 15 დოლარს კვირაში.

თავისი არსებობის 50-ზე მეტი წლის განმავლობაში ვოდვეილში 25000-ზე მეტმა მსახიობმა ითამაშა. ვოდვეილის თეატრები დაყოფილი იყო სამ ჯგუფად: „პატარა დრო“ – პატარა ქალაქის თეატრები და უფრო იაფი თეატრები დიდ ქალაქებში. ეს იყო სცენა მსახიობების დიდი სცენისთვის მოსამზადებლად; „საშუალო დრო“ – კარგი თეატრები ქალაქებში, რომლებიც მსახიობებს სთავაზობდა რამდენიმე ას დოლარს კვირაში. აქ თამაშობდნენ მსახიობები, რომლებიც იმყოფებოდნენ თავიანთი კარიერის აღმასვლის, ან დაღმასვლის ეტაპზე; „დიდი დრო“ – საუკეთესო თეატრები საუკეთესო ქალაქებში, რომლებიც წარმოადგენდნენ დღეში ორ წარმოდგენას. აქ გამოიმუშავებდნენ ასულობით დოლარს კვირაში. ვარსკვლავებს შეეძლოთ მოეთხოვათ 1000, ან უფრო მეტი დოლარი კვირაში.

მას აუცილებლად მოჰყვებოდა განსაცვიფრებელი სანახაობა.

1896 წლიდან ვოდევილებში დაამატეს ჟესტების სურათები იმისათვის, რომ შოუებს შორის თეატრის დასუფთავება ყოფილიყო შესაძლებელი.

მე-19 საუკუნის დასასრულისთვის ამერიკაში მტკიცედ დამკვიდრდა ვოდევილის თეატრები (სახლები (Houses) როგორც მათ უწოდებდნენ), რომელიც იმართებოდა ერთი მენეჯერის მიერ. ასეთი სახლები დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ასახელებენ ორ ასეთ დიდ სახლს – ერთია United Booking Office და მეორეა Beck's Orpheum Circuit. პირველი წარმოდგენილი იყო 400 თეატრით აღმოსავლეთსა და შუა დასავლეთში, ხოლო მეორე მონოპოლიას ინარჩუნებდა ჩიკაგოდან კალიფორნიამდე.

ვოდევილის გამორჩეული ადგილი აშშ-ში იყო აგრეთვე სამეფო თეატრი ნიუ-იორკში (Palace Theatre) 1913 წლიდან 1932 წლამდე. ამ თეატრის სცენა იქცა ფლაგმანად ვოდევილის სამყაროში, სადაც თამაში მიიჩნეოდა პრესტიჟულად ამ ჟანრში მოღვაწე მსახიობებისათვის. უდიდესი სახელები ამ სფეროში არის: ჯეკ ბენი (Jack Benny), ჯორჯ ბარნსი (George Burns), გრასი (Gracie) და სხვები. ვოდევილის თეატრები ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ ფუფუნების, ელევანტურობის, გრანდიოზულობის თვალსაზრისით.

ვოდევილის სცენამ ბევრი მასახიობი დააოსტატა: ცნობილი მსახიობები არიან, მაგ: ილუზიონისტი და კომედიანტი ვ. ს. ფილდსი (W. C. Fields), კოვბოი და კომიკი ვილ როგერსი (Will Rogers), ცნობილი „ამერიკელი მშვენება“ (როგორც ამერიკაში უწოდებდნენ) ლილიან რასელი (Lillian Russell), მონოლოგისტი ჩარლი ქეიზი (Charlie Case), პანტომიმის მსახიობი ჯო ჯაქსონი (Joe Jackson); ვოდევილში იყვნენ დაკავებულები პიანისტი ეუბი ბლეიკი (Eubie Blake), ბავშვი ვარსკვლავი ბები ბოუზ მარი (Baby Rose Marie), აკრობატები და მოცეკვავეები, როგორც იყო Nicholas Brothers.

ევროპული მუსიკალური სცენის (Music Hall) მსახიობები: ჰარი ლაუდერი (Harry Lauder), ალბერტ შევალიე (Albert Chevalier), ივეტე გუილბერტი (Yvette Guilbert) – ასევე გამოჩნდნენ ვოდევილში ამერიკაში.

უფრო მოგვიანო პერიოდის ცნობილი ამერიკელი მსახიობი და მოცეკვავე, ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯეიმს კაგნი (James Cagney) (1899-1986), რომელსაც ყველა დროის მამაკაც ვარსკვლავთა შორის მოიხსენიებენ, ამბობდა: „ყველაფერი, რაც ვიცი, ვისწავლე ვოდევილში.“³⁷

ძველი ვოდევილისტები არიან: ბართ უილიამსი (Burt Williams), ბუსტერ კიტონი (Buster Keaton) და ლეგენდარული ჩარლი ჩაპლინი.

37 <http://www.pbs.org/wnet/americanmasters/episodes/vaudeville/about-vaudeville/721/>

ვოდევილის დიდი სახელები შემდგომში კინოსა თუ ტელევიზიის ვარსკვლავები გახდნენ, როგორებიც იყვნენ, მაგ., ვილ როჯერსი (Will Rogers), ბობ ჰოპი (Bob Hope), ბარნსი და ალენი (Burns & Allen), ფანი ბრაისი (Fanny Brice) და სხვები.

ამერიკულმა ვოდევილმა სხვა ყველა მასობრივ სანახაობაზე მეტად განსაზღვრა ამერიკული ცხოვრება სამოქალაქო ომის შემდეგ.

სტეფან კანფერი თავის გამოკვლევაში „ვოდევილის ხანმოკლე, ბრწყინვალე დრო“³⁸ – ვოდევილს აფასებს, როგორც ყველაზე დემოკრატიულ, პოპულარულ ხელოვნებას ამერიკის ისტორიაში, რომელსაც, მისი ბატონი ალენით, ჰქონდა ბრწყინვალე ტრეპეტორია, მუსიკალური კომედიური სიტუაციიდან სატელევიზიო კომედიურ სიტუაციამდე, და იყო მოელვარე, როგორც რომაული სანთელი.

ამდენად, ამერიკაში თავდაპირველად ვოდევილის მიზანი იყო მაყურებლის გართობა. რეალური სიტუაციების აღწერა და ამით ყოველდღიური ცხოვრების უარყოფითი მხარეების გამოვლინება მისი ფუნქცია გახდა მოგვიანებით, თუმცა გართობის ფუნქცია მის ამოსავალ, მახასიათებელ ნიშნად დარჩა ბოლომდე.

ადრეული მე-20 საუკუნის ამერიკაში ვოდევილი კულტურული მრავალფეროვნების სიმბოლოდ იქცა. ის თანდათან უფრო და უფრო იკავებდა მეტ სანარმოდგენო დროს, ვიდრე 1927 წელს არ გამოჩნდა ხმოვანი კინო.

ვოდევილის ეპოქის დასასრულად ევროპაში მიიჩნევა 1932 წელი. ამ პერიოდში სამეფო თეატრმა დაიწყო მოძრავი სურათების შერევა ვოდევილის ნარმოდგენებში, ხოლო 1935 წლისთვის სამეფო თეატრი, რომელიც ოდესღაც ხელმძღვანელობდა ვოდევილის 600-მდე თეატრალურ წრეს, იქცა კინოს სახლად, სადაც ვოდევილის ნარმოდგენა აღარ იმართებოდა.

დიდმა ფინანსურმა კრიზისმა 1930-იან წლებში და რადიოსა (ამავე პერიოდში) და ტელევიზიის (უფრო მოგვიანებით) განვითარებამ გამოიწვია ვოდევილის უეცარი დაკნინება, ხოლო მისი ფაქტობრივი გაუჩინარება მოხდა II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში.

საქართველოში ვოდევილი XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის გზით შემოვიდა, სადაც ის, როგორც ჟანრი, ამ პერიოდისთვის აღმავლობის გზაზე იდგა.

ვოდევილს ჩვენთან შესაბამისი ნიადაგი დახვდა, რამაც ხელი შეუწყო მის აყვავებას. ფეოდალური ურთიერთობების კრიზისი, ბურჟუაზიული კლასის გაჩენა, ბატონყმობის გაუქმება – ის სოციალურ-ეკონომიკური ფონია, რომელმაც განაპირობა ქართული ვოდევილის წარმატება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვოდევილი მალე

38 Stefan kanfer, Vaudeville's Brief, Shining Moment, 2005: http://www.city-journal.org/html/15_2_urbanities-vaudeville.html

ქართულ მოვლენად იქცა, ისევე როგორც თავის დროზე ამერიკაში იქცა ამერიკულ, ხოლო რუსეთში – რუსულ მოვლენად.

ქართულ დრამატურგიაში ცნობილია როგორც ორიგინალური, ისე გადმოკეთებული და ნათარგმნი ვოდვეილები (ითარგმნებოდა, ძირითადად, რუსულიდან და ფრანგულიდან).

ვოდვეილის ნიმუშები გაბნეულია მე-19 საუკუნის პრესაში („ცისკარში“, „დროებაში“, „ივერიაში“), იშვიათად მოგვეპოვება ცალკეული გამოცემების სახითაც. მათი ნაწილი (ხელნაწერების სახით) დაცულია ავტორთა არქივებშიც. ვოდვეილები შექმნეს როგორც კლასიკოსებმა, ისე ნაკლებად ცნობილმა თუ უცნობმა ავტორებმა, რომელთა მემკვიდრეობის გათვალისწინება აუცილებელია ლიტერატურული პროცესების შესასწავლად.

მიხეილ გამაზოვის „XIX საუკუნის ქართველები“, რომლის ქართული თარგმანი ეკუთვნით გ. ერისთავსა და დ. ყიფიანს, პირველი ვოდვეილია, რომელიც XIX ს-ის 30-იან წლებში იდგმებოდა თბილისის ლიტერატურულ სალონებში. სერგო გერსამია პიესის თარგმანს მხოლოდ დიმიტრი ყიფიანს მიაწერს (რომელსაც ეს თარგმანი შეუსრულებია 1831 წელს) და მის სათაურს წარმოგვიდგენს შემდეგი სახით: „მეცხრამეტე საუკუნის ქართველობა, ანუ ხელსაყრელი ქორწინება“.³⁹ პიესას ჩვენამდე არ მოუღწევია.

გერსამიას ინფორმაციით, 1831 წელსვე პოეტ ვახტანგ ორბელიანს უთარგმნია პ. ა. კარატიგინის ვოდვეილი-კომედია „უცნობი ნაცნობები“.⁴⁰ რეპეტიციები მიმდინარეობდა, მაგრამ კომედია სცენაზე აღარ დადგმულა.⁴¹ სამწუხაროდ, ეს პიესაც დაკარგულია.

1845 წელს ზემო იმერეთის სოფ. გორისაში წარმოუდგენიათ ოქროპირ წერეთლის კომედია „ქორწილი იმერეთის თავადისა“.⁴² პიესის ხელნაწერი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დაბეჭდილია ქართული დრამატურგიის I ტომში, რომელიც 1992 წელს გამოიცა.

ორიგინალური დრამატული ნაწარმოებები XVIII საუკუნეშიც შექმნილა, მაგრამ მათ უმრავლესობას ჩვენამდე არ მოუღწევია. შემორჩენილია ალექსანდრე ამილახვრის სატირა-კომედია „მოქმედება ასტრახანში“, გიორგი ავალიშვილის მიერ ქართულად ნათარგმნი სუმაროკოვის კომედიები: „დედა რაყიფი ქალისა“, „რქის მატარებელი“, „საჩხუბარი“, „უზნობა მკვდართა“.

მე-19 საუკუნის I ნახევარში უკვე გვექონდა როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი დრამატული ნაწარმოებები. ამ პერიოდის

39 იხ. ს. გერსამია, „გიორგი ერისთავის თეატრი“, სახელგამი, 1950, გვ. 28.

40 იქვე.

41 იქვე, 33.

42 გვ. 34-35.

ქართულ დრამატურგიას ამბერკი გაჩეჩილაძე XVIII საუკუნის ბოლო ათეული წლების ტრადიციათა გაგრძელებად მიიჩნევს.⁴³

ქართული თეატრის აღდგენამდე სალამო-წარმოდგენები იმართებოდა მარიამ ორბელიანის, მანანა ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, რომან ბაგრატიონისა და სხვათა სალონებში.⁴⁴ ქართული პროფესიული თეატრის ჩამოყალიბების იდეა სწორედ ასეთ სალონებში მომწიფდა. გიორგი ერისთავთან ერთად თეატრის დაარსების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მანანა ორბელიანმა, ქეთევან ორბელიანმა, ნინო ჭავჭავაძემ და სხვებმა.

ქართული თეატრის შექმნამდე თბილისში დაარსდა რუსული თეატრი. მისი პირველი სეზონი, მ. კიკნაძის ცნობით, გაიხსნა 1846 წლის 20 სექტემბერს.⁴⁵ შემდგომში ამ ორ თეატრს შორის მჭიდრო კავშირები ჩამოყალიბდა. რუსული თეატრის სცენაზე დაიდგა მოლიერის „ძალად ექიმი“, ნ. ნეკრასოვის ვოდევილი „ბებიას თუთიყუში“.⁴⁶

თბილისის რუსულ თეატრში 40-იან წლებში გიორგი იაცენკოს დასმა 2 მელოდრამა, 7 ოპერა, 10 დრამა, 11 კომედია და 106 ვოდევილი დადგა.⁴⁷

გიორგი ერისთავმა უკვე პროფესიული თეატრისთვის გამოაკეთა და 1851 წელს დადგა ნ. ნეკრასოვის ზემოთ ნახსენები „ბებიას თუთიყუში“.

გიორგი ერისთავს მიზაძეს მისმა მსახიობებმა: ზ. ანტონოვმა, რომელმაც რუსულიდან თარგმნა სკრიბის „ფაშას თეთრი დათვი“, გ. დვანაძემ, რომელმაც შექმნა ვოდევილი „სახლი კუკიაზე“. პროფესიული თეატრის განახლებამდე იდგმებოდა გადმოქართულებული და ორიგინალური ვოდევილები: რ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ (1870), ვ. აბაშიძის „ცოლი თუ გინდა ეს არის“ (1878), რ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული „უჭვიანი“ (9/II, 1879), გ. ჩიქოვანის მიერ გადმოკეთებული „ბნელ ოთახში“ (20/IV, 1879).

მ. კიკნაძის ცნობით, 1801 წლიდან 1846 წლამდე სულ 22-მდე პიესა არსებობდა: ორიგინალური, გადმოკეთებული და ნათარგმნი

43 ა. გაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (სამეცნიერო-მეთოდური გამოცემლობა), თბ., 1952.

44 იქვე, 275-276; იხ. აგრეთვე: მ. კიკნაძე, გიორგი ერისთავის თეატრი „სამზადისი“: სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი, №2 (59), 2014, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, გვ. 11.

45 მ. კიკნაძე, იქვე, გვ. 15. სხვადასხვა ავტორის ადრინდელ შრომებში რუსული თეატრის გახსნის თარიღად 1845 წელია დასახელებული.

46 ძალიან ბევრგან ეს ვოდევილი არასწორად ნ. ხმელნიცკისთვის არის მიკუთვნებული (ქ. გ.); ნეკრასოვი ამ პერიოდში წერდა პერეპელსკის ფსევდონიმით.

47 იხ. М. Пичхадзе, История Грузинской оперы (диссертация), ЛИТМиК, 1971, გვ.19.

(ვოდვეილების ჩათვლით. ქ. გ.).⁴⁸

1879 წლიდან განახლებული მუდმივი დასის სცენაზე წარმოდგენის თითქმის ყოველი საღამო ვოდვეილით მთავრდებოდა. იდგმებოდა ა. წერეთლის „ბუტიაობა“ (1880), ალ. ყაზბეგის „ქართველი ქალი სტუდენტებში“ (1883), რ. ერისთავის „ქაჩუა“ (1888), ვ. გუნიას „ადვოკატთან“ (1889), ჰაზირას „ჯიბგირი“ (1891), „ხორველობა“ (1894) და სხვ.

XIX საუკუნის II ნახევრის განმავლობაში ქართულ თეატრში თამაშობდნენ რუსულიდან (ი. ტურგენევის, ა. ჩეხოვის, პ. კარატიგინის, პ. ვიაზემსკის, ვ. სოლოგუბის, პ. გრიგორევის, ნ. ხმელნიცკის) და ფრანგულიდან გადმოქართულებულ და ორიგინალურ ვოდვეილებს.⁴⁹

ვოდვეილის წარმოდგენებში ქართულ სცენაზე მონაწილეობას იღებდნენ ქართული თეატრის კორიფეები: ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ვალერიან გუნია, მარინე თბილელი, ელენე ყიფშიძე, ძმები გამყრელიძეები და სხვები.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დიდმა ქართველმა მსახიობმა ვასო გოძიაშვილმა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში დადგა „ძველი ვოდვეილები“, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ანშლაგით მიმდინარეობდა.

ვოდვეილებს წერდნენ ქართველი მსახიობებიც: ვალერიან გუნია, კოტე ყიფიანი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, მაკო საფაროვა-აბაშიძე, დავით გამყრელიძე, გიორგი დვანაძე, ვასო აბაშიძე და სხვები.

ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში ვოდვეილი არ არის მკვეთრად გამოყოფილი და დახასიათებული. ეთერ ქავთარაძე ჯერ კიდევ 1974 წელს თავის საკანდიდატო დისერტაციაში შენიშნავდა, რომ „ქართული ვოდვეილი სამეცნიერო ლიტერატურის კვლევის საგანი ჯერ არ გამხდარა. გამომზეურებას და სათანადო ანალიზს ელის ქართული და ქართულ ენაზე გადმოღებული ვოდვეილები.“⁵⁰

გამონაკლისს წარმოადგენს თითო-ოროლა შემთხვევა. მათ რიცხვს მიეკუთვნება ჯაბა იოსელიანის მონოგრაფია „კომიზ-

48 მ. კიკნაძე, გიორგი ერისთავის თეატრი „სამზადისი“: სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი, №2 (59), 2014, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, გვ. 13.

49 ჯ. იოსელიანი, „კომიზში და ქართული კომედიის ნიღბები“, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1982, გვ. 188.

50 ე. ქავთარაძე, ქართული კომედიის ისტორიიდან, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1974, გვ. 16.

მი და ქართული კომედიის ნიღბები⁵¹, სადაც ვოდევილზე ცალკეა მსჯელობა. ავტორი წერს, რომ ფრანგული რევოლუციის ეპოქაში ჩამოყალიბებულმა თეატრალურმა ჟანრმა ვოდევილმა საგრძნობი წვლილი შეიტანა როგორც ევროპული თეატრის, ისე დრამატურგიის განვითარებაში. მისი გავლენა განსაკუთრებით შეეხო იუმორისტულ კომედიას. ვოდევილის მსუბუქმა დინამიკურმა სასიყვარულო არაკმა, კონფლიქტების მოულოდნელმა ზერელე გაკვანძვამ, კოლიზიის ეფემერულმა არსებობამ, უჩვეულო სიტუაციებმა, კეთილმა დაბოლოებამ, მუსიკალურმა კუბლეტებმა ევროპული „მემჩანური დრამისა“ და კომედიის დამძიმებული დინება გაახალისეს.⁵²

გამოვეყოფთ აგრეთვე დიმიტრი იოვამვილის მონოგრაფიას: „ქართული კომედიის წარსული და აწმყო“.⁵³ მკვლევარის დაკვირვებით, ვოდევილისათვის „ნიმანდობლივია კომედიური ცდუნებისა და მოტყუების, საერთოდ, გაუგებრობის სცენები, რომლებიც მთლიანად მოიცავს ნაწარმოებს. ეს გაუგებრობანი არსად არ გადადის დრამის, ან ტრაგედიისათვის დამახასიათებელ გართულებაში, ე.ი. ცდუნებისა და გაუგებრობის თითოეული კერძო შემთხვევა აქ ხუმრობისათვის დასაშვებ ფარგლებშია შენარჩუნებული და ეს ხელს უწყობს მაყურებელთა სასიამოვნო განწყობილებას.“⁵⁴

საინტერესოა, რომ იოვამვილი ვოდევილზე მსჯელობისას მას მოიხსენიებს, როგორც ლიტერატურულ ფორმას. მაგ.: „ზედმინეწვით შეესატყვისება დასახელებული ლიტერატურული ფორმის (ვოდევილის. ქ.გ.) ტრადიციულ კანონებსა და ფარგლებს“;⁵⁵ „ასეთ ვოდევილში შედარებით ნაკლებია აღნიშნული ლიტერატურული ფორმისათვის დამახასიათებელი ნიშნები.“⁵⁶

ჯაბა იოსელიანის აზრით, ვოდევილი თავისი არამყარი და მოულოდნელი ფორმით ათავისუფლებდა მსახიობს და მას ყოველივე უცნაურობის გამართლების საშუალებას აძლევდა; ვოდევილში მსახიობი ადვილად ამყარებდა კონტაქტს მაყურებელთან და მასში ხუმრობისა და მახვილგონიერების სურვილს აღვიძებდა, რაც ხელს უწყობდა იმპროვიზაციის განვითარებას. ვოდევილის მუსიკალური ნაწილი მსახიობს პლასტიკის (როგორც მაშინ უწოდებდნენ – მიხრამოხრის) დახვეწაში ეხმარებოდა. „ასე რომ, ვოდევილმა არც თუ უკანასკნელი როლი შეასრულა ქართული თეატრის ისტორიაში, კერძოდ, კომედიოგრაფიისა და სამსახიობო ხელოვნების განვითარების

51 გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1982.

52 ჯ. იოსელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

53 გამომცემლობა „ხელოვნება“, თბ., 1978.

54 დ. იოვამვილი, ქართული კომედიის წარსული და აწმყო, გვ. 131-132.

55 იქვე.

56 იქვე, 132.

თვალსაზრისით“, – დაასკვნის ავტორი⁵⁷.

მოკლე ინფორმაცია ვოდევილის შესახებ მოცემულია ანდრო და რამაზ ჭილაიების წიგნში: „ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები“, აგრეთვე მიხეილ თუმანიშვილის ნარკვევში „ქართული თეატრი.“⁵⁸ ეს უკანასკნელი წერს: „ჩვენ მიუფთითებთ ადგილობრივი წყაროების მქონე სიუჟეტებისაგან სესხების აუცილებლობაზე და ვაფრთხილებთ, რომ ჩვენმა ყრმა რეპერტუარმა არ გადაუხვიოს სწორი და მშვენიერი დასაწყისიდან, რომელსაც დაადგა და რომელიც მისი საკუთრებაა. ვაფრთხილებთ, რომ თუ ახლა ორიგინალურ პიესათა მარაგის უქონლობა ძალას ატანს ზოგჯერ მიმართონ ვოდევილების თარგმნას, შემდეგ ეს არ განმტკიცდეს, ან ეს თარგმანები იყოს ადგილობრივი ცხოვრების შესაფერად გადაკეთებული. უნდა ვისურვოთ, რომ ეს ვოდევილები არ შეიპარონ ახლადდაარსებულ სცენაზე და იქ მანკი არ შეიტანონ, რაც შემდეგ ძნელი აღმოსაფხვრელი იქნება.“⁵⁹

2014 წელს გამოვიდა დალი მუმლაძისა და თამარ ქუთათელაძის მონოგრაფია „ქართული დრამატურგიის ისტორია“ (I ტომი), სადაც ვოდევილზეცაა მსჯელობა რაფიელ ერისთავის დრამატული ნაწარმოებების მიმოხილვისას.⁶⁰

მკვლევარები ასე ახასიათებენ ვოდევილს: „ვოდევილი დემოკრატიული, მაყურებელთან უშუალო კონტაქტის პრინციპზე აგებული პიესა იყო და იგი XIX საუკუნის თეატრში ყველაზე პოპულარული ჟანრი გახლდათ.“⁶¹ მათი აზრით, ვოდევილის მეტისმეტი მოძალეა შეიცავდა გარკვეულ საფრთხეს, რომ მაყურებელს საჭირობოროტო საქვეყნო პრობლემებისადმი ყურადღება მოედუნებინა. ამის გამო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები აკრიტიკებდნენ ვოდევილით ზედმეტ გატაცებას. ავტორები გვანვდიან ინფორმაციას, რომ მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრის პირველი რეჟისორი თუმანიშვილი 1880 წლის 1 მარტს თეატრიდან გაუთავისუფლებიათ ვოდევილით დატვირთული რეპერტუარის გამო.⁶²

შოთა ვაშაყმაძის აზრით, ვოდევილი კომედიის გადაგვარების შედეგია. დრამატურგიის სატირული ხასიათი აღმავალი კაპიტალიზმის ინტერესებს გამოხატავდა, მაგრამ ბურჟუაზიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განმტკიცების პირობებში მისთვის სასარგებლო

57 ჯ. იოსელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

58 თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1984, გვ.: 104-105.

59 მ. თუმანიშვილი, „ქართული თეატრი“: ქართული მწერლობა, ტ. 9, „ნაკადული“, თბ., 1992, გვ. 640-641.

60 სახელმძღვანელო, გამომცემლობა „კენტავრი“.

61 დ. მუმლაძე, თ. ქუთათელაძე, ქართული დრამატურგიის ისტორია, გამომცემლობა „კენტავრი“, თბ., 2014, გვ. 234.

62 იქვე, გვ. 235.

ალარ იყო კომედიის მამხილებლური ბუნება. ბურჟუაზიას ესაჭიროებოდა არსებული შელამაზებული სურათი და არა საზოგადოების უარყოფითი მხარეების კრიტიკა, მასების ყურადღების გადატანა საყოფაცხოვრებო დეტალებზე, უშინაარსო სანახაობებზე. „ამან გამოიწვია კომედიის გადაგვარება, მისი მძაფრი მამხილებელი ძალის შესუსტება და კომედიის უკბილო ვოდვილად, ან უშინაარსო, ეფექტურ პიესა-სანახაობად გადაქცევა“.⁶³

ავტორის აზრით, ეს პროცესი შეინიშნება ყველა ქვეყნის დრამატურგიაში და განსაკუთრებით იქ, სადაც ბურჟუაზიამ, ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური ჰეგემონიაც მოიპოვა.⁶⁴ იგი რაფიელ ერისთავს ამ ჟანრის პირველ წარმომადგენლად მიიჩნევს ქართულ დრამატურგიაში.

ავტორი კომედია-ვოდვილებს, ზოგადად, თვლის უშინაარსო გამართობ პიესებად, რომლებშიც ეფექტური სცენური ტრიუკები, მიმზიდველი ეგზოტიკა, ან გარეგნული ფორმალისტური ხერხები ფარავენ შინაარსის უზადრუკობასა და სილატაკეს.⁶⁵

ვოდვილის შესახებ ინფორმაციას ვეცნობით ეთერ ქავთარაძის სადისერტაციო ნაშრომში „ქართული კომედიის ისტორიიდან“,⁶⁶ სადაც დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილისა და ვასო აბაშიძის კომედიებია განხილული. ავტორის შეხედულებით, „ვოდვილის ყველაზე დამახასიათებელი ჟანრული თვისება მის სინთეტურ ბუნებაშია: დრამატულ მოქმედებას ერთვის ცეკვები და მუსიკალური კუბლეტები. ეს კუბლეტები ზოგ შემთხვევაში უმჭიდროეს კავშირშია სიუჟეტთან, ზოგჯერ კი მასთან არავითარი კავშირი არა აქვს და უმეტეს შემთხვევაში მოქცეულია ნაწარმოების ბოლოს.“⁶⁷

დრამატურგ აკაკი დევიდის შეფასებით, „ვოდვილი, მართალია, არ ეხებოდა ზოგადსაკაცობრიო საკითხებს, მაგრამ მას გააჩნდა თავისი პოზიცია, ფეხდაფეხ მისდევდა ცხოვრებას, ამხელდა მის ნაკლოვან მხარეებს და საამუკარაოზე გამოჰქონდა იგი... ქართულმა მწერლობამ თავისი სიტყვა თქვა ამ ჟანრში.“

საქართველოში ვოდვილის ფუძემდებლებად ავტორი ასახელებს გიორგი ერისთავს, რაფიელ ერისთავს, აექსენტი ცაგარელს, ვალერიან გუნიას, ვალერიან შალიკაშვილს. მისი აზრით, ვოდვილის თამაში რთულია, მის შემსრულებელს ბენვის ხიდზე გაგლა უწევს, იგი მსახიობისაგან განსაკუთრებულ ოსტატობას მოითხოვს, ამი-

63 შ. ვაშაყმაძე, რაფიელ ერისთავი, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო, თბ., 1962, გვ. 220.

64 იქვე, 220-221.

65 იქვე, 223.

66 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1974.

67 იქვე, გვ. 8.

ტომაც მას უმეტესად სცენის ცნობილი ოსტატები ასრულებდნენ.⁶⁸

ამრიგად, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვოდევილი დღემდე სპეციალურად არავის შეუსწავლია, არ არსებობს მონოგრაფიული გამოკვლევა მის შესახებ; ზოგადადაც, ინფორმაცია ამ საკითხის ირგვლივ საკმაოდ მწირია, რაც გარკვეულ დაბრკოლებას ქმნის, ერთიანი წარმოდგენა ვიქონიოთ ქართული ლიტერატურული ჟანრების თავისებურებათა შესახებ. ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია მნიშვნელოვანი ფაქტორი: მე-19 საუკუნე იმდენად გამორჩეულია ქართული ლიტერატურის ისტორიაში და იმდენი გენიოსი იშვა ამ ეპოქაში, რომ ეს სფერო მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა. იგი დიდი გენიოსების ნაწარმოებთა ჩრდილქვეშ მოექცა.

ლიტერატურა ვოდევილის შესახებ გაცილებით სოლიდურადაა წარმოდგენილი რუსეთსა და დასავლეთში. საინტერესოა, რომ მიუხედავად მისი არაპოპულარობისა თანამედროვე ეტაპზე, მონოგრაფიები მის შესახებ აქ კვლავაც იწერება. 2007 წელს, მაგ., გამოიცა ფრანკ კულენის, ფლორენს ჰაკმანისა და დონალდ მკნეილის მონოგრაფია „ვოდევილი: ძველი და ახალი: ამერიკაში საესტრადო წარმოდგენების ენციკლოპედია, ტომი I“⁶⁹; 2006 წელს დაიბეჭდა ანტონი სლაიდის „ნიუ-იორკ სიტის ვოდევილი“.⁷⁰ მასში თავმოყრილია უნიკალური ილუსტრირებული ჩანაწერები ამერიკის ცნობილი სანახაობების შესახებ 1800-იანი წლების ბოლოსა და 1930-იანი წლების დასაწყისში. უფრო ადრე, 1981 წელს, ანტონი სლაიდმა გამოსცა მონოგრაფია „ვოდევილისტები: ვოდევილის მსახიობების ლექსიკონი“.⁷¹ კიდევ უფრო ადრე – 1976 წელს გამოიცა ბილ სმიტის

68 ა. დევიძე, „ძველი ვოდევილები“ ბორჯომის სახალხო თეატრში: გაზეთი „ბორჯომი“, 1974, 15 აგვისტო, №98, გვ. 4.

69 Frank Cullen, Florence Hackman, Donald McNeilly, Vaudeville Old and New: An Encyclopedia of Variety Performances in America, Volume I, Routledge Taylor and Francis Group, 639 p.

70 Anthony Slide, New York City Vaudeville, Arcadia Publishing, 127 p.

71 Anthony Slide, The Vaudevillians: A Dictionary of Vaudeville performers, Arlington House, 1981, 172 p.

ნიგნი ამავე სახელწოდებით⁷² და სხვა მრავალი.⁷³

პროექტზე მუშაობის დროს გამოიკვეთა, რომ პირველი ვოდევილები ჟურნალ-გაზეთებსა თუ ცალკეულ გამოცემებში კომედიის სახელით ქვეყნდებოდა. როგორც ჩანს, ქართველი ავტორები ბოლომდე არ იყვნენ გარკვეულნი ვოდევილის თავისებურებებში და მათ ჩვეულებრივ კომედიად მიიჩნევდნენ.⁷⁴

გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვისა და ამ პერიოდის სხვა ავტორთა კომედიებს შორის აშკარად გამოირჩევა ვოდევილების ფენა.

მუშაობის პროცესში საჭიროდ ვცანიტ, კომედიის სახელით გამოქვეყნებული ყველა პიესა შეგვესწავლა და მათგან ვოდევილები გამოგვეყო. ამგვარი კვლევის შედეგია სწორედ წინამდებარე გამოცემა. მეორე ამოცანა, რომლის გადაჭრის აუცილებლობის წინაშეც დავდექით საკითხის შესწავლისას, იყო ვოდევილისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოკვეთა და, ფართო მნიშვნელობით, კომედიისგან გამიჯვნა როგორც სტრუქტურის, ისე შინაარსის თვალსაზრისით.

ვოდევილი, ფაქტობრივად, კომედიის სახეა, მისი ერთ-ერთი მიმართულებაა. ამიტომ მათ ბევრი რამ აქვთ საერთო: ყველა კომედიისთვის და, მათ შორის, ვოდევილისთვისაც საერთოა კომიზმის აგენტები – მაყურებელი და პერსონაჟი თავისი მოქმედებებით, ხასიათით.

კომედიის და, მათ შორის, ვოდევილის დასასრული ყოველთვის კეთილია.

ვოდევილი, კომედიასთან შედარებით, მართალია, უფრო ხშირად მცირე ფორმისაა და, ამდენად, ნაკლებაქტიანია, მაგრამ მოქმედებათა რაოდენობა ვერ იქნება მკაცრი საკლასიფიკაციო ნიშანი, რამდენადაც კომედიაც შეიძლება ერთაქტიანი იყოს და ვოდევილი კი – სამ და მეტაქტიანი. ეს დამოკიდებულია ავტორზე – როგორ აწესრიგებს ის პიესის არქიტექტონიკას.

72 Bill Smith, *The vaudevillians*, Macmillan San, 1, 1976, 278 p.

73 იხ. აგრეთვე: Joe, Jr. Laurie, *Vaudeville: From the Honky Tonks to the Palace*, 1953; Bernard Sobel, *A pictorial history of vaudeville*, 1961; Douglas Gilbert, *American Vaudeville: Its Life and Times*, 1963; Ben Vereen (Actor), Bud Abbott (Actor), *Vaudeville*, 1997; Trav S.D., *No Applause--Just Throw Money: The Book That Made Vaudeville Famous*, 2006; Robert M. Lewis, *From Traveling Show to Vaudeville: Theatrical Spectacle in America, 1830-1910*, 2007; Keith Stickley (Narrator) (Actor), Jumbo the Elephant (Actor), Keith Stickley (Director), *Vaudeville! A DVD Documentary - Volume 1*, 2010; Brett Page, *Writing for Vaudeville*, 2011; Various Artists, *Legendary Voices Of Vaudeville*, 2011; Will M. (Will Martin) Cressy, *Continuous Vaudeville*, 2011; David Freeland, *Automats, Taxi Dances, and Vaudeville: Excavating Manhattan's Lost Places of Leisure*, 2009; Links-V, *Vaudeville Blues 1919-1941*, 2012; Andrew L. Erdman, *Queen of Vaudeville: The Story of Eva Tanguay*, 2012; და სხვა მრავალი.

74 ყურადღება მივაქციეთ ერთ საინტერესო ფაქტს: როდესაც პიესის დასახელების ქვეშ ავტორს უწერია „ნამდვილი კომედია“, ის აუცილებლად ვოდევილია.

ვლინდება, რომ ავტორმა აქტები ნაწარმოებში შეიძლება დაეყოს როგორც სურათებად, ისე მოქმედებებად და მათ შორის არანაირი განსხვავება არ იყოს, ისინი იყოს მხოლოდ გარეგნული მახასიათებლები, რომელთაც განსხვავებული მნიშვნელობები არ შეესაბამებათ და, ამდენად, კომედიისთვისაც და ვოდევილისთვისაც საერთო აღმოჩნდეს მოქმედებათა რაოდენობის განურჩევლობა.

კომედიასა და ვოდევილს ერთმანეთისაგან არ განასხვავებს სასიმღერო კუპლეტების არსებობა. ისინი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მათში და შეიძლება არა, თუმცა ვოდევილში უფრო ჭარბობს სასიმღერო ჩანართები.

იკვეთება, რომ კომედიის ერთი სახეობისთვის დამახასიათებელი ნიშნები სხვა სახეობებშიც შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, თუ რომელი მახასიათებლებია არსებითი და განმსაზღვრელი ამა თუ იმ პიესისთვის. ვოდევილების წყება ჩვენ სწორედ ამ პრინციპით გამოვყავით.

ჩვენი დაკვირვებით:

1. ვოდევილში გადმოცემული ამბავი, ჩვეულებრივ, დროის მცირე მონაკვეთში (ერთი დღე-ღამის განმავლობაში) ვითარდება და მთავრდება. კომედიაში გადმოცემული ამბავი შედარებით ვრცელია, დროის მეტ მასშტაბს მოიცავს;
2. ვოდევილის სიუჟეტი მარტივი და მსუბუქია, მასში გადმოცემული ამბები ხშირად არასერიოზული და საღალბოა;
3. ვოდევილში დასაცინი პერსონაჟი უფრო მეტად გულუბრყვილო, სულელი, მჩატე გონებისაა. მისი გონების სიმჩატე დასაწყისშივე განაწყობს მაყურებელს, რომ მის მიერ პიესაში სასაცილო გაუგებრობები აიგება, რაც მასში სიხალისესა და სასიამოვნო განწყობილებას წარმოშობს;
4. ვოდევილისთვის აუცილებელია, რომ მსუბუქი გონების ადამიანების გვერდით პიესაში წარმოდგენილნი იყვნენ ჭკვიანებიც (ან შედარებით ჭკვიანები), რომლებიც დასაცინ ადამიანთა გონებრივ სიმჩატეს ხშირად თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ, მათ თავიანთსავე სისულელეში ხვევენ და სწორედ ამით აღწევენ მიზანს;
5. ვოდევილში წარმოქმნილი კოლიზია მოჩვენებითია, ზერელე. აქ წინააღმდეგობები მხოლოდ მარტივი კომიზმის განვითარებას ემსახურება;
6. პერსონაჟთა შორის კონფლიქტების განვითარება ხშირ შემთხვევაში ხელოვნურია; ზოგჯერ არაბუნებრივია მათი ემოციებიც (მაგ., გულის შენუხება, ნაქცევა და სხვ.);
7. ვოდევილში გვაქვს სიტუაციური (მდგომარეობითი), წინასწარ შეუპირობებელი კომიზმი;

8. ვოდევილისთვის აუცილებელია მსუბუქი ინტრიგა;
9. ვოდევილის მიზანი არ არის აღმზრდელიობით-მორალისტური, განსხვავებით კომედიისაგან; მისი მიზანი მხოლოდ მაყურებლის შექცევა და მისი ყოველდღიური პრობლემებისაგან განტვირთვაა;
10. ამის გათვალისწინებით, ვოდევილის ყურებისას მაყურებელი მხოლოდ გართობას უნდა მიეცეს, ის არ უნდა დაფიქრდეს მწვავე სოციალურ საკითხებზე. შეიძლება პიესაში ასეთი საკითხებიც დაისვას, მაგრამ ისინი მაყურებლის გონების პრიზმაში არ უნდა მოექცეს, მათში მან მხოლოდ გასართობი უნდა დაინახოს; ამიტომაც იყო, რომ ვოდევილები ხშირად სხვა რომელიმე უფრო სერიოზული პიესის წარმოდგენის შემდეგ იმართებოდა;
11. შესაბამისად, კომედიაში სიცილს სოციალური ღირებულება აქვს, განსხვავებით ვოდევილისგან. აქ სიცილი გასართობია, გამამხიარულებელი და თავშესაქცევი. კომედიაში სიცილმა მაყურებელი უნდა დააფიქროს, ვოდევილში კი უნდა გაართოს;
12. ვოდევილში ხშირია პუბლიკისკენ პერსონაჟის მიმართვები, აქ მაყურებელსა და მსახიობს შორის კონტაქტი გაცილებით მჭიდროა;
13. ვოდევილში პერსონაჟთა ქმედებები აგებულია სიცილის ეფექტზე;
14. კომედიაში არ გვაქვს სასიამოვნო დაძაბულობა შემდგომი სცენების მოლოდინში. ვოდევილში მაყურებელი მუდმივად დაძაბულია და ელის ახალ-ახალ თავშესაქცევ მოქმედებებს;
15. კომიზმის ერთ-ერთი მთავარი აგენტი – პერსონაჟი – კომედიაში დაცივნის ობიექტია, ვოდევილში კი ეს აგენტი სიცილის გამომწვევია, ანუ გართობის წყაროა;
16. შესაბამისად, კომიზმის მეორე მთავარი აგენტის – მაყურებლის – სახით კომედიაში არსებობს დამცინავი, ვოდევილში კი – მოცინარი.

შევეცადეთ, შესაძლებლობის ფარგლებში, წარმოგვედგინა ქართული ვოდევილისთვის დამახასიათებელი ნიშნები. წინამდებარე ტომში შეტანილი ნაწარმოებები სწორედ ამ ნიშნით შევარჩიეთ.

იმის გათვალისწინებით, რომ უამრავი პიესა დაიკარგა და განადგურდა, დღემდე შემორჩენილი პიესების ავტორთა შორის გიორგი ერისთავი ქრონოლოგიურად (ცხოვრების წლების მიხედვით) პირველია, ვისი ხელიდანაც ვოდევილები გამოვიდა. ასევე ჩვენამდე მოღწეული პიესების კორპუსში, პიესების დაწერის დროის გათვალისწინებით, უწინარესია დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ვოდევილი „კატა-ანონა“-ს პირველი რედაქცია, რომელიც, სავარაუდოდ, 1845 წელს უნდა იყოს დაწერილი. სრული ვერსიის შექმნის თარიღი კი 1875 წელია.

პიესების განლაგებისას ვეყრდნობით ქრონოლოგიის პრინციპს, პირველ რიგში, ავტორთა დაბადების დროის მიხედვით, ხოლო ავტორთან – პიესის დაწერის სავარაუდო დროის მიხედვით და გამოცემას, შესაბამისად, ვინყებთ გიორგი ერისთავის გადმოკეთებული ვოდვეილით – „თილისმის ხანი“.

ტომი მომზადდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კათედრაზე სამეცნიერო-კვლევითი პროექტის – **„ვოდვეილი ქართულ მწერლობაში (აკადემიური გამოცემა, I-II ტომები)“** – ფარგლებში.

პროექტის იდეა ეკუთვნის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **გიორგი ჯავახიშვილს**, უაღრესად განათლებულ მკვლევარს, რომელმაც ზედმინევნითი სიზუსტით იცოდა, თუ რომელია ქართული ფილოლოგიური მეცნიერების შეუსწავლელი, დღემდე მეცნიერთა ყურადღების მიღმა დარჩენილი უბნები. ქართული ვოდვეილიც ერთ-ერთ ასეთ უბანს განეკუთვნება.

პროექტის ავტორი და მეცნიერ-ხელმძღვანელია ამ სტრიქონების ავტორი, ხოლო მეცნიერ-კონსულტანტი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის სექციის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარიამ ნინიძე.

I ტომში წარმოდგენილი ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო **ქეთევან გიგაშვილმა**.

ენობრივი მიმოხილვა ეკუთვნით **ქეთევან გიგაშვილსა და მზია გიგაშვილს**.

ვოდვეილი „სიყვარულის სასმელი“ ავტოგრაფიდან გადმონერა საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდების დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა, ფილოლოგიის დოქტორმა **ეთერ ქავთარაძემ**. დანარჩენი პიესები კი შეადარა და ხელნაწერებიდან გადმონერა **ქეთევან გიგაშვილმა**.

სომხურენოვანი ლექსიკა განმარტა არმენოლოგმა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელმა **ირმა ხოსიტაშვილმა**.

თურქული წარმოშობის სიტყვების ახსნაში დაგვეხმარა ყარაჯლის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი **აზიზ აბაზოვი**, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ოპერატორის საქმიანობა შეასრულეს **მანანა გვენცაძემ და ვახტანგ ზურაშვილმა**.

პროექტში ჩართულნი იყვნენ აგრეთვე: თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცი-

რებული პროფესორი **ნანა რჩელიშვილი**, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი **ქეთევან ხითარიშვილი** და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი **ანი მახატლიშვილი**, რომელთა მიერ შესრულებული სამუშაო I-II ტომებში ვერ აისახა.

პროექტის დაფინანსებისათვის მადლიერებას გამოვხატავთ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, ქალბატონ **თინათინ ჯავახიშვილის**, აგრეთვე უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიმართ.

მუშაობის პროცესში განეული დახმარებისათვის მადლობას მოვასხენებთ:

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგეს, ქალბატონ **ნანა ყარაულაშვილს**;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორს, ბატონ **ირაკლი ლარიბაშვილს**;

ამავე ბიბლიოთეკის მკითხველთა მომსახურების სამსახურის უფროსს, ქალბატონ **მანანა დეკანოსიძეს**;

ბიბლიოთეკაშორისი აბონემენტის განყოფილების თანამშრომელს, ქალბატონ **ნანა მეტრეველს**;

ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგეს, ქალბატონ **ნანა ბალათურას**;

ინფორმატიკის განყოფილების გამგეს, ქალბატონ **თამარ ხახუტაშვილს**;

ამავე განყოფილების თანამშრომლებს, ქალბატონ **მარიტა სულაბერიძეს** და ბატონ **ლუკა ქიტუაშვილს**;

ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ განყოფილების უფროსს, ქალბატონ **რუსუდან ასათიანს**;

ამავე განყოფილების წამყან სპეციალისტს, ქალბატონ **ქეთევან თომაძეს**;

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საარქივო ფონდის განყოფილების უფროსს, ქალბატონ **მაია მიქაბერიძეს**;

ამავე ბიბლიოთეკის კატალოგისტს, ქალბატონ **მარინა სონლულაშვილს**;


საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკისა და რარიტეტულ გამოცემათა ფონდის მცველს, ქალბატონ **ნინო ნასიძეს**.

ვფიქრობთ, წინამდებარე გამოცემა საინტერესო იქნე-

ბა როგორც ფილოლოგიური, ისე თეატრალური სფეროს წარმომადგენლებისათვის.

თითოეულ საქმიან შენიშვნას სიამოვნებით მივიღებთ და გავითვალისწინებთ შემდგომი მუშაობისას.

გიორგი ერისთავი



1813-1864

თილისმის ხანი

კომედიას სამი მოქმედებითა.

მოქმედი პირნი.

აბდულ-რახმანი-ხანი.¹

მახმადალა მისი ვეზირი.

ასანა ხარაზი (მოჯადოებული ხანი).

ქატიმ² დედა მისი.

ლეილა საყვარელი ასანასი.

ექიმბაში ხანისა.

მირზა ხანისა.

გოგო ლეილასი.

მსახური ხანისა.

ცოლები ხანისა.

(თილისმის ხანი.)

კომედია სამ მოქმედებაში.

პირველი მოქმედება წარმოსდგების ასანას სახლში, დუქანი ხარაზისა, დგას ტახტი, მარჯვნივ მხარეს არის კარი, იქავ ფანჯარა, მარცხნივ მხარესაც კარი, რომელიც შეიყვანს მეორე ოთახში. –

გამოსვლა 1.

ასანა და ქატიმ.

ასანა. (იცვამს წაღებს.) ვინ უნდა გაუძლოს ამ ბნელს ღამეს, ჯერ მამლებსაც არ უყვილიათ, მოიტა დედავ ეგ სამთელი, მე მგონია დღეს ველარ ვნახამ ჩემს ლეილასა.

–

ქატიმ. იქნება ხვალაც ვერა ნახო, გუშინ ხანი მობძანდა, ახალი ცოლი მოუყვანია და ამისთვის ხანის ცოლებს დიდი ყოფა აქვთ და ხომ იცი ლეილას ბევრი საქმე აქუს. –

ასანა. ვენაცვალე თვალებში, სასახლეში გაზდილი ქალია! ხანი ბრმა არის, თორემ რატომ იმას არ ირთავს. –

ქატიმ. მართლა კარგათ არის გაზდილი, მაგრამ შენ რა! სასახლეში მოსამსახურის ხანის მეჯორე, ღარიბ ხარაზს რათ დაემოყვრება.

ასანა. განა მე რითა ვარ ცუდი, ჯორებს არა ცხენებსაც მოუვლი, აბა ადგილი მამცენ და თითონ ხანობასაც კარგათ აღვასრულებ... –

ქატიმ. კარგი ნუ ბოღამ, ძალიან მალლა ხტები, ხარაზობიდან ხანად გახდე. –

ასანა. შემთხვევაა, ბეღია, დედაშვილობამ სუყველა, მე ლეილასგან იმედი მაქუს, რომ ლეილა ახუნდ მაჰმად რასულის შვილს არ შეირთავს.

ქატიმ. მართლა, გუშინ ის ქოფაკი მოვიდა დავაჭერინებო.

ასანა. ოჰ შე ურიავ თქო, ათი თუმანი განგებ მამცა იმ სირცხვილის ქმნილებამ. –

ქატიმ. რათ გამაართვი და თუ გამოართვი რათ დახარჯე.

ასანა. ვაჰ დედავ, მაგას რას მეუბნები, ის ფული ქებინათ მიხდოდა, იმდროს შენ ავით გახდი, ბევრი საჭიროება იყო შეშა, წამალი აბა რა მექნა. –

ქატიმ. მამ რა გეშველება, არ დავაჭერინოს, დაჭერილი რომ განახო ხომ მოგკვდები.

ასანა. მოდი დედავ, ხანთან ვიჩივლებ, იქნება მოწყალეობა მოილოს. ვეტყვი ლეილა მიყვარს მეთქი, თითონაც

ირთავს ეხლა ცოლს, ვინ იცის რა ქეიფზე შევხვდე, ერთი ბედს გამოვცდი, ანბობენ კარგი ყმანვილი კაცი არის ჩვენი ხანიო. –

ქატიმ. მართლა ძალიან კარგი იქნება, მიდი ფეხებ ქვეშ ჩაუვარდი, უთხარი შენი ღარიბი მდგომარეობა, იმისთვის ათი თუმანი არაფერი არა არისრა. –

ასანა. (ცოტა ფიქრს უკან.) არა დედავ! მცხვენთან, მოწყალე-ბას ვერა ვსთხოვ, მე ახალგაზდა ყმანვილი ვარ, შემოძლიან ვიმუშაო, არა მე მცხვენთან, სირცხვილია ეგ არა, დაეხსენ იმ ბებერმა ურიამ მიჩვილოს, მაშინ ხომ უნდა დამიბარონ, აგება მაშინ მოვახსენო ხანს ჩემი მდგომარეობა, როგორ იმას უყვარვარ, ფუ კინა-ლამ დამავინყდა, წაღები უნდა წამელო აჯი უსუფთან, იქიდგან ყავახანაში შევალ, ყავას დავლევ, მომინთე დედავ ჩავიცვა. –

ქატიმ. აი ჩემო კუჭო, წადი გენაცვალოს დედა, ხანდახან იქეიფე. (გავლენ გვერდზედ)

გამოსვლა 2.

აბდულ რახმან ხანი და ვეზირი მაჰმადალი (შემოვლენ.)

ხანი. ეს სახლი ხარაზისა უნდა იყოს, როგორაც სჩანს, ამისი პატრონი მდიდარი უნდა იყოს. –

ვეზირი. კარი არის დაუკეტელი, ოთახში არავინ არის, როგორი დაუდევნელობაა. –

ხანი. მოსაპარავიც არა არისრა.

ვეზირი. რას ბძანებთ, მაშინ რომ ჩვენ აქ მოგვასწრონ. –

ხანი. წაღები შევაკერვინოთ. –

ვეზირი. მაგრამ გავბედავ თქვენო მალალ ხარისხოვნებავ....

ხანი. კმარა, მე ვხვდავ რომ თქვენ არ მოგწონთ, რომ როგორც გარუნ-ალარაშიდობ, დავდივარ ჩემს სახანოში და-ფარულის სახით. –

ვეზირი. მე მეშინიან, რომ უკადრის შემთხვევას არას შევხვდეთ

გლებთაგან. –

ხანი. არაფერია, ყველასთან ალერსიანათ იყავით, ისინიც ალერსიანათ მოგექცევიან, ამასთანვე ესეც ხომ იცით, რომ რა მოუთმენელად მოველი მოსვლას ჩემს საცოლესა. ამაღამ მე ძილი არ მომივა, მანამ რით გავატაროთ დრო, არაფერი შექცევა არა არისრა. –

გამოსვლა 3.

იგინივე და ასანა.

ასანა. ესენი ვინ უნდა იყვნენ. –

ხანი. სალამალექ! შენ ხარაზი ხარ. –

ასანა. გახლავარ თქუენ³ სამსახურში!

ხანი. მითხარ, დღეს რა ანბავია ამ თქვენ ქალაქში.

ასანა. ჩვენი ხანის შვილი მობძანდა თეირანიდგან ხანათ დაჯდა, და ცოლს ირთავს თქუჴნც იქნება იმის ამაღათაგანი იყოთ. –

ხანი. დიახ ჩუჴნ იმისი მოსამსახურენი ვართ. –

ასანა. (მძიმეთ თავს დაუკრავს.) გთხოვთ მიბძანოთ, რა ბედნიერის ვარსკვლავით არის გაბედნიერებული ჩემი ღარიბი სახლი. –

ხანი. აი ამ ჩემს ამხანაგს უნდა წაღები შეგაკერვინოს. –

ასანა. გავბედავ მოგახსენოთ, ასეთს წაღებს შეგიკერავთ, რომ თეირანის ხარაზები დაგავინწყოთ, ნება მიბოძეთ თქუჴნი ბედნიერი ფეხი დავინახო. –

ვეზირი. მე წაღებს გამოგიგზავნი, იმ გვარი შემიკერე ასეთი არ მინდა. –

ასანა. როგორც თქუჴნს მაღალს სულს ეპრიანებათ. – ერთი სათხოვარი მაქუს, გავბედავ გთხოვოთ რომ თქუჴნი კალთა დააფაროთ ამ საწყალ ჩემს თავსა. –

ხანი. რა გინდა გვითხარ?

ასანა. ერთი საჩივარი მაქუს ხანთან.

ხანი. ხანთან ჰაა!

ასანა. დიახ, მე თქუჴნი მოგახსენებთ დანვრილებით, მხოლოდ ვითხოვ თქუჴნის მონყალეს ტვინისაგან, რომ თქუჴნი ხელები იყოს ჩემის სანყალის თავის ქუდებათ ამ საქმეში! მე ხანის მეჯორის ქალი მიყვარს, მამა არ მაძლევს, ქალსაც უყვარვარ, ხანს მინდა ვსთხოვო აგება იმისი მონყალეა მებოძოს, ის ქალი პირველი ხანის ცოლის მოახლე არის.

ხანი. როგორც მე ვიცი, ხანი არ გაერევა ცოლქმრობის საქმეში. –

ასანა. ხანდისან მოხდება ხოლმე. –

ვეზირი. მეც აგრე მგონია (ღიმილით.)

ხანი. იქნება იმ ქალის მამა შენ ყოფა ქცევაზედ კმაყოფილი არიყოს. –

ასანა. არ ვიცი რა უნდა მეტი მე კარგი ყმანვილი ვარ და ჭემმარიტი მუსულმანი. –

ხანი. შენი საყვარელი ლამაზია? –

ასანა. რა კითხვა უნდა კმაყოფილი გახდებით, ფუ ნალების ანგარიშზედ ნაველ, ასეთი ლამაზია, როგორც მზე, ასეთი ტანადია, როგორც ალვისხე, ასეთი ლოყები აქუს, როგორც ბრონეული. –

ხანი. გეყოფა ქება, რატომ არ გაძლევს იმისი მამა? –

ასანა. იმიტომ რომ ხარაზი ვარ! ეჴ ღმერთო ჩემო, ჩემი ბრალი ხომ არ არის, რომ ხარაზად დავიბადე. რასაკვირელია დაბადებამდის რომ ეკითხა ვისმე ჩემთჴს⁴ ასან! რა ნოდებით გინდა რომ ქვეყანაში იყო? უეჭველად მე არ ვიტყოდი (ჩვილის ხმით.) ხალაზათ! –

ხანი. მამ კარგი შენ რომ აგარჩევიონ ნოდება, უფრო რას მოინდომებ. –

ასანა. რასა? ეგ მე ვიცი რასა! რასაკურელია, სიმდიდრეს, დიდ კაცობას, დარბაისლობასა, – ვითომ ხანობას კი დავინუნებდი თუ! –

ვეზირი. რასაკვირელია! –

ასანა. და თუ აგრე ბედით ნავა, ჩვენი ქალაქის ხანობასაც კარგა გამოვირჩევიდი აბდულ რახმანის მაგიერად! –

ვეზირი. ოხო შენ მაღლა იწევ? –

ასანა. შენი ჭირიმე, ნათქვამია კაცმა თუ ინატროს, უნდა ინატროს. –

ხანი. შენ გგონია რომ ხანობაში ბედნიერი იქნებოდი! –

ასანა. მოგეცა ღვთის წყალობა, კარგათ ჩემს საქმეს გავასწორებდი.

ხანი. მაშ შენ ხანს ვერ იცნობ!

ასანა. ბავშვობაში⁵ მინახამს, თეირანში გაიზარდა რაღას ვიცნობ, ძალიან აქებენ ხანსა, კარგი გულისა არისო ღმერთი უყვარსო. –

ვეზირი. მე რომ გხედავ, შენ ხანობა ამისთვის გინდა რომ კარგა ჭამო!

ასანა. ცოდვილი ვარ! ძალიან მიყვარს კუჭის ნებიერება, – თუ მე ხანი ვყოფილვოდა იმასაც ვიფიქრებდი სხვათაც ჰქონოდათ რამე საქმელათ. –

ხანი. შენ კეთილ გამზრახი კაცი ყოფილხარ, ვწუხვარ რომ ხანი არა ხარ. –

ასანა. მეც ძალიან ვწუხვარ, სიზმარშიაც ბევრჯელ ვნახამ ხოლმე სულ დიდი კაცი ვარ სიზმრებში. –

ხანი. სიზმარი ხანდახან ახდება ხოლმე, რაიცი იქნება როდისმე შენც გახდე ხანი.

ასანა. უწინ კი მომხდარა ბევრჯელ წიგნებში წამიკითხავს. –

ხანი. წიგნიც იცი! –

ასანა. კარგათ, მე წამიკითხავს ერთი წიგნი ათასის წლის წინათ, მაშინ როცა თილისმეები ჰცოდნიათ სპარსეთში რომ ერთი ღარიბი მაგრამ კეთილი კაცი ხარაზი ხალიფათ გარდაქცეულ იყო და ხალიფა ხარაზათ, ეი თუ კაი დროება ყოფილა ღარიბი კაცისათვის, ახ ეხლა სადარის ის დრო! –

ხანი. ვინიცის თუ ერთხელ მოხდა, მეორეთაც მოხდება. –

ასანა. როგორ გგონიათ, რა ოინი იქნება რომ დილით ერთბაშათ გავიღვიძო აბდულ რახმან! ხანი გავხდე ხა! ხა! ხა! (იცინიან.)

ხანი. და აბდულ რახმან ხანი ხარაზათ! ხა! ხა! ხა!

ასანა. იცით რა მოგახსენოთ, ეგრე რომ გახდეს და ორიოდ თვე

ხარაზათ იყოს, არ აწყენდა, ყმანვილია ეცოდინებო-
და, როგორ ძნელია სილარიბე, მაგრამ ხუმრობა იქით
იყოს, ნება მომეცით ბატონებო გამოგეთხოვოთ, ან
არ გენყინოთ საწყალი ყმანვილ კაცი ვარ, ობოლი სა-
სახლეში არ მიიტანოთ ჩემი როტვა. –

ხანი. ნუ გეშინიან. სად მიხვალ!

ასანა. დღე ვმუშაობ, ღამე ყავის ლოთი ვარ, ყავახანაში წავალ
იქ ყავას დავლევ და ვილაქლაქებ. –

ხანი. აი ესეც იქ მოდის, ერთათ წადით ეს გითავაზებს.

ასანა. თუ კი მიკადრებს თავის მონას, დიდი ბედნიერება იქნე-
ბა ჩემთვისა. (ასანა გავა.)

ხანი. (ელაპარაკება ვეზირს).

ვეზირი. როგორც თქუწნს მაღალს ხარისხოვნებას ნებავს. –

ხანი. უთუოთ აღასრულეთ. –

ასანა. (გამოვა.) აბა წამობრძანდით ბატონებო. –

ხანი. შენ ამას გაჰყე (ჩუმათ ასანას.) ამას შეუძლიან ხანთან
გალაპარაკოს. –

ასანა. თქუწნო მაღალღირსებავ გევედრებით თქუწნ კალთაში.
–

ვეზირი. კარგია ნავიდეთ. – (გავლენ.)

გამოსვლა 4.

ქატიმ (მარტო) ნეტავი ვიცოდე, ეს ყმანვილები ვინ იყვნენ,
მგონია უბრალო მსახურები არ იყვნენ, უმეტესად
ერთი იმათგანი, მე კარებიდგან დავინახე იმას დიდ
კაცური სახე ჰქონდა. –

გამოსვლა 5.

ქატიმ და ლეილა.

ლეილა. სალამალექ დედავ!

ქატიმ. ლეილაჯან! მე არ მეგელოდი რომ გნახამდი. –

ლეილა. მეც არ მეგონა, ამდენი საქმე არის რომ წარმოდგენაც

არ შემიძლიან. – სად არის ასანა?

ქატიმ. ის შინ არარის.

ლეილა. ხედავ იმასა, ის შინ არ დამიხვდა, დამაცალე გადაუხდი.

ქატიმ. აქ ვილაც ყმანვილები იყვნენ, სასახლეში მოსამსახურეები, ერთმა იმათგანმა წაიყვანა.

ლეილა. მოსამსახურეები? – ვინ იქნებოდნენ, ეხლა ისინი სასახლეში იყვნენ, რისთვის⁶ იყვნენ აქა?

ქატიმ. ერთი წალებს აკერვინებს. –

ლეილა. განა თეირანიდგან ისინი უწალოთ მოვიდნენ. –

ქატიმ. გენაცვა განა უცვეთელა წალა არის ქუწყანაზედ.

ლეილა. არ ვიცი რაუყო იმ ბებერ ქოფაკს მაჰმად რასულს. – გადამკიდებია ერთი საძაგელი შვილი ჰყავს, მამაჩემს უნდა იმას შემერთოს.

ქატიმ. რა არის შეერთე მდიდარია.

ლეილა. ასეთი მწვანე პირი აქუს,⁷ როგორც შემოუსვლელი კომში, თუალებე გამოვავხაჭნიდი ასე, რომ შემეძლოს. –

ქატიმ. ეგ არის ჩუწნ უფრო ძალიან არ გვანუხებს, ჩემ ასანას დაჭერას უპირებს, ახ როდის იქნება იმ დალოცვილმა ღმერთმა ათი თუმანი გვაჩუქოს. –

ლეილა. აი ფული. (აძლევს ფულს.)

ქატიმ. რა არის ეგ ლეილაჯან. – ვინ მოგცა შენ ეგ ფული?

ლეილა. ნუ გეშინიან ღმერთმან იცის, არ მომიპარამს.– მიირთვი ესა! –

ქატიმ. მაინც არ შემიძლიან გამოგართო, ასანას ეწყინება. –

ლეილა. იმას ნუ შეატყობინებთ, შენ მოგართვი. –

ქატიმ. შენ სად იშოვნე? მითხარ.

ლეილა. მე ვიცოდი, რომ ის ბოროტი კაცი განვალებდათ; მე მომაგონდა, რომ დედიჩემისა დამრჩა სამი ძაფი მარგალიტი, ეს მხოლოდ სამჯერ მეკრა ყელზედ, ის მარგალიტი ავიღე და დავაგირავე და ეს ფული მომცეს, თუ გინდა ყუთში ყრილა მიირთვი დედაჯან! არა უთუოთ უნდა მიიღო, აბა მე რათ მინდა ფულები.

ქატიმ. ცოდვა ხარ შვილო, რომ უარი გითხრა, ღმერთი დაგაჯილდოებს მაგ კეთილ გულისათვის,⁸ ოჰ! ახლა ჩემი

ჭირი და ზრუნვა გათავდა, ახლა დეე მოვიდეს ის წყ-
ეული ბებერი, მე იმას პირში ჩავაყრი თავის ფულებს
და ტალახს. –

ლეილა. მართლა, ბარათი გამოართვით ასანასი. – ბევრი მინ-
დოდა მელაპარაკნა თქუწნთან მაგრამ დროება არა
მაქუს, მშვიდობით, დრო არ არის.–

ქატიმ. პატარა მოიცადე, ეხლა მოხველ, აგრე მალე მირბი. –

ლეილა. ბევრი საქმეები მაქუს, ხვალ ქორწილი იქნება ხანისა
ახალ საცოლესთან, იმისი გამდლები, გამდლების გო-
გოები, და გოგოების კატები.

ქატიმ. რაო! მოიცა გეთაყვა, რა კატები!

ლეილა. მაშ, სასახლის კატები, აი როგორმე აგიხსნით, ხანის
ცოლებსა ჰყავთ გამდლები, გამდლებს მოახლეები,
მოახლეებს თავიანთ[ი] გოგოები, ისინი ასე ანჩხლი და
ამპარტავენები არიან, რომ ხანის ცოლებზედ უმეტე-
სად, მეც თითონ აქამდის კატა ვიყავ სასახლეში. –

ქატიმ. მაშ შენ ფისო ფისოს გეძახდნენ. (სიცილით)

ლეილა. ეხლა არა მცალიან, მერე გიანბოთ წვრილათ. –

გამოსვლა ნ.

იგინივე და გოგო.

გოგო. ქალბატონო, დიდი ქალბატონი გიბძანებთ? –

ლეილა. (ჩუმათ) აი დედავ, ეს ჩემი კატა არის. – ქალბატონი,
რა ანბავია? მშვიდობით დედავ. –

მოქმედება 2.

ხანის ზალა, მდიდარი სახლის მორთულობა, მოფენი-
ლი ასანა, ძვირფასის ხალათით სძინამს, ორი მოსამსახურე
ყალიონ ყორჩები გვერთ უდგანან, ვეზირი ერთის მხრიდგან

უყურებს მძინარეს, მარჯვნივ დიდი სარკე. –

გამოსვლა 1.

ვეზირი, ასანა მძინარე, ორი ბიჭი, ორი ყალიონ ყორჩი. –

ბიჭი. ახლა ყველაფერი მზათ არის, მ[ისი] მაღალხარისხოვნება შემობძანდეს. –

ვეზირი. (ერთ ბიჭსა.) მოახსენე ჩქარა, ხელები ხომ კარგა დაჰბანეთ?

ბიჭი. რაც შეიძლებოდა ვეცადენით, მაგრამ კიდევ შავი აქვს, ვერ გავხეხეთ, გაელვიძებოდა ვარდის წყალი კი არ დავიშურეთ. –

გამოსვლა 2.

იგინივე, ხანი, ექიმბაში, მირზა და ფარეში

ხანი. ხო ყველაფერი მზათ არის?

ვეზირი. მზათ არის ყოველიფერი, როგორც ენებებოდა თქუენ⁹ მაღალ ხარისხოვნებას.

ხანი. საუცხოვოა, ახლა გესმით, ვახშამთ უკან თამბაქოში გაურიეთ თრიაქი, დააძინეთ შეიყვანეთ ამ ოთახში, გახადეთ თქუენც ტანისამოსი გამოუცვალეთ და წაიყვანეთ თავის სახლში, დედას უთხარით, ყავახანაში ბევრი თრიაქი უჭამია და დასძინებიათქო (ვეზირს) ოო შენ ნახავ, რარიგათ გაგიჟდება. –

ვეზირი. უცხო მოგონებაა.

ხანი. ახლა უნდა დავიწყოთ გესმით (აჩვენებს ასანაზედ.) ამაღამ თქუენი ხანი ესარის, მე ვარ მისი ნაზირი მირზასადი, თქუენ ყველანი თავთავიანთ ხელობით იყავით; მაგრამ გთხოვთ არ გაიცინოთ, მაგითი საქმე წახდება (ბიჭებს) თქუენ ასე დადექით, აბა ქასიმ გაალვიძე.

ბიჭი ქასიმ. (აღვიძებს.) თქუენო მაღალ ხარისხოვნებავ, თქვენო მაღალ ხარისხოვნებავ?

ხანი. (ივინის.) იქნება მეც აგრე მაღვიძებ ხოლმე?

ქასიმ. რა ბძანებაა თქუენო მაღალ ხარისხოვნებავ როგორ შეიძლება. –

ასანა. (იზმორება.) რა ანბავია დედაჯან, განა დრო არის?

ქასიმ. (ხელს დაუჭერს.) თქუენო მაღალ ხარისხოვნებავ, აკი ბძანეთ გაღვიძება?

ასანა. რას ამბობ დედი, რა ხარისხოვნება? განა ხანი არის დუქანში? –

ქასიმ. (შეუჯდება მხარში.) აი ინებებთ გაღვიძებას თქუცნო მაღალ ხარისხოვნებავ! –

ასანა. (ადგება.) კიდევ ხარისხოვნება, ვინა ხართ თქუცნ, ვის ელაპარაკებით?

ქასიმ. თქუცნს მაღალ ხარისხოვნებას, ჩემ ჳელმნიფეს ხანს აბდულ რახმანს. –

ასანა. (წამოხტება, დაჯდება ტახტზედ, იყურება აქეთ იქით.) ეე, მაჰხმად რესულ ალლახ? სადა ვარ, ეს რას ნიშნავს? –

ქასიმ. ვგონებ ცუდი სიზმარი გზმანებია თქუცნ მაღალ ხარისხოვნებას.

ასანა. სიზმარი? (ჩუმათ) თუ ეგ აგრე არის, მაშ ეს სასიამოვნო სიზმარია (იშინჯავს ყურებს აგრეთვე კალთებს, ჳელებზედ ისუნავს ცხვირზედ მოივლებს ჳელსა) მეტკინა, როგორი სიზმარია, რაში მეტყობა ძილი, მიბძანეთ ბატონებო, ალლახის გულისათჳს¹⁰ მე აქ როგორ ჩავარდი, ვისთან მაქუს ბედნიერება? –

ხანი. ბატონო ხანო რა შეგემთხვათ,¹¹ ვერ იცნობთ თქუცნთ მოსამსახურეთ? აი ჩუცნ გახლავართ ორნივ ნაზირ ვეზირნი, მე თქუცნი მონა და ნაზირი მირზა სადი.

ვეზირი. მე თქუცნი მაღალ ხარისხოვნების ვეზირი მამადალი. –

ექიმი. მე თქუცნი ბედნიერის სახლის ექიმბაში...

მირზა. მე გახლავართ თქუცნის ბედნიერის ტახტის მირზა. –

ბიჭი. მე გახლავარ უმდაბლესი მონა და მოსამსახურე, თქუცნი მაღალ ხარისხოვნებისა ფარეში. –

ასანა. (გაოცებული შესცქერის ხან ერთს და ხან მეორესა, იმ-
ეორებს ხან ერთის სიტყვას, ხან მეორისა.) დიახ კარ-
გი მაგრამ მე ვინლა ვარ, მე, მე?

ხანი. უთუოთ თქუწნო მაღალ ხარისხოვნებავ დღეს იმ გუნე-
ბაზედ ბძანდებით, რომ გვეხუმროთ, თუ არ ხუმრო-
ბით, როგორ დაივინყეთ ერთ მინუტს, რომ თქუწნა
ხართ ჩუწნი მაღალ ხარისხოვანი, ჩუწნი გონების
ვარსკვლავი, ჩუწნი სიმართლის სასწორი, ახალი შტო
ედემის ხისა, თეირანის ბურჯი, აბდულ რახმანი ხანი.

—

ასანა. როგორა! ხანი! მე ხანი?

ხანი. მამ სხვა ვინ უნდა ბძანდებოდეთ. —

ასანა. ეს უთუოთ თილისმა არის! არა მე ჯადო ნაქნარი ვარ! მე
ხანი ბრრ....! მე ხანი (იცინის.) მაგრამ ცუდი არარის?
ჩემთკს კარგია, ღმერთ ერნმუნე კარგია, ხანობა
სჯობია ხარაზობასა! (მაღლა) ბატონებო! შემინდეთ,
მე მგონია თქუწნ მასხარათ მიგდებთ. —

ხანი. ვინ გაბედავს თქუწნო მაღალ ხარისხოვნებავ!

ასანა. მამ რა არის ეს ჩემ თავსა?

ხანი. არ გვესმის რა უნდა გვიბძანოთ?

ასანა. მე გარნმუნებთ, მე არა ვარ თქუწნი ხანი, მე ვარ ერთი
საწყალი თქუწნი მონა ფუჩ, ზად, ხარაზი ვარ! (საზო-
გადო განცვიფრება) უბრალო ხარაზი. —

ექიმბაში. ალლახ, ალლახ! მე მგონია თქუწნი მაღალ ხარისხ-
ოვნების ტვინი შერყეულა!

ასანა. დიახ, დიახ, სწორეთ ხარაზი ვარ ასანა, ვალლა, ხარაზი
ვარ, ბილლა, ხარაზი ვარ, ბიდათ, ხარაზი ვარ, და მე
ქალაქში არამცთუ¹² უბრალო ქუჩის საძაგელი ბიჭი,
თითქმის ძაღლებიც მიცნობენ, რომ ასანა ხარაზი
ვარ, უბრალო მეჯღანე. — (უყურებს ხანსა და ვეზირ-
სა.) ბატონო თქუენც კარგათ მიცნობთ? —

ხანი. და რასაკურველია თქუწნო მაღალ ხარისხოვნებავ, რომ
გიცნობდეთ, სიყრმიდგან თქუწნთან შევზდილვართ
და გემსახურებით. —

ასანა. თქუენ სხვას ბძანებთ, მე მახსოვს წუხელ ჩემ დუქანში

ბძანდებოდით. –

ხანი. (იციინის.) თქვენ დუქანში? დღეს როგორც ვხედავ, ძალიან მხიარულად ბძანდებით, თქუწნო მაღალ ხარისხოვნე-ბავ!

ასანა. მაშ აბა მითხარით სინდისის ქუეშ, არ იყავით ნუხელის ხარაზთან? უბრალო ხარაზის დუქანში? –

ხანი. დიახ ჩემო ხელმწიფევ! ჩუჭულებრივ თქუწნ სადილთუ-კან მოისვენეთ და ჩუწნ გიახელით სასეირნოთ ქა-ლაქში, და სალამოზედ შევედით ერთ ხელოსანთანა, სადაც მირზა ალიმ შეუკვეთა საცხენოსნო წაღების შეკერვა, ერთ ყმანვილ ხარაზსა. –

ასანა. ჰო გესმისთ? აბა ის მე ვიყავ, სწორეთ მე ვიყავ!

ხანი. თქუწნ ერთის სიტყვით მასხარათ გვიგდებთ თქუწნო მაღალ ხარისხოვნეზავ.

ასანა. მერე როგორ მოგეწონათ ის ხარაზი!

ხანი. კარგი მარდი და მასხარა არის. –

ასანა. (იქით) ჰო აბა! სწორეთ მე ვარ მე!

ხანი. ცოტა ტუტუცია.

ვეზირი. რა უყოთ ყმანვილია!

ასანა. მოითმინეთ გახსოვთ, მგონია იმან ყავახანამდისინ გა-გაცილათ!

ვეზირი. დიახ, სწორეთ აგრე იყო, ის ყავახანაში შევიდა, საიდგან მოხსენდა თქუწნ მაღალ ხარისხოვნეზას?

ასანა. მგონია იმას ბევრი ხაშიში აჭამეს მურაბაში. –

ხანი. მიუწთომელია საიდამ შეგიტყვიათ, როდესაც თქუწნ სულ ამ ტახტზედ ბძანდებით. –

ვეზირი. აქ რომ მოვბრუნდით, ისევ გეძინათ.

ასანა. (თავისთვის)¹³ მართლა საკურველია!... ესეც იმ ისტო-რიასა ჰგავს, ამას წინათ დედა ჩემს რომ წაუკითხე, უწინდელ დროში, სიზმრათ მოხდებოდა თილისმით, ხან ფილასოფოსები ვირათ გადაიქცევიდნენ, ვირები ფილასოფოსათ – უბრალო კაცის გვამში, ხალიფას სული ჩადგებოდა და ხალიფას სული უბრალო კა-ცის გვამში. – იქნება ის დრო მოვიდეს, ჩემი სული ხანის გვამში ზის და ხანის სული ჩემ ცოდვილ გვამ-

ში, ხანი მოგებაში გახლავთ! აბა მოდი ერთი გავგზავნი, ჩემი გვამი მოიტანონ, ესე იგი მე ხარაზი (ბიჭებს დიდკაცურად.) ეი გადა! (შეშინდება ნაავლებს კაბაზედ ჴელსა მოწინებით.) შენი ჭირიმეთ თქუჴნ მიდით ყავახანაში და უთხარით იქ ხარაზ ასანას, ეხლავ ჩემთან მოვიდეს (დიდკაცურად.) გააღვიძეთ თუ ეძინოს, არც აგრე დიდი ბატონია!

ბიჭი. გავბედავ მოვახსენო თქუენს მაღალ ხარისხოვნებას, რომ ხარაზს არ შეუძლიან აქ გაიხლოს, მკვდარივით გდია ხაშიშისგან. –

ხანი. მეყავახანემ წაიყვანა თავის სახლში.

ასანა. ეს რა ამბავია, ხანივით წაიყვანეს?

ხანი. როგორ ხანივით? ხარაზი ხარაზულათ წაიყვანეს. –

ასანა. შემცდარხართ, ის ხანია!

ხანი. ხარაზია.

ასანა. მე.

ხანი. არა, ისა. –

ასანა. (ცოტა ფიქრს უკან.) არა! რასაკურველია! არა არმინდა ხანობა! სულო გამოდი ჩემის გვამიდგან დაიკარგე; გამოდი პირიდგან, ცხვირიდგან, ყურებიდგან, გამოდი! გამოდი! არა ვარ ხანი ასჯერ არა ვარ ხანი, ხარაზი ვარ შიგნიდგან და გარედგან. –

ექიმბაში. (ჴელს მოსჭიდებს.) მოითმინეთ თქუჴნო მაღალ ხარისხოვნებავ. –

ასანა. ამას რალა უნდა.

ექიმბაში. მაღალ ხარისხოვანო ხანო, მე აქამდისინ ჩუმათ ვიყავ, მეგონა თქუჴნი გასაოცარი სიტყუჴბი ცუდის სიზმრიდგან წარმოსდგება მეთქი, მაგრამ ახლა დავერწმუნე, რომ თქუენი მაღალ ხარისხოვნების ტვინის მდებეიერობა ძალიან მოშლილა, და მაჯაც აჩუჴნებს თქუჴნ უნდა სისხლი გამოგიშვათ, ეი ბიჭებო!

ასანა. ეს რალა ამბავია მომიტევეთ კარგათა ვარ, როგორც თევზი წყალში. – (უყურებს ნესტარს გაოცებული.) დააგდე, დააგდე ნესტარი, არ მინდა სისხლის გამოშვება, არ გამოვიშვებ!

ექიმბაში. ჩემი თანამდებობა მანვევს უკაცრავათ.

ასანა. (გამოსტაცებს ჴელს.) გამიშვით, არა თითონ მე გამოვიშვებ სისხლსა.

ექიმი. მამ რადგანც აგრეა მე შემეძლიან ძალა ვიხმარო, თქუცნ ავათა ხართ.

ასანა. შე გიჟურო ურიავ! სისხლი გწყურიან შენა სისხლი?

ექიმი. ერთი ოციოთ წვეთი, დაიჭირეთ!

ასანა. მომითმინეთ მომითმინეთ! ექიმბაში ჩემო სულო! კუჭო! ჩემო ბიძიავ!

ექიმი. კარგი თქუცნო ხარისხოვნებავ, მაგრამ ამ პირობით თუ კიდევ დაამტკიცებთ მაგას, ანუ ამოუშუცბთ პირიდგან ხარაზობას მაშინ მე მომიტევეთ ძალას მოვიხმარებ, როგორც მიბძანებს ჩემი თანამდებობა და ვალი (ანიშნებს ბიჭებს და გაუშუცბენ).

ასანა. (ადგება და ამბობს თავსთვის.)¹⁴ დიდება ღმერთსა მოვრჩი! როგორი ძნელია ხანად გახდომა! არა მე სულელს რამრჯის, მართლა ჩემო ასანავ სულელი ყოფილხარ, ძალათ ხარაზობა რათ გინდა, არ მოგწყინდა სადგისის ხმარება ესე ჴელების შლა! აბა ძალათ რათა ვხედები. –

ექიმი. (ყურს უგდებს, ხარაზს რომ იტყვის, მივარდება კლავს უჭერს.)

ასანა. გამიშვით მე ხანი ვარ.

ყველანი. ინშალლახ! იყოს დღე გძელი მალალ ხარისხოვანის სიცოცხლე აბდულ რახმანი ხანისა! –

ასანა. ჰო, დიახ მე ავათ მყოფობისაგან მომივიდა, საკვირუცლი ექიმბაში არის ესა! ახლა კარგათ ვარ ახლა მე ვარ თქუცნი ხანი! ინშალლახ უნდა თქუცნ იყუნეთ ჩემი მარჯვენა ჴელი! (თავისთვს¹⁵) აბა თუ ხანობას ვერ ვითამაშებ მამ ასანა არ ვიქნები, ფიე რა დიდი ფიქრი უნდა ხანობას, უნდა მალმალ უბძანო, თუ გინდა ჴკვიანათ, თუ გინდა უჭკუოთ; როგორ უნდა ვიარო? რა ფიქრი უნდა ერთის სიტყვით, დამბლასავით უნდა ვიყო! ნელა ველაპარაკებოდე აბა მოვყვე. –

ასანა. ეი, ადა ყალიონ! (მოუტანენ. თითონ ახალუხის ღილებს

იკრავს და მოუშვებს სულსა, პირს გაუღებს ყალიონს ჩაშჩრიან პირში.) შემიკარით ღილები? (ღილებს უკვრენ.) ბიჭო კაბა. –

ბიჭი. რომელი?

ასანა. (ამპარტავნურად შეხედავს.) ფიე მოიტანე, ოქროს კაბა.

–

ბიჭი. (გამოიტანს კაბას აცმევს და ყალიონს მიაართმევს.)

ასანა. (რომ ჩაიცვამს.) აი რას ნიშნავს მდიდრული ტანისამოსი, მე ვგრძნობ რაღასაც თავის უფლებას, დიდ კაცობას (ისნორებს და იბერება უბოლებს ყალიონს) არა? მე უგუნური რათ ვფიქრობდი მე ხარაზი ვარ მეთქი და ხანი არა ვარ მეთქი (ექიმი მიახლოვდება.) ექიმბაშო! გმადლობ შენ ფეხზედ დამაყენე. –

მირზა. თქუწნო მაღალ ხარისხოვნებავ არ ინებებთ! –

ასანა. (ზურგ შექცეული.) ვინებებ. –

მირზა. თქუწნის ჩუჭულებისამებრ ვახშმის წინ ინებებთ ხოლმე საქმეების გადაწყვეტასა და ჯელის მონერას. –

ასანა. ვახშმის წინ! დიხ! მაგრამ დღეს მე ძალიან ავ გუნებათა ვარ საქმის გადაწყვეტაზედ, იქნება სასტიკად მოვიქცე და ვახშამს კი ვინებებ!

მირზა. თქუწნი მაღალ გონიერების ნება არის ხვალამდის შეიძლება დარჩეს. –

ასანა. მაშ ეტყობა უბრალო საქმეები არის; –

მირზა. უბრალოები არის გლახების შეწვენისა გახლავთ!

ასანა. ფიე! მაშ როგორ უბრალოა, ხომ იცით რომ გლახების შეწვენა დროს არ ითმენს, შიმშილს მოცდა როდი შეუძლიან, კულავ გაფთხილდით მაგისტანა საქმეზედა არ გამაჯავროთ გესმის? – (იქით) იქნება საწყალი ხანი ან ჩემი მაგიერი ხარაზი შიმშილით კვდება და მეკი აქ რა ვახშამი მელის. –

ხანი. (თავისთვის) ბარაქალა ბიჭო (მაღლა) ეგევითარი დიდ სულოვნებითი თქუწნი ქცევა გააბედნიერებს თქუწნს ქუჭშევრდომთა. –

ასანა. ჩემო ვეზირო, მობძანდით აქ დაბძანდით, აქ ჩემ გვერდით მოვილაპარაკოთ ერთათ საქმეზედ (მირზას) აბა

ნაიკითხე. –

მირზა. (აჩვენებს ქალაღდებს.) ერთი საწყალობელი სნეული ქვრივი გთხოვთ თხუთმეტს ოქროს, რომელსაც ძალიან უჭირს. –

ასანა. რასაკურველია ეჭირება, რადგან მთხოვს, მიეცით ოცდაათი ოქრო!

მირზა. ქაბაბჩი მუსტაფა შეინროებული სახლობით...

ასანა. ვიცნობ, ვიცნობ, რვა შვილი ჰყავს, მიეცით ოცდა ხუთი ოქრო და უთხარით რომ თუშში ათათი ოქრო გამინესებია იმისთვის, კარგს ქაბაბებს აკეთებს და იაფათ აძლევს მდაბალი ხალხისათვის. –

ხანი. გავბედავ მოვახსენო მაღალ უხვებასა თქუენსა, როდის გაიცანით ქაბაბჩი. –

ასანა. მაშინ როცა ვიყავ ხარ... (ექიმი მიიწევს უჭერს ხელსა.) როცა ხალხში დავდიოდი შემეტყო რომ არავინ არის შეინროებული! სხვა რალა არის მანდა. –

მირზა. ერთი არზა გახლავს ახუნდი მამად რასულისა. –

ასანა. (წამოხტება.) იმ ყურუმსალსაც შემწეობა უნდა? არ მისცეთ! –

მირზა. არა თქუწნო მაღალ ხარისხოვნებავ! ის უჩივის ერთ ხარაზ ასანას, რომელსაც მართებს იმისი ათი თუმანი.

–

ასანა. მე რომ გადუხადო ეგ ვალი, მგონია კარგი იქნება (დაჯდება.)

ხანი. არ არის კარგი, ის ბიჭი გაირყვნება, ზარმაცობას დაიწყებს. –

ასანა. ჩუწნ[ო] ვეზირო, მე მაქუს მიზეზი მაგაზედ... ის ყმანვილი ჩემი ნათესავია. – (ექიმი მივარდება.) დამეხსენით! თქუწნ ხომ იცით ჩემი ძიძის შვილია, ერთი ძუძუ გვინოვნია გესმით? მიეცით ათი თუმანი, თამასუქი დაუხსენით. – გარდა ამისა ათი თუმანი გაუგზავნეთ იმის დედა მოხუცებული არის, თითო სინი ყაბლუ ფლავი, ერთი მინა შარბათი დასაძინებელი წამლით შეზავებული. ჩქარა საჭმელები გაუგზავნეთ ეხლავ და ყოველ დილას! (ადგება ვეზირი ასანა თავისთვის.)

კარგათა ვქენ, ვინ იცის რა შემთხვევა მოხდეს, იქნება ისევ ხარაზი გავხდე (მალლა) არ დაგავინყდეთ ჩემი ბძანება. – (ვეზირი ასვამს ბეჭედს.)

მირზა. საქმე გათავდა.

ასანა. კარგია. –

ვეზირი. ახლა რა ეპრიანება თქუწნს მალალ გონიერებას. –

ასანა. ახლა კუჭისთვის ვიფიქროთ. (ესალმებიან ყველანი.)

ასანა. სად მიბძანდებით, მე არ მიყუარს მარტო პურის ჭამა დაბძანდით (ფარემს) მოგვიტანეთ ვახშამი, მომღერალი არის ვინმე კარგი? –

ფარემი. გახლავსთ თეირანიდგან მოსული. –

ასანა. ისიც მოიყვანეთ (ბიჭები ყალიონს მოართმევენ, სუფრას გაშლიან, მოიტანენ სინებით ფლავსა, ასანა დაუნყებს ჭამასა, უთავაზებს ხანსა, თავის ჳელით პირში უნდა ჩაუდვას, ეს ხელს მიუშვერს.) –

შემინდეთ, პირი პატარა მაქუს დამეპნევა (შემოვლენ საზანდრები უბძანებს დასხდომას ექიმს უთავაზებს ლულა ქაბაბს ჩაუდებს პირში.) ხალათ! ხალათ! (მოუტანენ ხალათსა და წამოასხმენ. ექიმბაშს მძიმეთ თავს დაუკრავს.)

ასანა. ექიმბაშო, სასმელი არ შეიძლება რამე დავლიო? –

ექიმი. რატომ შარბათი მიირთვით.

ასანა. არა ჭიას ამიშლის. – სხუა ჭიის მოსაკვლელი. – აის რუსის დიდკაცები რო სმენ შაქანცკ ამბობენ ხის წვენი არისო!

ექიმი. შეიძლება.

ასანა. უბრძანეთ მოიტანონ. – (მოიტანენ შანფანცკს, დაუსხმენ და სვამს, ჳსწვეს ყალიონს, საზანდრები უკვრენ, საზანდარი რომ შედგება თავისთვის.) არა რაზედ ვიკლამდი თავს ხარაზი ვარ მეთქი, სანყალი ჩემი გვამი სწორე ხანი, ჳლანებს აკერებს თუ მართლა მთვრალი არ არის. (სვამს შანფანცკს დაფიქრდება.)

ხანი. რაზედ მონყინეთ თქუწნო მალალ მხიარულებავ!

ასანა. მე გითხრა ჩემო ვეზირო, ის ხარაზი მომაგონდა, ჩემი ძუძუს ძმა, იმას ერთი ქალი უყვარს, ჩემი მეჯორის

ქალი, ფული არა აქუს, ათი თუმანი არ დააკლდება ჩემს ხაზინასა, მიეცით ქებინათ ხვალ ქორწილი გადინადოს.

ხანი. ვმადლობ თქუჴსნს მაღალ სათნოებასა (იქით) ხედამ ამ ყურუმსალს თავის თავი არ ავიწყდება (ასანა დაფიქრდება.) კიდევ რას ფიქრობს თქუჴსნი გონიერება. –

ასანა. რა საკითხავია, თქუჴსნ უნდა ფიქრობდეთ ჩემ მაგიერ, იფიქრეთ რა მიაძება. –

ვეზირი. (ერთმანეთს შეხედვენ განცვიფრებით ყუჴლანი.)

ხანი. (იქით) მოდით ახლა თქუჴსნ მიხვდით რა ეშმაკი უნდა, იქნება თქუჴსნო მაღალ ხარისხოვნებავ გნებავთ მოსვენება? –

ასანა. არა, – (იქით) ხანს ხომ ცოლები ეყოლება, აბა ერთი ვკითხო (მაღლა) ჩემი ხოჯა სად არის. –

ვეზირი. აქ გახლავს (შემოიყვანენ არაბს.) –

არაბი. რას მიბძანებს ბედნიერი მაღალ ხარისხოვნება თქუჴსნი?
–

ასანა. მოახსენე ჩემს ცოლებს რომ აქ შემობძანდნენ. –

ხანი. აბა რამრჯიდა ნათქვამია თუ არ გინდოდეს ქირიო, გათალე ჩხირიო! –

არაბი. (ჩუმათ ხანს) ნუ შესწუხდებით ჩანგებს მოვგვრი. –

ხანი. ჰო კარგათ მომაგონდა, იმ რიცხვში მეჯორის ქალი ლეილაც შემოიყვანეთ – და დაარიგეთ რომ ახალი საცოლე არის, ხვალ უნდა ქებინი გაიჭრას. –

არაბი. დიას კარგი იქნება. (გავა)

ხანი. მაშ ჩუჴსნ ნება გვიბოძეთ ვისურვოთ თქუჴსნთვს ბედნიერებით შექცევა ამლამისა.

ასანა. არა, მე ეჭვიანი არა ვარ, სტანბოლში ვარ გაზდილი, ახლა სულთანი როდი არიდებს თავის ცოლებს. –

ხანი. როგორც თქუჴსნს მაღალს ხარისხოვნებას ენებება. –

ასანა. (თავისთვის) ცოლებიც კარგათ მომაგონდა, კარგათ შევექცევი, მაგრამ ჩემი ლეილა! ვაჲ გამიწყრა ღმერთი, იქნება ეხლა ჩემს მაგიერათ ხანი ჰკოცნიდეს, ეჰ რა უყო ალბათ ჩემი წერა ასე ყოფილა, მარტო ჩემ თავზედ არიქნება ეს ცვლილება, იქნება ძუჴლი ან-

დაზა ასრულდა, ნათქუამია ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანო. –

გამოსვლა 2.

[იგინივე, ხოჯა, ლეილა და ქალები]

ხოჯა (შემოიყვანს ქალებს, პირზედ მიფარებული აქუთ, ქალე-
ბი თავს დაუკვრენ.) –

ხოჯა. მეუღლენი თქუჭნი მალალ ხარისხოვნებისა. –

ასანა. ბარაქალა! ბარაქალა! აბა პირბადე ახადე (ხოჯა ახდის
პირბადეს. თავისთვს) ვაჟმე, ლეილა სჯობდა არაფერი
გემო ჰქონია ხანსა. –

ხოჯა. ხომ არ ინებებთ ნახოთ თქუჭნი დანიშნული!

ასანა. ინშალახ კარგი იქნება. –

ხოჯა. (გავა ასანა უყურებს ქალებს.)

ასანა. ჰო რა უჭირთ (იქით) ნათქუამია, მგელმა ციკანი იშოვნა
ბალნიანო, ვინ ასანა, ვინ ეს ამბავი. – ვნახოთ ახ-
ალი ცოლი როგორი იქნება. – ახალი ყველა კარგია
ვნახოთ.

ხოჯა. (შემოუძღვება ლეილას.)

ასანა. (წამოუდგება.) მე დიდათ, მე დიდათ ვგრძნობ დიას
ძალიან ვგრძნობ თქუჭნს, ვერ ვპოულობ სიტყუას
ჩემი სიყუარული გამოგიცხადოთ, თქუჭნა ხართ ჩემი
ვარსკვლავი, თქუჭნა ხართ ჩემი მთვარე, როგორც
სადგისი. (ექიმი მივარდება.) არა როგორც სადგისი
გამხვრეტელი ჩემის გულისა. –

ლეილა. (პირბადით) დიდათ ბედნიერად ვრაცხავ ჩემს თავსა,
ვხედავ რა მალალ ხარისხოვანსა ჩემსა მფლობელსა.
–

ასანა. ფიე ეს ვისი ხმაა? –

ლეილა. რომელმანც მიმიზიდა ვით ანდამატი. –

ასანა. ამას იჭვი არ უნდა ეს ლეილაა (დაფიქრდება.) –

ლეილა. იქნება მოგწყინდით თქუჭნო მალალ ხარისხოვნებავ?

აგრე დაფიქრდით უეცრად, მაშ ნება მომეცით თავი დაგიკრათ (მიდის.) –

ასანა. მოითმინეთ ღვთის გულისათვის, მე დაფიქრდი; როგორ არ დაფიქრდე თქუწნი ხმა გავს საკვირვლად ერთის ქალის ხმას, რომელსაც ვიცნობ სიყრმიდგან. –

ლეილა. სიყრმიდგან?

ასანა. სუყველა იმას გიგავთ, ტანი, მიმოხვრა და ყოველივე. –

ლეილა. (აიხდის პირბადეს.) სახეცა?

ასანა. (მივარდება განკვირვებული ლეილას.) ლეილავ? ღმერთო ეს რა ანბავია, შენ ხარ ლეილავ? შენც მოჯადოებული ხარ? –

ლეილა. თქუწნო მაღალ ხარისხოვნებავ, რას ბძანებთ რა ამბავია თქუწნ გონიერ თავზედ? –

ასანა. (უყურებს.) არა ეს არის, ეს ლეილაა, ლეილაჯან ნუ მაღავ შენა ხარ! –

ლეილა. რას ბძანებ, მოდით გონებაზედ.

ასანა. რას მიყურებ, ვერ მიცან შენი ასანა, შენი საყვარელი, რა რიგათ მოუწამლამთ, თავის საყუარელი ასანა ვერ უცვნია, მოიგონე სულოჯან ლეილავ! შენ ჩემი ლეილა არა ხარ, მეჯორის ქალი? –

ლეილა. რაო მეჯორისა?

ასანა. ჰო, ჰო, ხანის მეჯორისა!

ლეილა. (ტირის.) უთუოთ ხანი ავათ არის, ექიმი არავინ არის? –

ექიმი. აქ გახლავარ, ცოტა შეუძლოთ ბძანდებოდა, მოვარჩინე, სისხლი უნდა გამოუშოთ. –

ასანა. კიდევ სისხლი, მოიცა ექიმოჯან, სისხლ ნუ გამომიშვებ, პატარა შაფანცკი გადავკრა. –

ექიმი. დიახ კარგი იქნება!

ასანა. (დალევს.) მაშ კარგი ჩემო ლეი... რა გქუიანთ?

ლეილა. გულნარა.

ასანა. კაი სახელია! მობძანდით აქ დაბძანდით. – ხომ არ გნებავს თამაშობით შეგაქციოთ. –

ლეილა. კარგი იქნება.

ასანა. (ანიშნებს საზანდრებს და დაიწყებენ დაკვრას და

თამაშობას.)

ასანა. (სვამს შანფანცკს, სწევს ჩიბუხს, წავა ძილად და დაეცემა დორზედ, ფარდა ჩამოეშვება.) –

მოქმედება 3.

[გამოსვლა 1.]

[ასანა, ხანი და ვეზირი]

დუქანი და სახლი ასანასი. [ასანას] ხარაზული ტანისამოსით სძინავს ტახტზედ. ხანი და ვეზირი შემოვლენ.

ხანი. ხედავ კიდევ სძინავს?

ვეზირი. მეკი ვიცოდი რომ ეძინებოდა, ძალიან ბევრი დალია. –

ხანი. მთვრალს კიდევ წამოელულულელებინა, ხვალ დილით ხობხები შემინვით და ლულა ქაბაბი გამიკეთეთ საუზმეთაო? –

ვეზირი. სანყალი რა რიგათ შეკრთება რო გაიღვძებს.¹⁶ –

ხანი. მე მსურს ამისი გამოღვიძება ვნახო რას ილაპარაკებს. –

ვეზირი. იქნება გუშინდელი ანბავი სიზმრათ მიიღოს.

ხანი. რაც მაგას საქმე უყავით, ჩემთვის რომ გექნათ ჭკვიდგან შევიშლებოდი.

გამოსვლა 2.

იგინივე და ქატიმ. –

ქატიმ. (მძიმეთ თავს უკრავს.) ახ! გუშინდელი სტუმრები ბძანდებოთ?

ხანი. დიახ, სალამალექ დედავ!

ქატიმ. ეს ჩემი შვილი თქუწნთან გახლდათ ყავახანაში? –

ხანი. არა ჩემ ამხანაგთან!

ქატიმ. წუხელი ძალიან შევშინდი რომ მოიყუანეს, მეგონა უბედურება შემთხვევია მეთქი, მაგრამ მთვრალი იყო.

–

ხანი. დიას დაურჩევარი არის, ხაშიში შეეჭმია ჩემს ამხანაგს. –

ქატიმ. მადლობა ღმერთსა, მეგონა ღვინო დაუღევია მეთქი.

– მაგრამ ამას ვწუხვარ, მეზობლები არ დაიჯერებენ რომ ღვინით არ იყო მთურალი. –

ხანი. ეგ ცუდია, და რადგან ჩემი ამხანაგია მაგისი მიზეზი, ამისთვის მე უნდა დაგასაჩუქრო მაგაზედ, აი, მიიღე კეთილო ბებერო (აძლევს ფულსა არართმევს.) ეს ჩექმების ფასია. –

ქატიმ. რადგანაც აგრეა, გმადლობთ ბატონო.

ასანა. (სიზმარში) ლეი... ლეილა! ლეილაჯან, ჰო. ნუ იბერები კარგია ნუ იბერები.

ხანი. სიზმარში რაღასაც ლაპარაკობს. –

ქატიმ. ხშირად იცის ლაპარაკი სიზმარში. –

ასანა. ლეილაჯან... შენ ჩემი უნდა იყო გინდა სულთანის ქალიც გახდე. –

ქატიმ. სიზმარში სულ დიდკაცობას თამაშობს.

ასანა. მეც თითონ მოჯადოებული ხანი ვარ!

ხანი. გუშინაც ლაპარაკობდა აგრე.

ქატიმ. ეხლა რომ გაიღვიძებს, რამდენს ტყუილს ილაპარაკებს.

–

ხანი. მე ძალიან მინდა გავიგონო ასე რომ ვერა მხედვიდეს. –

ქატიმ. აი აქ მოეფარენით ყველას გაიგონებთ. –

ხანი. კარგი არის მაგრამ ღვთის გულისათვის, საყვედურს ნუ მისცემთ. –

გამოსვლა 3.

ქატიმ და ასანა. –

ქატიმ. (აღვიძებს.) ადექ ადექ, აბა შემომხედე. –

ასანა. (ნამოიხედავს.) საუზმე მზათ არის (თავისთვის) ფიე ეს

მგონია დედა ჩემია? ამ სასახლეში რა უნდა... ეი ადა...

ქატიმ. გაიღვიძე სულოჯან! ადექ აბა შემომხედე! –

ასანა. (იფშენეტამს თვალებს.) სადა ვარ მე, იქნება?... განა
(წამოხტება.) შეითან აფარსინ, კიდევ ხარაზი გავხდი.

–

ქატიმ. რას ამბობ უგუნურო ბიჭო. –

ასანა. (ადგება ტახტიდგან დადის შემკრთალი.) არა ეს რა მიქარვაა. აბა რა ტუტუცური ხუმრობაა! იმისთანა იქნება კაცმა არიცოდეს, დღეს რა არის და ხვალ რა იყოს, მაშ კაცმა არ უნდა დაიძინოს ღამე; ამისთვის რომ დილით გამოიღვიძებს, ეშმაკმა იცის რა გახდება, ხანი ვირათ, ვირი ხანათ, ფიე ამისთანა ცხოვრება კაცს მოაბეზრებს, მაგრამ კიდევ ვნახოთ, არ მინდა მეჩქემობა.... მე ხანი ვარ... ღიახ ჰსწორეთ ხანი ვარ!

–

ქატიმ. რას როტავს.

ასანა. დამეხსენ დედიდავ. – როგორ კარგათ ვხანობდი. –

ქატიმ. რაო შენი დედიდა ვარ! –

ასანა. ჩამომეხსენ ბებერო! (თავისთვის) ყუჭლამ ხანათ მიცნო არავის იჭვი არაჰქონდა, რომ მე მალღის ჩამომავლობიდგან არა ვარ! –

ქატიმ. შენ მე არ მიცნობთუ? –

ასანა. ფიე რას ჩამომეკიდე დედიდავ. –

ქატიმ. კიდევ დედიდავ. –

ასანა. (დადის და ლაპარაკობს.) როდესაც ვსვამდი, ვჭამდი, ვჯავრობდი, ვფიქრობდი, ვარშიყობდი ხანის ქალთან, ყველანი აბდულ რახმან ხანს მეძახდენ. –

ქატიმ. (დაუყვირებს.) გონებას მოდი...

ასანა. (ხელს გამოსტაცებს.) წვრილი ფული არა მაქუს ბებერო! – (ლაპარაკობს ადრინდელისავით.) ახლა უნდა ჩამომავდონ მაღალი ხარისხიდგან, სიმდიდრიდგან, სიღარიბე, თავზედ მამახვიონ ეს ბებერი.. არა ძველი ხუმრობა არის, არ მინდა, არ მინდა!... ნებას არ მივცემ! (ხედავს რომ ქატიმ არ ეშვება.) ღმერთმა მოგცეს ბებერო, თოლუთუნარე!... ფიე რას ჩამომეკიდა...

ქატიმ. აი რა გიყო სიამპარტავნემ და სიმთვრალემ, შენ ვერა ჰსცნობ მშობელს დედას, ეგ არის მადლობა რომ გაგზარდე!..

ასანა. (დაუწოქებს.) დედაჯან! სულო გულო! მაპატივე მე ხომ დანაშაული არა მაქუს, რომ ხანი ვარ! (ადგება.) რალამაც ეშმაკმა მომაჯადოვა, მე ერთი ორსამ წელიწადს მაინც დავეგდე ხანათ, მაგრამ იმ წყეულმა ჯადომ მარტო ტუჩებზედ მამცხო ხანობა....

ქატიმ. (ცრემლებს ინმენდს.) აი რა გითხრა შენ ხომ მიხუდი სიზმარი ყოფილა, ცხადათ სჩანს რომ შენ გზმანებია, რადგანც აქამდინ გონს ვერ მოსულხარ!..

ასანა. რის სიზმარი, რა სიზმარი, აი ადრე ვნახამდი ხოლმე, იმაზედ დავას არ გაგინევი, ხან ვნახამდი დიდი კაცის ქალსა, ხან იასაულებს, ხან მაიმუნებს, ხან ქურდსა, ხან ძაღლს; მაგრამ დიდ კაცების ქალს, მაიმუნს, ძაღლებს, ქურდებს, მე ვიცოდი რომ სიზმარში იყო, როგორც ეხლა მე ვიცი, ნუხელ ცხადათ ვიყავ აბდულ რახმანი ხანი.

ქატიმ. კარგი სულელი, გონს მოდი, აქ ჩემთან დაჯექ გვერდით, მოვილაპარაკოთ მაგაზეთ ერთათ და მე დაგიმტკიცებ შენა რომ ეგ სიზმარი იყო, გუშინ საღამოზედ წახველ ხანის მსახურთან ყავახანაში, აგრე იყოთუ არა? –

ასანა. ეგხომ აგრეა! იცი ისინი ვინ იყვნენ?.. ისინი ნაზირ ვეზირები იყვნენ. –

ქატიმ. კარგი კმარა სულელი, მითხარ ყავახანაში შენ დალიეთუ არა? –

ასანა. არა, მე მურაბა ვჭამე, რომელსაც ხაშიშს ეძახიან, იმ დიდკაცებმა მაჭამეს, მე ძილი მომეკიდა, აბა მაშინ შესრულდა ჩემზედ ჯადო, ერთბაშათ გამომეღვიძა სასახლეში და ყველანი მარწმუნებდნენ რომ მე ხანი ვარ. –

ქატიმ. მაგით უნდა დაინახო, ეგენი სულ სიზმარში გზმანებია (ასანა აჩუჭნებს მოუთმენელობას.) ყური მიგდე, შენ

სულ არა ყოფილხარ სასახლეში იმისთვის რომ შენ ყავახანიდგან პირდაპირ აქ მოგიტანეს მთვრალი და-გაგდეს ტახტზედ. –

ასანა. რას ამბობ! მე არ ვიყავ სასახლეში, მე მომიტანეს ყავახანიდგან (იქით) მოიცა! მესმის, მესმის, ჩემი სული აქ არის ხანის სასახლეში, და აქ ჩემი გვამი ხანის სულითა. (მალლა) დედავ გამიგონე, თუ რომ მე არ მამიტანეს სასახლიდგან, მაშ მოიტანეს მარტო ჩემი სხეული უსულოთ, ესე იგი სულით მაგრამ ჩემით კი არა, ახლა ხომ გესმის. –

ქატიმ. რას როხავ, რა გავიგონო!

ასანა. როგორ ვერ გაიგე, მაშასადამე, ეს მე ვარ.

ქატიმ. ჰო ეხლა შენ რახარ?

ასანა. ეხლა ეს გამოვა, რომ მე ვარ და მე არა ვარ!

ქატიმ. როგორ შენ და შენ არა? –

ასანა. ესე იგი მე თითონ ვარ... მაგრამ არა ვარ მე თითონ, ესე იგი სრულებით არ ვარ ხარაზი. –

ქატიმ. მაშ სხუა ვინ უნდა იყო. –

ასანა. მე ყოვლის ამის უკან მე ისევ ვარ აბდულ-რახმანი-ხანი!
– ჰსწორეთ ხანი ვარ! –

ქატიმ. შენ უგუნური შენ გიჟი ხარ!

ასანა. (გაჯავრებით) დედაკაცო ნუ გამომიყვანე მოთმინებიდგან. –

ქატიმ. გიჟო განა დედას აგრე ეტყვიან. –

ასანა. არა შემინდე, შენ მართლა დედაჩემი ხარ, დიახ ამასაც გთხოვ. –

ქატიმ. (შეშინებული) ღმერთო ჩემო ეს მართლა გაგიჟებულა შვილო! –

ასანა. ეს კი გადანყვეტილია, რომ შენი ქმარი მამაჩემი ხარაზი ჩემი მამა არ არის. –

ქატიმ. რაო? რაო, განა შენ ჩემზედ იჭვნეულობ.

ასანა. (ყურს არუგდებს.) მე ვგრძნობ რომ სისხლი ხანისა მიმდინარეობს ჩემს ძარღვებში, ხარაზის სისხლი სულ სხვარიგათ დადის (დადის ამპარტავნურად.) ცვდები თუ მართლა მე ხანი ვარ! დამშვიდდი დედავ, მე

შენ გაგაბედნიერებ, მეფურად დაგასაჩუქრებ (წელს დაადებს მხარზედ.) არა მე ეს არ მინდოდა მეთქუა, ჩუწნ ყოველთვის ერთათ ვიქნებით, ნუ გაუშვებთ ერთმანეთს, თუმცა მე ხანი ვარ, მაგრამ არ მინდა სხუა დედა. –

ქატიმ. ოჰ შვილო, რავექნა ექიმი უნდა მოვიყვანო. –

ასანა. ბაბაა არ მოიყვანო. – კიდევ სისხლს დამიპირებენ გამოშვებას, ამისთვის რომ ახლა ხანს ვირქმევ, როგორც ნუხელ კინალამ სისხლი გამამიშვეს, რო ვამტკიცებდი ხარაზი ვარ მეთქი.

ქატიმ. შეიშალა, შეიშალა, ნავალ უშოვნი როგორმე წამალს, ღმერთმა ქნას, იქნება გონებაზედ მოვიდეს (გავა შუა კარებიდგან.)

ასანა. (მარტო) ერთი რამ სასწაულია ჩემთვისა! ძალიან კარგათ ვიცი რომ ნუხელ არ მეძინა და არც მთვრალი ვიყავ, ამისთვის რომ მახსოვს, როგორ ვჭამე ვახშამი, ხანის ცოლები გვერდით მყვანდნენ, ვათამაშე, საუზმე უთხარ სახვალიოთ და მეტადრე ლულა ქაბაბი. – ვაჟ ახლა ყუწლას უნდა გამოვესალმო, ნეტავი ის ამხდომოდა, რაც ჩემ ხანობაში დავამტკიცე, ხარაზ ასანას გაუჩინე ჯამაგირი, და იმის დედას თითო სინი ყაბლუ ფლავი და შარბათი, აი აქამდის არაფერი ანბავი არარის... მართლა იქნება სიზმარი იყოს, ლამის ჭკუიდგან შევიშალო. –

გამოსვლა 5.

[ქატიმ და ასანა]

ქატიმ ჩქარა შევა. –

ქატიმ. გასაკვრუწლი მიუნთომელია ასან შვილო! ამ საათში შემხუდა ჩუწნი მოვალე, მოჰქონდა შენი მიცემული თამასუქი. მე სრულებით მივიღე შენი შვილისაგან

ათი თუმანიო!

ასანა. იმან მიილო თავისი ფული, შენ მაგას მართალს ამბობ? ოჰ, ღმერთო ჩემო!

ქატიმ. აი ბარათიცა. –

ასანა. ინშალლა დამტკიცდა! ახლა გვაკლია ჯამაგირი და ყაბ-ლუ ფლავი შარბათით თუ რომ იმასაც მივიღებ დილ-ილეი ლილეი (მოეხვევა დედას.) დედაკაცო! ხარაზის დედავ! მოდი ჩემთან, ბედნიერები ვართ ყოველ ცხოვრებაში, უჟ! მაღლობა ღმერთსა როგორც მთა ისე არ მომშორდება ზურგიდან. –

ქატიმ. არვიცი რა ვიფიქრო! მე არ მიმიცია ლეილას მოცემული ფული, აქამდისინ ყუთში მაქუს შენახული. – ვინ მისცა ჩუჭნი ვალი იმასა. –

ასანა. ვინა? მე თითონ მე, ჰა რას იტყვი დედავ! მძინავს მე, მაგრამ ყუჭლას ვხედავ სიზმარში. –

ქატიმ. სად იშოვნე მაგდენი ფული. –

ასანა. ათი თუმანი განა ბევრია? მე შემეძლო ხუთასი თუმანი გამეცა. –

ქატიმ. შენ ნუხელის იყავ მოლასთან. –

ასანა. თვალითაც არ მინახამს. –

ქატიმ. მიანბე მაშ ეგ როგორ მოხდა.

ასანა. აი დედავ, მოლამ უჩივლა შენს შვილს.

ქატიმ. შენზედ. –

ასანა. არა შენ შვილს ასანაზედ. –

ქატიმ. ვისთან იჩივლა?

ასანა. ვისთან? ჩემთან.

ქატიმ. ქუ შე უგუნურო, როგორ შეეძლო იმას ეჩივლა შენზედ შენთან. –

ასანა. არა, მე მომცა არზა შენ შვილზედ... როგორ გაუგონარი ხარ! ესე იგი მე ხანსა აბდულ რახმანს შენს შვილს ხარაზ ასანაზედ გაიგე? –

ქატიმ. მერე.

ასანა. მერე და მერე, ათასჯერ ხომ არ გაგიმეორებ, რომ მე ხანი ვიყავ, ღმერთმანი შენ გამაგიჟებ. –

ქატიმ. მოდი შენ ამისი გაიგე რამე. –

- ასანა.** მე ღამით მაქუს ჩვეულება, საქმეები გადავსწავიტო, გუშინ ჩემმა მირზამ სხვა ქალაქებ შორის მომცა მე არზა შენ შვილზედ. –
- ქატიმ.** ამას ეშმაკიც ვერას გაიგებს. –
- ასანა.** მე ძალიან შემეცოდა სანყალი ხარაზი, უმეტესად შენა ბებერო და მაშინ მე უბძანე ათი თუმანი გადაუნყვიტონ ხარაზსა ჩემის ხაზინიდგან. –
- ქატიმ.** შენ კიდევ გონებიდგან ირევი. –
- ასანა.** (ყურს არ უგდებს.) ეს კიდევ ცოტა არის, მე შენ ჯამაგირი გაგიჩინე, ხედავ დედიდავ მე შენ შვილზედ ასე ვეცადე, როგორც ჩემთვს. –
- ქატიმ.** მე თავბრუ მეხვევა.
- ასანა.** ერთი რამ არ მამწონს, ანბობენ შენი შვილი ძალიან სვამს, ეგ ცუდია...
- ქატიმ.** შენ სრულებით გიჟი ხარ. –
- ასანა.** ყველაზედ ცუდი ეს არის, რომ ჩემი მეჯორის ქალსა თხოულობს, ასანა ღარიბია არა აქუსრა ტუტუციც არის, ლეილა კარგი გოგოა, ის წუხელის იყო ჩემთან და მთხოვა რომ ეგება ნება მივცე. (კარებს აბრაგუნებენ.) ვინა ხართ მანდა, შემოდით.

გამოსვლა 6.

იგინივე და ხანის ბიჭი.

- ბიჭი.** მე მიბოძეს ეს ქალაქი, აი აქუნდა მოვიტანო. –
- ასანა.** (კითხულობს.) აი ესარის ჯამაგირი (ბიჭს) უთხარი ძმაო მირზას, ასე გვიან რათა გზავნის ქალაქებს, სამ საათ წინ აქ უნდა ყოფილიყო ეს ქალაქი. –
- ბიჭი.** (იქით) ეე, ეს კიდევ ხანობას თამაშობს. –
- ქატიმ.** არ ვიცი რა ვიფიქრო! –
- ასანა.** (ანიშნებს ბიჭს.) სხვა ჩემო საყვარელო, რა ამბავია თქუჴნ სასახლეში ჰა? რას აკეთებს ხარ... ესე იგი ხანი... დღეს ნახე შენა? ხომ კარგათ არის.

- ბიჭი.** (თავისთვის) მოიცა მე შენ მტვერ შეგაყრი თვალებში, (მაღლა) ძალიან კარგათ არის, შენ თითონ გასინჯე, დღეს საუზმეთ შეჭამა ერთი დიდი სინი ლულა ქაბაბი და ერთი სინი ფლავი; რამდენი სხუა საჭმელები. –
- ასანა.** (თავისთვის) ხედამ იმ ავაზაკსა, მე მოვამზადებინე, იმას კი უჭამია (ბიჭს) მაშ არ შეგინიშნავს, იმას როგორ-ღაც ხარაზული ხასიათი აქუს. –
- ბიჭი.** დიახ ნუხელ ის შევნიშნეთ, რომ ჰსწორეთ ხარაზი იყო და დღეს კი ვერა, აი კიდევ მოგივიდათ ერთი სინი ყაბლუ ფლავი და ბარათი. (შემოიტანენ.)

გამოსვლა 7.

იგინივე და ორი ბიჭი.

- ქატიმ.** მე ეხლა ვფიქრობ აქ ჯადოსნობაა. –
- ასანა.** (ბიჭებს) დააწყევით აქა! ჭურჭელს მერე გამოგიგზავნით, აჰი თქუწნი ნაღების ფულები. – თავი დაუკარით ნაზირს. – დედაჯან! დაჯექ და ქეიფი გასწიე! ახლა ლეილაღა გვაკლია! მე უბძანე იმას რომ უნდა ჩემთან თავის მამათი მოსულიყო! –
- ქატიმ.** აი ლეილაღა...

გამოსვლა 8.

იგინივე და ლეილა.

- ლეილა.** (შემოვარდება. ასანას.) ასან! ასან, ახლა ჩუწნ ბედნიერი ვართ, მამაჩემი თანახმა ხდება ქებინის გაჭრაზედ. –
- ასანა.** სუ! სუ წყნარა ნუ გაამპარტავნდი... პირველათ უნდა შეიტყო, ვინა ხარ შენ და ვინა ვარ მე? –
- ლეილა.** ხა! ხა! ხა! როგორ შენ კიდევ ხანი გგონია შენი თავი

ხა ხა ხა!...

ასანა. ნუ იცინი. –

ქატიმ. განა მართლა ეს ხანი იყო? –

ლეილა. არა, მაგაზედ იხუმრეს და მაგ უგუნურმა ყველა დაი-
ჯერა. –

ასანა. რაო რაო?

ლეილა. ახ დედავ, რომ გენახათ ასანა ფარჩის კაბით ხა! ხა!
ხა! როგორ იბერებოდა ხა! ხა! ხა! სიცილით მოკვდე-
ბოდი.

ასანა. ნუ იცინი. –

ლეილა. ახლა მე ვილა ვიყავ? ახალი ხანის ცოლობას ვთა-
მაშობდი ხა! ხა! ხა! ასანა! ტყუილია ძალიან კარგათ
არ ვითამაშე ხანის ცოლობა, ხა! ხა! ხა?

გამოსვლა 9.

იგინივე, ხანი და ვეზირი.

ხანი. შენ უცხოთ ითამაშე ხანის ცოლობა და ქალობა. –

ლეილა. მისი მაღალ ხარისხოვნება აბდულ-რახმანი-ხანი. –

ყველანი. ხანი!

ასანა. (თავისთვის) ახლა კი ვიცი მე ვინავარ.

ხანი. (ასანას) შენ მე წუხელ კარგათ შემაქციე, მე დიდხა-
ნია ამდენი არ მიცინია, როგორც წუხელ და დღეს
დილას, რადგან შენ ფიქრობ პატივის-მოყვარებაზედ,
მიბოძებია შენთვის ჩემი ამილახვრობა.

ასანა. (დაიჩოქებს, კალთაზედ აკოცებს, ხანი გავა.)

ლეილა. ახლა რას იტყვი.

ასანა. მე ამას გეტყვი, რომ შენ ჩემი ხარ.

დასრულდა.

უხინმახინის ქუდი

კომედია ერთს მოქმედებად
მოქმედნი პირნი.

მარტირუზ რიბნიკოვი¹
სუსანა იმისი ცოლი

სვიმონ

მარტირუზას მდგმურნი აფიცრები

ივანე

კიკოლა მარტირუზას ბიჭი

ვარდუა მარტირუზას გოგო

(თიატრი წარმოადგენს მარტირუზას ოთახს, დგას დი-
ვანი და კარგი მებელი.)

გამოსვლა 1^{ლი}.

კიკოლა. (შემოვარდება კარებიდგან) ალავ. არავინაა ალავ იიმე! ქალბატონო! ქალბატონო. სად დაბნეულან უბედურები.

გამოსვლა 2^ა

კიკოლა და სუსანა. –

სუსანა. რაგაღრიალებს, ჭკვიდგან გამოხველ?

კიკოლა. არა ბატონო. – ავლაბრიდგან გამოხველ.

სუსანა. მერე.

კიკოლა: მერე ბატონო, აღასთვს მქონდა სამახარობლო: –

სუსანა. რა, თევზის ურმები მოსულან: –

კიკოლა. არა რავა მიხარიან, ჩვენი მდგმურნი აფიცრები მოსულან.

სუსანა. (მხიარულათ) შენ რათ გიხარიან?

კიკოლა. იიმე, კაი არიან, შენუ მამიკვდები, თავადები, აფიცრები, რავა ბზე ისდე აბნევენ ფულებს, ნუ გამინყრები ქალბატონო და თქვენთვისაც არ იქნება ცუდი, არ დეისკუჩნებთ ამ ზამთრის ღამეშიდ.

სუსანა. ჰო, კარგი ვინმებმა არიან ნასწავლნი არიან: –

კიკოლა. აჰ, მოგეცა ღვთის წყალობა, რავა ნასწავლნი ისინი იყვნენ: – უნდა გენახათ ბატონო, ბათალიონს რავა კაი ცხენს ისდე ატრიალებდნენ, ნაპრავა (თითონ მიტრიალდება მარცხნივ), ნალევა (მიტრიალდება მარჯვნივ), ასდე ჯარი მოტრიალდება. დედა! დედა! რავა მინდა რომ ლეკების ომში წავიდე, აგება აფიცრობა ვიშოვნო, კი ვიშოვი შენუ მამიკვდები, მარა რაუყო მე უბედურმა, ჩემივარდა ვარდოს სიყვარული (დაიჩოქებს) მიშველე შენის ღამაზის ფეხების ჭირიმე, თუარა მეტი აღარ შემიძლიან: – შემენიე ღმერთი გადღეგძელებს,² და იქნება თქვენც ქვე დაგჭირდება ჩემი თავი, მამისრჯულე ვარდუა შენი ჭირიმე.

სუსანა. (იციინის) რა! გინუნობს?

კიკოლა. ქვე პირი მომცა მარა ბატონო. ხან ასდეა, ხან ისდე,

ვერ დავაშლელი[ნე] ქუჩის კარებში ბზერა.

სუსანა. ვა! შენც იჭვები იცი?

კიკოლა. იიმე! აპა არ მქონდეს იჭვი? მოგესხენება მანდილოსანი თუ ასდე (მუჭას აჩვენებს) არ უჭირავს კაცსა; აჰ ნახდა შენუ მამიკვდები. –

სუსანა. ვეცდები რომ შეგროთ: –

კიკოლა. ოჰ შენი ჭირიმე, მიბოძე შენი ხელები დაგიკოცნო (ჰკოცნის ხელზედ, ამ დროს მარტირუზა შემოვა)

გამოსვლა 3^ა

იგინივე და მარტირუზა

მარტირუზა. ვა! ეს ინჩხაბარე⁷⁵ (გაშტერებული უყურებს.)

კიკოლა. (შეკრთება.) აა დევიმსე, ნახეთ ახლა, რავა გარდაირევა! (მალლა) რას მიყურებ ალავ, თვალთ ხომ არ დაგაკლდა, ვერ მიცან კიკოლიკა? –

მარტირუზა. გიცან, ახლა გიცან! გადი გადი ჩემი სახლიდან შე შე რაჭავ შე პლუტო – შე იმერელო.

კიკოლა. კი შენუ მამიკუდები, იმერელი ვარ ხსნორედ.³

მარტირუზა. გადი გადი მეთქი, გადი მეთქი (უნდა გაიყვანოს გარეთა, სუსანა არ უშვებს.)

სუსანა. ალავ! რა დაგიშავა?

მარტირუზა. რაო? კიდევ ხმა იღებ? შე შე ფუ, ფუ, ფუ, ნადი ნადი დაიკარგე ნამუსიანო ქალო, ფუ ფუ ფუ. ნადი ნადი, დედანთსა: –

სუსანა. რა ნახე ქოფაკო. ჰო რაზედ გადირიე: –

მარტირუზა. მართლა მე ქოფაკი, მართლა მე ვირი: – ბებე-რო ვირო, აიკიდე საპალნე, შეირთე ყმანვილი ცოლი, ახლა ყროყინებ, ვაი მჭვალი, მჭვალი ვკვდები.

სუსანა. ჯანი გაგვარდეს, რაზედ იჭირებ საქმესა: –

მარტირუზა. უი ვკვდები ვკვდები, მიშველეთ ქრისტიანებო, გამაცალეთ, წაიყვანეთ ჩემი ცოლი: –

75 [სომხ.] – რა ამბავია.

კიკოლა. (მოჰკიდებს ხელსა) ქალბატონო წავიდეთ: –

მარტირუზა. (წამოვარდება) ხედამ ყურუმსალსა, ეხლავ
პოლიც[ი]ას დაუძახებ, ცოლს მართმევ ყურუმსადო: –

კიკოლა. იმე თვით იძახდი, ჩემი ცოლი წეიყვანეთო. და მაშ არ
დამეჯერებია:

სუსანა. კარგი ბებერო ქოფაკო, ბიაბრუთ ნუ მხდი, ჯერ საქმე
შეიტყე რაზედ გაცოფდი?

მარტირუზა. (იქით) ჰხედავთ? რაზედ გაცოფდი?

სუსანა. ჰო გკითხავ, რა ნახე.

მარტირუზა. ეშმაკმა იცის შენი თავი რა! რა ვნახე, მეტი იქნე-
ბა შე სატანას ჩემო მაკლობავ, სირცხვილი არის ნეტა
კაცი იყოს ნახე: –

იმერელს ხელზედ პაჩი აქნეინე დიდი დე-ფუ გული
მერევა: –

კიკოლა. (იქით) ვაი შენს ყოფას თვთ⁴ გულასარევო: –

სუსანა. რო მკოცნიდა, რა გამოვიდა, ხელზედ მკოცნიდა: –

მარტირუზა. ჰო, ჰო, დავინახე რა გამოვიდა ვიცი რაც გამოვა
ჯერ ასე მპა მერე ასე; მპა... მერე: ასე: მპა...

სუსანა. მერე რისთვის მკოცნიდა?

კიკოლა. მერე, რისთვის ვკოცნიდი?

მარტირუზა. ეგ თქვენ გეცოდინებათ: –

სუსანა. დიახ ჩვენ ვიცით, რატომ არა მკითხავ.

მარტირუზა. აბა მითხარ თავიდან არ აირიო: –

კიკოლა. მე გითხრობ ბატონო, მე შემოველ აქანა გახარებული:
–

მარტირუზა. ჰო ჰო, რა გეხარებოდა: –

კიკოლა. მინდოდა თქვენთვის მეხარებია, მარამ თქვენ არ
დამხვდით და ქალბატონს ვახარე: –

მარტირუზა. რა ახარე! თევზი მოვიდნენო.

კიკოლა. არა ბატონო ჩვენი მდგმური აფიცრები მოვიდნენ: –

მარტირუზა. ჰო! ეგლა მაკლდა. ისე გაუხარია შენს ოჯახს, რო-
გორც მე ისე, ისე სიხარული შევიდეს შენ რაჭაში,
როგორც ჩემ გულში, ისე სიხარული ნუ გაუღიოს
ჩემი სალოცავი შენი ხონი, როგორც მე მიხარიან; –
გაიგონე! კარგი რამ მახარა, არა აქედან უნდა ავიყა-

რო! მახლას სად ჯანაბას უნდა წავიდე; სადაც წავალ ყველგან ყმაწვილი კაცები არ დამელევიან, ვა ახლა ეს რა ბალაა. ნეტა არვინ იცის ისეთი რო სულ ბებრები იდგნენ ჰა? არ არის განა; მაშ ვქნა; ნეტამ ეხლა ბუზი მქნა კრაზანა, როცა ჩემი ცოლი კურკური გა[ა]კეთებდა, მე იმას დავ[ა]ჯდებოდი, მე ვიცი სადაც დავ[ა]ჯდებოდი, ცხვირზედ უკბენდი, ასე დაუსიებდი, როგორც ზურნის ბოლო, მაგრამ ხელი რომ ამოეკრა მამკლავდა! ახ ნეტა ერთი უჩინმაჩინის ქუდი მომცა გარდაქეშანივით, დალოცვილი ვინც ყარამანიანი ემე ქნა, ის ჰიარების თილისმაც დაენერა და.. არა; არის კი უჩინმაჩინის ქუდი, ჩემი ცხოვრება მივცემდი, დავიხურამ თავზედ. აღარა ვარ, ჩემი ცოლი ესე რომ კურკური მურკური იქმოდა, მე ერთი გრაკლის ჯოხი, ჩანკ, ჩანკ უი უიის და ვაძახებდი კიკოლას ჰო მერე შენ გაათავე ხომ კარგი რამ მახარე, მერე ხელზედ⁵ რათა ჰკოცნამდი?

კიკოლა. თუ მათქმევები: – კი მოგახსენებ!

მარტირუზა. ჰო თქვი!

კიკოლა. ვარდუას თავს ვთხოვდი.

მარტირუზა. მერეო.

კიკოლა. მერე ქალბატონი დამპირდა.

მარტირუზა. რას დაგპირდა?

კიკოლა. ვარდუას მოცემას.

მარტირ. მერე?

კიკოლა. მერე მადლობა უთხარ და ხელზედ ვაკოცე!

მარტირუზა. მამა გიცხონდა მართლა?

კიკოლა. მამა მიცხონდა რომ მართლა.

მარტირუზა. მაშ სხვა არაფერი?

კიკოლა. იიმე აბა შენგან არ მიკვრს.

მარტირუზა. სუსანი! (დაიჩოქებს) ქუ მატალ⁷⁶ მაპატივე (მიჩოჩავს)

სუსანა. წადი წადი, შე ქოფაკო.

მარტირ. ჰო ჰო მითხარ, ქოფაკი ვარ. მოდი მცემე (მიდის თავს

76 [სომხ.] – შენ შემოგველე.

დაუდებს.) შენი ჭირიმე, შენი ლამაზი ტუჩების, შენი ლამაზი ძუძუებისა.

სუსანა. დამეხსენ ყოველ დღე აგრე ბიაბრუ მხდი. (ტირის)

მარტირუზ. ნუ ტირი, შენი ჭირიმე თორე მეც ტირილი ვიქ (ტირის. კიკოლას) კიკოლი მოდი, შენც ეხვენე ქალბატონს მაპატიოს.

კიკოლა. (მივა დაიჩოქებს და ტირის.) ქალბატონო გვაპატიე. (სუსანას გაეცინება. ამდროს შევლენ აფიცრები)

გამოსვლა [მეოთხე]⁶

იგივე და აფიცრები.

ივანე და სუსანა (იცინიან) მარტირუზ რას შვრები!

კიკოლა. ასკიკუკას ვთამაშობთ ბატონო ასტე! (თამაშობს)

მარტირუზ. (ღრეჭით) უკაცრავათა ისე ისე ქეიფი ნავედი. მშვიდობა თქვენი მობძანება კიკოლა? გადი სახლი მიართვი.

აფიცრები. (სუსანას) მშვიდობით ბძანდები, ვმადლობ ღმერთსა მშვიდობით ბძანდებით.

სუსანა. ვმადლობ ღმერთსა მშვიდობი[თ] და უვნებელად მობძანდით: –

მარტირუზა. (ღრეჭით) მშვიდობით და უვნებელად მობძანდით: –

სვიმონ. მარტირუზ ძალიან გაყმანვილებულხარ, ყოჩალი გამხდარხარ.

კიკოლა. კი შენუ მამიკვდები, ნახე წელან რავა ასკიკუკას თამაშობდა: –

ივანე. ამისთანა ლამაზი და ყმანვილი ცოლი ვის არ გა[ა]ყმანვილებს: –

მარტირუზ. დიახ დიახ ცოლი, ჰო ძალიან გაყმანვილებს.

სუსანა. დაბძანდით ბატონებო ინებეთ: –

მარტირუზა. კი! დაღალული იქნებიან, თავის ოთახში მოისვენებენ: –

სვმონ. არა ვართ დაღალულნი, ჩვენთვის სასიამოვნო არის თქვენთან გავატაროთ დრო: –

სუსანა. გთხოვთ მურაბა და ჩაი მი[ი]რთვათ. –

მარტირუზ. ვაიმე მჭვალი, მჭვალი (ტახტზედ დაეცემა.)

სვმონ⁷ და **ივანე.** მჭვალი არიქნათ ნამალი, მე ვიცი (სვმონ სუსანას) ქატო მოუშუშეთ.

სუსანა. ეხლავ, მოითმინე ალაჯან ქატოს მოვიტან (გავა)

მარტირუზ. უი! ბატონო, თქვენ ნაბძანდით ის ჯობიან ნუჰსნუხედებით. –

სვმონ. ივანე შენ აქ იყავ, მე წავალ დავაშურებ ნამალს.

მარტირუზა. გამადლობ გამადლობ მოვრჩი (დგება ივანე არ უშვებს.) –

ივანე. არა მარტირუზ-ჯან, ნუ დგები გაცივდები, დანე (დაანვეება, რამდენსაც წამოინევს, იმდენს დაანვენს). –

მარტირუზა. არა მიჭირსრა ბატონო, კარგათა ვარ. –

ივანე. აპა პა რა ხუმრობაა, მჭუალი ძნელია. –

მარტირუზ. გეთაყვა კნიაზ, ამიშვი ახლა ძალათ ხომ არ გამხდია ვათა?

ივან[ე]. საკურველი ჭირვეული კაცი ყოფილხარ, ხედამ როგორი ოფლი დაგასხა, გინდა თავი მოიკლა?

მარტირუზ. არა ვკვდები, დამეხსენ.

ივანე. შენი ნებაა, აი ადექ: –

კიკოლა. (შემოვა) ალავ ურმები მოვიდნენ.

სუსანა. (მოარბეინებს ქატოს.) აი ალაჯან დაიდე.

სვმონ.⁸ (აგური მოაქუს სალფეტკითა.) მარტირუზ სადა გტკივა, დაგადო.

მარტირუზა. არა მტკივარა, (სვმონს) მადლობელი ვარ, კარგათ გახლავარ, ბატონებო თუ შეიძლება პატარახან თქვენ სახლში მიბძანდით, შინაურობის საქმე მაქუს.

ივანე და **სვმონ.** უკაცრაოთ, მშვიდობით, (გავლენ). –

გამოსვლა 5.

მარტირუზა და მის[ი] ცოლი (მარტოკანი)

მარტირუზა. სუსანი?

სუსანა. რა გინდა?

მარტი. ერთი ჩემი თხოვნა აღასრულე!

სუსანა. ბატონი ხარ.

მარტირუზა. გინდა რამე ახალი გიყიდო?

სუსანა. რატომა.

მარტირუზა. აბა რა გინდა.

სუსანა. სალოფი.

მარტირუზა. სინჯაფი? ბატონი ხარ.

სუსანა. რაო? სინჯაფი?.. მაღლობელი ვარ, განა მიკიტნის ცოლი ვარ?

მარტირუზა. ჰო ჰო, დალასი იყოს.

სუსანა. რაღა მინდა, ეგ ხომ ქვეყანას ასხია.

მარტირუზა. მაშ სიასამური?

სუსანა. სიასამური.

მარტირუზა. ვრტნიკი?

სუსანა. არა, ვრტნიკი ახალ-მოდნისა.

მარტირუზა. რომელი ახალ-მოდნისა?

სუსანა. ბობრიანოვისა!

მარტირუზა. ვა! ღმერთი არარის? სამოცი თუმანი ერთი ვრტნიკი ღირს, განა ვის ასხია?

სუსანა. აბა ჯიგრაშენში წადი კვირასა, ფარაღათოვიანთ ცოლი ნახე, ბობრიანი ვრტნიკით ესე ემე უქნია – ასეთი გაბერილი დადის, როგორც ბატი, არავის უყურებს. განა მე იმაზე ნაკლები ვარ?

მარტირუზა. სუსანაჯან! გენაცვა პატარა მოიცადე, მალე კუტრი გახდება, ბობრის ვრტნიკი კონკურსში მივა! ტორგი გაჰყიდიან, მე ვიყიდი.

სუსანა. არ იქნება, ეხლა სარქისა[ა]ნთ ღაღო მიდის მ[ო]სკოვს დააბარე, რაც გინდა, როგორც გინდა, ისე მოვიქცე არ გაგაჯავრო გესმის?

მარტირუზა. გენაცვა, შენი ჭირიმე სუსანი – ბობრი ნუ, [სია] სამური შენი პატარა მარჯანი ტუჩების ჭირიმე!

სუსანა. მაშ კარგი არ გინდა მიყიდო, რა შავქუას აქნევ შენ

ცხოვრებას; შენი ქონება შავი მინამ უნდა გაიხაროს?
აბა თუ-ერთხელ შენ ჩემთვის გეფეშქაშებინოს რამე.
(ტირის)

მარტირუზ. კარგი კმარა გიყიდი.

სუსანა. მითხარ რა გინდა?

მარტირუზ. მანამ მოვალ შინ იჯექ –

სუსანა. ხომ მალე მოხვალ? –

მარტირუზა. ემ ნამს.

სუსანა. მაშ მოდი მოგეხვიო.

მარტირუზა. (ღრეჭით) მოდი, შენი გულისა. ტუჩები ტუჩები.

სუსანა. (შორიდგან აკოცებს და გაექცევა)

მარტირუზ. ვა! მოდი და?

სუსანა. (თითით ანიშნებს) ეგ გეყოფა, კაცებმა მალე იცით
მოხალისება – (გავა)

გამოსვლა [მეექვსე]¹⁰

მარტო **მარტირუზ.**

მარტირუზ. ცოლი. დიდი ცომი. ქართველები იტყვიან, ეს
რა უბედურობა ჩამოვარდა ჩვენი ვაჭრებში, ლა-
მის ცოლებმა დაგვაკოტრონ, – გაგიგონიათ, ერთი
დაიარეთ და აბა ნახეთ ჩვენი ცოლები კვირაობით,
თვითო ჩვენი ცოლი, ღირს ათას თუმანი, განათუ
თითონ, არა რაც ზედ ჰკიდია, იარალი, კაბა, სალო-
ფი, – დაილუპოს ის დღე, როცა ჩადრი გადავარდა,
ვა, განა ჩადრისთანა იქნებოდა რამე? – ჩადრო? პა-
ტიოსნების დამფარველო! ჩადრო! ქალის თეთრად
შემნახაო! – გაჩნდა კლოკები, ქრმების ჯიბის ამკლე-
ბი, ახლა ბობრი, – ვნახოთ თუ ბობრები რა ქნან,
აი დაინახამთ, – გეთაყვა. ვაჭრობაში ეს გაგონილა,
ღალღალს მამა ერთი ოთახი ჰქონდა, სპალნაც იყო,
გოსტინაც, სტოლოვიც, – შაფათობით მწვადი ძლივ
ჰსჭამდა, ვა მაშ ყველა იმითი მოუგია, ახლა შვილი

ნახე, ერთი დვარეცი დაუდგამს. – ცოლი ბობრით დაჰყავს, ჯანი გავარდეს დაარებინოს თავის ცოლი ბობრითა. თითონ გაკოტრდეს, ჩვენ რას გვემართლება ყაირათიანი ხალხსა, ჩვენც გაგაკოტრებს, მამ ხედავ ჩვენი ცოლები ბუნტი შვრებიან, ჩემი ცოლი ერთ თვე არის სპალნაში არ შამიშო, ბუტიაობდა,¹¹ ბოლოს გამოვიდა იმასაც ბობრი უნდა. – ეჰ რა ვიჩივლო, ძალიან ბევრი ამხანაკები მიყვეს. – წავიდე ურმებთან.

გამოსვლა [მეშვიდე]¹²

ვარდუა

ვარდო. (დაფიქრებული) კიკოლა არ მეშვეება ჯუარის წერას, მაგრამ რა მეშურება, დაგვიანების გარდა, მეტის მეტი იჭვიანია, დალაპარაკებული რომ მნახოს ვისთანმე, მგონია შემეჭამოს.

გამოსვლა [მერვე]¹³

ვარდუა და ივანე

ივანე. ვარდო, ვარდოჯან, მოდი, მოდი, ([ვარდო] გაეცევა და [ივანე] გამოუდგება)

ვარდო. კარგი შენი ჭირიმე.

ივანე. ერთი მაკოცნიე შენი გულისა. –

ვარდო. უკაცრავათ.

ივანე. პოუ – რამ გაგა[ამ]პარტავნა: –

ვარდუა. ვთხოვდები.

ივანე. მართლა! მომილოცავს მე ხეჩაშპერი ვიქნები.

ვარდო. ბატონი ხარ.

ივანე. ვინ გირთამს!

ვარდუა. კიკოლიკა.

ივანე. მართლა, უცხოა.

ვარდო. უცხოა, მაგრამ ეჭვიანია.

ივანე. მართლა ეგ ცუდია.

ვარდო. ასეთი ეჭვიანია რომ ჩრდილივით უკან დამსდევს.

ივანე. დაარწმუნე როგორმე რომ შენზედ ეჭვი არ ჰქონდეს.

ვარდო. როდი დამიჯერებს.

ივანე. ვიზედ ეჭვიანობს?

ვარ. უმეტესად თქვენზედ.

ივანიკა. მაშ ასე მოვახერხოთ, მე და შენ განგებ ვილაპარაკოთ, ასე რომ ის ყურს გვიგდებდეს, შენ იმისი ერთგულება გამოიჩინე. –

ვარდო. კარგი, მშვიდობით.

ივანე. აბა არ მომატყუო ვარდო! სად მიხვალ. –

ვარდო. ქალბატონთანა.

ივანიკა. მარტოა. –

ვარდო. დიახ!

ივანე. მაშ სვიმონს შევატყობინებ.

ვარდო. ოო, ოო, თქვე მოუსვენარნო. (გავა.)

გამოსვლა [მეცხრე]¹⁴

სვიმონ. (შემოვა)

ივანე. ძალიან მხიარულათ ხარ!

სვიმონ. სასაცილო საქმე უნდა მოვახერხოთ.

ივანე. რა!.

სვმონ.¹⁵ ეს რომ ჩვენი სახლის პატრონი სულ ყარამანიანს თურმე კითხულობს და მეტათ უნდა, რომ გარდანქეშან-აირი იყოს, უჩინ მაჩინის ქუდი იშოვნოს რომ თავის ცოლს უყარაულოს.

ივანე. მერე.

სვიმონ. შენ უნდა უშოვნო!

ივანე. როგორა.

სვიმონ. ასე რომ და[ა]რწმუნავე, ვითომ ერთი არაბი მოვიდა თავრიზიდან და იმან იცის ლოცვა, ორის სიტყვით

უჩინ მაჩინის გახდის. – მე იმ არაბათ გავხდები,
უცხო კამედია იქნება. –
ივანე. უცხოა, მამ იმერელსაც ეგ უნდა მოუხერხოთ. –
სუმონ.¹⁶ იმერელი რა საჭიროა...
ივანე. ვარდუას ირთამს და ეჭვიანია. –
სუმონ.¹⁷ მართლა მამ კარგი და მე იმას ვეცყვი.

გამოსვლა [შეათე]¹⁸

იგინივე და კიკოლა¹⁹

სიმონ. (ივანეს) შენ წადი (ივანე გავა) კიკოლიკო აქ მოდი, რა-
ტომ ჯარში არ წამოხვედი, მედალს იშოვნედი. –
კიკოლა. მოგეცა ღვთის წყალობა რომ ვიშოვნედი, მარამ რას
ვაქნევ მედალს. – აფიცრობას არ ვიშოვნედი! –
სვიმონ. ოჰ აფიცრობა ძნელია. –
კიკოლა. როგორ ძნელია! –
სვიმონ. აბა შამილას ხომ ვერ დაიჭერდი და სხვა საქმისათვის
არ მოგცემენ. –
კიკოლა. იმე, ვინ მიმიშვებს მასთან, თვარა კი შენ არ მომიკ-
ვდე მე ის დევიჭირო. – ... აჰა, ნეტამც უჩინ მაჩინის
ქუდი მაშოვნინა ახ. – დედა, დედა. –
სვიმონ. რომ გიშოვნო. –
კიკოლა. ეე კაი შენი ჭირიმე, თუ შეგეძლოს შოვნა, შენც ქვე
არ დეინუნებდი.
სვიმონ. ასრეთი პირობებით არის რომ მე არ შემეძლიან აღვ[ა]
სრულო.
კიკოლა. რა პირობა შენი ჭირიმე. –
სვიმონ. პირველათ ხიზილალა სულ არა ჭამო.–
კიკოლა. იმე, არა ვჭამ მაგაზედ ადვილი.
სვიმონ. კიდევ თევზი არა ჭამო.
კიკოლა. ძნელია მარამ, ქვე გავძლებ. – სულარ ვჭამ. ეჰ მოგე-
ცა ღვთის წყალობა. სხვა ჩემო ბატონო.
სვიმონ. სხვა ცოლი არ შეირთო. –
კიკოლა. ვეი მაგას კი ვერ ვიქ. –

სვიმონ. აბა მეც მაგისტრის არ მინდა...

კიკოლა. (ფიქრში) აჰა რავა ოხრათ დავ[ა]რჩენ ცოლსა, ვისაც ვისურვებ ჩემია და ჩემი (მალლა) არ შევიერთამ... სხვა ბატონო!

სვიმონ. ეგ არის. –

კიკოლა. აბა რას მთხოვ. – მოგეცა ღვთის წყალობა, მეც გავკეთდე და შენც გაგაკეთო. რა გინდა არ გიშოვნო, ცხენი გინდა თუ ფული, თვალი თუ მარგალიტი.

სვიმონ. აბა საიდგან.

კიკოლა. უიპე. – რაც ყვე[ე]ნს კაი ცხენი ჰყავს, დღე გადავვდეები და მოგგვრი. გავაღებ ზანდუკს! მოგეცა ღვთის წყალობა, დავბლუჯო ვოქრო თვალი და მარგალიტი.

სვიმონ. ეგ ხომ ცოდოა. –

კიკოლა. არა შენუ მომიკვტე, ვინცხლა წუნწკია და მდიდარი, რა უშავს მესამედი ჩვენ გვარგუნოს, გაგაკეთებ ერთობ, შენუ მომიკვდე განა აქ დავდგები! წავალ სტანბოლს, თეირანს ბაღდადს, ასე დეუცარიანებ ხაზინას რომ ესდე გოუხდნი. – აბა მიშოვნე ქუდი და გაძღვე ღვთის ფიცს, რომ აღგისრულო, გაგიყოფ ყველას. –

სვიმონ. კარგი ამალამ ჩემთან მოდი და მოვაყვანინებ არაბს, რომელიც ჰყიდის ას ოქროთ იმ ქუდსა. –

კიკოლა. ჰო ახლა კი შენი ჭირიმე შენი მუხლების.

გამოსვლა [მეთერთმეტე]²⁰

[კიკოლა და ვარდო]²¹

სვიმონ. (გავა კიკოლიკა მარტო, მერე ვარდოა.)

კიკოლა. რა მითხრა ამ კაცმა ეს! გავკეთდი ერთობ, ტყუილათ არ მითხრა ბოშა დედაკაცმა ქერს რო შლიდა, დიდი და მდიდარი კაცი შეიქნებო. – იმე! რალა გამიჭირდება, ფული არ დამაკლდება. – არა ჯერ დიდკაცობა უნდა ვიშოვნო, ადვილათ მომიკვდეს მტერი. – წავალ ჯარშიდ და რავა შამილა დადგება, ღამე უნდა

მივიდე, ქვე მეკი ვერვინ დამინახამს, შამილს დაინახ-
ვენ, მივალ ღამე და რავა ეძინება, ვსტაცებ აქ წვერ-
შიდ ხელს, მე არ ვეჩვენები, ხანჯალს ქვე დავანახებ.
– ბური აგელ ქოფაკ! ბური აგელ ქოფაკ! წემევიყვან
და მოვართმევ მართებელს, გამგზავნიდა ხელმწიფეს-
თან. ხელმწიფე მიბოძებს ერანლობას. – დავსჯდები
ქუთაისის ღრუბენატრათ და კაი ლუბერნატორი ვიქნე-
ბი ჭეშმარიტათ, უიპე, უიპე ჩემი ბატონი რავა მძიმეთ
დამიკრამს თავს, აპა მე ვაჩვენებ. – მივალ ესდე და
(ჩტო ტაკოე ხოჩიტ) რავა დამელიჭინება, მერე ვე-
ტყვი. (ზავტრა პრიშელ) ყოველ დღე მევიყვან, რავა
ჩურჩულს დეინყებს ხალხი, აიპე ჩვენი კიკოლიკა, და
მე ისდე ვეჩვენები. – სეკლეტარს ესდე ვეტყვი (ჩტო
ხოჩიტ,) (ამ დროს შემოვა ვარდუა ასე ყურს უგდებს)
აა ვარდო ჩტო ხოჩიტ!

ვარდო. წადი აბანოში ბოხჩით. –

კიკოლ. (დადის ჩქარა) შტო ხოჩით, შტო ხოჩით.

ვარდუა. რას გადარეულა, აბანოში ქალბატონი მიდის, წადი
ბოხჩით, ბოხჩით, ბოხჩით. –

კიკოლა. რას გადარეულა. ვერ შეიტყე ღრუბენატორი ვარ. –
(გავა.)

ვარდო. სანყალი რა მოსჩვენებია. (გავა)

გამოსვლა [მეთორმეტე]²²

[მარტირუზა]²³

მარტირუზ. (შემოვა) ჩემი სოვდის საქმე კარგა მოდის ჩემი
ცოლი დამპირდა კარგათ ვიქცევივო, რავქნა უნდა
უყიდო ბობრის ვრტნიკი, ფარალათოვ! განყდეს შენი
ვაჭრობა, შე პლუტო ქუჭყნის დამლუპაო, მაიცა
მაღე ჩაიფლობი ლაფში, მოსხნიან შენი ცოლი ბო-
ბრიან ვრტნიკს. ახ ერთი მართლა უჩინ მაჩინის ქუდი
მომცა, რამდენ მადლსა ვიქ. – იმ ფრანტს ვაჭრებს

სულ ასე დავაცარიელებ, ყაირათიან ჩაუყრი მადლი არარის? ახ ერთი უჩინ მაჩინის ქუდი.

გამოსვლა [მეცამეტე]²⁴

იგინივე და ივანე.

მარტირუზა²⁵ (ივანეს ვერ დაინახამს და ლაპარაკობს)

ივანე. მარტირუზ ბეგ.

მარტირუზ. ახ! უკაცრავათ!

ივანე. რას ფიქრში იყავით. –

მარტირუზ. ისე რალა ყარამანიანის ა[მ]ბავი გამეხსენა. –

ივანე. გარდან ქეშანის ქუდი გინდა? –

მარტირუზ. ეე კნიაზ, ბარემ მინდა მაგრამ ვინ მომცემს. –

ივანე. მე. –

მარტირუზ. ეე მასხარე კნიაზ!–

ივანე. არა შენმა მზემა მართალს გეუბნები.–

მარტირუზ. ვა? შენკი განყენდა! –

ივანე. მე ვერ ავასრულებ იმ პირობაებსა, ყმანვილი კაცი ვარ.

–

მარტირუზ. ვა რა პირობა? –

ივანე. გარდა თავისი ცოლისა არ შეიყვაროს. –

მარტირუზ. ვა ადვილია. – სხვა? –

ივანე. ლობიოს მეტი არა ჭამორა.

მარტირუზა. ეგ ჩემი ხელობაა, ხანდახან ახალი თევზი?

ივანე. არ შეიძლება. –

მარტირუზ. ეგეც არაფერი. – სხვა? –

ივანე. ბოროტი არა ქნარა. –

მარტირუზ. არა, არა შენმა მზემ, ჩემი ჯანის მზემ.. სხვა. –

ივანე. ეგ არის. –

მარტირუზ. მამ ჩემი ხელობა ყოფილა, ნეტავი მართალი იყოს?

–

ივანე. აი ცოტას ხანში დაგიმტკიცებ. –

მარტირუზ. ვინ არის? –

ივანე. არაბი. –

მარტირუზ. ფული რათხოულობს? –

ივანე. ას ოქროს. –

მარტირუზ. ორმოცათ არა იქს. აგება დავაჯეროთ, ვა მაგრამ
მახლას, რატომ თითონ არ მდიდრდება? –

ივანე. დაწყველილია იმას არ გამოადგება, მერე დავრიშია,
იმათში ცოდვია. –

მარტირუზ. ჰო ახლა მესმის, მაშ კარგი, ჯანი გავარდეს ორ-
მოცდა ათი მივცემ, თანხმა გახადე.

ივანე. მაშ ნავალ და გამოვგზავნი. – (გავა)

მარტირუზ. მართლა გეთაყვა, მართალირო გამოდგეს და
გავკეთდი რაღა ერთი ქართველის ტუტუცობა ნახ-
ეთ, თითონ არ უნდა, რა მუცლის ნებიერები შეიქნენ
და ხედავთ? ვა, სულ ლობიოთი არ არიან გაზდილნი,
ცოლი შეირთოს და, ნუ იარშიყებს. ეჰ ეს არის, სულ
ბედია, წერაა, რაც აქ არა ჰსწერია, არ იქნება, რომ აქ
ქართველს ფარი არ უზით. – ესე იგი ფული, ფარის
მაგიერ ქანი, ესე იგი ქარი. – (ისმის ფეხის ხმა) ეს
ვინ უნდა იყოს, ეს მეორე ფრანტი ხომ არარის? ოო
მეჯავრება, აბა იმის შუბლში და ამოდენა ქანი უზის,
მაგრამ ჰა საშიში ვინმეა რუსები როიტყვიან რა[მ]ე
არ გა[ა]კეთოს ჩემ შუბლზედ, ესე იგი რქები!

გამოსვლა [მეთოთხმეტე]²⁶

ივანე და მარტირუზა.

ივანე. (შემოვა) ის არაბი ეხლა ჩემთან მოვიდა. –

მარტირუზ. ორმოცდა ათი ოქროს მჯერდება.

ივანე. უფრო საკურველი გითხრა, ფულს არ იღებს.–

მარტირუზ. მაშ!

ივანე. არაფერს. –

მარტირუზ. ვა მაშ?

ივანე. ამას რომ კეთილ საქმეზედ მოიხმარო, თორემ მაშინვე

გამოჩნდებიო. –

მარტირუზ. ვა მაშ მოიყვა, მე დავარწმუნო!

ივანე. (გავა)

მარტირუზ. ვა მოძღვარს არ უთხრა, იქნება არა ქნას, მაგრამ ფული მივცემ, ჩემთვის ილოცამს. – (ისმის ფეხის ხმა)

გამოსვლა [მეთხოთმეტე]²⁷

[მარტირუზ, ივანე და არაბი]²⁸

მარტირუზ. ივანეს მოსდევს არაბი, მაღალი ჩაცმული.

მარტირუზ. სუფკარაპეტ (ბუტბუტებს და კანკალებს.)

არაბი. (ბუტბუტებს ლოცვას მაღლა.) ბიანი ჯა ბიანი ჯა. –

ივანე. აქ მოდიო!

მარტირუზ. (მივა ახლო.)

არაბი. ყუყ!

ივანე. დაიჩოქეო!

მარტირუზ. ყუყი ვქნა თუ დავიჩოქეო!

ივანე. დაიჩოქე ყუყი დაჩოქებას ჰქვიან!

მარტირუზ. (დაიჩოქებს.)

არაბი. აბა თულა, ნანა თულა, დადაგულა! (უფლის გარს იმას.) აბა თულა ნანა თულა დადაგულა (სამჯერ. შემოჰკრამს სილას მარტირუზას, ააყენებს ზეზე.) ორი სიდღვა გაისწავლა აგერ, უჩინო გინდა ასე თქუ. – მინგანქარდი. – აგრე გამოჩენა გინდა. ასე თქუ ჩიმი ქარდი და გაჩნდები. – ეს ქუდი დაიხურე და თქვი მინგანქარდი, დაიმალები უჩინო იქნები, მოიხადე ქუდი და თქვი ჩიმი ქარდი, მაჩინი იქმნები. – მაგრამ ფიცი ჰთქვი, ცუდი საქმე არ ჰქენ, თორე ძალა არ ექნება, აბა დაგლოცოს ჩემი მაჰმადა. –

მარტირუზ. შენ დაგლოცოს! მშვიდობით. გმადლობ, (კარში უნდა რომ გავიდეს.) აბა ერთი ვსცდი, ვნახოთ დამინახვენ თუ არა (დაიხურამს ქუდსა მივა და ყუყს ჯდება ივანეს და არაბს შუა.)

ივანე. დავრიშ ბაბა ჩემი ცხენი დამიკოჭლდა. –

არაბი. რათა?

ივანე. ესე წიხლი ჰკრა სვიმონის ცხენმა (წიხლსა ჰკრამს და წააქცევს მარტირუზას.)

მარტირუზა. ვა (მერე იცინის.) ვა გეთაყვათ ვერა მხედავს? მართლა ვერა მხედავს. – ახლა წავალ, ჩემი ცოლ ვეტყვი, თუ აფიცრები დაუძახოს ჩაიზედ, რამტენს შტუკებს გავაკეთებ. – ნეტა არ მინდა ჩემი ცოლი კურკური გაუკეთოს, იმ ფრანტი, (გავა).

გამოსვლა [მეთექვსმეტე]²⁹

ივანე, გარდა მარტირუზასი. [და სვიმონ]

ივანე. ხა! ხა! უცხოა.

სვიმონ. იმერელი არ გინახამს. –

ივანე. არსადკი არ წავიდეს ცხენის მოსაპარავათ და არ დაიჭირონ, წავიდეთ (გავლენ).

გამოსვლა [მეჩვიდმეტე]³⁰

სუსანა და მარტირუზა

მარტირუზა. ვა ჩემი ქეიფია, მინდა დავპატიყო, ვა ერთ ფინჯანი არ დავალევინო, კარგი ვინმეები არიან.

სუსანა. დაპატიჟე და გადგინყდეს. – წადი. –

მარტირუზა. წადი შენ ს[ა]მოვარი ემე ქენ.

მარტირუზა გავა.

გამოსვლა [მეთოვრამეტე]³¹

სუსანა და ვარდუა.

- სუსანა.** არ გაგეცინოს, მითომ ვერა ვხედამთ. –
- ვარლუა.** რა გამაცინებს, უნდა ნახოთ რარიგათ არის გადა-
რეული კიკოლა. –
- სუსანა.** იმასაც მისცეს ქუდი?
- ვარლუა.** დიახ. – თუ ისიც შემოვიდეს, თავისი ქუდი დაიხ-
უროს, ვითომ ვერა ვხედამთ.
- სუსანა.** კარგი იქნება.

გამოსვლა [მეცხრამეტე]³²

იგინივე, მარტირუზა, ივანე და სვიმონ.

- მარტირუზ.** მობძანდით ჩემო კნიაზებო, ჩემო სუსანი გთხოვთ
თავის ნაქნარს მოგართმევთ ჩაის! –
- ივანე.** მადლობელი გახლავართ. – სუსანა არაქელოვნას ვახ-
ლავართ. –
- სუსანა.** დაბძანდით ბატონო, ნურას უკაცრავათ. გოგო ს[ა]მო-
ვარი მოიტანე, აქ დაბძანდით. როგორ მოთავსდით
თქვენი ოთახებში, ხომ ხალვათათ ბრძანდებით.
- სვიმონ.** დიახ გმადლობთ, თქვენი ქმარი ასეთი კეთილი და პა-
ტიოსანი კაცია, რომ ცდილობს ყველას ასიამოვნოს.
- სუსანა.** (ჩაის აკეთებს და ლაპარაკობს.) დიახ ჩემი მოწიფული
ძალიან კაცია, ჩემთვისაც ძალიანა ცდილობს, ეხლა
გაუგზავნია მ[ო]სკოვ[ს] აბა რათ უნდოდა სამოცი
თუმანი ბობროვის ვრტნიკი უნდა მამიტანოს, ვე[უ]
ბნები თუ ალა, არ მინდა, არა, უთხრამს შენ ვისზედ
ნაკლები ხარ ასუმე.⁷⁷ – არ დამიჯერა გაგზავნა. –
- მარტირუზ.** (პუბლიკისკენ) ხედამთ დედაკაცია რალა. – აბა,
ერთი შტუკი ვქნა, (ადგება დაიხურამს ქუდსა და
იტყვის) მანგანქარდი მანგანქარდი (ვითომ ვერა ხე-
დავენ აფიცრებს ენას უყოფს ელრიჭება, მერე მივა და
ცოლს ლოყაზედ აკოცებს, ცოლიც ფინჯანს გადაა[ა]

77 [სომხ.] – ამბობს.

გდებს და დაიყვირებს.)

ივანე. რაიყო რად გადა[ა]გდე ფინჯანი?

სუსანა. (ვითომ ჯავრობს სვიმონს.) ეს რას შვრები, თავს პატივი მიეც. –

მარტირუზ. ესა ჰგონია ვახანკ⁷⁸ ესა ჰგონია. (მივა და ახლა აქეთ ლოყაზედ აკოცებს. – ქალი დაიყვირებს.)

სუსანა. შენს თავს პატივი მიეც სირცხვილია.

მარტირუზ. ვახანკ ვერა მხედავენ. – (გავა)

გამოსვლა [მეოცე]³³

იგინივე და კიკოლა

კიკოლა. (შემოვა და ვითომ ვერა ხედვენ.) ვერა მხედვენ, (მივა ერთი აფიცარის ჩაის დალევს. – ახლა მეორეს დალევს, ახლა სუსანასას დალევს) ვერა მხედავენ³⁴ უბედურები. (შემოვა ვარდო. – ამდროს აფიცრები და ყველანი ერთათ!) ჩემი ჩაი ვინ დალია, ჩემი ვილამ დალია ჩემი?.. აფიცრები იცინიან, უთუოთ შენ იქმოდი, არა შენ, უთუოთ თქვენ! (ივანიკა პუბლიკისკენ) რავა გადაირივნენ იარანალი ვარ ჰსწორეთ (ერთი აფიცარი ვარდუასკენ ახლო მივა კიკოლა ვარდუას აკოცებს.)

ვარდუა. (აფიცრებს) კაია კმარა შენს თავს პატივი დასდე. –

აფიცარი. რას გადარეულხარ. –

ვარდუა. მაშ ეს რა იყო?

ივანე. სად რა იყო?–

ვარდუა. წადი იქითა (მოვა და ივანე გაჰყვება და კიკოლაც უკან გამოუდგება.)

კიკოლა³⁵ (პუბლიკას) ღმერთი არ გაუნყრეს, არ მივაკარო, არ დამავინყდეს ეს სიტყვა არაბის, პუსტაკინკა (მივა კარებთან) როცა გამოჩენა მინდა, კინკაპუსტა. –

სუსანა. კიკოლი?

78 [სომხ.] – შორისდებულის.

კიკოლა. აგე დამინახეს!
სუსანა. ალა რაიქნა.
კიკოლა. აგერ მივდივარ. (გავა)

გამოსვლა [ოცდამეერთე]³⁶

სუსანა, სვიმონ, და მერე შემოვა მარტირუზა ქუდით.

მარტირუზ. (ესენი ვითომ ვერა ხედვენ – სვიმონ დაიჩოქებს, მარტირუზას გრაკლის ჯოხი უჭირავს.) მიგანქარდი მიგანქარდი? –

სვიმონ. სუსანი უკანასკნელათ გევედრები....

სუსანა. შენ თავს პატივი დასდე.

მარტირუზ. მანგანქარდი, მიგანქარდი!

სვიმონ. რა არის აგრე შენგან ჯიუტობა.

მარტირუზ. მანგანქარდი მაგანქარდი!

სუსანა. მე ქმარი მყავს.

სვიმონ. ბებერი სნეული.

მარტირუზ. მიგანქარდი მანგანქარდი.

სუსანა. არავიზედ მე იმას არ გავცვლი.

მარტირუზ. მიგანქარდი მანგანქარდი.

სვიმონ. კმარა მასხარაობა, მე შენ მიყვარხარ.

მარტირუზ. მანგანქარდი მანგანქარდი!

სუსანა. მე შენ ჭირივით მეჯავრები.

მარტირუზ. მანგანქარდი, მანგანქარდი!

სვიმონ. (ადგება) გაკოცებ მაინც (უნდა რო აკოცოს მივა შუაში მარტირუზა, და აკოცებს).

სუსანა. შენ თავს პატივი დასდე, თორემ კაი სილა მოგხვდება, წადი ჩემი სახლიდგან. – თორე ჩემ ქმარს ვეცყვი.

სვიმონ. დუელში არ გამამითხოვოს. – ნეტავი ერთი გამოვიდეს ვაჩვენო ჩემი სიმარდე (ასე მივა ახლო და ხელით ჭიხტოვათ შვრება და ჰსცემს მარტირუზას. ის ყვირის.) ვაი, ვაი, ვაი, ქალო მაშ არა? –

სუსანა. ათასჯერ არა, გადი მეთქი.

სვიმონ. მაშ კარგი, მე გიჩვენებ. – (გავა)

სუსანა. რა საძაგელი ვინმეა, რა კაცია, ჩემ ქმარში გავცვალო, სულელი ჩემ ქმარსკი ჰგონია რომ არ მიყვარდეს. – სულელი აბა ესე[ნი] არიან კაცები, ყადრი არ იციან.

მარტირუზ. სუსანი. (დაუჩოქებს.) –

სუსანა. ჰაჯან! სადა ხარ ალაგ?

მარტირუზ. ვა დამავინყდა – მოიხდის პარიკს – ჩი, ჩი, ჩი ჩიშ, ვა. ვაიმე, დამავინყდა, ვაი, ჩი; ჩიშ.

სუსანა. ვა მიშველეთ ეშმაკი უი, უი, (გაიქცევა.) ვაიმე ვაიმე. –

მარტირუზ. ჩი, ჩი, ჩიშ დამავინყდა, ჩი, ჩი, ჩხი ჩხი ვაიმე, უჩინო გავხდი. (ტირის.) ახლა ვილა მიშველის, სულ უჩინო უნდა ვიყო ჩი, ჩი, ჩხიფხი, ვაქ ღმერთო, შენ მიშველე.

გამოსვლა [ოცდამეორე]³⁷

[მარტირუზა და კიკოლა]³⁸

კიკოლა შემოვა.

კიკოლა. (ქუდით.) მიშველე ალაგ!

მარტირუზ. მიშველე კიკოლი! ვერა მხედამს. ჩიშ ჩიშ.

კიკოლა. პუ, პუ, პუ, კიკიკი.

მარტირუზ. ჩი ჩი, ჩი, ბიჭო მიშველე.

კიკოლა. პუ პუ აპა რა ეშმაკი გიშველო, უჩინო შევიქენ მარტირუზ, ვერა მხედამ განა!

მარტირუზ. ვა როგორ ვერა გხედავ მაგოდენა ვირსა. შენ ვერ მხედავ განა.³⁹

კიკოლა. როგორ ვერ გხედავ, აგე ზურნას გიგამს ცხვირი.

მარტირუზ. ტყუი ვირო, ვერა მხედავ?

კიკოლი. გხედავ სწორეთ, მაგრამ შენ! სტყუი ალა ვერ მხედავ?

მარტირუზ. აბა მოდი.

კიკოლა. აპა შენც მოდი (მივლენ ახლო ერთმანეთთან.) აი შენ არა ხარ. – აგე შენ არა ხარ.

მარტირუზ. აბა ხელი მახლე.

კიკოლა. აბა შენც მახლე (ორნივ ერთმანეთს უჭერენ ცხვირს ზედ.)

მარტირუზ. ნუ მიჭერ მხეცო, ვა მაშ ეს როგორ იყო?

კიკოლი. უიპე. – მაშ დევილუპე რავა მოხდა ვეჟო?

გამოსვლა [ოცდამესამე]⁴⁰

ივანე სუსანა ვარდუა აფიცრები (სიცილით)

მარტირუზ. ვა რას იცინით?

კიკოლი (ვარდუასა) შენ რას იცინი.

სუსანა. სულელო შტუკა გაგიკეთეს შენი მდგმურები. –

მარტირუზ. როგორ თუ შტუკა (იცინიან.)

სუსანა. შენი უჩინ მაჩინის ქუდი სულ ტყუილია.

კიკოლი. ოჰ. ნავხდით ალავ დაგვაბრიყვეს, შენუ მამიკვდები. –

მარტირუზ. რა? შტუკა მე ვირი ვუი მჭვალი (დაჯდება სკამზე-და.)

აფიცრები. არ იქნა ქატო.

მარტირუზ. არ მინდა, გადით ჩემი სახლიდგან. ხვალ პოლიც[ი] აში ვიჩივლებ (ცოლს) და შენ ქალბატონო გამიკეთე შტუკა?! მეც შტუკა გაგიკეთე, ბობრის მაგიერ მწვაფი დავაბარე. ჰე მოგკვდი, ვაი მჭვალი?

ფარდა ჩამოეშვება.

დასასრული.

წარსული ღრთების
სურათები

მოქმედი პირნი:

ივან მიკირტიჩ მინასოვი.

გაბრიელ, მისი ძმა.

ხანფერვან,¹ ივანეს ცოლი.

შუშანა, გაბრიელის ცოლი.

ტერენტი ლუკიჩ ლუჩკინ, სეკრეტარი კანტორისა.

ოჰანეზა

ლალუა მწერლები

კიკო

კიკოლა

ოტია მოსამსახურები

ღვთისა

ჯიმშერ აკუნიანც, მდიდარი ვაჭარი.

მარეხა, მისი ცოლი.

როზინა, ფრანცუჟანკა.

მარსელინა, პოლკა.

ვარდუა, ხანფერვანის გოგო.

[ბიჭი].

სურათი 1^ლ

ოთახი ხანფერვანისა, ტახტი კარგათ მოფენილი, ეტა-
ფერკაზედ აწყვია ვერცხლეულები. ტახტზედ მოკეცილი ზის
ხანფერვან.

გამოსვლა 1^ლ

ხანფერვან. სიმდიდრემაც ტყუილი ყოფილა! თვალი
მალე გაძლება და სული ხომ რალა! მაგრამ, ეს გული რათ ოხ-
რამს? ტყუილია, თუ გული მოსვენებული არ არის, სულ ფუჭ!
ვერც ოქრო, ვერც თვალი, ვერც მარგალიტი ვერ გაამთელებს,
ვერ გაამსებს გულის სურვილსა! ქალი, ამბობენ თუ ნახევარი
არისო, მართალია! ამ ქვეყანაში, მარტო ქალისთვის სიყვარუ-
ლი არის დაბადებული. დიახ სიყვარული! ღმერთმა დაგვინერა²
ქმრები შვილები უნდა გვიყვარდეს. ოჰ! ღმერთო რა რიგათ
მიყვარს ხომ ხედამ! მაგრამ რათ არის გულმა ცივი? წყეული
ფულები შვრებიან. მაგრამ არა ფულებსაც ასე ფანტავს ხანა,
როგორც ქართველი თავადი! თუ დიდი სოვდები არ აცლის?
მაგრამ არა სოვდები ჩემის ვსთქვათ³ არ ესმის, სულ ჩემ გა-
ბლერილი მაზლი. მთელი ქვეყნის ოქროები მუცელში ჩაიდებს
ასეთი ჭკვიანია რალა! დალოცვილი ღმერთი იმისთანა მახინჯი
თავში, ეს ჭკვა უნდა იყოს! რა ვქნა ჩემის შვილების ყურებით
ყველა უნდა დავივიწყო!

გამოსვლა 2^{ნა}.

ხანფერვან და შუშანა.

შუშანა. (შემოვა, დიდხანს უყურებს). ხანფერი რას
ჰფიქრობ?

ხანფერ. (ოხვრით) შავი ქვამა!

შუშანა. შავი ქვა შენ მტერს!

ხანფერ. განა ვინ მყავს მტერმა?

შუშანა. მთელი ქვეყნის დედაკაცებმა!

ხანფერ. ქა! რათა?

შუშანა. მათა რომ მდიდრები ვართ!

ხანფერ. ვა! ვის რა ნავართვით?!

შუშანა. ქვეყანა შიმშილით დავხოცეთ!

ხანფერ. როგორა?

შუშანა. ისე რომ მთელი ქალაქის კუჭები ჩვენ ხელშია!

ხანფერ. რას ამბობ?

შუშანა. რას ვამბობ, ტყუილია? აქაური ცხოვრება თევზია და სიზილალა.

ხანფერ. ვა! გეთაყვა! ჩვენი მოწიფულები, ხომ ორის ნილი ხალხს მუქთათ უგზავნით!

შუშანა. აბა ეგ არის! ვინც იანარალი, ვინც დიდი ჩინოვნიკი, მუქთათ ხეთქენ. ღარიბი ხალხზე ერთი ათათ ჰყიდიან! რამდენი წყევლა და ქოლვა არის ჩვენ თავზე!

ხანფერ. მაშ ეს წყევლა, მარტო ჩემ თავზედ რათ მოდის?

შუშანა. როგორ თუ მარტო?

ხანფერ. მარტო რომ... (ტირილით) უბედური ვარ!

შუშანა. რეებს ამბობ, ღმერთმა დაგიფაროს, რათა ხარ უბედური!

ხანფერ. ქრმითა!

შუშანა. ქა! ქმრითა მე უნდა ვჩიოდე და შენ ჩივი!

ხანფერ. შენ კვირაში ერთხელ მაინც პაჩის გიშვრება!

შუშანა. ნეტავი ჩემ ტუჩებსა! (იციინის) ბაყაყის ტუჩები თუ დამეკროს!

ხანფერ. როცა მოდის ერთი ტკბილი სიტყვა არ მეტყვის!

შუშანა. ჩემი რომ აღერსობს, თითქო ბაყაყმა ყიყინობს!

ხანფერ. მე მგონია მლალატობს!

შუშანა. ჩემიკი წმინდანი გგონია? თუ ერთი შევიტყვე!!

ხანფერ. რასა იქ?

შუშანა. სულ სათალით დასიებულ თავში ვცემ. (იციინის) თუარ დაიშლის მასუკან მე ვიცი!

ხანფერ. მე არც ერთი არ შემიძლიან!

გამოსვლა 3^ა.

იგინივე და ვარდუა და მერე მარეხა.

ვარდუა. მარეხა არის.

შუშანა. თვალმც დაუდგება!

ხანფერ. მობძანდი უთხარ!

(შემოვა მარეხა, ხანფერა და შუშანა მიეგებებიან და იტყვიან): „მობრძანდი მარეხ, დაბრძანდი“ (აკოცებენ ერთმანეთს. მარეხა კრესლაზე ჩამოჯდება ქშენავს და ოხრავს).

ხანფერ. დაილალებოდით ბატონო?

მარეხ. ეჰ! რალა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე.

ხანფერ. რატომ ჯერ ჯეილი ბძანდები.

მარეხ. ისე გაჯეილდეს ჩემი ქმარმა, ისე ჯანმა ნაუვიდეს ჩემი გაუმადლარი ქმარმა!

შუშანა. ვა! განა შენც ქმარ უჩივი?

მარეხ. ბას არ ვიჩივლო! ის გაუმადლარი ღორმა, გეთაყვა ჩემი სარეცხით გამდიდრდა. ის ოჰყაბაზი⁴ გავხადე და ნახე ეხლა ჩემთან ჯდომას არა კადრულობს.

ხანფერ. აბა მართალი ყოფილა! ნეტავი ქართველების თავადის ცოლებსა, მიტომ უყვართ ცოლები, რომ ჯიბეში დიდი მარხვა უძევთ. მაშ! რომ მოვა ცოლს უალერსებს. ჩვენი ქრმები ასე შემოვლენ ჩვენთან თითქო სულთანი იყონ! ყველა გაქვთო, რალა გინდათო! თავზედ დაიყარონ ოქროები.

მარეხ. აი სანამლავათ გადაექცეთ, ჩვენი ქმარებსა.

ხანფერ. არა გეთაყვა სულ სწყევლამ, მე ძალიან მიყვარს.

მარეხ. (შუშანას). შენცა?

შუშანა. რატომ.

მარეხ. ახლა ეგ ხომ სნორე არ არის! შენი ქმარიც ფინთი ვინმეა!

შუშანა. ჭკვიანი მაინც არის!

მარეხ. ჩემი უჟმური კი არ არის ჭკვიანი, აი ინა დავადე იმათ ჭკვამა! არა ამაზედ მამკალით, და ისიც არშიყობს!! მერე ვიზედა? ყვითელმა ლემცის ქალზედა! ფუ! გინახამთ მინა ანუ

კომში?! არა მე რით მიწუნებს? ჯერ ხომ ბებერი არა ვარ.

შუშანა. ვინ ლემენცის ქალია?

მარეხ. აი კარგი ემე რომ აქვს... მალაზია!

შუშანა. ამბობენ შენი ქმარმა მისცა ფული!

მარეხ. ბას მთელი დღე იქა ზის, უყურებს თვალებში, როგორც რუსული დიდი ქოფაკი და დორბლებმა ჩამოსდის (იციინის). ფული არა, მეც გამყიდის ერთი იმის პაჩისტვის.

შუშანა. ჩემი ქმარი კი მაგისტანა არ არის.

მარეხ. ბევრი იცი!

შუშანა. განა იმასაც ვინმე შეიყვარებს?

მარეხ. ვა! განა თუ იმათი თავი უყვართ, იმათი ფულე-ბი! გესმის!

შუშანა (ხანფერაზე აჩვენებს) ამისი?

მარეხ. ვა! მაგის რაღა!.. თითონაც უყვართ და მისი ფულეებიც.

ხანფერ. ნეტავი ვიცოდე თუ ვინა?

მარეხ. განა თუ ერთი, ათი... ათასი.

ხანფერ. (გაჯავრებით) არა ის ისეთი არ არის, იმას სო-ვდისაგან არ სცალიან! კანტორაში ზის.

მარეხ. ჰო! აბა ის კანტორა არის თქვენი მომკლელი!

თქვენი ქრმებმა კანტორაში

ქალები ჰყავთ დამალული.

პისრები, რომ გავლენ კარში

შეექნებათ სიხარული.

შევლენ დუშკებს ეხვევიან,

ჰკოცნიან, ეხუტებიან,

ზაკუსკობენ, პროშტაობენ,

იციინიან და ხუმრობენ.

ფულ აძლევენ და თვალებსა

ცოლებს გვიშრეტენ თვალებსა!

ჩემი ქმარმა უჟამური,

დილით უგდეთ აბა ყური,

ჩაის რომ სვამს ნემენცურად,

სიტყვებს სწავლობს ის ქაჯურად.

შუშანა. რას ეუბნება არ იცი?

მარეს. რა ჯანაბა დავისნავლიდი, ორი სიტყვა გაყრან-
ტალე ამთენი ენა მოვიტეხე.⁵

იხ ლიბენ, ახ ლიბენ.⁷⁹

თუ მოვასწარ ასეთს უკბენ

ვირივით დავალრიალებ

ფერ მუარ⁶ თავში ვახალებ.

შუშანა. განა ფერ მუარმა გაჩუქა შენი ქმარმა.

მარეს. იცი რა? იმ ლემენცის ყვითელმა გონბიომ
მიფეშქაშა, კარგი რამარის! მაგრამ, ეს ჩემი ქმარის შტუკაა! აი
თუ მეც გაუკეთე შტუკები!

ხანფერ. რა უნდა უყოთ ღმერთმანი, ჩვენ ხომ იმათ
ვერ დავიჭერთ.

მარეს. მე გაგიკეთებთ მაგ საქმეს! მშვიდობით კარგა
იყავით, ნუ შეუშინდებით თორემ უარესი გიზმენ! (გავა).

გამოსვლა 4^{ბა}

იგინივე და ივანე.

ივანე. ვინ იყო ეხლა ეგ დედაკაცი?

ხანფერ. მარეხა აკუნინანცის ცოლი.

ივანე. რამთენჯერ მითქვამს ნუ უშვებთ აქა.

ხანფერ. რატომ?

ივანე. ამიტომ რომ მე მეჯავრება ის მახინჯი.

ხანფერ. რავექნა სულ ლამაზები სად მოგიქუჩო? სხვა-
გან გეყოფიან.

ივანე. შენი თავის მზემ სულ ჩემთვის არიან გაგიჟებ-
ული.

ხანფერ. ჩემი თავის მზემ რომ აგრეა.

ივანე. კარგი მამა გიცხონდა, ხელი აიღე დავიდარაბა-
ზე, კანტორაშიაც მეყოფა ჯავრობა.

ხანფერ. (შეხედავს შუშანას) განა კანტორაშიაც ჯავ-
რობ?!

79 [გერმ.] – მიყვარხარ

ივანე. ბას.

ხანფერ. იმ არ მეგონა!

ივანე. ჰო! მომაგონდა, ის ბრმა დედაკაცი იცით რათ იყო? დაგვჯაშუშა.⁷ დღეს სოვეტში იქნება ლაპარაკი თევზზედ.

ხანფერ. რა ლაპარაკი?

ივანე. თევზს გვართმევს ჯიმშერა.

ხანფერ. როგორ თუ გვართმევს?

ივანე. ისე რომ ფული უმატებს და ამბობს ქალაქის ღარიბ ხალხს ხუთასი ურემი მუქთათ მივცემო.

შუშანა. განა რატომ თქვენც ისე არა იქთ.

ხანფერ. მაღლსა შვრება რო ღარიბი ხალხი მუქთათ აძლევს.

ივანე. ძერვიკალ⁸⁰ შენი საქმე არ არის!

ხანფერ. რამდენი გწყევლიან!

ივანე. არ გაგიგონია ქართული ანდაზა: ნყევლა მწყევ-ვარსაო. დიდი კაცების მაღლობა მაშ არაფერი?

ხანფერ. არცარა იმადგან გამოდის.

ივანე. ვა! ერთი უყურე და დედაკაცი!! მაშ რომ პარპაშობ ვისგან არის? იცი მამა ჩემი კევი ჰყიდდა! ეხლა ბლალაროდნი ხარ! განა ის ბლალაროდნი, ქართველი ფეხშიშველა აზნაური! ჩემი სახელი ევროპიამაც იცის.

გამოსვლა 5^ა

ივანივე და კიკოლა.

კიკოლა. სოვეტის იანარალია! (ივანე გავა).

სურათი II^ა

მდიდარი კაბინეტი. ჯიმშერ ფრაკით ზის დიდ სარკეს წინ და გვერდით უდგას პორტრეტი ქალისა.

⁸⁰ [სომხ.] – გაიგე.

გამოსვლა I^ა

[ჯიმშერ]

ჯიმშერ. (ჩაიხედამს სარკეში და მითომ ქალს ეაღერსება). ვი ბეფინენზი ზის? ის მეტყვის ბლაღადარუ. მე ვეტყვი: მეინ გოტტენ. ის მეტყვის: მეინ ლიბენ. მე ვეტყვი: იხ ლიბენ, ოჩენ ლიბენ მეინ კონილუმ, ის მეტყვის მეინ კონინდ.

მაია დუშკა პაცალუი
ია დამ მოი გული
მოი ყიზნუ მოი ყელუდოკ!
ია პრიშლიუ ხაროშ პადაროკ.

გამოსვლა II^ა

[მარეს და ჯიმშერ]

მარეს. (შემოვარდება და განცვიფრებით უყურებს) რას ბოღამ?

ჯიმშერ. ქეიფში ვარ.

მარეს. რა გიჭირს! რო ქეიფობ ღმერთი არ არის? ერთხელ ჩემთანაც იქეიფე!

ჯიმშერ. ვა! შენ კიდენ⁸ ქეიფი გინდა, ახარ აღარ დაბერდები!

მარეს. გინდა რომ დავბერდე, ჰაი თუ გინდა გულით, რომ მოვკვდე. რაც ჩემთვის გინდა ღმერთმა შენ მოგცეს.

ჯიმშერ. მე არავისთვის ცუდი არ მინდა.

მარეს. აი ქუ აჩკიმ,⁸¹ შენ არ გინდა რომ მინასოები გააკუტრო!

ჯიმშერ. რა ეშმაკი გააკუტრებთ, – ქვეყნის კუჭი მაგათ უჭირავთ. – ვნახოთ დღეს რა გამოვა.

მარეს. არაფერი! შენ იმათი ჩოტკები ვერ მიხვდები. შენ ალაღბედზედ თუ ეშმაკი ნაგანყვეტამს ფულუბზედ.

81 [სომხ.] – შენს თვალებს.

ჯიმშერ. შენი ბაიყუში თავის მზემ.

მარეს. ბაიყუში შენ შე ქოფაკო! ჩემი ბედით არ გაკეთ-
დი?

ჯიმშერ. შენმა მზემ შენის სილამაზით არ გავეკეთდი!

მარეს. შე კროვ! შენ არ იყავ ნარგიზას ბარგი ვირივით
დაგქონდა ბაღებში. პაჟარნების ნასუფრალით რომ ძღებოდი!
მე არ გაგაძღე!

ჯიმშერ. კრო, მამა გიცხონდა, შენკი დიუშემას
ჩამომავლობისა ხარ!

მარეს. მამა გიცხონდა შენკი პარიჟიდგან მოხვედი! შე
გუშინდელი ქუჩის ბიჭო! შენ არ იყავი ხიზილალის ბოჩკაზედ
რო გცემეს... ვა ეს ვინ არის? (უყურებს პორტრეტს) ლემენცის
გომბიოა.

ჯიმშერ. მამა გიცხონდა შენა გგავს აი!

მარეს. (წამოავლებს პორტრეტ, თავში ჩაარტყამს და
დაამტვრევს). წადი და ახლა იქეიფე! შე არამზადავ! ქოფაკო!
ფუ! ფუ! შენ ნამუსსა!

გამოსვლა 3^ა

იგინივე და ბიჭი.

ბიჭი. იანარალი მობძანდა ჩვენი მდგმური!

ჯიმშერ. (წამოდგება). არ გამეცლები, შე ეშმაკის
ჩამომავლობავ.

მარეს. თვალ მოგთხრი არ გავალ!

ჯიმშერ. მამა გიცხონდა ბძანდებოდე მანდა. (გავა და
დაჰკეტამს კარს).

სურათი III^ა

კანტორა; პისრები სხედან და სწერენ. გაბრიელ დადის
ოთახში.

[გამოსვლა 1^ა]-

[ლალო, გაბრიელი და ლუჩკინი]

ლალო. განჯიდგან მოვიდნენ კაცები ალა!

გაბრიელ. რა მოიტანეს?

ლალო. აი დანერილია (კითხულობს) სამი ჯეირანი, 30 დურაჯი, 20 კაკაბი, ერთი დიდი ირემი ღვთისავარამ მოიტანა.

გაბრიელ. ჰო! ცხონდა მამაშენი, ხომ მიეც ფული?

ლალო. მივეც ალავ!

გაბრიელ. Лучкин!

Лучкин. Что прикажете?

გაბრიელ. Возми мушей и отнеси управляющи денег и четыре пару дураджи.

Лучкин. Слушаюсь.

გაბრიელ. Лучкин запиши (ლუჩკინი დაჯდება და სწერს). Главному чнелу две бочонку икру, две саталу, мореновану осетру, 10 пар шамаію и 12 дураджи.

Лучкин. Написал!

გაბრიელ. Другому чнелу один бочонку хизилалу, пара сатал, два кабаи, третьему чнелу и остальным также. – Безногому генералу жестенку желтый хизилала, 30 бутлику красни вину, мореновану осетру и банку варенья джанджиапилу.

ლალო. ამეები როგორცა სწერია ისე გაგზავნე! კიკო შენ ქართველ იანარაღთან წადი, მოკითხვა უთხარ, ჯეირანი მიართვი, ყვითელი ხიზილალა, ერთი თუნუქა ზუთხი! ოცი ბოთლი კახური.

გამოსვლა 2^ა.

ივანე და ივანე.

ივანე. Всех паслал?

გაბრიელ. Всех чнелам.

ივანე. ვა! რით ვერ ისწავლე, ჩნელამ კი არა ჩლენამ.

გაბრიელ. არა უშავსრა!⁹

ივანე. კნენებს?

გაბრიელ. ჯერ არა! Лучкин пиши! Кнейна Сидонія две бочонки хизилалу, 1 толстый балик! Всех Кнейнам также.

ივანე. Прибавь по десяти бутылка красный вино. ნაჩალნიკი ჩამოსულა და იმასთან გლუხარიჩიცა დგას, გაუგზავნე რამე!

გაბრიელ. ვინ გულხარიჩი!¹⁰ Чорный камен ему!

ივანე. ხელი აიღე ასეთს ლექსებს მოიღებს სულ ბი-აბრუთ გაგვხდის!

გაბრიელ. აგება ყვითელი ხიზილალა შეჭამოს!

ივანე. გეუბნები მეთქი!

გაბრიელ. იმან გაიღებს, განა მეკი ვერ მოვანყობ!

ივანე. (იციინის) აბა ერთი.

გაბრიელ. Гаго пошли начальнику

Бочку икру и балику,

Красни вину шесть бутлику,

Глухаричу пошли [куку] bis (იციინიან)

ივანე. მე გეუბნები გაუგზავნე! თრიატი გამოიღებს!

გაბრიელ. მერე კაცია ითამაშებს! დირექტორი მითხრა მალე გამოვადგებთო!

ივანე. რა გამოვა დაბეჭდამს.

გაბრიელ. ცენზური ვერა ვნახე! Лучкин! Пошли цензурный начальнику, икру бочонку, пара балику 30 бутлик вино! Всем чнелам по полубочонку икру и по 16 бутлику вину. მართლა მამაგონდა! კიკო, ხორცისა რა თქვა ყორხმაზამ? ხომ დიდი კაცები მადრიელები არიან?

კიკუა. ძალიან აღავ! მაგრამ ამქრებმა აყალმაყალობენ.

ივანე. გაბრიელ უსტაბაშები უნდა ვნახოთ!

გაბრიელ. ეჰ! ყარტა მურტა ხალხიც უნდა ძღვენი მი-ვცე. მაგაზედ ლათაიას გეტყვი:

Все на свете есть ფუჭი.

Большой человек любит куჭი!

Пошли икру и балику

Шамаію и сардинку
И мясо филейный
Лососина линейный
Из всех больших чиновники
Зделать дешево покупки
За то наши они будут!
За нас станут кричат будут.
და ჩვენ ვაჭრებს მუცლიანებს
საძაგლებსა შურიანებს
ხოვც კარგ მივცემ სულ არტალებს
ამით დაუყენებ თვალებს!
ქართველებიც ვინც დიდია
სულ ჩემ ჯიბეზედ ჰკიდია
გაუგზავნი ჩალაღაჯი
გლუხარიჩს თავზედ [...] (იციინიან)

ივანე. თუ იმან ჩვენ რა გვიყოს და ნახამ!

გაბრიელ. ვა! შენ გადიკიდე! შენ არ უთხარ პრიკაშ-
ჩიკათ დაგიჭერო, როცა ბატონობა აღარ იქნებაო!

ივანე. ვა! მე მართლის გულით უთხარ! ანობენ ანჩხ-
ლია მაგრამ ჩესტნობსო!

გაბრიელ. შენც მინამ იტყვი, სიტყვა უნდა მოხარშო
ხოლმე... ჯერ ისევ ბატონები არიან, ამოდენა გული აქვთ!

გამოსვლა 3^ა.

ივინივე და ოტია.

ოტია. (შემოვარდება უცებ). ალავ! ამქრები აბუნტებუ-
ლან! ლემენც მიუხტნენ ვერ იპოვეს, იძახდნენ უნდა მოვკლა-
თო! კნიაზ ყარამანას ფანჯრები დაუნტ[ვ]რიეს, ისიც დაიმალა,
ახლა აქეთ მოდიოდნენ და კამენდატმა ნაობახტიდამ ჯარით
დააყენა. მართებელთან ბალკონ ქვეშ არიან და ყალმაყალი
აქვთ.

ივანე. რო გეუბნებოდი! (შეშინებული) ნავიდეთ თავს
უშველოთ!

სურათი IV^ბ

დიდი ზალა, გრძელი სტოლი წითელ მაუდგადაფარე-ბული, სხედან რამდენიმე გენარალი ვოენისა და სტაცკისა. ერთი ჩინოვნიკი კითხულობს.

Чиновник. Т-скій гражданин Акуніянц представил докладную записку, что если главному начальству угодно будет растрочить подряд Минасовых и передать ему, то он прибавляет в год 80 т. руб. сер. и для удовлетворенія т-ских несостоятельных жителей он в год жертвует 500 ароб рыб!

Президент. Иван Карлович ваше мненіе?

Член. Хотя гражданин Акуніянц представляет казне выгоду ежегодно 80 т. р. и жертвует в пользу города для бедных жителей 500 ароб рыбы безвозмезно, но я нахожу невозможным передать этот ключь единственнаго дохода на Кавказе без публичнаго торга. А по моему соображенію скорее можно уважить просьбу Минасовых, потому что назад тому три года они по торгу прибавляют более 300 т. руб. и хотя в продолженіи трех лет по случаю войны они понесли убыток. Но если отдать подряд еще на три года Минасовым, то они так улучшат этот промысел, что наверно возвысится при новых торгах до милліона. По уваженію их трудолюбію и по расчету, лучше отдать Минасовым еще на три года, нежели отдать без торгу в руках неопытных и непрокличных людей, за ничтожную прибавку и 500 ароб гнилой рыбы, которая принесет не пользу, а распространит болезни. Вот мое мненіе Мм Гг. и мой взгляд в отношеніи этого дела.

Презид. Господа члены! Что вы скажете на светлый взгляд и безпристрастное мненіе Ив. Кар.

Все члены кроме однаго. Мы все согласны.

Презид. Вы Г. граф тоже согласны?

Граф. М.м. Г.г. Позвольте мне сказать несколько слово насчет этого дела. Гражданину Акуніянцу можно было уважить, но как его пре-ство говорит незаконно без публичнаго торгу (სხველებს დიდხანს და მერე ხველით იტყვის) Извините Г. желтый

хизилала так у меня язык отнял, что говорить не могу.

სურათი V^ა

ივანე და გაბრიელ. როზინა ქრანცუჟანკა და მარსელინა პოლკა, სხედან სტოლზედ ზაკუზკა აქვთ გამლილი, შაპანსკები და კახური ღვინო.

[გამოსვლა 1^ლ]

ივანე. როზინა ასანტიე!

როზინა. (იცინის) ნონ! ნონ! სკაჟიტ ავოტსანტიე!

ივანე. ავოტ სანტიე!

როზინა. კარაშო!

გაბრიელ. მარსელკო! კაკ პა პოლსკი ზა ვაშე ზდაროვიე?

მარსელინა. ზა ტვოე ზრდავიე!

გაბრიელ. აკაკ ნადო ლიუბლიუ?

მარსელინა. იაცე კოხამ!

გაბრიელ. იაცე კოხიმ!

მარსელინა. ნე კოხიმ ა კოხამ.

გაბრიელ. ვსერავნო, კოხამ, კოხიმ!

ივანე. ვულევუ ლოჟუ ან ტიატრუ?

როზინა. კესკილდი? შტო გავარიტ?

ივანე. ვულევუ ლოჟუ ან ტიატრუ. ტოესტ ხატიტე სევოდნია ტიატრუ ლოჟუ ვაზმიუ?

როზინა. ვუი, სე ბიენ!

გაბრიელ. ატი ხოჩიმ?

მარსელინა. ხცე.

გაბრიელ. შტოტაკოი ხცე?

მარსელინა. ზნაჩიტ ხაჩუ.

გაბრიელ. ივანე! ეს პოლშური რუსული ქაჯურია!

ივანე. გაბრიელ! მოდი შენი დუშკის სადღეგრძელოს დავლევ პროშტით?

გაბრიელ. მაშ მე შენის დუშკის სადღეგრძელოს დავ-

ლევ!

ივანე. კარგი (სმენ სადღეგრძელოს და ჰკოცნიან. ყავ-
ასა სმენ და ადგებიან სტოლიდგან, ბიჭი აიღებს სტოლსა და
გავა).

როზინა. ჟან! ვუღევეუ დანსე?

ივანე. ბიენ! (ადგებიან და პოლკას თამაშობენ. მარსე-
ლინა წამაავლებს ხელს გაბრიელს).

მარსელინა. ბენძემ ტანჩიც?

გაბრიელ. კუდი ტაშჩიტ?

მარსელინა. ახ ბოჟე, ლიასკავი ტანტაც – ტანცოვაც.

გაბრიელ. ნეტ, ია ნე უმეუ.

მარსელინა. ია ცე ნაუჩე!

გაბრიელ. რაო კმინჩი?

მარსელინა. ნაუჩე – ნაუჩე!

გაბრიელ. ჰო! ნაუჩი!

მარსელინა. (ასწავლის). პრავე ნოგუ ზდიმ!

გაბრიელ. შტო?

მარსელინა. პადნიმაი ნოგუ პრავე (გაბრიელ აიშვერს
ფეხებსა და დაბარბაცდება). პრავე ნოგა ნაფშუტ!

გაბრიელ. ახ ტი ქარაფშუტ!

მარსელინა. ცუ მოვიშ?

გაბრიელ. (უაღერსებს) ტი მოი ქარაფშუტ!

მარსელინა. ჩტო ტაკოე ქარაფშუტ?

გაბრიელ. ეტა ლასკანიე (ივანე იცინის, მარსელინა
ატრიალებს გაბრიელს და ამბობს): რას, დვა! რას დვა!

გამოსვლა II^ა

ივანივე და ბიჭი.

ბიჭი. არიქა ბატონებო! ქალბატონები მოდიან კიბეზედ!

ივანე და გაბრიელ. აი გაგინყრა ღმერთი!

ბიჭი. ჩქარა დაიმაღენით სადმე!

ივანე. სად ჯანაბას დავიმაღნეთ?

როზინა. კესკისესა?

მარსელინა. ტოტოესტ?

გაბრიელ. კესკისა შენა და კვენესა; მოი ი იელო ჟენა იდოტ, მი პრაპალი!

მარსელინა. სიუდა იდი. (კრინონა ჰკიდია და იქ შეაძვრენენ ორივეს).

გამოსვლა მესამე.

ხანფერა და შუშანა (იყურებიან აქეთ იქით)

შუშანა. ვა! ისინი არარიან!

ხანფერ. აი ესენი არიან ჩვენი თვალის მთხრელები.

შუშანა. (მივა როზინასთან) შტო ტი ზდეს ხოჩიტ? ზაჩემ ტი ზდეს?

ხანფერ. (მარსელინას) ზაჩემ ტვაია ზდეს?

მარსელინა. ეტა ნაშა კვარტირა, მინანიმაემ, ვი დლია ჩეგო ზდეს?

ხანფერ. ია ზდეს ხაზიაიკა!

მარსელინა. ია სამა ხაზიაიკა!

შუშანა და ხანფერა. პოშოლ! პოშოლ! ეტა მოი დომ!

როზინა და მარსელინა. ტი სამ პოშოლ, პოშოლ. (ექიდებიან ერთმანეთს, წივილ კივილია).

გამოსვლა 4^ა.

იგინივე და ბიჭი.

ბიჭი. არიქა ბატონებო! ამქარმა კანტორა გატეხა და გეძებენ დახოცვას გიპირებენ (ისმის ბრახუნი. ამ სიტყვებზედ ივანე და გაბრიელ აინევენ თავებს კისერზედ გადაეცმით კრილონინები და დააძახებენ „ვაა!“ ქალები რომ დაინახვენ, ხანფერვანს გული შემეეყრება. შუშანა ქმარს მივარდება).

შუმანა. აი შე ქოფაკო! (მისდგება და სცემს სათლით თავში).

გაბრიელ. (ეხვეწება) შუმანი! შენ[ი] ძალი ვარ დამესხენ! აგერ მოვკვდი მაპატიე (ისმის ბრახუნი).

1863-1864 წ.

ქ. გორს.

დიმიტრი
მელვინეთს-უცესოვი
(მელვინეთს-უცესიშვილი)

1815 - 1878

კატა აწონა.

კამკია თრს მოქმეებაში
სრული,

თნულება
დიმიტრი მელვინეთს-უცესოვისა.

მომქმედნი პირნი:

ყაზარ ბაღდასარიჩ ნუნკიოვი, მოქალაქე.

ლალუა, იმისი ცოლი.

თალალა, ლალუას მეგობარი, მეზობლის ქალი.

სისო ფარსადანიჩი, მოქალაქე, ყაზარას დუშე-პრიკაშჩიკი.

ანდრია ბერიკაშვილი, გლეხი.

სიმონა, თავადის მოსამსახურე.

მიხაკა, ბაყლის შეგირდი.

ხანუმა

ყაზარას დები.

მაქთალინა

ნონე მირონიჩი, მოქალაქე პაჩოტნი გრაჟდანი.

ჩინოვნიკი, კვარტალნი და დეს[ე]ტნიკები.

მოქმედება საქართველოს უზბდის ქალაქში.

კამედია

კატა ანონა.

ორს მოქმედებაში წარმოსდგება.

მოქმედება პირველი.

სცენა წარმოადგენს: ოთახია პატარა ალიზისა სუფთა, გალესილი, ერთ მხარეს ძველი დივანი დგა და ორი ძველი სკამები, დივანთან დიდი ფულის ზანდუკი რკინა გადაკრული, მეორე მხარეს ტახტია ზედ ქეჩა ხალიჩა დაგებული და მუთაქა ძევს, ტახტის ბოლოს ლომბერნის სტოლზედ სანერკალამი და ქალაღდი აწყვია, კუნჭულთან თიხის ლიტრა დგა, და ტახტქვეშ სასწორია საწონებით.

გამოსვლა 1.

ლალუა გვის ტახტსა, შემოვა ყაზარა წონოლა ქუდით, კალოშებითა ძველი პალტო ასხია მაუდის კაბაზე.

ყაზარა და ლალუა.

ყაზარა.

ლალო რას შვრები მაგას? ღმერთი არ არის შენში? ხომ გაცვდა ეგ ქეჩა თავათ გაცვეთილია, კიდევ უნდა გაცვითო? ცოცხიც ხომ გაცვდება ეგეც ძლივს მიშოვნია, თითო ცოცხი კაპიკათ არის რად გინდა ჩემი ზარალი?

ლალუა.

რათ ჯავრობ, მაშ ნაგავში ხომ ვერ ვიქნებით?

ყაზარა.

ვა! როგორ არ გავჯავრდე! გეუბნები ერთი ცოცხი კაპიკათ არის მეთქი ღმერთი არა გნამს? (წუნუნებს გულხელდაკრეფილი.) ვინ მომცა იმდონი ფული, რომ ცოცხი ვიყიდო ხოლმე, ხომ მხედამ ჩექმა არ მაცვია, მეც ოჯახის შვილი ვარ მოქალაქე, ბაზარში რომ მხედამენ, მითხრამენ ყაზარ ბალ-

დასარიჩ კოლოშები რათ გაცვია. მე ვეუბნები ჩექმას ვერ ვი-
ცომ ფეხები მტკივა, აბა სადა მტკივა ნახე აბა. –

(აჩვენებს ფეხებს დაგლეჯილი წინდები აცვია მატყლი-
სა.)

მაშ რა უთხრა რომ ასე არ მოვატყუილო? არა მე შენ
ვერ გიყურებ გამეცალე მეთქი შენ სულ ჩემ ზარალში ხარ.

(წაართმევს ცოცხს შეაგდებს ტახტქვეშ, მოიხსნის პალ-
ტოს.)

ლალუა.

ვაი ჩემი ბრალი, რომ შენ ხელში სულ წვითა და დაგვით
გამიტარებია ჩემი სიცოცხლე ოცი წელიწადი მეტი. შე პირ-
შაო, კარგი ვერ ჩამიცომს, მუცელი ვერ გამოიძღვია, მტვერშიაც
უნდა ვიყო? ახარ მეც ოჯახის შვილი ვარ, ღმერთი შენში არ
არის, მე ღმერთიცა მნამს და ხატიც. (ინერს პიჯვარს.) მეღაი
ასტუაც,⁸² ღმერთო დამიფარე.

ყაზარა.

(პიჯვარს ინერს.) ტერ ასტუან, ტერ ასტუან,⁸³ ღმერთო
შემიწყალე ამისთანა იქნება?! ეს ჩემი ცოლი სულ ფუსფუსებს,
ფუსფუსებს, საქმე რომ გამოელევა ცოცხს მივარდება, აბა აქ
რა მტვერია?

(დაჰკრამს ხელს ქეჩას მტვერს შეუბერამს. შემოვა ან-
დრია, ლალუა გავა.)

გამოსვლა 2.

ყაზარა და ანდრია.

ანდრია.

82 [სომხ.] – შემინწყალე, ღმერთო.

83 [სომხ.] – უფალო ღმერთო, უფალო ღმერთო.

ისევ შენთან მოვედი მეტი ღონე არა მაქვს, ნათქვამია შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველს ლხინსაო. – შენ უნდა გამიმართო ხელი ერთი თუმანი მასესხო, ხარჯსა მთხოვენ იასაული შინ მადგა ლამის ცოლ-შვილი დამინიოკონ, სარგებელი რაც გინდა გამომართვი ოღონდ ეხლა ცარიელს ნუ გამისტუმრებ, ღმერთ ენდე რითაც იქნება შენს ვალს გადავიხდი.

ყაზარა.

აკი გითხარ ჩემო მეგობარო, ნუ დაჰკარგამ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა მეთქი, ჩემის-მეტი შენ ვინ გენდობა ვინ იცის შენი ყადრი, ჩემსავით შენ ვინ გიცნობს, დამიჯერე მეთქი გეუბნები, ჩემი ორი კოდი პური სარგებელი გერჩიოს თუმანზე სხვებისას, მე უფრო იოლათ წაგიღებ.

ანდრია.

შენმა აშენებამ რაც შენ მე არა შემანიორა, განა არ მიცდინხარ, მაგრამ გაჭირებას რა გაეწყობა, ვადაზედ რომ არ მოგცე, ერთი ორათ დამანერ თამასუქი გამომიცვალე ან ჩემი ფული მამეციო, ყელში წამიჭერ მაშინვე მიჩივლებ, რომელი მოვალე დამხვრჩვალა, შენკი დამახრჩობ ჩქარაო.

ყაზარა.

ბევრს ნულარ ლაპარაკობ მეთქი, მე ეხლა ისე აღარა ვარ, დავწერო თამასუქი ვადა რამდენი იყოს?.

ანდრია.

ვადა ექვსი თვე, კალოზე მოქცემ თავნსაცა და სარგებელსაც.

ყაზარა.

სარგებელიც ის იყოს რაღა? ორი კოდი წმინდა პური ჩემის ჩანახით აწყული ოცდახუთ გირვანქიანი, სხვებისა უფრო მეტია, მაგრამ, არა ძმავ, მე შენ ვერ მოგატყუილებ, ღმერთმა ააშენოს შენი ოჯახი, შენი პურმარილი მახსომს არ დამავიწყდება.

ანდრია.

ეჰ, დანერე მეტი რა ღონე მაქვს, სულსკი ნუ ამომხდი გაჭირებული ვარ ღმერთს შეხედე შენ სადღეგრძელოთ.

ყაზარა.

ვა! ქათამი ხომ არა ვარ წყალი დავლიო მალლა ვიყურო. გეუბნები როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო, მაშ რას უზამ? ხედამ რა დროს გიმართამ ხელს, კაი ოჯახის შვილი ხარ, თქვენ სახლში ბევრჯელ ვყოფილვარ ცხონებული მამიშენის დროსაც კალოზე.

(ყაზარა დასწერს თამასუქს და ცბიერობით წაუკითხვამს მალლა.)

ათას რვაას... წელსა ქრისტიშობის თვის ოცდა რვაასა დღესა, მე ქვემო ამისა ხელის მომწერელმა, უკუღმა სოფელში მცხოვრებელმა, სახელ[ლ]მწიფო გლახმა, ანდრია ბერუას ძემ ბერიკაშვილმა, ავიღე ვალათ, თქვენ, მოქალაქე, ყაზარ ბაღდასარიჩ წუნკიოვისაგან, (ათი თუმანი.) ათი მანათი, რუსის სირმა ვერცხლის, ამ დღიდამ, ექვსი თვე ვადა, თუმანზე სარგებელი ორი კოდი წმინდა პური თქვენის ჩანახით კალოზე გაძლიო. უკეთუ ეს ფული თავის ზემო ხსენებულის სარგებლით ვადაზე ვერ მოგცე, მე ანუ ჩემა მემკვიდრემ, შენ ანუ შენსა მემკვიდრეს და საჩივარი გახდეს, მაშინ საიასაულოც გადავიხადო და ჩემა ქონებამ ურდუნამა და ფურდუნამ, მოძრავმა და უძრავმა პასუხი გაქცეს ამისთვნ ხელს ვანერ.

აი ძმავ კარგია? მოიყვა ვინმე შენ მაგიერ ხელი მოანეროს ფულები მოგცე.

გამოსვლა 3.

შემოვა თავმოწონებით სისო ფარსადანიჩი.

იგინივე და სისო.

ყაზარა.

მობრძანდი სოვდაგარო კაი დროს, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

სისო. (მიუხვდება.)

ამმენ, მუმბარაქი იყოს თქვენ თავზე. (ხელ ჩამოართმევენ ერთმანეთს.)

ყაზარა. (ირონიით.)

ანდრო სთხოვე ამას ხელი მოგიწეროს. პირველი სოვდაგარია ჩვენში, „უფულო სოვდაგარი გინდ იყოს და გინდ არა.“

ანდრია. (სისოს.)

ფული ვისესხე ეხლა ერთი თუმანი, გთხოვ ხელი მოაწერო ჩემაგიერ მე წიგნი არ ვიცი – აი თამასუქი.

სისო.

მოიტა ძმავ ხელი მომე, რა გვარი ხარ? შენი სახელი მითხარი.

ანდრია.

ანდრია ბერიკაშვილი.

სისო.

კაი კაცი ყოფილ ხარ ღმერთმა დაგაბეროს.
(სისო აწერს ხელს, ყაზარა გააღებს ზანდუკს ფულებს
დახარის.)

ყაზარა.

ახ ფულებო, ფულებო,
ჩემო თაიგულებო,
ჩემის ფიქრით გონებით
ჩემგან მოგებულებო.

მაშ ვა! სულ ჩემი ჭკუით მიშოვნია.

თქვენთვის თავი გავწირე,
ემშაკს სული შევწირე,
მოძღვარს წილი დაუდე,
ვთხოვე ჩემთვისა სწირე.

უთხართუ ტერტერ, ჩემი სული ეშმაკს არ დაანებო.

სისო.

ყაზარ ბაღდასარიჩ, ხელი მოვანერე ახლა ფული მიე
გაისტუმრე მუშა კაცია საქმე ექნება სახლში.

ყაზარა. (აძლევს კანკალით.)

ახ ჩემო ფულებო, როგორც მე გამახარებთ ხოლმე, ისე
ეს ჩემი მეგობარი გაახარე ამის ცოლშვილი ყაბული ხარ? ვა-
დაზედკი მზათ იყავ ჰაა. ერთი კაი დედალი ქათამიც გაასუქე
ჩემთვისა.

ანდრია.

როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო. (ჩაიდებს ფულებს უბეში გავა.)

ყაზარა.

ვა! ხედამ რა ლათაია სცოდნია. (დაუყვირებს.) მეც ოც-დაშვიდგირვანქიანი ჩანახით მოვდივარ. (მიუბრუნდება სისოს.) შენც ხელი მოაწერე თამასუქზე ამ ფულის მიცემაში დამსწრე და მონამე ვარ თქო.

სისო. (წაიკითხამს ჩუმათ თამასუქს.)

ყაზარ ბალდასარიჩ აქ ცოტა იანღლიში აშიპკა მოსულ ხარ, ათი თუმანი დაგინერია ერთი თუმანიკი მიეცი.

ყაზარა.

შენ ვინა გკითხამს მაგას რაც დამინერია. ეგ ათი თუმანი იმისთვინ დავწერე, ხომ იცი გლეხი კაცი ჯანჯალაია, ვადაზე თუ არ მომცემს ვეტყვი ჩემა-მზემ გიჩივლებ და ათ თუმანს გადაგახდევინებ მეთქი.

სისო.

მაშ იმას როგორ წაუკითხე ეს თამასუქი?

ყაზარა.

ათი მანეთი მეთქი და თუმანზე ორი კოდი წმინდა პური მაძლიოს.

სისო.

ვა! ეგ ისევ ათი თუმანი გამოდის, თუმანზედ რომ ორ კოდ პურს თხოულობ მოგიტყუილებია.

ყაზარა.

შენ რა მკითხავი ხარ მაგისი თუ მამიტყუილება, სწორე გითხრა? შენმა ძმამ მოსკოვის კუბნები მოატყუილა რამდენჯერ, ბოლოს ექვსი ათასი თუმნის საქონელი დასტყუა, თუმანში მანეთიც აღარ მიუცია გავკუტრდი საქონელი ქარვასლაში დამენოვო, ახლა სხვის ფულებით დიდკაცურათ სცხოვრებთ, ჩემი რა გაგიკვირდა. თუ გლეხი კაცი მომიტყუილება, თქვენ ყველას ატყუებთ მე როდი შევდივარ თქვენ საქმეში რომ მაგას მეუბნები მოგიტყუილებიაო.

სისო.

ეგ რა სალაპარაკოა, ოჰ რა მწარე ენა გაქვს.

ყაზარა.

ჰო გენიშნა განა? შენმამზემ შენკი ბულბულის ენა გაქვს შააქარი შოშიას.

სისო.

მე გეუბნები ეგ პატიოსნება არ არის მეთქი ერთი თუმანი გისესხებია ათი თუმნის თამასუქს ართმევ სოფლელ კაცს, წიგნი რომ არ იცის იმისთვის?

ყაზარა.

ხა! ხა! ხა! პატიოსნებას ვინ ანბობს, რომ შენ ლაპარაკობ, მაშ ერთი შენა ხარ პატიოსანი მეორე მოსუა და იმისი შვილი მიკუა მამაზე ორი ზომა მეტი.

დაბერდა მუხა მოისხა ხილი,
როგორც მამა ისეთი შვილი.

სისო.

რა გელაპარაკო შენთან ლაპარაკი ხათაბალაა.

ყაზარა.

მაშ თითი მოიკაკვე, იმისთვის რომ მართალს გეტყვი, მე ყველას კარგათ გიცნობ ვინც რა შვილები ბრძანდებით. შენ სხვა თქვი უსაქმით არ მოხვიდოდი ფულებს ხომ არ თხოულობ.

სისო. (ღიმილით.)

გამოიცან ჩემამზემ გამოცანა გერგება, თქვენი რვა ასი თუმანი ხომ ერთი ვექსილით [მ]მართებს, ორასი თუმანი კიდევ დამჭირდა ხელათ მასესხე გახდება ათასი თუმანი.

ყაზარა.

აფერუმ! ეგ მითხარ პატიოსნება რა ჩვენი ხელობაა, მე და შენ ისეთი ალებ მიცემის კაცები ვართ თუ არავინ მოვატყუილეთ დიდი ფული, პატიოსნებით ვის მოუგია, რომ ჩვენ მოვიგოთ, თუ გინდა ფულის პატრონი გახდე? შენი პატიოსნება უკან შეინახე მეთქი.

(ამოიღებს ზანდუკიდან ვექსილს აძლევს და ეტყვის.)

აჰა ეს შენი ვექსილი ზედ მოაწერე ორასი თუმანი კიდევათქო ვისესხე ყაზარ ბაღდასარიჩისგან.

(სისო ხელს აწერს, ყაზარა ფულებს დაახლის თავზე და ეტყვის.)

ყაზარა (ირონიით.)

ამისთანა მეხი დაგეცა ამ თავს რა კარგი სოვდაგარი შენა ხარ, ბედოვლათ ბედოვლათო რომ შნო არა გაქვს ფულის მოგებისა, ეს შენი ვექსილი შენ ხელში იყო, კევივით დაღეჭამდი და ჩაყლაპამდი შეგრჩებოდა რვა ასი თუმანი ფული. ვინ იყო მოწამე თუ რა გიქნია შენა ხარ და მე.

სისო.

განა მე მაგისტანა კაცი ვარ, აგრე მიცნობ რომ ეგ საქმე ჩამედინა? მერე ჩემ პატიოსნებას რალას ეუბნები?

ყაზარა.

კიდევ ამბობ პატიოსნება! გეუბნები მაგას ნუ იტყვი მეთქი ნუ, პატიოსნებით დიდი ფულის პატრონი ვერ გახდები გეყურება?

სისო. (პიჯვარს ინერს.)

ტერალორმია ტერალორმია⁸⁴ უფალო შემინყალე, ამისტანა კიდევ იქნება!

ყაზარა.

ვთქვათ თქვენ პატიოსანი ბრძანდები, სწორე მითხარ თუ ძმა ხარ, შენი შვილი როგორია?

სისო.

ჩემი შვილი? კაი ვაჟია, დუქანი გაალო ჩაი შაქარს ჰყიდის.

ყაზარა.

მამა უცხოხდება შაქარი პირველი რეფენატისა ექნება, ჩაიში დუდგულის ყვავილს არ გაურევს.

სისო.

ფუ რა მურტალი ენა გაქვს, ეგ რომ სხვამ გაიგონოს

84 [სომხ.] – უფალო, შემინყალე.

მართალი ეგონება.

ყაზარა.

ვა! რას ვანობ მამა უცხონდება მეთქი, ხომ არა ვთქვი ნანწყნდა.

სისო.

შენ სიტყვებს ბაჟი არა აქვს სულ უპრაგონოთ ლაპარაკობ. (იღებს ქუდს.)

ყაზარა.

რამანქის მართალს ამბობ, მიზდიხარ? ქაჩალი მექუდესთან კიდევ მივა, შენც ისეთი სოვდაგარი ხარ, ნუ ჯავრობ მალე დაბერდები, ხელი მამე შევრიგდეთ – ბარიშალი.

(განშორდებიან ღიმილით და ხელის ჩამორთმევით. სისო გავა.)

ყაზარა. (პუბლიკას.)

საკვირველია მამის სიყვარული შვილისა! რაც უნდა იყოს, იტყვის კაი ვაჟია, სისოს შვილი, მახლას, ღმერთმა შინახოს მამის უბეში, უწყინარი ვინმეა ბევრს გაგაცინებს.

გამოსვლა 4.

(შემოვა სიმონა მხარზე ხურჯინ გადაკიდებული.)

ყაზარა და სიმონა.

სიმონა.

ყაზარას გაუმარჯოს.

ყაზარა.

ზახრუმალ, მუდრეგო ვერ იტყვი ყაზარ ბაღდასარიჩს გაუმარჯოს?

სიმონა.

მე იჩებისა არა ვიცირა, შენ ყაზარა ხარ ცხონებული მამა შენი ბაყალი ბაღდუა იყო, იჩი საიღამ მოიგონე?

ყაზარა.

სწორე გცოდნია ცხონდა მამა შენი.

სიმონა.

ბატონის წიგნი მოგართვი. (ჩაიყოფს უბეში ხელს, იღებს წიგნს.)

ყაზარა.

რაო ფულებს ხომ არ თხოულობს კიდევ ვასესხო? მე ხომ ზარაფი არა ვარ, არც ზარაფხანა მაქვს ფულები მოვჭრა, მერე უნდა თქონ ჩემზედაც?

რუსეთიღამ წამოვედი
მოვიტანე მაშინა,
დავჯექ და ფული მოვჭერი
აფხოტმა შემაშინა.
დამიჭირეს და გამგზავნეს
ციმბირში მე მაშინა.

სიმონა.

ფიქრი ნუ გაქვს, მაგას შენზედ ვერ იტყვიან, ისეთი კაცი არა ხარ, ფულები ბევრი გაქვს.

ყაზარა.

კიდევ გითხრამ ცხონდა მამა შენი სწორე გცოდნია. ღმერთმა ააშენოს გლეხი კაცების ოჯახი და თავადებისა, სულ იმათი ხეირი მაქვს. ჩემი ფულები წმინდა რუსის ფულია, სხვასავით ფალშივი ბილეთები არ მომიტანია გრანიციდამ.

სიმონა.

აი წიგნი და ეს ოცდახუთი მანეთი სავაჭროთ გამო-
მატანა.

ყაზარა.

აბა ნავიკითხო რასა მწერამს (კითხულობს ხმამაღ-
ლა.) „ძმაო ყაზარ ბაღდასარიჩ! ამასთან გიგზავნი ოცდა ხუთ
მანეთს, გთხოვ მიყიდო ამ ფულისა რაც მოვიდეს და ამ კაცსვე
გამოატანე ჩაი, შაქარი, ბრინჯი, ზურგიელი, დოში, ხიზილა-
ლა, ზეთი, ზეთისხილი, ჯონჯოლი“. – ჰაი თუ შეშქამს კნიაზი.
ჩემო სიმონი ამდენ რამეებს რომ თხოულობს ვირი ვერ ზიდ-
ამს კნიაზს კარგი მადა აქვს? ჭკუა ხომ არა სტკივა თავი, არა
შუბლი მეთქი? (დაიდებს შუბლზე ხელს.)

სიმონა.

მადაც კარგი აქვს მუცელიც, ხან და ხან შაკიკი გაუჩნ-
დება ხოლმე თავში ძალიან ანუხებს.

ყაზარა.

ვა! მაგის წამალი მისწრება, ნაცადი ჩემამზემ! აქ როს-
ტომას შაკიკი ჰქონდა თავში, მისწრებას ეტყვიან ექიმბაშია,
იმან დაუნერა როსტომას ლოცვა ქუდის ყალამაში ჩაუდო,
უთხრა თუ სამი დღე უზმო დილით ცოტახან ფეხ ტიტველა
ფილთაქვაზე დადექო, მერე ხალხში წაიკითხეო. სამ დღეს

უკან ბაზარში წაიკითხა ლოცვა „როსტომას თავი სტკივა ჩემ ფეხებს თუ სტკივა.“ დახია და გადაყარა, შაკიკიც იმ წუთს გაქრა ფალაფუსტ. გინდა დავწერო ლოცვა კნიაზ თავი სტკივა, ჩემ ფეხებს თუ სტკივა, შენ ბატონს ჩაუდე თავში მორჩება.

სიმონა.

მაგისი ჯავრი არა მაქვს მორჩება თუ არა, მე პური მშინ ცოტა პური მაჭამე გზაზე მომშვიდა ძალიან.

ყაზარა.

ჩემო სიმონი, შენი ბატონის მამას რა ჯაფა გაუწევია დედა ჩემზე, რომ მწერამს ძმაო ყაზარ ბაღდასარიჩ? მე როგორი ძმა ვარ იმისი ის თავადია მე მოქალაქე?

სიმონა.

სიტყვას ბანზე ნუ აგდებ პური მშინ ლამის წავიგცე, ხედამ ჩემ მუცელს ზედ მიმკვრია. (აჩვენებს ხელით მოშვებულ სარტყელს.)

ყაზარა.

ვა! კიდევ ამბობ მშინ, ვინ მომცა იმდონი პური, მე ეგ შენი სვავი მუცელი გავაძლო.

სიმონა.

ნუ გეშინიან ცოტა მეყოფა, ერთი პური ნახევარ[ი] თუნგი ღვინო, თუ კიდევ დაუმატებ, იმისი შენ იცი. იტყვიან პური და ღვინოვო, მასპინძლის კაი გულიო. ოჯახის შვილი ხარ მოქალაქე შენ არა გაგიჭირდება.

ყაზარა.

მაგას კარგს ამბობ, მაგრამ, გეუბნები მეთქი აქ არც პური მაქვს არც ღვინო მჭადსა ვჭამ წყალსა ვსომ. (დაიკრეფს გულ ხელს; წუწუნებს.) ღარიბი ვარ, ღმერთმა ააშენოს შენი ბატონის ოჯახი, ერთი ტომარა სიმინდი მაჩუქა ქათმებისათვის მინდა მეთქი, მეკი ვჭამ იმას.

სიმონა.

კაი ქათამი ყოფილხარ, იმ დღეს არ იყო ორი ურემი პური და ღვინო მე მოგიტანე ჩემი ბატონის გამოგზავნილი ჩვენი ურმით, ის სულ ჩემი ნამუშავარია, „თხის პატრონს აღარც თხის კუდიო?

ყაზარა.

რას ტუტუცობ, ის ჩემი ფულის სარგებელი იყო შენი რა მადრიელი?

სიმონა.

იმ ღვინისა ცოტა მაინც დამალევინე თუ ცხონება გინდა.

ყაზარა.

ინჩე ასუმ!⁸⁵ შესანდობელი დალიო? ხელი აიღე მამა გიცხონდება დავიდარაბა ნუ გახადე, თუ გინდ პატენტოვანი ვინმე ისიც ისაკ კიკუა-მეთქი.

გამოსვლა 5.

შემოვა ლალუა წინდის ქსოვით.

85 [სომხ.] – რას ამბობ.

იგინივე და ლალუა.

[ლალუა.]

ეს რა მოგიტანია? (ხელს ახლებს ხურჯინს.) უი ქა! ცარიელი ყოფილა – ხურჯინი, დალოცვილო ცოცხ მაინც ჩასდებდი სუბუქია ის ხომ არ დაგამძიმებდა.

სიმონა.

მოდე იქითაა, მაშ არა და ბარგიანს მოგართმევდი, თქვენ რომ ხალხნი ხართ მშიერ გლახასაც არ გაიკითხამთ, მე რას მაჭმევთ რა ცოცხი გეპრიანებოდა.

ყაზარა.

მართალს გეუბნება, ცარიელი მოსდიოდი რა იქნებოდა ერთი ცოცხი მოგეტანა სოფლიდამ ჩემთვის ფეშქაშათ.

სიმონა.

გამარჯვებულო სულ შენკენ ითლი მეკი არას მაჭმევ, ნავიდეთ ბაზარში მალე გამისტუმრე ქვევითი ვარ, ფეხით უნდა ვიარო სავესე ხურჯინით.

ყაზარა.

ვა! მაშ არა და ჩვენი ემეს მოდნი ფაიტონით წაბრძანდები. იმის პატრონიც მოდნის კუპენია, უთხრამენ ფაეტონ გალისე, ბოლო რა იყოს?! არვინიცის რა გამოვა რისაგანო (წამოისხამს პალტოს გავლენ ორნი.)

ლალუა. (მარტოა სულ და ლაპარაკობს.)

გასქდეს თქვენი მუცლები, ეს თავადების მსახურები

რომ მოდიან, სულ იძახიან მაჭამე, მშინან, ამათ რა გააძღობს კამბეჩი არ ეყოფათ, ამათი ბატონები ხომ ფულები მყლაპავნი არიან, ილაჯ ტარავ, ილაჯი ნაულიათ, მალმალ სწერამენ წიგნს „ძმაო ყაზარ ბაღდასარიჩ ფულები მასესხე, ბაზარში რამეები მიყიდე, ყაზარა იმათი მუშა არის, სულ იმათვინ აგროებს კაი სარგებელს მაძლევენო, თუმანზე ათი შაური თვეში სარგებელი, იმასაც თავნზე ადებენ ვექსილს ისე სწერამენ, ზოგს მიაქვს თუმანი წელიწადში სარგებელი ორი კოკა ტკბილი ღვინო⁸⁶ ზოგი აძლევს ორ კოდს წმინდა პურს. თითონვე ურმებით მოიტანებენ, ყაზარა ამ სარგებელს გაჰყიდის ხოლმე რვა ცხრა მანეთს იგებს წელიწადში თუმანზე, ბევრჯელ თავნზედ მეტსა, ყაზარა სულ თავადებთან არის დღე და ღამ ქეიფში, წელიწადი დაბრუნდება ხუთჯერ შინ პური არა ჭამოს, ვაი ჩემი ბრალი მეკი დანატრული ყველას. (გადასწმენდს სტოლსა, დივან გადაუსომს ტახტს ცოცხს ჩამოჯდება ტახტზე ქსოვს წინდას.)

ყაზარა რომ ბაზარში ნავიდეს, კნიაზისთვინ რამეები იყიდოს, ვიცი იმის ხასიათი ცარიელი არ მოვა ფეხის ქირას გამორჩება, მამ ვა! ისეთი კაცია სიპი ქვიდამაც ზეთ გამოიღებს.

გამოსვლა 6.

შემოვა მიხაკა ხელში უჭირამს ყაზარას ხელცახოცში გამოკრული ორაგული).

ლალუა და მიხაკა.

მიხაკა.

ეს მოხარშული ორაგული ყაზარ ბაღდასარიჩმა გამოგზავნა, ჩემა ოსტატმა უფემქაშა.

ლალუა.

⁸⁶ კოკა ტკბილი არის ოცი თუნგი ბაზრისა კოდი პური ქალაქის კოდნახევარი მეტი (ავტორის შენიშვნა. ქ. გ.).

ღმერთმა გაგზარდოს შვილო, მადლობელი ვარ ოსტატის შნო მოგცეს, ცხეთურია?

მიხაკა.

არა, მალაკნებმა მოიტანეს სალიანიდამ.

ლალუა.

ჰო, ისიც კარგია თუ ძველი არ იქნება, იქაური ხიზილალა, ახალი ჟიტკა, ეხლა რომ მქონდეს რა მადიანათ ვჭამდი გემრიელათ.

(მიხაკას გაეცინება დაუკრამს თავს გავა.)

გამოსვლა 7.

შემოირბენს ღიმილით თალალა.

ლალუა და თალალა.

თალალა.

ბაზრიდამ რა მოგერთო ქალო? მეც მაჭამე ცოტა.

ლალუა.

კარგი მოხარშული ორაგული შენმა მზემ, ყაზარას გამოუგზავნია, ბაყალს უფეშქაშნია ჩვენი ფული რომ მართებს.

თალალა.

აბა ვნახო. (დასუნამს და იღრიჯება.) ეს ხომ ძველია სუნი აქვს უძრმოთ არ იჭმება, მოვიტანო ძმარი?

ლალუა.

მოიტა კარგი იქნება, ცოტა პურიც ჩვენ არ გვიძევს კილობანში.

(თალალა გავა, ლალუა გემოთი ნახამს დაიღრიჯება და იტყვის.)

იმ კუდიანმა ქალმა როგორ შეატყო ძველია მართლა სუნი აქვს ალბათ მუშტარს აღარ უყიდნია, რომ ბაყალმა გამომიტა ფეშქაში, ძმარი გააკეთებს ძალიან მოუხდება.

(თალალა შემოიტანს პურსა და სტაქნით ძმარს, დაასხმენ ორაგულს მოუხსდებიან.)

ლალუა.

ვაი ქი დედილო, მე რომ დედაანთსა ვიყავი, ცხონებული მამაჩემი სულ ახალ ახალს ორაგულებს მოიტანდა ხოლმე ცხეთურს ბაზრიდამ, დედა ჩემი ისეთ ნაირათ მოხარშამდა ზირით, პილპილით, ზაფრანით, მიხაკ-დარიჩინით, ისეთი გემრიელი იქნებოდა, როგორც ყანდი შაააქარი. ჩემი მამა ყაზაზი იყო ყველას უყვარდა პოლკოვნიკუას უძახდნენ, იმისი მეგობრები ამაზედ ლექსიც ამოიღეს, მე ვიტყვი შენ ადექ თალალჯან შენებურათ იმღერე ლაზათიანათ.

ქსოვე ჩემო ყაზაზო, პოლკოვნიკად ხმობილო,

თავადების ამფსონო, ხარაზების ძმობილო.

ვინ ვთქვა, არ მოატყუე, სიცრუეზედ მყნობილო,

შენის მეგობრებისგან, ამ ლექსით შემკობილო.

ქსოვე ჩემო ყაზაზო, პოლკოვნიკად ხმობილო.

ახლა შენ ლამაზ კილოზე ასა.

(თალალა წამოდგება წინ სცენაზე და თავმონონებული იმღერის, ლალუა ორაგულსა სჭამს და იტყვის, „იფ რა კარგია, ცოტა კიდევა, შენმა მზემ გემრიელია.“)

თალალა.

ქსოვე ჩემო ყაზაზო, პოლკოვნიკად ხმობილო,
თავადების ამფსონო, ხარაზების ძმობილო.
ვინ ვსთქვა, არ მოატყუე, სიცრუეზედ მყნობილო,
შენის მეგობრებისგან, ამ ლექსით შემკობილო.
ქსოვე ჩემო ყაზაზო, პოლკოვნიკად ხმობილო.

(მიუბრუნდება ლალუას.) ქა! სულ შეგიჭამია ახლა
ყაზარას რას ეუბნები?

ლალუა.

შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, მე ვიცი რასაც ვეტყვი
შენკი ნუ გაიცინებ პირში წყალი შეინახე არ გაგეცინება, ვე-
ტყვი თუ კატამ ჭამა რას შაიტყობს.

თალალა.

ქა! უნდა მოატყუილო? კამედია ითამაშოო?..

ლალუა.

მახლას, ნახამ თუ არა, იმან რომ გამაჯავრა მეც ისე
უხერხამ, თუ კიდევ გაჯავრდება ვეტყვი აგერ ცივი წყალი
სარდაფისა დალიე მეთქი გულს გააგრილებს.

გამოსვლა 8.

(თეფშსა და სტაქანს შეინახვენ, ამ დროს ყაზარა
კარებშივე დაიძახებს.)

იგინივე და ყაზარა.

ყაზარა.

ლალოჯან რამეები მამაქვს. (თალალას.) ოჰ! თვალის ჩინო შენც აქა ხარ.

თალალა.

(თვალის ქუთუთოს დაინევს თითით.) აჩკითლუს,⁸⁷ ხომ მხედამ აქა ვარ, რალათ მკითხამ.

ყაზარა.

ვა! რა დიდი გული გაქვს, დანიშნული ხომ არ გინახამ სიზმარში. (მიუბრუნდება ლალუას.) ეს ბოთლი შირბახტის ზეთია ძრიელ კარგია, ნყალი აადულე, შიგ ცოტა-ცოტა დაასხი, ზედ წმინდათ ხახვი დააჭერი, მსუბუქი საჭმელია კუჭს არ დაამძიმებს, ეს ხახვიც ბაზრიდამ მომიტანია. (აძლევს ჯიბიდან.)

ლალუა.

იყიდევ? რა მიეცი? ვისგან?

ყაზარა.

შენ ხილი ჭამე მეხილეს რათ კითხულობ. ეს ბოთლი ნონოშამ მიფეშქაშა იმის დუქანში მიყიდნია კნიაზისთვინ ჩაი, შაქარი, ნონოშას მოვაგებინე სამი მანეთი, მაშ ორი აბაზის რასმეს არ მიფეშქაშებდაა? მელქოსგან მიყიდნია ბრინჯი, თევზი, ხიზილალა, კიდევ რამეები კნიაზ გაუგზავნე, იმასაც მოვაგებინე ოთხი მანეთი მეტი იმანაც მიფეშქაშა ორაგული, ეს ხახვი, ორაგული ხომ მოიტანა მიხაკამ ის მე გამოვგზავნე, ნიშანი ჩემი ხელცახოცია.

87 [სომხ. აჩქი ლუის] – თვალის სინათლე.

ლალუა.

ჰო, მოიტანა.... მაგრამ...

ყაზარა.

ვა! მაგარი – რა არი, ძველი იყო? – თქვი და ვა!

ლალუა.

რა ვთქვა, ორაგული კატამ ჭამა მეთქი.

ყაზარა.

ვა! სწორე მითხარ, კატა როგორ ჭამდა ტყუილო.

ლალუა.

შენმა მზემ კატამ ჭამა მეთქი, ხომ იცი კატას თევზი უყვარს, სუნით შეიტყობს სადაც იქნება.
(თალალას ეცინება პირში წყალს იგუბებს.)

ყაზარა.

თუ შენ ჭამე? აბა პირი გააღე ვნახო.

ლალუა.

არ მიჯერებ თუ კატამ ჭამა? ნახე პირი აჰა.

ყაზარა. (ჩახედავს ჩასუნავს დაიღრიჯება.)

ძმარი გიჭამია, გულზე ხომ განყენს.

ლალუა.

ძმარი რომ არა გვაქვს, ეგეც შენი ტყუილი.

ყაზარა. (თალალას.)

კუდიანო აბა ახლა შენი პირი მაჩვენე, ის კატა ხომ შენ არ იყავი?

(თალალა პირმოკუმული ჩუმათ, ხელით ანიშნებს არაო.)

ყაზარა.

ვა! ხელებს რას იქნევ, პირი მაჩვენე მეთქი.

(თალალას გაეცინება შეასხამს პირზე წყალს და სიცილით მიეგდება დივანზე, ყაზარა იწმენდს სახეს და გულმოსული ეტყვის თალალას.)

ტუტუცო გამწუნე, სულ ხომ გიჟობანა არ უნდა. (დაუყვირებს ლალუას.) მოიყვა ის კატა თუ მართალი ხარ ჩქარა ვნახო.

ლალუა.

ეხლავ შენმა მზემ ნუ ჯავრობ, აგერ ცივი წყალი დალიე სარდაფისა – გულს გააგრილებს.

ყაზარა.

რათ მინდა წყალი, მე მინდა კატა ვნახო როგორია.

ლალუა.

ქა! კიდევ არ მიჯერებ? შენმა მზემ მეთქი, ხომ იცი შენ ტყუილათ არ დაგიფიცამ ეხლავ ემ მინუტს მოვიყვანო.

(ლალუა გავა, ყაზარა გამოიღებს სასწორს მოწონებით და ეტყვის თალალას.)

ყაზარა.

მე კატას ავწონ, თუ სამი გირვანქა გამოვა, იმას უჭამია, თქვენ მართალი ხართ, თუ ორი გირვანქა გამოვა თქვენ გიჭამიათ, ცოტა რატომ მე არ შემინახეთ?

თალალა.

ქა? ჯერ შეიტყე სწორე მერე ეგა თქვი.
(ლალუა შემოიყვანს კატას, ყელზე წვრილი თოკი აბია.)

ლალუა.

აი, მოვიყვანე ეს სუნაგი, დაბმული მყვანდა რომ ნახო.

ყაზარა.

ტყუილო, ეხლა მოგიბამს თოკი. (გამოართმევს და უაღერსებს.) ფისო ფისო, ვუიქი რა კარგია, შენ ჭამე ორაგული, აბა ვნახო.

(თოკს გამოიბამს სარტყელზე დაიჩოქებს და ემზადება აწონოს კატა.)

ლალუა. (განცვიფრებული.)

ქა! მაგას რას შვრები! უნდა აწონო? ამუთე⁸⁸ სირცხვილი არ არის? ეგ რომ შეიტყონ ბაზარში ხომ დაგიძახებენ კატა აწონა (დაუჭერს მაჯას.)

ყაზარა.

ხელი გაუშვი მეთქი სასწორი გაბრუდ[დ]ება.

(ლალუა და თალალა თითოთ აჩვენებენ ერთმანეთზე ყაზარას ზურგს უკან და ფიცვენ ღიმილით, დაჩოქილი ვერა

88 [სომხ.] – სირცხვილია.

ხედამს იმათ, დასცქერის კატას და სასწორს.)

ლალუა და თალალა.

ღმერთმანი ამან ჭამა, ჩემა მზემ ამანა ჭამა, მამი ჩემის ცხონებამ ამ კატამ ჭამა სწორე გითხარი. ახარ დაიჯერე მეთქი.

(ყაზარას კბილით უჭირამს უღლის თასმა, კატას დასდებს ორის ხელით სასწორზე და ეწვალება აწონოს, ამ დროს თოკი გაეხსნება კატა გაექცევა, ყაზარა გამწარებული გამოუდგება ლალუა და თალალა დაიწყებენ სიცილს ხარხარს ხა! ხა! ხა! ხა!

ფარდა დაეშვება.

მოქმედება მეორე.

ოთახია იგივე, ტახტის ალაგს ძირს დაფენილია ქეჩა ხალიჩა, ზედ მგლოვიარები სხედან შავებით გულ ხელ დაკრეფილები, შუაში რძალი აქეთ იქით მულები, დივან წინ სტოლია გადაშლილი, ზედ საწერ კალამი და ქაღალდი აწყვია, ორსავე მხარეს სკამებზე პირდაპირ ზის ნონე, გვერდით სისო.

გამოსვლა 1-ლი.

ლალუა, ხანუმა, მაქთალინა, ნონე და სისო, შემოვა თავმონონებით ჩინოვნიკი დაუკრამს ყველას თავს, ნონე და სისო წამოუდგებიან ფეხზე, ხელს ჩამოართმევენ და მიიწვევენ თავაზით დივანზე. მგლოვიარები დაიწყებენ ზუზუნს და იწყევიან მსხდომარენი მოტირალის წესით. სისო იმათ აჩუმებს სსსუსუ...

ნონე.

გთხოვ დაბრძანდეთ დივანზე თქვენო კეთილშობილებავ.

ჩინოვნიკი. (დაჯდება გასწორდება.)

სანყალს ყაზარ ბაღდასარიჩს რა მოუვიდა ისე სწრაფათ, რა იყო მიზეზი?

ნონე.

უბედურება, ათ დღეში გათავდა სალი სალამათი ისე უეცრათ, მაგრამ, უნდა მოგახსენო იმისი ხასიათი ცხონებული როგორი რამ იყო, იმისთანა ჯაფის ამტანი, იმისთანა ფულის მომგები, იმისთანა ფულის გამფთხილებელი, იმისთანა ფულის მოყვარული, იმისთანა ფულის შემნახავი ვიტყვი რომ დუნიაზე, ქვეყანაზე ერთი და ორი თუ კიდევ იყოს ვინმე! ენა ვერ იტყვის იმის საქმეებს იმის მოქმედებას, რომ იტყვიან სიბი ქვიდამ ზეთ გამოიღებს კრწილს დაანვენს აქლემს აშობინებსო სწორეთ ის იყო. ფულის გულისთვინ, ისეთ უცნაურს რასმეს მოიგონებდა, ადამიანს გაუკვირდებოდა ისეთი დიდი ჭკუის პატრონი იყო, თუმცა სწავლა არა ჰქონდარა წერა კითხვის მეტი, ფულის მოგება ძალიან ეხერხებოდა, მეტისმეტი ანგარიშის კაცი იყო.

მგლოვიარები.

უი შენი ბრალი ჰოო..... აფსუს ყაზარ.

სისო. (მგლოვიარებს.)

სსუუ... დაჩუმდით მუნჩკაც.⁸⁹ (ანიშნებს ტურჩებზე ხელის დაფარებით სუ.)

ნონე.

წავიდოდა ჯვარობას, იყიდდა ღვდლებისგან სულ იაფათ, შეწირულს ზვარა ქათმებს, მამლებს, ცხვრის ხორცს,

⁸⁹ [სომხ.] – გაჩუმდით.

თავფეხს, ტყავებს, მოიტანდა შინ გაჰყიდდა ბაზარში ერთი ათათ მოგებით, ვეტყოდი ცხონებულს. ყაზარ ბაღდასარიჩ ეგენი შენ არ გეკადრება ოჯახის შვილი ხარ მოქალაქე დიდი ფულის პატრონი, იქნება როდისმე შენც ჩემსავით პაჩოტნი გრაჟდანიჩი გახდე. უბედური მეტყოდა მე ფული მირჩენია ცხონებასაც პატიოსნებასაცაო.

მგლოვიარები.

ვუი შენი ბრალი ჰოო..... აფსუს ყაზარ.
(სისო აჩუმებს იმათ სსუუ..)

ნონე.

ეჰ, კაცი რასაც ყისმათზე იღბალზე დაიბადება იმას მისდევს, ასე იტყვიან და მართალიც ყოფილა. მამაპაპისა იმას არა დარჩენიარა ამ სახლის მეტი. ესეც ალიზისა, რაც მოუგია, სულ თავის ჭკუით უშოვნია. ასეთი ფულის გამფთხილებელი იყო, რომ კვდებოდა ორი შაურის მალიათი რა არის თავის თავზე არ დაუხარჯამს, ექიმს არ დაუძახა – ფული უნდა მივცეო მუქათათ არ მიწამლებს თუნდ კაი მეგობარი იყოსო რეცეპტით რომ წამალი ვიყიდო ის უფრო მამკლამსო, სულ ამ ზანდუკზედ ეჭირა თვალი. ცო[ტ]ცოტას დახუჭამდა და მალმალ აახელდა, უყურებდა და ოხრამდა, როდესაც ძრიელ შეწუხდა, მე ჩავძახე ყაზარ ბაღდასარიჩ, თავადებში ნაჩვევი ხარ კაი საჭმელებს, ცოტა ბულკი მაინც შეჭამე შენი კუჭი ცოდოა ათი დღე მშიერია არა გიჭამიარა. იმან ზანდუკს შეხედა, ამოიოხრა და თავი გაიქნია, მე მაინც არ მოვეშვი ამ სანყალს ლალუას, უთხარ ორი ბულკი მოატანიჩე ერთ აბაზ მისცემ მეთქი, ეს რომ გაიგონა საცოდავმა გააჭყიტა თვალები ძრიელ, ენაკი აღარა ჰქონდა ელაპარაკნა და თითით გვანიშნა ერთი ერთიო დაუნყო ზანდუკს ყურება, უყურა და უყურა თვალი ზედ დაამტერა, ერთი ისეთი გააჟრჟოლა რომ იმ წუთს სული მისცა.

ჩინოვნიკი. (პუბლიკისკენ.)

ემშაკებს.

მგლოვიარები.

უი შენი ბრალი ჰოო.....

დაგიდგა თვალი ჰოო..... აფსუს ყაზარ.

სისო.

ტირილით იმას აღარა ეშველებარა დაჩუმდით საქმე უნდა დავინყოთ.

ნონე.

მახლას, ფულის სიყვარული დიდი რამ არი, საცოდავს სიკვდილის დღესაც არ ემეტებოდა ორი შაური დაეკლო თავის მოგებისათვის, ნეტა რისთვის ინახამდა ან რათა სწევდა იმდონ ჯაფას, ერთი უშვილო გამხმარი კაცი იყო, ქვეყანაზე იმისი არა დარჩენილა რა არცარა თან წაუღია სუდარის მეტი სუყველა აქ დარჩა მოგებაცა და ქონებაც ამ ორთა დებს, ესენი არიან ახლა იმისი მემკვიდრენი სხვა არავინ, ცოლსაც რასაკვირველია თავისი ახი რაც ერგება სამკვდრო და სასიცოცხლო უნდა მიეცეს, ჩემთან იყო ცხონებულისა ხუთასი თუმანი, ამ ფულიდამ ზოგი მკვდარზე დამიხარჯამს კაი პატივით დავმარხე როგორც ეკადრებოდა და დანარჩენის ანგარიშს მე მოგართმევ, სხვა სისომ იცის.

სისო.

ცხონებულს დარჩა თვრამეტი ათასი თუმანი თეთრი ფული, ორი ორმო წმინდა პური სამას კოდამდინ, ორასი კოკა ღვინო თეთრი და წითელი სავსე მარანი, სამი ათასი თუმნისა მეტი ნასყიდი მამულები, გირავნობა, გაცემული ვექსილები და თამასუქები, სულ თავისი ჭკუით ნაშოვნი მე წმინდათ ვიცი

იმას ჩემთან არა დაუმალამსრა, ჩემი დიდი დოვერია რწმუნება ჰქონდა იმის დუშე პრიკაშჩიკი ვიყავი ეს ცოლმაც კარგათ იცის არა ლალო? (მიუბრუნდება ლალუას.)

ლალუა. (წუნუნით).

მართალია შენმა მზემ, ცხონებული იტყოდა ჩემი მოგება ფული ერთი ღმერთმა იცის, მეორე ჰო სისომაო, სულ ამზანდუკშიაო, სოფლებში რომ წავიდოდა, მითხრამდა ჩემი ფული, სული ამ ზანდუკშია, თუ გიყვარვარ ეს ზანდუკი კარგათ შეინახეო, ხომ იცი ჩემი ფიქრი სულ ფულია და ფული, ჩემი სულიც ეს არიო. ვაი ჩემს თვალებს ახლა მე მარტო იმის სულს უყურებ ჰოო... (მულებიც ბანს ეუბნებიან ჰოო...)

ნონე.

მწუხარებით იმას ველარ გააცოცხლებთ, ის მოკვდა წავიდა გზა-მართალს არის კმარა მაგდენი ტირილი.

სისო. (პირჯვარს იწერს).

ტერალორმია⁹⁰ უფალო შემინყალე, აღარ დაჩუმიდები ვისაქმით? ამუთე⁹¹ სირცხვილია, აქ კეთილ შობილი ვინმეა. (აიფარებს ხელს ლოყაზე ანიშნებს თვალით.) ჩი-ნო-ვნი-კი.

ხანუმა.

თვალი ამასაც დაუდგა (აყრიან ქოქოლას მულები რძალს.) მაგ ჩიასაც ჩემ საქმეში ჩინოვნიკს რა ხელი აქვ ადვოკატი უშოვნია? მეხიკი დავაყარე ამ თავს. (აყრიან ქოქოლას მულები რძალს.)

ნონე.

90 [სომხ.] – უფალო, შემინყალე.

91 [სომხ.] – სირცხვილია.

მაგაზედ რათ ჯავრობ, შენც იშოვნე ადვოკატი ვინ გიშლის, თუგინდ პატენტოვანი ვინმე, ისიც ენელ კიკოე.

ხანუმა.

ღმერთმა დამიფაროს ჩემაგიერ სხვა[მ] არ ილაპარაკოს იმას რა გული დაეწვის, მე უნდა ადვოკატს ფულები მივცე, მერე საქმეს მოიგებს თუ წააგებს ის თავისას აიღებს იმას რა ენაღვლება.

ჩინოვნიკი.

მე ადვოკატი არ გახლავარ, მოვსულ ვარ აქ, ყველას პატივისცემისათვის და არა ფულის სიხარბით, არ გინდათ ადვოკატი? ეგ თქვენი ნება არის, მაშ მორიგდებით?

ხანუმა.

ეგ რაღა კაჭკაჭის ბაიათია? სულ მესმის ცარიელი მორიგდებით, ჯერ შეიტყუეთ საქმე სწორეთ მეც ჩამაგონე ამ თვალეზ დამდგარს (აყრიან ქოქოლას მულები რძალს.) ჩემ რძალსაც, თუ კაი მომრიგებელი ბრძანდები.

ნონე.

ევროპიაში სულ ადვოკატებით თავდება საქმეები, იქ ისეთი განათლებული ქვეყნებია.

ხანუმა.

დაადარე მსხალი პანტას, განა იქ ჭრაქები ანთია? მაშხალა ჩირალდანია? რომ ბრძანებთ განათლებული ქვეყნებიაო.

ნონე.

მაგას ვინ ანბობს განათებული, მე ვანბობ იქაური ადვოკატები გაზრდილნი არიან, მსწავლულნი მცოდნე, ყველა იციან, ზნეობით პატიოსანნი სანდო არ გიღალატებენ, სიტყვით მჭევრმეტყველნი, რომ იმათი სიტყვა უზადო მარგალიტია, ადვოკატობენ დიდ საქმეებში ისე ფულისთვის არა, როგორც თავის პატივის მოყვარებისათვის.

ხანუმა.

კიდევ ეგ არის, რომ იმისთანა საითაც უნდა წაიყვანს საქმეს, მე ეგების ფული არა მაქვს ადვოკატს მივცე, არც ლაპარაკი შემიძლიან, იმისთვის უნდა დაიკარგოს ჩემი სიმართლე? ვინც კარგათ ლაპარაკობს მოგებაც იმისია, საწყალმა რალა ქნას, ამ ჩემა დამ მაქთალინამ ორი სიტყვა ვერ უთქომს არც ფული აქვს ადვოკატს მისცეს ღარიბია.

სისო. (ინერს პიჯვარს.)

ტერალორმია⁹² უფალო შემინყალე, რაებს ლაპარაკობ?

ხანუმა. (წამოდგება სცენაზე.)

ტყუილს რას ვანბობ, სხვის ფულებს რომ სჭამენ, ნისიათ საქონელი მიაქვთ, მერე იძახიან გავკოტრდით არა გვაქვს რა, რაცა აქვთ იმასაც სხვების სახელზედ გადაიღებენ იტყვიან, ჩემი ცოლისა არის, დედი ჩემისა არის, მამი ჩემისა, ჩემი ძმისა, კიდევ – ამა და ამ ფლანისა, აძლევენ ტყუილ ვექსილებს, სხვა და სხვა წერილებს ნოტარიუსში დამტკიცებულებს, ამაში ფულის პატრონმა რა ქნას, რომ ფულები ეწვის, თქვენი შეუბრალებელი ვიყო თუ ზოგის ცოლმა, ათასი ლობიო, თუგინდ ათასი მსხვილი ბაკლა დათვალოს, რომ ანგარიში არ შეეშალოს, იმას ვინ მისცა იმდონი ფულები რატომ ამას არ კითხულობენ: როდესაც ვექსილს ართმევს, იმ დღეს ვექსილის

92 [სომხ.] – უფალო, შემინყალე.

პატრონს მართლა ჰქონდა თუ არა იმდონი ფულები საიდან? ამას რა ადვოკატი უნდა წმინდა საქმეა.

სისო. (პიჯვარს იწერს.)

ტერალორმია ტერალორმია⁹³ უფალო შემინყალე, შენი რა საქმეა სხვებისთუნ ლაპარაკობ.

ნონე.

მართალს ანბობს რა გინდა, მართლ მსაჯულება მაშინ გამოჩნდება, როდესაც მოსამართლე სიმართლით დაინახამს საქმეს, სიმართლით გამინჯავს, სიმართლით გაარჩევს და სიმართლით გარდასწყვეტს.

ჩინოვნიკი.

სწორეთ ბრძანებთ, ამათი საქმე დღეს თქვენ ხელშია, როგორც სიმართლით დამანახვებთ მეც ისე გავარჩევ.

ნონე. (კიდევ უნდა აგრძნობინოს.)

დიახ თქვენმა მზემ, მე შესყიდულის ცრუ მონმებისა არა მნამს რა, ერთ მაგალით მოგახსენებ რადგან სიტყვამ მოიტანა.

ჩინოვნიკი.

ბრძანეთ კარგი იქნება სინამ მგლოვიარებიც დამშვიდდებიან.

ნონე.

ნასულ წლებში ჩვენში მოვიდა მინის მზომელი დადგა

⁹³ [სომხ.] – უფალო, შემინყალე.

ერთ სოფელში ოთხი თვე მეტი, სადაც სცხოვრებენ ასოცი მოსახლე აზნაურნი, სამღვდელონი და გლეხნი მამულების მე-პატრონენი, ისეთი მაცთური ენა ჰქონდა იმას მეტი აღარ შეიძლება, იმასა ჰყვანდა თავის დღე და ღამ განუშორებელი გადამწერალი, რომელიც იყო დათხოვნილი სამსახურიდამ, რომლისამე მიზეზისა გამო, მახლას, მიზეზი ღმერთმან უწყის იქნება ტანოდ ბეროლიც არის ფა-ვა-რიტ. მინის მზომელმა როგორც დაიწყო საქმე და გაათავა იმას ვერ ვიტყვი დაწვრილებით დრო ბევრი უნდა, ამასკი მოგახსენებ, რა ქნას თქვენისთანა პატიოსანმა მოსამართლემ როდესაც ხედამს საქმეს აქეთაც არის იქითაც, მაგრამ ენის მაცთურობით წესზედკი წაყვანილია; მაშინ რასაკვირველია დაჩაგრულმა მხარემ უნდა იდაოს და სდიოს უკან. აი ზოგი კაცი როგორ წაახდენს საქმეს და სხვა-საც სახელს წაუხდენს.

(სისოს ესწრაფება ზანდუკის გაღება, რომ თავის ვექსილი ჩაიგდოს ხელში ჩუმათ როგორმე და იტყვის.)

სისო.

იმან იდარდოს ვისიც საქმე წაუხდენია, ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთოთ რისთვისაც მოვსულ ვართ, ეს მგლოვიარები ცოდონი არიან ჩვენ გვიყურებენ, ზანდუკი გავალოთ, ფული ვნახოთ, ვექსილებს, თამასუქებს, კუპჩებს, ზაკლადნო გირავნობას სულ ჩემის ხელით მოგართმევ.

ჩინოვნიკი.

კარგი იქნება გავალოთ ზანდუკი, რომ ჯერ სუყველა ცნობაში მოვიყვანოთ, მერე როგორც სურდესთ მგლოვიარებს ისე გაუყოთ, უნდოდესთ ჩვენის სინიდისით, თუ უნდათ კანონით ცოლსაც თავისი წილი მივცეთ.

ხანუმა.

მე მაგისი არა ვიცირა, ამ თვალზე დამდგარმა (აყრი-

ან ქოქოლას მულები რძალს.) იმისთვის ამოირჩია ჩინოვნიკი, რომ კანონზე გაიაროს, მე უფროსი და ვარ ყაზარასი, იმის დანარჩენი ქონება მომეტებული წილი ჩემია. (დააჯდება ზანდუკს.) ჯერ ჩემი წილი მითხარით რას მაძლევთ პირველი მემკვიდრე მე ვარ, მერე გააღეთ ზანდუკი. ცოლი რა მემკვიდრეა რომ წილს აძლევთ, იმან თავის მზითვევი წაიღოს უკანვე რაც მოუტანია.

სისო. (პიჯვარს იწერს.)

ტერალორმია,⁹⁴ ამუთე⁹⁵ სირცხვილია რას შვრები მაგას შენ ალაგს დაჯექ არ დაგვაცლი. (ჩურჩულით და ხვეწნით დასომს თავის ალაგს.)

მაქთაღინა. (დააჯდება ზანდუკს.)

მეც ჩემ წილს ვთხოულობ, უნცროსი და ვარ ყაზარასი ერთი დედმამის შვილები, ცოლს რა ხელი აქვს ყაზარას ფულებთან.

სისო. (პიჯვარს იწერს.)

ტერალორმია ტერალორმია უფალო შემინყალე, შენ წილს ვინ გართმევს არ დაიცდი. (ჩურჩულით და ხვეწნით იმასაც დასომს თავის ალაგს.)

ნონე. (წამოდგება სცენაზე პუბლიკისკენ.)

დაილოცოს გრანიცის ხალხი ევროპია, თქვენმა მზემ, რასაც მე ეხლა აქა ვხედავ, ეს ანბები ევროპიაში არსად მინახამს. ვაჭარი გახლავარ პაჩოტნი გრაჟდანი, პირველი მოქალაქე, მთელი ევროპია დამივლია, პარიჟში ლონდონშიაც, ვენაში ვიყავ ლეიბციხს, ვენეცია სხვაც ბევრი ევროპიის ქა-

94 [სომხ.] – უფალო, შემინყალე.

95 [სომხ.] – სირცხვილია.

ლაქები პარიჟი სხვა რამეა, იმისი მშვენიერება რა უნდა მოგახსენოთ, იმისი საზოგადო სასეირნო ბალი ყოვლით შემკობილი სწორეთ სამოთხეა, რომ შებრძანდეთ შიგ, გამოსვლა დაგავინყდებათ იმდონ მოსეირნე ხალხში რას არ ნახამთ, იქაური კაცი და ქალი, სუფთა კეკლუცათ ჩაცმულ დახურულნი, პირად ლამაზნი, ტანად კარგნი, მხიარულნი, მოთავაზე – ზრდილობიანნი, მსწავლულნი, მეცნიერნი, რომ ცაშიაცკი დადიან რას არ მოიგონებენ. ბალეტს ეტყვიან, სადაც მოთამაშე ახალგაზდა ქალები სხვა და სხვა ფერად კისეის კაბებით მორთულეები მშვენივრად, ბევრ ნაირად ტანცაობენ, დახტიან, ფრინვენ, თითქოს ზეციდამ ფერიები მოჰფრინვენო, იმათი ნახვა, იმათი ალერსი, პროშტი ბებერს გააყმანვილებს.

ჩინოვნიკი. (ირონიით.)

გეტყობათ თქვენც გადახალისებულ ხართ იმათის ნახვით, რომ აგრე მოგწონთ.

ნონე. (თავმოწონებით.)

მახლას, მეტყობა განა? უნდა მოგახსენოთ, რომ პარიჟში ამ სოფლის სამოთხეც არის ჯოჯოხეთიც ერთი დიდი სახელი არის, რაც ქვეყანაზე კაცის ჭკუას უფიქრია და ხელებს გაუკეთებია სხვა და სხვა მაშინები სულ იმაში ნახამთ, წინ მოგეგებებიან სუფთათ ჩაცმულნი მოსამსახურები და ზრდილობიანათ გიჩვენებენ ყველას, მომართვენ და მაშინები დაინყებენ მუშაობას, ზოგი მდულარე წყლის ორთქლის ძალით მუშაობს, ზოგი ფეხით, ერთი საკვირველი რამ ვნახე, მეტის მეტი საკვირველი ნეტათუ ვის უფიქრნია. სამი მაშინა იყო გადაბმული, პირველში ჩადეს პურის ძნა, მაშინა დატრიალდა, ერთ ნიმუტს გამოვიდა იქიდამ ხორბალი ცალკე, ბზე ცალკე, ის ხორბალი იმ მაშინამ გადასცა თავის თავათ მეორეს, ნიმუტს დავინახე იმაშიაც წმინდა ფქვილი, ის ფქვილი იმანაც მიანოდა მესამეს სულ ხუთ ნიმუტს არ გაუვლია ბოლოს მაშინაში გამოვიდა გამომცხვარი პური ისეთი როგორც ბულკი.

(სისოს კიდევ ესწრაფება ზანდუკის გაღება და იტყვის.)

სისო.

ეგ სუყველა ძალიან კარგია მაგრამ, ეს საქმე რჩება ზანდუკი გავალოთ, საქმე გავათაოთ.

ჩინოვნიკი.

თუ მგლოვიარები ნებას მოგვცემ[ენ], გავალოთ გავათაოთ.

ნონე.

მე როგორც ვხედავ მგლოვიარებს, სინამ ეგენი ამ ზანდუკს უყურებენ ამათი საქმე არ გათავდება.

ლალუა. (დააჯდება ზანდუკს.)

ჰო შენმა მზემ, ამ ზანდუკში ჩემი ცხონებული ქრმის მოგება ფულია, ყაზარას სულია, მაგათ რა საქმე აქვთ, რომ ამბობენ ყაზარას დები ვართ იმის მოგება სულ ჩვენიაო, იმისი მემკვიდრე ჩვენა ვართო. მაგათ ოცდაათი წელიწადია დათხოვილან მზითევი წაულიათ, ერთხელაც აღარ მოსულან ახლა დები მემკვიდრე? (აყრის ქოქოლას მულებს.) თვალეზიკი დაგიდგათ ყაზარას მემკვიდრეობო, დედენ ტანნე,⁹⁶ დედა თქვენი შინ არის ყურში უჩურჩულეთ რომ ეს ზანდუკი თქვენი იყოს, ვინ დაგანებებს, ყაზარა ჩემი გვირგვინის ქმარი იყო, იმისი ქონება ჩემია თქვენ რა ხელი გაქვთ, ყაზარას ფული სული უნდა ჩემ ქვეშ იყოს კარგათ შეიტყეთ.....

სისო. (პიჯვარს იწერს.)

96 [სომხ.] – ეშმაკმა წაგიღოს.

ტერალორმია ტერალორმია⁹⁷ უფალო შემინყალე, მაგას რას ჩასდხარ ადექი შენ ალაგს დაჯექ. (ლალუა არა დგება.)

ჩინოვნიკი. (ნამოდგება აიღებს ქუდს.)

მე აღარ შემიძლიან მოვითმინო მშვიდობით.

ნონე.

გთხოვთ უმორჩილესად ნუ ნაბრძანდებით მცირეს ხანს კიდე მოითმინეთ, ამათ სიტყვებს სანყენათ ნუ მიიღებთ, მნუხარე ადამიანი ბევრს რასმე იტყვის.

ჩინოვნიკი.

აღარ შეიძლება ჩემი აქ ყოფნა, ნურას უკაცრაოთ.

სისო.

მაშ ეს საქმე გადავლოთ მერე იყოს?

ჩინოვნიკი.

როგორც გსურდესთ, ზოგი სამჯერაც გადაზდებს სისხ-ლიც მოხდება, თქვენ ერთხელ გადადეთ რა იქნება? (დაუკრამს თავს გავა.)

სისო.

ახარ დალოცვილო ლალო, გითხარ თუ ჩინოვნიკი რა შენი საქმეა, ჩვენ ვაჭრები ვართ, შენც ვაჭარი მოიყვანე მეთქი, მაგან რა იცის ჩვენი ანგარიშები, ეგ ერთი ფიქრიანი ვინმეა, მაგის გული ამ ამბებს ვერ აიტანდა, ჩინოვნიკი სუფთა ნაზია, ნონე მირონიჩ, მაგის ბიძას ხომ კარგათ იცნობ ჩვენი ემე რომ

97 [სომხ.] – უფალო, შემინყალე.

იყო?

ნონე.

ვინ ემე რას ანობ?

სისო.

ჩვენი ემე ვა! გოროდნიჩი რომ იყო მეთქი დაგავინყდა? კბილები რომ პრაზნიკის დარაბას⁹⁸ უგავს იბერება ინდოურივით.

ნონე.

ისა? ღმერთმა მთხოვოს იმის თავი, თუ არ მივცე ძალათ წამართოს, ის ისეთი კაცია აღდგომას რომ წითელი კვერცხი მიულოცო – უთხრა თუ „ქრისტე აღდგა“, იმას ეგონება მასხარათ მიგდებსო გაფხუკიანდება.

ლალუა.

გენაცვალეთ მე რა ვთქვი რომ მაგანაც გაფხუკიანდა წავიდა, მაშ ნუ ვიტყვი თუ ჩემი ცხონებული ყაზარას მოგება ფული, სული ჩემ ქვეშ იყოს? მე ამ ზანდუკს არავის დავანებებ ყაზარას უფასო ამანათია.

ნონე.

რა არის, რომ ხან ერთი შესკუბდებით მაგ ზანდუკზე, ხან მეორე – ხან მესამე, თითქოს აკრუფუშას თამაშობდეთ, ჩვენკი აღარ დაგვაცალეთ საქმე გაგვეთავებინა.

სისო.

⁹⁸ პრაზნიკის დარაბა ნიშნავს კბილებ ჩაცვივნულს, დღესასწაულს დღეში რომ დაკეტილი დუქნებს ზოგან თითო დარაბა აქვს გამოყრილი ღია (ავტორის შენიშვნა. ქ. გ.).

დალოცვილო თქვენც გააჭიანურეთ გრანიცის ანბები პტყელ პტყელად ევროპია, რა დროსი იყო, განა მაგან არ იცოდა წიგნებით თუ თვალით არ უნახამს იქ რაც ამბებია, მაგრამ, მაგან რომ კანონი თქვა, მე მაშინ ნეკზედ ვიკბინე, ჩემ გულში ვთქვი ამ საქმეს ეს უთუოდ სხვა ნაირად წაიყვანს მეთქი, მაგას აგრეკი ნუ უყურებთ ქვეყანა აიკლო, ჯერ ამ ქვეყანას უშოვნია ორი ათასი თუმანი, ბაქოში უფრო მეტიც, რამდენის ცოდოა მაგის კისერზე, თქვენ ნახამთ მაგის ბოლო რა იყოს, ამბობენ ცის ვალი დედამინას არ შერჩება, დედამინისა ცასაო, არც მაგას შერჩება იმდონი უსამართლობა.

გამოსვლა 2.

შემოვლენ კვარტალნი და დესეტნიკები, ამ დროს ყველანი შეხედვენ ერთმანეთს განცვიფრებით და გაშტერდებიან.

იგინივე, კვარტალნი და დესეტნიკები.

კვარტალნი.

ყაზარას ზანდუკი სად არის? უნდა წავილო.

სუყველანი.

ვა! რა ამბავია რომ მიგაქვს?!!

კვარტალნი.

იმის ქონება სულ ღვედლებს-ბერებს უნდა ჩავაბარო ბრძანება მაქვს ანდერძი გამოჩნდა.

მგლოვიარები.

ღვედელმა აკი წაილო იმის კოლოპურტი: პალტო, ქუდი, კოლოშები კიდეც სხვა რამეები, ამ ზანდუკთან ვის რა ხელი აქვს.

კვარტალნი.

მე ბძანება უნდა შევასრულო ჩემი ნაჩალნიკისა, დესეტნიკებო აბა ასწიეთ ამ ზანდუკს გაიტანეთ, ეს ქალი გადმოაბრძანეთ წყნარა არა ატკინოთ რა.

(ხანუმა და მაქთალინაც დაასხდებიან ზანდუკს არ ანებებენ დესეტნიკებს. სისო გაიხმობს ცალკე კვარტალნის და ეხვეწება.)

სისო.

თქვენი ჭირიმე თქვენო კეთილშობილებაჲ, ათ თუმანს მოგართმევ ზანდუკი გავალოთ, შიგ ჩემი ათასი თუმნის ვექსილია ჩუმათ ამოვილო იმას სხვის ხელში ნუ ჩააგდებ.

კვარტალნი.

როგორ შეიძლება ამდენ ხალხში, არა არ იქნება ტყუილათ მებვეწები.

სისო.

გეთაყვა თქვენო კეთილშობილებაჲ ოც თუმანს მოგართმევ ნუ დამლუპამ ჩუმათ ამოვიღებ.

კვარტალნი.

მე ქრთამებს არ ვიღებ ჩიმუზი ხომ იცი. (მიბრუნდება ჯიბეს მიუმვერს.)

სისო. (პუბლიკისკენ.)

არა მამა უცხონდება, არ აიღებს, ჩიმუზიო, ჯიბუზდო.
(ჩაუღებს სერთუკის ჯიბეში.)

კვარტალნი. (მოუბრუნდება.)

კარგი კარგი, ეს დედაკაცები მამამორე გავიტანო ზანდუკი, მაგას მოვახერხებ როგორც გინდა.

(სისო მგლოვიარებს ეხვეწება ზანდუკი დაანებონ, კვარტალნი ფულებს ჯიბიდან უბეში ჩაიღებს და განცვიფრებული იტყვის.)

კვარტალნი.

ცოცხალს ვერას გამოვრჩი იმ ნანყმენდილს, რას მოვიფიქრებდი რომ კვდრისაგან მერგებოდა ამდენი ფულები!

სისო. (მგლოვიარებს.)

თქვენ ნუ გეშინიანთ დაესხენით წაიღონ, უჩემოთ ვის შეუძლიან გააღოს ჩემი ბეჭდით დაბეჭდილია, მეც თან ნავალ, არ დაიკარგება.

ნონე. (მგლოვიარებს.)

თქვენ ხათრი ჯამი იყავით არ დაგეკარგებათ, ვინ მონინდომებს თქვენ საცოდაობას დაესხენით წაიღონ დაანებეთ ძალა არ შეგიძლიანთ, ჩათრევას ჩაყოლა სჯობიანო.

(სისო და ნონე მგლოვიარებს იჭერენ, იმათ წივილ კივილში კვარტალნიც მიეშველება დესეტნიკებს, გაიტანენ ზანდუკს, სისო თან გაჰყვება და მგლოვიარები დაინყებენ ტირილს მოთქმით.)

მგლოვიარები.

ახლაკი უნდა ვიტიროთ ჰოო...
სავსე ზანდუკი ვიგლოვოთ ჰოო...
ის იყო ჩვენი იმედი
აი ახალი დარდი ჰოო...

გენაცვალეთ ამას როგორ ვიფიქრებდით,
თუ ყაზარა თავის ქონებას სხვას აჩუქებდა ჰოო...

ნონე.

მოითმინეთ იქნება ანდერძი ფალშივი იყოს, განა არ
აკეთებენ ტყუილს.

მგლოვიარები.

არა გენაცვალეებით,
ყაზარა, რომ თავისთვინ არას ხარჯამდა
ჩვენთვინ რას გაუშვებდა ჰოო...

გამოსვლა 3.

სისო შემოვარდება ქაქანით დაღალული და
შენუხებული.)

იგინივე და სისო.

სისო.

ვაიმე, ვაიმე
ვაიმე ჩემო ფულებო
უბრალოთ დაკარგულებო.
ტარავ⁹⁹ წაიღეს.
ვაიმე ჩემო ვექსილო,
სხვის ხელში ჩავარდნილო.

99 [სომხ.] – წაიღეს.

(ყველანი განცვიფრებულები შესცქერიან სისოს და იძახიან ეს რა ამბავია.)

სისო. (პუბლიკისკენ.)

ვაიმე რა ფუჭათ მივეცი ქრთამი კვარტალნის.
ოცი თუმანიც დავკარგე, ვექსილიც ახლა რალა მეშ-
ველება.

ნაილეს ტარავ.

ვაიმე ჩემო ვექსილო,
სხვის ხელში ჩავარდნილო.

მგლოვიარები.

ქა! რაამბავია?

ვის ხელში ჩააგდე ყაზარას ზანდუკი?

იმისი ფულები?

სისო.

ბერებმა ნაილეს იმის ქონება
თქვენის ცოდვითა ის არ ცხონდება.
ყაზარა განა კაცი ყოფილა?
ეშმაკის მუშა იყო,
ეშმაკის მუშა, ღმერთმა დაფუშა.

მგლოვიარები მოუმატებენ წივილ კივილს, დაინყებენ თავში ცემას იტყვიან ვუი ვუის, ნონე გაიპარება, სისო გულ ხელ დაკრეფილი დადის და ბოდავს ათასი თუმნის ვექსილს და ოცი თუმნის უქმათ დაკარგვას. –

ფარდაც დაეშვება.

დასრულდა.

დიმიტრი მელვინეთხუცესოვი.

ახსნლო ოლო

მოქმედი პირნი:

ყარამან უბედურიძე, მოურავი სხვა და სხვა სოფელთა.
მარიამ, ცოლი მისი.

თინათინ, დედა
ყარამანისა.

თეკლე, გასათხოვარი და

თომა მხიარულიძე, ნათლიმამა ყარამანისა.

ომან სანყალიშვილი,
მეგობარნი ყარამანისა.

იორამ გონიერიძე,

გოგია კვანჭახაძე, იმერელი.

ტეტია, საზანდარი.

[ურია მოშია]

ორთა მოქმედებათა შინა წარმოსდგების.

მოქმედება პირველი.

გამოსვლა 1.

მარიამ და თეკლე.

დარბაზში ტახტზე ზის რძალი მარიამ წარბებ შეჭმუხვით აბრეშუმს ახვევს ფირფიტაზე. წინ უდგა მული თეკლე აბრეშუმში უჭირავს ხელებზედ გადაცმული.

მარიამ.

საკვირვლათ აქებენ წლიევანდელს ჯვარობას, ვისაც ჰკითხო, ყველა ანობს ამისთანა დიდი ერი და მხიარულება დიდი ხანია არა ყოფილაო.

თეკლე.

ნეტავი ჩუშნც წავსულიყავით, მამიდა ჩემმა მიანბო იქაური შექცევა ის ყოფილა იქა, მართლათ კარგი დარიც დაგვიდგაო და მეორეს დღეს კვირა შეგვესწრო, ეს ამდენი მოცლილი ხალხი იმ დიდს მინდორზედ, უბან უბნათ იყვნენ მშვენივრათ დალაგებულნიო და ჰქონდათო... (გაუწყდა ძაფი.)

მარიამ.

განყვიტე განა? აჰა მოაბი წვერი, რა ჰქონდათო?

თეკლე.

ლხინი, შექცევა, ჭიდილი, დიდი ტაშის კვრა და თამაშობა სხუა და სხვა სიმღერა და საკრავების ხმა, უცხოთ ისმოდაო... (გაუწყდა ძაფი.)

მარიამ.

კიდევ განწყვიტე? რა ღმერთი გინყრება, სწორეთ დაიჭირე ეგ შულო და ისე ილაპარაკე.

თეკლე.

ხან ბურთაობა, ხან ფერხულები,
ყველა ყოფილა, სულ დართულები,
თავადებს ჰქონიათ, დიდი ჯირითი
ცხენის ჭენება, ლხინიც იმითი.

ტყუილათ დაიშალეთ და არ ნავედით. – (განწყვიტა დაფი.)

მარიამ.

გაგინყდეს სახელი, დაგემტვრას ხელები,
გაგიშავდეს მზე, დაგეშრიტოს თვალები.

თეკლე.

გენაცვალეთ! რას მემართლები?

მარიამ.

რას არ გემართლები? შენოტელმა ქალმა სწორეთ შულოს დაჭერა არ უნდა იცოდეს? მეხიკი დაგასკდა მაგ თავზე. (აყრის ქოქოლას.)

თეკლე.

რაო გიყო! ასტყდი აუშვი ბაირალი? შენუ მომიკვდები დიდიხანი კია არა გითქომს რა.

მარიამ. (გაანჩხლებული.)

შენ თითონ გიყო, ჰ! შე გიყის შვილო,
ჰ! შე საძაგელო, ჰ! სახით მოთხრილო.

თექლე.

თვალებიკი დაგიდგა რაც შენ მაგ სიანჩხლით კეთილი
არა გჭირდეს შე ცოფიანო! (მიუგდებს შულოს და გადის.)

მარიამ. (ესვრის ფირფიტას.)

უცხვირო, უცხვირპირო, უსახურო პაჭუავ მაიმუნო
შეშე არ დასაცალებელო შენა.

გამოსვლა 2.

მარიამ და ყარამან.

(ამ ყვირილში შემოდის ყარამან და შენუხებული
იტყვის.)

ყარამან.

რა დაგმართვია რა არის? ნეტავი ისე შემოვიდე შენ
ჩხუბი და ყვირილი არა გქონდეს, გეყოფა გაათავე ოოოო!
დაჩუმიდი გულს ნუ იშფოთებ.

მარიამ.

როგორთუ გავათაო?! როგორთუ გულს არ ვიშფოთებ?!
(იცემს თავში.) ვაი შენ ჩემო თაო, შენი დღედასაღევი დაცა,
შულოს მესროდეს, ცოფიანოვო, ის უნდა მეუბნებოდეს?

თეკლე. (კარებიდამ.)

დღეც დაგელიოს, თავიც მოგიკვდეს,
პირიც დაგეხშოს, ღმერთიც გაგინყრეს.

ყარამან. (მივა კარებთან.)

დაიკარგე აქედამ რა გინდათ ჩემგან ხომ ვერ მომ-
კლამთ? (ინერს პიჯვარს.) ღმერთო შენ შემინყალე, ოჰ! რა
მოუსვენებლობაში ვარ!!!...

მარიამ. (კივის ხმამალლა.)

ქა ხედამ რას მეუბნება, უგვარკუდო, მუზმუზელავ,
ღამის ჭოტო ჭოტო ჭოტო.

ყარამან.

რა ღმერთი გინყრება, რა არის
დილით საღამომდე ჩხუბი,
როგორ არ მოგწყინდება?

ეგ არის შენი საქმე, არცარას სახლს დასდევ არცარას
კარს.

მარიამ.

შენ რაღას ბოდავ? რა დაგიკარგავს რას ეძებ? სახლი-
სათვის დედა გყავს და გასათხოვარი დაუა.

სახლის მომლეღათ ისინიც გეყოფიან!

თუ არა და, აქ რას მიყრიან?

მე ისინი არ მიყვარან არა, არა, არა და არა, გამაცალე
მეთქი რომ არ მინდანან.

ყარამან. (ინერს პიჯვარს.)

ღმერთო შენ დამიფარე! ამისთანა ჭირვეულობა იქნება, მშობელს დედას და დას მაძულებს, მე სად უნდა გადავყარო ისინი?

მარიამ.

მაშ რათ მირთავდი რათა?
შენ გეგონა რომ ცოლქრობა,
იყო რისმე თამაშობა?

არ გაგიგონია: ცოლსა დიდი ცომი უნდა ასი ლიტრა
საფანელიო, ნუ შემირთავდი ვისი ბრალია?

ყარამან.

ეს რა ჩემი სიტყვის პასუხია? ქალო მაშ შენ ფიქრში
სულ აღარავინ შეირთავს ცოლს?

მარიამ.

ასეკია და შენ როგორც გინდა გაიგონე.

ყარამან.

ამ დღით რომ ჯავრობ და ჯავრობ, ერთხელ დამშ-
ვიდებით საქმეც მოიგონე, შენი გადამკიდე ლამის საქმეზედ
მეც გული ამეყაროს, ღმერთს ერწმუნე გავლარიბდებით, მერე
რალა გვეშველება?

მარიამ.

ჯანი გაიგდებინე
და დამარჩინე.

ყარამან.

რასაკვირელია, აგრე იქნება,
თუ შენც მცირედი, შრომა გექნება.
კიდევაც ღთ ი მოწყალეა
ჩუჴნ არაფერი გაგვიჭირდება?

მარიამ.

რაო რაიო?!!! განა მოახლეთ მომიყვანე?

ყარამან.

სულკი ნუ ანჩხლობ, ჩემიც გაიგონე.

მარიამ.

მე ვჯავრობ არა ვანჩხლობ! სიანჩხლე რა არის?!!!

ყარამან.

სიანჩხლე არის, შხამი და ბრაზი,
ბედნიერების, კართა სარაზი,
მისგან სწარმოებს, ყოველი ვნება
და საუკუნო, უბედურება.

მარიამ.

უბედურებაა? მე სხვაზედ ღარიბი არა ვარ? ვიზედ რა
ნაკლები უნდა ვიყო?!!

ყარამან.

აი გამიკითხეთ რაც არ უნდა არ გაიგონებს.

შენ ნუ მიხედავ, სხვათა მდიდართა,
მათსა სიუხვეს, ვით ნიაღვართა,

ნურც შეგშურდება, მათი ქონება,
შენც რომ მათ გვანდე, ნუ გეგონება.

უმჯობესია შეძლების გვარად,
ტკბილათ ვიცხოვროთ მარადის მარად.

თუ ერთმანეთი ჩუწნ გვეყვარება,
ყველანი ჩუწნა, დაგვენატრება.

მარიამ.

ნეტავი არ იცოდე მაგდენი რაღაებიც, მე რაც ხასიათ-
ით დავბადებულვარ, იმას ვერავინ მამაშლევეინებს ვერა, ვერა
და ვერა. (გადის.)

ყარამან.

(სცენისკენ.) აბა რა სიცოცხლეა ჩემი, ვეტყვი რასმე
ცეცხლსა ჰყრის პირიდამ, თუ არა და, ვინვი მწვადივით ყოველ
დღე.

(ისმის მეორეს სახლიდამ ნივილ კივილი და ჩეხა მტ-
ვრევა. ყარამან განცვიფრებული მივა და შეიხედავს კარებში
მერე იტყვის:)

ყარამან.

ოჰ! ეს რა ანბავია? სულ დაამსხვრია დაამტვრია, ეს ეს-
არის გაანჩხლდა ვილა დააჩუმებს. რა უბედურება ჩემი. (დაახ-
ლის ქუდს მინაზე.)

გამოსვლა 3.

ყარამან და თინათინ.

(ამ დროს შემოდინან: დედა ყარამანისა ნუნუნით მონყვეტილი ქათიბის სახელი ხელში უჭირამს და წინა კალთა ქათიბისა ჩამოხეული აქვს.)

ყარამან.

დედავ! ეგ რა ანბავია, ვინ დაგახია?

თინათინ.

ვიჰ! შვილო, რალათა მკითხამ ჩემზედ ახია.

მე შეგრთე გველი, გესლითა სავსე,
ვაი შენს დედას, გხედავდე ასე.
(აქანებს მონყვეტილ სახელსა.)

შენ ჩემს სიყვარულს, ველარ ნაუხველ,
ცოლის სიანჩხლეს, ხომ ვერ აუხველ?
თქუწნი ჭირიმეთ გამიკითხეთ, ნეტა რა მამაგონებდა,
იმ კარგის დედმამის შვილი, ასეთი ანჩხლი გამოდგებოდა.

ყარამან.

კაია დედა შვილობას, რაც მოხდა მოხდა, ალბათ ჩემი ბედი ეგ იყო.

(ამ დროს შემოდის ყარამანის და თეკლე თავმოხდილი და ცარიელი ლეჩაქი აფარია ტირის და კვნესის, ხელცახოც თვალეზზედ მიფარებული იტყვის.)

[გამოსვლა 4.]

იგინივე და თეკლე.

თეკლე.

ნეტავი მამკლა და ჩემს ჭირვეულს რძალს მამარჩინა, შემოვარდა გაასპიტებული, გადმოგვყარა ცოფი, მიახსვრია იქაურობა დაამსხვრია რაც შეხვდა, მე თავი წამგლიჯა, დედას ქათიბი დაახია და გამოგვყარა გარეთ, გამეცალენით აქ რათა სხედხართო, არ იცით რომ ქრმის მოგება შემოივლო რკალივით ხელი, სულ ცოლისა არისო. ჩუჴნ სადღა ჯანდაბაში წავიდეთ.

(ამდროს შემოდის მარიამ გაასპიტებული ქაქანით განწილი და ლოყებ დასისხლებული. თინათინ და თეკლე შიშით იმალებიან.)

მარიამ და ყარამან.

მარიამ.

ჰ! აქ არ დაგაყენებთ. ჰ! არა. ჰ! არ იქნება არა ჰ! არა, აპა პაპაპაპაპა.....

ყარამან. (ინერს პიჯვარს.)

ღმერთო შენ დამიხსენ. ქალო ვინ რა განყენინა რა არის რა დაგმართვია.

მარიამ.

ჰ! დამეხსენით, ჰ! რა გინდათ ჩემგან, ჰ! ვის ეკადრებით ჰ! მე ნუ მარიგებთ, ჰ! არ გეხვეწებით. (ჩაჯდება.) ჰ! გული მიღონდება წყალი ჰ! წყალი.

ყარამან. (აძლევს ცარიელ ლიტრას.)

აი ჩაყლაპე, ცივი წყალი მაგ გულზე.

მარიამ.

(მოიყუდებს ცარიელ ლიტრას, მერე დაახლის და სულ დაამტვრევს.)

შენ ჩემი სიკვდილი გინდა განა, რომ არა ვკვდები არ შეგრცხვა. ეჰ! ეჰ! ეჰ! (გადის.)

ყარამან. (ინერს პიჯვარს.)

ღმერთო შენ გადმომხედე. გასვლა შენ და აღარ შემოსვლა.

გამოსვლა 5.

ყარამან და ომან.

(ამ დროს შემოდის ცოლისაგან შეწუხებული და შესჩივის ომან ყარამანს.)

ომან.

ყარამანს გაუმარჯოს, ოჰ რა სახით მიაბა შენი ნახვა რომ იცოდე.

ყარამან.

ღმერთს ერწმუნე მეც დიდათ მიაბა რო გნახე. ძრიელ შეწუხებული ვარ, ეგებ მანუგემო რითმე.

ომან.

რას მეუბნები შენ რა გიჭირს.
სანუხარიც მე მაქვს, სატირალიცა,
თავში საცემიც, საგლოვალიცა.

ყარამან.

შენ რალა დაგმართვია,
ვის ემდური რა ანზავია?

ომან.

ახ! ყარამან, როგორ გიანბო რა ქირში ვარ, ვაი ჩემი
ბრალი.

ყარამან.

რატომო ძმაო, მე რათ დამიმალავ? ამდენი წელიწადია
ჩუჴნ ერთმანეთ ვიცნობთ და მეგობრები ვართ, თუ გაჭირება
გაქვს რამე მითხარ, ღთ ი იყოს შენი თავდები რაც შეიძლება
შეგეწევი.

ომან.

უნდა შემოგჩივლო მეტი ღონე არ არის, აბა ახლა გა-
მოგიჩნდება მეგობრობა და ძმობა, ნათქვამია: ძმა ძმისთვისა და
ამ დღისთვისაო, ამაზე უარესი რალა დამემართება?

ღვთის რისხვა ანჩხლს ცოლს შევეყარე.

იმის ყურებით, ვერ გავიხარე.

არის აფთარი და აბეზარი,

ისე გაჴკივის, ვით კარგი ზარი.

შფოთავს, ტრიალებს, რა გაეგება,

სიკაპასისგან, ცეცხლი ედება.

კვერცხებს მამტვრევს თავზე აი. (იხდის ქუდს.)

დახე ჩემს თავსა, თმათ მოკლებულსა,

ესე გაახმო მწუხარებამან,

და განაბნივა ყოველგან ქარმან.

ყარამან.

ეეჴ... ძმაო, მე უფროც ბევრი მაქვს სათქმელი, თევზისა

არ იყოს პირი წყლითა მაქვს სავსეო, მაგრამ რომელი ერთი შემოგჩივლო. ჩუჴნ ორნივ ერთ ტაფაში ვინვით.

ომან.

როგორ ერთ ტაფაში, იქნება შენც ცოლს უჩიოდე?!!!

ყარამან.

არა თუ მარტოკა მე!

იმდენი სიცოცხლე, გქონდეს და მქონდეს,
რამდენი ამაში, ჩუჴნ მსგავსი გვეყვანდეს.

რამდენი კაცი, ავი ცოლის გადამკიდე
ინვის მწვადივით ყოველ დღე.

ომან.

რა ვიცი, რომელი კაცი შესძლებს ამდენს მწუხარებას,
რამდენსაც მე ვითმენ ცოლისგან.

ყარამან.

ჯერ ერთი მე, სხვა კიდევ? (უჭირავს თმა.) ამაზედ უმ-
რავლესია ქვეყანათაზედ. ანჩხლი ცოლი, ავი დედაკაცი?!!!

ოჴ! რა მიძიმე ტვირთია,
მაგალითად ნათქვამია.

მაგრამ, იქნება მართალიც იყოს, ვინიცის.

უსაძაგელეს ქვეყანათაზე,
არის სიყმილი და ჭირით მუსრვა.

უსაძაგელეს კაცთათვისცა არს
ცეცხლი, წარღუნა, სალაშქროდ წარსლვა.

მაგრამ ყველაზედ, უსაძაგელეს
არის რომ ანჩხლი კაცს ცოლი ჰყვანდეს.

ომან.

მართალია მე და ჩემმა განკითხვის დღემა.

ყარამან.

ისი ჩუწნთუსა, უმიძიმესია,
ემმაკი მაზედ, უკეთესია.

ომან.

ოჰ! ისე მართალია ეგ, როგორც ასე გულხელ დაკრეფი-
ლი წავალ და აღარ მოვალ.

ყარამან.

ამას ვამტკიცებ, ამ მაგალითით,
აი ომან, როგორის სახით:
სცურევედა ზღვაში, წყლის სინყნართა
ხომალდი დარში იალქნებითა,

მეხომალდენი, მხიარულებდნენ,
ღვინოსა სვემდნენ, და თამაშობდნენ.

უცებ მოესხა, ცასა ღრუბელი,
ასტყდა გრიგალი, ქარი ძრიელი.

იგი ჰბერავდა, გაშლილსა ჩადრებს,
სჩეხდა ამსხვრევედა, მალალ დირაგებს.

ფურთვნა სასტიკი, ხომალდს ხვდებოდა,
და მას დაღუპვას, ემუქრებოდა.
აღიძრა ზღვაში გრგვინვა-ქუხილი
მოცურავნეთა გული წუხილი.
სიკვდილი მათთვის, გამზადებული,

იდგა საშიშრათ, პირ დაღებული.

ყველა ცად მიმართ, ვედრებისა თქმას,
ალამაღლებდა, მწუხარების ხმას.

მერწმუნე მათი, ღალადებაი,¹
ამაო იყო, მწუხარებაი.²

შემდგომ უფროსმა, სთქვა ყველა მძიმე,
ზღვაში ჩაყარეთ, ამას გირჩევთ მე.

მყის ერთმან თვს ცოლს, ხელი დარია,
იგი გაჰსტყორცნა, ზღვაში გარია.
ეფიცებოდა, ის მეხომალდეს,
ამაზედ მძიმე, არა რა მქონდეს,
რა ანჩხლი ცოლი, ჩავარდა ღრმაში,
სწრაფად გამოჩნდა, სიმშვიდე ზღვაში.

ომან. (იცემს გულში.)

ჰაი ნეტავი ის ჩემი ცოლი ყოფილიყო.

ყარამან.

ნეტავი ჩემიც მას მიჰყოლიყო.

გამოსვლა ნ.

იგინივე და მარიამ.

(ამ დროს გამწარებული და გაასპიტებული შემორბის მარიამ.)

მარიამ.

რაიო რაიო?
ცოლებს განსჯაში ბრძანდებით?
(ომანს.) განა თქუჴნც მარაქაში ერევით?
შენ რომ ქაჩალი იყო, ცოლისა რა ბრალია?
(ყარამანს.) შენკი ხმა ჩაინყვიტე მეთქი, მე არ
შეგხვეწნივარ.
მაშ რათ მირთავდი, თუ აგრე სწუხარ?
(კივის.) რათ მირთავდი რათა, რათა?

ყარამან.

მე ხომ არ ვიცოდი,
თუ ანჩხლი იქნებოდი.

მარიამ.

განა მე ანჩხლი ვარ? ჰ! ეგ უნდა მამიგონო
ვაი შენ ჩემო თაო, ჰ! ეგ უნდა მითხრა?
ეგ უნდა დამწამო, ჰ! ეგ უნდა გამაგონო
მე აქ ველარ დავდგები ვერა ვერა... (გადის.)

ომან.

ჩემსასა ვჩიოდი ეს უარესიც ყოფილა!!!
მაგას როგორ უძლებ, რატომ არ კვდები,
ან ზეზეურათ, რად არ ჭლექდები?
ბარაქალა შენს კაცობას მშვიდობით. (მიდის.)

ყარამან.

მშვიდობით, წადი და საცა შენი თქო, ჩემიც იქა თქვი.

გამოსვლა 7.

ყარამან და თომა.

(ამ დროს შემოდის მხიარულის სახით თომა.)

თომა.

ხა! ხა! ხა! ყარამან რა არის ერთი შენც გაიცინე, რომ შენთან მოსვლა გვიამოს, რა დაგმართვია, სულ იფხორები.

ყარამან.

ნეტავი შენა რო სულ ხარხარებ სხუა რა ჯავრი გაქვს.

თომა.

ხა! ხა! ხა! მაშ არა და შენ გეგვანები? თუ ჯავრობ, ჯავრობ და ჯავრობ. თუ იცინი, იცინი და იცინი. თუ ხუმრობ, ხუმრობ და ხუმრობ. სულ უთავბოლოთ, სხვასკი აღარ დააცული მაშინვე გაფხუკიანდები, იმერელიც არ მინახამს შენისთანა, თუ არა და სულ იბღვირები ბუუუ! (იყურება მალლა.) აიმიხსმა მადლმა მომეტებული არა ვარგარა!

ყარამან.

კარგია მამი თქუწნის საფლავის მზესა, მე ჩემი დარდი მანუხებს, ვისაც არა სტკივარა, ნათქვამია, იმას არცარა ენაღვლებარაო.

თომა.

შენ რალა დარდი გაქვს? მაგრამ, უდარდელი ჭიაც არ არისო, მეც მითხარ ეგებ გიშველო რამე? ხომ გაგიგონია: სხუამან სხვისა უკეთ იცის სასარგებლო საუბარიო.

ყარამან.

რალასა მკითხამ, უცხო ხომ არა ხარ?
განა არ იცი, ამ დღით რა ცეცხლში ვარ?

თომა. (სცენისკენ.)

ამირან გულში მღეროდა, მოყვასნო ბანი მითხარიტო.
აბა რავიცი რას ფიქრობ და რა გაჯავრებს.

ყარამან.

ოჰ ღმერთო! აბა ეგ რა ნუგემის მოცემია.

თომა.

მაშ მშვიდობით. შენს ყურებას მე ვერ გაუძლებ, დღეს
ძალიან გაჯავრებულს გეცხარ, აგრე მტერმაც ნუ გნახოს.

ყარამან.

აბა მეც მაგას ვჩივი და ვწუხვარ, მაგრამ, რას გავაწყობ
ან რა მეშველება?

თომა.

ოოო! ახლაკი მივხვდი, ვისი ბრალია თუკი არავის დაუ-
ჯერებ რა უნდა გეშველოს?

ყარამან.

ნეტავიკი მეშველებოდეს რამე: ასე ბეზარსავარ მოსუ-
ლი ყველას გაუგონებ! ვაი შენს მტერსა ჩემთვის წამალი არსით
იყოს.

თომა.

მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მაგის წამალი თომამ გასწავლოს, თუკი დაიჯერებ კაცისას.

ყარამან.

რასაკვირელია თქუჴნ გეცოდინება გამოცდილი ბრძანდებით.

თომა.

დიახაცა ვარ გამოცდილი.
ერთხელ მეც ვიყავ, მაგ ჭირში,
გაბრუებული სულ ფიქრში,
ბევრჯელ მიმართი დანასა,
ვიტყოდი მოვკლამ ანასა.

შენს ნათლი დედას ე. ი. ჩემს მეუღლეს; მაგრამ, ახლა ასეთი ცხოვრება გვაქვს ყველა ჩუჴნ დაგვენატრის.

მითომლა გაჯავრდეს?

შენი თავი არ მამიკვდეს.

დამიჯერე, როდესაც გაანჩხლდეს, სულ იარაღი უპყვრიალე ასე აი. (იღებს ხანჯალს.) დაემუქარე დაჩუმდი თორემ ან მოგკლამ ან მოგკვდებითყო.

ყარამან.

ჰაი! ჰაი! რას ყმანვილობ, მაშინ ცხვირიც რომ მოვჭრა ვერ დავაჩუმებ. არც სიკვდილისა ეშინიან!

რამდენჯერ უთხარ, ეგ მე იმასა დაჩუმდი თორემ, ხედავ ამასა. – (იღებს ხანჯალს.)

მაინც იმან თავისი არ დაიშალა.
უფრო გაანჩხლდა, ხელები შალა.

გამოსვლა 8.

იგინივე და მოშიაშვილი.

ურია.

აბა ფარჩები, ბატონი ადლეგრძელა ღმერთმა, თომას გაუმარჯოს.

თომა.

ოოო, შენი მამა ცხონდა, კაი დროს მოხველ. მოშია შვილო ამ დღით საცა არ მინდა, შენ დახვალ მაგ შენი ბოხჩით, ვინ იცის რამდენი ქვეყნები მოგივლია, წამალი არა იცირა?

ურია.

რისა შენი ჭირიმე, რა წამალი, ჭკუა ხომ არავის სტკივა.

თომა.

ოჰ, ამ ჩუჴნს მოურავს
ცოლი ჰყავს ანჩხლი.
მეტად აპრუნვით არის.

ურია.

აპრუნუნუნის წამალი პრასა და ნიახურიანო.

ყარამან.

შენ რაღას ანბობ, ლამის ჩემის ხელით ჩემი თავი მოვიკლა.

თომა.

მაგისტრს თავს რათ იკლამ?

ყარამან.

როგორ არ ვიკლავ, ყოველ დღე მოურჩენელს ქირში ვარ, ამდენმა მწუხარებამ ზეზეურათ ჩამომახმო, აგერ სულიც ამამხდება.

ურია.

ჩემო მოურაო, ან წინათ სულს რათ იხდი? იქნება რძალ დედამთილი ან რძალ მული ვერა თავსდებოდნენ, დედა მოხუცებულია ცალი ფეხი სამარეში უდგა, მოდი თეკლე გავათხოვოთ, მერე ორნი როგორც იქნება იცხოვრებთ.

ყარამან.

დიახ კარგათ ლაპარაკობ მაგრამ თეკლე რომ გონჯია იმას არავინ თხოულობს.

ურია.

შენი პურმარილის მადლმა, გუშინ ერთი იმერელი შემხვდა ახალი მოსული გოგია კვანჭახაძეს ეტყვიან კაი ჩაცმულ დახურული. იმათ სახლშიაც ვყოფილვარ დიდი ხანია. მე დამინყო ლაპარაკი. ღმერთი გაგიმარჯვებსო, აქაური ქალები მომწონს შეკაცო და მინდა შევიერთო ვინმეო, ისეთი არავინ იცი ლამაზი იყოს, იმისი მზითევი არცარას შემმატებს და არცარას დამაკლებსო; ეგების იმას მივსცეთ თეკლე.

ყარამან.

ის კაცი რადგან ლამაზს ეძებს, როდი შეირთავს თეკლეს.

ურია.

მაგის წამალიც ვიცი, მე იმ კაცს მოვიყვან და თქუწნი მეუღლე ვაჩუწნოთ, ის კაცი რასაკვირელია მარიამს მოინონებს მერე გავგზავნოთ საყდარში ორნივ, ჯვარი რომ დაინეროს და შინ შემოსვლის დროს, თეკლე მორთული საპატარძლოთ დამალული კარებს უკან გამოჰყვეს გოგიას და მოუფედეს დედოფლათ ტახტზე. –

ყარამან.

ოჰ! ეგ რა სთქვი? კაცო ეგ სიტყვა რამ გათქმევინა?!!!

ურია.

შენმა მწუხარებამ, შენმა დარდმა და ნალევლმა.

ყარამან.

კარგია თუ შენი რჯული გნამს შენგან მაგ სიტყვას როგორ მოველოდი.

ურია.

მე სწორეთ გირჩევ, საბაო ღმერთს გეფიცები, ახლა შენ იცი.

ყარამან.

ღმერთმან დამიფაროს. ვინ რას იტყვის.

ურია.

არ გაგიგონია: ვინც რამ უნდა თქვასო

ნისქვილმაკი ფქვასო.

თუ იტყვიან რასმე, სამდღეს იძახებენ, მერე გადაავი-
წყდებათ და შენ მშვიდობით იქნები.

ყარამან.

არა მე მაგას ვერ გავბედავ, ძნელი საქმეა.

თომა.

ვერა და შენი ნებაა ბრძანდებოდე აგრე, მაშ მშვიდო-
ბით.

ყარამან.

მოიცა რა მიგაჩქარებს, დაჯე პატარას ხანს.

ურია.

რალა დავჯდე, თუკი კაი რჩევას არ გაიგონებ კაცისას.

ყარამან.

რას გადარეულ ხარ ხალხში როგორღა გამესვლება.

ურია.

ქუდ ჩაკეცილი,
დოინჯ შეყრილი,
ყელ მოღერებული,
ყურთმაჯ შეგდებული.

ყარამან.

აი კიდევ არ იშლი შენს მაცდურობას.

ურია.

რა ხუმრობაა? ანჩხლ ცოლს კაცმა თავი ანაცვალოს. შენიცი მშვიდობით.

ყარამან.

მოიცა რა მიგაშურებს. (დაუჭერს კალთას.)

ურია.

დამეხსენ მამა შენი ნუ წაგინცმდება, გამიშვი წავიდე, თითქოს ჭკვიანსა და გონიერს კაცს გეძახიან, შენ უფრო ჭირვეული ყოფილ ხარ? ვაჟო მტერი ხომ არა ვარ შენი, ღმერთმა ააშენოს შენი ოჯახი, რამდენი წელიწადია მე შენს სახლში დავდივარ.

ყარამან.

მართალია, მაგრამ, მე შენ რჩევას ვერ დავყვები, უნინამ დღე დამელიოს.

ურია.

ვერა და კოკა ყოველთვის წყალს ვერა ზიდავსო, ერთხელაც არის წყალზედ გატყდებო, ისე თქუჴნა მოგივათ მაგდენი ჩხუბის გადამკიდე. მშვიდობით. (გავა. ჩამოეშვება ფარდა.)

მოქმედება მეორე.

იგივე დარბაზი საქორწილოთ მომზადებული.

გამოსვლა 1.

(თინათინ გამოდის მიიხედ მოიხედავს და იტყვის.)

თინათინ.

ვიჰ! გენაცვალეთ, მოვდივარ და მოვტირი, ოჰ! ვაი ჩემი ბრალი, რა უბედური ვარ.

(შემოდის ურია.)

ურია.

აბა ფარჩები, კარგი ახალი ფარჩები აბა ფარჩები.

თინათინ.

ჩემო მოშია, გული მაქვს მწარედ შეწუხებული, რა მენწუხება შენ ხომ კარგათ იცი.

ეს ჩემი სახლი ჭერ დაქცეული,
და მამულები, სულ დაბნეული,
მე გავაკეთე მე შევიძინე,
მტერი არ გავაცინე.

ძლივს სახლი სახლათ მოვიყვანე, სარჩო ქონება მრავალი მოვიპოვე.

ჩემ ქვრიობაში, მარად ზრუნვაში,
დღე და ღამ ჯაფით, მარტოობაში,
ზოგჯერ დარშია, ზოგჯერ ავდარში
ხან შინ ყოფნითა, ხან გარეთ კარში.

ნეტავი იცოდეთ, რამდენი შიმშილი, წყურვილი, მწუხარება და ქვრივ ოხრობა გამოვიარე?

წვითა და დაგვით, შვილი გავზარდე,
ძლივს მწუხარება, გადავიხადე,
როს საცოლოდა, ის მოვამზადე,
მაშინ მოყვრობას, კარგს დავექადე.

ვაი ჩემს ბედსა! მე მეგონა შვილს დავასახლებ, კარგის

ოჯახის ქალს შევრთავ უცხო იქნება, რძლითაც გავიხარებ,
შვილითაცა და შვილიშვილითაცა.

შვილს შევრთე ცოლი, კარგის გვარისა,
ლამაზი ქალი, ზემო მხარისა.

ვიჰ ჩემი ბრალიც, რა მამაგონებდა თუ ანჩხლი იქნებო-
და. დახე რა მომივიდა? ჩემმა ამდენმა ამაგმა, ჩემმა ამდენმა
ჭირნახულმა, და ჩემმა ფიქრმა სულ ამაოთ არ ჩაიარა!!!

შეეცდი მოვტყუედი, რა მეშველება?

ვაი³ ჩემს სულსა, გული მიკვდება.

საუკუნო ცეცხლში ჩავაგდე შვილი, შვილი და რა შვილი.
უამხანაგო, ყველას მოთავაზე
ვერ ვინ დასცინებს, იმას ჭკუაზე.

მაგრამ ანჩხლი ცოლის გადამკიდე, ლამის გამიგიჟდეს?
ვუი შენს დედასა შვილო.

ის მშვენიერი ქალი, ანჩხლია და ბედოვლათი.

ყველასთან ჩხუბობს, ძალის ძალათი.

ამ ცისმარეს დღეს, თითო რასმე მოგვიგონებს, გა-
კაპასდება და იყრის გულს!!

ჩუჭნი სიცოცხლე, სულ დაგვამნარა,

იმის ყურებამ, არ გაგვახარა.

ნივის და კივის! ოჰ! ღმერთო ჩემო!

ურია.

ძმა ძმისთვის, [შავი დღისთვის.]

ფილასოფოსნი შემოკრბნენ, შექმნეს ამაზედ

ცილობა,

გვარი სჯობია, სახელი, საქმე თუ კაცის

შვილობა,

ათასად გვარი დაფასდა, ორი ათასად

ზრდილობა,

თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარი

შვილობა.

ქალიცა თუ თითონ ყოვლის კეთილის თვისებით ადყ-

ვაგებული არ არის (ხელის ხმარებით.) ფუჭია გვარი შვილობა თქუწნმა მზემ.

გამოსვლა 2.

(ამ დროს შემოდინ მარიამ და თეკლე საპატარძლოთ ერთ გვარათ დართულები და ორნივ დასხდებიან ტახტზედ შორი შორს. შემდგომ მეორეს კარებიდამ ყარამან, გოგია კვანჭახაძე, ომან, თომა და იორამ. ესენი დაუკვრენ დედოფლებს მძიმეთ თავსა და ქალების მაგიერ დაუკრამს თინათინ თავს. მაშინ თომა გაიხმობს ცალკე ომანს და იორამს, ტყუილათ დაუნყებს მათ ლაპარაკს ჩუმათ, რათამცა არა მიხვდნენ ისინი ქორწილის საიდუმლოსა.)

(ყარამან გამოართმევს ხელს გოგიას და ეტყვის ქალებისკენ მაყურებელი.)

ყარამან.

აი ძმაო და საყვარელო სიძეე! მომიცია ჩემი და ცუდის სახისა, ახლა დაბრძანდით დედოფალს მხარი დაუშვენე.

(გოგია შეხტება ტახტზედ მარდათ და ჩაჯდება მორთულ რძალ მულ შუა. მერე იტყვის მარიამისაკენ მაყურებელი.)

გოგია.

შეკაცო მე ამ ქალს ვჯერვარ შენუ მოუკვდები ჩემს თავს.

ყარამან.

არ არის კოჭლი, არ არის ბრმა, პირ დაკეტილი, საღამომდე თუ მოინდომა ხმას არ ამოიღებს.

გოგია. (გაოცებით.)

იიმე! ბეჩა ეგებ ბლუ იყოს ან მუნჯი.

ყარამან.

მამათუქუჭნი ოტია არ წამინწყნდეს
ამას გაბმულ ლაპარაკში
ენას ქვალი არ დაადგეს.

(ამ დროს თინათინ სცენას ანიშნებს ხელით და იტყვის ზურგშექცეული:)

თინათინ.

სად არის ამის ამოტელა ენა, რო არ ასავსავენს და ყბე-
დობით არ იქანცება, ვაი ჩვენი ბრალი მუნჯიც ჰგონია. (იცემს
გულში.)

გამოსვლა 3.

იგინივე და ტეტია საზანდარი შემოდის სტვირის დაკვრით.

თომა.

ოო! ჩემო ტეტია კარგს დროს მოხველ, უშენოთ ლხინი
არ ვარგა.

ტეტია.

ღმერთო ნუ მოშლი ამ სახლში ლხინსა და პურადობასა,
ტეტიას სტვირის დაკვრაზე, სუყველას თამაშობასა.
(ამ დროს იცინიან კაცები ხა! ხა! ხა!)

თომა.

აბა თუ კაი საზანდარი ხარ, სიტყვა ის არის ყველანი გვათამაშო და ვისაც რა ხასიათი გვაქუს ის სტვირზედ დაამ-
ლერო, ხომ კარგათ გვიცნობ?

ტეტია. (გაოცებით.)

ოჰ! ეგ როგორ იქნება?

თომა.

ხა! ხა! ხა! შენ რა გაგიჭირდება.
ღმერთს ენდე მართლათ გეუბნები,
ცუდიც რომ იყოს ნუ დაგვეფერები.

ტეტია.

რომ გენყინოსთ ხომ კარში გამაგდებთ?

თომა.

ნუ გეშინიან ბევრსაც ვიცინებთ.

ტეტია.

აბა თავდებს რას მიდებთ.

გოგია.

ოღონდ შეგვაქციე და, ღმერთი შენი თავდები, არ გაგი-
ჯავრდეთ. აპა თქუჴნ რას იტყვით ქალებო.

ქალები.

მაგის ყბედობა ვის გვეწყინება.
თუკი შეგვაქცევს, რა გვენაღვლება.

ტეტია. (უკრამს სტვირს.)

ახლა სჯობს ლხინი თამაში,
ყველამ დაუკარით ტაში რიგმოდებულსაო.
(თომა თამაშობს და მესტვირე მღერობს იმის თვისებასა.)

ესე კაცი მოცინარი,
ჭკუას ჩემობს უმეცარი,
ამით მოსწონს თავი ქებით,
შემაბეზროს ბევრის ყეფით.
არაღე თარაღე რიგ მოდებულსაო. (იცინიან
ყველანი.)

(თომა დაუკრამს თავს მეფეს გოგიას და გოგია
თამაშობს.)

ესე ყრუ და თვალ ბეცია
სახეც ცუდათ დაჰკეცია.
თუკი ერთი გაჯავრდება,
ნინ ვერავინ დაუდგება.
არაღე თარაღე რიგ მოდებულსაო.
(გოგია დაუკრამს თავს მარიამს და მარიამ უარს ჰყ-
ოფს.)

გოგია.

იიმი! ითამაშე ქალო რა შვები აპა, რავა საკადრისია ეგ?

ყარამან.

(სცენისკენ იტყვის განცვიფრებული.)

ვაააი!!! ახლა დავიღუპე.

გოგია.

ქალო ჩამოუარე ნუ გცხვენია კოჭლი ხო არა ხარ?
(მარიამ თავმოწონებით თამაშობს და გოგიას სიხარულით აღარა გაეგებარა, იღრიჭება და აქეთ იქით იყურება.)

ტეტია იმღერის.

ესე ქალი სახლის რძალი,
ცეცხლებსა ჰყრის ვითა ტალი.
დედამთილი და სახლ კარი,
მული გონჯი, კარგი ქმარი,
საშინლათა ეჯავრება,
სუყველას ეს უჯავრდება.

არალე თარალე რიგ მოდებულსაო. (იციინან.)

(მარიამ დაუკრამს ყარამანს თავსა და ყარამან თამაშობს.)

ესე კაცი გონიერი,
ჭკუა მცნება ქონიერი.
სხვათა მაზიარებელი
თითონ საზიარებელი.

არალე თარალე რიგ მოდებულსაო. (იციინან.)

(ყარამან დაუკრამს თავსა თეკლეს და თეკლე თამაშობს.)

ესე ქალი უგემური,
შავი არის ვითა მური,
ავია და მედიდური,
ამით არი უბედური.

არალე თარალე რიგ მოდებულსაო. (იციინან.)

(თეკლე დაუკრამს თავს ომანს და ომან თამაშობს.)

ესე კაცი მოზუზული,
ცოტა წელში მოკუზული,
არას ჰკითხამ, არას გეტყვის,
ჩუმათ არის, გული ეწვის,

არალე თარალე რიგ მოდებულსაო. (იციინან.)

(ომან დაუკრამს თავს თინათინს და თინათინ თამაშობს.)

ეს ბებერი ბებრუცანა,
გითხრათ ამის გამოცანა.
მშვიდია და დროთ მოსული
მალეც ამოუა სული.
არალე თარალე რიგ მოდებულსაო. (იციინან.)
(თინათინ დაუკრამს თავს იორამს და იორამ თამაშობს.)
დათვი მჭლე და შენ მსუქანი,
ნეტამც იყო, აქლემ ხანი.
სიმარჯვით გეჭიროს თვალი
ნეფეი და დედოფალი,
დროით გზაზედ გაისტუმრო,
სხვანი დასხა და უსტუმრო,
არალე თარალე რიგ მოდებულსაო. (იციინან.)
(იორამ დაუკრამს ყველას თავსა და იტყვის:) ახლაკი
დროა წასვლისა.

ტეტია.

წასვლა სჯობს წარმავალისა
არ დახანება ხანისა რიგ მოდებულსაო.
(ტეტია დაუკრამს თავს გამოეთხოვება ყველას და გა-
დის.)

გოგია.

კი შენმა მზემ, კაი იქნება ახლა ჩუჭნი წასვლა, ანი მეც
მივეჩქარები იმერეთშიდ.
(კაცები ერთ მხარეს შეიკრიფებიან ქალებისკენ ზუ-
რგშექცეულები და იწყებენ ქორნილის რჩევას, ამ დროს სწრა-
ფათ მარიამ დაიხურამს პირბადეს და იალქანს და გამოჭიმული
დადგება მზათ, თეკლე იმალება ფარდას უკან. შემდგომ იორამ
გაუძღვება წინ და გოგია მოჰკიდებს პატარძალს სარტყელზედ
გამობმულზედ ხელცახოც და მიდიან მაყრულით. სხვანი რჩე-
ბიან სახლში.)

იორამ.

ჩუჴნ მივდივართ ახლა და თქუჴნ შეეჴეცით, მერე მოვალთ და უფრო კარგათ გისტუმრებთ.) (გადიან ჩვეულებრივ.)

თინათინ.

ვიჴ! ნათლიმამ! იმერეთში როგორ ურჩიე გათხოება, ხომ დამიკარგე შვილი?

თომა.

დედა შვილობამ იმერეთი კაი ქვეყანაა.

თინათინ.

კაია თუ ღმერთი გნამს, შენ სულ აგრე იცი.

თომა.

აბა კიდეც იმისთვის გიჴებ, რომ კარგათ ვიცი ის ქვეყანა! მშვენიერი მისახედ მოსახედი, მთა ბარი, ველი თუ მინდორი ყველა შემკობილი, იჴაურობას ძალიან აჴებენ.

თინათინ.

ტყუილათ გაგიგონია თქუჴნმა მზემა, მაგდენი თვალსაჩინო იმას არა აჴეს რა, ჴაჯთ ქვეყანაა ის.

თომა.

როგორ ჴაჯთ ქვეყანა, მე იჴ ვაპირებ ნასვლას იჴნება იჴაც დავსახლდე.

თინათინ.

უი დამიდგა თვალი! ისე შორს?

თომა.

შორსა? შენ არ იცი დედაშვილობამ იქ რა ხალხია. მერე გიანბობ როდესაც მოვალ.

თინათინ. (სცენისკენ.)

გენაცვალეთ მართლათ აპირობს. შვილო რა გინდა ნაილო ან რა გინდა მოიტანო იქიდამ.

თომა.

რა მაბადია რა წავილო? თუ იქიდამ მშვიდობით დავბრუნდი? მაშინ მნახამთ, როგორ სრულებით სხვა ვიყო, როგორ თავმოწონებით დავდიოდე, როგორი უღვაშები მქონდეს.

თინათინ.

ქა! წვერ უღვაშისთვის რომ ისე შორს არ წახვიდე? ერთს ორთვეს შენს ვენახში შედი და ნულარ გამოხვალ, ვენახსაც შეიმუშაებ, წვერიც გამოგივა და უღვაშიცა, მერე როგორც გინდა ისე იარე.

თომა.

ხა! ხა! ხა! შენ ისე მიპირობ, ბიძინაურსა რომ თავისმა ბატონმა საქმე უყო; ჯერ კვიცივით გაკრიჭა, რას დაეთრევი და ქვეყანას ატყუებო, იერუსალიმიდამ⁴ მოსულს მაგისტანა წვერი არ უნდა ჰქონდესო! მერე ვენახში დაამწყვდია რამდენიმე თვე, იმ კაცმა ვენახიც შეიმუშავა, წვერიც აქამდინ გამოუვიდა (იდებს სარტყელზედ ხელს.) და უღვაში ყურებადინ.

თინათინ.

ოოო! შვილო! აგრე არა სჯობია? ნვერ უღვაშისთვის რაზედ იკარგები მაგისტანა კარგი ყმაწვილი კაცი.

თომა. (სცენისკენ.)

აბა რა იცის ამ ბებერმა რა რჩევას მაძლევს.

ბარემ ესეც მითხარი რაც არ ექნას პაპაშენსაო ნურც შენ დახვე მარმაშებსაო.

თინათინ. (სცენისკენ.)

თქუწნი ცოდო მქონდეს,

თუ ამას სრული ჭკუა ჰქონდეს.

არ იცი მაგასაც გეტყვი.

ყარამან. (ჩამოართმევს ლაპარაკს.)

თომავე, რასაკვირელია უცხო ქვეყნის ნახვა, მეტადრე იმერეთისა შენმა მზემ დიახ კარგია, ნეტავი შენა თუ ნახვალ და იქაურობას ნახამ; მაგრამ წასვლასაც თაბაუთი აქუს, ნათქვამია. სვავიო ძვალსა, ჯერ გაზომს, მერე ჩაჰყლაპსო.

თომა. (სცენისკენ.)

ესეც ბებრულათ მირჩევს. ომან შენ რაღას იტყვი, იმერეთს არ ყოფილხარ?

(ამ ლაპარაკში თეკლე პირბადითა და იალქნით დაიმალება კარებს უკან და ელის ნეფე დედოფალს, რომ დედოფლათ თითონ დაჯდეს და მარიამ გამოცვალოს.)

ომან.

იმერეთსკი არა და შაქი შირვანში ვყოფილვარ.

თომა. (სცენისკენ.)

არცა რა ამას გეგება ქვეყნისა.

სად ახმეტა, სად წილკანი

სად ბატკანი, სად ციკანი.

სად იმერეთი? სად შაქი შირვანი.

მე იმერეთის ანბავს გკითხამ, შაქი შირვანი რაში მე-
კითხება, იქაური ანბავი, ჩემსავით შენ რათ გეცოდინება?

ომან. (სცენისკენ.)

ამ ყმანვილმა ყველა იცის და არა იცის რა. თუკი გცოდ-
ნია მამ რალათ მკითხამ?

თომა.

მე გკითხამ იმერეთის ანბავი არგაგიგონია იქ ვაპირებ
ნასვლას.

ომან.

აგრე მითხარ შე დალოცვილო! როგორ არ გამიგონია?
იმერეთის ანბავი სწორე მოგახსენო, ზაალ რომ იყო კაი მო-
ლაპარაკე, ის იტყოდა ხოლმე ყიზილბაშმა საქართველო რომ
ნაახდინაო და ქალაქი აიკლოვო, მაშინ ბევრნი გადავცვივდით
იმერეთში დასახიზნავათ და მეც იქ დავრჩიო რამდენსამე წელ-
საო. ქუთაისი რომელიც ძველი ქალაქიაო ის ყოფილა მაღალ
ქვიან მთაზედ აგებული და სახელიც იმისთვის ჰქვიანო მითომ
ქვა მთა ისი. მერე და მერე ჟამთა ვითარებისაგან დაურქმევი-
ათ ქუთაისი. მართლათაც რომ ნახოთო ის მთა კლდე არისო და
ერთს მხარეს ქვიანიაო. იქიდამ საითაც მივიხედავდით, დიდს
მშვენიერებას დავინახამდითო, წყალს, მინდორს, ტყეს, ველს
მთასა თუ ბარს ყველას ღწაგან შემკობილსაო. ასე იტყოდა:
იმისთანა ნაყოფიერი ქვეყანა ცის ძირზე ბევრი არ იქნებო.

ახალი ქალაქი ქუთაისი ჩემს დროს კეთდებოდა ძირს მდინარის რიონ გამოღმა დაბლობშიაო. იქაური სახლები სულ ხისა არისო და თითო ოროლა ქვისაო, წინ ბაღჩებით და დიდროანი ხეები ზოგს სახლებს კიდევ ჰფარავსო. ვისაცკი შეძლება აქვს კაი დაგემართოს კაი დახვედრა იმათ იციანო, დასდგმენ სუფრათ ოთხფეხიან ფიცარსაო და დაანყობენ ზედ მომეტებით საჭმელსაო. ასე რომ ზოგჯერ ამ საჭმლის ორთქლი ტრიალებს სუფრაზედ ჩიბუხის ბოლივითო, შემოუსხდებიან სუფრას ჩამომსხდარნი ითლიან ბეჭს თხლათა თავაზიანათ, სმენ ზედ ღვინოს: ცორიკაულს ოჯალესისას და სხვა სოფლებისას, აქვსთ ლხინი და შექცევა ღიღინით. –

იქაური სიმღერა.

ნეტამცაი მამკლაცაი, ასო ასო ამჭრაცაი,
ჩემი ლეში ყვავ ყორანსა, დოუყარა აჭამცაი,
ეკალზედან დამანვინა, ზედ დულარე
მასხამცაი,
ამას ყველას მოვიჭირვებ, თუ გიყვარვარ
მაინცაი,
არუნანუ თარუნანუ.....

მეტადრე სოფლებშიო, თითოს მოსახლეს, სამის დღისა მეტი თუ ნაკლებ, შემოლობილი მინდორი აქსო, და შიგ შუაში უდგას დაჭრელებული ხის სასახლე, ყველა განყობილი, სასტუმრო ცალკე, სამზარეულო, სახაბაზო, მარანი და სხვა ქონ ქუხი სულ ხისა ფიცარ დახურული. ამ შემოლობილს ეზოში დიდროანი ხეები შორიშორს, გართხმული ფოთლით, აჩრდილებს მშვენიერს მწვანესო. კიდევ ბევრს ანბებს იტყოდა ხოლმე, მაგრამ, რომელი ერთი ვთქვა?

თომა.

აბა ახლა შაქი შირვანის ანბავი გვიანბე.

ომან.

იქით მხარეს დიდი ხანია [არ] ვყოფილვარ, ნეტავი აღარ მოვსულიყავ.

თომა.

რატომ? განა აგრე მოგნონს ის ქვეყნები?

ომან.

სწორე მოგახსენოთ, იქით რომ ვიყავ რა მიჭირდა.

თომა.

ახლა რაღა გიჭირს?

ომან.

ახლა, შევირთე ცოლი,
ოხერ ობოლი,
ღვთის რისხვა ანჩხლი,
თავს ქვასა ვახლი.
დამიკრეფია გულ ხელი ვჩივი და ვტირი.

ყარამან.

კარგია თავი ნუ მოგიკუდება, ცოლისას ნულარას მამა-გონებ.

თინათინ.

ვიჰ შეილო! მაგას რათ იტყვი?

ყარამან.

რატომა დედა შვილობას? ჩემი ცოლის გადამკიდე, აქ უცხონი არა ვართ, ნახევარი სული აღარ მიდგა. ჩემის ხელით ლამის თავი მოვიკლა, ერთი დღე სიამოვნება არა მაქვს სულ ჩხუბობს და ანჩხლობს. ღამე ზოგჯერ კიდეცა მცემს! ნეტა რისთვის რათა? სმა აკლია, ჭამა ჩაცმა თუ დახურვა? ყველაზედ მეტათ ის არ გამამყავს; უაღერსებ თუ ვარიგებ, სულ ერთია იმისთვის, ერთხელ არ მახსოვს იმისგან ტკბილი სიტყვა გამეგონოს, ან თქუწნ რას კეთილს გაყრისთ?

თინათინ.

რაუყოთ შვილო, განა ჩუწნ არ ვეჯავრებით, ამ დღით ცეცხლის ალში გვატარებს; მაგრამ, უნდა მოვითმინოთ.

ყარამან.

რისთვის რათაო რათა?

თინათინ.

იმისთვის, რომ შენი გვირგვინის ცოლია და შენი ბედი.

ყარამან.

ჩემი შავი ბედი?

აის ანჩხლი და ყბედი?

შავ და უკულმა ის დღე, რა დღესაც მე იმაზედ ჯვარი დავინერე. ნეტა სახლის ზრუნვა აქვს, ოჯახის გაძლოლა იცის, ნახდება რამე არას დასდევს, გაკეთდება არა იცისრა, ოღონდ იმას ყველა მზათ მიუვიდეს. ეგეც შენი კაი ოჯახის ქალი.

გამოსვლა 4.

იგინივე და იორამ.

(ამ დროს შემორბის ქაქანით იორამ და იტყვის
შენუხებული.)

იორამ.

ცუდი მახარობელი ვარ ცუდი.

ყარამან. (განცვიფრებული.)

როგორ! რა ანბავია ჩემს თავს?

იორამ.

ნეფე და დედოფალი ახალი ჯუარდანერილები აქეთ
აღარ გამობრუნდნენ. გოგიამ შემოგითვალა: უკაცრაოთ ჩემო
მოყვარეო სახლში მივეჩქარები და თქუწნთან ველარ გიახ-
ლებით ნურას დამემდურებითო.

ყარამან.

რას ანბობ!! ხუმრობ, თუ მართლა?

იორამ.

მე არ გეხუმრები მართლათ გეუბნები, შესხდნენ ცხენ-
ებზედ ასე გაფრინდნენ თვალიც ველარ მოვასნარ მოიტაცა და
ნაიყვანა ქალი.

ყარამან და თინათინ შემოიკვრენ თავში ჩამომსხდარნი
ტახტზედ და იძახიან მალლა: ვაი ჩუწნს ყოფასა, ვაი ჩუწნს
თავის მოჭრასა, ვაი ჩუწნ სიცოცხლესა, ვაი ამ დროს
შესწრებასა.

იორამ.

აგრე რათ სწუხართ წაიყვანა წაიყვანოს?

ყარამან.

შენ არ გესმის რა ანბავია? ცოლი დავკარგე ცოლი, ვაი მასთან პირშავსა ის ჩემი ცოლი იყო.

იორამ.

როგორთუ შენი ცოლი?! ვაი ჩემს გაგონებასა. (შემოიკრამს თავში. ამ დროს თეკლეც მოიხდის იალქანს და სუყველანი იცემენ თავსა და მუხლებში იძახიან ვაის მოთქმით ფარდის ჩამოშვებამდე.)

ომან.

კაია დაწყნარდით, ნეტავი ჩემს ცოლსაც ასე მოვრჩე-ბოდე და საუკუნოთ, მეც მოვისვენებდე. დეე წაიყვანოს. რაც იმან სარგებლობა ნახოს, თავის ძველსა და ახალს მკვდარს დააკვეხოს. ტყუილათლა სწუხართ, ის კაცი არ დაგანებებსთ, აღარც რჯულის კანონი მოგცემსთ! ნათქვამია: თუ ჭკვიანი არ შესცდება, რეგვენი კლდეზედ გარდავარდებაო. შე დალოცვილო, ამ უმეცარს შენს ნათლიმამას თუ დაუჯერე ვაის რალათ იყრი.

ვაი მას ვინცა ჩემებრ დაგული,
იყოს ცოლისგან, გულ დაჩაგრული,
იდგეს თუ იჯდეს, ცოლზედ ფიქრობდეს
და მის სიშორეს, მარად ნატრობდეს.

(სცენისკენ.) ახლა იმათ იცენ თავში.
თქუწნ კი დაგვიკარით ტაში.

დასრულდა.

უბედური მთარეშე

კომედიას
თარს მთარეშეაღ.

მოქმედი პირნი:

ალა ბერაძე – პოდრიადჩიკი.

თალალა – მისი ცოლი.

მარინე – გამდელი.

ვარდუა – მარინეს ქალი.

გოგია – მართალაძე, იმერელი.

მოჯამაგირე[ე]ბი ბერაძისა.

ამირანა – მეჭორკაშვილი

ორი უცნობი პირი, მესამე ხნიერი კაცი და სხვანი
დუღუკ-დაფით.

მოქმედება პირველი.

სცენა წარმოადგენს ბერადის უბრალოთ მორთულ ოთახს. ერთ მხარეს დგას საწერი სტოლი, კრესლა და დივანი; დივანთან კარია ზალაში გასასვლელი; სტოლზედ ძევს დავთარი, სჩოტი, საწერ-კალამი და ორი სანთელი ანთია ვერცხლის შანდლებით. მეორე მხარეს კედელზე დიდი სარკეა, წინ უდგა სტოლი, ზედ პომადა და დუხები; ჩამორიგებით სკამებია და ფულის დიდი ზანდუკი რკინა გადაკრული; ზანდუკთან მინის კარებია, მეორე ოთახში გასასვლელი. კრესლაში ზის ბერაძე, ხალათ ჩაცმული და ანგარიშობს.

ბერაძე.

ჩემის ანგარიშით, ამ წელს მე მაქვს მოგება ათასი თუმანი ნაღდი ფული: ხუთასი თუმანი შაქარში მერგება, იგირმიშანთ იოვანესთანა ვარ ამხანაკი; იმან ჩემის ფულით შაქარი იყიდა გრანიცაში ძალიან იაფათ, აქ გაყიდა ნარდათ ფუთი ცხრა მანეთათ, ათასი თუმანი მოიგო ხელ-და-ხელ; ის მოგება ნახევარი ჩემია, ნახევარი იმისი; ეს ხუთასი თუმანი. (აგდებს სჩოტს). თავნი კიდევ ჩემი ფული ისევ უკვდავია, – იმასთან რვა ასი თუმანი. ხუთასი თუმანიც პურებში ვიგებ, ესეც ხუთასი; წმინდა ათასი თუმანი ფული მოგება. (შემოდის ამირანა და პარკით ფულს დასდებს სტოლზე.)

ბერაძე.

ოჰ, დროც იყო შენი მოსვლისა; პურები რა უყავ, რათ დაიგვიანე? იცი, თუ რა საყვედურს გეტყვი მე მაგისტვინა!

ამირანა.

თქვენი რისხვა არა მაქვს, ხომ მოგეხსენებათ, გაცემულის აღება ზოგჯერ ძრიელ ძნელია. რა ქნან საწყლებმა? ვისაც უსესხნია და პურზედ ფული აუღია, ის ახლა ბევრს ნანობს –

ცუდი მოსავალი მოგვივიდაო, მაგრამ რაღას გაანყოფს: ვალს გადახდა უნდა, ალებულს მიცემა.

ბერაძე.

მაგას ვინ გკითხამს, შენ მითხარ აკრიფე, იყიდე და მიაბარე თუ არა?

ამირანა.

სულ წმიდათ, თქვენმა მზემ, კიდეც ჩამიბარებია, ვისგანაც ამიღია ნასესხები და მიყიდნია ფულით, იმათი ორი კოდი მე ერთ კოდათ ამინყამს და მიმიღია; მუჭაც მეტ-მეტი გადამიტანებია ხორბალის აწყვაში.

ბერაძე.

პური როგორია, ძალიან ხარჯიანი ხომ არ არის?

ამირანა.

როგორც შინდის კურკა ისეთია.

ბერაძე.

არა, სწორე მითხარ, მამა გიცხოვრდება, ხარჯიანია?

ამირანა.

თქვენ არ მომიკვდეთ! ჰო, ცოტა ღვარძლი კი ურევია, იმის მჭამელს არაყი აღარ უნდა ისე დაათრობს.

ბერაძე.

ვა! ღვარძლიანი პური როგორ შეიძლება?

ამირანა.

დალოცვილო, ეგეც ძლივს ავკრიფე; თქვენ ხომ არ მიირთმევთ, ვინც ჭამოს, იმან იწუხოს; მე ხომ ჩავაბარე, თქვენ რაღა დარდს ეწვევით, თუნდ ნახევარი ნაგავი იყოს.

ბერაძე.

ეს რაღა ფულებია?

ამირანა.

ეს თერთმეტი თუმანი დამრჩა ნასყიდ პურებში.

ბერაძე. (მხიარულად).

ბარაქალა, ჩემო ამირან, რომ აგრეთი ერთგული ხარ შენ ჩემი; ესეც მოგება, კარგი ანბავია.

ამირანა.

ერთ კაი ახალ ანბავსაც მოგახსენებ.

ბერაძე.

აბა თქვი, ჩემო მეჭორკაშვილო.

ამირანა.

ზიარების მადლმა, ჭორი არ არის, სულ მართალია.

ბერაძე.

თქვი და, რაღა ვა! რაც უნდა იყოს.

ამირანა.

უსნიფერანთ აღას ვაჟს მიკირტუმას ხომ იცნობთ, ეხლა რომ მოვიდა რუსეთიდან ფრანტი.

ბერაძე.

როგორ არ ვიცნობ, აჩკებით რომ დადის.

ამირანა.

ჰოო, ისა. ნუხელის ყოფილა ის ერთ სახლში, ქალებთან არშიყობა დაუნყვია, სახლის უფროს უნახამ იმისი ქცევა, არ მოსწონებია; უთქვამს თუ – მიკირტუმ იუსუფოვიჩ, მობძანდი ჩემ კაბინეტში, ცოტა ხანს დრო გავატაროთო. კაბინეტში რომ შესულან, კარები დაუკეტამს, იმ წამს ისეთი ხიზაბარელის მოგვერდი უკრამს, რომ მიკირტუმა ყირამალა დაცემულა ბრაგვანით პოლზე, მაშინ დაუძახნია მსახურებისთვინ: აბა, დაჰკარით ამას! იმ ალიაქოთში ძირს სახლის დგმურს გამოღვიძებია, უეცრათ წამამხტარა ზეზე, ინერს თურმე პიჯვარს და იძახის: ტერ ასტუაც, ღმერთო შემინყალე, ეს რა ამბავია, მიწა იძრა, სახლი ხომ არ ინგრევაო! ყური დაუგდია, ზემოდამ ცემისა და ტირილის ხმა ჩამოდის, ვა!!! დიდათ გაუკვირდა, თითქოს როზგით ცემა გადავარდაო, ახლა ძალიან სცემენ იმ საწყალ, ვუი ქი, ნეტა თუ ვინ არისო. აღაჯან, ლამაზები რომ გიყვარს, გაფრთხილდი: იმისთანა ოინს არავინ მოგივიდეს.

ბერაძე.

შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს, მე ისე არ მოვიქცევი.

ამირანა.

მაგას ვინ ანბობს, ღმერთმა ნუ ქნას, ვინ იცის, საქმე როგორ იყოს. ღამე მშვიდობისა, ცოტა დაღალული ვარ, მინდა

დავისვენო.

ბერაძე.

ნადი, დაისვენე, ახლა თავისუფალი ხარ. (ამირანა გადის, ბერაძე დაფიქრებული გაივლის და გამოივლის, მერე ეტყვის პუბლიკას.)

ბერაძე.

საკვირველი კაცია ეს ამირანა, ყველა ანბავს ასე წვრილათ როგორ შეიტყოფს ხოლმე და დაისწავლის! არა, ის ოხერი მიკირტუმა, არშიყობის სწავლისთვის შორს რომ არ წასულიყო, მე უფრო ახლო არ ვიყავ აქა? განა მე კი ვერ ვასწავლიდი: მოსულიყო ჩემთან, მაგისტანა საქმეებზე კიდეც დავხარჯამ წელიწადში ორასი თამანი მეტი; დოვლათი ბევრი მაქვს, მოგება კარგი, სხვა რაღა მინდა ქეიფის მეტი.

(აღებს ზანდუკს ფულის ჩასადებათ; ამ დროს ვარდუას შემოაქვს ვერცხლის ფოდნოსზე ჩაი, ბერაძე მიუხურავს ჩუმათ მინის კარებს.)

ვარდუა.

ქა! სად წასულა, რომ ეს ფული სტოლზე დარჩენია?

(ვარდუა გამობრუნდება წასასვლელად, მაგრამ ბერაძე გზას გადუღობავს, ვარდუა უეცრათ შეკრთება და განითლდება.)

ბერაძე.

აქა ვარ, ვარდოჯან, რათ განითლდი, შე კუდიანო; ფულები დაინახე განა, გინდა გაჩუქო? მიჩუქებია სულ შენტვის.

ვარდუა.

ქა! დაგწყევლა ღმერთმა, რა მოგეჩვენა?

ბერაძე.

ვარდოჯან, შენ გენაცვალე, ამ ფულებს სულ შენ გაჩუქებ, ერთი გაკოცო მაგ ბრონეულ ლოყაზე.

(ვარდუა დასდგამს ჩაის სტოლზე და უნდა გაიქცეს, ბერაძე დაიჭერს და დაუჩოქებს.)

ბერაძე.

ჩემო ლამაზო, ვარდოჯან,
ჩემი გულის დარდოჯან!

(ვარდუა წიხლსა ჰკრავს; თალალა შემოიხედავს მინის კარებიდან და შემოვარდება.)

თალალა.

გრცხვენოდეს, შე პირშაო, შენა! რას აწვალეზდი ამ უმანკო გოგოს? მამიშენის სალოცავი იყო თუ პაპიშენისა, რა მუხლს უყრიდი?

ბერაძე.

ვეხუმრებოდი, რა გაჯავრებს.

(ვარდუა გადის ცრემლიანი თვალებით.)

თალალა.

შე უნამუსო, გოგოების ხუმრობა რა შენი საკადრისია?

ბერაძე.

რა დაიჟინე გოგოები, მაშ ქალბატონები ვინ შემიყვარებს; ახლა უღვაშებიც მოვიპარსე – მოდაა, იქნება შენც აღარ გიყვარდე... მაშ რა ვქნა, რომ გოგოებსაც არ გავეხუმრო, ხომ იცი თალაღჯან...

(უმღერის რომ გაუქარწყლოს და ხუმრობაში გაუტაროს).

ახირებით მხურვალი მაქვს ბუნება,
დასწყევლოს ღმერთმა ეს ჩემი ჩვეულება.
ერი, ერი, ერი, შენი სულისა,
სიცოცხლეო, შენ ვინ გაგაგულისა.

(ეხვევა, უნდა აკოცოს და შეირიგოს.)

თალაღა.

ქა, ხედამთ ამასა, არც კი რცხვენიან, კიდეცა მღერის, მითომ აქ არაფერი ამბავია!?...

გამეცალე, მე შენი საკოცნელი ლოყები არა მაქვს, არც შენი მოსატყუარი ვარ მეთქი, კარგათ იცოდე. კიდეც ეგ არის, რომ ბუნებაც ავი გაქვს და ჩვეულებაც; ვაი ჩემი ბრალი შენ ხელში, სულ უნდა ვიტანჯო.

ბერაძე.

თალაღჯან, ნუ ჯავრობ, მალე დაბერდები. გულში დარდს ნუ შეუშვებ, თორემ დაჭლექდები.

თალაღა.

მაშ უნდა ვიმღერო რაღა, რომ შენ ქცევას უყურო?

ბერაძე.

ოღონდ ეხლა იმღერე, პატიოსანს სიტყვას გაძლევ,
ჩემ დღეში შენ აღარ განწყენინო; დღეიდგან ვარდუასაც აღარ
გავეხუმრო.

თალალა.

ტყუილო, მართლა ანობო მაგას?

ბერაძე.

შენმა მზემ, თალალ, მე არ მოვკვდე.

თალალა.

მამ კარგი, მოიტა ხელი, შევრიგდეთ ბარიშალი.

(იმღერის).

ბალში ვარდი რათ მინდოდა,
გულში დარდი რათ მინდოდა;
შენისთანა ვინ მინდოდა,
შენზედ კარგი რათ მინდოდა!

(ერთმანერთის ალერსში ორნივ მღერიან ერთად.)

ახ თვალებო, თვალებო,
შავ ხალებო, ხალებო,
ხუჭუჭ დალალ კავებო,
ყუყუნ ლამაზ თვალებო!

ბერაძე.

აბა, ასე არა სჯობია სულ ვიმღეროთ და მხიარულათ

გავატაროთ ხოლმე? შენ რა გენაღვლება ხან და ხან ვიხუმრო, ხომ იცი, მე არ გილალატებ.

თალალა.

არა, ხუმრობას კი თავი დაანებე, ამისთანა ხუმრობას მე ვერ მოვითმენ.

(შემოდის მარინე, ბერაძე გადის ზალაში.)

თალალა.

არა, დედავ, მე აღარ შემიძლიან თქვენი შენახვა ჩემს სახლში: მე ვერავის ცოდვაში ვერ ჩავდებო.

მარინე.

რა დავაშავეთ ან მე ან ჩემა ქალმა; მაგას რათ მიბრძანებ, რა ნახეთ ჩვენში? დღეს ექვსი თვე შესრულდა, თქვენ სახლში შემოვსულვართ დედა შვილი; ამ ექვს თვეში, რაც გიბრძანებია, ყველა მიმსახურნია: პურს გიცხობ, სარეცხს გირეცხამ, სახლსა და კარს ერთგულათ უვლი, არას ვაფუჭებ: აბა, რა ორგულობა გამინეგია ან მე ან ჩემ ქალს? ღმერთმა დაგვიფაროს, ვისიც პური ვჭამოთ, იმას ორგულათ მოვექცეთ; მერე შხამათ არ უნდა შეგვერგოს! ჩემი ქალი, თუმცა პატარა არის, მაგრამ, რაც ხანი აქვს და შეუძლიან, ისიც კარგათ გემსახურებათ. მე სულ თვალწარბში გიყურებ, რა გასიამოვნო.

თალალა.

მადლობელი ვარ, ჩემო დედავ; განა ვერა გხედამ, მაგრამ მე ისეთი ავის ხასიათის ქმარი მყავს, რომ თქვენი ჩემ სახლში დგომა აღარ შეიძლება.

მარინე.

უი, ჩემ სიცოცხლესა! განა მწამობ რასმე ამ დროულ დედაკაცს?

თალალა.

არა, დედავ, ცუდს არაფერს, ღმერთმან მაშოროს, მაგრამ კიდევ გეტყვი ის ასეთი კაცია, იქნება შენც არ დაგინდოს.

მარინე.

უწინამც დღე დაელიოს! რადგან მაგას ჰფიქრობ, ღმერთმა ნუღარ დამაყენოს ამ სახლში; მიბოძეთ ამ ექვსი თვის ჩემი ნამსახური ჯამაგირი, რაც მერგება, და წავალთ ჩვენთვის; ღარიბები ვართ, მაგრამ ეს ლეჩაქი სუფთა მხურავს და ნამუსიანათ მიცხოვრია ჩემ სიცოცხლეში სუყველგან.

თალალა (წუნუნით.)

რა უნდა მოგცე: ექვსი თვე შეგინახეთ დედა-შვილი, გასვით, გაჭამეთ; სხვა რაღა გინდათ, რაღა გერგება, რაღასა მთხოვ? (გადის.)

მარინე (პუბლიკას.)

ქრისტემ დასწყევლოს ამათი ხასიათი – რა კაი ხალხნი ესენი არიან; გენაცვალეთ, როგორი წუნუნი დაინყო, თითქო ჩემზე უარესი ღარიბიაო? ნეტა რას ოხრათ დაარჩენს ამდენ შეძლებასა და დოვლათს, რის ეშმაკებისთვის უნდა: შვილი ამას არა ჰყავს, შვილიც გაუხმა ძირიც. თქვენი ჭირიმეთ, რამდენი ვაჭრების ოჯახებში ვყოფილვარ, სულ მდიდრის სახლებში, ციციანთელა სინათლეს მისდევსო; იმათგან ბევრს ასე ერთი ხასიათი და ჩვეულება როგორა აქვთ, რომ ერთ გროშზე მოკვდებიან, ყველას უნდათ სხვას გამორჩენენ და სხვის ოფლით მო-

გებული შეინარჩუნონ. ჩაის სმენ, კბილებს ინტგრევენ შაქრის კენეტით, ცოტა შაქარი დაგვეხარჯოსო; ნეტავი ჩემთვისაც ეს კბილები არ დაემტვრიათ, რაღაც ეშმაკი მოუგონიათ პრიკუსკა, კინოვი. აბა მე ესენი რა ჯამაგირს მომცემენ? სულ ამ ჩაის სმაში გამამიბრიან. ამათი ცხოვრება სასწორშია გამონონილი, ამათი სიმდიდრე და შეძლება ეშმაკურად არის შეძინებული; ეშმაკმა წაიღოს ამათი სული! მაინც ისე იქნება სიკვდილის დღეს, ერთხელც არიო თხა მგელთ არიო, უი, ტა, ტა, ტა, ტა!

ზოგი ერთის სახლობა,
დიდი და უნდობლობა.

გენაცვალეთ, ყველას ხომ ვერ ვიტყვი, უუ.... (იფარებს ტუჩებზე თითებს და ღმუის.)

(შემოდის ბერაძე, მარინე ბუტბუტით გადის).

მარინე.

გავცვალო ამ უკეთურს, ღმერთი არ გაუნყრეს ამის ცოდოს და ხელი არა მტაცოს.

ბერაძე.

მარინე, თუ შენმა ქალბატონმა მიკითხოს, უთხარ ნაჩაღნიკთან წავიდა თქო. (მარტო) ჩემ ცოლს კარგი გული აქვს, მალე შევრიგდებით ხოლმე; მაგრამ ზოგი ცოლების საქმე გასაკვირვებელია: თუ ერთხელ შეამჩნიეს, ან ჰაზრი აართვეს რაზედმე ქრებესა, ღმერთმა თქვენ მტერს მისცეს, რაც ისინი ტანჯვა მოუსვენებელ ცხოვრებაში არიან; ამ დღით სწენენ ერთმანეთს და აქვთ ჩხუბი – სანამ ორნიც დაილალებიან! (დახედავს საათს). დროა გავემზადო. (ირთვება შტაცკურათ, თან სარკეში იყურება, დუხებს ისხამს და ლაპარაკობს).

დოკტორები ამბობენ: კაცის სიცოცხლე გულზედ არის დამოკიდებულიო, გულის მხიარულება კაცის სიმდიდრეზე და

სხეულის სიმრთელეზედაო. მე შეძლებაც კარგი მაქვს, მოგე-
ბაც, ჯანიც სალი. (დახედავს საათს.) ახლა კი წავალ გულის
სიამოვნებისთვის.

(დაუკრავს პუბლიკას თავს და გადის. მინის კარებიდან
შემოვა თალალა მძიმედ მორთული და სარკეში იყურება).

თალალა.

გენაცვალეთ, გაგონილა ამისთანა კაცი, როგორიც ჩემი
ქმარია: ფულების მოგება უყვარს, მაგრამ იმის დოვლათს სხვა
სჭამს. საცა ლამაზი გოგოა, ის იმის არშიყია, მე რა?!

(ჩაიხედავს სარკეში, გაისწორებს მორთულობას და
იტყვის თავმონონებით.)

დადგეს ზოგი კაცის თვალი! აბა, ვინა მჯობია, იტყვიან
თუ – არა, ის გოგო ლამაზია, სარჩული სჯობს საპირესაო.
ჩვენი ქრემები სულ გოგოებზე ჰფიქრობენ, ვაი ჩვენი, ცოლების
ბრალი: მე უნდა ყაირათი გავწიო, ჩემა ქმარმა გოგოებზედ
გააფუჭოს? აფსუსს, ჩემო თითებო, წელიწადში ახარ რას არ
გააკეთებ, რამდენ ნაირ-ნაირ წნილებ ჩასდებ და მურაბებს
მოხარშამ! ჩემი სარდაფი, ვინც ნახოს, გაუკვირდება, სულ
სავსეა რაც სახლს უნდა; ახლა სახლის ნივთი ვთქვათ, მორ-
თულობა, ყვავილები, სულ გრანიცისა. ჩემი ზალა და გოსტინა
ასეთი შემკულია, რო სააქაოს სამოთხეა, მაგრამ რა გახდა!
ჩემი ქმარი იმტოლს ვერ ხედამს ჩემ ლაზათს, რომ სთქვას, მე
იმისთვის აღმასის ცოლი ვარ.

(ეძახის მარინეს, თან სარკეში კეკლუცობს; მარინე
შემოდის.)

მარინე (პუბლიკას.)

დასწყევლოს ღმერთმა, რაზე მოპრანჭულა ასე უწყ-
ალოთ.

თალალა.

მარინე, ეს ჩაფრასტიანი ქათობი გრანიცის ხავერდისა მიხდებაა?

მარინე.

კარგათ, თქვენმა მზემ, მორთულ პატარძალს კი გეგზ-
არ და.

თალალა.

სწორე მითხარ, შვილი ნუ მოგიკვდება.

მარინე.

სწორეთ მოგახსენებ, ის ერთი შვილი არ მომიკვდება;
როდის მომიხსენებია ტყუილი, რომ ეხლა მოგახსენო.

თალალა (მხიარულათ.)

ჩემ ბიძანთსა უნდა წავიდე, რამან იაკულისს ამაღამ
კამპანია სტუმრობა აქვს, ქალები ჰყავს დაპატიჟებული, ლო-
ტოს ვითამაშებ. შენი ბატონი სად წავიდა, არა თქვა თუ ფა-
რანი მოვიდეს?

მარინე.

ფარანი არ უბძანებია, ესკი თქვა: ქალბატონმა თუ
მიკითხოს, ნაჩალნიკთან წავიდაო.

თალალა.

ჰო, იმისი თვალეები ეშმაკია, ის ბნელაშიაც კარგათ ხე-
დავს, მე კი არ მიყურებს, შენ არას გეუბნება ხოლმე?

მარინე.

ჩემთან არს ღმერთი! მე რა უნდა მითხრას, ასეთსა დავარტყამ თავში, გზა ველარ გაიგნოს, აბა გაბედოს რამე!..

თალალა (იციინის.)

ხა! ხა! ხა! ხა! გეხუმრები; გოგიას უთხარ ფარანი ანთოს, ჩემი წამოსასხამი ქირმანი შალიც მომიტანე.

მარინე.

ფაეტონიც მოიყვანოს, ფეხით ხომ ვერ წაბძანდები?

თალალა.

დედაკაცო რათ მინდა ფაეტონი, ფეხით რა მიშავს, იქნება ლოტოში ვერ მოვიგო, ფაეტონშიაც ფული მივცე!

მარინე.

მაშ მუქათათ ვინ წაგიყვანს?

თალალა.

არა, დედავ, ასეც კარგათ წავალ. (აიკრეფს კაბის კალთებს, სარტყელ ქვეშ გაიმაგრებს ქინძისთავებით და მორთულ იუბკას გამოაჩენს). მე უბრალოთ არას წავახდენ, ხომ იცი, მე იქნება გვიან მოვიდე, შენ არ დაიძინო, სამთელი გააქრე, ჭრაქი გენტოს, კარები მაგრა ჩაკეტე ქუჩისა; შენი ბატონიც გვიან მოვა, ის იქ ქალაღდს ითამაშებს. (მარინე გადის, თალალა სარკის წინ კეკლუცობს, გაივლის და გამოივლის ტანის რხევით.)

თალალა (პუბლიკას.)

ჩემი ქმარი, თუ მალე მოვა, მარინეს ვერას ეტყვის; მარინე ასეთსა დაჰკრამს თავში, რომ გოგოები სულ დაავინცდეს, ისეთი ჯანიანი დედაკაცია, მილიონათ ღირს! (შემოდის მარინე შალით).

მარინე.

ფარანი მზათ გახლავს, აი თქვენი წამოსასხამი შალიც.
(თალალა წამოისხამს შალს და გადიან მინის კარებში, სადაც ანთებული ფარანი გოგიას უჭირავს ხელში.)

მოქმედება მეორე.

შუალამეა. ბერაძე დადის ქუჩაში, ფანჯრის წინ და ნელ-ნელა მღერის; ზოგჯერ შეიხედავს ფანჯარაში მიპარვით, ზოგჯერ დაუსტვენს.

ბერაძე.

კარში გელი, გამოდი,
შენი ჭირიმე, გამოდი;
ოლონდ შენ დაგინახო,
თუნდა, სულო, ამოდი!

(მოდიან უცნობნი პირნი: ხმა მალლა ლაპარაკობენ ქალღლის თამაშობაზე; ამათ ხმაზე ბერაძე მიეკვრის კედელს, ზურგ შემოქცეული და ცდილობს არ იცნონ).

პირველი პირი.

ამ უფალს ძალიან გასჭირებია საქმე, რომ ამ დროს აქ ატუზულა.

მეორე პირი.

ეტყობა ჩინოვნიკია, იქნება სამსახურიდამაც იყოს დათხოვნილი და ბინა აღარა ჰქონდეს სანყალს.

(ისინი მიეფარებიან; ბერაძე წამოდგება წინ და პუბლიკას.)

ბერაძე.

გამოცანა ერგებათ ამ ყმანვილებს! მამა უცხონდათ, რაც ამათ გამოიცნეს, მე ვინა ვარ, რათა ვარ აქა და ვის ველი, ჩემ სიცოცხლეს!

(ფანჯარაში გამოჩნდება გოგო, ბერაძე მივარდება და დაუწყებს აღერსს; ამ დროს მოდის ხნიერი კაცი ხველებით; ბერაძე ჩაჯდება და იმალება, მერე უეცრად აიმართება და წამოუდგება წინ; ხნიერი კაცი შეკრთება და განცვიფრებით შედგება.)

ხნიერი კაცი.

ოჰ! შე წყეულო, შემაშინე კაცი ხნიერი; მითხარ ვინა ხარ, გლახა ვინმე გუდა მშიერი? ანუ ეშმაკი ჯოჯოხეთით, თუ ქვეყნიერი?

ბერაძე (წამოდგება წინ.)

მე ვარ ბერაძე, მოარშიყე, საქმით ცბიერი.

ხნიერი კაცი.

მიკვირს, უღვაში მაგ სახეზე რათ მოგიპარსამს,

ბერაძე.

ახლა მოდაა უულვაშობა, რა გესმის შენა!

ხნიერი კაცი.

თვალი დაგიდგა, რაც შენ მაგით კაცი ვერ გახდე,

.....
ვგონებ, ყოველთვის შენის ქცევით სუყველგან ნახდე.

(ისმის შორიდან სიმღერის ხმით.)

თვალი დაგიდგა, რაც შენ მაგით კაცი ვერ გახდე!

(ამ ხმაზე ბერაძე მიეკვრის კედელს, იმალება; ხნიერი კაცი ეტყვის პუბლიკას და მიეფარება.)

არშიყობით იმ ფრანტს უსნიფერანთ ალას შვილს მიკირტუმას ხომ კარგი საქმე მოუფიდა, სხვაც ნუ დაიშლის არშიყობას! ის კარგათ მიტყიპეს და ამხანაგებმაც დაითხოვეს; – ჩვენ ვაჭარნი კაცნი ვართო, შენ რომ ჩვენთან დაგინახონ, შენის ქცევით ჩვენ მუშტრები დაგვიფთხებო; არც კი ისინი არიან დიდის ქონების პატრონები, როგორც ამბობენ, „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“; მაგრამ რა გაეწყობა დროებას? შეიქნა ჟამთა ცვლილება: ჩიტმა შეჭამა მიმინოვო; მითომ ანგლიჩნობენ და იქაურს ვაჭრებსა ჰბაძვენ, მხოლოთ ტანისამოსით და არა საქმით! – ამის ანბავსაც ხვალ შევიტყობთ, თუ რა მოუვიდეს ამასაც, აი ვნახოთ! (მიდის. მოდიან ქუჩის პაჟარნი ბიჭები დუდუკ-დაფის კვრით და ანთებული წმინდა სანთლებით და იძახიან: „ტააშ“! „ტაში“! ერთს თავზე უდგა საღვინე წმინდა სანთლებ დაანთებული და ისე თამაშობს, თათუხა წინ მოუხტის: სავსე საღვინე და სტაქანი უჭირავს ხელში. შედგებიან ფანჯრის პირდაპირ თამაშობით.)

თათუხა.

ეს ლმერთმა ადღეგრძელოს ისა, ვისაც ვინ უყვარდეს.

ბეზ კაპლი შტოლი! (გაჰკივის და დალევს მარდათ).

ბერაძე.

(დაბლის ხმით.) ამინ, ღმერთმა აცოცხლოს ჩემი საყვარელი.

თათუხა.

ესეც ღმერთმა ადღეგრძელოს ისა, ვისაც საყვარლისთვის ჭირი უჭამია!

ბერაძე.

ამინ, ამინ, ღმერთმა ადღეგრძელოს.

თათუხა (გაოცებით.)

ვა!!! მოიცა. (გააჩუმებს დუდუკ-დაფს და ყველას). სუ მეთეი, აქ ვინმეა – ძმობამ! (მივა ახლო, იცნობს) ალაჯან, თქვენაა? ოოჰ, შენი კი ჭირიმე, მობრძანდი, გენაცვალე, ჩვენ კამპანიაში, ღვინო მიირთვი, დაგვლოცე, ჯეელი ბიჭები ვართ! (უთავაზებს სტაქნით ღვინოს.)

ბერაძე (წამოდგება წინ.)

მე ღვინოს არა ვსომ, ისევე შენ დალიე.

თათუხა.

ვა! არც საყვარლის სადღეგრძელოს? შენი გულის ვარდისა, ალაჯან; თუნდ ემე ანწლი იყოს! (თათუხა ეხვეწება დაღრეჯილი, მეორე პაჟარნი ჯიბიდან ხელსახოცს აცლის.)

ბერაძე.

გეუბნები, არ მინდა მეთქი, ვერ დავლევ.

თათუხა.

მაშ საყვარლისთვის ვითამაშოთ, ჰო?

ბერაძე.

ისევ შენ ითამაშე, მე არ ვითამაშებ.

თათუხა.

ვა!! განა აგრე გიყვარს შენი კოკობი ვარდი? მე ჩემი საყვარლისთვისა, ვა! ზიარების მადლმა, ციმბირს ნავალ; ახარ, შენ ხელეხსაც არ გაშლიი?

ბერაძე.

აჰა, გავშალე ხელები.

თათუხა.

ტააშ, ტაში! ალა თამაშობს საყვარლისთვისა; ტაში მეთქი, ვა!

(ბერაძე როგორც გაშლის ხელებს, სწრაფათ დაუკვრენ დუდუკ დაფს, ააყოლებენ ზედ ტაშსა და პაჟარნი თავზე საღვინით, ბერაძე შლაპით უვლიან ერთათ და თამაშობენ.)

ბერაძე.

გეყოფათ, მე დავილალე, თქვენც გაათავეთ ახლა და ნადით.

თათუხა.

მადლობელი ვართ, აღაჯან, ჩვენი კამპანია გააბედნიერე, საყვარლისთვისაც ითამაშე. ერთიც ჩვენ ვიმღეროთ შენი ხათრისთვის; აბა, ძმებოჯან, მამყევით.

(თათუხა და სხვები იმღერენ.)

ბრონეულის ლოყები,
შენთან ბევრი პროშტები.
კარში გელი, გამოდი,
მამა გიცხონდა, გამოდი.
ტარაი ნანა, ინანა,
ტარაი ნანა, ინანა.

თათუხა (მარტო)

ქალბატონი დააძინე,
შენ კი ჩუმად გამოდი,
შენ გენაცვალე, გამოდი,
შენი ქირიმე, გამოდი!

(უკვრენ თავს ბერაძეს და მიდიან სიმღერით, სინამ მიეფარებიან.)

ბერაძე.

ოჰ! ძლივს არ მოვიშორე ეს პაჭარნები, ნეტა რას დაეთრევიან ამ დროს ქუჩებში!

(ფანჯარაში გამოჰყოფს გოგო თავს და დაუკაკუნებს; ბერაძე მივარდება და შეჰყოფს თავს ფანჯარაში, გაეჭედება თავი და ეწვალება დიდ ხანს. ამ დროს თათუხა, უკან დაბრუნებული, დაინახავს ბერაძეს და შედგება.)

თათუხა.

ვა! ქურდია, ღმერთმანი, ყარაულ დაუძახო?

ბერაძე.

ქურდი არა ვარ; ვინა ხარ ქრისტიანი, მიშველე, თავი გამეჭედა.

თათუხა.

აღაჯან, შენაა ვა! ეს რა ამბავია, საყვარლისათვის გაეჭედა თავი, ხა! ხა! ხა! ხა!

(ამ დროს მოდის თალალა დაკარნახებული, წინ მოუძღვის გოგია ფარნით).

თათუხა.

ეეი, ფარანო, აქ მო, მამა გიცხონდება, ამ აღას უშველოთ, თავი გაეჭედა ფანჯარაში საყვარლისთვისა.

თალალა.

გოგია, აბა მიანათე ფარანი, ნახე ვინ არის, უშველე – მადლია.

გოგია.

(მიანათებს ფარანს და დაათვალიერებს.)

აი, ოხრად დაურჩი შენს პატრონს, რა კაი კაცი შენა ხარ, შე უბედურო; გოგოების დევნამ აგრე რავა გამოგაშტერა, თავ-ბედისა შენ აღარა გაგეგებარა! საცა არ გინდა, სუყველგან შეჰყოფ მაგ კაკალ თავს, დაგესხა თავსლაფი, შეკაცო; ფუ

შენს კაცობას!

თალალა.

გოგია, ვინ არის ეგა, თქვი და ვა?

გოგია.

ვინცალაა აგერ კი ნახამ ამ უბედურს.

თალალა.

ჩქარა მითხარი, ვინ არის ეგ საწყალი?

გოგია.

ვინაა და ალა არის, თავ გაჭედული ფანჯარაში.

თალალა (განცვიფრებული.)

უი ჩემ სიცოცხლესა, იქნება მართლა, როგორ თუ ალაა?! (ნახავს) გენაცვალეთ, უშველეთ რამე, არა ეტკინოს რა. უი, თვალეზო დადექ, ეს რასა ვხედავ! თქვენი ჭირიმეთ, უშველეთ, ყბა არ მოსტეხოთ, ცხვირი არ წაუხდინოთ: ქონი წაუსვით პირზე სანთლისა!

(ფარნიდამ გამოიღებენ სანთლის ნალვენთ გაშავებულ ქონს, წაუსმენ პირზე, მოთხუპნიან და ისე გაანთავისუფლებენ).

თალალა.

გოგია, აბა ანთე ფარანი, დავინახო – სახე ხომ არ წაუხდა.

(გოგია აიღებს მალა ფარანს, შეხედავს და ეტყვის.)

გოგია.

კაი დაგემართოს, კაი სანახავი ახლა შენ ხარ, შე უბედურო; რაზე იკლამ აგრე თავს გოგოებისთვინ?

(ბერაძე დგას გულხელ დაკრეფილი, ველარა გაუნყვია რა; ახელს და ხუჭამს თვალებს.)

თალალა.

ხა! ხა! ხა! ხა! გენაცვალეთ, რას დამსგავსებია: მკვდარს რომ გაუმძღვარებენ შავი სანთლით იმას არა გავს. ფუ შენს კაცობას, ეგ არის შენი პატიოსანი სიტყვა? უნდა გრცხვენოდეს, აბა სარკეში დაინახე შენი თავი, რასა გეგხარ, ხა! ხა! ხა! ხა! ნეტავი მე რალა, რომ აგრე გიყურებ! აბა ეგ იცის გოგოების დევნამ. კიდევ გამოუდგები მაგისტანა საქმეებს?

(ბერაძე თავს იქნევს – არაო.)

თალალა.

მაშ სამჯერა თქვი: „ჭკუასა მჭირს“ და გაპატიებ.

ბერაძე (გაბუტულის ხმით.)

ჭკუასა მჭირს, ჭკუასა მჭირს, ჭკუასა მჭირს.

თალალა.

მალლა თქვი, არ მესმის.

(ბერაძე განიმეორებს მალლა „ჭკუასა მჭირს“ სამჯერ.)

თალალა.

ახლა ყველა კუთხეს თავი დაუკარ და მიპატიებია.

(ბერაძე უკრავს თავს ყოველ მხრით და შემდეგ ცოლქმარი პერიგებულნი მიდიან მკლავში ხელგაყრილები შინ, გოგია მიუძღვის იმათ წინ ფარნით.)

(ფარდა დაეშვება.)

დ. მელვინეთხუცესოვი.

1 იანვარს 1870 წელს.

ქ. ტფილისს.

ექიმბაში

კომედია წარმოადგენს
ძველსა
და ახალს ღრობას
ორს მოქმედებაში

მოქმედი პირნი:

დურმიშხან დიდგვარიძე, მდიდარი მებატონე.

ქეთევან, იმისი ცოლი.

მიხაკო, ამათი შვილი.

ბიჭი, იმათი შინა მოსამსახურე.

ექიმბაში **მოლლა ბაირამოღლი**.

მელენტი ფილიპიჩ ბარანოვი, გადამდგარი პოლკოვნიკი.

თინათინ, ამისი ცოლი.

სოფიკო, იმათი ქალი.

იმათი **ლაქიები**.

ექიმბაში

კომედია ორს მოქმედებაში წარმოსდგება.

მოქმედება პირველი.

სცენა წარმოადგენს დიდი სახლის ოთახს მდიდრულათ მორთულს; ერთს მხარეს ძველებურათ გრძელი ტახტი, ორშუა ხალი გადაშლილი, – ზედ ქეჩა – ჯეჯიმი აბრეშუმისა, ნაკერის დორებით, – ხავერდის მუთაქა ოქრომკედის ფუნჯებით – კისტებით; – ძირს ტახტთან ქეჩა – ხალიჩა გაშლილი. მეორეს მხარეს სკამები. დახატულ კედლებზე სხვა და სხვა სახეები, ვარაყიანი რამკებით, დიდი სარკე, წინ კაკლის სტოლზე ორი ვერცხლის შანდლები.

გამოსვლა პირველი.

დურმიშხან, ქეთევან და მიხაკო

(დურმიშხან დადის მძიმეთ დაფიქრებული, ქეთევან ტახტზე მოკეცილი მონერილს წიგნს კითხულობს ჩუმათ, მიხაკო კედლებზე ბუზებს იჭერს და სულებლობს).

ქეთევან. ნეტა ვინ დაგვიყარა ეს ხმა, რა უბედურება არის ამდენი ჭორები!

დურმიშხან. რაო, რასა გნერს, რომ აგრე უკმაყოფილოთა ხარ?

ქეთევან. მიხაკოს დანიშვნასა მწერს და გვილოცამს ჩემი მული, არვიცი კი ვიზედ და ვისგან გაუგონია ეს მოგონილი ტყუილი.

დურმიშხან. რას გიკვირს, რა ურიგო იქნება? მამი ჩემის საფლავის მზემა, მეც მაგ ფიქრში ვიყავი ეხლა; მიხაკოს ცოლი უნდა შევრთო ექიმების მოწმობით, თავისი ბიძა ძალიან ცდილობს.

ქეთევან. (განცვიფრებული) ვუი ჩემ სიცოცხლესა! ეგ რა საფიქრებელია, ვის ცოდვაში უნდა ჩადგეთ?! კაია მამი თქვენი საფლავის მზესა, ამას რა გაეგება ცოლისა, გიჟია და სულებელი.

(მიხაკო მიეპარება და ჩაჰკრამს თავში მამას).

ღურმიშხან. (გაჯავრებული შეუტევს) რას შვრები შე გიჟო, სულელო.

მიხაკო. (სულელურის სიცილით) ბუზებს ვიჭერ ბუ-ზებს. პა პა პა...

ღურმიშხან. ჭკვიანათ იყავ, რა შენი საქმეა ბუზების დაჭერა? სწორეთ დაჯექ დედაშენთან!

(მიხაკო ჩამოჯდება დედასთან, ადევნებს მამას თვალებს და ამთქნარებს ხმით).

ქეთევან. (ალერსით) როდი უნდა მამას ჩაჰკრა თავში და გააჯავრო.

მიხაკო. (წამოუგორდება მუხლებზე გულალმა) ბუზი დავიჭირე, ბუზი, ბუზი, ბუზი...

ღურმიშხან. ბუზებს კი ნუ დასდევ, გიყვარდეს წერა კითხვის სწავლა, მებატონე ხარ, ცოლი უნდა შეგרתო.

მიხაკო. არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი...

ქეთევან. (თავზე ხელს უსომს) მაშ იმღერე ხოლმე, ითამაშე რიგიანათ, არავინ დაგცინოს, სირცხვილია.

მიხაკო. (წამოხტება უკრამს ტაშს, თამაშობს სიმღერით).

ჩვენი ვენახის ბოლოსა

ქალი ჰკრეფდა ღოლოსა,

ქალო, ნუ ჰკრეფ ღოლოსა,

მოგაგლეჯენ ბოლოსა! დილილმე დილილ მეე...

(დაუფლის ბუქნას, გავარდება გარეთ. ღურმიშხან დადის თავის ქნევით).

ღურმიშხან. ჰაი, ჰჰი! ეჰ, ოჯახი რომ გაუბედურდება, – სამართლათ იტყვიან, – სახლი უარესთაო. სამი ძმის წილობა ამ სულელს დარჩა, ეს არის ჩემი მემკვიდრე.

ქეთევან. მაგას რათ ბრძანებ, ქალებიც შვილები არ არიან? ისინი ხომ კარგები გყვანან, კურთხეულ არს სახელი მღვთისა, გულს რათ გაიტეხთ რაო?

ღურმიშხან. მართალია, მაგრამ იმათით სხვა გვარები

უნდა შემოვიდნენ ჩემს საგვარეულოში; მე ეს ფიქრი დიდად მანუხებს. რამდენს საუკუნოებს გაუვლია და ჩემს წინაპარ მამაპაპებს უცხოვრიათ ღირსეულად გვარის შვილობით, ახლა კი.... ეჰ, რაღა ვსთქვა, რაც უთქვამთ მეცნიერთ ყველა მართალია, თქვენმა მზემ.

„ათასათ გვარი დაფასდა, ორი ათასად ზრდილობა, თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა“.

ქეთევან. (ვითომც ანუგეშებს).

სწორეთ შევრთოთ ცოლი,
დედმამიანი ანუ ობოლი,
ქალაქში მყოფი, თუნდა სოფელში,
ლამაზი ქალი მოდის ამყოლი.

თქვენს ოჯახს კი არას გამოადგება, ის ყოველთვის თავის ნებას შეასრულებს. ეხლანდელი ზოგიერთი ქალები სულ მოდას მისდევენ, სხვაზედ არაზედ ზრუნავენ მხოლოდ მოდაზედ იყოს ჩაცმული გრძელი კაბის კუდიტ ფარშევანგით, რომელიც ქართულ კაბას სრულებით ამახინჯებს, მაგრამ, რადგან ევროპიის მოდა არის, უთუოთ დიდი ღირსება უნდა ჰქონდეს. ტყუილათ კი არ არის ნათქვამი „წამწყმიდა ნახედულობამაო“.

გამოსვლა მეორე.

ღურმიშხან, ქეთევან და სოფიკო

შემოვა სოფიკო თავდახურული ლეჩაქ-თავსაკრავით, კაბა აცვია ქართულად წინ განწყობილი გულის პირით, უკან გრძელს ბოლოს ათრევს, წელამდი ნაოჭებ ასხმულს და წელთან უშნოთ პარკივით რაღაცა აქვს გაკეთებული. მხიარულის სახით მოდის, და უკრამს თავს ფეხების ფრატუნით.

სოფიკო. (კეკლუცობით) ბიძიას ვახლავარ, ძალუასაც თავს დაუკრამ, როგორა ბრძანდებით?

ღურმიშხან. (აღერსით) თქვენის კითხვით როგორც გვხედამ. (გადახედამს კაბის კუდს).

ჰოო, ეხლა ბრძანდები ახალ-მოდისა,
კაბა გაცვია ევროპეული,
თქვენ აღარ მოგწონთ ჩაცმა დედისა,
სიარული გაქვს ტან შერხეული.

აფრატუნებ ფეხებს, თქვენს მაღალ ქუსლიან ბაშმაკებს გააქვს ბაკა ბუკი. ბაკ, ბუკ...

ქეთევან. (განცვიფრებული ორს თითს ტუჩებზე მიიფარებს) ქაა! ეგ რა შეგიკერამს? მაგ სიგრძე კუდი კაბისა გაგონილა?! (სოფიკო სარკის წინ მიტრიალ-მოტრიალდება და თან კუდზე იყურება და კეკლუცობს).

სოფიკო. ძალუას მზეს სწორეთ მიბრძანეთ, მიხდება?

ქეთევან. კაი დაემართოს მაგის შემომღებს – კარგი რამ ეგ შემოიღეს: უშნო და ულაზათო. ეგ კაბა აღარც ქართულია და არც ფრანციცული. ნეტავი თქვენს პატრონს, რალა უნდა?

ღურმიშხან. (სიცილით) ხა! ხა! ხა! უცხოთ შეგამკო ქალო ძალუა თქვენმა.

სოფიკო. თქვენ ძველი დროსი ბრძანდებით, ახალი არა მოგწონთრა; აბა რა სჭირს ცუდი? (გაივლის გამოივლის ტანის რხევით ნარნარათ და იყურება კუდზე სარკეში.)

ქეთევან. კაია ქალო, დაჯექ! გული ნუ გამინვრილე, თავი მეტკინა შენი ბაშმაკების ბაკაბუკით.

გამოსვლა მესამე.

იგინივე და ექიმბაში

სოფიკო ჩამოჯდება ტახტზე ქეთევანთან, მუთაქაზე იდაყვ დაბჯენილი დასცქერის თავის კაბის კუდს. შემოვა

ექიმბაში, წვერიანი თათარი მაღალის ქუდით, აბა წამოსხმული; დაუკრამს თავს მძიმეთ ყველას, სპარსეთის ჩვეულებრივ იკოცნის ხელზე, დაიდებს ხელს შუბლზე და გულზედ. ქეთევან წამოდგება, დაუკრამს თავს და დაჯდება.

დურმიშხან. სალამ-ალეკ, ჩემო ექიმბაშო.

ექიმბაში. ალექუმ სალამ, ჩემო ბათონო.

დურმიშხან. დაბრძანდით აი აქ. (დაუდგამს წინ სკამსა).

ექიმბაში. (დაუკრამს თავს) დიდი მადლობა, ბათონჯან. (დაჯდება და ჩამოისომს წვერზე ხელს).

დურმიშხან. ქალო ქეთევან, ესა ბრძანდება ის ექიმბაში, გუშინ რომ გიანბე; საკვირველი გამოჩენილი ექიმია, ისპაანში არის გაზდილი: ისეთი გასამტერებელი წამლობა თურმე იცის, რომ უშვილოსაც კი შვილს აყოლებს. უეჭველია ეს ჩვენ მიხაკოს მოარჩენს.

ქეთევან. ღმერთმა ინებოს, სხვა რაღა გვინდა.

დურმიშხან. (ირონიით) ექიმბაშო, ამ ყმანვილ ქალს გული უთრთის, ესტერიკა მოსდის ხოლმე, არ შეიძლება დაუყენოთ?

სოფიკო. ხუმრობა იქით იყოს, მართლა გულის ფრიალი ვიცი ხშირათ.

ექიმბაში. (ჩამოისვამს წვერზე ხელს) მე დავაღენებ, ქალბათონო ქი. ხელი მიბოძე, რამდენი ცლისა ბძანდები? (გაუშინჯავს ხელის გულს).

სოფიკო. ცხრამეტის წლისა, მეოცეში ვდგევარ.

ექიმბაში. (ჩამოისვამს წვერზე ხელს). ჰუ, მე ვიცი ქი სრული გრძნობაში ბრძანდები, ახლა სკამზე დაბძანდი ქი გული ვნახო. (დურმიშხან ღიმილით დადის, ქეთევანს ეცინება. ტუჩებზე დაკუმშულ ხელცახოცს იფარებს. სოფიკო დაჯდება წინ სკამზე, ექიმბაში უკან მოუდგება და გულზე ხელს დაადებს).

სოფიკო. გულს კი არ გავიხსნი, ისე გამშინჯე.

ექიმბაში. (ჩამოისომს წვერზე ხელს) ჰუ, ვიცი ქი, თქვენ ბევრს ფიქრობთ, ეს არ არი ქარქი, ფიქრი იოხტურ, არ უნდა!

სოფიკო. დიახ, მე ბევრსა ვფიქრობ.

ექიმბაში. რათა, ქალბატონო, თქვენ ყმაცვილი ქალი, ლამაზი, შავი თვალები, ფირზე ხალი, როგორი ჩვენი ისპანის ქალები, ვისთვის ფიქრობ ქი?

სოფიკო. თქვენმა მზემ გამიარშიყდა. ექიმბაშო ვისთვის თუ რისთვის ვფიქრობ?

ექიმბაში. (ჩამოისომს ნვერზე ხელს) ჰო, რათა ფიქრობ ქი, ძილი როგორია?

ქეთევან. (ლიმილით) რას ჩააცივდა ეს ნვერიანი თათარი ამ ყმანვილ ქალს? თქვენმა მზემ აღარ ეშვება, გულიც მაგრა უჭირამს. (მიიფარებს ტუჩებზე ხელსახოცს და ეცინება).

სოფიკო. ჩემთვის არც ძილია, არც მოსვენება: სულ გული თითქოს მიტრიალებს, ესტერიკა მამდის ხოლმე.

ექიმბაში. (ჩამოისომს ნვერზე ხელს) ვიცი, ვიცი ქი. ეგ რა ნიშანია, თქვენთვის დიდი საჩიროა ჩემი ცამალი, გულს ძალიან მოუხდება, (გამოიღებს უბიძამ კოლოფს, ამოიღებს შავი ზორნით პატარა სამ კუთხიან გაკერილს წითელს მიტკალში, დანახვებს და ეტყვის). ეს შეიბი ღელზე, გულზე, ის რომ ნალამ ვისთვის ფიქრობ ქი, თქვენი გული დადგება. (დურმიშხან და ქეთევან ველარ შეიკავებენ სიცილს და დაინყებენ ხარხარს) ხა! ხა! ხა! ხა! ხა!..

სოფიკო. (წამოხტება სკამიდან) რას მიჰქარამს ეს ნვერიანი თათარი? მე უნდა თილისმა შევიბა ყელზე, – რა მედალიონის მაგიერია, ვინც შამამხედამს, ამას არ მეტყვის: მოლების თილისმა შეგიბამს, რა მორთულობა გგონიაო. უკაცრაოთ ექიმბაშო, მე არა მჭირს რა, არც თქვენი ეშმაკეული ჯადო – თილისმები მინდა, ღმერთმა დამიფაროს.

დურმიშხან. (სიცილით) ხა! ხა! ხა! რათ ჯავრობ, ქალო, კარგათ შეგატყო?

ქეთევან. მიგიხვდა სნეულებას, რას ემართლები, ხა! ხა! ხა! (განცვიფრებულს ექიმბაშს მოჰკიდებს ხელს დურმიშხან, დასხდებიან ცალკე სკამებზე, დურმიშხან უანბობს მისაკოს სნეულებას ჩუმათ, ექიმბაში მალმალ ჩამოისომს ნვერზე ხელს და იძახის) ბუალი... ბუალი... ბუალი...

სოფიკო. ამისთანა ექიმი, ძალუას მზემა, ისევ თქვენ შვილს დააყენეთ, იმას უფრო მოუხდება, რომ ცოლი შერთოთ,

ხუმრობა კი არ არის გვარი უმემკვიდროთ ამონყდეს.

ქეთევან. ნუ ჯავრობ, ქალო, მოითმინე რა გიანბო.
განა ჩვენ არ ვყოფილვართ ყმანვილნი
ქალნი,
ჩვენცა გვშვენოდა ღანვებზედ ხალნი.¹⁰⁰)
ბროლის ყელ-ყური, ლალის ფრად ბაგე;
ხუჭუჭნი კაენი, ყუყუნა თვალნი.

ჩვენც გვყვარებია საქრმო გულითა,
გულითა ერთობ დადაგულითა,
იმის დანახვა, ვით ცაში ელვა,
ტანში გვივლიდა გრძნობის სულითა.

მაგრამ ჩვენ დროში ყველას ვითმენდით
და დედ-მამისას ნებას მივსდევდით.
ესტერიკები სულ არ გვცოდნია:
დაკრძალულ სახლში ჩუმათ ვისხედით.

სოფიკო. რასაკვირველია ჩუმათ ისხდებოდით მთელი
დღე მოკეცილი უსაქმით ტახტზე. მართალია სხვა და სხვა
ნიგნების კითხვით დაილალებოდით!

ქეთევან. შენმა გაზდამ, თქვენსავით საარშეყო ნიგნებს
ჩვენ არა ვკითხულობდით.

სოფიკო. რაც არა გქონდათრა, რას ნაიკითხამდით?

ქეთევან. მაგას რათ იტყვი, ქალო, ჩვენა გვაქვს „ვეფხ-
ვის-ტყაოსანი“ მშვენიერის ენით დაწერილი რუსთაველისაგან,
სიბრძნით სავსე: სამლთოთი და საეროთი სრული. ამას გარდა
„ვისრამიანი“, „გულასპიანი“, „ქართლის ცხოვრება“, „ამირან
დარეჯანიანი“, „დავით გურამიანი“, „ქილილა და დამანა“,¹
„ყარამანიანი“, „ლეილიმ მეჯღუმიანი“, „ჩარდავრიშიანი“, „სი-
ბრძნე სიცრუე“, „ქალვაჟიანი“ და კიდევ სხვა ბევრი, რომელი

100 ძველს დროში საქართველოს ქალებს ჩვეულებათ ჰქონდათ განგებ გაიკეთებდნენ
ლოყებზე ხალებს, თვალებს გამოიშერმამდნენ და ტუჩებს დაიფერამდნენ სპარსელების
მიბაძვით. მაგრამ სოფიკოს პანანა პლასტირი აკრამს ფერი მჭამელაზე და თვალნარბი
ბუნებით შავი აქვს (ავტორის შენიშვნა. ქ. გ.).

ერთი მოგიტვალო თითებით.

სოფიკო. თქვენი ქალვაჟიანი ეს გახლავს:
ეეეო, მეეეო, ქალო ელენეო,
პური და ღვინო ბევრია
ქორნილს მიზმენ მეეო...

ქეთევან. თქვენისთანა მოჭიკჭიკეს ენას მოვკვეც მეეო.
(სოფიკო გაიხარხარებს სიცილით, ჩამოჯდება ტახტზე
ჩვეულებრივ იდაყვ დაყრდნობილი მუთაქაზე).

გამოსვლა მეოთხე

იგინივე და მიხაკო

მიხაკო. (შემოვარდება, უკრამს ტაშს და იმღერის)
ჩვენი ვენახის ბოლოსა
ქალი ჰკრეფდა ღოლოსა,
ქალო, ნუ ჰკრეფ ღოლოსა
(სოფიკოს) მოგაგლეჯენ ბოლოსა.
დილილმე, დილილმე, დილილმე და დილილმე.

სოფიკო. გავეცალო ამ სულელს, თორემ ეს ხომ გი-
ჟია, ჩამაცივდება – ჩემი ცოლი ხარო, რა გაეგება ჩემი მამი-
და შვილობა. საცა მორთულს ქალს დაინახამს თავისი ცოლი
ჰგონია, მამა სულ იმას ჩასძახის ცოლს შეგრთამო. (სოფიკო
გაიპარება).

ღურმიშხან. (შეტვევით) ჭკვიანათ იყავ, სწორეთ და-
ჯექ სკამზე. (მიხაკო შეშინებული მამისგან მოიკუნტება
სკამზე, შეხედამს ექიმბაშს, გაშინჯამს თავით ბოლომდინ, და
დაამთქნარებს. ექიმბაში გაუშინჯამს საქორწინებს და ეტყვის).

ექიმბაში. პირი გააღე, მიხაქ, ენა ქი ვნახო. (მიხაკო
კბილებს უკრეჭს) ენა ქი, ენა მაჩვენე. (მიხაკო ეღრიჯება)

ღურმიშხან. (შეუტევს) რას ეღრიჯები, ენა აჩვენე (მიხ-
აკო გამოჰყოფს ენას).

ექიმბაში. (ჩამოისომს ნვერზე ხელს). ქარქი ბათონო, რამდენი ცლისა არის?

დურმიშხან. ოცდა ორისა, მესამეში გადადგა ეხლა.

ქეთევან. დიახ, თქვენმა მზემ, დიდ ხოლერობას ხომ არა მყვანდა, მერე დაიბადა.

ექიმბაში. ამას, ბათონო, ქი ალი ყავს ფათრონი ცოლი, რომ ქალო იმღერებს, მე მალე მოვარჩენ.

დურმიშხან. (მხიარულის სახით) ოღონდ ეს მომირჩინე ექიმბაში და რასაცა მთხოვ საექიმოს, მე არას დავზოგამ რაც მბაღია ბევრი ექიმები მოიღალნენ და ვერა უშველეს რა, იქნება ღმერთმა ინებოს და თქვენ მოარჩინოთ.

ექიმბაში. (ხელეზგაშლილი იხედამს მალლა) ალლახ, ღმერთი იცის ბათონო. უბრძანეთ ქი ცმინდა ცლალი მოიტანონ ჯამით.

დურმიშხან. ქალო, ქეთევან, უბრძანე ბიჭს წმინდა წყალი მოიტანოს ვერცხლის ბადიით. (ქეთევან გავა).

ექიმბაში. ახალ მთვარეზე ქი, როგორ არი. (ჩამოისომს ნვერზე ხელს).

დურმიშხან. ახალი და ძველი სულ ერთია მაგისტვის, ზამთარ ზაფხულ ერთ ჭკუაზე არის. ზოგჯერ ასე გაჩუმდება, ზის თავისთვის და ამთქნარებს, ხან გიჟობს ცელქობს არავის ქი არას აწყენს. შეიძლება ისე მორჩეს, რომ ცოლი შევერთო?

ექიმბაში. თუ გინდ ათი მოიღანო ქი, ფიქრი არ არი.

დურმიშხან. ჩვენში მაგდენი არ შეიძლება, ერთი უნდა იყოს გვირგვინის ცოლი.

ექიმბაში. როგორი ადათია ქი. სულ გურგუნის ცოლი, გურგუნის ცოლი.

გამოსვლა მეხუთე

იგინივე და მოსამსახურე

(შემოვა ქეთევან, შემოჰყვება თან მოსამსახურე ბიჭი წყლით სავსე ვერცხლის ბადიით, ბიჭი დასდგამს სტოლზე წყ-

აღს და შესცქეროიან ყველანი ექიმბაშს განცვიფრებით. ექიმბაში გამოიღებს აბის უბიდამ ნიკროსკოპს, მრგვალ მინას და დაუნყებს იმითი კაკუნს ბადიას, თან ლოცულობს ხმით).

ექიმბაში. (ჩამოისომს წვერზე ხელს) აზრებები, ზუეფრა, ზაქარ, იმმიშრაშ ყულ აყრაბილა, ვართეილა, ვია ილილი ფილნუი, მოსეილაა. ინჯით ნუა ნუა ნუა (დააფარებს საჩქაროთ მინას ბადიას) ალაქი სულ აქ მოგროვდა ეშმაქები, მე დავიჩირო ამისი ალი უღურე მილაქ ცლაღში. (მიხაკო ჩახედამს და გაცვიფრდება, თვალეზ გადატრიალებული დააცქერდება ექიმბაშს სულელურათ).

მიხაკო. (ყვირის) არ მინდა, არა, არა, არა, არა, არა და არა.

ექიმბაში. ქიდევ უღურე, ქიდევ ქი, ქიდევ. (მიხაკო გაჭირვეულდება, მოსამსახურე დაიჭერს ძალათ ჩახედოს და თითონ უეცრათ ჩახედამს ბადიაში, შეშინებული დაიღრი-ალებს და დანებებს თავს მიხაკოს).

მოსამსახურე. ვაიმე დედავ, რა დავინახე!!! გველი, ანკარა, მატლები, ეშმაკებივით ირევიან წყალში.

ღურმიშხან. ნუ გეშინიან, ბიჭო თვალეზი დახუჭე, მაგრა იყავ.

ქეთევან. (გაოცებული) სწორეთ. თქვენმა მზემ, ამ სანყ-აღს ბიჭს ეშმაკები მატლებათ ეჩვენა წყალში. (ინერს პირჯვარს) დამიფარე სახიერო მაცხოვარო, რამეთუ ჩემთანა არს ღმერთი.

მოსამსახურე. (დახუჭამს თვალეზს მერე აახელს) დასწყევლა ღმერთმა, კუდიანი ეშმაკები მეზღანდებიან თვალეზში.

ღურმიშხან. პირჯვარი დაინერე შე ლაჩარო, შეაფურთხე ეშმაკს, სთქვი ვიჯმნი ეშმაკისაგანთქო.

მოსამსახურე. (პირჯვარს ინერს) ფუ ეშმაკო, ფუ ეშმაკო, ვიჯ...ვიჯ...ვიჯმნი ეშმაკისაგან.

(ღურმიშხანს და ქეთევანს უხარიანთ ექიმბაშის ხელოვნება, იმედი აქვთ რომ უთუოთ მოურჩენს შვილს და აწვალენ მიხაკოს, რომ ძალათ ჩახედონ წყალში. ექიმბაში ჰკითხამს მიხაკოს: თქვი შენ აღს რა ჰქვიან, რომელიაო. მამა

უჯავრდება, ჩახედე ნყალშიო დედა ეხვეწება ჩახედე შვილოვო, თქვი გენაცვალოს დედა შენი, მორჩები ცოლს შეგრთამთო, მიხაკო გაკავებული უჭირამთ ექიმბაშს და დურმიშხანს, ის შფოთამს, იქნევს თავსა და ფეხებს, ყვირის არ მინდა, არ ვიცი არ ვიცი, არ ვიცი, არა, არა, არა. ამ დროს ფარდა დაეშვება).

მოქმედება მეორე.

(ოთახი სპალნაა, ევროპიულათ მორთული და დალაგებული. ერთ მხარეს მშვენიერის შირმით მოფარებული ჩუქურთმიანი კრაოტი დგას სუფთა ქვეშაგებით ატლასის საბან გადაშლილი. კრესლაში ზის მელენტი, ქირმანი შალის ხალათი აცვია, სიდამბლით ენა დაბმული თრთის. სტოლზე ძვირფასი საათი დგა და ნამლების მინები სუფთა ხელსანმენდი და ზედ ვერცხლის კოვზი, დივანზე ჩამომჯდარი თინათინ შეჰყურებს საათს. სოფიკო დადის, მოდის კაბა აცვია და მალმალ იყურება კაბის კუდზე).

გამოსვლა პირველი.

მელენტი, თინათინ, სოფიკო, დურმიშხან და ქეთევან

(შემოვლენ დურმიშხან და ქეთევან, სოფიკო მიეგება სიხარულით კარებშივე და მიიწევს ღიმილით. თინათინ ფეხზე ნამოდგება ძველებურათ ჩაცმული რუსულათ).

თინათინ. მობრძანდით, გენაცვალეთ, აგრე უნდა ჩვენი დავინყება, ერთხელ აღარა ნახეთ ეს საცოდავი დამბლა მოხუცებული, რომ ასე იტანჯება და არა ეშველა რა?

ქეთევან. (მიესალმება თინათინს) თქვენმა სიცოცხლემ, ჩემო მულო, ყოველთვის გვსურდა თქვენი ნახვა, მაგრამ ჩვენი შვილისგამო ველარ მოვიცალეთ, მარტო თავი ვერ დაგვინებებია; ეხლაც გული და გონება იქითა მაქვს, მეშინიან არა

ინყინოს რა.

ღურმიშხან. მელენტი ფილიპიჩ, როგორ ბრძანდები?

მელენტი. (კნავილით აიხედავს მალლა, ანიშნებს ღმერთს ენა დაბმული).

თინათინ. თქვენი მტერი იყოს ისე, როგორც ეგ არის: ერთი სული კი უდგია პირში, სხვა კეთილი არა სჭირს რა, ხელით ვაყენებთ, ხელით ვანვენთ, ხელით ვასმევთ და ვაჭმევთ, მაგისტვის არა იქნა რა, ჩვენთვის ყველა განყდა ქვეყანაზე. ამ ექიმებმა ხომ გაგვხინნეს, ბატონო, გაგვხინნეს: მოვლენ დასწერენ რალაც ორს სიტყვას და სამ მანეთს ვიზიტის ფულს ვაძლევ, ნეტავი თქვენი სიცოცხლით იმათი წამალი არგებდეს რასმე მაინცა, გახეთქეს ქინაქინის სმით და მიქსტურათი! აბა თქვენი ჭირიმეთ, ესენი რა სიდამბლის წამლებია.

ქეთევან. თქვენმა სიცოცხლემ, ჩემო მულო, მეც ბეზარს მომიყვანეს იმათ; კარგათ მოგეხსენება შვილი მყავს გიჟი და სულელი დაბადებითვე; ექიმები კი დიდს იმედს მადლევდნენ, რომ უთუოთ მოვარჩინთო; ხან კისერზე აკრამდნენ შპანცკებს, ხან ფეხის გულეებზე გორჩიცას, კინალამ მომიკლეს უსმელ-უჭმელი.

თინათინ. სწორეთ აგრე იციან, თქვენმა მზემ, რალაც ეშმაკი დიეტა არის, ახვრეტენ ცარიელ წვენს ბულიონს ცოტა ბულკით, კუჭი უნდა გაუნმინდოთ ავთამყოფსაო, კუჭი კი არა და ჯიბე და ქისა ძალიან გაგვიწმინდეს, თქვენმა სიცოცხლემ, იმათმა რეცებებმა და ვიზიტებმა. ეჰ რალა გვეთქმის.

ღურმიშხან. მელენტი ფილიპიჩ, კარგათ შეიქნებით, ღმერთი მოწყალეა, ფიქრი ნუ გაქვს, მორჩები!

მელენტი. (კნავილით აიხედავს, მალლა ანიშნებს ღმერთზე).

ღურმიშხან. აბასთუმნის ცხელს წყლებს აქებენ, უეჭველია თქვენ გარგებთ, გინდა წაგიყვანო? წავიდეთ ერთათ, ბევრნი მიდიან იქ ყოველ წელს ზაფხულით უფრო დროს გასატარებლათ, კარგი ჰავა აქვსო; ჩვენც კარგათ გავატარებთ დროს და შევექცევით.

სოფიკო. რა შექცევის თავი აქვს, კუდუსუნი ვერ აუღია კრესლადამ, თუ ხელი არ მოვკიდეთ.

დურმიშხან. (ღიმილით) თქვენ ხომ კუდს კარგათ ხმარობთ, რაღა გინდათ. (მოუკიდებს პაპიროზს).

თინათინ. (ირონით) ესე ბატონო, ამ დროს მოდის ქალია; ვითომც დიდი პატრიოტკა ბრძანდება დედის სამშობლო ქვეყანა – საქართველო უყვარს; აბა გაშინჯეთ ამისი ჩაცმადახურვა, კარგათ დააცქერდით; წინ თავით ფეხებამდინ ქართველია, უკან ევროპიელი. ენაცვალოს ბებია, რომ ყველა უხდება ამ ჩემს ქალს.

დურმიშხან. (სიცლით) ხა! ხა! ხა! ეს კაბა ორყაბაზულია, ორინჯულია, ამისი პატრონი უცხოთ შეამკო თავისმა ძალუამ.

ქეთევან. თქვენმა სიცოცხლემ, ჩემო მულო, მე ვერა გავიგერა ამ კაბისა, არც ქართულია, არც ფრანციცული; ნეტა რა მოხდენა უნდა ჰქონდეს ამ სიგრძე კუდს და მოპრუნულს ნაოჭებს ნელქვევით?!... (დურმიშხან და თინათინ იცინიან ხარხარით).

სოფიკო. (გულ მოსული) აი, ბატონო, შეიყარენით ძველი დროს ხალხი, ახალი სულ სასაცილოთ მიგაჩნიათ, რასაკვირველია თქვენ დროს რომ არა იყორა, ეხლა რასაც დაინახავთ, ყველა გაგიკვირდებათ. (სოფიკო დაიწყებს სიარულს ტანის რხევით, ნარნარით და იყურება კუდზე, სხვანი იცინიან ხარხარით) ხა! ხა! ხა!..

დურმიშხან. (ირონით) ჰოი, ჰოი, შეხედეთ ამ ქალს, როგორ უხდება კაბის გრძელი კუდი ფარშევანგივით, ხედამთ ამის სიარულს, გოგმანი კაკაბური აქვს!

სოფიკო. თქვენც აგრე ჩემო ძიავ! კარგი, კარგი, აგრე დამცინეთ, მე არ მენწყინება თქვენგან.

თინათინ. კაია დედაშვილობას, ნუ აამტვერე აქაურობა მაგ კუდის თრევით, გეყოფა მაგდენი სიარული, ახლა კი წადი უბრძანე ყავა მოგვიტანონ. (სოფიკო გავა).

ქეთევან. ჩემო მულო, თქვენმა სიცოცხლემ, თუ ეგ არ გებრძანებინათ და არ გასულიყო, მე გული შემინუხდებოდა, ნეტა რატომ ფეხები არა სტკივა იმდენი სიარულით და მაღალი ქუსლიანი ბაშმაკების ბაკა-ბუკით.

თინათინ. ეგ რას გიკვირს, ჩემო რძალო, ეხლანდელ-

მა ქალებმა ფეხებითაც კაცებს მიბაძეს და თავითაც, ზოგი ქალი კაცივით თმას იკრეჭამს, ნიგილისტკა ვარო, დიდათ თავი მოსწონს.

ქეთევან. (განცვიფრებით წარბებ შეკრული) რაო?! უი ჩემ სიცოცხლესა, ინგილო რა თავის მოსაწონია, ნახევარი ქართველია, ნახევარი ლეკი. (იციინიან ღურმიშხან და თინათინ ხარხარით).

თინათინ. არა, ჩემო რძალო, ინგილო სხვაა, ნიგილისტკა სხვა არის, იმათ სულ კაცური ქცევა აქვთ, ეს მოდა ეხლა შემოიტანეს აქაც საქართველოში უცხო ხალხმა, ლამის ჩვენებმაც მიბაძონ, ზოგი რუსეთში გარბის, ზოგი წლის სავალზე.

ქეთევან. (მწუხრის გულით) ვაი ჩვენს მოსწრებას! ამას იქით მაშ ჩვენი ქალები ჩვენათ აღარ უნდა გვეგულუბოდეს ...

დაგვეკვება ქალების წართმევანი,
ვაია სოფლის მუხთლათ ყოფა, ქცევანი ...

გამოსვლა მეორე

იგივენი და ლაქია

(შემოვა სოფიკო, შემოჰყვება ლაქია, რომელსაც ვერცხლის ფოდნოსივით ყავა-ნალბით მოაქვს და სუხარ-კრენდილებით, ყველანი თავაზით აიღებენ, დაუწყებენ სმას, ლაქია კარებთან აიტუზება და შესცქერის ყველას, რომ ჩამოართოს დაცლილი ფინჯნები).

ღურმიშხან. ქალო, მამა თქვენს რატომ არ მოართმევთ ყავას?

თინათინ. არა, გენაცვალეთ, არ უნდა, თათრის წამალსა სვამს.

ღურმიშხან. როგორ თათრის წამალს, ვინ თათარი

სწამლობს ეხლა?!

თინათინ. ამ თქვენი დისწულის რჩევა გახლავს, ვილაცა ექიმბაში, წვერიანი თათარი. რაღასაც ტკბილს წითელ წამალს ასმევს და აყივლებს მამალივით ამ საცოდავ დამბლა მოხუცებულს. იმედს კი დიდს აძლევს – მალე მოგარჩენო, ისე ილაპარაკებ, როგორც გილაპარაკნიაო.

დურმიშხან. ხა! ხა! ხა! ეგ ის ცრუ ექიმბაში იქნება, მიხაკოს რომ დავაყენე.

თინათინ. დიახ, სწორეთ ის არის, მე რას ვიცნობდი, იმ ქალმა მომიტანა ამბავი, რომ ბიძიამ დააყენა მიხაკოსაო, ძალიან მიქო. ეს ხომ ვისაც აქებს ცამდინ აიყვანს და ვისაც აძაგებს ძირს მიწასთან გაასწორებს – ქვეშკნელს ჩაგზავნის. მე ისე მომივიდა, როგორც ნათქვამია „წყალში დამხრჩვალნი ხავს ეჭიდებოდაო“. მეტი რა ღონე მექონდა დავიბარე და დავაყენე იქნება მართლა იცოდეს რამე კარგათ უწამლოს! ისპაანში გაზდილიაო.

დურმიშხან. რა ბძანებაა, რის ისპაანი, მე მგონია თვალითაც არ უნახავს ის ქვეყანა, ეგ ერთი თავრიზის ლოთი ყოფილა დიდი მოქნილი ოინბაზი, თოკიდამ გამოპარული. ვაი მაგის დედას, რომ გვიან გავიგე მაგის ამბები და ვერ მიუხვდი ადრე, რომ ძვირფასი ნიკროსკოპი, წყალში წმინდათ აჩვენებს რაც შიგ ცხოველები არიან. სანყალი ჩემი მოსამსახურე ბიჭი კინალამ გამიგიჟა: როდესაც მიხაკოს ძალათ ახედებდა წყალში ნიკროსკოპით, უეცრათ თითონ ბიჭმა ჩახედა და საშინლათ დაიღრიალა: „ვაიმე დედავ ეშმაკებოვით ირევიანო წყალში“ ეს ყიზილბაშური ოინბაზობა როცა შევიტყე ნამდვილათ, ღვთის წყალობა თქვენა გაქვსთ მე ის კინწისკვრით და პანღურის ცემით გამოვავდე ჩემი სახლიდგან.

თინათინ. (განცვიფრებული) მართლა ამბობ მაგასა? მამ ექიმბაში არ არის?

დურმიშხან. მართლა, დედა ჩემი არ წამიწყდეს! მამი ჩემი საფლავს გეფიცები, ეგ არც ექიმბაშია, არც მოლა ბაირამ-ოღლი, იცით კიდევ მაგისი ანბები რას შვრებოდა სოფლებში: სანყალს უშვილო გლეხი კაცის ცოლებს ატყუებდა,

ისეთ წამალს მოგცემთ, რომ შვილი გეყოლოსო“. ართმევდა შავს უნიშნო ვარიებს, დაჰკლამდა თითონვე ბუტბუტით ვითომ ლოცულობდა, იმ ვარიების სისხლით დაბლაჭნიდა ქალაღდს და შეაბამდა წელზე მჩვარში გაკერილს, ვარიებსკი თითონ მიირთმევდა. სამ დღესა და ღამეს ასე ჰყვანდა მარტო სახლში, ქმარი გარეთ ყარაულათ ადგა. აი ასეთი ექიმბაში გახლავს ეგ ოინბაზი.

თინათინ. იქნება მართლა! აბა ნახეთ ეს იმის წამალი, გაშინჯეთ კარგათ, თქვენ უფრო შეატყობთ, რა უნდა იყოს. ჩვენც ხომ არ გვატყუებს?

ღურმიშხან. (ნახამს ენით კოვზზე) ეს ყინვარე შაქრის წვენსა გავს. (გასრესს თითებით) ესეც სახამებელი უნდა იყოს, სინითლის გულისთვის ჭიაფერშია გაკეთებული. ხა! ხა! ხა!

თინათინ. (განცვიფრებით) აბა მაჩვენე (გასწმენდს კოვზს და ნახამს ეგრეთვე) სწორეთ, თქვენმა მზემ, აგრე უნდა იყოს, კარგათ შეატყე. აბა თქვენც გაშინჯეთ, ჩემო რძალო!

ქეთევან. (ეგრეთვე) ქა, ხედამ რა მოუგონია იმ უკეთურსა! ვაი ჩვენი ბრალი, თუ სხვებიც სულ ასე გვატყუებენ?

ღურმიშხან. მამ არადა – უკვდავების წამალია იმათი მიქსტურა ...

თინათინ. კიდევ ეგ არის, რომ სულ ამგვარი წამლებით ვიტანჯებით, რა უჭირდა ჩვენს ძველს კარაბადინს, რას არ იპოვით იმაში, მაგრამ ახლა სხვა დროა და სხვა ხალხი. „ციცინათელაც სინათლეს მისდევსო“, ვითომც ჩვენ ბნელაში ვიყავით და ეხლა ყველა სწავლას და განათლებას ვცდილობთ.

ქეთევან. ნეტავი აგრემც იყოს, რა ურიგოა ჩვენი ქვეყნისათვის, განა სწავლა მოსჭარბდება ადამიანს სიკვდილამდისა?

ღურმიშხან. დიახაც კარგია კაცმა ყველა იცოდეს, მაგრამ თქვენი ექიმბაში როდის მობრძანდება? ეს უფრო საჭიროა ეხლა ჩემთვის, რომ რაც მე ჩემ სახლში დავაკელ, ის აქ შევუსრულო.

თინათინ. (შეხედამს საათს.) თორმეტი საათია სრული, ყოველთვის ამ დროს მოდის, თქვენთვის მომინდვია იმისი საექიმო ფასით დაკმაყოფილება, ახლა თქვენ იცით, როგორც

მოექცევიტ.

დურმიშხან. (მუქარით) მე დავაკმაყოფილებ იმას კარგათ თქვენ ნუ შესწუხდებით!

თინათინ. როგორ გაბედა იმ მანანნალამ ამისთანა ოინბაზობა ჩვენთანა?

დურმიშხან. ის კაცი თავიდამ ხელ ალებული ლოთია, არას დაგიდევს მაგას თუ თქვენ პოლკოვნიკის ცოლი ბრძანდებით და მე დიდი მებატონე, ჩვენი ღირსება იმას ჩალათაც არ მიაჩნია.

გამოსვლა მესამე.

იგინივე და მეორე ლაქია.

(შემოვა მეორე ლაქია, იმის სიტყვებზე დურმიშხან და ქეთევან დაიწყებენ ფაცი-ფუცს და დაიმალებიან შირმის უკან).

მეორე ლაქია. ექიმბაში გიახლათ, „დრო არის ბატონი ვნახოვო?“

თინათინ. შემოვიდეს, კარები გაულე და შენ კი აქ მოიცადე.

დურმიშხან. (შირმიდამ გამოჰყოფს თავს) მობრძანდეს, კაი საექიმოს მიიღებს (მოსამსახურე გააღებს კარებს, ექიმბაში შემოვა აბა წამოსხმული ქუდით; ჩვეულებრივ დაუკრამს თავს ყველას, დადგება კრესლასთან, ლაქიები კარებთან დგანან მზათ აქეთ-იქით).

ექიმბაში. სალაქ ალექ, ბატონჯვან! ქეფუნ იალში დურხოროშ?

მელენტი. (კნავილით აიხედამს მალლა. ანიშნებს ღმერთზე).

ექიმბაში. ცამალი ქი მიირთო, ქალბატონო?

თინათინ. (უკრამს წარბებ შეკრული) ჰოო, მიირთო.

სოფიკო. დიახ, კარგათ მიირთო, სულ დაცალა თქვენი წამალის მინა.

ექიმბაში. (ამაყად ჩამოისომს წვერზედ ხელს) იაღში, იაღში, იაღში, (ჩამოისომს წვერზედ ხელს) აბა, ბათონოჯან, ვნახოთ ქი ხმა როგორ გაიცმინდა – ბძანე: ნას-რადი-შაა.

მელენტი. (თრთოლით) კუე-კუ-კუუუუუუ ...

ექიმბაში. იმ ალლაზეირია, ბათონოჯან, ქარგია, ქიდე-ვა. ნას-რადი-შააას.

მელენტი. (თრთოლით) კუკ-კუ-კუუუუუუ...

ექიმბაში. (ჩამოისომს წვერზედ ხელს) იშალლა ხეიროლ სუნ, ძალიან ქარქი, კიდევა, ქიდევე: ნას-რადი-შაააახ.

მელენტი. (თრთოლით) კუკ-კუ-კუუუუუუ ...

ექიმბაში. (მხიარულად და ხელების გაშლით) იშალლა, იშალლ, იშალლა. (ამ დროს გამოვლენ შირმიდამ დურმიშხან და ქეთევან).

დურმიშხან. იშალლა, თქვენ რომ ტყუილი ექიმბაში ბრძანდები? აბა სტაცეთ ხელი, – დაჰკარით! (ექიმბაში განცვიფრებული შეხედამს, იცნობს და ელდა ეცემა, ლაქიები სტაცებენ ხელს, დადრეკენ და დაუნყებენ ზურგზე ბრაგაბრუგს მუშტებით).

ექიმბაში. მე ამისთანა საექიმოს არ ვიღებ, ბათონჯან, არ მინდა!...

თინათინ. როგორიც ექიმბაში ბრძანდები, ისეთ საექიმოს გაძლევთ, დაჰკარით.

ექიმბაში. მე ექიმბაში არა ვარ, ქალბატონო, მოლა ვარ, მოლა!...

ქეთევან. ქა! ხედამთ ამასა, ახლა უარს ანბობს. დაჰკარით!

ექიმბაში. სწორე შეითხე, ქალბათონო, ვინა ვარ, ნუ მოკალ!

დურმიშხან. ეყოფა. მაშ ვინა ხარ, სწორეთა სთქვი!

ექიმბაში. მე ვარ თავრისის ლოთი, ჩვენი ხელობა არი თღუილი მოიგონო, ფულები იშოვნო, ღინო დალიო, ქეიფი გასციო.

დურმიშხან. აკი მოგახსენეთ თავრიზის ლოთია მეთქი, მიყურეთ ეხლა როგორ ვახტუნო და ვაყვირო. ექიმბაშო, რადგან ლოთი ყოფილხარ, დარდიმანდიც იქნები, თამაშობა

გეცოდინება.

ექიმბაში. (შეშინებული.) ბუალი ბათონჯან, ვიცი, თააშ თაში.

(უკვრენ ტაშს სიცილით, ექიმბაში თამაშობს აბა წამოსხმული).

დურმიშხან. სოფიკო, შენც გაეთამაშე, მამა თქვენს იამება. ვინძლო აჯობო. (თამაშობენ ორნი, სოფიკო კაბის გრძელის კუდით, ექიმბაში აბით, როდესაც გაათავებენ ექიმბაში დაუკრამს თავს და ეტყვის: „თქვენი გამარჯვებისა იყოსო“!)

დურმიშხან. ექიმბაშო ახლა იმღერე, სპარსელი ხარ და ლოთს სიმღერაც გეცოდინება.

ექიმბაში. (ჩამოისომს წვერზედ ხელს ამაყად) ბუალი, ბათონჯან, ვიცი ქი. (იმღერის ხელის ხმარებით).

ექიმო თუ გაქვს ამალი, იარი იარალი,
სცადე ეს ჩემი ცამალი, იარი იარალი.
რა სენი უმქურნალოა, იარი იარალი,
ღინოა მისი ცამალი, იარი იარალი.

(დაუკრავს თავს მძიმეთ, სხვანი იცინიან და ხარხარობენ).

დურმიშხან. ექიმბაშო, სწორეთ ლოთი ყოფილხარ, „მელას რაც აგონდებოდა ის ეზმანებოდაო“.

ექიმბაში. (შეშინებული) ბუალი ბათონჯან!

ქეთევან. რაღასა სტანჯამ ამ უბედურს, დაეხსენ გაგვეცალოს.

თინათინ. ახია მაგაზე, კვლავ გაფთხილდება.

ექიმბაში. ბუალი, ქალბათონო!

დურმიშხან. ახლა კი ნაბძანდი, გეთ, გეთ! სადაც შენი ოინბაზობა სთქვა, იქ ჩვენც მოგვიგონე.

ექიმბაში. ბუალი, ბათონჯან. (ჩამოისომს წვერზედ ხელს, დაუკრამს თავს ჩვეულებრივ თვითოეულად ყველას და გავა).

თინათინ. (მწუხარის გულით). აბა, თქვენი ჭირიმეთ, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ამისთანა ცრუ და უსინდისო და გაუნათლებელს ხალხში; ვის მიენდობით და ვისგან

ინუგეშებთ შენუხებული. სულ მოტყუება და ოინბაზობა არის, რაც უნდა მდიდარი იყოთ, ვერცხლითა და ოქროთი მაინც ვერ მოიპოებთ ამ სოფელში მყუდრო პატიოსან ცხოვრებას.

ქეთევან. (გულ ნაკლული) ეჰ, ჩვენი სიმდიდრე სულ ამაოა თქვენმა მზემ.

დურმიშხან. (ნამოდგება წინ და იტყვის გულ ტკივნებუ-
ლი.) ეჰ, მართლად უთქვამს გონიერს:

„ამა სოფლისა ცხოვრება,
ვერცხლით არ მოიპოება,
მდიდარნიც ბევრნი ყოფილან
ოხრად რჩენიათ ქონება“.

(დურმიშხან დაუკრამს თავს პუბლიკას და ფარდა დაეშვება).

ივანე (თქზობინი, თქზო)
ერისთავი

1818 - 1858

ძალად ექიმი

კომედიის

თრს მოქმედებათ.

მოქმედი პირნი:

თათუა, ვაქსის მკეთებელი.

ნანუა, ცოლი ამისი.

ალალო, მენჯრილმანე.

მებატონე **ივანე მარჯანიძე**.

მელანია, ამისი ქალი.

მართა, მელანიას ძიძა.

შიო და **ლუკა**, ამათი მსახურნი.

ლევან, საყვარელი მელანიასი.

ძალად ექიმი.

მოქმედება პირველი.

თეატრი წარმოადგენს ოთახს უბრალოსა.

გამოსვლა 1.

თათუა. არას გავაკეთებ, მე შენ გეუბნები, და ლაპარაკიც ჩემი რიგია და თავიც მე ვარ.

ნანუა. მე შენ გეუბნები, მე ვარ თავი, შენ ჩემს ქეიფზედ უნდა იყო. მე იმისთვის კი არ შეგირთე, რომ შენი ტუტუცობა მოვითმინო.

თათუა. ოხ, რა დიდი ხათაა ცოლის ყოლა! არისტოტელმა მართალი სთქვა: დედაკაცი სულ ბაიყუშიაო.

ნანუა. ვითომ ნასწავლი ხარ. იმოდენი ხანი ექიმათებარე, ვაქსის მეტი ვერა ისწავლერა.

თათუა. დიახ ნასწავლი კაცი ვარ! აბა ერთი მეფიჩხის შვილი მიპოვნე ესე ჩემსავით, რომელსაც ექვსი წელიწადი ემსახუროს ნაქებს ექიმთანა და რომელმაც იცოდეს ზეპირათ ევროპის მეცნიერება.

ნანუა. დაიკარგე, გიჟო, რეტიანო! ნახე შენი არისტოტელები პურსაც არ გაჭმევენ.

თათუა. დაიკარგე და გადიკარგე.

ნანუა. დაიქცეს ის საათი და ის დღე, როდესაც შენი შერთვის თანხმობა ვსთქვი.

თათუა. აი დაიქცეს დიდცხვირაანთ ტერაკოფას ოჯახი, რომელმაც შენზედ ჯვარი დამწერა.

ნანუა. შენმა სიცოცხლემ შენ ძალიან საწუხარი არა გაქვს. მაგ საქმეში რატომ ყოველთვის ღმერთს მადლობას არ უნდა სწირამდე, რომ ჩემისთანა გვამი მოგცა ცოლათ. შენ ღირსი იყავ ჩემისთანა ცოლის ყოლისა?

თათუა. მართალია! დიდათ გამაბედნიერე, მეტადრე უნდა ვაქო პირველი ჩვენის ქორწილის ღამე. – ეი! დედაკაცო, ამაზე მეტს ნულარას მალაპარაკებ, თორემ იმ ერთ ამბავს ვიტყვი...

ნანუა. რაო! რას იტყვი?

თათუა. კმარა, გინდა ბიაბრუ გაგხადო! მაგ ამბავს თავი დავანებოთ, საკმაოა. როგორც იყო, ის მე და შენ ვიცით და ბედნიერი ხარ, რომ მე შენ შეგხვდი.

ნანუა. არა, რას ეძახი დიდს ბედნიერებას, რომ შენ შეგხვდი? რომელმაც სააქიმოთ საქმე გამიხადე, გარყვნილო, მუხანათო, აღარა შემარჩინერა, სულ შემიჭამე.

თათუა. ტყუილს ამბობ, ნახევარი დაველიე.

ნანუა. სულ გამიყიდე წვრილ წვრილად, რაც რამ სახლის ავეჯი მქონდა.

თათუა. უფრო ყაირათით ვიცხოვრებთ.

ნანუა. უკანასკნელი ქვეშაგებიც აღარ შემარჩინე.

თათუა. უფრი ადრე ადგები.

ნანო. ბოლოს ერთი აღარა გაუშვირა სახლის ავეჯი.

თათუა. უფრო სუბუქათ გადავსახლდებით.

ნანუა. რომელიც დილიდგან საღამომდინ თამაშობისა და სმის მეტს არას აკეთებ.

თათუა. ამიტომ, რომ არ მომენყინოს.

ნანუა. და ერთი მიბძანე მაგაობაში მე რაღა უნდა გავაკეთო ჩემს სახლში?

თათუა. რაც შენ გიამება.

ნანუა. ოთხი პატარა საწყალი შვილები მე მკიდია ზურგზედ.

თათუა. ძირს დასვი!

ნანუა. რომლებიც ნამ და უნუმ პურსა მთხოვენ.

თათუა. კაი ჯოხები მიარტყი. როდესაც მე კარგა გამაძლარი და დალეული ვარ, მე მსურს, რომ ჩემს სახლში ყველანი მაძლარნი იყვნენ.

ნანუა. და შენ გგონია, ლოთო, რომ სულ მუდამ ამ ცხოვრებაში ვიყვნეთ!

თათუა. დედაკაცო, გაჩუმდი მეთქი.

ნანუა. უნდა ყოველთვის ვითმინო შენი ჭირვეულობა და ცუდი ქცევა!

თათუა. მაგაზედ მეტს ნულარ შეუკიდებ, დედაკაცო.

ნანუა. ერთი ვერ მიპოვნია ხერხი, რომ შენ სწორე გზაზედ დაგაყენო.

თათუა. დედაკაცო! კარგათ იცოდე, რომ ბევრი მოთმენის თავი არა მაქვს – და ხელმანკიანიცა ვარ.

ნანუა. საკურვლათ არ მეშინიან შენის მუქარისა!..

თათუა. ნანო, ჩემო კუჭო! შენ, მე მგონია, როგორღაც ზურგი გექავება და დაჩვეული ხარ....

ნანუა. მე შენ გაჩვენებ, რომ შენი არაოდეს არ მეშინიან.

თათუა. საყვარელო მეუღლე! შენ ძალიანა ცდილობ გამამტყუო რამე.

ნანუა. იქნება ფიქრობ, რომ მე შენის სიტყვებისა მეშინოდეს?!

თათუა. ჩემო სურვილის ნუგემო! მე ვიცი ცოტა ყურებს მოგისრეს.

ნანუა. ნადი, შე ლოთო!

თათუა. მე შენ მიგჯობამ.

ნანუა. მოუკუპრაო ტიკო!

თათუა. გაგზურგავ მეთქი.

ნანუა. მეფიჩხის შვილო!

თათუა. გაგქელამ.

ნანუა. მუხანათო, ჭირვეულო, მომტყუებელო! ავაზაკო! პლუტო! უსულო! გლახავ! ტანტალავ! ცრუო! ბოროტო! ქურდო! ლოთო!

თათუა. გინდა ეგ არის რალა? აღარ იშლი? (აიღებს თათუა ჯოხსა და ჰსცემს ცოლსა).

ნანუა. (გაიქცევა ყვირილით). ვაიმე, ვაიმე, ვაიმე! (მერე ისევ შემოვარდება).

თათუა. ჩემს ცოლს ჯოხის მეტი ვერა დააჩუმებსრა.

გამოსვლა 2.

თათუა, ნანუა და აღალო.

აღალო. შენ ეი, თათო! გრცხვენოდეს, რას შვრები? აბა რატომ არ გრცხვენიან?! დაიქცეს იმის ოჯახი, ვინც აგრე

თავის ცოლს სცემს.

ნანუა. (აღაღოს). ჩემი ქეიფია და მცემს.

ალალო. აი მაშ კარგი, მეც თანახმა ვარ, შენი ჭირიმე.

ნანუა. შენ რას დაეძებ!?

ალალო. დანაშაული მაქვს.

ნანუა. არა, რა შენი საქმეა?!

ალალო. ჭეშმარიტათ მართალსა ბრძანებ.

ნანუა. ამისთანა სულელი გინახავთ, ქმარს თავის ცოლის ცემას უშლიდეს!

ალალო. უკანვე მიმაქვს ჩემი სიტყვები.

ნანუა. არა ერთი რა საქმე გაქვს?

ალალო. არა ფერი!

ნანუა. შენი საქმეა, რომ წამოეკეტე?

ალალო. არა.

ნანუა. საქმე გამოგწყვეტია!?

ალალო. აკი აღარას მოგახსენებ.

ნანუა. მე მინდა, რომ მცემოს.

ალალო. ვა! ჯანი დაგვარდეს თუ გცემს. მეც ყაბული, ყაბული.

ნანუა. ეგ შენზედ არ არის დამოკიდებული.

ალალო. მართალია.

ნანუა. სულელი ხარ, რომ მოსდინხარ და ერევი ამისთანა საქმეში, რაც შენ ნახული არა გაქვს. (ერთს სილას შემოჰკრავს).

ალალო. (თათოს). თათო, ჭეშმარიტათ უკაცრავათა ვარ შენთანა. აბა რაც შეგეძლოს დაჰკარ შენ ცოლს, თუ გინდა მეც მოგეხმარები.

თათუა. საჭირო არ არის.

ალალო. მაშ ეს ურიშ ბანე?¹⁰¹

თათუა. როცა მსურს მეცა, მინდა ვცემ და როცა არა მსურს არ მინდა და არა ვცემ, გაიგე!

ალალო. უცხო და პატიოსანი.

თათუა. ჩემი ცოლია და არა შენი.

ალალო. ჭეშმარიტათ.

101 [სომხ.] – სხვა საქმეა?

თათუა. შენ ჩემი ბრძანებელი არა ხარ.

ალალო. მართალია.

თათუა. მე შენ შემწეობას არა გთხოვ.

ალალო. თანახმა ვარ.

თათუა. დიდი ბრიყვი ბრძანდები, რომ სხვის საქმეში ერევი; ეს იცოდე, რომ ციცერონმა სთქვა: ხესა და ქერქს შუა თითს ნუ ჩასდებო. (დაუწყებს ალალოს ცემას და გააგდებს).

გამოსვლა 3.

თათუა და ნანუა.

თათუა. აბა მოდი ახლა შევრიგდეთ. მოიტა ხელი.

ნანუა. უცხოა! კარგათ მიმამტვრიე და ახლა?

თათუა. რა უყოთ, მოიტა ხელი.

ნანუა. არ მინდა.

თათუა. ეე!...

ნანუა. არა მეთქი!

თათუა. ჩემო, ჩემო ცუგრუმელო!

ნანუა. სულ არა თქვენმა მზემა.

თათუა. მოდი მეთქი და.

ნანუა. არა მეთქი და.

თათუა. მოდი, მოდი, მოდი!

ნანო. არ იქნება, ეგრე გაანჩხლებული უნდა ვიყო.

თათუა. ეე!.. მაგისტანა უბრალო საქმეზედ, კარგი, კარგი და.

ნანო. კარგია! თავი დამანებე.

თათუა. გეუბნები, ხელი დაჰკა მეთქი.

ნანო. რალა მიქნია.

თათუა. კარგია და მაგას თავი დავანებოთ, ბოდიშს ვითხოვ, მოიტა ხელი.

ნანო. მიპატიებია (იქით). მაიცა, მეც გადაგიხდი.

თათუა. გიჟი ხარ, რომ ამისთანა საქმეს ყურს უგდებ, ეს იმისთანა საქმეა, რომ ხანდისხან საჭიროა მეგობრობაში ხუ-

თიოდ ექვსი ჯოხის დაკვრა – მოსიყვარულე პირთ შორის სიყვარულის გადახალისებაა; ახლა მე დუქანში წავალ და პირობას გაძლევ, რომ დღეს ხუთ კოლოფს ვაქს გავყიდი. (გავა).

ნანო. მიბრძანდი; მე რაც უნდა ქეიფზედ გნახო, მაინც არაოდეს არ დავივინყებ ამ ტკვიილს, გული მისკდება ჩემ თავზედ, რომ ერთი იმისთანა ვერ ვიფიქრე რამ, რომ მე შენ გადაგახდევინო, რაც ჯოხები მომარტყი. მე კარგათ ვიცი, რომ დედაკაცს ყოველთვის ხელთა აქვს კარგი ღონის ძიება ქმარზედ ჯავრის ამოყრისა, მაგრამ იმ ნაირის ჯავრის ამოყრა ჩემი სულელი ქმრისთვის ცოტაა, ასე რიგათ უნდა გადაუხადო, რომ კარგათ იგრძნოს და იმითი ვერ დავეკმაყოფილდები, რაც მე უპატიურება მივიღე.

გამოსვლა 4.

ნანო, შიო და ლუკა.

ლუკა. (შიოს). ორთავ რაღაც საქმე მოგვაჩემეს და არ ვიცი რომელს ეშმაკებში უნდა ვიპოვნოთ.

შიო. (ლუკას) რა უნდა ჰქნა, ჩემო საყვარელო ძიძის ქმარო, მორჩილნი უნდა ვიყვნეთ ჩვენის ბატონისა და ამასთან სარგებლობა გვაქვს ერთსაც და მეორესაც, რომ კარგათ იყოს იმისი ქალი, ჩვენი ქალბატონი; უსათუოდ იმისი გათხოვება ავანტიურობამ შეაყენა, არ იქნება, რომ ცოტა ჩვენც არა გვერგოს რა, ღვინოს მაინც დავლევთ, თუმცა ქალს კი ძალიან მეგობრობა ჰქონდა ვიღაც ლევანზედ, შენ ხომ კარგათ იცი იმის მამა არას დროს თანახმა არ შეიქნა იმის სიძეობისა.

ნანო. (თავისთვის ოცნებობს, მარტო ჰგონია თავის თავი.) ვერა მიპოვნია რა იმისთანა, რომ ჯავრი ამოვიყარო!

ლუკა. (შიოს). რა აიტეხე, ძმაო, და რა თავს იხეთქ; ექიმებმა დაასრულეს, რაც რამ იცოდნენ.

შიო. (ლუკას.) რასაც ბევრჯელ არ მოელის კაცი პოვნას, საცა არ ეძებს, იქ იპოვნის.

ნანო. (ჰგონია მარტოა.) უთუოდ უნდა ჯავრი ამოვიყა-

რო, რაც უნდა დამემართოს, ის ჯოხები კიდე გულში მხვდება, მე არაოდეს არ დამავინწყდება და... (შიოს და ლუკას ეტყვის.) ახ! უკაცრავათ, ბატონებო, ვერ დაგინახეთ, ფიქრში ვიყავ, რა გნებავს?

შიო. ექიმს ვეძებთ, აქ სადღაცა დგასო.

ნანო. მაგაში მოგეხმარებით!

შიო. შესაძლებელია. ჩვენ ვეძებთ აგება როგორმე შევხვდეთ იმისთანა მცოდნეს ექიმს, რომელსაც შეეძლოს რგება ჩვენის ბატონის ქალისა, იმისთანა ავათმყოფობა დაეძგერა, რომა ენა ჩაუარდა; ბევრი ექიმი მოიღალა, დაასრულეს რაც იცოდნენ და ვერა უშველესრა, ბევრჯელ იმისთანა მცოდნე კაცი იპოება, რომელმანც იცის იმისთანა წამალი და შეუძლიან მორჩენა იმნაირი ავათმყოფობისა, რომელსაც სხვები ვერას არგებენ, – აი ჩვენ ამისთანა კაცს ვეძებთ.

ნანუა. (ჩუმათ იქით.) ახლაკი ხეირს მაძლევს ღმერთი, ჩემი ბედოვლათი ქმრის ჯავრის ამოყრაზედ. (მალლა.) თქვენ ძალიან საქმე ქენით, მე მკითხეთ, რომელსაც ექიმს მე გასწავლით, ასეთი კაცია, არა ქვეყანაზედ იმისთანა ვერავინ იპოება, მეტადრე მაგისთანა გაძნელებულის ავათმყოფობისათვის.

შიო. მართლა შენი ჭირიმე? სად უნდა მოვნახოთ?

ნანუა. თქვენ ეხლა იმას იპოვნით ამ ბოლოს ქუჩაში, დუქანი აქვს ვაქსისა, ჰყიდის.

ლუკა. ექიმი ჩექმების საღებავსა ჰყიდის?

ნანუა. დიახ, თქვენი ექიმობა არ უყვარს, მაგრამ ერთი საკურველი რამ კაცია, რაღაც ხასიათისა და თავის დღეში ვერ მიხვდებით იმის ხასიათსა, როგორღაც სულელურათ აცვია, თავს არ იჩენს, უცოდნელ კაცათ აჩვენებს თავს მცოდინარეს.

შიო. ეს საკვირველია, რომ ყოველს გამოჩენილს კაცს მაგისთანა რაღაც ხასიათი აქვთ, როგორღაც ცოტა ტუტუცები არიან თავიანთ სწავლაში.

ნანუა. იმისი სიტუტუცე მომეტებული რამ არის, დაუჯერებელი, ასე რომ ბევრჯელ მანამ კარგად არა სცემენ არ იკისრებს ექიმობასა და მე თქვენ გეუბნებით, რომ ვერას დროს თქვენს სურვილს ვერ მიხვდებით და არაოდეს ის არ

იტყვის თუ ექიმია, რაკი ერთხელ თავში ქეიფი მოუა, მანამ
ორიოდ ჯოხი არ მოარტყათ, არ გაგიტყდებათ. ჩვენ ყოველთ-
ვის ამ ღონისძიებას ვხმარობთ, როცა ის საჭიროა ხოლმე.

შიო. საკვირველი ტუტუცობაა.

ნანუა. მართალია, მაგრამ მასუკან თქვენ ნახამთ, რა
საკვირველებას მოახდენს.

შიო. სახელათ რას უძახიან?

ნანო. თათუა ჰქვიან, ადვილად საცნობიცი არის.

ლუკა. რა ჩოხა აცვია?

ნანუა. დაგლეჯილი სერთუკი აცვია.

შიო. ექიმია, როგორც ამბობთ?

ნანუა. რას ამბობთ, სასწაულებს ჩადის. ექვსი თვე
იქნება, რაც ერთს ავთამყოფს დედაკაცს ერთიან ექიმებმა
თავი დაანებეს, ყველას მკვდარი ეგონათ, შვიდი საათი ისე
იყო, ის იყო დამარხვას უპირობდნენ, როდესაც ის კაცი მიიყ-
ვანეს ძალათი; როგორც მე გითხარით, რო ნახა, ერთი რალაც
წვეთი ჩაუშვა ყურში, იმავე წამს წამოდგა ის დედაკაცი და დაი-
წყო სახლში სიარული, თითქო თავის დღეში არა სტკიებიარა.

ლუკა. აიპე! აიპე! აიპე!!!

შიო. უთუოთ ძალიან ძვირფასი წამალი რამ იქნებოდა?

ნანუა. რასაკვირველია, სამი თვე არ იქნება, რაც ერთი
თორმეტი წლის ყმაწვილი ბიჭი ჩამოვარდა ძირს მალლა სამ-
რეკლოდან და დაემსხვრია იმას ცხვირი, თავი, ხელი, ფეხი,
მაშინვე ის ჩვენი ოსტატი კაცი მოიყვანეს, რალაც წასასმელი
წამალი წაუსო ტანზედ. იმავე წამს წამოხტა და გაიქცა სათა-
მაშოთ.

ლუკა. აიბე! აიბე!

შიო. ეტყობა რომ ქვეყანაზედ რაც სნეულებაა, ყველას
წამალი ჰქონია იმ კაცსა!

ნანუა. უეჭველია!

ლუკა. ბიჭო და სწორეთ მაგისტანა კაცი გვინდოდა
ჩვენ, წავიდეთ ჩქარა მოვნახოთ.

შიო. დიდათ გამდლობთ ჩვენის სიამოვნებისთვის.

ნანუა. კარგა დაინახსოვნეთ ჩემი დარიგება. (გავა.)

ლუკა. მაგისი ჩვენ ვიცით, ცემის მეტი თუ არა უნდარა,

გიჟი მოზვერით დავამშვიდებთ.

შიო. ძალიან ბედნიერება მოგვივიდა, რომ ამ ადამიანს შევხვდით და როგორც ვფიქრობ ნასწავლი ექიმი უნდა იყოს.

გამოსვლა 5.

თათუა და იგინივე.

თათუა თეატრის უკან იმღერის ამან სულო, სულო, სულო.

შიო. მეყურება, ვილაც იმღერის.

ნანუა. ეგ ის არის, ექიმი. (თათუა შემოდის, ერთი ნახევარ დოქიანი ხელში უჭირავს, ვერ ხედავს შიოს და ლუკას).

თათუა. და ახლა კი გადავკარ, ცოტა შევიქაქანოთ. (შემდგომ დაღვევისა იმღერის სულოს ხმაზე).

რა კარგი ხარ, ჩემო დოქო!
ტკბილია შენით ღვინის სმა,
კულას ჰსჯობიან შენი ხმა.
ახ! დოქო შენ გენაცვალე,
რატომ მალე დაიცვალე?...

შიო. აი ის კაცი.

ლუკა. (ჩუმით შიოს). დიახ სწორეთ ის არის და სწორეთაც შემოგვახალა.

შიო. აბა ახლო ვნახოთ.

თათუა. (საღვინეს ჰკოცნის). ახ შენ ჩემო სულის დოქო, მე რომ მქონდეს ეხლა ლოქო, საუზმეზედ დავვდებოდი. დამთვრალი შევიქნებოდი. (აქ დაინახავს შიოს და ლუკას). დასწყევლათ ღმერთმა! რა ეშმაკებს ეძებენ ეს კაცები?

შიო. (ლუკას). ეს სწორეთ ის არის!

ლუკა. (შიოს). როგორც ჩვენ გვითხრეს სწორეთ ის

არის, პირ წავარდნილი.

თათუა. (სალვინეს ძირს დასდგავს, შიო იხრება თავის დასაკვრელათ. იმას ჰგონია სალვინის ასაღებათ იხრება, აიღებს და იქით გადასდგამს; ლუკაც ემზადება, ისრე როგორც შიო, თათუა აიტაცებს სალვინესა, მუცელზედ დაიდებს და სხვა და სხვა ნაირათ იღრიჯება, რომელიც შეადგენს თეატრის თამაშობას).

თათუა. (თავისთვის). ერთმანერთს ჰკითხვენ რა განძრახვა ექნებათ?

შიო. თქვენ ხომ არა გქვიანთ თათუა?

თათუა. მერე რა გინდა?...

შიო. მე გკითხავთ თქვენ ხომ არა ხართ?

თათუა. (ჯერ შიოსკენ, მერე ლუკას). ჰო, და რა გნებავდათ შეიტყოთ.

შიო. ჩვენ იმის პატივის ცემა გვინდა, რაცკი შეიძლება.

თათუა. თუ აგრეა, მე გახლავარ თათუა.

შიო. ბატონო, დიდათ მოხარული ვართ თქვენის ნახვისათვის. ჩვენ რასაც ვეძებდით, თქვენზედ მოგვასწავლეს. ახლა გევედრებით, მოგვეხმაროთ ჩვენ გაჭირებაში.

თათუა. თუ იმისთანა რამ არის, ბატონებო, რაეცა შეეხება ჩემს მცირე ხელობასა, მზა ვარ თქვენის სამსახურისა.

შიო. თქვენგან ეგ დიდი მონყალეაა.

ლუკა. ნუ გაგვირისხდები, ღმერთი გადღეგძელებს.

თათუა. (იქით). აი ზდილობიანი კაცნი არიან. (ქუდს დაიხურავს).

შიო. ბატონო, საწყენათ ნუ მიიღებთ ამას, რომ თქვენ მოგატანეთ. გამოცდილნი კაცნი ყოველთვის საჭირონი არიან და ჩვენ შეტყობილი გვაქვს თქვენი ხელოვნება.

თათუა. სწორე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემისთანა ვაქსის გამკეთებელი არსად არ იპოვება.

შიო. ეს ბატონო...

თათუა. ჩემ თავს არა ვზოგამ და ასე რიგათ ვაკეთებ, რომ არას დროს არ დაიწუნება. – ჩექმას ასე გავხდდი, როგორც სარკე.

შიო. ბატონო, ჩვენ მაგას არა გკითხავთ.

თათუა. კოლოფს აბაზათა ვყიდი.

შიო. ღმერთი გადღეგრძელებს, მაგას ნუ გვიბრძანებ.

თათუა. მე გადაჭრილს გეუბნებით. ამაზედ ნაკლებ არ მივცემ.

შიო. ბატონო, ეგ ჩვენ ვიცით.

თათუა. თუ იცით, ესეც უნდა იცოდეთ, რომ ყოველთვის ესე ვყიდი.

შიო. ბატონო, თქვენ ხუმრობთ მითამ.

თათუა. სულ არა ვხუმრობ თქვენმა მზემა და არც ნაკლებ შემოიძლიან მივცე.

შიო. სხვა ვთქვათ რამე ღმერთი გაცოცხლებს.

თათუა. სხვაგანაც იშოვნით, რასაკვირელია, მაგრამ ვაქსიც არის და ვაქსიცა, მე ინგლისისაგან მისწავლია.

შიო. ეხ, ბატონო, მაგას თავი დავანებოთ.

თათუა. მე თქვენ გარწმუნებთ, ვერსად იშოვნით ამისთანას, თუნდ მომეტებული მისცეთ.

შიო. ეს რა საკადრისია?

თათუა. არა მეთქი, მედა ჩემმა სულმა ამაზედ ნაკლებ ვერ იშოვნით, მე ჭეშმარიტათ მოგახსენებთ; მე იმისთანა კაცი არა ვარ – მომეტებული გთხოვოთ.

შიო. რა საკადრისია, ბატონო, მაგისთანა გვამი მასხარაობით თავს იმაღავთ და იკადრებთ მაგისთანა ლაპარაკსა? მაგისთანა მცოდნე, მაგისთანა ჩინებული ექიმი, როგორიც თქვენა ბრძანდებით, ქვეყანას ემალებით და გინდათ დამარხოთ მაგისთანა ნიჭი.

თათუა. (იქით გავა). თქვენმა მზემ სწორეთ გიჟი უნდა იყოს ესა!

შიო. თქვენი თავის მზეს, ბატონო, ნულარ გვანვალებ ამაზედ მეტსა.

თათუა. როგორ?

ლუკა. აბა იმე და ეგ ტარატურობა რათ გინდა, ჩვენ ვიცით, რაც ვიცით.

თათუა. რაო?... რა გინდათ ჩემგანა? – ვინა გგონივართ მე?

შიო. ჩვენ ის გვგონიხარ და ვიცი, რომ პირველი ექიმი ბრძანდებით.

თათუა. თქვენ თუ ხართ ექიმი, თორემ მე არა ვარ და არც ჩემს დღეში ვყოფილვარ.

შიო. (ჩუმად). აი სიგიჟე. (მალლა). კარგი, ამაზედ მეტს ნულარც თქვენ ნუხდებით და ნულარც ჩვენ გვანუხებ და თუ თქვენი ნებაც იქნება, ნუ მიგვიყვან იქამდინ, რომ უსიამოვნება მოგაყენოთ.

თათუა. რა უსიამოვნება?

შიო. ის ერთი საქმე რომ არის, რომელიც ჩვენ შეგვანუხებს.

თათუა. მე ვერა გამიგიარა! რაცა გნებავთ ისა ჰქენით, არა ვარ და არც მესმის, რას მეუბნებით.

შიო. (დაბლა). მეტი ღონე არ არის ჩვენი ნამალი უნდა ვიხმაროთ. (მალლა). ბატონო, კიდევ გთხოვთ გაგვიტყდეთ, ვინც ბძანდებით.

ლუკა. შენ ეი, თავი არ მომიკვდება ბევრს ნულარ ჯიქდები, გაგვიტყდი, რომ ექიმი ხარ!

თათუა. გიჟები არიან! ლამის გამაანჩხლონ.

შიო. კარგათ ვიცი, ვინცა ხართ, თავს რათ იმაღავთ.

ლუკა. მითომ, ძმაო, რა თავს იდებ ძალიან! რას გამოგადგება ეგ ცუდლუტობა.

თათუა. ყმანვილებო, ერთის სიტყვით ძალიან შორის შორსა ვართ. მე თქვენ გეუბნებით, რომ ექიმი არა ვარ.

შიო. მაშ ექიმი არა ხარ!

თათუა. არა.

ლუკა. ექიმი არა ხარ?

თათუა. არა მეტქი, გეუბნებით!

შიო. რახან გინდა, ჩვენც მეტი ღონე არა გვაქს. (აიღებენ თითო ჯოხსა და დაუნყებენ ცემას).

თათუა. ვაი! ვაი! ვაი! ბატონებო, ვარ! ვარ, რაც თქვენ გინდათ.

შიო. აბა რისთვის იჭირვებ საქმესა, ბატონო, რისთვის მიგვიყვანე იქამდინ?

ლუკა. აბა რათ გინდა, რომ გცემოთ აი!

შიო. მერწმუნეთ ასე ვწუხვართ, რომ მეტი აღარ იქნება.

ლუკა. თავი არ მომიკვდება არ არის სასიამოვნო, სწორე გითხრა.

თათუა. რას გადარეულ ხართ, ყმანვილებო, თავი ნუ მოგიკვდებათ: სასაცილოთ მიგდებთ, თუ ორნივ დაგიჟდით, რათ ჩამცივებოხართ და გინდათ ექიმი ვიყო.

შიო. კიდევ არ გინდა გატყდე და სულ გინდა იძახო, რო არა ხარ ექიმი?

თათუა. ოჯახი დამექცეს, თუ ექიმი ვიყო.

ლუკა. მაშ მართალს ამბობ, ექიმი არა ხარ!?

თათუა. არა, ჭირი შემომიდგეს, თუ ვიყო. (დაუნყებენ ხელახლა ცემასა). ვაი! ვაი! ვაი! კარგი, ყმანვილებო, ჯანი გაგვარდეთ. რახან აღარ იშლით ვარ ექიმი, აფთიექარიცა, კიდევ თუ გიამებათ. მე ის მირჩვენიან ყველაზედ თანახმა შევიქმნა, მინამ ამ ტანჯვას!

შიო. ჰო? აი ეგ კარგი და პატოსანი, ბატონო, დიდად მოხარული ვარ, რომ ახლა რიგიანათ ლაპარაკობ.

ლუკა. გულმა ფუნდრუკი დამიწყო სიხარულით, რაკი შენ ეგა ბძანე.

შიო. ბოდიშს მოვითხოვ, გთხოვთ მომიტევოთ.

ლუკა. ნუ გაგვიწყრები თავი ნუ მოგიკვდება, ორიოდ ჯოხი რომ გასალთე.

თათუა. (იქით). იქნება მე თვითონ როგორმე ვცდებოდე, მართლა ექიმი შევქნილვიყო და ვერა გავიგერა?!

შიო. ბატონო, თქვენ არას იზარალებთ, რაკი გვაჩვენებთ თქვენს ხელოვნებას და ნახამ რა რიგათ კმაყოფილი შეიქნებით.

თათუა. მაგრამ, ყმანვილებო, ერთი ეს მითხარით, თქვენ თითონ არა სცდებით? და ჭეშმარიტათ იცით რომ ექიმი ვარ?

ლუკა. ჰო! თავი არ მომიკვდება.

თათუა. ძალიან კარგი მაშ.

შიო. რასაკვირველია!

თათუა. ეშმაკებმა წამილოს, თუ მე ეგ ვიცოდე!

შიო. რას ამბობ? შენ პირველი ექიმი ხარ ქვეყანაზე.

თათუა. მართლა ამბობ?

ლუკა. ასეთი ექიმი თურმე ხარ, რომ რამტენი ავანტყოფი მოგიჩინია.

თათუა. ღმერთმანი?

შიო. ერთი დედაკაცი ექვსი საათი მკვდარი დებულა; ის იყო თურმე მარხავდნენ, შენ თურმე რალაც ერთი წვეთით წამალი მიეცი, ფეხზედ ააყენე და სახლში სიარული დაანყებინე.

თათუა. აი დასწყევლოს ღმერთმა!

ლუკა. ერთი ვილაც პატარა ბიჭი თორმეტის წლისა ჩამოვარდნილიყო სამრეკლოდგან, ამის გამოისობით, თავი, მკლავი, ფეხი დეემტვრია და შენ არ ვიცი რალაც წაგეცხუნებინა, მაშინვე სადმე ამდგარიყო და საფუნდრუკოთ სადმე წასულიყო.

თათუა. აი დიდება შენთვის!

შიო. ბატონო, თქვენ კმაყოფილნი დარჩებით, ჩვენგან და მიიღებთ, რაც თქვენ გნებამთ, ოლონდ ნება მოგვეც წაგიყვანოთ, საცა ჩვენ გვინდა.

თათუა. რაც მე მინდა მივიღებ?

შიო. დიახ!

თათუა. რახან ასრეა, ექიმი ვარ, ყოველთვის უარის უთქმელად, მე ეს დამავინყდა, მაგრამ ახლა მომაგონდა: აბა რაზეა საქმე დამოკიდებული. სად გინდათ ჩემი წაყვანა?

შიო. ჩვენი ბატონის ქალმა მეტყველება დაჰკარგა და იმის მორჩენა გვინდა.

თათუა. თქვენმა მზემ მე არ მიპოვნია.

შიო. (ჩუმათ ლუკას). ხუმრობა ჰყვარებია, – აბა წავიდეთ, ბატონო!

თათუა. ტანისამოსს ჩავიცვამ და წამოვალ.

შიო. ჩვენ გიშოვნით.

თათუა. (საღვინეს აძლევს შიოს). დაიჭი ეს შენ, ეს ის არის, საცა გასაგრილებელი წამალია ... (შემდგომ მიუბრუნდება ლუკას). შენ მიჰყე მაგას ბრძანებისაებრ ექიმისა.

ლუკა. აბა იმე ძმალ! ამისთანა ექიმი მიყვარს, მე მგონია ძალიან საქმეს ჩაიდენს, ამისთვის, რომ ხუმარა ყოფილხარ.

(ფარდა დაეშვება).

მოქმედება მეორე.

თეატრი წარმოადგენს ივანეს ოთახს.

გამოსვლა 1.

ნანო, შიო, ლუკა, მართა და ივანე.

შიო. დიახ, ბატონებო, მე მგონია კმაყოფილი შეიქმნათ, ასეთი ექიმი მოგგვარეთ, ქვეყანაზედ არ არის.

ლუკა. ჰო! თავი არ მომიკვდება, სხვა აღარავინ უნდა ამოუშვათ კიბეზედ, სხვები მაგის ქალმანის ღირსნი არ არიან.

შიო. ასეთი რამ კაცია, ეხლა საკვირველი წამლობა მოსვლია.

ლუკა. რომელსაც მკვდრები სამი მოურჩენია.

შიო. ცოტა რაღაც ქეიფის კაცია, როგორც მოგახსენეთ და ხანდისხან ჭკუა როგორღაც დეეფანტება ხოლმე და თავის თავს ველარ იცნობს.

ლუკა. ხუმრობა უყვარს და იტყვის კაცი თითქო რაღაც რეტი აქვსო.

შიო. მაგრამ გულში კი სულ ღრმა ცოდნით გატენილია და ბევრჯელ ასეთ რასმე მაღალს იტყვის, რომ რაღა ვთქვა.

ლუკა. როცა მოჰყვება ლაპარაკს ასე გგონია წიგნში კითხულობსო.

შიო. მაგის სახელი გავარდნილია ამ მხარეზედ და მთელი ხალხი სულ მაგასთან მოდის.

ივანე. მე სული მელევა იმის ნახვისათვის, აბა მოიყვანეთ ჩქარა!

შიო. ეხლავ მოვიყვან. (გავა).

გამოსვლა 2.

მართა. ჩემმა სიყმემ, ბატონო, თუ კაი ექიმი გინდათ უპოვნოთ თქვენ ქალსა, მე ვიცი, აბა თქვენ ერთი საქრმო

მოჰგვარეთ, რომელიც მაგას უნდა.

ივანე. ეი! ეი! ჩემო ძიძავ, შენ ძალიან საქმეებში ერევი.

ლუკა. დაჩუმდი, ძიძავ, რა შენი საქმეა, რომ ეჩხირები.

მართა. მე ვანბობ და მოგახსენებთ, რომ სულ ეგ ექიმები ვერაფერს ვერას გაარიგებს, თქვენს ქალს სხვა რამ უნდა. ნამალ ნუმალი და სისხლის გამოშვება კი არა, ქმარი ძალიან ნამალია, რომელიც ყოველის ქალის სენს არგებს.

ივანე. ეხლა სადღა აქვ თავი მაგისტანა სნეულსა. ხო, აკი როცა მე მინდოდა გამეთხოვებინა, თავისი ბრალი არის, წინააღმდეგი რათ შეიქმნა?

მართა. მე მგონია თქვენ გინდოდათ ასეთი ქმარი შეგერთოთ, რომელიც მაგას არ უყვარდა. ისეთი ყმანვილი შერთე, რომელიც მაგის გულს მოსწონს! აბა მაშინ მორჩება თუ არა?

ივანე. ის ლევანი ისეთი ვერ არის, როგორც უნდა, არც იმტენი შეძლება აქვს, როგორც სხვასა.

მართა. ბიძა ჰყავს მდიდარი, იმისი მემკვიდრე ის არის.

ივანე. სულ ეგ სიმდიდრე, მე სიმდიდრე არა მგონია; რაც კაცს ხელში უჭირავს, ის არის სიმდიდრე და ისინი ძალიან სცდებიან და სტყუვდებიან, როდესაც სხვისაგან მოელიან ქონებას.

მართა. მე მაინც ამას ვიტყვი, რომ ეხლანდელი გათხოება სულ ვაჭრობაა.

გამოსვლა 3.

თათუა და იგინივე.

შიო. ბატონო! მეემზადეთ, აი ექიმი მობძანდა.

ივანე. (თათუას). ექიმბაშო, დიდათ მოხარული ვარ, რომ თქვენ ჩემს სახლში გხედამთ და დიდათ ვსაჭიროებ თქვენს თავს.

თათუა. (ექიმის ტანისამოსით და საშინელის მწვეტის ქუდი). ჯანაოზ ექიმმა ბრძანა, რომ ჩვენ ორთავ ქუდები და-

ვიხუროთ.

ივანე. ჯანაოზ ბძანებს მაგასა?

თათუა. დიას.

ივანე. რომელს წიგნში სწერია, თუ არ გამინყრებით?

თათუა. იმის წიგნებში ... ქუდა ძილში.

ივანე. რადგან ჯანაოზ ბძანებს, ისე ვქნათ.

თათუა. თქვენ რა გტკივათ?

ივანე. ვის ელაპარაკებით, ბატონო?

თათუა. თქვენა.

ივანე. მე არა მტკივარა.

თათუა. არა გტკივარა?

ივანე. არა, მერწმუნეთ.

თათუა. უცხო და პატიოსანი.

თათუა. (ლუკას). შენა, ბიჭო?

ლუკა. არცარა მე.

ივანე. მაგას თავი დაანებე, ბატონო, მე ერთი ქალი მყავს პანციონში გაზდილი და რაღაც საკვირველის ავთამყოფობით არის ავათ.

თათუა. დიდათ მოხარული ვარ, რომ მე თქვენი ქალისათვის საჭირო ვარ და ამასთანავე გულით და სულით, რომ თქვენცა და თქვენი სახლობაც მსაჭიროებდეთ, რათა მით დაგიმტკიცოთ ჩემი გამზადება თქვენს სამსახურზე.

ივანე. დიდად გმადლობთ მაგ მონაწილეობისათვის.

თათუა. გარწმუნებ, რომ სწორეს გულით მოგახსენებთ ამას.

ივანე. მომეტებული პატივისცემაა, რასაც თქვენ ბრძანებთ.

თათუა. რა ეწოდება თქვენ ასულს?

ივანე. მელანია.

თათუა. მელანია! ახ რა კარგი სახელია, წამლის მისაცემათ. მელანია ... იქნება მელანმა არგოს?

ივანე. წავალ ერთი ვნახამ, რასა იქს.

თათუა. ვინ არის ის მაღალი ქალი?

ივანე. ჩემის პატარა ყმანვილის ძიძაა. (გავა და შიო გაჰყვება).

გამოსვლა 4.

მართა, ლუკა და თათუა.

თათუა. (იქით ცალკე.) ოხ, რა ლამაზი მორთულობა არის ამ სახლში. (მალლა). ახ ძიძავ! მშვენიერო ძიძავ! ჩემი ექიმობა არის უმდაბლეს ტყვეთ თქვენის ძიძობისა და ნეტამც პატარა ბავშვი ვიყო, რომ ვიცოხნიდე შენ მშვენიერ ძუძუებსა. (ძუძუებისკენ ხელს წაიღებს). ჩემი წამალი, ჩემი ცოდნა, ჩემი ნიჭი თქვენის სამსახურობისათვის შემინირავს და ...

ლუკა. უკაცრავათ ნუ ვიქნები, ბატონო ექიმო, რო მოგახსენოთ, თავი დაანებოთ ჩემ ცოლსა.

თათუა. მართლა შენი ცოლია?

ლუკა. დიახ.

თათუა. ახ, უკაცრავათ, რომ არ ვიცოდი და დიდათ მოხარული ვარ თქვენი ერთმანეთის სიყვარულისათვის. (უნდა მითომ აკოცოს ლუკას და ჰკოცნის ძიძას).

ლუკა. (გამოსწევს თათუას, იმის და თავის ცოლშუა დადგება). წყნარა, თუ თქვენი ნებაც არის.

გამოსვლა 5.

იგინივე და ივანე.

ივანე. ეხლავ გახსლებათ ჩემი ქალი.

თათუა. მზა ვარ, ბატონო, ყოვლის ჩემის საექიმოთი.

ივანე. სად გახლავთ?

თათუა. (შუბლზედ ხელს იდებს). აქა, ბატონო.

ივანე. ძალიან კარგი.

თათუა. ახლა რადგან მე ვმონაწილეობ ყველასა თქვენს სახლობაზე, უნდა რძე გაუშინჯო თქვენს ძიძასა და ძუძუები უნდა უნახო. (მართა უახლოვდება).

ლუკა. (გამოსწევს და პიარუტზედ შემოატრიალებს). იქით, იქით! ჩვენ ეგ არ გვინდა, შენ ეი!

თათუა. ექიმის ვალია უნდა გაუშინჯოს ძიძას ძუძუს თავები.

ლუკა. მე ვიცი, რაც ვალია; აქ მიყურებ შენა?!..

თათუა. ძალიან ბრიყვი ხარ, რომ ექიმის ნებას ეწინააღმდეგები, გეეთრე კარზედა!

ლუკა. მე შენი მიქარ მუქარისა არა ვიცირა.

თათუა. (დაუნწყებს გამტერებული ცქერას). ეხლავ ციებას გაგიჩენ!

ლუკა. ნუ, ნუ, ღმერთი გადღეგრძელებს.

თათუა. მაშ ეჭვიანი ნუ იქნები.

ივანე. აი ჩემი ქალი.

გამოსვლა 6.

ივანივე და მელანია.

მელანია შემოვა.

თათუა. ეს არის ავათმყოფი?

ივანე. დიახ, მაგ ქალის მეტი არა მყავრა და დიდი უბედურობა იქნება ჩემთვის, რომ ეგ მომიკვდეს.

თათუა. თავს კარგათ გაუფთხილდეს, როდი უნდა მოკვდეს ექიმის უდასტუროთ.

ივანე. აბა დაბრძანდით.

თათუა. (ზის ივანეს და მელანიას შუა). აი კაი ავათმყოფი, რომელიც სასიამოვნო სანახავი არის, და მე მგონია ერთი კარგი მარჯვე მცოდნე კაცი ლამაზათ გაასაღებდეს. (მელანია გაიცინებს).

ივანე. გააცინეთ აი, უფალო.

თათუა. აგრე სჯობია, როდესაც ექიმი ავათმყოფს გააცინებს, იცოდეთ კარგი ნიშანია. (მელანიას). აბა ახლა მიბძანეთ, რა გემიზეზებათ, სადა გრძნობთ უფრო ტკივილსა?

მელანია. (მიიტანს ხელს პირთან და ნიკაპ ქვეშ). ხან, ხო, ხი სოო, ხან ...

თათუა. რაო, რას ამბობთ?

მელანია. (ისევ ისე ხელით აჩვენებს). ხან, ხი, ხონ, ხან, ხი, ხონ.

თათუა. როგორ?

მელანია. ღა, ღი, ღონ.

თათუა. ღან, ღი, ღონ, ღან, ღა, არ მესმის სადაური ეშმაკური ენაა.

ივანე. უფალო, ეგ არის კიდეცა მაგისი სნეულობა, ეგრე დამუწჯდა, აქამდის ვერ გაგვიგია, რა იყო მიზეზი და ამ შემთხვევამ მოშალა მაგის გათხოვება.

თათუა. რათა?

ივანე. ვინც მაგას თხოულობს, ელის მაგის მორჩინას და მაშინ გადასწყვეტს საქმესა.

თათუა. ვინ არის მაგისთანა სულელი, რომელსაც არ უნდა, რომ იმისი ცოლი მუნჯი იყოს! აი ნეტავი ღმერთს ებძანებინა და ჩემი ცოლი მუნჯი ყოფილიყო, შენი თავი არ მომიკვდეს იმის მორჩინაზე მე არა მენაღვლარა.

ივანე. ახლა, უფალო, ჩვენ ამას გთხოვთ, რომ ჩვენი მოცადინეობა იხმაროთ და მაგას უშველოთ რამე.

თათუა. აა, მაგაზედ ნუ სწუხართ, ერთი ეს მიბძანეთ ეგ სნეულება ძალიან აწუხებს.

ივანე. დიახ, ბატონო.

თათუა. ეგ უკეთესი. ტკივილს ძალიანა გრძნობს?

ივანე. ძალიან.

თათუა. ეგეც კარგი, თქვენ რომ იცით იქ დადის?

ივანე. დიახ!

თათუა. მომეტებულათ?

ივანე. მე მაგეებისა არა ვიცირა.

თათუა. (მელანიას). აბა მაჯა მიბოძეთ. (ივანეს). აი მაჯა, რომელიც ამტკიცებს თქვენის ქალის მუნჯობას.

ივანე. დიალ, ჭეშმარიტია, ბატონო, ეგ არის მაგისი სენი, თქვენ მაშინვე მიხვდით.

თათუა. აა! აა!

მართა. ნახე როგორ გამოიცნო ავათმყოფობა.

თათუა. ჩვენ გამოჩინებული ექიმები იმავ თავითავე მივხვდებით სნეულებასა, გამოუცდელი კი აირეოდა და გეტყო-

დათ ეს ამისაგან და ამისაგან არის, თქვენი ქალი მუნჯიაო.

ივანე. დიახ, მაგრამ ერთი ეს მიბძანეთ, რა მიზეზისაგან არის?

თათუა. მაგაზე უადვილესი რა იქნება, იმისაგან გახლავს, რომ მეტყველება დაუკარგამს.

ივანე. ძალიან კარგია, მაგრამ რა მიზეზისაგან თუ არ გამინყრებით უნდა იყოს მაგის მეტყველობის დაკარგვა?

თათუა. ყოველი ჩვენი გამოჩენილი მთხუზელი გეტყვით, რომ ეგ არის მიზეზი ენის უმოქმედობისა.

ივანე. მაგრამ მაინც ჩემს ასულს რა მიზეზი უშლის ენის ხმარებასა....

თათუა. არისტოტელმა ბევრი რამ სთქვა!... მშვენიერი აზრები.

ივანე. მჯერა ძალიან.

თათუა. ოჰ, გამოჩინებული კაცი იყო.

ივანე. გამიგონია.

თათუა. დიდი, სრულებით უმაღლესი ვაჟკაცი იყო, რომელიც (იღებს მაღლა ნიდაყვამდინ მკლავსა) ესრე უმაღლესი ყოფილა ჩემზე. ჩვენი ლაპარაკის აზრი რომ არ დავკარგოთ, მე ვამტკიცებ, რომ ეგ უხმარებლობა მაგის ენისა არის მიზეზი რომლისამე ქეიფის გამო. ჩვენ ზოგი ერთი ნასწავლთ შორის ვეძახით მანყინარ ქეიფს, მანყინარი, ესე იგი.... ქეიფი მანყინარი, მეტადრე მოგროვილი მომეტებულის ქარების მოქმედებას, რომელნიც იშლებიან სნეულობის მხარეს მოსულის.... ასე ვსთქვათ, ხომ ლათინური გეყურებათ?

ივანე. ჩემს დროს ქართულსაც ძლივს გვასწავლიდნენ და აბა ლათინური საიდან მეცოდინება.

თათუა. (ადგება გაჯავრებულივით). სრულებით არ გესმის ლათინური?

ივანე. არა.

თათუა. (აღტაცებით). რადგან ბრიყვი ყოფილხარ, უმკაბრკცის არციტურამ ზასრეყულთამ მოგიხდება, სენდულა რიტენობინატიკო სევმუზა ბონუს სანკტეს ორატიო ლეთინასამე კუო კვარე.

ივანე. ახ! რატო არ ვისწავლე!

მართა. ჰ, ძალიან ნასწავლი სადმე არ ყოფილა ეგ დასაქცევი!

ლუკა. ცოდვა არ არის, რომ არ მეყურება.

თათუა. კიდევ ეს ქარები, რომელიც მოგახსენეთ, მაგ ქალს მოჰხვედრია მარცხნივ, საითაც ღვიძლია, მარჯვნივ გულსკენ და იმითი სჩანს, რომ ფილტვი, რომელსაც ჩვენ ლათინურად უწოდებთ „არმიან ბებერს ბედუმ“ აქვს შეერთება ტვინთან, რომელსაც ჩვენ ბერძნულათ: მაზმის ნასმეს ცრინტალია, ძირის ძარღვის გამო, რომელსაც უძახით ჩვენ ებრაულათ „ყუბილ ურიკლიკარ, ერთათ იყრებიან ხსენებულ ქარებთან, რომელი ჰბერამს კუჭს, ზურგის მძივსა და რადგან ხსენებული ქარები.... ხო კარგა გესმისთ ეს, ჩემო მონყალეო ბატონო? – ხოლო რადგან ხსენებულსა ქარებს აქვს ვიეთიმე წინააღმდეგობა.... ეს კარგათ გაიგონე, მე თქვენ გთხოვთ.

ივანე. დიახ.

თათუა. აქვს ვიეთიმე წინააღმდეგობა, რომელმაც დამართა... ბეჯითად უგდეთ ყური შენი თავის მიზეზს.

ივანე. ბეჯითათ გახლავარ.

თათუა. რომელიც გახდა მიზეზი ცუდის ქარებისაგან ქმნილებისა გამო ბრუდეთ დაბრუნებულისა ძარღვთა შინა, მოხდება რომ ეს ქარები, ოსამონდეულა ნეკვის ნეკერ პჟარინუმ კვიპსა მილუესი. აი სწორეთ ეს არის მიზეზი შენი ქალის დამუნჯებისა.

მართა. რა კარგათ ილაპარაკა ამ ჩვენმა ოსტატმა!

ლუკა. მეც აგრე მაინც მქონდეს მოქნილი ენა!

ივანე. ყველა კარგა ბრძანეთ, მაგრამ, ბატონო, ახლა რას ფიქრობთ, მაგ სენს რა მოუხდება?

თათუა. მე ეგ უნდა მეთქვა რა მოუხდებოდა.

ივანე. კარგი.

თათუა. ჩემი აზრია, რომ ეგ ქალი თავის ქვეშაგებში დაანვინოთ და მიაღებინოთ წამლათ კარგა ბლომათ ბოლლინო.

ივანე. ეგ რისთვის, ბატონო?

თათუა. მისთვის, რომ ღვინოსა და პურში ერთად არეულში არის მაღლი, რომელიც აძლევს მეტყველობას. მაშ თქვენ არ იცით, რომ თუთიყუშს სხვას არაფერს არას აჭმევენ და

იმითი სწავლობს ლაპარაკს.

ივანე. ეგ მართალია.

თათუა. სალამოზედ დავხედავ კიდე რა ცვლილება ექნება.

მელანია გავა.

გამოსვლა 6.

ივანე, თათუა და მართა.

თათუა. (მართას) ჭკვიანათ იყავით. (ივანეს). ამ ძიძასაც ეჭირება ცოტა რამე წამალი მივცე.

მართა. ვინა? მე? ასრე კარგათა ვარ, თავის დღეშიაც ავათ არა ვყოფილვარ.

თათუა. ეგ უარესი, ძიძავ, ეს უარესი! არ იცი, რომ მომეტებული სიმრთელე საშიშია და ცუდი არ იქნება ცოტაოდენი დასამშვიდებელი სისხლი გამოგიშოთ და გასაგრილებელი წამალი გაგიკეთოთ.

ივანე. ბატონო, რა მოდაა ეგ, რომელიც მე არ მესმის, რა საჭიროა სისხლის გამოშვება, როდესაც არა ემიზეზება რა.

თათუა. ეგ არაფერი, ეს მოდა სასარგებლოა და აი როგორაც სმენ, რომ წყურვილი არ მოუვიდეს, ეგრეთვე სისხლი უნდა გამოუშვას მომავალის ავადმყოფობის დროს.

მართა. (გადის და ანბობს) ჩემი თავი არ მოკვდეს მე ეგენი არ ჩავიდინო!!

თათუა. წამალის მიღების ჯიუტი ყოფილხარ, მაგრამ ვიხმარებთ იმისთანა ღონის ძიებას, რომ ჭკუაზე დასდგე, მართა. (გავა და ლუკა თან გაჰყვება.)

გამოსვლა 8.

ივანე და თათუა.

თათუა. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

ივანე. ცოტა მომითმინეთ, თუ თქვენი ნებაც იქნება.

თათუა. რა გნებავთ?

ივანე. მინდა ფულები მოგართვათ, ბატონო.

თათუა. ნუ სწუხდებით. არ ავიღებ, ბატონო.

ივანე. რას ბრძანებ?

თათუა. არა მეთქი.

ივანე. ერთი ნუთი.

თათუა. არა და არა.

ივანე. გთხოვ უმორჩილესად.

თათუა. დამცინით?

ივანე. აი მორჩი.

თათუა. მე აღარას ვიმოქმედებ.

ივანე. ეხ!

თათუა. მე ფულისათვის არ ვმუშაობ.

ივანე. მჯერა.

თათუა. (შემდგომ ფულს გამოართმევს). ეს სამძიმო არ

არის!

ივანე. დიახ, ბატონო.

თათუა. მე ხომ ჩარჩი ექიმი არა ვარ.

ივანე. კარგათ ვიცი.

თათუა. ჩემში სარგებლობა არ უფლებს.

ივანე. მაგას არაოდეს ვერ ვიფიქრებ. (გავა ივანე).

თათუა. ჩემა მზემ ეს ცუდი არ არის, თუმცა რომ ...

გამოსვლა 9.

ლევან და თათუა.

ლევან. უფალო, დიდხანია, რაც მე თქვენ გეძებთ; გთხოვთ ვედრებით თქვენს შემწეობას.

თათუა. (მაჯას უშინჯავს). ოხ! რა ცუდი მაჯაა!

ლევან. მე ავათ არ გახლავარ, ბატონო, და მაგისტვის არ გაიხელ თქვენთან.

თათუა. თუ ავით არა ხარ, მა რა ეშმაკებს მეუბნები?

ლევან. ორის სიტყვით შეგატყობინებ საქმეს: მე მქვიან ლევან, რომელსაც მიყვარს მელანია, ეხლა თქვენ რომ ნახეთ, და რადგან მამა მისი ვერ არის კარგათ ჩემთან და ჩემი სიყვარული აუკრძალა თავის ქალსა, მე გავბედე და გთხოვ შემწეობა მომცეთ ჩემს სიყვარულში, ეგება როგორმე მომცეთ იმისთანა ხერხიანი შემთხვევა, რომ ორი სიტყვა უთხრათ იმ ქალსა, რომელზედაც არის დამოკიდებული ჩემი ბედნიერება და სიცოცხლე.

თათუა. მე თქვენ ვინა გგონივართ, როგორ ჰბედავ და მეუბნებით მოგეხმაროთ სიყვარულში და გინდათ დამდაბლება ექიმის ღირსებისა.

ლევან. უფალო, ნუ კი ყვირით.

თათუა. ჩემი ქეიფია, ასე მინდა ვიყვირო; ბრიყვი ყოფილხარ.

ლევან. ეს! ბატონო, ცოტა წყნარა.

თათუა. ცუდად ზდილი.

ლევან. გთხოვთ უმორჩილესად!

თათუა. მე შენ გაჩვენებ, რომ მაგ საქმის კაცი არა ვარ და ეგ მომეიტებული თავ გასვლაა.

ლევან. (ქისის ამოღების დროს). ბატონო!..

თათუა. ჩემი შემწეობა! (ქისას გამოართმევს.) თქვენ არ მოგახსენებთ ამიტომ, რომ პატიოსანი კაცი ბრძანდებით, მიამება გემსახუროთ, მაგრამ ბევრი ბრიყვი კაცი ქვეყანაზედ, რომელნიც ფიქრობენ ზოგიერთზე, რომ იმისთანა სული იყოს და სწორე უნდა მოგახსენოთ ეს ისე ძალიან მანჩხლებს.

ლევან. გთხოვ, რომ მომიტევოთ, ბატონო, ამ ნაირი გაბედა და...

თათუა. რაზეა საქმე დამოკიდებული?

ლევან. ეხლავ შეიტყობ, ბატონო, ის ავითმყოფობა, რომელიც თქვენ გინდათ მოარჩინოთ, არის მოგონილი. ექიმებმა უცხოთ განსაჯეს მაგ სნეულზე და არა თქვენზე. ზოგმა ტვინი დასდო მიზეზათ, ზოგმა შინაგანი შენობა, სიგიჟე, ზოგმა ღვიძლი, მაგრამ სწორე მიზეზი სიყვარულია, და ეგ ავითმყოფობა მელანიამ მოიგონა იმიტომ, რომ ეგება ამითი მოე-

შორებიანა საქრმო, რომელიც არ უყვარს. რომ არავინ მიცნოს აქ ამისთვის ეს ტანისამოსი ჩავიცვი და თუ მნახონ უთხარით, რომ თქვენი აფთიეკარი ვარ. მგონია, რომ ვერ მიცნოს.

თათუა. არა მგონია.

ლევან. ახლა ჩემი სურვილი ეს არის: ერთი ოთხიოდ, ხუთის წამლების სახელი მასწავლე რამე და მით ვაჩვენო გამოცდილება და ჩემი სწავლა.

თათუა. იმტენი მე ვიცი წამლების სახელები, რაც შენა.

ლევან. როგორ?

თათუა. ეშმაკმა რა მიყოს, თუ მე ექიმობისა გამეგებოდეს რამე, შენ რადგან პატიოსანი კაცი ხარ, უნდა გაგიტყდე და გითხრა, როგორათაც შენ გამიტყდი და მითხარ.

ლევან. რას ამბობ! მართლა არა ხარ?...

თათუა. არა მეთქი, გეუბნები, ჩემი ჭკუის დაუკითხავათ ძალათ გამაექიმეს. ჩემ დღეში ამ ნაირ ჭკუის საქმეში არსად გავრეულვარ და ჩემი ცოდნა ექვსის დათვლის იქით არ ასულა და არ ვიცი საიდან რა ჰაზრი მოუვიდათ, რა ნახეს, რომ ძალის ძალათ უნდოდათ ექიმი გამხდარვიყავ. მეც რა მეტი ღონე მქონდა, ვიკისრე ეს ხელობა, მანამ სწორე პატრონი გამოჩნდება; არ დაიჯერებ შეცდომილობით, რა ხმა გაისმა და ყოველნი ასე ეშმაკისაგან შეკრულნი არიან, რომ ნასწავლ კაცათ მაგდებენ, ყოველი მხრიდამ მოდიან ჩემთან, თუ სულ საქმე ასე იქნება, სწორე გითხრა მანამ ცოცხალი ვარ ექიმობაზე ხელს აღარ ავიღებ, ამისთანა ხელობა არცერთი არ არის, ამისთვის რომ ავათმყოფი თუნდა მაარჩინო, თუნდა არ მაარჩინო, ფული ყოველთვის გეძლევა. ხარაზი ბაშმაკის კერვაში არ შაუძლიან, რომ ერთი ბენო სამუგვე ნახდინოს, მაშინვე ჯარიმა წაერთმევა, ამ ხელობაში კი შეიძლება როგორც გინდა კაცი ნახდინო, გროშს არ გაიღებ, ჩვენ აქიმებში ფუციკი არ ვიცით და ყოველთვის დამნაშავე ვინც მოკვდება ის არის; ამასთანავე საქები ხელობა იმიტომ არის, რომ ჩვენგან დახოცილს მკვდრებთა შორის საკვირველი პატიოსნება, დიდი მოკრძალება და სიჩუმეა, რაცკი ქვეყანაზედ შეიძლება, და თავის დღეში ვერავინ ნახამს მოჩივარს ექიმზე, რომელმაც მოკლა.

ლევან. მართლა მკვდრები ძალიან პატიოსანნი არიან

მაგ საგანზე. (ლევან გავა.)

გამოსვლა 11.

იგინივე და მართა.

თათუა. აი მშვენიერი ძიძა. ახ, ჩემო გულის ძიძავ, შენ შეხვედრას დიდათ მოხარული ვარ, შენი ნახვა არის უმაღლეს ტყვეთ შენის ძიძობისა.

მართა. ჩემმა სიყმემა, ბატონო ექიმო, ძალიან რამეები მითხარ, ეს არის, რომ ვერა გაგიგონე რა.

თათუა. ერთი ავით გახდი, ძიძავ, მე გთხოვ გახდე ავით ჩემის სიყვარულისათვის, ნახე რა სიამოვნებით და სიხარულით მოგარჩინო.

მართა. მე მოსარჩენი არა მიჭირსრა.

თათუა. მებრალეები, ლამაზო ძიძავ, მაგისტანა ეჭვიანი და ანჩხლი ქმარი გყოლია.

მართა. რა უყოთ, ბატონო? ჩემი ცოდვის კითხვაა.

თათუა. რას ამბობ? მაგისტანა გაუთლელი, როგორც ეგა, რომელიც თვალს არ გაშორებს და არ უნდა, რომ არავინ ხმა არ გაგცეს.

მართა. იმის სიანჩხლისაგან ეგ კიდეც ცოტაა.

თათუა. იქნება მართლა? აბა მაგაზე მეტი რალა ავსული უნდა იყოს, რომ შენისთანა ადამიანს ცუდათ ეპყრობოდეს. ახ, მე ვიცი ერთი ადამიანი, ჩემო ლამაზო ძიძავ, რომელიც ეხლა შენზედ შორს არ არის, რომლისათვისაც ბედნიერება იქნებოდა შენი ქოშის წვერების კოცნა, ნახე უბედურება მაგისტანა მშვენიერი ქალი იმისთანას ხელში ჩავარდნილიხარ, რომელიც სწორეთ მხეცია, ბრიყვი, კერპი, სულელი, უკაცრავათ ძიძავ, რომ შენ ქმარზე ამეებს ვლაპარაკობ.

მართა. ეს ვიცი კარგა, რომ ის ყოველს მაგ სახელების ღირსია.

თათუა. დიახ უეჭველათ, ძიძავ, ღირსია, და მგონია ამასთან კიდეც ღირსი იყოს, რომ ორიოდ ლაყი კვერცხი დაამტ-

ვრიო თავზე, ამისთვის რომ ისეთი ეჭვიანი რათ არის ისა.....

მართა. თუ სარჩო არა ჰქონდეს, მაშინ ნახავდი კვერცხების მტვრევასა.

თათუა. ჩემმა მზემ ცუდათ არ იქ, ერთი გამოარჩიო ვინმე კვერცხები მიშოვნოს, ქმრის ჯავრის ამოსაყრელათ, რომ რასაც გეუბნები შენი ქმარი იმისთანა კაცია, რომ ღირსია... და თუ მე ისეთი ბედნიერი ვიქნებოდი, მშვენიერო ძიძავ, რომ მე გამომარჩიოთ იმ... (ამ დროს როცა თათუა გაშლის ხელებს, რომ უნდა აკოცოს მართას, ლუკა შემოვა და ხელ ქვეშ გამოაძვრენს თავს და იმათ შუა დადგება; თათუა და მართა შეხედვენ ლუკას და გავლენ სხვა და სხვა მხარეზე).

გამოსვლა 12.

ლუკა და ივანე.

ივანე. შენ ეი, ლუკავ, აქ ხომ არსად დაგინახამს ჩვენი ექიმი?

ლუკა. ჰო, დიახ, აი ოჯახიც დეექცეს, დავინახე ისიც და ჩემი ცოლიც.

ივანე. ეხლა სად უნდა იყოს?

ლუკა. რა ვიცი, ეშმაკსა და ქაჯეებში.

ივანე. აბა ერთი ჩემი ქალი ნახე, რასა იქს? (ლუკა გავა.)

გამოსვლა 13.

იგინივე, თათუა და ლევან.

(თათუა და ლევან შემოვლენ).

ივანე. აა, უფალო, ეხლა გკითხულობდი თქვენა, სადა ბძანდება მეთქი.

თათუა. მე გავერთვი თქვენს ეზოში. რასა იქს ავათმე-

ოფი?

ივანე. ცოტა უფრო ავით არის თქვენი წამალის შემდეგ.

თათუა. უფრო კარგი... ეგ იმის ნიშანია, რომ მოქმედებს წამალი.

ივანე. დიახ, მაგრამ იმ მოქმედებაში მეშინიან არ დაიხრჩოს.

თათუა. მაგაზედ ნუ შესწუხდები, ასეთი წამლები მაქვს, ჩალათ არ ჩააგდებენ, რაც უნდა სწეულება იყოს, მე მხოლოდ ველი სულის ბრძოლას.

ივანე. (ღევანს დაანახვებს). ვინ არის ეგ რომ მოგყავთ?

თათუა. (ხელით ანიშნებს, რომ ეს აფთიეკარია). ის არის.

ივანე. რახ...

თათუა. ის...

ივანე. ხო, ჰო...

თათუა. რომელიც...

ივანე. მესმის.

თათუა. საჭირო იქნება თქვენის ქალისათვის.

გამოსვლა 14.

იგინივე, მელანია და მართა.

(მელანია და მართა შემოვლენ).

მართა. ბატონო, აი თქვენ ქალს ცოტა გავლა ჰსურს.

თათუა. მაგისათვის სასარგებლოა, მოდი, უფალო აფთიეკარო, მაჯა უნახე, რომ ბოლოს იმის ავანტყოფობაზე მოვილაპარაკოთ. – მოწყალეო ხელმწიფეო! ეს დიდი და ჭკვიანური კითხვაა ექიმებთ შორის საცოდნელათ; ქალები უფრო ადვილი მოსარჩენნი არიან, თუ კაცნი? მე გთხოვ ამას კარგა ყური უგდო, ზოგნი ამბობენ დიახო, ზოგნი არაო, ხოლო მე ვამბობ დიახსაც და არასაც, მეტადრე ცუდი მოგზაურობაა არეულთა ქარებთა, რომელნიცა იყრებიან ბუნებითსა სხეულსა ქალთასა, მიზეზისა გამო, რომელ პირუტყვი ნაწილი ყოველთვის მძღავ-

რობს და უფლებს გრძნობასა ზედა, აქედან სჩანს, რომელ უთანხმოება მათისა აზრისა არის დამოკიდებული ბრუდეს მოძრაობას მთვარის სიმრგვლისასა, და როგორათაც მზე, რომელიც სხივსა თვისსა მოჰყენს ღრანტეთა შინა ქვეყანისასა მოხდება...

მელანია. (ლევანს). არაოდეს მე მაგ ხასიათისა არა ვარ, რათ გამოვიცვალო ჩემი გრძნობა.

ივანე. აგერა ჩემი ქალი ლაპარაკობს! ოჰ! კეთილ მოქმედო ნამალო! ოჰ! სადიდებელო ექიმო, რა რიგათ გმადლობთ, უფალო, ასრე სასწაულით მორჩენისათვის, შემოდლიან ღამე სამსახური გაგინიოთ?

თათუა. (დასეირნობს თეატრში, თავის ქუდს მარაოსავით ხმარობს). საკვირველი ავანტყოფობა იყო! დიდი შრომაც გავწიე.

მელანია. დიახ, მამავ, მეტყველობა მომეცა, მაგრამ იმისთვის მომეცა, თქვენ გითხრათ: ჩემს დღეში ლევანის მეტი მე ქმარი არავინ მინდა და ტყუილათ ნუ ეცდებით მიმცეთ იმ ბებერს კაცსა.

ივანე. მაგრამ.....

მელანია. ამა აზრის გამოცვლა არავის შეუძლიან.

ივანე. როგორ!....

მელანია. ტყუილათ თქვენის ლაპარაკით ნუ ეცდებით.

ივანე. თუ.....

მელანია. მოგახსენებთ ტყუილათ ნულარას მიბძანებთ.

ივანე. მე.....

მელანია. ეს გადაწყვეტილი საქმეა.

ივანე. მაგრამ.....

მელანია. ახლა ის დრო აღარ არის, რომ მამამ ქალი თავის ნებაზე გაათხოვოს.

ივანე. მე.....

მელანია. ტყუილათ ნუ ეცდებით....

ივანე. ჰა...

მელანია. უდაბნოში მოლოზნათ წავალ, მინამ მისთანა კაცი შევირთო, რომელიც მე არ მიყვარს.

ივანე. მაინც....

მელანია. (აჩქარებით). არა, არას გზით ამაზედ მეტი არ შემიძლიან, გადანყვეტილს ვამბობ.

ივანე. ახ, რა აჩქარებული ლაპარაკია, ღონისძიება აღარ არის წინააღმდეგობა გაუწიო. (თათუას). უფალო, გთხოვ ისევ დაამუნჯო.

თათუა. ეგ მე აღარ შემიძლიან, თუ რამ შემიძლიან სამსახური გაგინიოთ, დავაყრუებ თუ მიბძანებთ.

ივანე. მაღლობელი გახლავართ. (მელანიას). კარგა იფიქრე....

მელანია. არა, თქვენი დარიგება და განსაჯვა ველარას იმოქმედებენ ჩემს სულზე.

ივანე. ამაღამვე დაგწერ ჯვარს იმ ბებერს კაცზე....

მელანია. სიკვდილზე უფრო ადრე დავინერ ჯვარსა.

თათუა. (ივანეს). ღმერთო ჩემო! თქვენ დადექით, ერთი დამაცალეთ მაგ საქმესაც უწამლო, მაგ სნეულობას მე ვიცი, რაც წამალი უნდა.

ივანე. მართლა, ბატონო? შეგიძლიანთ გაჰკურნოთ ეგრეთვე მაგისტანა ჭკუის სენი?

თათუა. დიახ, თქვენ დამაცალეთ, მე ყველას წამალი მაქვს, ჩემი აფთიეკარი მოგვეხმარება თავისის ცოდნით და გაჰკურნავს. (ლევანს). გაიგონე, ხომ ხედავ რა სიყვარული აქვს მაგ ქალს ლევანისა სრულებით წინააღმდეგი მამის ნებისა. დროს დაკარგვა აღარ უნდა, ქარები ძალიან მოჰგროვებია და საჭიროა საჩქაროთ წამლის პოვნა, რომ გამოვიყვანოთ, რომელიცა გაძნელდება დაგვიანებითა, მე ვგონებ და ერთი წამალი მომიგონია ერთი მიღება გასაქცეველი წამალი, რომელსაც შენ შეადგენ როგორც რიგია ორის დანგით შეუღლებული აბებითურთ; იქნება როგორმე იზიზღოს ამ წამლის მიღება; მაგრამ რადგან შენ გამოცდილი კაცი ხარ შენ ხელობაში, შენზედ ჰკიდია დააჯერებინო და ჩააყლაპო; საგანი ესე, როგორც შენგან შეიძლებოდა, რიგიანათ აღასრულე; ნადი კარზე, ცოტა ბოლთა გაანევინე ბაღში, რომ მით დაამშვიდო გრძნობა მისი, მანამ მე აქ მამას ველაპარაკები, მაინც კიდევ ეცადე დრო არ დაჰკარგო. აბა წამალი ჩქარა! წამალი განსაკუთრებით!

ლევან გადის და მელანიაც თან გაჰყავს.

გამოსვლა 15.

ივანე და თათუა.

ივანე. რა წამლებია, ბატონო, რომელიც ესლა თქვენ დაასახელებთ, მე მგონია ჩემ დღეში მე ეგ სახელები არ გამიგონია.

თათუა. ეს წამლები გახლავთ, რომელნიც იხმარებიან ფრიად დიდი საჭიროებისათვის.

ივანე. გინახამთ სადმე აგრე გაჯიუტებული, როგორც ჩემი ქალი.

თათუა. ქალებმა ხანდისხან იციან მაგისტანა ჭირვეულობა.

ივანე. თქვენ არ დაიჯერებთ, რა რიგათ არის ჩემი ქალი გაგიჟებული ლევანისათვის.

თათუა. მომეტებული სისხლის სიცხე მოახდენს მაგ ნაირს საქმეს ყმანვილთ თავში.

ივანე. სწორე მოგახსენო, რაკი შევიტყე მაგისტანა სიყვარული, ჩემი ქალი დაკეტილს ოთახში დავსვი და აღარსად უშვებ.

თათუა. ძალიან ჭკუა გიხმარიათ.

ივანე. მოვწყვიტე იმათი ერთი ერთმანერთის ნახვა და ამბის შეტყობა.

თათუა. ძალიან კარგა გიქნიათ.

ივანე. ერთ სიგიჟეს მოახდენდნენ რასმე, თუ ნება მიმეცა ერთმანეთის ნახვისა.

თათუა. უეჭველათ.

ივანე. ასეთი ქალია, იქნება კიდევ გაჰყოლიყო სადმე.

თათუა. ჭკვიანურათა ჰსჯით.

ივანე. ესე მითხრეს, მითომ ძალიან ცდილობდა ჩემი ქალის ლაპარაკს.

თათუა. ხედამ საძაგელსა!

ივანე. მგონია ტყუილათ დროს დაჰკარგამს.

თათუა. იმას ჰგონია ერთ სულელთან ვისთანმე ჰქონდეს საქმე.

გამოსვლა 16.

ლუკა, ივანე და თათუა.

ლუკა. (შემოვა). ახ! ოჯახის დაღუპვა, ბატონო! ერთი შეიტყუეთ რა ამბავია; თქვენმა ქალმა და ლევანმა გაკურცხლეს, აფთიეკრათ ის იყო; აი ამ უფალმა ექიმმა მოახდინა მაგისტანა კაი საქმე, ბატონო.

ივანე. როგორ თუ მაგნირათ მომკალით! – ეს არსად გაუშოთ, დაიცა, მუხანათო, მიყურე როგორ დაგსაჯო სამართლით. (გავა).

ლუკა. თავი არ მომიკვდება, ექიმო, თოკზედ ჩამოგაღძობენ, არ დაიძრა მანდედანა.

გამოსვლა 17.

თათუა, ლუკა და ნანო.

ნანო. (შემოვა და ლუკას). ოხ! ღმერთო ჩემო, ძლივს არ ვიპოვნე ეს ხალხი! ერთი მითხარით იმ ექიმის ამბავი, მე რომ გასწავლეთ.

ლუკა. აი ეს არის დააღრჩობენ.

ნანო. როგორ? ჩემ ქმარს დაარჩობენ? ვაი ჩემ თავს! მაგისტანა რა დააშავა!?

ლუკა. ჩვენი ბატონის ქალი მათაცვებინა.

ნანუა. ახ! უბედურება! საყვარელო ქმარო მართლა დახრჩობას გიპირობენ?

თათუა. ჰო! ხედამ ემანდა?

ნანუა. ამტენ ხალხში რათა ნებდები მოსაკლავათ?

თათუა. მითომ რა უნდა ვქნა?

ნანუა. თუ კიდევაც არის დანარჩენი ვაქსის კოლოფები და გაიყიდა, კარგი ნუგეში დაგრჩება.

თათუა. გამეცალე აქედგან, გულს ნუ მიხეთქ.

ნანუა. აქ მინდა ვიყო, რომ გაგამაგრო სიკვდილის წინ, მინამ თავს არ დაგანებებ, მინამ ჩამამხრვალს არა გნახამ.

თათუა. ხე აპვი!

გამოსვლა 18.

იგინივე და ივანე.

ივანე. (შემოვა და თათუას). პრისტავი საცაა მოვა, ეხლა იმისთანა ალაგას ჩაგსმენ, თუ ნახველ სადმე პასუხს გამცემენ.

თათუა. (დაჩოქილი). ახ! მე უბედური! არ შეიძლება რამთენსამე ჯოხის დაკვრაზედ შესცვალოთ ევა.

ივანე. აბა, ბა, ბა, მაგას სამართალი გადასწყვეტს, მაგრამ რას ვხეღამ მე!

გამოსვლა 19.

იგინივე, ლევან და მელანია.

ლევან. უფალო, მე გიახლებით თქვენ გაგიცხადოთ მე ვარ ლევან, თქვენს ბრძანებას ქვეშევე მომყავს ქალი თქვენი მელანია, განძრახვა გეკონდა ორნივე უნდა გავქცეულიყავით და შემდეგ ჯვარი უნდა დაგვენერა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ უფრო პატიოსნათ მოიყვანა საქმე, აღარა მაქვს განძრახვა თქვენი ქალის მოტაცებისა, ხოლო მსურს თქვენის ხელით მივიღო, ესე ამას მოგახსენებთ მხოლოდ, ბატონო, რომელ ეს არის მივიღე წიგნი, რომლითაც მატყობინებენ ბიძიჩემის სიკვდილს და ეხლა მე ვარ მემკვიდრე ყოველს იმის მამულზედ.

ივანე. უფალო, თქვენი სიკეთე ჩემთვის მომეტებუღია

და მე გაძლევ ჩემს ქალს დიდის ჩემის სურვილითა.

თათუა. ბარაქალა, ექიმო, გასჭრა ჩემმა ექიმობამ.

ნანო. ჩემი მადრიელი უნდა იყო, რომ მაგისტანა ხელობა მე გაშოვნინე.

თათუა. დიას შენ მიშოვნე, ვინ დასთვლის ამისთვის რამტელი კაი ჯოხები მამარტყეს.

ლევან. მოქმედება კარგი იყო და გთხოვთ ნულარ დაინ-ასსომებთ.

თათუა. აგრე იყოს. (ნანუას). მიპატიებია შენთვის ის ჯოხები, რადგანაც შენ ამისთანა საქები ხელობა მიშოვნე, მაგრამ კვლავ გაფთხილდი, რომ აღარ გამაჯავრო.

დასასრული მეორის მოქმედებისა.

გიორგი ოზბელიანი
(დაბად. 1818 წ.)

სიყვარულის სასმელი

კოლეკილი
ერთს მოჰმელობით.
აზრი რუსულიდან
თაკადი
გიორგი ოზბელიანისა.

1870 წელსა. თფილისში. —

მომქმედნი პირნი.

ქეთევან ტვინთხელაძის ასული -----	45 წლისა
ლიზა შალვარაძის ასული დისწული ქეთევანისა --	20 წლისა
თავადი დავით ტყუპქალამანიძე -----	25 წლისა
თავადი გორჯასპირ მჭამელაძე -----	50 ----
ვახტანგ წინდაძე მეგობარი დავითისა -----	30 ----
მაქრიტა გამსდელი ქეთევანისა -----	70 ----
ივანე ბიჭი ქეთევანისა -----	45 ----

სცენა წარმოადგენს მდიდრათ მორთულს ოთახს, მარჯვნივ, მარცხნივ და შუაზედ კარებს, შუა კარების გვერდით არის ფანჯარა, რომლიდანაცა სჩანს სახლები. კუთხეში დგას სერვიზის შკაფი, ავან სცენასთან დგას ერთს მხარეს გძელი კუშეტკა, და მეორეს მხრივ ორი კრესლა და სტოლი, კედლებთან დგას რავდენიმე სკამები.

მოქმედობა წარმოებს
თფილისში 1870 წელსა. –

მოქმედობა პირველი.

გამოსვლა

|

გორჯასპირ¹

(ზის დაფიქრებული კუშეტკაზედ.) ღმერთი გაუწყრა ჩემს ცოდვას. არ იქნა ვერ დავითანხმე ქეთევან, ჩემს შერთვაზედ. მოგეცეთ სიცოცხლე რიგიანათ მომეყვანა ჩემი საქმე. ხუთი ათასი თუმანი აქვს თურმე ნაღდი ფული, ახლა მამულები, ახლა ნივთეულობა, ახლა ვენახები, სახლი ორ ორი, ახლა ჩემი მიემატებოდა იმისას. ჰი, და ვეჟო! მაშინ ვინლა მემჯობინებოდა მე?... თქვენმა მზემ არავინ. ისე მოვიდოდა და გარიგდებოდა ჩემი საქმე, როგორც ჯარა.... მაგრამ რასა იქ, მოვალეები მახრჩობენ, მამულის გასყიდვას მიპირებენ. პრიკაზიდან აღარ იძლევიან ფულებს... ჩვენს ბანკის საქმესაც აღარ მოელო ბოლო, ხან რას წარმოსთქვამენ და ხან რას. ძალათ მგლოვიარენი ჩვენი წვერიანი ყმანვილ-კაცობა... ეხლა დაიწყეს ყაყანი და ამბობენ: დაიცა რას ამბობენ?... ღმერთო შენ მომაგონე... ჰო! დოღღოპროჩნიო და მეორეც ამ გვარი სიტყვაა; ისიც პროჩნია დიახ პროჩნია.. ნამდვილათ კი არ ვიცი. ნეტავი ქართულათ მაინც ილაპარაკონ კაცმა გაიგოს და სთქვას რამე; თუარემ არა გვეყურებარა, არა გვესმისრა, და როგორც უნდათ ისე არიგებენ საქმეს. ნეტავი გა[ა]რიგონ მაინც არის, თუარემ იმასაც ვერ არიგებენ და ერთი მიბძანეთ თქვენი ჭირიმი, რა ასწავლეს ამოდენა ხანი ჩვენ სულის ფულებს, რომელიც დაგვიჭირეს ჩვენ ბანკის შესადგენათ; როდესაც იგი ჩვენს ხელში რომ ყოფილიყო, ან ვალეებში მივცემდით, ან მუშას და ან რაზედმე მოვიხმარებდით. ჩვენს ბანკის საქმეს ბოლო რომ მოღებოდა, მაშინაც შემეძლო მომეგვარებინა როგორმე ჩემი საქმე... შევიტანდი მამულებს, გამოვიტანდი ფულს და დაურიგებდი მოვალეებს და მით გავაჩუმებდი. მართლადაც მამულები რომ გამეყიდოს ვეჟო! მაშინ ხომ ყელები გამოგვეჭრა მეც და ჩემს შვილებსაც... არა, როგორმე უნდა დავათანხმო² ქეთევან ჩემს

შერთვაზედ. აგერ თითქმის წელიწადი სრულდება რაც ერთ-სა და იგივეს მეუბნება: პატარას ხანს მოიცადეო. როდემდინ უნდა მოვიცადო ვეჟო! მეკი ჩემი დამემართება და შემდეგ რალა ოხრობაში მინდა, ვნახოთ დღეს რალას მეტყვის. (დაჯდება და დაფიქრდება) ოჰ! ეს რა კარგი ფიქრი მომივიდა, ამ გზით უეჭველად აღვასრულებ ჩემს ნადილს... სადაც იქნება ვიშოვნი სიყვარულის წამალს, დავალევინებ, შემიყვარებს და დათანხმდება ჯვარის წერაზედ... აბა, მოგეცეთ სიცოცხლე მაშინ გორჯასპირ მჭამელაძეს ალარავინ არა სჯობდეს! რაკი იმის ფულები ხელში ჩამივარდება... დეე მაშინ მენვიოს მთელი უეზდი. წამ[ო]აქციე ბიჭო ძროხა, მოართვი თეთრათ გაცქვლე-ფილი გოჭი, ცივი ინდოური, შიშხინ-შიშხიანი ცვრიანი სუკის მწვადები, მოხადე ქვევრები კარგი და კარგი წითელი ღვინით სავსეები... უჰხ! აი დასწყევლოს ღმერთმა, საღერღნელი ამეშალა. (ანკლატუნებს პირს და აფურთხებს) უჰხ! რა ნაირათ მომშივდა?... ფუ, ფუ! დალახვროს ღმერთმა... არა რაც უნდა დამიჯდეს, უეჭველად უნდა ვიშოვნო, სადაც უნდა იყოს სიყვარულის წამალი.

გამოსვლა

||

იგივე და ივანე. –

გორჯასპირ.

ივანე აქა ხარ?

ივანე.

აქ გახლავარ, რას მიბძანებთ?

გორჯასპირ.

ერთი რამ მინდა გითხრა და იმედი მაქვს არ გამცემ...
შენ შვილოსა რუსეთში ნამყოფი ხარ, ქვეყნები გინახამს, გა-
მოცდილიც იქნები, ხალხსაც იცნობ, ამას რაღა თქმა უნდა და
შენ არ დაგემალება, იშოვნი კიდევ.

ივანე.

მიბძანეთ ბატონო და თუ შემეძლება, დიდის სიამ-
ოვნებით ავასრულებ თქვენს ბძანებას.³

გორჯასპირ.

შენ შვილოსა, იცი რა გითხრა?.. არა, ვერ გეტყვი, გამ-
ცემ.

ივანე.

მცადეთ ბატონო, და დაგარწმუნებთ რომ მეც ვიცი
საიდუმლოს შენახვა. –

გორჯასპირ.

აი, შვილო რა გითხრა! შენ გამოცდილი კაცი ხარ, ნამყოფი
ბევრს ალაგს, ხალხსაც იცნობ შენ შვილოსა, უნდა მიშოვ-
ნო... სიყვარულის წამალი... (გადგება განზედ) ჰა! რას იტყვი?

ივანე.

(პუბლიკისკენ) ღმერთმა ყური გამიჩინა... არა ბატონო,
თუმცა შემოძლიან შოვნა და ვიცი კიდევ ვინც აკეთებს, მაგრამ
ძნელია.

გორჯასპირ.

რა შვილოსა, რა ძნელი უნდა იყოს? თუ ეშმაკებისა

გეშინიან, როგორც ამოხეი უიმათოთ არ შეიძლებაო, ნამიყ-
ვანე და მე ვიცი, თუნდ მთელი ჯოჯოხეთი ტარტაროზით მო-
მეხვიოს ვერას დამაკლებენ. ვაი არა აქვს შენს გორჯასპირს,
ერთი შემოკვრით ძროხას თავს ვაგდებინებ... და თუ ფულზედ
მივარდა საქმე, იმაზედაც ნუ დამზოგამთ.

ივანე.

არა ბატონო ღონის საქმე არ გახლავთ. ბევრი ჯაფა
აქვს, ერთი დედაკაცი აკეთებს და ნაცადიც გახლავს, დალევთ
თუ არა, მაშინვე რალაც სიტკბ[ო]ებას იგრძნოფთ, და ვისთვი-
საც გინდათ იმასაც უნდა დაალევინოთ და მაშინ ნახამთ იმის
ძალას რა საჩქაროთ შეგიყვაროთ.

გორჯასპირ.

(სიხარულით) არა, მამა გიცხონდება, მაგას მართალს
მეუბნები?! მართლა იმისთან[ა] ძალა აქვს, როგორც ანბობ?
რა ელირება?

ივანე

ის დედაკაცი რომელიც აკეთებს ხოლმე, ყველას ხუთს
თუმანს ართმევს.

გორჯასპირ.

უჰხ! ხუთი თუმანი?!.. გაგიჟდი თუ?! რასამობ კაცო?!
ხუთს თუმნათ ხომ ისეც შემიყვარებს. –

ივანე

თქვენი ნებაა.. ნაკლებ არ აკეთებს (დააპირებს წასვლას.)

გორჯასპირ

მოიცადე ვეჟო, რას გარბიხარ? აქმოდი ახლოს, არა შვილო, ეგრე ბევრს ნუ ითხოვ, ხომ იცი კარგა ხანია ქალაქში ვარ. აჰა! ეს სამი თუმანი და თუ გასჭრის, მაშინ ჩემს კაცობაზედ მოაგდე. ერთი სიტყვით გაგაკეთებ, კაცსა. ნადი ნულარ იგვიანებ... ჩქარა იქნება მზათ?

ივანე.

სალამოზედ მოგართმევთ, მაგრამ სალამომდის არა მიირთოთრა, თორემ ძალა აღარ ექნება.

გორჯასპირ.

ოჰხ! რას ამოხ კაცო! სალ[ა]მომდის, ხომ მოკვდი შიმშილით! –

ივანე

სულ ოთხი საათი აღარ დარჩენილა სალამომდის; მოითმინეთ როგორმე. (გავა.)

გორჯასპირ.

რა გაენყოფა უნდა მოვითმინო.

გამოსვლა

III

იგივე და ქეთევან.

ქეთევან.

(შემოდის მარჯვენას კარიდან.) კნიაზ გორჯასპირს

ვახლავარ, როგორა ბძანდებით, მობძანდით, დაბძანდით. –

გორჯასპირ.

(დაფუდება.) რა საკითხავი ვახლავართ, ბატონო.

ქეთევან.

მითომ რატომაო?

გამოსვლა
IV

იგინივე და ლიზა.

(შემოდის მარცხენას კარიდან და მიდის გაჩქარებული შუა კარისაკენ) ივანე! ივანე! ივანე!

ქეთევან.

რა ანბავი გაქვს? აქ არავინ გგონია თუ რა არი? რათ გინდა ივანე?.. ეგ რა წიგნი გიჭირამს, (წაართმევს)..

ლიზა.

არაფერი, ისე წიგნია, რამანი.

ქეთევან.

რამდენჯერ მითქვამ მე შენთვის რამანის წიგნებს ნუ კითხულობ მეტეი, გარყვნილობის მეტს ვერას გამოიტან რამანის წიგნებიდან. და შენ ვერა გაგაგონე ჩემი სიტყვა. –

გორჯასპირ.

ბატონო ლიზავ! მერწმუნეთ საშინელი გარყვნილი კაცი გახლავს რამან, აი! დაექცეს იმას ოჯახი! სულის ფულები სულ იმან არ მომიგო ასონასში. საშინელი ცრუ, მატყუარა, თვალთმაქცი, ერთი სიტყვით გარყვნილი და გაქსუებული კაცი გახლავს რამან. და იმ გვარი კაცი, რას დასწერს გარყვნილობის მეტს, მეც გირჩევთ ბატონო ლიზავ არ წაიკითხოთ იმის წიგნები. (ივანე შემოდის.)

ქეთევან.

(ლიზას) წადი ეხლავ შენს ოთახში და არ გამოხვიდე იქიდან! თუარემ არ ვიცი რას გიზამ! (ლიზა გავა.) ივანე! აჰა! ეს წიგნი ცეცხლში დანვი. –

ივანე.

ბატონი ბძანდები (გავა.)

ქეთევან.

ეხლანდელს ქალებს ნება მიეცი თავისუფლობისა და მგონია რა არ მოახდინონ. –

გორჯასპირ.

მართალი ბძანება გახლავს, თქვენმა მზემ, ძალიან თავისუფლათ იქცევიან ეხლანდელი ქალები. რა დროც უნდა იყოს, ვისთანაც არა მგონია, აუღიათ თავები, ცალი ხელით წამოუწევიათ კაბები მუხლამდე და მეორე ხელი გაუყრიათ მკლავში და დაძუგძუგებენ, სადაც არა მგონია.. მაგრამ ესეც კიუნდა მოგახსენოთ ქეთევან. ძველებულად⁴ გაზრდილნი ქალები, თუმცა აღრძალვით⁵ იქცევიან, მაგრამ ცოტა უჯ[ი]ათები არიან. (იციინის.)

ქეთევან.

გვესმის, გვესმის, ვიზედაც ბძანებთ.. უნდა მოგახსენოთ რომ, მე უფ[ი]ათი არ გახლავართ. რაც არ შეიძლება აღსრულდეს ჩქარა, იქ მოთმინება უნდა ვიქონიოთ და უცადოთ დროს. საქმე რომელიცა მაქვს მე, ჯერეთ თხოულობს რავდენსამე ხანს და როცა შევასრულებ, მაშინ მე თვითონ შეგატყობინებთ და დაგინიშნავთ დღეს ჩვენის შეუღლებისას. –

გორჯასპირ.

ერიჰა! მანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრეს, (ქეთევანს) მანამ ის დრო მოვა მე ოჯახი დამელუპება უპატრონოთ ესე იგი უდედაკაცოთ, თვითონ მოგეხსენებათ სახლი უქალოთ გროშათ არა ღირს. ერთის სიტყვით გამითავეთ და მითხარით არ მინდებართქო, და მომარჩინე მეც ავდენს ტანჯვას. –

ქეთევან.

მე მაგას, არა ოდეს არ გეტყვით, ბევრი მოგიტმენია ცოტაც მოითმინეთ... ეხლაკი უკაცრავოთ ვიყოთ, სხვაგან საქმე მაქვს, მინდა გიახლოთ.. მშვიდობით ბძანდებოდეთ.. ნახვამდე⁶... ისე კნიაზო ცოტაც მოითმინე. (გავა)

გორჯასპირ.

(გა[ა]დევნებს თვალს.) ვაჰ მე! ერთი დროით ჩამივარდება შენი ფულები, მე ვიცი! თუ არა რას იზამ? ნათქვამია: თუ დედაკაცმა გაიწიაო ცხრა უღელი კანბეჩიცი ვერ დაიმაგრებსო. სთქვა და გაათავა. ამ ცოტას ხანში ჩემი მამულები ტორლით გამესყიდება და შემდეგ რალა ოხრობამილა მინდებარ.. არა, მე ისევე სიყვარულის წამალს უნდა მივმართო.. როდემდის უნდა

ველოდო. (გავა.)

გამოსვლა V

ქეთევან და მაქრიტა.

მაქრიტა.

(შემოდინ მარჯვენას კარიდან.) დიახ! ბატონო რაღა თქმა მინდა, პირველი ხომ არ არის თქვენი ნაბძანება და ჩემგან ლიზას ყურის გდება.

ქეთევან.

მე დღეს შინ არ ვიქნები სადილათ, ვინც მოვიდეს, დაითხოვეთ, ნუ მიიღებთ, ლიზაზედ თვალი დაიჭირე, ფანჯარასთან მისვლის ნებას ნუ მისცემ, ყმანვილია, არავინ გადარიოს, დიდი გაფთხილება უნდა ეხლა მაგას და რაღა თქმა გინდა, შენცა ყოფილხარ ყმანვილი და იცი ყოველიფერი.

მაქრიტა.

მაგაზედ ხათრიჯამი იყავით, მე ვიცი ყოველიფერი (გავა).

ქეთევან.

რავდენჯერ მითქვამს ლიზას აპეკუნისათვის ჩემი დისნული ლიზა გავათხოვოთ მეთქი, კარგი მზითვით, ჩამოვართოთ ხელწერილი, სრული კმაყოფილობისა და დანარჩენი ქონება ჩვენ გავიყოთ მეთქი. მაგრამ, არ იქნა ვერ დავათანხმე ის შეჩვენებული. ესე რომ მომეხერხებინა, ძალიან კარგათ მომივიდოდა საქმე, მაგრამ რასა იქ. ოთხის წლისა იყო

ლიზა, მშობლები რომ დაეხოცნენ, ათის წლისა ინსტიტუტში შევეგზანე, მას აქეთ იქ იყო და ეს ერთი წელიწადია რაც გამოვიყვანე იქიდან და განგებ არ სად გამყავს, რომ არ გაიგოს რომ მთელი საცხოვრებელი იმისია და არა ჩემი. დღეს უკანასკნელად მივდივარ აპეკუნთან და თუ დღესაც უარი მითხრა, მაშინ თქვენს მტერს რაც საქმე მე მომივა ისევ გასათხოვარი დავრჩები. ისეც ორმოცდახუთში ვდგევარ, ვილა შემირთამს უმზითვოთ, და თუ დათანხმდა, მაშინ გორჯასპირზედ უკეთესებსაც ვიშოვნი. გორჯასპირს მე კი არ უნდივარ ჩემი ფულები უნდა, რომელიც არა მაქვს. ოღონდ ფულები ჰქონდეს ქალს მზითვათ, თორემ ბევრს აებმება თვალები. საშინელი ძალა აქვს ფულებს, წლოვანობასაც სიგონჯესაც და ყოველ ნაკლულოვნებას უკარგამს ქალს, როგორღაც არის ნათქვამი.

თუნდა ვიყო უზდელი
მახინჯი და სულელი
ფულო შენის ძალითა
პატივისა მცემს ყოველი
მომიძღვე[ნი]ან ქებასა,
თავსაც მიძიმედ დამიკვრენ
ჩემსა უზდელობასა,
ხუმრობაში შერიცხვენ.

უნდა ვეცადო იქნება როგორმე დავათანხმო. (გავა.)

გამოსვლა

VI

ლიზა და მაქრიტა.

ლიზა.

(გაჯავრებით) ამაზედ მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან. დედიდა ჩემი მომატებულს ნებას აძლევს თავის თავს. არ მესმის რა განძრახვა აქვს, რომე ესე მეპყრება. აგერ ერთი წელიწადი სრულდება რაც ინსტიტუტი დავასრულე და შინიდან

კარში არ გაუყვანივარ. ნებას არ მაძლევს ფანჯარასთან მისვლისას, არავინ დაგინახოსო, ჩემს ხელში წიგნი რომ დაინახოს ცეცხლს მოიკიდებს, წამართმევს და დაანვევინებს, მაშ რით გავატარო დრო.

მაქრიტა.

აი, შვილო რა გითხრა ცუდი წიგნების წაკითხვა, ცუდს ზნეობას ასწავლის კაცს, ხასიათებს წაუხდენს და იმიტომ ნებას არ გაძლევს. მოითმინე პატარას ხანს გათხოვდები, შეირთამ ქმარს და მაშინ იქეიფე რავდენიც გინდა. –

ლიზა.

ტუსალობა, ინსტიტუტში კი არ მეყოფოდა, რომ აქაც ტუსაღსავითა ვყევარ? ტუსაღს ნება აქვს გამოვიდეს ეზოში და თავის ფიქრი, თავის ამხანაგს ტუსაღს განუზიაროს და მე ამასაც მოკლებული ვარ, მერე, ვინ მართმევს ამ ნებას? ისევ ჩემგვარი ადამიანი, რომელიც არის იგი ის, რაც მე. მონათ მე არ დავბადებულვარ და არცარავინ სხვა, და რა ნება აქვს კაცს დაიმონაოს თავის მაგვარი კაცი. ძრიელმა უნდა მისცეს შემწეობა უღონოს და არა უკანასკნელი წაართოს. კმარა! აღივსო ჭურჭელი მოთმინებისა და ლამის გადმოდენას. (დაჯდება და დაფიქრდება.)

მაქრიტა.

გული დაიმშვიდე გენაცვალე.. წელანაც გითხარი შეირთამ ქმარსა მეტქი და მაშინ იქეიფე რავდენიც შენს სულს უნდოდეს. მე ჩემს ოთახში ვიქნები თუ საჭირო ვიყო, დამიძახე. (გავა.)

ლიზა.

არა, მე უნდა შეეჭველად მოვშორდე დედიდაჩემს.

გავყვები დავითს და დღესვე აღვასრულებ ეკლესი[ი]ს წეს; ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი და სადაც ნამდვილი სიყვარულია, იქ არის ნამდვილი ბედნიერება. (კულისების უკან უკვრენ არიას: из Любовнаю напитка) ოხ! ეს დათიკო უკრავს უთუოთ. Да! это он... противны მე იმაზედ გაჯავრებული ვარ: Обещался бывать, между тем не бывает. ნეტავი იმასაც ისე უყვარვარ, როგორც მე? არა, არ დავიჯერებ, რომ, იმასაც არ უყვარდე ძალიან. – იმის თვალეზი, ქცევა, მიმოხვრა, სახის მეტყველობა, ყოველი ყოველი мне говорят რომ ძალიან უყვარვარ. Да! Мы любим друг друга, а без любви, на свете нельзя жить. კაცს უნდა უყვარდეს რამე თავის სიცოცხლეში. что значит жизнь без любви, ეგ ორივე ერთია тело без души... რა მშვენივრათ უკრავს... გავგზა-ნი ივანეს და ვათხოვნიებ ნოტებს. ივანე! ივანე!

გამოსვლა VII

იგივე და ივანე.

ლიზა.

ივანე! წელანდელი წიგნი წაიღე დავით ტყუპქალამან-იძესთან და მოახსენე ჩემაგივრათ: ქეთევან შინ არა ბძანდე-ბათქო...

ივანე.

მესმის, ესე იგი ის აქ მობძანდეს, (დააპირებს წასვლას.)

ლიზა.

დაიცადე.. და სთხოვე ლიუბოვნის ნაპიტკის ნოტები. ხომ გესმის ლიუბოვნი ნაპიტოკი რაც არის?

ივანე.

მაშ რას ვაკეთებდი ივდენი ხანს რუსეთში რომ ეგეც არ მესმოდეს, если перевести по нашему: სიყვარულის სასმელი იქნება, (ნავა შკაფისკენ და გამოიღებს ბადიას.)

ლიზა.

ჰო! გცოდნია... რათ გინდა ბადია?

ივანე.

მაშ მუჭით ხომ არ მოგიტან სიყვარულის სასმელს.

ლიზა.

საჭირო არ არის, ნადი.. (გავა.)

ივანე.

(უყურებს გაოცებული.) მოდი და ახლა მიხვდი რით მოუტანო. მუჭით არ შეიძლება, პირში ვერ ჩავიგუბებ. ჭურჭელი ამაზედ მეტი არ არის, მაშ რილათი მოუტანო. მე, მაინც ბადიას ნავიღებ, იქნება იმათ ჭურჭელი არა ჰქონდეთ, მეორეთ წასვლა აღარ დამჭირდება, ამასთან, გორჯასპირსაც შეუნახამ. ლიზა რალაცას აპირებს და ვნახოთ რა გამოვა აქედან. (გავა.)

გამოსვლა

VIII

მაქრიტა.

(შემოვა და დაჯდება კუთხეში.) არ მესმის რატომ აქნობამდე არა თხოვდება ქეთევან. აი! კნიაზი გორჯასპირ

მჭამელაძე, რა კარგი დარბაისელი თავადის შვილია, ამობენ დიდი მამულები აქვს და ძალიან კარგი ოჯახი თურმე.. თუმცა ქვრივია და სამი შვილიცა ჰყავს, მაგრამ რა უშავს, ქეთევანიც ყმანვილი აღარ არის.

გამოსვლა IX

იგივე და ივანე.

ივანე.

მივედი და მოვახსენე: პატარა ქალბატონმა სიყვარულის წამალი გთხოვათ მეთქი. გაიცინა და მითხრა: მე თვითონ მოვართმევო, დავბრუნდი ბუფეტზედ და ვნახე: მშვენიერი ზაკუსკა დგას სტოლზედ, ერთი დიდი ბოთლი ვიშნოვკაც ვიფიქრე, ცარიელი ბადიის წაღებას, მოდი პატარას გადავიღებ მეთქი, ავსნიე და მივანახევრე. (სვამს.)

მაქრიტა.

ეგ რა გიჭირამ ხელში?

ივანე.

აი! გაგინყრეს ღმერთი, ვისაც ვერიდებოდი აქ არ დამიხვდა. (მაღამს ზურგს უკან.) არა ფერი.

მაქრიტა.

როგორ თუ არა ფერი? აბა ხელები დამანახვე?

ივანე.

რა თავში იხლი ჩემს ხელებს?

მაქრიტა.

ხელები დამანახვე, ხელები!

ივანე.

(ასწევს ცარიელს ხელს მაღლა.) აჰა! არ შეგრცხვა რომ არა მაქვსრა!

მაქრიტა.

მეორე ხელი მაჩვენე! რათ გამოგიღია ბადია? გინდა გატეხო? მოიტანე აქ ეხლავე!

ივანე.

ვერ მოგართვი, მე გამოვიღე, მევე შევსდგამ.

მაქრიტა.

მოიტანე აქა მეთქი (წაართმევს.) ეს რა არის?

ივანე.

რაში გეკითხება რაც არის?

მაქრიტა.

(ხმა მაღლივ) სთქვი, თორემ გადავღვრი!

ივანე.

ნუ ჰყვირი.. გეტყვი.. ეგ არის სიყვარულის სასმელი..

მაქრიტა.

რაო! რაო! რაო!... როგორთუ სიყვარულის სასმელი?!
მემრე ვინ მოგცა?

ივანე.

ახლა სლედსტვიე გამართე, ვინც მომცა, მომცა, შენ
რაში გეკითხება?

მაქრიტა.

არ ამბობ ვინც მოქცა გან[ა]? (და[ა]პირებს გადაღვრას.)

ივანე.

დაიცა, დაიცა გეტყვი.

მაქრიტა.

სთქვი, ჩქარა!

ივანე.

ლიზამ გამგზავნა ჩვენს მეზობელს დავით ტყუპქალა-
მანიძესთან, ყმანვილი კაცი რომ არის, და მიბძანა, წადი სი-
ყვარულის წამალი მომიტანეო, მეც წავედი და მოუტანე და
დამაბარა: სულ ნუ დაღვესო ერთათაო გახეთქამსო.

მაქრიტა.

ააა! ეხლაკი მესმის, ერთი ერთმანეთი უნდა შეიყვარონ.
მაშ მე სადღა ვარ? თავის დღეშიაც ნებას არ მივცემ! მე ქეთევ-
ანს ვერ უღალატებ. მე დავლევ და იმათკი ნებას არმივცემ,

რომ ერთმანეთი შეიყვარონ. (სვამს.)

ივანე.

განა ამისთვის მოვიტანე?

მაქრიტა.

ოხ! რა ცხარეა! იმათ ნებას არ მივცემ არა. გესმის?
(სვამს.)

ივანე.

ნუ სვამ მაქრიტავ. მოგკლამს, გაგხეთქამს!

მაქრიტა.

დეე მე გამხეთქოს, მომკლას. იმათ კი ნებას არ მივცემ.
(სვამს.) ოხ! რა ცხარეა... ამაში არაყი უნდა ერიოს.

ივანე.

მე უფრო შევატყობ, აბა, მომეცი!

მაქრიტა.

(ხელს არ აშორებს ბადიას.) კარგია გეყოფა. რა შენი
საქმეა (სვამს.) ამაში ბალახებიც უნდა ერიოს.

ივანე.

(ჩახედამს ბადიაში.) აი! გაგისქდეს მუცელი, მიანახ-
ევრა. განა ამისთვის მოვიტანე? მაჩვენე მე უფრო შევატყოფ.
(მაქრიტა თავის ხელით ასმევს.)

მაქრიტა.

გეყოფა, შენ ნუ სვამ..

ივანე.

ჰო! უნდა ერიოს ბალახები.

მაქრიტა.

(სვამს.) ოხ! საშინელი ცხარია (დაბარბაცდება.) ოხ!..
თავში ამივარდა. (სვამს.)

ივანე.

ნუ ღვრი, და ნუღარ სვამ, მოგკლამს და გაგხეთქამს.

მაქრიტა.

დეე მე გამხეთქოს, მე მომ.. მომკლას, შენ რა, მე რომ..
გამ.. გამხეთქოს? (დაბარბაცდება.) მაშ შენ გინდა... რომ ღიზა
გახეთქოს?. წამალმა მაშ, მაშ... მე სადღა ვარ.. (სვამს და ბარ-
ბაცებს.)

ივანე.

ნუ ღვრი, მე შეგინახამ, მერმე დალიე (გამოართმევს
და სვამს.)

მაქრიტა.

გადა... ღვარე, შენ ნუ დალევი... არ გა.. გატეხო.

ივანე.

სულ გადავლვარე, ცვარიც აღარ არის.

მაქრიტა.

(ბარბაცებს.) ქალბატონს მოვახსენებ... რომ შენ წამალს უზიღამ ლი... ლიზას. გაგაგდებინებ... მე ვერ მომატყუებ... მე გამოცდილი ვარ, სამი ქმა... რი დამიმარხამს... ნუ მიხვალ ფანჯარასთან. (დაბარბაცდება.) გესმის სამი დამიმარხამს..

ივანე.

სამი კანონიერი გეყოლებოდა და ორიც ისე. აქ დაბძანდი, არ წაიქცე. (დასვამს კუთხეში.)

მაქრიტა.

ოხ! თავი, თავი, რა ცხარე ყოფილა... შენ არ დალიო, დეე მე შემეყვაროს... (იციინის და მღერის.)

საყვარელმა არია,
(ბაიათის ხმაზედ) გრძნობა ჩემი არია;
მან მიმიღო გონება,
დღე შემექნა მწარია.

ივანე.

საყვარელმა კი არ არია შენი გრძნობა, ვიშნოვკამ არია.

მაქრიტა.

სატრფო ჩემი სად არი?
ვისა ვკითხო სად არი!
მან დამაგდო მტირალი
გამიფრინდა სად არი...

ივანე.

აკი მოგახსენეთ ქრემების გარდა სხვებიც ეყოლება მეთქი.

მაქრიტა.

ნუ მიხვალ ფანჯარასთან.. ქეთევანს მო... მოვახ.. სენ-
ებ გადაღვარე... ლიზამ არ და... დალიიოს.. გაგაგდებინებ...
დეე მე შემეყვაროს. – (სთვლემამს.)

ივანე.

ვნახოთ, ვინ ვის გააგდებინებს.

მაქრიტა.

ნუ მიხვალ ფან... ფანჯარასთან, მე გამოცდილი ვარ...
დეე მე შემეყვაროს, მე გამხეთქოს. შენ ხვა... ხვალ... ხვა..
(დაეძინება.)

ივანე.

ლამე მშვიდობისა. რაც ნახო სიზმარში მეც მიანბე.
ხვალ და იქნება დღესაც აქედან, ამ გვართ (გაიქნევს მუჯლუ-
გუნს და აიქნევს პანჩურს) მიბ[ძ]ანდით. ჰაიდა!.. რა დაინიუა
ფანჯარა, ერთი ვნახო რა არის იქ! ოხ! კნიაზ დავით მობძან-
დება. (შედგამს ბადიას.)

გამოსვლა

X

იგინივე და დავით.

ივანე.

მობძანდით, ეხლავ მოვახსენებ. (გადის მარცხნივ.)

დავით.

ძლივს არ მომეცა კიდევ შემთხვევა ლიზას ნახვისა? იმის დედიდის მიზეზით აქ ვერავის გაუვლია. ამას წინად თფილისის წრეში შევხვდი, სადაც დაუწყე ლაპარაკი, განგებ ყოველს საგანზედ, მინდოდა შემეტყო, რა განსჯა ექნებოდა. და სწორეთ უნდა ვსთქვა, რომ მას ჰქონია ნათელი აზრი, წმინდა წარმართულება, და კეთილი ნადილი, ყოველს ფერში და ესე ღირსებანი ძალიან ამაღლებს კაცს. თანახმა რომ შეიქნეს დღესვე შევირთამდი და დარწმუნებულიც ვარ, რომ მე ბედნიერიც ვიქმნებოდი ჩემს სიცოცხლეში.

გამოსვლა

XI

იგინივე ლიზა და ივანე.

ლიზა.

Здравствуй Давидь! ძლივს არ მოხველი კიდევ ძვირო სანახაო.

დავით.

(ჰკოცნის ხელზედ.) დედი[დ]ათქვენის მიზეზით აქ ვერ ვის გაუვლია.

ივანე.

ჯან! (ლიზა და დავით გამორდებიან.) არა ფერი მერწ-

მუნეთ მე ვიცი საიდუმლოს შენახვა.

ლიზა.

გადი გარეთ. სადაც შენი ალაგი არ არის, იქ არ უნდა იყო.

ივანე.

Виноват (გავა.)

დავით.

მე გუშინ ვიყავ თფილისის წრეში, სადაც არის ხუდოჟესტვენის გამოფენა, ვფიქრობდი მენახე იქ, მაგრამ ჩემდა საუბედუროთ, ვერა გპოვე.

ლიზა.

დაბძანდით, როგორთუ თფილისის წრეში იყავ? განათუ თქვენ წრის გარეთა ხართ დარჩენილი? ანუ ხუდოჟესტვენის გამოფენა რას ნიშნავს?

დავით.

ნუ თუ არ გესმით თფილისის წრე რა არის?! ანუ ხუდოჟესტვენის გამოფენა.. თქვენ უთუოთ ქართულ გაზეთს დროებას არა კითხულობთ. თვარემ, ამ გვარ სიტყვებს ხშირათ ნახამთ იქ. ჩვენ ლიტერატორები ქართულის ენისა, ხშირათ ვხმარობთ ამ გვარ სიტყვებს. ერთის სიტყვით, იმ ენით ვლაპარაკობთ და ვწერთ, რომლითაც ყველანი ჩვენნი მოძმენი ლიტერატორები ლაპარაკობენ... თფილისის წრე, значит: Тифлисский Кружок, ხუდოჟესტვენის გამოფენა, Художественная выставка.. ამ გვარი სიტყვა ბევრი გვაქს მაგალითათ: Страхование o[ნ] шество. უზრუნველ მყოფი საზოგადოება და სხვანი. მხო-

ლო თქვენ არ გესმით, რადგანაც слух ваш еще не привык და როდესაც დაეჩვევით მაშინ გაგიადვილდებათ.

ლიზა.

კარგარამ ამიხსენ, თორემ ვინ გაიგებდა. რა გენაღვლებათ თქვენ ლიტერატორებმა, ილაპარაკოთ და სწეროთ ისე, რომ ყველას ესმოდეს და არა მარტო თქვენ მოძმე ლიტერატორებს.. Да оставим их в покое. რა გაოცებული მიყურებთ... თქვენს თვალეში რაღაცა საიდუმლოს ვკითხულობ... თუმცა კი, მივხვდი და მგონია უნდა მითხრა....

დავით.

მიყვარხარ! ეგ მართალია (ჰკოცნის ხელებზედ.)

ლიზა.

მე მაგას ვგრძნობდი, (ჰკოცნის.)

მაქრიტა.

(ბურანში) ქალბატონს მოვახსენებ, მე ნებას არ მოგცემთ... გადაღვარე... (ხვრინამს.)

დავით.

ოხ! რა უბედურებაა, ერთი მინუტი შემხვდა სიტკბობისა და იმასაც მიმწარებენ.

ლიზა.

რას ბოდავს?!

მაქრიტა.

შენ ნუ დალევ... გადაღვარე... მე უნდა შემიყვაროს დეე
მე გამხეთქოს...

ლიზა.

დავით! რას ბოდავს, გესმის? ან ეს რას ნიშნავს.

დავით.

ბურანშია.

ლიზა.

ივანე, ივანე!

გამოსვლა
XII

ივანივე და ივანე.

ივანე.

(შემოვა.) რას მიბძანებთ?

ლიზა.

ამას რა დამართვია?

ივანე.

ამას? არაფერი, მთვრალია.

ლიზა.

როგორთუ მთვრალია?

დავით.

სად დათვრა? –

ივანე.

წელან ამათ გამოგზანეს, თქვენთან და მიბძანეს: წადი სიყვარულის სასმელი სთხოვეო და ეს, კარებს უკან მდგარიყო და ყური ეგდო, რადგანაც ქეთევანმა უბძანა, რომ ყოველი სიტყვა ლიზასი უნდა შექმნა ცოცხალიყო. წასულიყო და ესე გი-ახლათ, როგორცა ხედამთ. –

ლიზა.

ეგეც შემოიღო დედიდაჩემმა, რომ ყურის მგდებლებს მიყენებს? ავდენს ტანჯვას ესეც მოუმატა? რომ ყოველი სიტყვა ჩემი უნდა იცოდეს? არა, დავით! ამაზედ მეტი მოთმინება აღარ შემიძლიან. (ტირილით.) გამაშორე ამ სახლს... წამიყვანე აქედან... მეტი აღარ შემიძლიან. (დაქეყუდება მხარზედ და სახეს გულზედ დაადებს.)

დავით.

სად წაგიყვანო? რას იტყვის ქვეყანა.

ლიზა.

რაც უნდა სთქვან.. ჩემთვის ორივე ერთია... წავიდეთ დღესვე ჯვარი დავინწროთ და მგონია ქვეყანამ აღარა სთქვას-რა.

დავით.

მართლა მეუბნები! (ჰკოცნის ხელებზედ.) ჩემო ბედნიერებავ!... ჩემო სიცოცხლევ! ჩემო იმედო! ჩემო.. ჩემო, ჩემო!

ლიზა.

კმარა, მემრეც გექნება დრო მაგისა. მოემზადე ეხლავ გამოვალ. (გავა.)

დავით.

მაშ მე ცოტა რამ განკარგულებას მოვახდენ. ივანე! აჰა! ეს ბარათი მიეცი ჩემს ბიჭს, ნაილოს ჩემს მეგობარს წინდაძესთან ნათლულში და რაცა სწერია ყოველივე აღასრულოს... ფაიტონით წავიდეს.. გესმის?!

ივანე.

დიახ, მეტს ხომ არას მიბძანებთ?

დავით.

ჰო! ბუფეტში ზაკუსკა არის მომზადებული, წამოიღეთ თან და ვიშნოვკაც მოიტანე არ დაგავიწყდეს. –

ივანე.

ეგ სულ არ დამავიწყდება. (გავა.)

დავით.

დღეს მექმნება ბედნიერება ვსთქვა: ლიზა ჩემი საკუთრებაა მეთქი. სახტათ არ დარჩება ქეთევან, როდესაც გაიგებს, რომ ლიზა გათხოვდა და ჩემი ცოლი შეიქნა და იმის ერთგული გამდელი დათვრა.

გამოსვლა
XIII

იგინივე და ლიზა.

ლიზა.

ვიზედ ლაპარაკობდი?

დავით.

მაგის პასუხათ გეტყვი ჩვენი პოეტის სიტყვებს.

„ჰე ჩემო ღმერთავ!“

„ან შენ მოგმართავ!“

„მისმინო შორით ესე სიტყვანი!“

„ყოველს ჩემს ფიქრთა“

„ჩემს საუბართა!“

„იდუმალთ ოხვრათ ხარ შენ საგანი.“

„თუ – არა შენზედ,“

„ვუბნობდე სხვაზედ“,

„ბრალი არს ენა, და მის როტვანი“.

შენზედ ვლაპარაკობდი ჩემო სიცოცხლე, შენზედ.
(ჰკოცნის.)

ლიზა.

აი! ჩემი დოკუმენტებიც.....

გამოსვლა
XIV

იგინივე და ივანე.

ივანე.

(შემოაქვს ფადნოსით ზაკუსკა.) ნეტავიკი არა შეატყოსრა. ვერ მოვითმინე, გზაზედ ორჯერ მოვიყუდე. (დასდგამს რგვალ სტოლზედ.)

ლიზა.

დღეს, სწორეთ ოც და ერთისა შევსრულდი.

დავით.

იმიტომაც დავლევ შენს სადღეგრძელოს. მოდი დაჯექ, ცოტა დასაუზმდი, თორემ მანამ ჩავალთ, და ამოვალთ კარგა ხანი გავა და მოგშვია. აი! კარგი ინდოური, ბიფშტეკსი კარგათ არის გაკეთებული.

ლიზა.

თუმცა მადა არა მაქვს, მაგრამ მაინც მოგეამხანაკდები. რადგანაც ეს ჭამა იქნება ჩვენი ერთა[დ] ჭამა.–

დავით.

აი! ცოტა ვიშნოვკაც დალიე... Для подкрепленіи сыль не обходимо даже.

ლიზა.

არა, ეგ არ შემიძლიან.

დავით.

(უყურებს ხან ბოთლს ხან ივანეს.)

ივანე.

(ტორტმანებს.) რა... რა... რა მოგახსენოთ. იქნება გატეხილი გახლამს ბოთლი და გასდენია. (გამოართმევს ბოთლს.) არა.. მთელია.. ჰო! ოჰ! მივხვდი.. (ანიშნებს მაქრიტაზედ.) უთუოთ იმან დალივა.

დავით.

როგორ? საიდან?

ივანე.

წელან მოგახსენეთ, რომ პატარა ქალბატონმა გამამგზავნა თქვენთან სიყვარულის სასმელისათვის, ეს კარებს უკან მდგარიყო, წამოსულა დაუღეგია ბუფეტშივე და ასე გიახლათ. უთუოთ ვიშნოვკა, სიყვარულის წამლად მიუღია და დაუღეგია, რა არის ამათ არ დალიონო.

დავით.

ცოტა მომატებული მოსვლია.

ლიზა.

იმიტომაც ასე დაკრუნჩხა.

ივანე.

(პუბლიკისკენ.) მე მშრალათ გამოველ წყლიდან და იმას ჯანი გავარდეს. –

ლიზა.

მე მზათა ვარ, წავიდეთ.

დავით.

ეხლავე. ივანე! აჰა! შენ ერთი თუმანი, ჩვენი სადღე-გრძელო დალივე და ქეთევანს კი არა უთხარა, მანამდის არ მოვიდოდეთ, გაიგე?

ივანე.

ღიას! მერწმუნეთ მე საიდუმლოს შენახვა ვიცი, წელ-ან კნიაზ გორჯასპირმა მიბძანა: სიყვარულის წამალი უნდა მიშოვნოვო და არავისკი არ უთხრაო. მეც არავის ვეუბნები რადგან საიდუმლოა.

დავით.

(სიცილით) ჰო! არავის უთხრა. (გავლენ.)

ივანე.

(უყურებს გოცებით კარებს, გაუშტვენ[ს].) წაიყვანეს! გაფრინდნენ გვრიტები! ჰე სიყვარულო რა ტკბილი რამ ხარ; მაგრამ ამის სიტკბოებაც იმაზედ ნაკლები არ არის (დასცლის ბოთლს.) ეს შენ ხელში დაიჭირე უფრო კარგი შეხედულობა გექნება..... ეხლა სტოლი ავალაგო. ვაი! ვაი! ვაი! გორჯასპირ სადაც არის მოვა და იმას აღარ დაუგდე ვიშნოვკა, ნავიდე ვიყიდო. და იმას მივართმევ სიყვარულის წამლად. (გაიქცევა და კარებში შეეფახება გორჯასპირს ორივე გადიქცევთან.)

გამოსვლა

XV

იგინივე და გორჯასპირ.

გორჯასპირ.

ოხ! რა ღმერთი გაგწყნარებდა? გაგიჟდი თუ? შიგნეულობა ჩამანგრევი. სად გარბოდი ეგრე მხეცურათ? ვსთქვათ მე კიდევ მშობიოდა და მოვეჩქარებოდი და შენ?

ივანე.

მე.. ბატონო საუზმე მოგიმზადეთ და წამლისათვის მივდიოდი რომ ჩქარა მომეტანა, მომიტევეთ.... ეხლავ გიახლებით... არა მიირთოთრა კი მანამ არ გიახლო. (გავა.)

გორჯასპირ.

საუზ.. მეე!.. უხ! ეს რა კარგათ მოუმზადებია. არა სჭამოვო... მოდიდა მოითმინე... რომ ვსჭამო და აღარ გასჭრას? მაშინ?... არა, არა ვსჭამ... (დაჯდება და ნელნელა ჭამას დაუწყებს.)

ივანე.

აკი მოგახსენეთ არა მიირთოთრა მეთქი. (ერთს ბოთლს დასდგამს და მეორეს კუთხეში შა[ი]ნახამს.)

გორჯასპირ.

მემრე ვინა სჭამს? ამასაც ჭამას უძახი? ერთი ლუკმა ჩავიდე პირში.

ივანე.

ჯერ ეს ერთი სტაქანი მიირთვით!

გორჯასპირ.

უჰ! ეს რა კარგი ყოფილა. აბა ერთიც დამისხი. (დალევს და სჭამს ხარბათ.) მართლადაც კარგი რამ არის, მაგრამ მგონი არაყი უნდა ერიოს.

ივანე.

არც თუ უიმისოთ იქნება, (დაუსხამს.)

გორჯასპირ.

იი! ძალიან კარგია, ბარაქალა ბიჭო! ეს ინდოურიც ლაზათიანათ არის მოხარშული. ხორცს, ქება აღარ უნდა. ვეყო და! რა იცოდი, რომ მე ამ გვარი საჭმელები მიყვარს. (დალევს.) ეი! და, სულ მე ვსვამ, ერთი შენც დალიე და!

ივანე.

მე რომ დავლიო და შემეყვაროთ, მემრე?

გორჯასპირ.

ეგ-კი დამავინყდა. (დალევს.) როგორ გამახურა. უხ! ცეცხლი მომიკიდა სწორეთ. –

ივანე.

ეგ ეშხის ალია. ეს ერთიც მიირთვით და მაშინ ნახეთ წამლის ნამდვილი ძალა.

გორჯისპირ.

და.. დამი.. სხი.

ივანე.

ინებეთ.

მაქრიტა.

(ბურანში) ნუ სვამ.. გადაღვარე... დეე მე შემეყვაროს.

გორჯასპირ.

ღმერთმა დამიფაროს შენს სიყვარ.. ულს. რატომ არ უნდა დავ...ლიო? ჩემი ფულით არი ნა.. ნა.. სყიდი... შენით ხომ არა? (დალევს) გამოილია? მაშ ქეთევანს რალა.. დავა... ლე.. ვინო?

ივანე.

მაგაზედ ნუ სწუხართ აქ კიდევ გახლავს.

გორჯასპირ.

რა ნაირათ გამახურა?... უჰხ! ძალიან ეშეში მომიყვანა... ბიჭოდა! ძალიან წამალი ყოფილა... უჰხ! უჰხ! ჰუ! აბა ეხლა ქეთევან უნდა ჩამი...ვარდეს ხელში, როგორ დავ... დავ... დავხრუკო. მაშინვე დათანა... ხმდება, ჩემს შერ... შერთვაზედ.... ი! მოდი ერთი ბანი მითხარ. (მღერის) ქალო ეგ რა შემოგიკრამს, ჰე, ჰე, რერადა მაშო. შუბლი დაგიშვენებია ჰე, ჰე, რერადა მაშო.... რატომ ბანს არ მეუბნები.

ივანე.

მე სიმღერა არ ვიცი, ბატონ[ო]. –

გორჯასპირ.

იმიტომ მიხვალთ რუსეთში, ქართული წესი, ჩვეულობა, სიმღერა და თამაში დაივიწყოთ, და იქა...ურიც ვერა ისწავ-

ლოთრა? შენ ეი! იცი რა გი... თხრა (წამოდგება და დაბარბაცდება.) ეხლა ქეთევან უნდა მყავდეს აქა! ნახე როგორ ჩქარა დათანა... ხმდეს.. შენ არ დალიო, მე ქეთევანს უნდა დავალევი-ინო. (წამონვება კუშეტიკაზედ.)

ივანე.

ამანაც განისვენა ესეც მე დამრჩა (დალევს.) კარგი პეიზაჟი დაუხვდება ქალბატონს. (გავა.)

გორჯასპირ.

მე რა შვილოსა, რვა ასი თუ..მანი ვალი მაქვს, ქეთე... ვანს უნდა დავა...ლევინო, შენ ეს საქმე ხუმ... ხუმ... ხუმ.. ხუუ (დაეძინება და ხვრინვენ რიგ რიგით, ხან მაქრიტა და ხან გორჯისპირ.)

გამოსვლა XVI

ივანე და ქეთევან.

ქეთევან.

(შემოვა და ვერას ამცნევს.) არ იქნა ის შეჩვენებული ვერაგზით ვერ დავითანხმე. მეტი ილაჯი აღარ არის, ხელწერილი უნდა ჩამოვართო ლიზას, რომ ვინიცობაა როდესმე გავმდიდრდეთ ან მე და ან ის, სიმდიდრე შუაზედ გავიყოთ.. (მოისმის ხვრინვა მაქრიტასი.) ეს რა ანბავია?! (მოისმის ხვრინვა გორჯასპირისა.) ეს რაღა არის? დამბადებელო, ულოთნიათ. ივანე! ივანე!

გამოსვლა XVII

იგნივე და ივანე.

ქეთევან.

ეს რა ანბავია?

ივანე.

(სიცილით) არაფერი, ничего... სიყვარულის წამალი... მი...მიიღეს. – და მგონ[ი]ა მომა...ტებული მოუიდათ.. –

ქეთევან.

როგორთუ სიყვარულის წამალი? რას როშამ? გამაგებინე რიგიანათ? რათ მიეც ნება?

ივანე.

ვის ჰკითხეს. კნიაზმა მოიტანეს და ერთათ დალიეს. თუმცა კნიაზი არ ანებებდა, მაგრამ მაქრიტამ ძალათ გამოართო, უთხრა მე დავალევინებ ქეთევანსაო, და თითონკი გაიხლათ, რა არის მე შემეყვაროსო კნიაზმაო და მე შემერთოსო.. საშინელი გარყვნილი დედაკაცი ყოფილა, სამი ქმარი დაუმარხამს და მეოთხეზედ აპირებ[ს] გათხოვებას.

ქეთევან.

რას ყბედობ? შენც მთვრალი ხარ, მგონია? ლიზა სადლა იყო?

ივანე.

ლიზა? (სიცილით გაუშტვენს.) გაფრინდა! წაიყვანეს.

ქეთევან.

როგორთუ წაიყვანეს? ვინ წაიყვანა? სად წაიყვანეს?

ივანე.

ღიას! წაიყვანეს, გაფრინდნენ.

ქეთევან.

(გაჯავრებით) სწორეთ გამაგებინე შე ლოთო შენა?

ივანე.

საიდუმლო გახლავს... ვერ გეტყვით... დავით ტყუბქა-
ლამანიძემ მიბძანა, ჩვენ მივდივართო და ქეთევანს არა უთხ-
რარაო. მაქრიტამ მ[ო]ახერხა... უთხრა წადით ფაეტონითაო
სადაც წაიყვანა ისიც ვიცი, მაგრამ საიდუმლო გახლავს... მიბ-
ძანა არავის უთხრაო რომ ჯვარის საწერათ მივდივართო. მეც
საიდუმლოთ ვინახამ და არავის ვეუბნები.

ქეთევან.

რაო? რა თქვი? (ჩაჯდება.)

ივანე.

ღიას ჯვარის დასაწერათ წავიდნენ, სულ ამის ბრალი
გახლავს, სიყვარულის წამალიც განგებ დალია, რა არის კნია-
ზმა შემირთოსო.

ქეთევან.

ხვალვე მაგისი სული აღარ იყოს ჩემს სახლში! კისრის
კვრით გააგდე აქედან, აღარ დამენახვოს! მე, ეს ქოფაკი ჩემს

ერთგულათ მეგულებოდა და ამას ხედავთ რა საქმე მოუხდენია?

მაქრიტა.

(ბურანში) ვერ მომატყუებ... მე გამოც...დილი ვარ..
სამი ქმარი დამიმარ...ხა..მს (ხვრინამს.)

ივანე.

აი! აი! რეებსა ბოდამს.. ხვალვე შენი სული არ იყოს აქ!
გესმის?! და კარგს ინებებ დღესვე რომ ნაბძანდე.

ქეთევან.

სამი ქმარი დაუმარხავს, და მეოთხეზედ აპირებს გათხოვებას, მოსაკლავი არ არის? რა გარყვნილი დედაკაცი ყოფილა და ის ქალბატონი, მქადაგებელი ქალების თავისუფლობისა, აჰყვა ყმანვილ კაცებს განა? რაც მოუვა, ყმანვილ კაცებისგან იმას თვითო[ნ] შეიტყობს. დაიცადოს ჯერა! აქ მოვიდეს და მე ვაჩვენებ იმას.

გორჯასპირ.

უხ! ხუ, ხუ-უ-უ (ხვრინამს.)

გამოსვლა XVIII

იგინივე, დავით, ლიზა და ვახტანგ.

ივანე.

აი! მობძანდნენ.

ქეთევან.

(გაჯავრებით) ვინ მოგცა ნება, გარეთ გასვლისა ჰა?! მე შენ არ გითხარი, შინიდან კარში ნუ გახვალ მეტქი?. (წავა ლიზასკენ.)

დავით.

(ჩაუდგება შუაში.) დამშვიდდით. არა ფერი ნება თქვენ არცა გქონიათ და არცა გაქვთ ამაზედ უფლობისა. –

ქეთევან.

მაშ ვისა აქვს ნება, თუ არ მე, ჰა?! გადით ეხლავე ჩემის სახლიდან! –

ვახტანგ.

ბატონო ქეთევან, მოითმინეთ პატარას ხანს. ცოტა რამ მინდა მოგახსენოთ, დაბძანდით ეხლავ მოგახსენებთ. –

ქეთევან.

ესეც კარგათ შემიძლიან მოვისმინო რაც სათქმელი გაქვსთ. – (გადავა გორჯისპირის მხრივ და კუშეტკის წინ დადგება.)

ვახტანგ.

როდესაც ამათი განსვენებული მამა ივანე შალვარაძე კვდებოდა, დაებარებინა განსვენებული მამა ჩემი და გარდაეცა ეს ქალაღლები დაბეჭდილი, რომელიც ჩამაბარა მე სიკვდილის დღეს მამა ჩემმა, გარდასაცემათ ელისაბედ ივანოვნასთვის,

როდესაც იგი მცირე წლოვანობიდან გამოვიდოდა, და რადგანაც დღეს, იგი შესრულდა ოც და ერთისა, მე მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს აღვასრულო ანდერძი მამიჩემისა. აჰა! ინებეთ, რა არის, ან რა სწერია ეგ მე არ ვიცი. –

ლიზა.

(წაიკითხამს.) ანდერძის, წერილი...

ქეთევან.

(პუბლიკისკენ) გათავდა! ფუჭად ჩამიარა შრომამ.⁷

ლიზა

ათას რგავს ორმოცდა ცხრასა წელსა, აგვისტოს სამსა დღესა, მე ივანე შალვარაძემ დავსწერე ესე ანდერძის წერილი, სრულის გონებით და უანდერძე ყოველივე მოძრავი და უძრავი. ორი სახლი, მამული, ნივთეული ჩემს ასულს ელისაბედს და აგრეთვე ექვსი ათასი თუმანი, ბანკის ბილეთი, რომელიც მივაბარე ჩემს მეგობარს საცვეთაძეს, რომელთანაც შეუძლიან მოიკითხონ, მხოლო როდესაც მცირე წლოვანობიდან გამოვლენ და იმ ბანკის ბილეთის ჩაბარებაზედ აქვე ანდერძის წერილზედ უწერია ხელი საცვეთაძეს. ღმერთმა მოახმაროს სამშვიდობოთ... (კითხვის დროს ხელიდან მეორე ქალაღი გავარდება ლიზას.)

ქეთევან.

უჰი ჩემს თვალებს (ჩაჯდება კუშეტიკაში სადაც გორჯასპირს სძინავს.)

გორჯასპირ.

(წამოჯდება.) გასჭრა! გასჭრა, სიყვარულის წამალმა,

თვითონ მოიყვანა, დათანახმდი გეთაყვანე ქეთევან. –

ქეთევან.

(მწუხარებით) მე არა მბაბდიარა, და თუ უმზითოთ შემირთამ მე თანახმა ვარ, მთელი საცხოვრებელი ლიზასია. სახლებიც, ნივთიც [ა]ვეჯიც და ფულიც.

გორჯასპირ.

ლიზას დარჩა? (მიიღებს სულელურს სახის მეტყველობას.)

მაქრიტა

(ძალიან ამოიხვრინამს.) ქალბატონმა არ დალიოს.... გადაღვარე... მე შემოიყვაროს

გორჯასპირ.

ერთში ხომ ძალიან ხეირი ვპოვე და შენით რასაკურველია, ჩემს ვალებს გადავსწყვეტ. ვაი, ჩემო შვილებო! ვაი ჩემო მამულებო. დაღუპულა...

დავით

ეს რაღა ქალღღია? აბა წაიკითხე? (ანვდის ვახტანგს.)

ვახტანგ.

ვინიცობაა, ქეთევან ტყუპქალამანიძის ასულმა მოინადინოს ოდესმე გათხოვება და აღმოირჩიოს საქრმით კაცი დარბაისელი, პატიოსანი და მამულის პატრონი (ქეთევან ღიმილით ყურს უგდებს, გორჯასპირ ქუდს ჩაიკეცამს და ყელმოღერებით ქეთევანს უყურებს.) მიანდერძებია: ორი ათას ხუთასი

თუმანი, რომელიც არის შეტანილი ბანკში ქეთევანის სახელზე და აგრეთვე ბილეთი იგი აბარია საცვეთაძეს, და მისი ბარათი არის აქვე და აგრეთვე ჩუღურეთის ორეტაჟა სახლები. ვინიცობა[ა] ქეთევანმა არ მოინდომა გათხოვება, მაშინ მხოლო ეძლიოს სარგებელი ხსენებული ფულისა და შემოსავალი ჩუღურეთის სახლისა, სიკვდილამდე, და შემდეგ მისა მიეცეს ჩემს ქალს ლიზას. –

გორჯასპირ.

(ქეთევანს) ჩემზედ დარბაისელი, ბატონო ქეთევან ნუ გინდათ, არას გამოგადგებათ... ამასთან ორ ასი კომლი ყმა მყავს, კარგი თავადი შვილი ვარ, მამულებიც ბლომათა მაქვს და თუ ვალ... ჰზუ... ფუ! რა ჰქვიან ჩემო ბატონო და თვალათაც არა მიჭირსრა მგონია? ჰა? მკერდი დიახ კალოს მიმიგავს, არა გეთაყვა? რას იტყვი ქეთევან?

ქეთევან.

(ღიმილით) გიყვარვარ?

გორჯასპირ.

ისე მიყვარხარ, როგორც მშვიერს ერთი კარგი ჯამი ჩაბუფბუფებული ბოზბაში. არა! მაგას რალა კითხვა უნდა? მაშ რას დავნწივარ და გეხვენები აქნობამდე, თუ არ მიყვარდე. დათანახმდი გეთაყვანე სულში.

ქეთევან.

კარგი, თანახმა ვარ (მისცემ[ს] ხელს.)

გორჯასპირ.

შენ-კი გენაცვალე სულში დედაკაცო! აბა! ეხლა მენ-

ვივით ქორნილში აი! (ქუდს შეიჩარდახებს.) კარგს ცივს ინ-
დოურზედ, თეთრათ გაცქვლეფილ გოჭზედ, სუკის მწვადებ-
ზედ, თეთრსა და წითელს ღვინოზედ. მერნმუნეთ თუ სიყვარ-
ულის სასმელით ვერ გასიამოვნეთ ეხლა, ქორნილში მხიარუ-
ლათ გაგატარებინებთ დროებას (გავლენ ყველანი ივანესა და
მაქრიტას გარდა.)

ივანე.

(პუბლიკას.)

სიყვარულის სასმელმა,
ამას ბოლო მოუღო;
რა არ რომა გამსდელმა,
რადგან მეტი მიიღო.

ისინი კმაყოფილნი,
დარჩნენ⁸ და აქვთ ბინა;
მაგრამ თქვენ მოწყენილნი,
მიდიხართ, გხედავთ შინა.

ამიტომ გეაჯებით,
შეცდომა მოგვიტეოთ;
და მოტევების ნიშნათ,
სახსოვრათ დაგვიტეოთ. (ტაშს უკ[რ]ამს)

ფარდა დაეშვება.

თ. გიორგი ორბელიანი.

პასპორტები, შენიშვნები,
კომენტარები

ტექსტისათვის

სამეცნიერო აპარატი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან:

- I. პირველი ნაწილი შეიცავს ინფორმაციას ავტორის ბიოგრაფიისა და დრამატურგიის შესახებ;
- II. მეორე ნაწილში მკითხველი მიიღებს ამომწურავ ინფორმაციას პიესის შესახებ. ეს ცნობები ჩვენ რამდენიმე რუბრიკაში გავანაწილეთ:
 1. **ავტოგრაფი:** ეს რუბრიკა იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, თუ შემორჩენილია პიესის ხელნაწერი. I ტომში შესული ნაწარმოებებიდან მოგვეპოვება შემდეგი პიესების ავტოგრაფები: გიორგი ერისთავის „წარსული დროების სურათები“, დიმიტრი მელვინეთხუცესოვის (მელვინეთხუცესი-შვილის) „კატა-ანონა“ და „ანჩხლი ცოლი“, გიორგი ორბელიანის „სიყვარულის სასმელი“.

რუბრიკის საშუალებით ვიგებთ, რომელ საცავში და რა ნომრით ინახება ხელნაწერი. ლიტერატურის მუზეუმი აღნიშნული გვაქვს L, ხოლო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი – C ლიტერით. რამდენიმე ხელნაწერის არსებობის შემთხვევაში, რუბრიკაში ინფორმაცია წარმოდგენილია ყველა მათგანის შესახებ;

2. **ავტოგრაფის აღწერილობა:** ამ რუბრიკით ვეცნობით ხელნაწერის მდგომარეობას: რა სახის, ზომისა და ფერის ქაღალდზეა პიესა დაწერილი, დაზიანებულია თუ არა ხელნაწერი, არის თუ არა გადახაზული ადგილები და ა. შ., ანუ, როგორია ტექსტის დღევანდელი მდგომარეობა;
3. **პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით:** აქ აღნიშნულია, პიესა ორიგინალურია, თუ გადმოკეთებული;
4. **პირველი პუბლიკაცია:** აქ ვიგებთ, პირველად რომელ გამომცემლობაში და როდის დაიბეჭდა პიესა;
5. **დაწერის თარიღი:** თარიღიანი პიესის შემთხვევაში, რუბრიკაში ბრჭყალებშია წარმოდგენილი ავტორისეული თარიღი, ხოლო უთარიღო პიესის შემთხვევაში, რუბრიკაში მოცემულია ნაწარმოების დაწერის სავარაუდო თარიღი;

იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ტიპის პიესები, ძირითადად, დაწერილთაა ქვეყნდებოდა, ისინი, უმრავლეს შემთხვევაში, პირველი პუბლიკაციის ახლო პერიოდშივეა შექმნილი;

6. **შენიშვნები:** აქ კალმისმიერი შეცდომები და ტექსტის ენობრივი ლაფსუსებია აღნუსხული. განვმარტავთ, რომ ტექსტში მოცემული ნუმერაცია შენიშვნებზეც მიგვითითებს და სქოლიოებზეც; მკითხველი ნუმერაციზე დაკვირვებით მიხვდება, სქოლიოზეა მინიშნება, თუ შენიშვნაზე; პიესის ხელნაწერის არსებობის შემთხვევაში, რუბრიკაში წარმოდგენილია ხელნაწერისეული იკითხვისები, ან მოცემულია განსხვავებები ხელნაწერის სხვადასხვა რედაქციას შორის.
 7. **პიესის გამოცემის ისტორიიდან:** რუბრიკაში წარმოდგენილია ინფორმაცია პიესის პირველი პუბლიკაციის შემდგომი გამოცემების შესახებ;
 8. **პირველი დადგმა:** აქ ვეცნობით, თუ როდის წარმოდგა პიესა სცენაზე პირველად;
 9. **სცენური ისტორიიდან:** XIX და XX საუკუნეების პერიოდულ პრესასა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შესაძლებლობის ფარგლებში, შესწავლილია პიესის სცენური ისტორია. ზოგიერთი პიესის შემთხვევაში, საერთოდ არ მოგვეპოვება ინფორმაცია მისი პირველი დადგმისა თუ შემდგომი სცენური წარმოდგენების შესახებ.
- III. მესამე ნაწილში დახასიათებულია ტექსტების ძირითადი ენობრივი თავისებურებები;
- IV. მეოთხე ნაწილი ეთმობა ლექსიკონს.

ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლექსიკონში, გარდა ლიტერატურულისა, სასაუბრო ფორმები, რუსიციზმები, არმენიზმები და უცხო წარმომავლობის სიტყვებიცაა ახსნილი. სალექსიკონო მასალა წარმოდგენილია ტექსტური ფორმებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა სალიტერატურო ფორმებს.

აკადემიური პრინციპის გათვალისწინებით, გამოცემაში ბოლომდეა დაცული ავტორისეული ორთოგრაფია (რიცხვით სახელთა დაწერილობის ჩათვლით), პუნქტუაცია და აბზაცები

(გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კალმისმიერი ლაფსუსები დაფიქსირდა).

ხშირ შემთხვევაში ტექსტებში არსებული ენობრივად გაუმართავი ფრაზები ავტორისეულია და ჩვენ ისინი, რა თქმა უნდა, არ ჩაგვისწორებია.

გიორგი ერისთავი

ბიოგრაფიული ცნობები: გიორგი ერისთავი ქსნის ერისთავთა შთამომავალი იყო. მის წინაპრებს ჯერ სოფელ ახალგორში უცხოვრიათ, სადაც მდებარეობდა ქსნის საერისთავო რეზიდენცია, ხოლო შემდეგ სოფელ ოძისში გადასახლებულან.

აქ დაიბადა მწერალი 1813 წელს. მამამისი – დავით ერისთავი – ქართლელი მეზატონე, შეძლებული თავადი იყო, დედა – მარიამ ივანეს ასული ქობულაშვილი – თავისი დროისათვის განათლებული ქალბატონი ყოფილა.

გიორგიმ დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო დედის ხელმძღვანელობით. 8 წლისა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში შეიყვანეს, მაგრამ ის არ დაუმთავრებია, მე-5 კლასში გადასული თავის ბიძაშვილ ესტატესთან ერთად გაგზავნეს მოსკოვში ნათესავ – მიტროპოლიტ ვარლამთან, რომელმაც ბავშვები კერძო პანსიონში შეიყვანა. გიორგიმ ვერც ამ პანსიონის დამთავრება შეძლო, რადგან ჩასვლიდან 6 თვეში ესტატე ავად გამხდარა და საქართველოში მასთან ერთად გიორგიც გამოუმგზავრებიათ.

აქ გიორგი ერისთავი განწესდა თბილისის გუბერნატორ სიპიაგინთან საგანგებო დავალებათა მოხელედ, შემდეგ კი გადავიდა კავკასიის მთავარმართებელ როზენტან. თან ახლდა სტრეკალოვს ზაქათალის ბრძოლაში, შემდეგ კი მონაწილეობა მიიღო ჩეჩნებისა და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩართული იყო 1832 წლის შეთქმულებაში. სხვა მთავარ მონაწილეებთან ერთად იგი დააპატიმრეს და ავლაბრის ყაზარმაში მოათავსეს. 13 თვის პატიმრობის შემდეგ გადასახლეს ვილნოში, მე-3 ქვეითი დივიზიის უფროსის განკარგულებაში. ცხოვრობდა პოლონეთსა და ლიტვაში. გადასახლებაში იმყოფებოდა 4 წლისა და 7 თვის განმავლობაში. შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და დასახლდა სოფელ ხიდისთავში. დაქორწინდა ელისაბედ ალიხანოვზე, რომლისგანაც შეეძინა შვილი დავითი.

1850-იან წლებში ხელმძღვანელობდა ქართულ თეატრს.

1852 წელს ითავა ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა, რომელიც მისი რედაქტორობით გამოდიოდა 2 წლის განმავლობაში.

ენეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. თარგმნა ა. მიცკევიჩის ლექსები, მისი „ყირიმის სონეტებიდან“ ქართულად აამეტყველა „აკერმანის მინდორნი“, „ბალჩისარაია“, „არამხანის საფლავნი“, „პატოცკას საფლავი“, „აიუდალი“, სატრფიალო სონეტებიდან – „გაქსუებული“. ასევე თარგმნა პეტრარკას „მოგონება“, „კურთხევა“ (მიცკევიჩის თარგმანებიდან), შილერის „ხელჯაგვი“, „განყოფა სოფლისა“.¹⁰²

1862 წელს მცირე ხნით წავიდა ევროპაში სამოგზაუროდ, შემდეგ ისევ ხიდისთავში განაგრძო ცხოვრება. სოფრომ მაგალობლიშვილის ინფორმაციით, გიორგი ერისთავმა გლეხები ბატონყმობის გაუქმებამდე გაათავისუფლა.¹⁰³ გარდაიცვალა 1864 წლის 9 სექტემბერს გორში სისხლის მონამვლით.¹⁰⁴ დაასაფლავეს სოფელ იკორთაში, საგვარეულო სასაფლაოზე.

მწერლის დრამატურგია: გიორგი ერისთავს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის დრამატურგიული მწერლობის განვითარების საქმეში. როგორც შალვა რადიანი აღნიშნავს, კომედიების წერა ჩვენში შედარებით ახალი საქმე იყო. გიორგი ერისთავის კომედიების მნიშვნელობა ქართული დრამატურგიული ხელოვნების განვითარებაში განუზომელია, მათ ბიძგი მისცეს ახალ ლიტერატურულ მიმართულებას – რეალიზმს.¹⁰⁵

მე-19 ს-ის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით, ქართული კომედია ერისთავისეული კომედიის ნიშნით ვითარდებოდა. შალვა რადიანი ასახელებს ზურაბ ანტონოვს, ბარბარე ჯორჯაძეს, რაფიელ ერისთავს, ავქსენტო ცაგარელს, ნატალია აზიანსა და სხვებს, რომელთა შემოქმედებაზეც გიორგი ერისთავის გავლენა მეტ-ნაკლებად აისახა.

მკვლევარი გიორგი ერისთავის კომედიებში სამ სახეს

102 იხ. გ. ერისთავი, პიესები, ნიგნი გამოსაცემად მოამზადა თამარ გოგოლაძემ, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2014, გვ. 10-11.

103 ს. მაგალობლიშვილი, „მოგონებანი“, გამომც. „ფედერაცია“, 1938, გვ. 41.

104 იხ.: დ. მუმლაძე, თ. ქუთათელაძე, ქართული დრამატურგიის ისტორია, გამომცემლობა „კენტავრი“, თბ., 2014, გვ. 70.

105 გ. ერისთავი, თხზულებანი, შ. რადიანისა და ი. ბალახაშვილის რედაქციით, ტფ., „ფედერაცია“, 1936, გვ. XLIX.

გამოყოფს: ზნე-ჩვეულებითს, ანუ საყოფაცხოვრებოს, რომელშიც პერსონაჟთა მოქმედებანი ნაჩვენებია მთელ მათ ყოფასთან ერთად („დავა“, „გაყრა“), ხასიათების, რომლებშიც ბრძოლა გამოწვეულია გმირის სოციალური თვისებების შედეგად („ძუნწი“) და ინტრიგების, ანუ მდგომარეობათა („უჩინმაჩინის ქუდი“, „ნარსული დროების სურათები“).¹⁰⁶

გიორგი ერისთავის თხზულებანი პირველად გამოიცა 1867 წელს ორ ნაწილად, სახელწოდებით: „თხზულებანი თავადი გიორგი დავითის ძის ერისთავისა“. იმავე წლის გაზეთ „დროების“ 22-ე ნომერში დაბეჭდილი „კერძობითი განცხადება“ მკითხველს აცნობებდა: „თ. გიორგი ერისთავის თხზულებების გამომცემელს თ. ალექსანდრე ერისთავს ჰსურს დაბეჭდოს, რაც კი ამ მწერალს დაუნერია, მაგრამ ყველა იმისი თხზულება ვერ შეუგროვებია. ამისთვის ითხოვს საზოგადოების შემწეობას ამ თხზულებების ხელთნაწერების შეგროვებაში“.

გამომცემელი ალექსანდრე ესტატეს ძე ერისთავი I ნაწილის წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „მსურდა რა მიმელო ცოტაოდენი და ჩემის ღონის შესაფერი მონაწილეობა საზოგადო სალიტერატურო საქმეში, მე შევკრიფე აქა იქ გაფანტული ხელნაწერები განსვენებულის თ. გიორგის ერისთავისა, რომელიც ჩვენის ლიტერატურის ისტორიაში დაიჭერს არა უკანასკნელს ადგილს... მე მხოლოდ მისის თხზულებაების გამოცემაში ვიქონიე ერთი აზრი, რომ რამოდენათაც შეიძლება ჩვენს ქართველობას მივსცე ღონისძიება, რათა სრულად და პირუთვნელად დააფასოს განსვენებულის პოეტის შრომა; მის ნიჭს დაუნიშნოს თავისი შესაფერი ადგილი ჩვენს ღარიბს განათლების ისტორიაში. ამისათვის მე თითქმის ყოველივე მისი ნაწერი დავბეჭდე, გარდა ორიოდ თხზულებაებისა, რომელნიც ეკუთვნიან მის სიყმაწვილის დროსა...“

1884 წელს მეორედ გამოიცა გიორგი ერისთავის თხზულებანი. პიესებიდან მასში შევიდა „უჩინმაჩინის ქუდი“, „თილისმის ხანი“, „თევზის კანტორა (სურათები შეუსრულებელის კომედიიდგან)“. გამოცემას ახლავს აკაკი წერეთლის წინასიტყვაობა და იონა მეუნარგიას საკმაოდ

106 გ. ერისთავი, იქვე.

ვრცელი შესავალი წერილი.

1910 წელს მისი „რჩეული ლექსები და დრამატიული ნაწარმოებნი“ გამოიცა შემოკლებულად დ. კილოსანიძის მიერ.¹⁰⁷

შემდეგ 1936 წელს გამოვიდა ავტორის თხზულებათა სრული კრებული შ. რადიანისა და ი. ბალახაშვილის რედაქციით. შალვა რადიანი წინასიტყვაობაში, რომელსაც ჰქვია „რედაქციისაგან“, აღნიშნავს, რომ 1867 წლის გამოცემაში შეტანილი სამი კომედია – „მაიკო“, „ძალად ექიმი“ და „თილისმის ხანი“ – არ ეკუთვნის გიორგი ერისთავს.¹⁰⁸

1950 წელს კვლავ გამოიცა პიესები.

1966 წელს დაიბეჭდა ავტორის თხზულებათა სრული კრებული.

გიორგი ერისთავის პიესებიდან დალი მუმლაძე და თამარ ქუთათელაძე ვოდვეილად მოიხსენიებენ „უჩინმარინის ქუდს“.¹⁰⁹

ამბერკი გაჩეჩილაძე „უჩინმარინის ქუდს“ ფარსად მიიჩნევს.¹¹⁰

იონა მეუნარგია გიორგი ერისთავის თხზულებათა 1884 წლის გამოცემისთვის დართულ შესავალ წერილში აღნიშნული პიესის შესახებ აღნიშნავს: „უჩინმარინის ქუდი“ პატარა, კობთა ვოდვეილია, მეტის-მეტად მხიარული და სასაცილო. შიგ სომხის ოჯახობაა გამოხატული, თვისის მდგმურებითა, მოარშიყე აფიცრებით, იმერელი ბიჭით და სხ. ერთი სიტყვით, ნამდვილი სურათია ტფილისის მოქალაქისა.“¹¹¹

ვოდვეილი „თილისმის ხანი“

ავტოგრაფი შემონახული არ არის.

107 00 გვერდის მოცულობის, ს. მ. ლოსაბერიძის სტამბა.

108 გ. ერისთავი, იქვე, გვ. V.

109 დ. მუმლაძე, თ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

110 ა. გაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, „ხელოვნება“, თბ., 1957, გვ. 156.

111 თ. გიორგი დავითის ძის ერისთავის თხზულება / მეორე გამოცემა, თფ., 1884, გვ. CIV.

პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით: იონა მეუნარ-გია გიორგი ერისთავის თხზულებათა 1884 წლის გამოცემისთვის დართულ შესავალ წერილში განსახილველი პიესის შესახებ აღნიშნავს: „თილისმის ხანი“ შესანიშნავია თავისი პლანით. ეს კამედია არის გადმოკეთებული რუსულიდამ და ისეთის ხელოვნებით არის შედგენილი, რომ არც ერთს თეატრს არ მოსწყინდება მისი ზედი-ზედ მრავალ ჯერ სცენაზედ წარმოდგენა.“¹¹²

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ „თილისმის ხანი“ წარმოადგენს რუსი დრამატურგის ნ. კულიკოვის მიერ გერმანულიდან გადმოღებული კომედია-ვოდევილის („Заколдованный принц, или переселение душ“, Комедия-водевиль в трех действиях, переделанная с немецкого Н. И. Куликовым) თავისუფალ თარგმანს.¹¹³

ეს პიესა რუსულიდან ნათარგმნი აქვს აგრეთვე ივანე კერესელიძესაც სათაურით: „მოჯადოებული პრინცი, ანუ სულის გადასახლება“. თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1868 (№12) და 1869 წელს (№1).

1893 წლის გაზეთ „ივერიის“ 24 იანვრის ნომერში¹¹⁴ ფელეტონის რუბრიკით გამოქვეყნდა ივანე კერესელიძის მოგონება „ჩვენი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი“, სადაც ავტორი ბრალს სდებს გიორგი ერისთავს „თილისმის ხანის“ მითვისებაში.¹¹⁵

სტატიის საპასუხო წერილი გამოაქვეყნა პეტრე უმიკაშვილმა ჟურნალ „კვალის“ იმავე წლის მე-9 ნომერში სათაურით „ანტონოვისა და ერისთავის ურთიერთობის შესახებ“.¹¹⁶

112 თ. გიორგი დავითის ძის ერისთავის თხზულება / მეორე გამოცემა, თფ., 1884, გვ. CIV.

113 იხ. ვ. ვახანია, ივანე კერესელიძის ცხოვრება და თეატრალური მოღვაწეობა, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი III, 1948, გვ. 142-167. ამ ნაწარმოებთა შეჯერებით ვახანიამ გამოარკვია, რომ ერისთავს მნიშვნელოვნად შეუცვლია აღნიშნული კომედია (სათაური, მოქმედ პირთა სახელები და მრავალი სურათი) და მას შესაძლებლად მიაჩნია, რომ „თილისმის ხანი“ ერისთავის ორიგინალურ ნაწარმოებად ჩაითვალოს.

114 №17; გვ. 1-3.

115 ვ. ვახანია შესაძლებლად მიიჩნევს, რომ კერესელიძემ ერისთავს მიუტანა თავისი თარგმანი, ერისთავი დაინტერესებდა ორიგინალით, გადმოაკეთა და გამოქვეყნა 1852 წელს თავისი სახელით.

116 გვ. 2.

აქ ავტორი არც ადასტურებს და არც უარყოფს ივანე კერესელიძის ბრალდებას.

პირველი პუბლიკაცია: „თილისმის ხანი კომედია. 3-ს მოქმედებაში. თხზულება თ. გიორ. ერისთოვისა სტამბასა ში. თ. გ. ერი.“

ეს არის პატარა წიგნად გამოცემული ერთი პიესა. შიდა სატიტულო ფურცლის პირველ გვერდზე წერია: „კომედია სამი მოქმედებითა. თხზულება თ. გ. ერისთოვისა..... 1852“; ხოლო მეორე გვერდზე წერია: „ბრძანებითა მისის უგანათლებულესობის კავკასიის ნამესტნიკის კნიაზის მიხაილ სიმონის ძის ვარანცოვისა.“

დანერის თარიღი: რამდენადაც ეს პიესა პირველად სცენაზე დაიდგა 1851-1852 წლების სათეატრო სეზონზე, იგი დანერული უნდა იყოს ამ დრომდე (ძალიან ახლო პერიოდში).

შენიშვნები: 1. გიორგი ერისთავის ზემოთ მითითებულ გამოცემაში მოქმედ პირებს გასწვრივ უწერიათ მსახიობების გვარები, რომლებიც აღნიშნულ პერსონაჟებს თამაშობდნენ:

აბდულ-რაზმანი-ხანი, უ. ჯაფარიძე.

მახმადლა მისი ვეზირი, უ. ი. კორძაია.

ასანა ხარაზი (მოჯადოებელი ხანი) უ. ი. დვანაძე.

ფატმან დედა მისი, – ქა. სააკაძისა.

ლეილა საყვარელი ასანასი. მე. კორძაიასი.

ექიმბაში ხანისა. უ. ანტონოვი.

მირზა ხანისა უ. ტატიევი.

გოგო ლეილასი, ქა. ჯომარდიძისა.

მსახური ხანისა. უ. ზენგლოვი.

ცოლები ხანისა. მ. დვანაძისა.

ქა. ტატიევისა.

2. ნაბეჭდში წერია „ფატმა“, მაგრამ მთელ ტექსტში პესონაჟის სახელად გატარებულია „ქატიმ“, რასაც ვრთავთ მოქმედ პირთა ჩამონათვალშიც; 3. ნაბეჭდში წერია „თქუნ“; 4. ნაბეჭდში წერია „ჩემთვის“; 5. ნაბეჭდში წერია „ბაშობაში“; 6. ნაბეჭდში წერია „რისთვის“; 7. ნაბეჭდში წერია „აქვს“; 8 ნაბეჭდში წერია „გულისათვის“; 9. ნაბეჭდში წერია „თქუნ“; 10. ნაბეჭდში წერია „გულისათვის“; 11. ნაბეჭდში წერია „შეგემთხვიათ“; 12. ნაბე-

ქდში წერია „არამთუ“; 13. ნაბეჭდში წერია „თავისთვის“; 14. ნაბეჭდში წერია „თავისთვის“; 15. ნაბეჭდში წერია „თავისათვის“; ნაბეჭდში წერია „გაილვიძებს“.

პიესის გამოცემის ისტორიიდან: 1852 წლის გამოცემის შემდეგ:

1. თხზულებანი, თავადი გიორგი დავითის-ძის ერისთავისა. II ნაწილი. თბ., ალექსანდრე ესტატეს-ძე ერისთავის გამოცემა, მელიქიშვილის და კამპ. სტ., 1867;
2. თ. გიორგი დავითის ძის ერისთავის თხზულება (სურათით), მეორე გამოცემა, თფილისი, ი. გ. მელიქიშვილის სტამბა, 1884;
3. თხზულებანი, შ. რადიანისა და ი. ბალახაშვილის რედაქციით, ტფ., „ფედერაცია“, 1936;
4. პიესები, შ. რადიანის რედ. და შესავალი წერილით, თბ., სახელგამი, 1950;
5. თხზულებანი, ტექსტი დაადგინა, გ. ერისთავის ბიოგრაფიული მონაცემები, ენობრივი მიმოხილვა, ვარიანტები, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ო. ურიდიამ, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1966.

პირველი დადგმა: პირველად დაიდგა 1851-1852 წლების სათეატრო სეზონზე, კერძოდ, 8 ნოემბერს თამამშევის შენობაში გაიხსნა ახალი თეატრი და იმავე საღამოს იქნა წარმოდგენილი პიესა „მოჯადოებული ხანის“ სახელწოდებით, ახალი კოსტიუმებით, რომლის მომზადებაზეც მიხეილ ვორონცოვის მიერ გაცემულ იქნა 169.18 მანეთი.¹¹⁷

სცენური ისტორიიდან: საანალიზო ვოდევილი შეტანილია ქართული პიესების რეპერტუარის ჩამონათვალში, რომელიც გენერალმა ბებუთოვმა პეტერბურგში საცენზუროდ გაუგზავნა მეფის კანცლარიის მესამე განყოფილებას. ამით ირკვევა, რომ პიესა იდგმებოდა პროფესიული ქართული თეატრის სცენ-

117 Театр в Тифлисе с 1845-1856 год, Перепечатано из XI т. „Актів Кавказской Археографической Комиссии“, Тифлис, Типография Канцеларии Главногоначальствующаго гражданскою частию на Кавказе, 1888, ст. 133-134; ა. ვაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა), თბ., 1952, გვ. 286.

ნაზე.¹¹⁸ იგი 1851-52 წლების სეზონზე რამდენჯერმე დაიდგა.¹¹⁹ აღსანიშნავია, რომ ყოველ ახალ სეზონზე თამაშობდნენ წინა სეზონების სპექტაკლებს და უმატებდნენ ახალ წარმოდგენებს.

1885 წლის 27 ივნისის გაზეთ „დროებაში“ (№136), ქართული თეატრი პირველ გვერდზე მკითხველს აცნობს, რომ კვირას, 30 ივნისს, ქართული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება „თილისმის ხანი“ ერთი ღარიბი ოჯახის სასარგებლოდ. ადგილების ფასი ჩვეულებრივია, დასაწყისი 8 საათზე. საინტერესოა, რომ აქ პიესა წარმოდგენის პირველ ნომრად დასახელებული. მეორე ნომრად არის „ჩინი მომივიდა“, ხოლო მესამე ნომრად – „დივერტისმენტი“.

გაზეთ „ივერიის“ 1888 წლის 24 ივლისის ნომერში (№154) ვეცნობით ინფორმაციას, რომ სოფელ ახალქალაქში კვირას, 24 ივლისს, სცენის მოყვარენი, კნეინა სოფიო რომანის ასულ თარხნიშვილის თაოსნობით, წარმოადგენენ ერისთავის „თილისმის ხანს“.

იმავე გაზეთის 1890 წლის 4 ნოემბრის (№235) ნომერში, პირველ გვერდზე მოცემულია ქართული თეატრის განცხადება: „სამშაბათს, 6 ნოემბერს, ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება: / პირველად თილისმის ხანი / კომედ. 3 მოქ. გ. ერისთავისა. / დასასრულ ლეკური / მოთამაშენი: ქქ-ნი ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, ტატიშვილისა; ბ-ნნი: სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, საფაროვი და სხვ. / ადგილების ფასი ჩვეულებრივია / დასაწყისი 8 საათზე.“

1890 წლის 6 ნოემბერს პიესა დაიდგა ქართულ თეატრში.¹²⁰

1891 წლის 2 მარტს სცენისმოყვარეთა მიერ დაიდგა სახალხო თეატრში. აფიშაზე ავტორად მითითებულია ივანე კერესელიძე, ხოლო დასახელებაში წერია: „მოჯადოვებული პრინცი“ (გ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული „თილისმის ხანი“) (რეჟისორი – ზ. საფაროვი, მუსიკა – დივერტისმენტი

118 A (საქართველოს ეროვნული ისტორიული არქივი): ფონდი №4, საქმე №437.

119 Театр в Тифлисе... ст. 134.

120 თარო – 13, საქმე – 4, ექსპონატი – 100 (1; ფონდი №1);

და ლეკური).¹²¹

გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის“ 1950 წლის 11 თებერვლის ნომერში ფოთის დრამატული თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი გ. გაბუნია მკითხველს აცნობს, რომ „ამ დღეებში“ ფოთის თეატრი მასწავლებელს უჩვენებს გიორგი ერისთავის სამმოქმედებიან კომედიას „თილისმის ხანი“. წარმოდგენა ეძღვნებოდა ქართული თეატრის აღდგენის 100 წლისთავს. წერილის მიხედვით, პიესას დგამდა ფოთის თეატრის ნიჭიერი მსახიობი ივ. მიქიაშვილი (მხატვრული გამფორმებელი – გ. მილორავა, მუსიკა – მ. აინბინდერი).¹²²

ვოდევილი „უჩინმაჩინის ქუდი“

ავტოგრაფი შემონახული არ არის.

პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით: პიესა წარმოადგენს ნ. ლეონტიევის (1739-1824) ამავე სახელწოდების ერთმოქმედებიანი პიესის თარგმან-გადმოკეთებას.¹²³

2014 წელს გამოცემული გიორგი ერისთავის „პიესების“¹²⁴ (რომელსაც საფუძვლად უდევს გიორგი ერისთავის თხზულებების 1966 წლის გამოცემა) წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ტომში დაბეჭდილია ორიგინალური ნაწარმოებები, თუმცა მასში შესულია საანალიზო ვოდევილიც, რომელიც არ წარმოადგენს ორიგინალურ პიესას.

პირველი პუბლიკაცია: „უჩინ მაჩინის ქუდი კამედია ერთ მოქმედებად თხზულება თა... გიორგი ერისთავისა“; სატიტულო ფურცელზე წერია: „კომედია უჩინ მაჩინის ქუდი. ერთს მოქმედებად. თხზულება თა. გიორგი ერისთავისა; სტანბასა შინა თა გ. ერისთავისა 1852“

121 თარო – 3, საქმე – 3, ექსპონატი – 142 (12511; ფონდი №103);

გამოცემაში ამ სტილით აღნიშნული აფიშის ექსპონატი ეკუთვნის საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს.

122 იხ. გ. გაბუნიას წერილი: „გ. ერისთავის „თილისმის ხანი“ ჩვენს თეატრში“: „მგზნებარე კოლხიდელი“, ფოთი, 1950, 11 თებერვალი, №31, გვ. 2.

123 იხ.: დ. მუმლაძე, თ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

124 გ. ერისთავი, პიესები, ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, გამომცემლობა „უნივერსალი“, რედ. თინათინ სოსანიძე, წიგნი გამოსაცემად მოამზადა თამარ გოგოლაძემ, თბ., 2014.

ეს არის პატარა წიგნაკად გამოცემული ერთი პიესა. სატიტულო ფურცლის მეორე გვერდზე წერია: „ბრძანებითა მისის უგანათლებულესობის კავკასიის ნამესტნიკის კნიაზის მიხაილ სიმონის ძის ვარანცოვისა“ (სიტყვა „უგანათლებულესობის“ წერია, როგორც: უგანათლებულესობის“. ქ. გ.)

დანერის თარიღი: რამდენადაც ეს პიესა გამოქვეყნდა 1852 წელს, იგი დაწერილი უნდა იყოს ამ დრომდე (ძალიან ახლო პერიოდში).

შენიშვნები: 1. გიორგი ერისთავის ზემოთ მითითებულ გამოცემაში მოქმედ პირებს გასწვრივ უწერიათ მსახიობების გვარები, რომლებიც აღნიშნულ პერსონაჟებს თამაშობდნენ:

მარტირუზ რიბნიკოვი.....უ. დვანაძე
სუსანა იმისი ცოლი.....მე. კორძ[ა]იასი.
სვიმონუ. ჯაფარიძე.
მარტირუზას მდგმურნი აფიცრები

ივანე.....უ. მეიფარიანი
კიკოლა მარტირუზას ბიჭი.....უ. კორძაია
ვარდუა მარტირუზას გოგო.....მე. დვანაძისა

2. ნაბეჭდში წერია „გადლედგძლებს“; 3. ნაბეჭდშია „ხსნორებ“;
4. ნაბეჭდშია „თვით“; 5. ნაბეჭდშია „სულზედ“; 6. ნაბეჭდში გამოსვლის რიგი არ არის მითითებული; 7-8. ნაბეჭდშია „სვიმონ“; 9. ნაბეჭდში წერია „მეოთხე“; 10. ნაბეჭდში წერია „5“; 11. ნაბეჭდში წერია „ბუტანობდა“; 12-13-14. ნაბეჭდში გამოსვლის რიგი არ არის მითითებული; 15-16-17. ნაბეჭდშია „სვიმონ“; 18. ნაბეჭდში გამოსვლის რიგი არ არის მითითებული; 19. ნაბეჭდში წერია „ივანე“; 20. ნაბეჭდში გამოსვლის რიგი არ არის მითითებული; 21. მოქმედი პირებიც არ არის მითითებული; 22. ნაბეჭდში გამოსვლის რიგი არ არის მითითებული; 23. მოქმედი პირიც არ არის მითითებული; 24. ნაბეჭდში გამოსვლის რიგი არ არის მითითებული; 25. ნაბეჭდში პერსონაჟთა თანმიმდევრობა არეულია; 26-27. ნაბეჭდში გამოსვლის რიგი არ არის მითითებული; 28. მოქმედი პირებიც არ არის მითითებული; 29-30-31-32-33. ნაბეჭდში გამოსვლის რიგი არ არის მითითებული; 34. ამ სიტყვის ნაცვლად შეცდომითაა დაბეჭდილი „ფინჯანი“; 35. ეს პერსონაჟი გამოტოვებულია.

36-37. ნაბეჭდში გამოსვლის რიგი არ არის მითითებული; 38. მოქმედი პირებიც არ არის მითითებული; 39. ნაბეჭდში არეულია პერსონაჟთა თანმიმდევრობა, რასაც ვასწორებთ; 40. ნაბეჭდში გამოსვლის რიგი არ არის მითითებული.

პიესის გამოცემის ისტორიიდან: 1852 წლის გამოცემის შემდეგ:

1. თხზულებანი, თავადი გიორგი დავითის-ძის ერისთავისა. II ნაწილი. თბ., ალექსანდრე ესტატეს-ძე ერისთავის გამოცემა, მელიქიშვილის და კამპ. სტ., 1867;
2. თ. გიორგი დავითის ძის ერისთავის თხზულება (სურათით), მეორე გამოცემა, თფილისი, ი. გ. მელიქიშვილის სტამბა, 1884;
3. თხზულებანი, შ. რადიანისა და ი. ბალახაშვილის რედაქციით, ტფ., „ფედერაცია“, 1936;
4. პიესები, შ. რადიანის რედ. და შესავალი წერილით, თბ., სახელგამი, 1950;
5. თხზულებანი, ტექსტი დაადგინა, გ. ერისთავის ბიოგრაფიული მონაცემები, ენობრივი მიმოხილვა, ვარიანტები, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ო. ურიდიამ, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1966;
6. გიორგი ერისთავი, პიესები, ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, გამომცემლობა „უნივერსალი“, რედ. თინათინ სოსანიძე, ნიგნი გამოსაცემად მოამზადა თამარ გოგოლაძემ, თბ., 2014.

პირველი დადგმა: პიესა პირველად წარმოადგინეს თბილისში 1853-1854 წლების სათეატრო სეზონზე.

სცენური ისტორიიდან: საანალიზო ვოდევილი შეტანილია ქართული პიესების რეპერტუარის ჩამონათვალში, რომელიც გენერალმა ბებუთოვმა პეტერბურგში საცენზუროდ გაუგზავნა მეფის კანცლარის მესამე განყოფილებას. ამით ირკვევა, რომ პიესა იდგმებოდა პროფესიული ქართული თეატრის სცენაზე.¹²⁵

ჟურნალ „მნათობის“ 1870 წლის 1-ლ ნომერში დაბეჭ-

125 A: ფონდი №4, საქმე №437.

დილია ა. კუხელის („გაზეთის თანამგრძნობელის“, – როგორც წერილის ბოლოს დართული ხელმოწერიდან ირკვევა) წერილი სათაურით „წერილი რედაქტორთან“ (წერილი დაწერილია 1870 წლის 8 მარტს), სადაც ავტორი ეხება იმ წლის ყველიერში გამართულ წარმოდგენებს. აქ აღნიშნულია, რომ სცენის მოყვარენი არ ივინყებენ ქართულ სცენას და წელიწადში რამდენჯერმე მართავენ წარმოდგენებს. იმ წელსაც ორჯერ წარმოუდგენიათ სპექტაკლები. პირველ წარმოდგენაზე მაყურებლისთვის უჩვენებიათ ზ. ანტონოვის „მე მინდა კნენა გავხდე“ და ფრანგულიდან ნათარგმნი მოლიერის კომედია „ძალად ექიმი“, ხოლო მეორე წარმოდგენაზე – გ. ერისთავის კომედიები: „უჩინ-მაჩინის ქუდი“ და „ძუნწი“, აგრეთვე მოლიერის კომედია „ცოლის შერთვევინება“, ფრანგულიდან ნათარგმნი დიმიტრი ყიფიანის მიერ.

წერილიდან ვიგებთ, რომ პიესაში „უჩინ-მაჩინის ქუდი“ მარტირუბ რიბნიკოვის როლი შეუსრულებია უ. სუქიასიანს, კიკოლასი – უ. აბაშიძეს.

1872 წლის 19 აგვისტოს სიღნაღში წარმოუდგენიათ „ძუნწი“ და „უჩინ-მაჩინის ქუდი“. ამის შესახებ ინფორმაციას ვეცნობით გაზეთ „დროებაში“. 24 აგვისტოს კი უთამაშიათ „გაყრა“ და კატა-ანონას“ პირველი მოქმედება. სპექტაკლებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სიღნაღელებზე. დარბაზი ორივე დღეს სავსე ყოფილა. აი, როგორ აშუქებს ამ მოვლენას სტატიის ავტორი „სიღნაღელის“ ფსევდონიმით: „ამ შემთხვევამ სიღნაღელები როგორღაც გამოალვიდა. ამ კვირის ფიზიანომია სიღნაღისა სრულებით სხვა არის, სანამ უწინდელის მძინარეობა, აპატია, რომელიც ყველა სიღნაღელის სახეზედ იხატებოდა, უაზრელი, ხან ცაში და ხან დედა მინაზედ ცქერა, როცა ისინი თავიანთ ბულვარ-გომების ბანებზე დადიოდნენ, – ესენი ეხლა სულ შეიცვალა: საითაც მიიხედამ, რაღაც მოძრაობა სიცოცხლე სჩანს; თეატრზე ლაპარაკს, ვინ კარგათ ითამაშა, ვინ ცუდათ, ვინ შეიძლება შეედაროს პიესაში გამოყვანილს პირს, ვინ არის იმათში ივანე, პავლე, მიკირტუმ გასპარიჩი – ამეებზე ლაპარაკს ბოლო არა აქვს. ერთის სიტყვით, სიღნაღის ფიზიანომია გარეგანის შეხედვით, სხვა იმათი პანანკუნა ცოდ-

ვები რომ დავივიწყოთ, მტრისთვისაც კი სასიამოვნო დასანახია.¹²⁶

როგორც ავტორი აღნიშნავს, ერთი-ორი მოქმედი პირის გარდა, ყველა მსახიობს კარგად უთამაშია და მაცურებელი კმაყოფილი დარჩენილა.

1875 წლის 22 აგვისტოს გორში სცენისმოყვარეებს გაუმართავთ „უჩინ-მაჩინის ქუდი“ და ი. ერისთავის გადმოკეთებული კომედია „ძალად ექიმი“. ამ დღეს სცენაზე პირველად გამოსულა ნატო გაბუნია.¹²⁷

1876 წლის 16 აგვისტოს გორის მაზრის სოფელ ქვიშხეთში უთამაშიათ „ძალად ექიმი“ და „უჩინმაჩინის ქუდი“.¹²⁸

გაზეთ „ივერიის“ 1886 წლის 31 დეკემბრის ნომერში (№282) ვეცნობით ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „პარასკევს, 2-ს იანვარს, არწრუნისეულ თეატრში, ქართული დასი, ბ-ნ გიორგი ერისთავის სახსოვრად, ითამაშებს მის პიესებს: „ძუნწი“ და „უჩინ-მაჩინის ქუდი“, რომელშიაც იმერლის როლებს ასრულებს ბ-ნი მესხი, და დრამატიულ სცენას ერთს მოქმედებად „მეფე და პოეტი“, აგრეთვე ბ-ნი მესხის მონაწილეობით.“

იმავე გაზეთის მომდევნო – 1887 წლის 1 იანვრის – ნომერში (№1), პირველივე გვერდზე განმეორებით დაბეჭდილია ქართული თეატრის განცხადება: „პარასკევს, 2 იანვარს, გ. ერისთავის სახსოვრად წარმოდგენილი იქნება: ძუნწი / კომედია 2 მოქ. გ. ერისთავისა. / მეფე და პოეტი / დრამა 1 მოქმედებად / უჩინ-მაჩინის ქუდი / ვოდევილი 1 მოქ. გ. ერისთავისა. / მოთამაშენნი: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, ლეონიძისა, თამაროვისა; ბბ. მესხი, აბაშიძე, აწყურელი, ალექ.-მესხივეი, ცაგარელი და სხვ. / დასაწყისი 7 1/2 საათზე.“

„ივერიის“ 1887 წლის 17 ნოემბრის ნომერში (№240) დაბეჭდილია სტატია სათაურით „წერილი ფოთიდან“,¹²⁹ საიდანაც ვიგებთ, რომ კვირას, 8 ნოემბერს, ფოთის კლუბის დარბაზში ქართული სცენის მოყვარულებს წარმოუდგენიათ რამდენიმე პიესა, მათ შორის, „უჩინ-მაჩინის ქუდი“. წარმოდგე-

126 დროება“, 1872, №35, 8 სექტემბერი, გვ. 2.

127 „დროება“, 1875, №97.

128 იქვე, 36.

129 გვ. 1-2.

ნას კარგად ჩაუვლია, თუმცა მაყურებელთა რიცხვი 20 კაცზე მეტი არ ყოფილა. ავტორი (ფსევდონიმით „ფოთელი“) უკმაყოფილებას გამოთქვამს ფოთის ქართველი საზოგადოების გულგრილობის გამო: „თითქო დაფიცებულები იყვნენ, არამც თუ შემწეობა აღმოუჩინონ, არამედ ცდილობენ საქმე ჩაქოლონ.“

ასევე, გაზეთ „ივერიის“ 1890 წლის 9 დეკემბრის ნომერში (№262), პირველ გვერდზე ვეცნობით სახალხო თეატრის განცხადებას: „ოლგას ქუჩაზედ, სამგზავრო ფოსტის გვერდით, მეზურნუთოვის მამულში კვირას, 9 დეკემბერს, ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება: / I / კეთილი და უმანკო ანგელოზი / კომ. 3 მოქმ. გადმოკ. დავით ერისთავის მიერ. / II / უჩინ-მაჩინის ქუდი / ვოდ. თხზულ. გიორგი ერისთავისა. / მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. დიდებულ-ლიძისა, იოსელიანისა, მძინაროვისა და სხვ.; ბბ. ანყურელი, გამყრელიძე, ადამიძე, მჭედლიშვილი და სხვ. / ადგილების ფასი პარტერში: 1 რიგი 1 მ. 50კ., მეორე – 1 მან. 20 კაპ., მე-3, 4, 5, 6, 7, 8 – 1 მან., მე-9, 10, 11 – 75 კ., მე-12, 13, 14 – 50 კ., მე-15, 16, 17 – 40 კ. დანარჩენნი 30 კ. გალერეია: 1, 2, 3, 4, 5, 6 რიგები – 20 კ., 7, 8, რიგი 15 კ. დანარჩენები – 10 კ. / დასაწყისი 8 საათზედ. / გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.“

იმავე გაზეთის 1890 წლის 22 დეკემბრის ნომერში (№273) დაბეჭდილია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ახალციხეში, კვირას, 9 დეკემბერს, იქაურ სცენის მოყვარულებს დედათა სკოლის სასარგებლოდ წარმოუდგენიათ პიესები: „ხათაბალა“ და „უჩინ-მაჩინის ქუდი“. წარმოდგენას ბევრი მაყურებელი დასწრებია, შემოსავალს 12 თუმანი შეუდგენია. მონაწილეობას იღებდნენ: ბ-ნი ნ. ძიძიკაშვილი, ქ-ნი ნ. გ. დეკანოზიშვილისა, ქ-ნი მ. გ. თუმანოვისა, ბ-ნი გ. ხერხეულიძე, ბ-ნი კ. ა. სვიმო-ნიშვილი, ი. ქ. ჩიკოიძე და დ. დ. დეკანოზიშვილის ასული.

იმავე გაზეთის 1891 წლის 5 იანვრის ნომერში (№3) გასწორებულია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ახალციხეში 9 დეკემბერს წარმოადგინეს „უჩინ-მაჩინის ქუდი“ და „ბაიყუ-ში“.

იმავე გაზეთის 1891 წლის 22 დეკემბრის ნომერში (№273) მოცემული ინფორმაციიდან ვიგებთ, რომ 6 დეკემბერს

სოფლის ახალგაზრდობას წარმოუდგენია „უჩინ-მაჩინის ქუდი“ „შუაგულ რუსეთის დამშეულ გლეხკაცების სასარგებლოდ.“ წარმოდგენას კარგად ჩაუვლია, მაყურებელიც ბევრი დასწრებია, მათ შორის, ახლობელი სოფლებიდანაც. სივინროვის გამო ბევრი ფეხზე მდგარა და ბევრიც უკან დაბრუნებულა. შემოსავალს შეუდგენია 85 მ. და 10კ. იგი ჩაუბარებიათ გაზეთ „კავკაზის“ რედაქციაში მოსკოვში გასაგზავნად გრაფინია ტოლსტოის სახელზე.

იმავე გაზეთის 1895 წლის 2 თებერვლის ნომერში (№25) ვეცნობით ინფორმაციას, რომ კვირას, 29 იანვარს, ადგილობრივ სცენის მოყვარეთ მომავალი ნიგნსაცავის სასარგებლოდ გაუმართავთ წარმოდგენა. უთამაშიათ: „უჩინ-მაჩინის ქუდი“, ვ. გუნისას „რაც არ მერგება, არ შემერგება“ და ა. ყაზბეგის „დილა ქორნილის შემდეგ“. წარმოდგენას კარგად ჩაუვლია, მაყურებელიც ბევრი ყოფილა.

1916 წლის 1 იანვარს პიესა დაიდგა ბაქოს ქართულ თეატრში (რეჟისორი ა. წუნუნავა).¹³⁰

1916 წლის 22 მაისს – ნაძალადევის თეატრში.¹³¹

1949-50 წლების სეზონზე, 18,¹³² 19¹³³ და 25¹³⁴ თებერვალს – კ. ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრში (დადგმა გ. პატარიძე, მხატვარი ი. ტყემალაძე, მუსიკა ნ. გუდიაშვილი).

იმავე წლების სეზონზე, 18 თებერვალს – სამაჩაბლოს (აფიშაზე მითითებულია სამხრეთ ოსეთი. ქ.გ.) სახელმწიფო თეატრში (რეჟისორი გ. პატარიძე, მხატვარი ი. ტყემალაძე).¹³⁵

აქვე წარმოადგინეს იმავე წლების სეზონზე, 19,¹³⁶ 21¹³⁷

130 თარო – 2, საქმე – 6, ექსპონატი 165 (470, ფონდი №13); აგრეთვე: თარო – 2, საქმე – 6, ექსპონატი 168 (539, ფონდი №13);

131 თარო – 4, საქმე – 5, ექსპონატი 116 (1062, ფონდი №16).

132 თარო – 21, საქმე – 2, ექსპონატი 80 (ძვ. ნ. 1351).

133 თარო – 21, საქმე – 2, ექსპონატები 74 და 81 (ძვ. ნ. 1351).

134 თარო – 21, საქმე – 2, ექსპონატი 95 (ძვ. ნ. 1351).

135 თარო – 10, საქმე – 1, ექსპონატი 48 (6057, ფონდი №71).

136 თარო – 10, საქმე – 1, ექსპონატი 49 (6055, ფონდი №71).

137 თარო – 10, საქმე – 1, ექსპონატი 47 (6056, ფონდი №71).

და 25 თებერვალს,¹³⁸ 1,¹³⁹ 7¹⁴⁰ და 10 მარტს.¹⁴¹

1974 წლის აგვისტოში დაიდგა ბორჯომის სახალხო თეატრში „ძველი ვოდევილების“ სახელით ა. ცაგარლის „ჭკუისა მჭირს“ პიესასთან ერთად (დამდგმელი რეჟისორი გ. ხმალაძე, მხატვარი ო. ხუციშვილი, მუსიკალური გაფორმება მ. ჩირინაშვილი).¹⁴²

პიესა შეტანილი იყო თენგიზ ჩანტლაძის სახელობის სატირისა და იუმორის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარში (რეჟისორი ნ. იონათამიშვილი, მხატვარი ვ. ქორიძე, მუსიკა ლ. ქალიაშვილი).¹⁴³

1975 წელს დადგეს გორელმა სცენისმოყვარეებმა.¹⁴⁴

განხორციელდა სპექტაკლის სატელევიზიო დადგმაც. მასში მონაწილეობდნენ: ეროსი მანჯგალაძე, დათო პაპუაშვილი, ნანული სარაჯიშვილი, მანანა გამცემლიძე, სოსო ლალიძე, ბესო ხიდემელი; რეჟისორი: გიორგი კახაბრიშვილი.

1991 წლის 23 ივნისს დაიდგა ფოთის თეატრში (რეჟისორი ზ. სიხარულიძე, მხატვარი ზ. ცხადაია, მუსიკა გ. ჯანელიძე).¹⁴⁵

პიესა წარმატებით იდგმება XXI საუკუნეშიც: მაგ., ის განხორციელდა ამბროლაურის სახალხო თეატრში, სომხურ თეატრში (პრემიერა შედგა 2009 წლის 3 ოქტომბერს), ცხინვალის თეატრში (პრემიერა შედგა 2011 წლის 10 ივლისს), თბილისის აზერბაიჯანულ თეატრში (პრემიერა შედგა 2007 წელს),¹⁴⁶

138 თარო – 10, საქმე – 1, ექსპონატი 53 (6060, ფონდი №71).

139 თარო – 10, საქმე – 1, ექსპონატი 52 (6084, ფონდი №71).

140 თარო – 10, საქმე – 1, ექსპონატი 50 (6082, ფონდი №71).

141 თარო – 10, საქმე – 1, ექსპონატი 51 (6078, ფონდი №71).

142 ა. დევიძე, „ძველი ვოდევილები“ ბორჯომის სახალხო თეატრში: „ბორჯომი“, 1974, 15 აგვისტო, №98, გვ. 4.

143 თარო – 24, საქმე – 1, ექსპონატი №6.

144 დ. გელაძე, ლ. ნვერავა, ნ. დალაქიშვილი, ვ. რაზმაიშვილი, გიორგი ერისთავი: http://gluxarichi.blogspot.com/p/blog-page_12.html

145 თარო – 15, საქმე – 2, ექსპონატი 83.

146 <http://www.geotheatre.ge/ge/spektakl.php?ID=274&N=62>

ვოდვეილი „წარსული დროების სურათები“

პიესა შემონახულია სამი ხელნაწერით: ამათგან ორი ავტორს ეკუთვნის, ხოლო ერთი გადაწერილია მისი შვილის – დავით ერისთავის – მიერ. ორი ხელნაწერი დაცულია ლიტერატურის მუზეუმში, ხოლო ერთი – საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში:

ავტოგრაფი: L: №18016.

ავტოგრაფის აღწერილობა: ხელნაწერი წიგნი; მაგარყდიანი, დაწერილია შავი ფანქრით; წიგნი შეიცავს 71 ფურცელს, პიესა დაწერილია 1-9 და 18-32 ფურცლებზე. მე-9-დან მე-18-მდე ფურცლამდე გვერდები თავისუფალია; ხელნაწერი წიგნის ზომა: 16,8X20,8 სმ.

ავტოგრაფი ეკუთვნის გიორგი ერისთავს და წარმოადგენს შავ პირს. მასში ბევრია ჩასწორებები, გადახაზული ადგილები.

მოქმედ პირთა ჩამონათვალში გადახაზულია „ნასყიდა“; არ წერია „როზინა“ და „მარსელინა“, თუმცა პიესაში მონაწილეობენ.

ავტოგრაფში პიესის სათაური მოცემული არ არის, არც თარიღი და გორი წერია.

ხელნაწერი: L: №18017.

ხელნაწერის აღწერილობა: გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ფურცლები, მოიცავს 28 გვერდს; ფურცლები ერთმანეთთან ძაფითაა დამაგრებული; დაწერილია შავი მელნით; ფურცლების ზომა: 22,1X17,8 სმ.

ხელნაწერი წარმოადგენს გიორგი ერისთავის შვილის – დავით ერისთავის – მიერ მამისეული (L: №18016) შავი ავტოგრაფის სუფთად გადაწერილ პირს, რომელსაც სათაურად აწერია „თევზის კანტორა“.¹⁴⁷ მასში ზედმიწევნითაა გათვალისწინებული ავტორისეული სწორებები. აქა-იქ თვით გადაწერსაც ჩაუწვდებიან ტექსტი თავისი გემოვნებით.

¹⁴⁷ სწორედ ამ სათაურით დაიბეჭდა პიესა პირველად ავტორის თხოვლებათა 1884 წლის გამოცემაში. მოცემულ სათაურს ფრჩხილებში ახლავს აგრეთვე გაგრძელება: „სურათები შეუსრულებელის კომედიიდან.“

ხელნაწერში „მარსელინა“ და „როზინა“ წერია პერსონაჟთა ჩამონათვალი.

ავტოგრაფი: C: S №4914.

ავტოგრაფის აღწერილობა: გახუნებული, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის, აუკინძავი 14 ფურცელი, ზომა: 22X17,9 სმ; პიესა განთავსებულია 12 ფურცელზე; შესრულებულია შავი მელნით.

ავტოგრაფი გიორგი ერისთავს ეკუთვნის და წარმოადგენს მისივე შავი ავტოგრაფის სუფთად გადაწერილ თეთრ პირს.

ჩვენს გამოცემას საფუძვლად სწორედ ეს ბოლო ავტოგრაფი უდევს და არა პირველი პუბლიკაცია, რადგანაც იგი გამოიცა ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1884 წელს.

შეინიშნება სხვაობები ავტოგრაფის შავ (L: №18016) და თეთრ (C: S №4914) ვერსიას შორის. რამდენიმეს წარმოვადგენთ ცხრილის სახით:

შავი პირი: L: №18016	თეთრი პირი: C: S №4914
წაუიდეც	წაუვიდეც
ქმარს უჩივი	ქმარ უჩივი
ახლა	ეხლა
ჰსწყევლავ	სწყევლამ
ჰსწორე	სწორე
პაჩისათუს	პაჩისათვის
ჰსცალიან	სცალიან
ფულს აძლევენ	ფულ აძლევენ
ფერმუარს თავში ვახალეზ	ფერმუარ თავში ვახალეზ
კარგათ იყავით	კარგა იყავით
რატომა.	რატომ?

ფულს უმატებს	ფული უმატებს
არაიქთ?	არ იქთ
ჩემი სახელი ევროპია იცის.	ჩემი სახელი ევროპამ იცის.
დიდს სარკის წინ	დიდი სარკის წინ
რას ბოდაობ!	რას ბოდამ?
გაკუტრო	გაკოტრო
რა ეშმაკი გააკუტრებთ	რა ეშმაკი გააკოტრებთ
მე არ გაგიძლე კუჭი	მე არ გაგაძლე
შენკი	შენ კი
პარიჟიდან	პარიჟიდგან
ხიზილალის ბოჩკაზედ	ხიზილალის ბოჩკაზე
გონბიო	გომბიო
ჩვენი მდგმური	ჩვენი დგმური
დაუკეტს კარებს	დაუკეტამს კარებს
ირრემი	ირემი
არაუშავსრა	არა უშამს რა
ასეთ ლექსებს	ისეთს ლექსებს
აყალ მაყალობენ	აყალ-მაყალობენ
მაგაზედ	მაგაზე
ხორც კარგს მივცემ	ხორც კარგ მივცემ
არუთხარ	არ უთხარ
ლემენცას მიუხდენ	ლემენც მიუხტნენ
ვერ იპოვნეს	ვერ იპოვეს
იძახდენ	იძახდნენ
ნაობახტიდგან	ნაობახტიდან
აყალმაყალი	ყალმაყალი
ნოუ ნოუ	ნონ! ნონ!
რუსული ქაჯური არის	რუსული ქაჯურია
სადლეგძელოს	სადლეგრძელოს

პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით: პიესა ორიგინალური თხზულებაა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ხელნაწერს, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს გამოცემას, პირველ გვერდზე აწერია: „წარსული დროების სურათები. თხზ. გიორგი ერისთავისა.“

პირველი პუბლიკაცია: თ. გიორგი დავითის ძის ერისთავის თხზულება (სურათით), მეორე გამოცემა, თფილისი, ი. გ. მელ-იქიშვილის სტამბა, 1884.

აქ პიესა დაიბეჭდა სათაურით: „თევზის კანტორა (სურათები შეუსრულებელის კომედიიდგან)“.

დანერის თარიღი: „1863-1864 წ. ქ. გორს.“¹⁴⁸

შენიშვნები: 1. აქ ჯერ დაუნერია „ხამფერვან“, მერე „მ“ „ნ“-დ გადაუკეთებია;¹⁴⁹ ხელნაწერში რამდენიმე ადგილას ავტორს დავიწყებია „მ“-ს „ნ“-დ გადაკეთება; ჩვენ ყველგან ჩავასწორეთ სახელი და დავტოვეთ „ხანფერვან“; 2. ხელნაწერშია „დაგვენერა“; 3. სიტყვა ხაზგასმულია ორჯერ, ამასთან, წერია „ვსთქვან“; ანლაუტში „ჰ“-ც სწერებია და მერე ხაზი გადაუსვამს; 4. სიტყვა ხაზგასმულია; 5. „ამთენი ენა მოვიტეხე“ ხაზგასმულია; 6-7. სიტყვა ხაზგასმულია; 8. ჯერ დაუნერია „კიდევ“, მერე „ვ“ „ნ“-დ ჩაუსწორებია; 9. აქ „უშამსრა“ დაუნერია და „მ“ „ვ“-დ ჩაუსწორებია; 10. ასეა!

პიესის გამოცემის ისტორიიდან: პირველი პუბლიკაციის შემდეგ:

1. თხზულებანი, შ. რადიანისა და ი. ბალახაშვილის რედაქციით, ტფ., „ფედერაცია“, 1936;
2. პიესები, შ. რადიანის რედ. და შესავალი წერილით, თბ., სახელგამი, 1950;
3. თხზულებანი, ტექსტი დაადგინა, გ. ერისთავის ბიოგრაფიული მონაცემები, ენობრივი მიმოხილვა, ვარიანტები, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ო. ურიდიამ, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1966;
4. გიორგი ერისთავი, პიესები, ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, გა-

148 როგორც ვხედავთ, ავტორს დანერის ადგილიც აქვს მითითებული.

149 საუბარი შეეხება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ავტოგრაფს (თეთრ პირს), რომელსაც ჩვენი გამოცემა ეყრდნობა.

მომცემლობა „უნივერსალი“, რედ. თინათინ სოსანიძე, ნიგნი გამოსაცემად მოამზადა თამარ გოგოლაძემ, თბ., 2014.

1936 წლის გამოცემაში, სადაც პიესა დაბეჭდილია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყოფ. ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების ხელნაწერთა ფონდის №4914-ში დაცული ავტოგრაფის¹⁵⁰ მიხედვით (იქიდანვეა აღებული პიესის სათაური „წარსული დროების სურათები“), მკვლევარი შალვა რადიანი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გიორგი ერისთავის თხზულებათა 1884 წლის გამომცემელს ხელთ ჰქონია დავით ერისთავის ხელით გადწერილი ტექსტი, რომელსაც სათაურად „თევზის კანტორა“ ჰქვია.

1884 წლის გამოცემაში იონა მეუნარგია აღნიშნავს: „თევზის კანტორაზე“, რომელშიაც მკითხველები დაინახვენ ბევრს ქალაქის ნაცნობ პირებს... ჩვენ არა გვაქვს რა ცალკე სათქმელი“.¹⁵¹

პირველი დადგმა: ინფორმაციას ამის შესახებ ვერ მივაკვლიეთ.
სცენური ისტორიიდან: პიესა შეტანილი იყო გიორგი ერისთავის დროინდელი თეატრის რეპერტუარში,¹⁵² თუმცა მასალებს მისი სცენური ისტორიის შესახებ ვერ მივაგენით.

დამიტრი მელვინეთხუცესოვი (მელვინეთხუცესიშვილი)

ბიოგრაფიული ცნობები: სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც მელვინეთხუცესოვი // მელვინეთხუცესიშვილი. მისი ცხოვრების წლები ვასილ კიკნაძის მონოგრაფიაში – „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“¹⁵³ – ღიად არის დატოვებული (მარტო ფრჩხილებია გახსნილი, მაგრამ შიგ წლები არ წერია, რაც მიუთითებს, რომ ავტორისთვის ეს

150 რომელიც დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი ინახება.

151 თ გიორგი დავითის ძის ერისთავის თხზულება (სურათით), მეორე გამოცემა, თფილისი, ი. გ. მელიქიშვილის სტამბა, 1884, გვ. №V.

152 ა. გაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, „ხელოვნება“, თბ., 1957, გვ. 292.

153 გამოიცა ორ ტომად 2003 წელს.

ინფორმაცია ცნობილი არ იყო).

დრამატურგის ცხოვრების წლები მოცემულია ამბერკი გაჩეჩილაძის მონოგრაფიაში: ავტორს უცხოვრია 1815-1878 წლებში. იგი ქართლიდან, სოფელ ხიდისთავიდან, ყოფილა. გ. ბუხნიკაშვილისა და ს. ხუციშვილის ინფორმაციით კი, ის ცხოვრობდა გორში და სახლი და მამული ჰქონდა ხიდისთავშიც.¹⁵⁴

თანამშრომლობდა „დროებაში“, „ცისკარში“, „სასოფლო გაზეთში“. 1851 წელს მიუწვევიათ გიორგი ერისთავის თეატრში, სადაც მისივე ხელმძღვანელობით რეჟისორის თანამდებობაზე მუშაობდა. აქვე იდგმებოდა მისი პიესები.¹⁵⁵

ზაქარია ჭიჭინაძის ინფორმაციით, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი განათლებული, საქართველოს ისტორიისა და მწერლობის მცოდნე და მოყვარული ყოფილა, თავადაც მწიგნობარი, ქართველი ერის განათლებაზე მზრუნველი, თეატრალური საქმეების გულშემმატკივარი.¹⁵⁶ მკვლევარს ის გაუცვნია დიმიტრი ბაქრაძის სახლში 1878 წელს და ბევრი ცნობა მიუწვდია მისთვის 1850 წელს გახსნილი ქართული თეატრის შესახებ.¹⁵⁷

ვალერიან გუნია „საქართველოს კალენდარში“ დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილს ახასიათებს, როგორც ნიჭიერ კაცს, საქართველოს ისტორიის დიდ მცოდნესა და ამაღორძინებელს, რომელიც ყველგან საქართველოს ისტორიის სასარგებლოდ იღწვოდა, როგორც შეეძლო. იყო სხვადასხვა საისტორიო, სამეცნიერო და არქეოლოგიურ საზოგადოებათა წევრი.¹⁵⁸

154 გ. ბუხნიკაშვილი, გორის თეატრი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1965, გვ. 12; ს. ხუციშვილი, „გამოუცდელობა ანუ დროებითი განშორება საყვარელთა“: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950, №21.

155 ა. გაჩეჩილაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32; ჟურნალ „ცისკრის“ დრამატურგია (1852-1875 წწ.), შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო კ. გენაძემ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, რედაქტორი ჯ. ჭუმბურიძე, თბ., 1987, გვ. 402.

156 ზ. ჭიჭინაძე, დრამატულ მოღვაწე. ასპარეზზე: „თეატრი და ცხოვრება“, 1910, №18, გვ. 12.

157 მიხეილ თუმანიშვილი ქართული დასის ჩამოყალიბების თარიღად ასახელებს 1851 წელს, 1850 წელს დადგმულ სპექტაკლებს კი საცდელად მიიჩნევს. ის წერს: „თბილისში, გასულ 1851 წელს ჩამოყალიბდა ქართული დასი... საცდელად, 1850 წელს, თბილისში, თეატრის კუთილშობილ მოყვარულთაგან მოწყობილი იქნა რამდენიმე ქართული წარმოდგენა, შესრულებული იყო სულ ორი კომიკური პიესა, დაწერილი თავად გიორგი ერისთავის მიერ“ (მ. თუმანიშვილი, „ქართული თეატრი“: ქართული მწერლობა, ტ. 9, „ნაკადული“, თბ., 1992, გვ. 631-634).

158 საქართველოს კალენდარი, 1895, გვ. 491.

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას. მეცნიერული დავალებების შესასრულებლად ზაფხულობით მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მოპოვებულ მასალებს აწვდიდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს – მარი ბროსეს. როდესაც ეს უკანაკნელი გორს სტუმრებია, მათ ერთად უმოგზაურიათ. მარის გორში მოგზაურობას იგი გამოეხმაურა წერილით ჟურნალ „ცისკარში“ 1860 წელს. ექსპედიციების დროს მასალებს აგროვებდა თავისი პიესებისთვისაც.¹⁵⁹

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, მელვინეთხუცესიშვილი გარდაიცვალა 1885 წელს ღრმად მოხუცებული.¹⁶⁰

მისი გარდაცვალების თარიღად 1878 წლის 6 დეკემბერს ასახელებენ გ. ბუხნიკაშვილი¹⁶¹ და ს. ხუციშვილი. ამ უკანასკნელმა გამოაქვეყნა მისი საფლავის ქვაზე შესრულებული წარწერა: „აქა განისვენებს გვამი აზნაურის კოლესკი ასესორის დიმიტრი კონსტანტინეს-ძისა, მელვინეთხუცესის შვილისა. იშვა 1815 წ. მიიცვალა 6 დეკემბერს 1878 წ. დასდო ღვანლი მამულს არხეოლოგიურის შრომით, რომელიც გამოიცა სანკტ-პეტერბურლის სამეცნიერო აკადემიის მიერ.“¹⁶²

ვალერიან გუნიას მისი გარდაცვალების თარიღად მოცემული აქვს 1880 წელი.¹⁶³

მწერლის დრამატურგია: დრამატურგიულ მწერლობაში მოღვაწეობა დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილს 1844 წლიდან დაუწყო.

ცნობილია ავტორის რამდენიმე პიესა: „გამოუცდელობა ანუ დროებითი განშორება საყვარელთა“ (დაიდგა 1845 წელს, 1971 წელს გამოაქვეყნა სოლომონ ხუციშვილმა),¹⁶⁴ „კატა ანონა“ (დაიბეჭდა 1869 წელს „დროებაში“, ცალკე წიგნად გამოიცა 1880 წელს), „უბედური მოარშიყე“ (დაიბეჭდა 1870 წელს

159 ა. გაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, 1952, გვ. 319-320.

160 ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., იქვე.

161 გ. ბუხნიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

162 ს. ხუციშვილი, „გამოუცდელობა ანუ დროებითი განშორება საყვარელთა“: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950, №21.

163 საქართველოს კალენდარი, 1895, გვ. 491.

164 „საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოამბე“, №5 (63), სექტემბერი-ოქტომბერი, 1971, გვ.: 34-36.

„დროებაში“), „ექიმბაში“ (გამოიცა 1876 წელს ცალკე წიგნად), „ვიჭაკი“ (დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1869 წლის მე-10 ნომერში ხელმოუნერლად და უსათაუროდ: გვ.: 11-73), „ანჩხლი ცოლი“.¹⁶⁵

ეთერ ქავთარაძე ამ სიას უმატებს ნაწარმოებს: „ჩაჩხების ჩვეულება“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ სათაურით: „მხედარი და ზინეიდა“.¹⁶⁶

ავტორის მიერ დაწერილ კომედიებს შორის ვალერიან გუნია ასახელებს პიესას „არშიყნი“.¹⁶⁷

ამბერკი გაჩეჩილაძე მეღვინეთხუცესიშვილს სამართლიანად თვლის ერისთავის სკოლის წარმომადგენლად.

მის ოთხ პიესას („გამოუცდებლობა ანუ დროებითი განშორება საყვარელთა“, „კატა ანონა“, „უბედური მთარშიყე“ და „ექიმბაში“) ვოდვეილად მიიჩნევს.¹⁶⁸ ასევე ვოდვეილად მოიხსენიებენ ამ პიესებს დალი მუმლაძე და თამარ ქუთათელაძე.¹⁶⁹

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი წერდა ლექსებსაც და აქვეყნებდა ჟურნალ „ცისკარსა“ და გაზეთ „დროებაში“. მაგ., დაბეჭდილია მისი ლექსები: „ფრინველი“,¹⁷⁰ „სევდისა გუნდნი შემომეხვევიან“.¹⁷¹

ენეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც. უთარგმნია პიესა „მამის წყევლა“.¹⁷²

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პიესებიდან ჩვენ ვოდვეილად მივიჩნიეთ ოთხი: „კატა ანონა“, „ანჩხლი ცოლი“, „უბედური მთარშიყე“ და „ექიმბაში“ (გამოცემის შესავალ ნაწილში წარმოდგენილი კრიტიკრიუმების მიხედვით).

165 დღემდე გამოუქვეყნებელი.

166 „ცისკარი“, 1859, №8, გვ.: 253-261.

ჩვენი აზრით, ეს ნაწარმოები პატარა პოემის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე პიესისას.

167 საქართველოს კალენდარი, 1895, გვ. 491.

168 იხ. ა. გაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, „ხელოვნება“, თბ., 1957, გვ. 320.

169 იხ.: დ. მუმლაძე, თ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 134.

170 „ცისკარი, 1860, №7, გვ.: 217-218.

171 „დროება“, 1868, 12 იანვარი, №2, გვ. 4.

172 გ. ბუხნიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

ვოდევილი „კატა-ანონა“

ავტოგრაფი: C: დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, №23 (ძველი H 2599).

ავტოგრაფის აღწერილობა: გახუნებული, გაცრეცილი, გაყვითლებული, საშუალო სისქის ცალხაზიანი, დიდი ფორმატის ფურცლები, რომლებიც არ არის ჩამაგრებული და გაშლილია; ზომა: 26,8X21,5 სმ; ხელნაწერი შედგება 20 ფურცლისაგან; იგი მთავრდება მე-18 ფურცლის v გვერდზე; ქვემოთ აქვს საქართველოს საისტორიო და საეთნოგარფიო მუზეუმის ბეჭედი; იგივე ბეჭედი პირველ და ბოლო ფურცლებზე.

ავტოგრაფს უძღვის ავტორის მინაწერი და თარიღდება 1875 წლით. მასში ვკითხულობთ:

„უფალო რედაქტორო!

ამასთანავე გიგზავნი სრულს კამედიას „კატა ანონა“ მეორეთ დასაბეჭდათ, რადგანაც პირველი იყო შემოკლებული ხალხის ცხოვრებიდამ შედგენილი ნამდვილი და არა მოგონილი; უკეთუ საზოგადოება, ესე იგი პუბლიკა დაინახამს ამ პიესას კვალადვე ღირსეულად, მაშინ მე არ დაუტევებ სხვებზედაც ჩემ შრომას, ამისთვის რომ ქართულს ენაზედ ფრიად მცირეა დანერვილი ამგვარები შესაქცევრად.

დ. მ.¹⁷³

თავფურცელს აწერია:

„კამედია.

კატა ანონა.

მეორეთ გამოცემული სრული.

დიმიტრი მელვინეთხუცესოვისა.

თბილისი.

173 ინიციალები ასომთავრულით წერია. ქ. გ.

1875¹⁷⁴ წელსა.

დაბეჭდილი ტიპოგრაფიაში.. –“ 174

პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით: პიესა ორიგინალურია, თუმცა სიუჟეტი ნასესხები უნდა იყოს მოლა ნასრედინის ერთ-ერთი ოხუნჯობიდან. „ერთ დილას მოლამ ერთი ოყა ხორცი იყიდა და შინ მიიტანა, თვითონ კი თავის საქმეებზე ნავიდა. ცოლმა ხორცი შეწვა, მეგობრებს დაუძახა და კარგად გაუმასპინძლდა. როდესაც მოლა დაბრუნდა, ქალმა მხოლოდ მოხარშული ბრინჯი დაახვედრა. მოლამ ხორცი მოიკითხა – სად არისო.

– ხორცი შენმა საყვარელმა კატამ შემიჭამა, – უპასუხა ცოლმა.

მოლამ სასწორი მოიტანა, კატა დაიჭირა და აწონა. კატა სრული სამი გირვანქა გამოვიდა.

– აი, შე უსირცხვილო შენა, თუ ეს ხორცია, სად არის კატა? და თუ კატაა, ხორცი რაღა იქნა? – უთხრა მოლამ.“¹⁷⁵

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პიესები ორიგინალურია. ამის შესახებ ინფორმაციას შეიცავს მისი წერილი მარი ბროსესადმი, რომელიც დათარიღებულია 1851 წლის 20 მარტით, სადაც წერს: „ბრძანებისამებრ ნამესტნიკისა ახლა მე ვწერ ქართულ პიესებს და ვასწავლი წარმოდგენას ჩვენს ახალ აკტიორებსა და აკტრისებს. ჩემს დაწერილ პიესებს სწავლობენ და წარმოდგენენ ქართულს ენაზედ მომავალს დღესასწაულებში. ამისთვის დავრჩები ტფილისში მაისის გასვლამდე.“¹⁷⁶

პირველი პუბლიკაცია: პიესის პირველი რედაქცია გამოქვეყნდა 1869 წელს: „დროება“, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, 1869 წელი, 25 სექტემბერი (7 ოქტომბერი), №39, გვ.: 1-4.

პიესის მეორე რედაქცია კი ცალკე წიგნად გამოიცა 1880 წელს: კატა აწონა / კომედია ორს მოქმედებაში / სრული

174 თავფურცლის ბოლოში კატა დახატული შავი ფანქრით. ქ. გ.

175 <http://oxun.ge/134606-mola-nasredini.html>

176 ვიმონებთ ე. ქავთარაძის სადისერტაციო ნაშრომიდან, გვ. 57.

თხზულება დიმ. მეღვინეთხუცოვისა. – თბილისი: საამხანაგო ქართველთა წიგნის მაღაზიის გამოც., 1880 (გ. ჩარკვიანის სტ.).
დანერის თარიღი: საანალიზო პიესის ორი ძირითადი რედაქცია მოგვეპოვება: პირველი – მოკლე, ხოლო მეორე – ვრცელი და გადამუშავებული. პირველი რედაქციის ხელნაწერი დაკარგულია, მაგრამ შემორჩენილია მისი პირველი პუბლიკაცია (1869 წ.).

ამბერკი გაჩეჩილაძის აზრით, „კატა ანონას“ ეს ვერსია დანერილი უნდა იყოს 1845 წელს: სწორედ ამ წლებში დაიწყო მან პიესების წერა. შემდეგ, როდესაც ეს პიესა ცალკე წიგნად გამოიცა (1880 წელს), ავტორს უხერხულობა უგრძვნია და თარიღი „ათას რვაას ორმოცდა ხუთსა წელსა“ ამოუღია, მის ადგილზე წერტილები დაუსვამს, ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ 1880 წლისთვის ეს თარიღი მიზანშეწონილად არ ცნოო.¹⁷⁷

დანერის თარიღის შესახებ ცნობას თავად პიესა შეიცავს. მთავარი პერსონაჟი ყაზარა წუნკიოვი ადგენს თამასუქს, საიდანაც ვიგებთ, რომ პიესაში მოქმედება ხდება 1845 წლის 28 დეკემბერს: „ათას რვაას ორმოცდა ხუთსა წელსა ქრისტეშობის ოცდა რვაასა დღესა, მე ქვემორე ამისა ხელის მომწერელმა, უკუღმა სოფელში მცხოვრებელმა სახელმწიფო გლეხმა ანდრია ბერიას ძემ ბერიკაშვილმა ავიღე ვალათ თქვენ მოქალაქის ყაზარა ბაღდასარას ძის წუნკიოვისაგან ათი მანეთი (თუმანი) რუსის სირმა ვერცხლი“.

ვოდევილები, საზოგადოდ, სწრაფად იწერებოდა (ხშირად ერთ ღამეშიც კი), დანერის თარიღი და პიესაში გადმოცემული მოვლენები, ჩვენი დაკვირვებით, სრულ თანხვედრაშია ერთმანეთთან. ამის გათვალისწინებით, პიესა 1845 წელს უნდა იყოს დანერილი.

პიესის მეორე რედაქცია, რომელიც ავტოგრაფის სახითაა შემონახული და დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, როგორც ზემოთ ვნახეთ, 1875 წლით თარიღდება.

ჩვენ გამოცემაში ძირითად ტექსტად ვებჭდავთ ამ მეორე რედაქციას, ხოლო პიესის პირველ რედაქციას წარმოვადგენთ სამეცნიერო აპარატში, ქვემოთ.

177 ა. გაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, „ხელოვნება“, თბ., 1957, გვ. 321.

რაც შეეხება 1880 წელს ცალკე წიგნაკად გამოცემულ პიესას, ეს მეორე რედაქციის ოდნავ შეცვლილი ვერსიაა, ალაგ-ალაგ შემოკლებული. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხელნაწერის სიტყვა, ან ფრაზა გამოცემაში სხვა სიტყვით არის შეცვლილი.

მაგალითისთვის წარმოვადგენთ ორ ნიმუშს (სხვაობები გამუქებულია):

ავტოგრაფი	1880 წლის გამოცემა
<p>სცენა წარმოადგენს: ოთახია პატარა ალიზისა სუფთა, გალესილი, ერთ მხარეს ძველი დივანი დგა და ორი ძველი სკამები, დივანთან დიდი ფულის ზანდუკი რკინა გადაკრული, მეორე მხარეს ტახტია ზედ ქერა ხალიჩა დაგებული და მუთაქა ძვეს, ტახტის ბოლოს ლომბერნის სტოლზედ სანერკალამი და ქალაღდი ანყვია, კუნჭულთან თიხის ლიტრა დგა, და ტახტქვეშ სასწორია საწონებით.</p>	<p>ოთახია პატარა ალიზისა სუფთა, ერთ მხარეს დივანი დგა და ორი სკამები, დივანთან დიდი ფულის ზანდუკი, მეორე მხარეს ტახტი ზედ ქერა, ხალიჩა დაფენილი და მუთაქა ძვეს, ტახტის ბოლოს კაკლის სტოლი, ზედ სანერ-კალამი და ქალაღდი, კუნჭულში წყლით ლიტრა.</p>
<p>ანდრია. ისევ შენთან მოვედი მეტი ღონე არა მაქვს, ნათქვამია შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველს ლხინსაო. – შენ უნდა გამიმართო ხელი ერთი თუმანი მასესხო, ხარჯსა მთხოვენ იასაული შინ მადგა ლამის ცოლ-შვილი დამინიოკონ, სარგებელი რაც გინდა გამომართვი ოღონდ ეხლა ცარიელს ნუ გამისტუმრებ, ღმერთ ენდე რითაც იქნება შენს ვალს გადავიხდი.</p>	<p>ანდრია. ისევ შენთან მოვედი, ნათქვამია შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსაო. – შენ უნდა მასესხო ერთი თუმანი ფული, ხარჯსა მთხოვენ, იასაული სახლში მიდგა, ლამის ცოლ-შვილი დამინიოკონ, სხვაგან ვერსად ვიპოვნე.</p>

პიესის გამოცემის ისტორიიდან: ჟურნალ „მნათობის“ 1869 წლის ნოემბერ-დეკემბრის ნომერში¹⁷⁸ დაბეჭდილია ივ. ელიოზიშვილის წერილი ახალი გამოცემების შესახებ, სადაც ავტორი ეხება საანალიზო პიესასაც და წერს, რომ „ამ მოკლე ხანში გამოვიდა“ მეღვინეთხუცესიშვილის კომედია „კატა ანონა“, რომელიც ჯერ „დროებაში“ იყო დაბეჭდილი „და იქიდან ცალკე წიგნათაც გადმოიღეს“. მითითებულია მოცულობა – ერთი ბეჭდის თაბახი – და ფასი – ერთი შაური. ავტორი პიესას სასარგებლო საკითხავ წიგნად მიიჩნევს, რომელიც სიაფის გამო კარგად იყიდება. პიესა ცალკე წიგნად 1880 წელს დაიბეჭდა და რომელ წიგნად გამოცემაზეა საუბარი 1869 წელს, ჩვენთვის უცნობია. ზაქარია ჭიჭინაძეც აღნიშნავს, რომ პიესა ორჯერ გამოიცა ცალკე წიგნად.¹⁷⁹

ჟურნალ „ივერიის“ 1881 წლის თებერვლის ნომერში (№2) დაბეჭდილია წერილი სათაურით: „ახალი წიგნები“,¹⁸⁰ სადაც ავტორი ეხება რაფიელ ერისთავის ხუმრობა-ვოდევილს „პარიკმახერისას“, დიმიტრი მეღვინეთ-ხუცესოვის¹⁸¹ კომედიას „კატა ანონა“ და ტერ-ასტვანატურიანცის ფარსს „კაპიშონი“. სამივე გამოცემას ავტორი მოიხსენიებს, როგორც სამ პატარა მჭლე წიგნს და მათ უმნიშვნელო და უაზრო ვოდევილებად თვლის. იქვე შენიშვნის სახით მიუთითებს, რომ რაფიელ ერისთავის ვოდევილი ბევრად სჯობს დანარჩენ ორსო. მისი შეხედულებით, კარგ ვოდევილს აზრი აქვს მხოლოდ სცენაზე და არა წასაკითხად. მათ მხოლოდ მაყურებლის გასართობად ადგენენ და არა იმიტომ, რომ საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდეთ.¹⁸²

ამდენად, დღესათვის ჩვენ ვერ მოვიძიეთ 1869 წელს ცალკე წიგნად გამოცემული პიესა. 1880 წლის შემდეგ „კატა ანონა“ აღარ გამოქვეყნებულა.

178 გვ. 1-8.

179 ზ. ჭიჭინაძე, დრამატიულ მოღვაწე. ასპარეზზე: „თეატრი და ცხოვრება“, 1910, №18, გვ. 12.

180 გვ.: 141-146. ავტორი არ არის მითითებული.

181 ავტორისა და პიესის დაწერილობას ყველგან წარმოვადგენთ სტატიის ავტორისეული ორთოგრაფიით, ამიტომაც ის სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარადაა მოცემული.

182 „ივერია“, 1881, №2, გვ. 145.

პირველი დადგმა: ეთერ ქავთარაძე პიესის პირველი დადგმის თარიღად ასახელებს 1872 წელს, როდესაც იგი სიღნაღში წარმოადგინეს, მაგრამ, რამდენად იყო ეს პირველი დადგმა, ინფორმაციას ამის შესახებ ვერ მივაკვლიეთ.

სცენური ისტორიიდან: ამბერკი გაჩეჩილაძის ვარაუდით, ერისთავის თეატრის რეპერტუარში, სხვა პიესებთან ერთად, ირიცხებოდა 1870 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებული მისი ვოდევილი „უბედური მოარშიყე“, „კატა-ანონა“ და „გამოუცდელობა ანუ დროებითი განშორება საყვარელთა“.

ეთერ ქავთარაძე მიუთითებს, რომ დიმიტრი მელვინეთს-უცესიშვილის პიესების პირველ პროფესიულ თეატრში წარმოდგენის შესახებ არავითარი წერილობითი ცნობა არ შემონახულა, ამიტომ მას უმართებულოდ მიაჩნია ამბერკი გაჩეჩილაძის მიერ გიორგი ერისთავის თეატრის რეპერტუარში ზემოთ დასახელებული სამი პიესის შეტანა. იგი წერს: „მკვლევარისთვის ცნობილია მწერლის კიდევ ერთი პიესა – „ექიმბაში“. გაუგებარია, რა მოსაზრებით გამოტოვა მან ამ სიიდან „ექიმბაში“, ან რა საბუთს ეყრდნობოდა, როცა პირველი სამი შეიტანა.“¹⁸³

ამბერკი გაჩეჩილაძის ვარაუდითვე, დრამატურგის პიესები უნდა დადგმულიყო აგრეთვე მის მშობლიურ სოფელ ხიდისთავში. გორში ორმოციან წლებში რომ წარმოდგენები იმართებოდა, ამის დასტურად მეცნიერს მიაჩნია მეცნიერეზათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის ქართულ ხელნაწერთა მარი ბროსესეულ ფონდში (NC-24) დაცული დიმიტრი მელვინეთს-უცესიშვილის ერთმოქმედებიანი პიესა „გამოუცდელობა ანუ დროებითი განშორება საყვარელთა“¹⁸⁴ (აღმოაჩინა ს. ხუციშვილმა), რომელიც 1845 წლის 1 და 8 მაისს, 11 ივლისსა და 7 აგვისტოს გორში წარმოუდგენიათ. მასში მონაწილეობა მიუღიათ გორელ თავადაზნაურებს, მათ შორის, ავტორსაც.¹⁸⁵ საზოგადოდ, პიე-

183 ე. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

184 პიესის ერთი ნუსხა ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმიტრი მელვინეთს-უცესიშვილის პირად საარქივო ფონდში, №45.

185 იქვე.

სა შინაური წარმოდგენებისათვის ყოფილა განკუთვნილი.¹⁸⁶

გ. ბუხნიკაშვილისა და ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციით, ქართულ სცენაზე არაერთხელ ყოფილა წარმოდგენილი საანალიზო პიესა.

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით:

1872 წლის 24 აგვისტოს სიღნაღში წარმოუდგენიათ „კატა ანონას“ პირველი მოქმედება და „გაყრა“. ამის შესახებ ინფორმაციას ვეცნობით გაზეთ „დროებაში“. 19 აგვისტოს წარმოუდგენიათ „ძუნწი“ და „უჩინ-მაჩინის ქუდი“. სპექტაკლებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სიღნაღელებზე. დარბაზი ორივე დღეს სავსე ყოფილა. აი, როგორ აშუქებს ამ მოვლენას სტატიის ავტორი „სიღნაღელის“ ფსევდონიმით: „ამ შემთხვევამ სიღნაღელები როგორღაც გამოაღვიძა. ამ კვირის ფიზიანომია სიღნაღისა სრულებით სხვა არის, სანამ უწინდელის მძინარეობა, აპატია, რომელიც ყველა სიღნაღელის სახეზედ იხატებოდა, უაზრელი, ხან ცაში და ხან დედა მინაზედ ცქერა, როცა ისინი თავიანთ ბულვარ-გომების ბანებზე დადიოდნენ, – ესენი ეხლა სულ შეიცვალა: საითაც მიიხედამ, რაღაც მოძრაობა სიცოცხლე სჩანს; თეატრზე ლაპარაკს, ვინ კარგათ ითამაშა, ვინ ცუდათ, ვინ შეიძლება შეედაროს პიესაში გამოყვანილს პირს, ვინ არის იმათში ივანე, პავლე, მიკირტუმ გასპარიჩი – ამეებზე ლაპარაკს ბოლო არა აქვს. ერთის სიტყვით, სიღნაღის ფიზიანომია გარეგანის შეხედვით, სხვა იმათი პანანკუნა ცოდვები რომ დავივიწყოთ, მტრისთვისაც კი სასიამოვნო დასანახია.“¹⁸⁷

გაზეთ „დროების“ 1879 წლის 197-ე ნომერში (23 ენკენისთვე), პირველ გვერდზე დაბეჭდილია განცხადებები, საიდანაც ვიგებთ, რომ „26 ენკენისთვეს ქართული ტრუპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში: / I / შერცხვენილი ქმარი / („ჟორჟ დანდენი“) კომედია სამს მოქმედებად / II / სცენები ორ მოქმედებად – მეღვინეთხუცესოვისა“ (სცენებში იგულისხმება პიესა „კატა ანონა“).

186 იხ. აგრეთვე: ს. ხუციშვილი, „გამოუცდებლობა, ანუ დროებითი განშორება საყვარელთა“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, №21, 1950; გ. ბუხნიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

187 „დროება“, 1872, №35, 8 სექტემბერი, გვ. 2.

„დროების“ 28 სექტემბრის ნომერში კი გაშუქებულია წარმოდგენა. რეცენზიის მიხედვით, პიესაში „ვერც მოქმედებას ნახავს კაცი, ვერც, რასაკვირველია, აზრსა და ვერც მაინც-და-მაინც ჩვენებური ხალხის ხასიათსა და ჩვეულებას. მაგრამ საკმარის იყო მხოლოდ ის, რომ ეს ვოდევილი ჩვენი ცხოვრებიდან არის, რომ სცენაზე გამოდიან ჩვენი ნაცნობი სომხები, გლეხები, ქალები, რომ აქ გამოხატულია ჩვენებური ხალხისათვის გასაგები მოქმედება, ტირილი და სხვა, – რომ საზოგადოებას ალტაცებითა და ტაშის კვრით მიელო ეს უაზრო ვოდევილი. რას იზამ! კაცს იმის დანახვა და გაგონება უფრო ესიამოვნება და ეადვილება, რაც იცის, რასაც იცნობს.“ ამის მიუხედავად, წარმოდგენაში ყველას უსახელებია თავი, ყველას ჩინებულად შეუსრულებია თავისი როლი, გამოკვეთილია ნ. გაბუნიას თამაში.¹⁸⁸

პიესა ქართული სცენის მოყვარეთა მიერ დაიდგა ფოთის კლუბში 1886 წლის 6 მაისს. პირველი წარმოდგენა ყოფილა ზურაბ ანტონოვის ორმოქმედებიანი კომედია „მე მინდა კნენა გავხდე“, ხოლო მეორე – საანალიზო ვოდევილი.¹⁸⁹ კლუბის დარბაზი თითქმის სავსე ყოფილა, მაგრამ წარმოდგენას უფერულად ჩაუვლია. მოთამაშეებს თავიანთი როლები არ სცოდნიათ. სტატიის ავტორი, „ფოთელის“ ფსევდონიმით, სინანულით აღნიშნავს, რომ ამ ფაქტმა შეიძლება მაცურებელს სპექტაკლებზე დასწრება შეაძლოსო.¹⁹⁰

1890 წლის 10 მარტის გაზეთი „ივერია“¹⁹¹ გვაცნობს ქართული თეატრის განცხადებას: „კვირას, 11 მარტს ბენეფისი ე. ჩერქეზიშვილისა / ქართულ თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება: / I / მეორედ გაყმანვილება / დრამა 4 მოქმედ., დ. ერისთავისა. / II / კატა ანონა / კომედია 2 მოქმედ. / მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი / ადგილების ფასი ჩვეულებრივია / დასაწყისი 8 საათზე“.

1891 წლის 11 აგვისტოს ვოდევილი დაიდგა სოფელ მეჯრუხევეში ადგილობრივი ახალგაზრდების მიერ ისტორიკოს

188 „დროება“, 1879, №200, 28 ენკენისთვე, გვ. 3.

189 ჟურნალი „თეატრი“, 1886, №19, გვ. 202-203.

190 იქვე, გვ. 203.

191 № 52, გვ. 1.

დიმიტრი ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ.¹⁹²

ეთერ ქავთარაძის ინფორმაციით, ქართული დრამატული საზოგადოების მუდმივმა დასმა პიესა თავისი პირველი სეზონის რეპერტუარში შეიტანა და ორჯერ წარმოადგინა. იმ სეზონის პიესების უმეტესობა მაცურებელმა თითოჯერ ნახა.¹⁹³

ქართველმა სცენისმოყვარეებმა პიესა წარმოადგინეს 1899 წლის 17 ოქტომბერს, „ნემენცების ბაღში“. საანალიზო პიესის შემდეგ წარმოუდგენიათ ახალი კომედია ორ სურათად: „გორელს სადილი აქვს“.¹⁹⁴

ქვემოთ სრულად ვბეჭდავთ გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ ვერსიას, რომელიც პიესის პირველ რედაქციას წარმოადგენს. იგი, სავარაუდოდ, დაწერილი უნდა იყოს 1845 წელს.

192 გაზეთი „ივერია“, 1891, №180, 24 აგვისტო, გვ.: 2-3.

193 ე. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

194 გაზეთი „ივერია“, 1899, №224, 17 ოქტომბერი, გვ. 2.

კაღას აწმნას

კომედია
ორს მოქმედებათ.

მოქმედნი პირნი:

ყაზარ წუნკიოვი, მოქალაქე.
ლალუა, მისი ცოლი.
ანდრია ბერიკაშვილი, გლეხი კაცი.
ფარსადანა ბალიხანიანცი, მოქალაქე.
ნონია მარუნოვი, მოქალაქე.

ხანუმა და
ყაზარას დები.

მაქთალინა

მიხაკა, ბაყლის შაგირდი.
ივან პეტროვიჩი, ჩინოვნიკი.
იოკიმე, თავადის მოსამსახურე.
კვარტალნი და დესეტნიკები.

მოქმედება პირველი.

სცენა წარმოადგენს პატარა ოთახს; ერთ მხარეს ძველი დივანი დგას და ძველი სკამები; დივანთან დგას რკინა გადაკრული ფულის ზანდუკი; მეორე მხარეს – ტახტი, ზედ ძველი ქერა დაგებული და მუთაქა ძევს; გვერდით ძველი ლომბერნის სტოლი დგას, ზედ სანერ კალამი და დაუნერელი ქალაღები აწყვია.

(ლალუა ქერას ჰგვის ცოცხით; ამდროს შემოდის ყაზარა დიდრონი ძველი კალოშებით დაგლეჯილ წინდებზედ და ძველ პალტოში გახვეული, მალალი, ქართული ქუდით).

ყაზარა და ლალუა.

ყაზარა.

ლალო! რა შვრები მაგას, ღმერთი არა გნამს? თავათ გაცვეთილია ეგ ქერა – ხალიჩა, კიდევ უნდა გაცვითო?.. ცოცხიც ხომ გაცვდება, ეგეც ძლივს მიშოვნია მუქათათ, განა ცოცხში ფული უნდა მივცე?

ლალუა.

მაშ მტვერში და ნაგავში ხომ ვერ ვიქნებით, რათ ჯავრობ?

ყაზარა.

ვა! როგორ არ გავჯავრდე, ერთი ცოცხი კაპიკათ არის, შენში ღმერთი არ არის? (წუნუნებს) ვინ მომცა იმდენი ფული, რომ ცოცხი ვიყიდო ხოლმე; ხომ ხედამ ჩექმა არ მაცვია? მეც ოჯახის შვილი ვარ – მოქალაქე, ბაზარში რომ მკითხამენ კალოშები რათ გაცვია, მე ვეუბნები – ჩექმას ვერ ვიცომ, ფეხები მტკივა, აბა სადა მტკივა, ნახე! (აჩვენებს ხან ერთს და ხან მეორე ფეხს). მაშ რა ვქნა, რომ ასე არ მოვატყუო? არა,

გამეცალე, მე შენ ველარ გიყურებ; შენ ჩემი ზარალი გინდა. (ნართთვეს ცოცხსა და ტახტქვეშ შეაგდებს).

ლალუა.

ვაი ჩემი ბრალი შენ ხელში; ჩემი სიცოცხლე ოცი წელიწადი მეტია სულ წვითა და დაგვით გამიტარებია, კარგი ვერ ჩამიცომს; მუცელი ვერ გამიძღვია შენგან. (გადის)

ყაზარა.

(ინერს პირჯვარს). ტერ ასტუაც, ტერ ასტუაც!¹⁹⁵ ღმერთო შემინყალე, ამისთანა დედაკაცი იქნება ეს ჩემი ცოლია? ოცი წელიწადი მეტია სულ ამ ჭირში ვარ ამისგან, სულ ფუსფუსებს, ფუსფუსებს; საქმე რომ გამოელევა, ცოცხს მივარდება, აბა იქ რა მტვერი და ნაგავია? (დაჰკრამს ქეჩას ხელს და შეუბერავს; ამ დროს შემოდის ანდრია, დაღონებული სახით).

ყაზარა და ანდრია.

ანდრია

ისევ შენთან მოვედი, ყაზარ, მეტი ღონე არ არის; ნათქვამია შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ლხინსაო. შენ უნდა მასესხო ერთი თუმანი ფული; ძალიან მიჭირს, იასაული სახლში მიდგა, ცოლ-შვილი ლამის დამინიოკოს; მე ვერსად გავხდი ღონეს; შენი ჭირიმე, რაც გინდა სარგებელი გამამართვი ოღონდ ეხლა კი ხელი გამიმართე.

ყაზარა

მოდ, ძმავ, აკი გითხარ ნუ დაჰკარგამ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა მეთქი; ჩემის მეტი შენ ვინ გიცნობს.

195 [სომხ.] – უფალო ღმერთო, უფალო ღმერთო!

აბა ვინ გენდობა, დამიჯერე, მეთქი – გეუბნები, ისევ ჩემი გირჩევნია გემართოს; სხვაზე მე უფრო იოლათ წაგიყვან.

ანდრია.

შენმა აშენებამ, რაც შენ მე არა შემანიორა! განა არ მიცდიხარ? ღმერთს გეფიცები, ვადაზედ რომ არ მოგცე თითქმის ერთი ორათ, ან თამასუქი არ გამოგიცვალო და სარგებელი ზედ არ შესო, მაშინვე ყელში წამიჭერ; რომელი მოვალე დამხრჩვალა, მაგრამ შენკი დამახრჩობ.

ყაზარა.

ბევრს ნუ ლაპარაკობ მეთქი, მე ისე აღარა ვარ; დავწერო თამასუქი; ვადა რამდენი იყოს?

ანდრია.

ექვსი თვე; კალოობამდინ დამაცალე, კალოზედ მოგართმევ თავის სარგებლით.

ყაზარა.

მაშ სარგებელიც ისე იყოს, ჰო? ორი კოდი წმინდა პური ჩემის ოცდა ხუთ გირვანქიანი ჩანახით; სხვისა ოცდა შვიდ ქირვანქიანიც მეტია, მაგრამ არა, ძმავ, მე შენ ვერ მოგატყუებ; ღმერთმა აგაშენოს, შენი პურმარილი მახსოვს არ დამავინწყდება.

ანდრია.

დანერე რავექნა, მეტი რა ჯანი მაქვს; როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო.

(ყაზარა დაუნერს და წაუკითხავს ცბიერობით ხმა მაღლა).

ყაზარა.

„ათას რვაას ორმოცდა ხუთსა წელსა ქრისტეშობის ოცდა რვასა დღესა, მე ქვემორე ამისა ხელის მომწერელმა, უკულმა სოფელში მცხოვრებელმა სახელმწიფო გლეხმა ანდრია ბერიას ძემ ბერიკაშვილმა ავიღე ვალათ თქვენ მოქალაქის ყაზარა ბაღდასარას ძის წუნკიოვისაგან ათი მანეთი (თუმანი) რუსის სირმა ვერცხლი; თუმანზე სარგებელი ორი კოდი წმინდა პური კალოზე გაძლიო თქვენის ჩანახით; დღეიდგან ექვსი თვე ვადა და როდესაც თქვენი ფული მოითხოვოთ თავის სარგებლით სრულებით ჩაგაბარო მე, ანუ ჩემა მემკვიდრემ, შენ ანუ შენს მემკვიდრეს, უკეთუ გაგაჯანჯლო და საჩივარი გაგიხადო, მაშინ საიასაულოც მე გადავიხადო და ჩემა ურდუნამა და ფურდუნამ, მოძრავმა და უძრავმა პასუხი გაცეცეს; ამისთვის ხელს ვანერ....

(შემოდის ფარსადანა, ანდრია სთხოვს ხელი მოუწეროს).

იგინივე და ფარსადანა.

ანდრია.

ფული ვისესხე ყაზარასაგან, შენი ჭირიმე, ხელი მომიწერე; მე წიგნი არ ვიცი.

ფარსადანა.

მოიტა, ძმავ, მოვანერო. (ანერს ხელს) „გლეხი ანდრია ბერიკაშვილი, რადგან ამან წერა არ იცოდა, ამისი თხოვნით და ხელის ჩამორთმევით, ხელს ვანერ ფარსადან ბალიხანიანცი“.

ყაზარა.

(კანკალით აძლევს ერთ თუმანს ბუმაჟნიკიდამ):

ახ ჩემო ფულებო, როგორც მე გამახარებ ხოლმე, ისე ამ ჩემი მეგობარი კაცის ცოლ-შვილი გაახარე ვინძლო! წაღი, ძმავ, ხეირი ნახე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს ვადამდინ, ვადაზე მზათ იყავ ჰაა, სადილიც კარგი მაჭამე ვახშამიც, ჩემთვის კარგი დედალი გაასუქე მანამ.

ანდრია.

როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო; რაც შენ მე მაჭამე, იმას მე გაჭმევ. (გამოართმევს ფულს, დაუკრავს თავსა და გადის).

ყაზარა.

ვა! ჰხედამ ამას რაები სცოდნია აა?... (კითხულობს ხელმონერილს). ფარსადან ესეც მოანერე და! – ფულის მიცემაში მონმათ დავესწარ, მეთქი. (ფარსადანა კითხულობს თამასუქს).

ფარსადანა.

ყაზარ, აქ ცოტა იანღლიში-აშიფკა მოსულხარ: ათი თუმანი დაგინერია, ერთი თუმანი კი მიეცი.

ყაზარა.

შენ ვინა გკითხამს – ბარი ათ შაურათააო? ეგ რა შენი საქმეა, თუ აშიფკა მოვსულვარ? შენ ხელი მოანერე; იმისთვის დამინერია ათი თუმანი მეთქი, რომ გლეხი კაცი ჯანჯალია; ხომ იცი, ვადაზედ თუ არ მომცა, ვეტყვი: გიჩვილებ ჩემა მზემ და ათ თუმანს წაგართმევ მეთქი.

ფარსადანა.

მაშ იმას როგორ წაუკითხე ეს თამასუქი, ერთი თუმანი ავიღეო, თუ ათი თუმანი?

ყაზარა.

არა, ათი მანეთი, მეთქი და თუმანზე ორი კოდი პური მაძლიოს.

ფარსადანა.

ვა! ეგ ისევ ის გამოდის, ათი თუმნის ანგარიში! მოგიტყუილებია სანყალი კაცი?

ყაზარა.

შენ რა მკითხავი ხარ მომიტყუილებია, თუ არა? შვილო, თუ სწორეთ მათქმევენებ, შენ მოსკოვის კუპნები მოატყუილე, ექვსი ათასი თუმნის საქონელი დასტყუე, თუმანში მანეთიც აღარ მიგიცია მოსკოველებისათვის, უთხარ თუ გავკუტრდიო; ახლა კი ხემნიფურად ცხოვრობ; მე როდი შევდივარ შენ საქმეში, რომ შენ მაგას მეუბნები: მოგიტყუილებია სანყალი კაცი!

ფარსადანა.

მე გეუბნები, ეგ პატიოსნება არ არის მეთქი, ერთი თუმანი გისესხებია, ათი თუმნის თამასუქი გამოგირთმევი სანყალი კაცისთვის; წიგნი რომ არ იცის განა!

ყაზარა.

ხა! ხა! ხა! პატიოსნებას ვინ ანობს, რომ შენ ლაპარაკობ – პატიოსნება არ არიო, მაშ ერთი შენა ხარ – პატიოსანი, მეორე ჩვენი ავთვალი სისუა, და იმისი შვილი მიკუა, ეს კიდევ მამაზედ ორი წილი მეტია.

დაბერდა მუხა, მოისხა ხილი,
როგორიც მამა, ისეთი შვილი. –

დიდი ცრუ და ბორროტი სული, მე და შენც იმისთანა ვაჭრები ვართ; ჩვენც თუ არავინ მოვატყუეთ, ფულს ვერ მოვიგებთ.

ფარსადანა.

რა გელაპარაკო? შენ ასეთი კაცი ხარ, შენთან ლაპარაკი ხათაბალაა.

ყაზარა.

მაშ თითი მოიკაკვე, მე ყველას კარგათ გიცნობთ, ვინც რა შვილები ბრძანდებით! ჩემი რა გაგიკვირდა; შენ მითხარ – რა გინდა, უსაქმოდ არ მოხვიდოდი, – კიდეც ფულები დაგჭირდაა, ისა თქვი?

ფარსადანა.

ხა! ხა! ხა! ძმობამ, ყაზარ, გულთმისანი ხარ, წმინდა ზიარების მაღლმა, ყველას უნინ შეიტყობ. შენი რვა ასი თუმანი ხომ მართებს, ორასიც მასესხე, ათასი თუმანი გაჰხდება.

ყაზარა.

ჰოო! შენი მამა ცხონდა, აბა ეგა თქვი, პატიოსნება რა ჩვენი ხელობაა! ჩვენ ალებ-მიცემის კაცები ვართ.

რაც მოვახერხოთ
ის გავაკეთოთ.

(გაალებს ზანდუკს, დაჰხარის ფულებს და დამღერის.)

ახ ფულებო, ფულებო,
ჩემო თაიგულებო,

ჩემის ფიქრით, გონებით,
ჩემგან მოგებულბო!

მაშ, ვა! სულ ჩემის ქკუით მიშოვნია.

თქვენთვის თავი გავწირე,
ეშმაკს სული შევწირე,
მოძღვარს წილი დაუდე,
ვთხოვე ჩემთვისა სწირე.

უთხარ თუ – ტერტერ, ჩემი სული ეშმაკს არ დაანებო.
(ამოიღებს ერთ პარკს ფულებს, დაახლის თავზე ფარსადანას
და ეტყვის).

ამისთანა მეხი კი დაგასქდა ამ თავზედ, კარგი პატი-
ოსანი ვაჭარი შენა ხარ; ტუტუცო, პატიოსნებით განა დიდი
ფული მოიგებაა? აჰა! დაანერე ამასაც ორასი თუმანი კიდევ
ვისესხე თქო.

(ფარსადანა დაანერს და მადლობით დაუბრუნებს
თამასუქს. ყაზარა თამასუქს ჩასდებს ზანდუკში და ეტყვის
ხუმრობით ფარსადანას).

ბედოვლათ! ბედოვლათ! რომ შნო არა გაქვს, შვილო?
ეს შენი ათასი თუმნის თამასუქი ეხლა შენ ხელში იყო, გაჰ-
კრამდი ხელს, გახვედი, ან ჩაყლაპამდი, ვინ იყო მონამე? ხომ
იცი უმონმოთ საქმე არ გარიგდებოდა? მე თუ მკითხავდნენ,
ვინ იყო მონამე, ვეტყვოდი: ზევით ღმერთი, ძირს დედამინა,
მეთქი და შენ კი ჩემი ფულები შეგერჩებოდაა...

ფარსადანა.

განა მე მაგისთანა კაცი ვარ, აგრე მიცნობ, რომ ეგ
საქმე ჩამედინა?

ყაზარა.

კიდევე! გეუბნები პატიოსნობას ნუ იტყვი მეთქი, ნუ!

ფარსადანა.

ღმერთო შემინყალე! ახლა კი უნდა გაგეცალო, შენი ოხტიდამ კაცი ვერ მოვა.

(ფარსადან გადის; შემოდის იოკიმე ხურჯინ აკიდებული და აძლევს წიგნსა).

იოკიმე.

ყაზარას გაუმარჯოს, აი, ბატონის წიგნი მოგართვი.

ყაზარა.

შენც გაგიმარჯოს, ჩემო იოკიმე, აბა ვნახო რასა მწერს! ფულებს ხომ არა თხოულობს კიდევ მასესხეო?

იოკიმე.

არა სასყიდლებია ბაზარში ჩაი, შაქარი, თევზი, ხი-ზილალა, ბრინჯი; ეს ორი თუმანი გამომატანა; ამისი რაც მოვიდესო.

ყაზარა.

ხურჯინი ცარიელი ხომ არ მოგიტანია?

იოკიმე.

მაშ არა ბარგიან მოვიტანდი? აქედამ არ მეყოფა ბარგი, რომ იქიდანაც წელი არ მომეწყვიტა; ჩემთვისაც ვერ წამოვიღე პური, მშიერი მოვდივარ; თუ ღმერთი გწამს, ცოტა პური მაჭამე; შიმშილმა ლამის მამკლას აი.

(აჩვენებს მოშვებულს სარტყელს მუცელზე).

ყაზარა.

ვა! ვინ მამცა იმდენი პური, რომ ეგ შენი სვავი მუცელი გავაძლო.

იოკიმე.

ნუ გეშინიან, ცოტა მეყოფა: ერთი პური, ერთი ჩარეტი ღვინო.

ყაზარა.

გეუბნები მეთქი, არა მაქვს არც პური, არც ღვინო.

იოკიმე.

არა მოგცარა ღმერთმა, იმ დღეს არ იყო ორი ურემი პური და ღვინო წამოიღე ჩემი ბატონის სახლიდამ; ის სულ ჩემი ნამუშავარია.

ყაზარა.

ვა! რას ტუტუცობ, ის პური და ღვინო ჩემი ფულის სარგებელია; შენი რა მადლობელი? – მამა გიცხონდება, ჩემო იოკიმე, შენი ბატონის მამას რა ჯაფა გაუნევია სწორეთ მითხარ დედა ჩემზედ, რომ მწერს „ძმაო ყაზარ“, მე რა ძმა ვარ იმისი: ის თავადია, მე მოქალაქე!

იოკიმე.

მე პური მშიან; რა მაგისი მცხელა, თუ ღმერთი გწამს, ცოტა პური მაჭამე; შიმშილით ლამის ნავიგცე.

ყაზარა.

კიდევე ამბობ – მაჭამე. (დაიკრეფს გულხელს). ღარიბი ვარ, ვინ მამცა პური? მეც მჭადსა ვჭამ; ღმერთმა ააშენოს შენი ბატონის ოჯახი, იმ დღეს ორი ტომარა სიმინდი მაჩუქა; ქათმებისათვის მინდა მეთქი, მაგრამ მე კი ვჭამ; გეუბნები არა მაქვს პური.

იოკიმი.

არა მოგცა რა მამიჩემის სალოცავმა ხატმა და ჯვარმა! მოკვდები, შენი ფულები ვინ იცის ვის დარჩება, შვილი შენ არა გყავს; მე მგონია, სულ ეშმაკები წაიღებენ შენ დოვლათს და მოგებას; შენ სულსაც ხომ ეშმაკები ათამაშებენ. მაშ რა ოხრათ დაარჩენ შენს ამდენ საცხოვრებელს, რომ მჭადითა სქდები?

ყაზარა.

ხელი აიღე მეთქი, დავა-დარაბა ნუ გახადე და, ვა! თუ დავა გაქვს, წადი სუდში მიჩივლე.

იოკიმი.

უკულმა წავიდეს შენი სიცოცხლე, რა კაი კაცი შენა ხარ; წამო, ჩქარა მიყიდე, რაც მოუნერია ბატონს, ნულარ მაგვიანებ, შენ სახლში ვის უჭამია პური, რომ მე ვჭამო.

(შემოდის ლალუა, ამას ჰგონია იოკიმეს ხურჯინი სავსე მოუტანია.)

იგინივე და ლალუა.

ლალუა.

რა მოგიტანია ამ ხურჯინით? ვუი ქა, ცარიელია! დალოცვილო ერთი ორი ცოცხს მაინც ჩასდებდი შიგ, ის ხომ მსუბუქია, არას დაგამძიმებდა.

იოკიმე.

მოდე იქითა, ცოცხი კი არა და, შენ ნუ მომიკვდები, თქვენ რომ ხალხნი ხართ, ოქროს ცოცხს მოგართმევდი; ერთი ლუკმა პური არ გემეტებათ მაჭამოთ დაღალულს მშიერ კაცს. (გადიან ყაზარა და იოკიმე.)

ლალუა.

გასქდეს თქვენი მუცელი! გენაცვალეთ, ეს თავადების მოსამსახურები სულ იძახიან: მშიან, მშიან, მშიან, რა გააძღობს ამათ მუცლებს, ერთი კამბეჩი არ ეყოფათ..... თქვენმა მზემ, ამათ ბატონებს ძალიან უყვარსთ ჩემი ყაზარა, სულ ძმასა სწერ-ამენ წიგნში, თუ ძმაო ყაზარ, ფულები დამჭირდა, მასესხეო. კაი სარგებელს მოგცემთო, რაც გინდაო, წელიწადში თუმანზე ორი კოდი წმინდა პური, გინდა ორი კოკა ტკბილი ღვინო, შენი შვიდ ჩარეჩიანი ტკბილის თუნგიო. ასე რომ თუმანზე სარგებელი თავნის ტოლი მოდის, ზოგჯერ კიდევაც მეტიც. ახარ, ვინ იცის რა დაჭირებაში არიან, იმათ ხომ ფულის ყადრი და გაფთხილება არ იციან; ვთქვათ დღეს ასი თუმანი აქვთ, ხვალ კიდევ ფულს სესხულობენ; როდესაც ფულებს ჩაიგდებენ ხელში, მაშინ მოუნდებათ იმათ ყველა, სულ უბრალო რამეებს ყიდულობენ, ან ქაღალდი უნდა ითამაშონ. ყაზარას სწერ-ამენ: ამ ბიჭს შენ უყიდე რაც მოგვინწერია, ბაზარში არავინ მოატყუილოსო! ის კი არ იციან იმათ, რომ ამისთანა ვაჭრობაში ყაზარას მოგება აქვს: ვისთანაც თავადებისთვის ივაჭრებს ხოლმე, არ იქნება, რომ დუქნის პატრონმა ერთი ორი შაურის რამე არ უთავაზოს.

ყაზარას თითონ დუქანი არა აქვს, მაგრამ ამისი ფულები ბევრს დუქნებში მუშაობს; ახლა რამდენი გაცემული აქვს თავადებზე და გლეხ-კაცებზე, იმის ანგარიშს ვინ იტყვის; ეს ზანდუკი სულ ფულით სავსეა ჭრელ-ჭრელი რუსის მანეთებით და ბილეთებით. ამდენი დოვლათი ჩემის მზითვის ფულით მოუგია! ყაზარას რა ჰქონდა, როცა ჯვარი დავინწერე? ჩემი ოცდა ათი თუმანი აიღო, იმდონი ატრიალა, იმდონი ყაირათი

გავნიეთ, რომ ახლა დიდი ფულის პატრონები გავხდით.

აბა ეხლანდელმა ქალებმა ჩემსავით ყაირათი გასწიონ. რასაკვირველია, დიახ, ყურში უჩურჩულეთ, მაშინვე გეტყვიან: „ნემსს როგორ ვიხმარებთ, ხელები გვეტკინება“. მე კი ისეთ ლეჩაქებს შევკერამ და გავყიდი, თითოში ოთხი ხუთი მანეთი ავიღო, წელიწადში ათი, თორმეტი თუმნის საკერავს გავაკეთებ სხვა და სხვას; მარტო ქმარმა უნდა მოიგოს და ცოლმა კი არაა? მე ხომ ახლანდელი ქალი არა ვარ, მუქთი მჭამლები; იმათ რა უჭირთ, სულ მამისა და ქრმის მოგებით იპრანჭებიან; იმათი საქმე ეს არის რალა, კარგი ჩაიცონ, კარგი დაიხურონ, კარგი ქეიფი გასწიონ; ვაი ჩემი ბრალი, ამაებს მე კი დანატრული ვარ...

(შემოდის მიხაკა და ნახევარი ჩარეკი დამპალი ორაგული შემოაქვს ხელცახოცით.)

ლალუა და მიხაკა.

ეს ორაგული ყაზარამ გამოგზავნა, ძმარი დაასხი და შემინახეო.

ლალუა.

(დასუნავს.) იყიდაა, ამაში ფულები როგორ მისცა?

მიხაკა.

არ უყიდნია, ჩემა ოსტატმა უთავაზა, რომ დარჩა, იმან თევზი, ხიზილალა იყიდა კნიაზისთვის ჩვენ ღუქანში და ოსტატმა ეს უფეშქაშა, რომ არ გაიყიდა.

ლალუა.

კარგი, შვილო, ღმერთმა გაგზარდოს, მადლობელი ვარ, შენი ოსტატის შნო მოგცეს.

(მიხაკა გადის, ლალუა დაასხამს ძმარს და გემოთ ნახ-

ამს, მოეწონება.)

ახლა რა კარგია, ძმარი მოუხდა, ცოტა კიდევ ვჭამ...
ცოტა კიდევ... კიდევ ცოტა... მჭადითაც კარგი ყოფილა! ცოტა
კიდევ ვჭამ... ქა, სულ შევჭამე! ჩემი ქმარი რომ მკითხამ, ვე-
ტყვი-თუ კატამ ჭამა; რას შეიტყობს.

(შემოდის ყაზარა და აძლევს ლალუას სიხარულით
ზეთსა და ერთ მუჭა ხახვს ჯიბიდან.)

ყაზარა და ლალუა

ყაზარა.

ლალოჯან, აჰა ეს ბოთლი შირბახტის ზეთია, ნყალი
აადუღე ხოლმე, შიგ ცოტა-ცოტა ზეთი დაასხი და ხახვიც
წმინდათ დააჭერი, მსუბუქი საქმელია, კუჭს არ დაამძიმებს,
აი ხახვიც მომიტანია.

ლალუა.

ოყიდე... ვინ მოგცა?

ყაზარა.

შენ ხილი ჭამე, მეხილეს რათ კითხულობ – ვინ მომ-
ცა? განა ამეებში ფული უნდა მივცე... ეს ბოთლი ნონოშამ
მითავაზა, იმის დუქანში კნიაზისთვინ ჩაი-შაქარი უყიდე იო-
კიმეს; იმებში ნონოშას მოვაგებინე ორი სამი მანეთი და ორი
აბაზის ერთ ბოთლ ზეთ არ მითავაზებდაა?.. მეღქუას დუქან-
შიაც თევზი ხიზილალა, ბრინჯი უყიდე; მანეთ ნახევარი მეტი
იმასაც მოვაგებინე, მაშ ერთი აბაზისას ისიც არას მითავაზებ-
და?.. ეს ხახვი იმას გამოვართვი, ნახევარ ჩარექი ორაგულიც
იმან მითავაზა, მიხაკამ არ მოიტანა?.. ზეთი დაასხი მეთქი.

ლალუა.

ჰო მოიტანა, ზეთი დავასხი, მაგრამ...

ყაზარა.

ვა! მაგარი რა არის, ძველი იყო?.. თქვი და, ვა!

ლალუა.

რა ვთქვა, ორაგული კატამ ჭამა...

ყაზარა.

ვა! სწორე მითხარ, ლალოჯან, კატა როგორ ჭამდა, ტყუილო, მეხუმრები?

ლალუა.

შენმა მზემ, კატამ ჭამა მეთქი, ხომ იცი, შენ ტყუილათ არ დაგიფიცამ.

ყაზარა.

აბა ვნახო ის კატა როგორია, თუ მართალი ხარ?

ლალუა.

რა უნდა ნახო, კატა არ გინახამს, ჭრელია, კატა როგორი იქნება?

ყაზარა.

კარგი, ლალოჯან, ნუ მეხუმრები მეთქი; მოიყვა, შენ რა გინდა, ვნახო ის კატა.

(ლალუა გადის კატის მოსაყვანათ; ყაზარა სასწორს ამზადებს ასანონათ და იტყვის.)

ყაზარა.

უნდა სწორე შევიტყო; მე იმ კატას ავწონ: თუ ერთი ჩარეეტი გამოვიდაა, ლალუა მართალია, კატას უჭამია, თუ ნაკლები მოვა, ლალუა ტყუის, ის ჭამდა.

(ლალუა შემოიყვანს კატას და აძლევს ყაზარას.)

ლალუა.

გეგონა გატყუებდი... აი ამ კატამ ჭამა, ხომ იცი, თევზის მტერია ეს სუნაგი, ქურდია.

(ყაზარა უაღერსებს კატას, ფისო, ფისო, მიაუუ, ფისო, ფისო, რა კარგია. სწონს.)

ლალუა.

ქა! რა შვრები მაგას, ამუთე,¹⁹⁶ სირცხვილია, ვინც შეიტყობს ყაზარამ კატა აწონა, ბაზარში რას გეტყვიან?

ყაზარა.

უნდა შევიტყო, ამან ჭამა, თუ შენა; მე რას დავდევ, ვინც რამ უნდა თქოს. (სწონს ჩხავილით.) ვა! ეს ნახევარ ჩარეეტიც არ გამოდის! შენ ტყუი, მსუნაგო, შენ ჭამე განა და კატას დააბრაღე, აბა კატას სად უჭამია, თუ მართალი ხარ, შე ავ მუცელო!

(მოუვათ ჩხუბი, შეეჭიდებიან ერთმანეთს და ფარდაც დაეშვება.)

პირველი მოქმედების დასასრული.

მოქმედება მეორე.

196 [სომხ.] – სირცხვილია.

ისევ ოთახი; ტახტის ალაგას ძირს აგია ქერა ხალიჩა და ზედ სხედან შავებით მგლოვიარები თეთრს ლერაქზედ შავი ხელცახოცები აქვთ შემოკრული ზემოდამ – შუბლზე. შუაში ლალუა ზის, აქეთ და იქით ხანუმა და მაქთალინა ყაზარას დები სხედან მოკეცილები; დივანზედ ზის ჩინოვნიკი ივან პეტროვიჩი, ამის პირ-და-პირ ფარსადანა, იმასთან ნონია, შუაში გადაშლილი სტოლი უდგათ, ზედ ორი ვერცხლის შანდლებით სამთლები უნთიათ, მიხაკას შემოაქვს ვერცხლის ფოდნოსით ჩაი, ჩამოარიგებს და გადის.

(ლალუა, ხანუმა, მაქთალინა, ივან პეტროვიჩი, ფარსადანა და ნონია.)

ფარსადანა.

ივან პეტროვიჩი! თქვენ როგორ ინებებთ ამ საქმეს; იმ ცხონებულს დარჩა ნაღდი ფული თვრამეტი ათასი თუმანი, ოცი ათასის თუმნისა მეტი-ნასყიდი მამულები, გირავნობა, გაცემულება და თამასუქები; სულ თავის მოგებული და კეთილ შეძინებული, მე წმინდათ ვიცი ეს, იმას ჩემთან არა დაუმალამს რა, დიდი დოვერია, რწმუნება ჰქონდა ჩემთან, აი ცოლმაც კარგათ იცის, არა ლალო?

ლალუა.

მართალი, შენმა მზემ, ის ცხონებული იტყოდა ხოლმე, ჩემი მოგება ერთ ღმერთმა იცის, ერთიც ჰო, ფარსადანამაო; სულ ამ ზანდუკშიაო; როდესაც წავიდოდა სოფლებში, ვუი ჩემ თვალებსა, მეტყოდა თუ, ლალოჯან, ჩემი სული ამ ზანდუკშიაო, თუ გიყვარვარ კარგათ შემინახეო. ვაი ჩემი ბრალი, მე ახლა მარტო იმის სულს უყურებ, ჰოო... (მულები ბანს მისძახიან, ჰოო...)

ნონია.

მოითმინეთ; თქვენი ტირილით აღარა ეშველება რა, მაგით იმის სულს ნუ ამძიმებთ; კარგია, დაგვაცალეთ, საქმე უნდა დავინყოთ.

(მგლოვიარები დაჩუმდებიან, ჩაის სმას გაათავებენ და ნონია იტყვის.)

თქვენმა მზემ, ივან პეტროვიჩ, კაი რამ იყო ის ცხონებული; საკვირველი ფულის მომგები: იმას მამაპაპისა არა დარჩომია რა თითზედ გადასახვევი ამ სახლის მეტი; რაც მოუგია, სულ თავის ჭკუით უშოვნია; ძალიან ჰაზრიანი კაცი იყო, უნდა მოგახსენო, რომ იმისთანა ფულის გამოფთხილებელი ერთი და ორი კიდევ არავინ იქნება; ასე გაშინჯეთ, რომ კვდებოდა ცხონებული, ორი შაურის მალიათი რა არის, თავის თავზე არ დაუხარჯამს, სულ ამ ზანდუკზედ ეჭირა თვალი და ოხრამდა. დიდი ჯაფის ამტანი კაცი იყო, მაგრამ, რაკი ავათ გახდა, ჩავარდა ლოგინათ, ათი დღე არა უჭამია რა, არც ექიმი მიიკარა, ფული არ დამეხარჯოსო. მე უთხარ: ყაზარ, თავადებში ნაჩვევი ხარ კაი საჭმელებს, ცოტა ბულკი მაინც ჭამე მეთქი, შენი კუჭი ცოდოა, ათის დღის მშიერია; იმან შეხედა ზანდუკს, ამოიოხრა ერთი ძალიან და თავი გაიქნია; მე მაინც არ მოვეშვი, ამ სანყალ ჩემ რძალს ლალუას უთხარ, ორი ბულკი მოატანინე, ერთ აბაზ მისცემ; საცოდავმა ყაზარამ რომ გაიგონა, გააჭყიტა თვალები, ენა კი აღარა ჰქონდა ელაპარაკნა და თითით გვანიშნა ერთი ერთიო. მერე იმ საბრალომ უყურა და უყურა ამ ზანდუკს, თვალი ზედ გაუმტერა, როგორც ბულკი დაინახა, ერთი ისეთი გააჟრჟოლა, რომ მაშინვე სული მისცა.....

ჩინოვნიკი (პუბლიკას.)

ემმაკებს!

ნონია.

ვაი ჩვენი ბრალი, ივან პეტროვიჩ; ფულის სიყვარული დიდი რამ არის; სიკვდილის დროსაც კი ძნელი გამოსამეტებე-

ლია; ხედამ კაცი კვდებოდა და ორი შაური არ უნდა დაეკლო თავის მოგებისთვის თავისთვის; ეჰ, ყველა აქ დარჩა მოგება-ცა და ქონებაც ამ ორს დებს; ესენი არიან იმის მემკვიდრეები სხვა არავინ; ცოლსაც, რასაკვირველია, თავისი ახი სამკვიდრო უნდა მიეცეს. ხუთასი თუმანი ყაზარასი ჩემთან იყო; აქედამ ზოგი მკვდარზე დამიხარჯამს, ოჯახის შვილი იყო, მოქალაქე, კარგა პატივით დავმარხე რაც მოქალაქეს ეკადრებოდა, ზოგი ფულის ანგარიშს მე მოგართმევ, ჩემგან მიიღეთ.

ფარსადანა.

არა, სჯობია ეს ზანდუკი გავალოთ, ნახეთ მართალი მითქომს თუ არა, თამასუქებს სულ ჩემი ხელით ჩაგაბარებთ.

ჩინოვნიკი.

კარგი იქნება, რომ ჯერ გავშინჯოთ და ცნობაში მოვიყვანოთ სუყველა იმის საცხოვრებელი, მერე გავყოთ როგორც ამათ სურდესთ, რადგან სხვა მემკვიდრე არავინ არის; სურდესთ ჩვენი სინიდისით, უნდოდესთ კანონით გავყოთ და ცოლსაც რაც ერგება დაუნიშნოთ.

ხანუმა.

კანონებისა მე არა ვიცი რა, ამ თვალ დამდგარმა (აყრის ქოქოლას ლალუას) იმისთვის ამოირჩია ჩინოვნიკი, რომ კანონები ზაკონზედ გაიაროს; მე უფროსი და ვარ, მომეტებული წილი ჩემია.

მაქთალინა.

თუ შენ უფროსი და ხარ, მეც შენი და ვარ, ერთი დედმამის შვილები ვართ; ცოლს ჩვენთან რა წილი-აქვს, რაც მოუტანია ის წაიღოს, თავის მზითვეი თავში იხალოს.

ფარსადანა.

სუუუ.... მუნჩკაც ამუთე,¹⁹⁷ სირცხვილია, რა დროს ეგ ლაპარაკია, მაშ ნუ შევიტყობთ სწორეთ, არ გავალოთ ზანდუკი?....

(ხანუმა დააჯდება ზანდუკს და იტყვის).

ხანუმა.

ჯერ, მითხარით, რას მაძლევთ, მერე გააღეთ ზანდუკი?

მაქთალინა.

(დააჯდება ზანდუკს). მეც ჩემ წილს ვთხოვლობ, თუ რას მაძლევთ, მერე ზანდუკი გააღეთ.

(ფარსადანა ორივე დებს ხელებს დაუჭერს და დიდის ხვეწნით თავთავის ალაგს დასვამს და ამშვიდებს იმათ).

ნონია.

დაილოცოს გრანიცის ხალხი! თქვენმა მშემ, ივან პეტროვიჩ, რასაც მე ეხლა აქა ვხედავ, ეს ანბავი არსად მი-
ნახამს; ევროპა დამივლია პარიჟში ვყოფილვარ, ლონდონშიაც, ლეიბცილს მივაჭრნია, ვენაშია, ვენეცია მინახამს, იქ ბევრნი არიან ჩვენი სომხობა, საკვირველი ქალაქია – შიგ ზღვაში დგა; იქაურნი მცხოვრებნი ნავით დადიან ერთმანეთთან. მაგრამ პარიჟი სხვა რამ არის, იმის მშვენიერება, იქ კაცი რას არ ნახამს! იმისი მოწყობილობა, ზრდილობიანი ხალხი, მშვენიერი ხალხისთვის დიდი ბალი შესაქცევრად, კიდევ ვინ იცის რამდენი ნაირ ნაირი მაშინებია, რაც ქვეყანაზედ გაუკეთებიათ სულ იქ ერთს დიდს სახლში ნახამთ; როგორც შებრძანდებით შიგ, მაშინვე მოგეგებებიან ზრდილობიანათ იქაური მოსამსახურეები სუფთათ ჩაცმულები და თავაზიანათ გიჩვენებენ ყველა მაშინას, თუ როგორ მუშაობენ მაშინები. იქ ერთი საკურველი

¹⁹⁷ [სომხ.] – გაჩუმდი, სირცხვილია.

რამ ვნახე, უნდა მოგახსენო, კაცის გონება რას არ იფიქრებს და არ გააკეთებს! ერთი მაშინა დაატრიალეს, ეს მაშინა მოჰყვა მუშაობას, იქვე გვერდით პურის ძნა იდო, ის ძნა აიღო ამ კაცმა, ჩადო მაშინაში და ამუშავა, ერთ მინუტს დავინახეთ პურის ხორბალი ცალკე გამოვიდა, ბზე ცალკე, მეორე მინუტს ვნახეთ ის ხორბალი წმინდათ დაფქული და გაცრილი თეთრი, როგორც თოვლი ანუ ბამბა; მესამე მინუტს ეს ფქვილი იმავე მაშინამ გამოაცხო, როგორც ბულკი. ეს ამბავი სულ სამ ოთხ მინუტში; გასაშტერებელი რამეები სანახავია.

ჩინოვნიკი.

მართლა და ბევრი სანახავებია იმ სახლში, ეგ სხვისაგანაც გამიგონია, ვისაც თავის თვალთ უნახამს.

ნონია.

ბევრი, თქვენმა მზემ! რომ ნახოთ თვალეები აგიჭრელდებათ, იტყვიან თუ დაილოცოს კაცის ჭკუა, რას არ მოიგონებს კაცი ფულის გულისათვის. თქვენმა მზემ, უფულო სოვდაგარი, გინდ იყოს და გინდ არა. მე მაშინ კაი სოვდა მქონდა, მატყლში მოვიგე რვაასი თუმანი, კაი მაზანდა იყო, ბანბაში ცოტა ექვსასი თუმანი, ათასის იმედი მქონდა და ვწევდი ჩემთვის ქეიფებს, ყველა მინდოდა მენახა, ბევრიცა ვნახე.....

ფარსადანა.

ეგ კარგი, მაგრამ ეს საქმე რჩება, გავათაოთ როგორც იყოს.

ნონია.

როგორ გინდა გავათაოთ? სანამ ესენი ამ ზანდუქს თვალთ უყურებენ, ამათი საქმე არ გათავდება. ხან ერთი შეახტება ზედ, ხან მეორე...

(ამ დროს ლალუა წამოხტება და დააჯდება ზანდუკს და იტყვის:)

ლალუა.

ჰო, შენმა მზემა, ამ ზანდუკში ჩემი ქრმის მოგება სულია, ეს ჩემ ქვეშ უნდა იყოს, ვის რა დავა აქვს, მაგათ რა უნდათ, რა ხელი აქვთ, რომ ანბობენ – ჩვენ ყაზარას დები ვართ, იმისი ფულები ჩვენიაო? ეგენი ოცდა ათი წელიწადია დათხოვილან; თავიანთი მზითევი თან წაუღიათ; მას აქეთ ერთხელ აღარ გაუვლიათ, ახლა მოსულან აქ დამსხდარან, ამბობენ თუ ყაზარას დები ვართ, იმის მოგება ჩვენია; დედენ ტანნე,¹⁹⁸ დედა თქვენი შინ არის, ამ ზანდუკში სულ მარტო მე და ჩემი ცხონებულს რაც გვიშოვნია, აქ შეგვინახამს; თქვენ რა ხელი გაქვთ ჩვენ მოგებასთან? თვალები კი დაგიდგათ. (აყრის მულებს ქოქოლას)

ჩინოვნიკი.

(წამოდგება). ამათ საქმეში მე არ გავერევი, ჩვენ აღარ გვაცლიან. (აპირებს წასვლას).

ნონია.

მოითმინეთ, ნუ წაბძანდებით, ამათ ყურ ვინ ათხოვებს, რაც უნდა ილაპარაკონ, მოგესხენებათ, მწუხარე ადამიანი ბევრს რასმე იტყვის, ჩვენ საქმე გავათაოთ.

ჩინოვნიკი.

არა, მე არ შემიძლიან იმათი ჩხუბის ყურება; თქვენ როგორც გინდოდესთ, ისე გაათავეთ! (დაუკრავს თავს და გადის).

198 [სომხ.] – ეშმაკმა წაგილოს.

ფარსადანა.

(ლალუას) დალოცვილო, გითხარ თუ ჩინოვნიკი რა შენი საქმეა, ჩვენ ვაჭარი ხალხი ვართ, შენც ვაჭარი ვინმე უნდა მოგეყვანა ჩვენთან ელაპარაკნა; ჩინოვნიკმა რა იცის ჩვენი ანგარიშები; ეგ ერთი ფიქრიანი კაცია. ნონე მაგის ბიძას ხომ კარგათ იცნობ, სულ თავპირი ჩამოსტირის, აფხორილი დადის, თითქოს სულ ჩხუბობსო; აღდგომას რომ წითელი კვერცხი მიულოცო, არ გაიცინებს, ეგონება მასხარათ მიგდებსო, გაფხუკიანდება.

ლალუა.

გენაცვალეთ, მე რა ვთქვი მაგისთანა, რომ ეგეც გაფხუკიანდა, მაშ არა ვთქო – ჩემი ცხონებული ყაზარას მოგება ფული სული ჩემ ქვეშ იყოფს?

ნონია.

ჩვენ კი აღარ დაგვაცალეთ საქმე გაგვეთაებინა; რა არისო – ხან ერთი წამოხტებით და დააჯდებით მაგ ზანდუკსა, ხან მეორე, ხან მესამე.

ფარსადანა.

თქვენც გააგრძელეთ გრანიცის ლაპარაკი, რა დროს ეგ იყო, ჩინოვნიკი კაცია, განა მაგან არ იცის იქ რა ამბებია? მაგან რომ კანონები ზაკონი თქვა ამ საქმეში, მე მაშინვე ნეკზე ვიკბინე და ჩემ გულში ვთქვი: ეს უთუოთ ამ საქმეს სხვა ნაირათ წაიყვანს მეთქი, ზაკონზედ; კარგი რომ თითონვე წავიდა და საქმე არ მორჩა.

(შემოდის კვარტალნი დესეტნიკებით, ყველანი განცვიფრდებიან და უყურებენ ერთმანეთს)

კვარტალნი.

ყაზარას ფულის ზანდუკი სად არის? პოლიციაში უნდა წავილო, ბრძანება მაქვს.

ყველანი.

რათა, რა ამბავია?! ვისი რა ემართა, რომ მიგაქვს; ვინ უჩივლა?

კვარტალნი.

არავისი ემართა, ფულებიც ბევრი დარჩა, მაგრამ იმის საცხოვრებელი სულ ღვდლების ხელში უნდა გადავიდეს; ან-დერძიანო, ღვდლები სჩივიან.

ყველანი.

ვა! ღვდლებს რა ხელი აქვთ ყაზარას მოგებასთან? იმათ აკი წაიღეს იმის კოლოპურტი ქუდი, პალტო და კალოშები?

კვარტალნი.

მე ბრძანება უნდა შევასრულო, მაგისი არა ვიცირა – ღვდლებმა რა წაიღეს; აბა, დესეტნიკებო ასწიეთ, ამ ზანდუკს! თქვენ, მგლოვიარებო, ჩამობრძანდით მაგ ზანდუკიდან.

(დესეტნიკები დაექვედებიან ზანდუკს; მგლოვიარები ზედა სხედან და არ ანებებენ. ფარსადანა გაიხმობს კვარტალს და ეხვეწება ჩუმად).

ფარსადანა.

შენი ქირიმე, თქვენო კეთილშობილებავე, რაც გნებავს, მიბრძანე აღვასრულო, ოღონდ ეს ზანდუკი გავალოთ, ჩემი ათასი თუმნის თამასუქია შიგ; ის ჩუმად ამოვიღოთ, ღვდლების ხელში არ ჩავარდეს.

კვარტალნი.

რას გაგიჟებულხარ, როგორ იქნება გავალო, სულ აიკლებენ.

ფარსადანა.

შენ გენაცვალე, თქვენო კეთილშობილებაგ, ნუ დამ-
ლუპამ, ყმათ დამისახლე.

კვარტალნი.

ჰო, კარგი, ეს დედაკაცები კი ჩამამაცილე, წავიღოთ
პოლიციაში, იქ ვნახოთ.

ფარსადანა.

მართლაც, პატიოსანს სიტყვას მაძლევ, თქვენო კეთილ-
შობილებაგ?

კვარტალნი.

მართლა გეუბნები მეთქი, ხომ იცი ჩემი სიტყვა ბეჭედ-
ია, რასაც ვიტყვი.....

(ფარსადანა მივა ზანდუკთან, იმედიანათ და ამაყად
ეტყვის მგლოვიარებს.)

ფარსადანა.

თქვენ ნუ გეშინიანთ, დაანებეთ, ნაილონ; ჩემი ბეჭედით
დაბეჭდილია, გასაღები ნონიას აქვს, ვის შეუძლიან უჩვენოთ
გაალოს; ჩვენ არავის დავანებებთ ყაზარას მოგებას, ღვდლები
როგორ წაგართმევენ; რა სამართალი იქნება!

(მგლოვიარები გადმოვლენ ზანდუკიდამ; სამი კაცი
სწევს ზანდუკს და მიაქვთ. ფარსადანას და ნონიას უჭირავთ
მგლოვიარები, ესენი იწვევენ ზანდუკისკენ და არ უნდათ დაანე-

ბონ).

(მგლოვიარები მისძახიან.)

გენაცვალეთ, სად მიგაქვსთ ყაზარას მოგება ფული სული, არ დაგანებებთ, შენმა მზემ!

ლალუა.

მაგამი ყაზარას სულია, რათ მაშორებთ მაგას.

კვარტალნი.

ოჰ! რა მიძიმეა? უთუოდ ამის პატრონი წაწყმენდილია, რომ თავის მოგება ღვდლებისტვის მიუცია; ისეც იქნება – ამ საწყლების საცოდაობით რა კეთილი ეყრება, უთუოთ სიკვდილის დღეს ღვდლებმა ჩააგონეს. (გაიტანენ.)

მგლოვიარები.

გენაცვალეთ ყაზარას სული ეხლა კი ეშმაკებმა წაიღეს, ჰოო...

ფარსადანა.

ახლა გაქვთ, თქვე საცოდავებო, თავში საცემიც და სატირელიცა, ყაზარას ფულებიც და ჩემი თამასუქიც ღვდლებს დარჩათ, სული ეშმაკებს.

(მგლოვიარები წაიშენენ თავში და გააგრძელებენ ვაეზას. ფარსადანა მოუბრუნდება პუბლიკას და გაჯავრებული ეტყვის.)

ეშმაკის მუშა

ღმერთმა დაფუშა!

(ფარდა დაეშვება.)

დ. მეღვინეთხუცესოვი.

ვოდევილი „ანჩხლი ცოლი“

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პიესა „ანჩხლი ცოლი“ სამი ავტოგრაფული ნუსხის სახითაა შემონახული: ამათგან ორი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული, ხოლო მესამე – საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ავტოგრაფი: C: დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი №43 (ძველი S 5253).

ავტოგრაფის აღწერილობა: გახუნებული გაცრეცილი, გაყვითლებული, დალაქავებული, გვერდებმოცვეთილი, საშუალო სისქის ქაღალდი, შეიცავს 15 ფურცელს; ზომა: 35,7X22,3 სმ; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც გაჟონილი და გადასულია გვერდებში; ხელნაწერი წარმოადგენს თეთრ პირს, დაწერილია სუფთად. მე-14 და მე-15 ფურცლები გადაკეცვის ადგილას ამოხეულებია.

ავტოგრაფი: C: H-2549: შედის კრებულში, რომელშიც 11 სხვადასხვა ხელნაწერია მოთავსებული. ავტოგრაფს პირველ და ბოლო გვერდებზე აქვს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის ბეჭედი. პირველივე გვერდზე ბაცი შავი ფანქრით აწერია: „ანჩხლი ცოლი სასაცილო შემთხვეულება.“¹⁹⁹

ავტოგრაფის აღწერილობა: გახუნებული, გაცრეცილი, გაყვითლებული, დალაქავებული, საშუალო სისქის ქაღალდი, შეიცავს 19 ფურცელს; ზომა: 35,5X21,8 სმ; შესრულებულია შავი მელნით; ხელნაწერი წარმოადგენს შავ პირს, არის გადახაზული და ჩამატებული ადგილები.

ჩვენს გამოცემას საფუძვლად უდევს ეს უკანასკნელი ნუსხა – H-2549. მიუხედავად იმისა, რომ ის შავი პირია, წარმოადგენს №43 ხელნაწერის გადამუშავებულ და შედარებით ვრცელ ვერსიას. როგორც ჩანს, ავტორმა თეთრი პირი თავიდან გადაწერა და შემდეგ გადაამუშავა. დაკარგული უნდა იყოს პირვანდელი შავი ნუსხა, რომლიდანაც ავტორმა პიესა სუფთად გადაწერა №43 ხელნაწერში.

ავტოგრაფი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბ-

¹⁹⁹ უკვე ჭირს სათაურის გარჩევა.

ლიოთეკა: ხელნაწერი №19 (S-107).

ეს არის განსხვავებული შინაარსის პიესა, ამასთან, არის კომედია და არა ვოდვეილი, ამიტომ ავტოგრაფის აღწერილობას აღარ წარმოვადგენთ.

პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით: პიესა ორიგინალურია.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დანერის თარიღი: დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდის №43 (ძველი S 5253) ხელნაწერს პირველი ფურცლის შიდა მხარეს აქვს 1856 წლის 18 ოქტომბრით დათარიღებული საცენზურო კომიტეტის ვიზა (რუსულ ენაზე). ამ დროისათვის ცენზორ ალექსეევს პიესის დაბეჭდვისთვის ნება დაურთავს („Печатать позволяется“) და მოუთხოვია გამოქვეყნებული ეგზემპლარების გარკვეული რაოდენობის საცენზურო კომიტეტისთვის დაბრუნება, თუმცა პიესის დაბეჭდვა ვერ მოუხერხებიათ.

H-2549 ხელნაწერი უთარილოა, მაგრამ, როგორც ეთერ ქავთარაძე შენიშნავს, ნაწარმოები, რომელთან ერთადაც აღნიშნული ხელნაწერი ერთ კრებულშია შესული, დათარიღებულია 1852 წლით. ორივე ხელნაწერი ავტოგრაფია და წარმოადგენს ე. წ. შავს, შესრულებული და ნასწორებია ერთი მელნით და ერთნაირი ხელით, რაც მკვლევარს ავარაუდებინებს, რომ საანალიზო პიესაც 1852 წელსაა დაწერილი.²⁰⁰

ინეზა კიკნაძის აზრითაც, აღნიშნული ნუსხა დაწერილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1852 წლისა.²⁰¹

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი თარიღდება 1876 წლით.

შენიშვნები: 1. ხელნაწერშია²⁰² „ლალადებაი“; 2. ხელნაწერშია „მნუხარებაი“; 3. ხელნაწერშია „ვაი“; 4. ხელნაწერშია „იელულსალიმიდან“;

პირველი დადგმა: ინფორმაციას ამის შესახებ ვერ მივაკვლიეთ. ეთერ ქავთარაძეს შესაძლებლად მიაჩნია, დანერის დროის

200 ე. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

201 იხ.: ი. კიკნაძე, „XIX საუკუნის ქართული დარმატურგიის ენა (1838-1870)“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ. 43.

202 იგულისხმება H-2549 ხელნაწერი, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენ გამოცემას.

გათვალისწინებით, პიესა შესული ყოფილიყო პირველი პროფესიული თეატრის რეპერტუარში.²⁰³ ინეზა კიკნაძის ვარაუდით, პიესის H-2549 ვარიანტი სცენაზე დასადგმელად იყო განზრახული, სწორება გვიანდელი ჩანს.²⁰⁴

1876 წლის ხელნაწერის სახით დაცული პიესის წარმოდგენის შესახებაც ცნობები არ არის შემონახული, თუმცა ერთერ ქავთარაძეს ხელნაწერზე დასმული დრამატული საზოგადოების ბეჭედი მიაჩნია იმის დასტურად, რომ ეს ხელნაწერი ამ საზოგადოების ბიბლიოთეკას ეკუთვნოდა და პიესა იდგმებოდა. 1876 წლის გაზეთ „დროებაში“ (№199) გამოქვეყნებული განცხადება დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ორმოქმედებიანი სცენების დადგმის შესახებ (სათაურის დასახელების გარეშე) მკვლევარისთვის დამატებითი საბუთია ამ ვარაუდის დაშვებისთვის.²⁰⁵

სცენური ისტორიიდან: ინფორმაციას ამის შესახებ ვერ მივაკვლიეთ. სახაზინო თეატრისა და ქართული დრამატული საზოგადოების მუდმივი დასის არქივები გაანადგურა ხანძარმა, რის შედეგადაც ქართული თეატრისთვის საყურადღებო ბევრი საინტერესო მასალა დაიკარგა.²⁰⁶

ვოდვეილი „უბედური მოარშიყე“

ავტოგრაფი შემონახული არ არის.

პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით: პიესა ორიგინალურია.

პირველი პუბლიკაცია: „უბედური მოარშიყე“, კომედია ორ მოქმედებად: ყოველკვირეული გაზეთი „დროება“, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, 1870, №9, 5 (17) მარტი, გვ.: 1-4.

დანერის თარიღი: „1 იანვარს 1870 წელს.“

პიესის გამოცემის ისტორიიდან: პირველი პუბლიკაციის შემდეგ აღარ გამოცემულა.

203 იქვე.

204 ი. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 44, შგშ. 1.

205 იქვე, გვ. 66.

206 ე. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

პირველი დადგმა: ამბერკი გაჩეჩილაძე ფიქრობს, რომ გიორგი ერისთავის თეატრის რეპერტუარში სხვა პიესებთან ერთად ირიცხებოდა სანალიზო პიესაც,²⁰⁷ მაგრამ ნაწარმოებს დაწერის თარიღი უწერია: „1 იანვარს 1870 წელს.“ ეს არ არის გამოქვეყნების თარიღი, რადგან ის დაიბეჭდა იმავე წლის 5 მარტს. აქედან გამომდინარე, ის ვერ იქნებოდა შესული 1850-იანი წლების ერისთავის თეატრის რეპერტუარში.

სცენური ისტორიიდან: ინფორმაციას ამის შესახებ ვერ მივაკვლიეთ.

ვოდევილი „ექიმბაში“

ავტოგრაფი შემონახული არ არის.

პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით: პიესა ორიგინალურია. მის თავფურცელზე აწერია: „თხზულება დიმიტრი მელვინეთხუცესოვისა“

პირველი პუბლიკაცია: ზაქარია ჭიჭინაძის ინფორმაციით, კომედია ჯერ გაზეთში იყო დაბეჭდილი და შემდეგ – 1876 წელს – ცალკე წიგნად გამოიცა, თუმცა გაზეთებში ჩვენ მას ვერ მივაკვლიეთ.

ცალკე წიგნად გამოიცა 1876 წელს: „ექიმბაში / კომედია წარმოადგენს ძველსა და ახალს დროებას ორს მოქმედებაში / თხზულება დიმიტრი მელვინეთხუცესოვისა / ფასი ორი შაური / თფილისი / ექვთიმე ხელაძის სტამბა / 1876“.

მეორე სატიტულო გვერდზე იგივე ინფორმაციაა, ოღონდ ფასი აღარ არის მითითებული.

დანერის თარიღი: ზაქარია ჭიჭინაძე წერს, რომ დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის აღნიშნული პიესა დაწერილია 1850 წლამდე.²⁰⁸ ეთერ ქავთარაძის აზრით კი, პიესა შეიქმნა 1876 წელს.²⁰⁹

207 ა. გაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, „ხელოვნება“, თბ., 1957, გვ. 321.

208 ზ. ჭიჭინაძე, დრამატიულ მოღვაწე. ასპარეზზე: თეატრი და ცხოვრება, 1910, №18, გვ. 12.

209 ე. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

შენიშვნები: 1. ნაბეჭდშია „მანანა“;

პიესის გამოცემის ისტორიიდან: 1876 წლის შემდეგ აღარ გამოცემულა.

პირველი დადგმა: ვერ მივაკვლიეთ ინფორმაციას.

სცენური ისტორიიდან: ვერ მივაკვლიეთ ინფორმაციას.

ივანე (ოქროპირ, ოქრო) ერისთავი

ბიოგრაფიული ცნობები: ივანე (ოქროპირ, ოქრო) დავითის ძე ერისთავი დაიბადა 1818 წელს. იგი ქსნის ერისთავთა შთამომავლობას ეკუთვნოდა. მამამისი – დავით როსტომის ძე საკმაოდ ჭკვიან და განსწავლულ პიროვნებად ითვლებოდა. გარკვეულ პერიოდში მას მრჩევლის თანამდებობა ეკავა სახ-აზინო ექპედიციაში. განთქმული ყოფილა სტუმართმოყვარეობით. დედა, მარიამ ივანეს ასული ქობულაშვილი, ქართული მწერლობის კარგი მცოდნე და სათნო ხასიათის ქალი ყოფილა.

ივანე ერისთავი დრამატურგ გიორგი ერისთავის ძმა იყო. მათ ჰყავდათ კიდევ ერთი ძმა როსტომი (1811-1847) და ერთი და – თინათინი. 1846 წელს ივანემ იქორწინა თავად ივანე ამილახვრის ასულზე – თამარზე (დაბად. 1829 წელს). 1850 წელს მათ შეეძინათ ვაჟიშვილი – შანშე.

ივანე ერისთავი იყო პროპორშჩიკი. 1849 წელს მას და მის სიმამრს – ივანე ამილახვარს ფოსტის დაყაჩაღებაში მიუღიათ მონაწილეობა, რის გამოც მათთვის ტიტულები და წოდებები ჩამოურთმევიათ და ციმბირში გადაუსახლებიათ – სიმამრი 10 წლით, ხოლო თვითონ – 5 წლით. გარდაიცვალა 1858 წელს.

ინფორმაცია ივანე ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მწირია. გაზეთ „დროების“ 1872 წლის მე-14 ნომერში საუბარია 26 მარტს გამართული საღამოს შესახებ, სადაც წერია: „თავად ივანე ერისთავის კითხვაზედ ნეკრასოვიდან საზოგადოებაში მეფობდა დიდი სიჩუმე; ეტყობოდა დიდი კმაყოფილება ხალხში; მართლაც, გაათავა თუ არა კითხვა – დაჰკრეს ტაში“.

ვოდევილი „ძალად ექიმი“

ავტოგრაფი შემონახული არ არის.

პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით: ვოდევილი წარმოადგენს მოლიერის პიესის გადმოკეთებულ ვერსიას: „კამედია გადმოკეთებული ოქრო ერისთავისაგან“.

1867 წლის 12 დეკემბერს გიმნაზიაში წარმოდგენილი პიესის აფიშა იტყობინებოდა: „კომედია 2-ს მოქმედებად გარდაკეთებული მოლიერის პიესიდგან.“

1888 წელს გამოსულ წიგნში „Театр в Тифлисе с 1845-1856 год“ აღნიშნულია, რომ ცნობილი არ არის, ეს პიესა ორიგინალურია, თუ თარგმნილია მოლიერიდანო, არც ის არის ცნობილი, ვინ არის ავტორი, ან მთარგმნელიო.²¹⁰

პირველი პუბლიკაცია: ჟურნალი „ცისკარი“, 1866, №7, გვ.: 1-34.²¹¹

დანერის თარიღი: რამდენადაც სცენაზე პირველად დაიდგა 1852-1853 წლების სათეატრო სეზონზე, ის გადმოკეთებული უნდა იყოს 1852 წლამდე (ახლო პერიოდში).

პიესის გამოცემის ისტორიიდან: პირველი პუბლიკაციის (1866 წლის) შემდეგ კომედია შეცდომით დაიბეჭდა გიორგი ერისთავის 1867 წელს გამოცემულ თხზულებებში, რომელიც თავადმა ალექსანდრე ესტატეს ძე ერისთავმა მელიქიშვილისა და კამ. სტამბაში გამოსცა ორ ნაწილად.

ამავე ავტორის თხზულებების 1884 წლის გამოცემისთვის დართულ შესავალ წერილში იონა მეუნარგია აღნიშნავს, რომ „სამი კამედია, რომელიც ამ გამოცემაში დაიბეჭდა,²¹² არ ეკუთვნის გიორგი ერისთავის კალამს: „მაიკო“, კამედია, თარგმნილი ბ. ჯაფარიძისა, „ძალათ-ექიმი“, კამედია გადმოკეთებული ოქრო ერისთავისაგან და „თილისმით მოარშიყე.“²¹³

210 Театр в Тифлисе с 1845-1856 год, Перепечатано из XI т. „Актов Кавказской Археографической Комиссии“, Тифлис, Типография Канцелярии Главногоначальствующаго гражданскою частію на Кавказе, 1888, ст. 141.

211 ჟურნალში ავტორი არ არის მითითებული.

212 იგულისხმება 1867 წლის გამოცემა. ქ. გ.

213 თ. გიორგი დავითის ძის ერისთავის თხზულება, მეორე გამოცემა, თფილისი, ი. გ. მელიქიშვილის სტამბა, 1884, გვ. LXIX.

ირმა ზაქარაიაც სტატიაში „გიორგი ერისთავის შემოქმედების ზოგიერთი საკითხი მე-19 საუკუნის სალიტერატურო კრიტიკაში“²¹⁴ ეხება ამ თემას.

პირველი დადგმა: პირველად დაიდგა სცენაზე 1852 წლის 22 ნოემბერს (ახალი სტილით 4 დეკემბერს).²¹⁵ ამ დღეს ოპერის – „ნორმა“ – შემდეგ ქართველმა მსახიობებმა წარმოადგინეს „უნიბლიე ექიმი“.

სცენური ისტორიიდან: პიესა შეტანილი იყო გიორგი ერისთავის პროფესიული თეატრის რეპერტუარში.²¹⁶

ბ. ჯორჯაძის არქივში ამბერკი გაჩეჩილაძემ მიაგნო 1867 წლის დეკემბერში ქუთაისის სცენაზე დადგმული წარმოდგენის აფიშას. იქ წერია:

„გიმნაზიაში

სამშაბათს 12-ს დეკემბერს 1867 წელსა იქნება წარმოდგენა შემდგომის სპექტაკლებისა სასარგებლოდ ღარიბ ქალებთა შკოლისა. დაიწყება 7 ½ საათზედ ნაშუადღევს.“

|

ძალათ ექიმი

კომედია 2-ს მოქმედებად გარდაკეთებული მოლიერის პიესიდან

მოქმედნი პირნი:

თათუა, ვაქსის გამყიდველი..... ფ. ი. მიზანდაროვი
ნანუა, ცოლი მისიკენინა ელ. წერეთლისა
აღალო, მენვრილმანეგ. ლ. კლდიაშვილი

214 ჟურნალი „პირველი სხივი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა ყოველწლიური ლიტერატურული აღმანახი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998, №27, გვ. 160-167.

215 ს. გერსამია, გიორგი ერისთავის თეატრი, სახელგამი, 1950, გვ. 140.

216 იბ. ნ. შალუტაშვილი, თეატრის სამყაროში (სერია), „გიორგი ერისთავი და თეატრი“, საქართველოს თეატრალური საზოგადოება, თბ., 1980, გვ. 29.

ივანე მარიჯანიძე, მებატონე.....რ.უ. მამულოვი
მელანია, ქალი მისი.....კნიაჟ. მ. კ. თუმანოვისა
მართა, ძიძა მელანიასი..... კნ. ე.დ. ნიჟარაძისა
ლევან, მელანიას საყვარელი.....პ.გ. ჩხეიძე
შიო..... კნ. ა. ბ. ლორთქიფანიძე
მარიჯანიძის მოსამსახურენი.....
ლუკაი. ყიფიანი

განმეორებით წარმოდგენა ამ პიესებისა იქნება პარასკევს 15-
ს დეკემბერს, იმავე საათზედ.

ფასი ადგილთა
კრესლო 1-ს წყებისა 3 მანეთათ
პირველი სამი წყება სკამი 2 მანეთათ
დანარჩენი წყება 1 მანეთათ
ბილეთები იყიდება გრაფი სიმონიჩისას,
მარტენის და ჟაკოს სასტუმროშიდ,
ხოლო წარმოდგენის დღეს თეატრის შესავალშიდ.“²¹⁷

ჟურნალ „მნათობის“ 1870 წლის 1-ლ ნომერში დაბეჭ-
დილია ა. კუხელის²¹⁸ წერილი სათაურით „წერილი რედაქტორ-
თან,“ სადაც ავტორი ეხება იმ წლის ყველიერში გამართულ
წარმოდგენებს. აქ აღნიშნულია, რომ სცენის მოყვარენი არ
ივინყებენ ქართულ სცენას და წელიწადში რამდენჯერმე მარ-
თავენ წარმოდგენებს. იმ წელსაც ორჯერ წარმოუდგენიათ
სპექტაკლები. პირველ წარმოდგენაზე მაყურებლისთვის უჩვენ-
ებიათ ზ. ანტონოვის „მე მინდა კნეინა გავხდე“ და ფრანგულ-
იდან ნათარგმნი მოლიერის კომედია „ძალად ექიმი“, ხოლო
მეორე წარმოდგენაზე – გ. ერისთავის კომედიები: „უჩინ-მაჩ-
ინის ქუდი“ და „ძუნწი“, აგრეთვე მოლიერის კომედია „ცოლის
შერთვევინება“, ფრანგულიდან ნათარგმნი დიმიტრი ყიფიანის
მიერ.

217 იხ. გაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეა-
ტრის ისტორიიდან, „ხელოვნება“, თბ., 1957, 344-345.

218 „გაზეთის თანამგრძნობელის“, – როგორც წერილის ბოლოს დართული ხელმოწე-
რიდან ირკვევა. წერილი დანერილია 1870 წლის 8 მარტს.

ნერილიდან ვიგებთ, რომ პიესაში „ძალად ექიმი“ თათუას როლი შეუსრულებია უფ. ეგნატიშვილს, ივანესი – უფ. მიტ. ა – შვილს და გლეხებისა (შიოსი და ლუკასი) – უფ. ქარსიძესა და თარხნიშვილს.

1871 წლის იანვარში თავადაზნაურთა მარშლის, რ. ან-დრონიკაშვილის, სახლში ორჯერ გაუმართავთ წარმოდგენა. დაუდგამთ „ძალად ექიმი“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ და „გაყრა.“²¹⁹

1875 წლის 22 აგვისტოს გორში სცენისმოყვარეებს გაუმართავთ „უჩინ-მაჩინის ქუდი“ და ივანე ერისთავის გადმოკეთებული კომედია „ძალად ექიმი“. ამ დღეს სცენაზე პირველად გამოსულა ნატო გაბუნია.²²⁰

1876 წლის 16 აგვისტოს გორის მაზრის სოფელ ქვიშხეთში უთამაშიათ „ძალად ექიმი“ და „უჩინმაჩინის ქუდი“.²²¹

1889 წლის 17 იანვრის ნომერში (№11) დაბეჭდილია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 7 იანვარს თელაველებს გაუმართავთ სალიტერატურო საღამო. მაყურებელი ბევრი დასწრებია, განსაკუთრებით ქალები. 10-ში წარმოუდგენიათ „ძალად ექიმი“, ერთი მოქმედება „მაიკოდან“ და ერთიც „თამარ ცბიერიდან“. „პირველმა პიესამ უხერხულად ჩაიარა, ხოლო მეორე და მესამე კი ცოცხლად ითამაშეს“.

ზუგდიდის დრამატულ თეატრში, სადაც სცენისმოყვარეთა სპექტაკლები XIX საუკუნის II ნახევრიდან იდგმებოდა, პირველი სპექტაკლი – მოლიერის „ძალად ექიმი“ – დადგა ანტონ ფურცელაძემ 1869 წლის 11 აპრილს.

დაბა ახალსენაკში თეატრალური ხელოვნება XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩაისახა. 1881 წლის თებერვალში აქ განხორციელდა პირველი დადგმა – მოლიერის „ძალად ექიმი“ – ადგილობრივი ძალების მიერ.

1938-39 წლების სეზონზე შედგა პრემიერა სიღნაღის თეატრში (რეჟისორი გ. ინჯია, მხატვარი ა. ჭეღია, მუსიკა მ. ტიხოვი).²²²

219 „ურნალი „მნათობი“, 1870, №1, გვ. 319.

220 „დროება“, 1875, №97.

221 იქვე, 36.

222 თარო – 17, საქ. – 2, ექსპონატი – 82 (7022; ფ. №69).

1950-51 წლების სეზონზე, 30 სექტემბერს, დაიდგა ლ. კაგანოვიჩის სახელობის სახელმწიფო მოზარდ მაყურებელთა თეატრში (რეჟისორი მ. გიჟიმყრელი, მხატვარი დ. ნოდია, მუსიკა ე. ბეიერი).²²³

1952-53 წლების სეზონზე დაიდგა მახარაძის თეატრში (რეჟისორი ო. თალაკვაძე, მხატვარი ვლ. მალაზონია).²²⁴

პიესა დაუდგამთ გორის დრამატული თეატრის სცენაზე 1954-1955 წლების სეზონზე, მაგრამ მთარგმნელად მითითებულია ფ. გოკიელი (დადგმა რ. მამალაძისა, მხატვარი ვ. არჩვაძე, მუსიკა კ. მეღვინეთხუცესისა).²²⁵

1979-80 წლების სეზონზე წარმოადგინეს ქიათურის თეატრში.²²⁶

უთარილო აფიშა გვამცნობს, რომ 18 ივლისს ქიათურის თეატრში შემდგარა პიესის პრემიერა (რეჟისორი ა. იმნაძე, მხატვარი დ. თავაძე).²²⁷

სპექტაკლი იდგმებოდა რუსთაველის თეატრშიც.

223 თარო – 25, საქ. – 2, ექსპონატი – 119.

224 თარო – 8, საქ. – 1, ექსპონატი – 57.

225 გ. ბუნნიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 111. პიესა დაუდგამთ 24 ივნისს, მაგრამ არ არის მითითებული – 1954 წლის 24 ივნისს, თუ 1955 წლისა (ქ. გ.).

226 თარო – 16, საქ. – 2, ექსპონატი – 133.

227 თარო – 16, საქ. – 4, ექსპონატი – 252.

გიორგი ორბელიანი

ბიოგრაფიული ცნობები: პოეტი და მთარგმნელი გიორგი ორბელიანი დაიბადა 1818 წელს. თანამშრომლობდა „საქართველოს მოამბეში“. 1862-1863 წლებში ცხოვრობდა ქუთაისში, 70-იანი წლებიდან გადმოვიდა თბილისში. ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1879 წელს იყო საადგილმამულო ბანკის შემფასებელი კომისიის თავმჯდომარე. მისი პირველი ლექსი „ჰე, საყვარელო“ გამოქვეყნდა 1852 წელს ჟურნალ „ცისკარში“. 60-70-იან წლებში მისი ლექსები ქვეყნდებოდა „მნათობსა“ და „ცისკარში“. თარგმნილი აქვს კრილოვის „მელა და ყურძენი“ (1863), ბერანჟეს „შეგირდი“, „ბებია“, ბაირონის „სიბნელე“.

ვოდევილი „სიყვარულის სასმელი“

ავტოგრაფი: C: S 5192.

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, საშუალო სისქის მხედრული ქაღალდი; ხელნაწერი შედგება 24 ფურცლისაგან. პიესა დაწერილია ფურცლის ორივე მხარეს და იკავებს 19 ფურცელსა და მე-20 ფურცლის პირველ გვერდს. ხელნაწერი ჩაკერებულია შავი ძაფით, აქვს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბეჭედი. მე-7 ფურცელი შუაზეა გახეული; ქაღალდის ზომა: 35,5X22,5 სმ.

ხელნაწერი შესრულებულია თეთრად. მასში იშვიათია გადახაზული ადგილები. ჩანს, რომ ავტორს ის ჩაუსწორებია როგორც გადათეთრების დროს, ისე მის შემდეგაც: მასში შეინიშნება სიტყვათა ჩამატებები სხვა ფერის მელნით, ან ფანქრით. მე-6 ფურცლის recto გვერდის ჩათვლით დაწერილია ბაცი შავი მელნით, ხოლო ამავე ფურცლის verso გვერდიდან პიესა გაგრძელებულია მკვეთრი შავი ტუშით, რომელიც ალაგ-ალაგ დაღვენილია ფურცლებზე. ხელნაწერი დალაქავებულია აგრეთვე ბაცი შავი მელნითაც. მე-9 ფურცლის recto

გვერდიდან ისევ ბაცი შავი მელნით გრძელდება პიესა. ტექსტისთვის დამახასიათებელია „დათანახმება“ ფორმის ხმარება „დათანხმება“ ფორმის ნაცვლად, აგრეთვე „მხოლო“ სიტყვის ხმარება „მხოლოდ“ სიტყვის ნაცვლად და „აბობენ“ ფორმის ხშირი გამოყენება „ამბობენ“ ფორმასთან შედარებით.

პიესის ტიპი ორიგინალურობის თვალსაზრისით: გადმოკეთებულია ა. ბაჟენოვის ამავე სახელწოდების პიესიდან. ხელნაწერზეც ავტორს მითითებული აქვს პიესის გადმოკეთების თაობაზე: „აზრი რუსულიდან“.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დანერის თარიღი: „მოქმედობა წარმოებს თფილისში 1870 წელსა“ / „1870 წელსა. თფილისში. –“

შენიშვნები: 1. პერსონაჟებს ავტორი ყველგან გახაზავს. ჩვენ მათ ბოლდით წარმოვადგენთ. 2. ასეა ხელნაწერში; 3. აქ ავტორს ჯერ დაუნერია „თხოვნას“, შემდეგ გადაუხაზავს და ზემოდან მიუწერია „ბძანებას“, შემდეგ ისიც გადაუშლია; როგორც ჩანს, ავტორი ფიქრობდა, რომელი ვარიანტი დაეტოვებინა და ბოლოს ქვემოთ ისევ მიუწერია „ბძანებას“; 4-5-6. ასეა ხელნაწერში; 7. ამის შემდეგ ნაშლილია ფრაზა: „დაჯდება კუმეტკაზე და დაიფარებს ხელებს სახეზედ.“ 8. ხელნაწერშია „დარშდენ“.

პირველი დადგმა: გ. ბუხნიკაშვილის წიგნში „გორის თეატრი“ შეგვხვდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 1871 წლის 23 აპრილს გორში გამართულა სცენისმოყვარეთა წარმოდგენა (ქართულ-რუსული). ქართულად წარმოუდგენიათ „ძუნწი“ და რუსულად – ა. ბაჟენოვის ვოდევილი „სიყვარულის სასმელი.“ მსახიობი ქალები ყოფილან: ელ. ერისთავისა, ეკატ. თარხან-მოურავისა და ორიც ალხაზიშვილის ქალი.²²⁸

სცენური ისტორიიდან: ინფორმაციას ამის შესახებ ვერ მივაკვლიეთ.

228 გ. ბუხნიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

ენის საკითხები

წინამდებარე ტომში ოთხი ავტორია წარმოდგენილი: გიორგი ერისთავი, დიმიტრი მელვინეთხუცესოვი (მელვინეთხუცესიშვილი), ივანე ერისთავი და გიორგი ორბელიანი. ოთხივე ავტორი 1813-1818 წლებს შორის პერიოდშია დაბადებული. განსახილველი პიესების უმრავლესობა XIX საუკუნის II ნახევარშია შექმნილი.²²⁹

მიხეილ თუმანიშვილი ნარკვევში „ქართული თეატრი“ პიესების ენის შესახებ აღნიშნავს: „ქართული ენა ისე მოქნილია და სხარტული გამოთქმებისა და საოხუნჯო კილოსადმი ისეა მიდრეკილი, ქართველის გონება იმდენად აღსავსეა თავშესაქცევარი ძალდაუტანებელი იუმორით, რომ ყველა ეს გარემოება ხელს უწყობს მთელი კომიკური რეპერტუარის შექმნას.“²³⁰

პიესებს ენობრივად სწორედ ეს ნიშანი გამოარჩევს – მათში პერსონაჟთა დიალოგები ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზეა აგებული.

ქვემოთ წარმოვადგენთ I ტომში შესული პიესების ძირითად ენობრივ თავისებურებებს.

საანალიზო ტექსტებში ძველი ქართული ენისთვის დამახასიათებელი გრაფემები – **ჭ ა ჯ ჭ** – ძირითადად, გიორგი ერისთავის პიესებში გვხვდება.

229 ამ პერიოდის ქართული დრამატურგიის ენა საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ინეზა კიკნაძეს, რომელმაც ამ თემაზე სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 1993 წელს. 2005 წელს გამოიცა მისი მონოგრაფია „XIX საუკუნის ქართული დრამატურგიის ენა (1838-1870)“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; ცალკეული მწერლის დრამატურგიის ენობრივი თავისებურებები განხილულია სხვადასხვა ავტორის ნაშრომებში. იხ.: ო. ურიდია, გიორგი ერისთავის ენა, დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალი ქართული ენის კათედრა, თბ., 1954; ო. ურიდია, გიორგი ერისთავის თხზულებათა ენა და სალიტერატურო ქართულის დემოკრატიზაცია: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, თბ., 1983, №3; კ. გიგინეიშვილი, გ. ერისთავის კომედიების ენა, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, ბათუმი, 1950, გვ. 180-203; ლ. იორდანიშვილი, ზ. ანტონოვის დრამატურგია, თბ., 1966. საინტერესოა ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის სტატია: „ქართული უბნობა ანუ წერა“ (ქართული ენა და „სამი სტილის“ თეორია): „ცისკარი“, 1860, №6, გვ.: 89-104.

230 მ. თუმანიშვილი, „ქართული თეატრი“: ქართული მწერლობა, ტ. 9, „ნაკადული“, თბ., 1992, გვ. 638. სტატია თავის დროზე დაიბეჭდა გაზეთ „Кавказ“-ში, 1852, №10, 11.

ჭ ასო-ნიშანი ყოველთვის უ ხმოვნის მომდევნო პოზი-
ციაში იხმარება:

„თქუ^ჭ სამსახურში“ (თილის. ხ.); „ჩუ^ჭულებრივ
თქუ^ჭ სადილთუკან მოისვენეთ და ჩუ^ჭ გიახელით“ (იქვე);
„შე პლუტო ქუ^ჭყნის დამლუპაო“ (უჩინ. ქ.); „ნეტავი ჩუ^ჭც
წავსულიყავით“ (ანჩხ. ცოლ.); „ჩუ^ჭ არაფერი გაგვიჭირდება“
(იქვე) და სხვ.

ჭ გრაფემა შეინიშნება ზმნურ ფორმებშიც და აქაც უ
ხმოვნის მომდევნოდ: „ამოუშუ^ჭბთ პირიდგან“ (თილის. ხ.);
„ანიშნებს ბიჭებს და გაუშუ^ჭბენ“ (იქვე).

ა გრაფემა იშვიათად ჩნდება: ვა^ა (თილის. ხ.); ვა^ამე
(იქვე); რა^აცა (ძალ. ექ.); „ვა^ა, ჩემო შვილებო! ვა^ა ჩემო მამულე-
ბო“ (სიყვ. სას); „იი^ა!“ (იქვე).

მხოლოდ ორგან იყო ის თანხმოვნის შემდეგ წარმოდ-
გენილი პიესაში „სიყვარულის სასმელი“: „უჰ^ა!“ (იქვე); „ჰ^ა, და
ვეჟო!“ (იქვე); გამოცემაში ა ორივეგან ი ხმოვნით შეეცვალეთ.

ჰ გრაფემა უი ბგერათკომპლექსს გადმოსცემს და,
ძირითადად, თვს თანდებულში იხმარება: ჩემთვს (თილის. ხ.);
კაცისათვს (იქვე); სახლისათვს (ანჩხ. ცოლ.); ძმისთვსა (იქვე);
დღისთვსაო (იქვე).

იშვიათია სხვა პოზიციაში, როდესაც იგი ვი დაწერი-
ლობას ცვლის, სადაც ვ ბგერა არ არის უმარცვლო უ ბგერის
ფონეტიკური ეკვივალენტი: თავსთვის (იქვე).

ჯ გრაფემით, ძირითადად, ჯელი და მისგან ნაწარმო-
ების სიტყვები გვხვდება: „ჩემ ჯელმნიფეს ხანს“ (თილის. ხ.);
„ჯელებზედ ისუნავს ცხვირზედ მოივლებს ჯელსა“ (იქვე).

გვაქვს ქ გრაფემაც: „რო სმენ შაქანცკ“ (თილის. ხ.);
„ხედავს რომ ქატიმ არ ეშვება“ (იქვე); „ქუ შე უგუნურო“
(იქვე); „ხელით ქიხტოვათ შვრება“ (უჩინ. ქ.).

პიესები ყურადღებას იქცევს ფონეტიკური პროცესე-
ბის სიმრავლით. მათგან აღსანიშნავია:

ბგერის დაკარგვა:

1. იკარგება ბ თანხმოვანი მ თანხმოვნის მომდევნოდ, რაც
დისიმილაციური დაკარგვის შემთხვევაა:

მზ > მ:

„როგორც **ამობენ**“ (სიყ. სას.); „რას **ამობ** კაცო“ (იქვე);
შდრ.: **ამბობ** (იქვე).

- II. იკარგება **დ** თანხმოვანი ვითარების ზმნიზედებში (სადაც **-ად//დ** ვითარებითი ბრუნვის ნიშანი გაქვევებუ-ლია): „ამისთვის გინდა რომ **კარგა** ჭამო“ (თილის. ხ.); „ხელები ხომ **კარგა** დაჰბანეთ?“ (იქვე); „საწყალი ჩემი გვამი **სწორე** ხანი“ (იქვე); „**კარგა** დაინახსოვნეთ ჩემი დარიგება“ (ძალ. ექ.); „**მზა** ვარ თქვენის სამსახური-სა“ (იქვე); „**მზა** ვარ, ბატონო“ (იქვე); „**კარგა** გესმისთ“ (ძალ. ექ.); „ბატონო, ცოტა **წყნარა**“ (იქვე); „**მხოლო** როდესაც“ (სიყ. სას.); „მაშინ **მხოლო** ეძლიოს“ (იქვე); „ცხონდა მამა შენი, **სწორე** გცოდნია“ (კატა-ან.).
- III. იკარგება **მ** თანხმოვანი ანლაუტში შემდეგ პოზიციებში:

ა) მკ > კ:

„მივარდება **კლავს** უჭერს“ (თილის. ხ.); „ზოგი **კვდარზე** დამიხარჯამს“ (კატა-ან.).

ბ) ზ თანხმოვნის წინა პოზიციაში, რაც დისიმილაციური დაკარგვის ნიმუშია: **მზ > ზ:**

„შენ ჩემი **ზრძანებელი** არა ხარ“ (ძალ. ექ.).

გ) მრ > რ:

„**რგვალ** სტოლზედ“ (სიყ. სას.).

დ) მდ > დ:

„იმ ალიაქოთში ძირს სახლის **დგმურს** გამოლვიძებია“ (უბედ. მოარშ.).

ე) მშ > შ:

„შენთან ლაპარაკი ხათაბალაა. **შვიდობით**“ (კატა-ან.).

ვ) მც > ც:

„მამაჩემი სულ ახალ-ახალ **ცხეთურს** ორაგულებს მოიტანდა ხოლმე“ (კატა-ან.).

ზ) მს > ს:

„ეს **სუნაგი** დაბმული იყო“ (კატა-ან.).

თ) აუსლაუტში **რომ** კავშირში:

„**რო** ნახა“ (ძალ. ექ.); „**რო** ქეიფობ“ (წარს. დრ. სურ.).

ი) როგორც მოთხრობით ბრუნვის ნიშნის თანხმონიით ნაწილი, **მ**-ზე ფუძეგათავებულ სახელებთან: „**ჩემა** ქალმა“ (უბედ. მოარშ.); „**ჩემა** ქმარმა“ (იქვე); „**ჩემა** მემკვიდრემ“ (კატა-ან.); „**ჩემა** ურდუნამა და ფურდუნამ“ (იქვე).

IV. იკარგება **რ** თანხმოვანი შემდეგ ბგერათკომპლექსებში:

ა) **ბრძ>ბძ**:

მო**ბძ**ანდა (თილის. ხ. უჩინ.ქ); მი**ბძ**ანოთ (თილის. ხ; ძალ. ექ.; სიყ. სას.); უ**ბძ**ანებია (უბედ. მოარშ.); წა**ბძ**ანდები (იქვე); „როგორა **ბძ**ანდებით, მო**ბძ**ანდით, და**ბძ**ანდით“ (სიყ. სას; წარს. დრ. სურ.); „მო**ბძ**ანდით აქ და**ბრძ**ანდით“ (თილის. ხ.); „მო**ბძ**ანდი სოვდაგარო“ (კატა-ან.); შდრ: წამო**ბრძ**ანდით (იქვე); **ბრძ**ანებ (ძალ. ექ.); მაგას ნუ გვი**ბრძ**ანებ“ (იქვე); და-**ბრძ**ანდით (იქვე); „კეთილი იყოს თქვენი მო**ბრძ**ანება ჩვენთან“ (კატა-ან.); „მო**ბრძ**ანდი მარეხ, და**ბრძ**ანდი“ (წარს. დრ. სურ.).

ბ) ზრდ>ზდ:

გაზდილი (თილის. ხ. უჩინ.ქ; ძალ. ექ.); ზდილი (ძალ. ექ.); „გაზდილნი არიან“ (კატა-ან.); „ახალგაზდა ქალები“ (იქვე); შდრ.: გაზრდილნი (სიყ. სას.).

გ) გრძ>გძ:

დღეგძელი (თილის. ხ.); გძელი (სიყ. სას.); გადღეგძელებს (უჩინ.ქ; ძალ. ექ.); შდრ.: „ღმერთი გადღეგრძელებს“ (ძალ. ექ.).

დ) ფრთ>ფთ:

გაფთხილდით (თილის. ხ.); გაუფთხილდეს (ძალ. ექ.; სიყ. სას.); დაგვიფთხებაო (უბედ. მოარშ.); „ფულების გამფთხილებელი იყო“ (კატა-ან.).

ე) ღრძ>ღძ:

ჩამოგაღძობენ (უბედ. მოარშ.).

ვ) ყრმ>ყმ:

სიყმემა (უბედ. მოარშ.).

ზ) ხრჩ>ხჩ:

ჩამამხჩვალს (თილის. ხ.).

თ) მრც>მც; გრც>გც:

მცხვენთან (თილის. ხ.); გცხვენია (ანჩხ. ცოლ.).

ი) რნ > ნ:

„ჩემი ოცდა ხუთ გირვანქიანი ჩანახით აწყული“ (კატა-ან.); „წმინდა პური გაძლიო კალოზე თქვენი ჩანახით აწყული“ (იქვე).

კ) რჯ > ჯ

„პიჯვარს იწერს“ (კატა-ან.); „იწერს პიჯვარს“ (ანჩხ. ცოლ.).

- V. იკარგება ვ თანხმოვანი, ძირითადად, ბაგისმიერი ბგერების მეზობლად, რაც დისიმილაციურ დაკარგვად უნდა ჩაითვალოს:

უვ>უ:

„ენა ჩაუარდა“ (ძალ. ექ.); „თავში ქეიფი მოუა“ (იქვე); „მომა...ტებული მოუიდათ“ (სიყ. სას.).

ვუ>უ:

„მე რითა ვარ ცუდი, ჯორებს არა ცხენებსაც მოუვლი“ (თილის. ხ.); „იმას უყვარვარ“ (იქვე); „მარა რაუყო მე უბედურმა“ (უჩინ. ქ.); „პოლიციას დაუძახებ“ (იქვე); „მაშ უნდა ვიმღერო რალა, რომ შენ ქცევას უყურო“ (უბედ. მთარშ.); „კარს ერთგულათ უვლი“ (იქვე); „ასე რიგათ უნდა გადაუხადო“ (ძალ. ექ.); „უნდა უნახო“ (იქვე); „გამოვიტანდი ფულს და დაურიგებდი მოვალეებს“ (სიყ. სას.); „მე კი არ უნდივარ“ (იქვე); „მაშ რა უთხრა, რომ ასე არ მოვატყუილო“ (კატა-ან.); „მოდღვარს ნილი დაუდე“ (იქვე); „თუ მეც გაუკეთე შტუკები“ (წარს. დრ. სურ.); „შენს ყურებას მე ვერ გაუძლებ“ (ანჩხ. ცოლ.).

ოვ>ო:

„ოქროთი მაინც ვერ მოიპოვებთ“ (ექიმბ.); „გათხოება სულ ვაჭრობაა“ (ძალ. ექ.); „იმისთანა ვერავინ იპოვება“ (იქვე); „იმისთანა მცოდნე კაცი იპოვება“ (იქვე); შდრ.: „არსად არ იპოვება“ (იქვე); „ფულებს სულ თავადებისთვის აგროებს“ (კა-

ტა-ან.);

ვო>ო:

„ძვირო **სანახაო**“ (სიყ. სას.); „ქუცყენის **დამლუპაო**“ (უჩინ. ქ.); „შეცდომა **მოგვიტეოთ**“ (სიყ. სას.); „სახსოვრათ **დაგვიტეოთ**“ (იქვე); „ვაი შენ ჩემო **თაო**“ (ანჩხ. ცოლ.).

კბილბაგისმიერი **ვ** თანხმოვნის მეზობლად, როგორც **l** სუბიექტური პირის ნიშანი: **ვე>ვ:**

„მე აქ როგორ **ჩავარდი**“ (თილის. ხ.).

თანხმოვანსა და ხმოვანს შორის პოზიციაში: **CVV > CV:**

„**რასაკვირელია**“ (თილის. ხ.); „ჩვენ **გაჭირებაში**“ (ძალ. ექ.); „**რასაკვირელია**, აგრე იქნება“ (ანჩხ. ცოლ.); „თუ **გაჭირება** გაქვს“ (იქვე); „**რასაკვირელია** თქუჴნ გეცოდინება“ (იქვე).

ხმოვანსა და თანხმოვანს შორის პოზიციაში: **V3C > VC:**

შეგზანე (სიყ. სას.); **გამომგზანეს** (იქვე); **გამამგზანა** (იქვე); **ნათლულში** (იქვე).

ორ თანხმოვანს შორის პოზიციაში: **C3C > CC:**

„ჩვენც მეტი ღონე არა **გვაქს**“ (ძალ. ექ.); „სახლის **მომლელათ**“ (ანჩხ. ცოლ.); „შემოღობილი მინდორი **აქსო**“ (იქვე).

როგორც შუალობითი კონტაქტის მანარმოებელი **-ევინ** მორფემის შემადგენელი ნაწილი:

„იმერელს ხელზედ პაჩი **აქნეინე**“ (უჩინ. ქ.).

ზოგჯერ იგი სუსტდება თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში და გადადის უმარცვლო **უ**-ში, რაც დამახასიათებელი

იყო ძველი ქართულისთვის: ვ > უ:

მთურალი (თილის. ხ.); **თქუენი** (იქვე); **თქუენ** (იქვე); **კულავ** (იქვე); **მჭუალი** (უჩინ. ქ.); **მთხზუელი** (ძალ. ექ.); „**სხუა** რა ჯავრი გაქვს“ (ანჩხ. ცოლ.); „ახალი **ჯუარდანურილები**“ (იქვე).

ასეთი მოვლენა შეინიშნება ზმნაშიც: **აქუს** (თილის. ხ.); „ერთი სათხოვარი **მაქუს**“ (იქვე).

VI. იკარგება ნ:

ა) როგორც შუალობითი კონტაქტის მანარმოებლის თანხმონითი ნაწილი:

ვეინ > **ევი**:

მათქმევიებ (უჩინ. ქ.).

ინ > **ი**:

„მინდოდა თქვენთვის **მეხარებია**“ (უჩინ. ქ.).

ბ) როგორც საწყისის მანარმოებლის თანხმონითი ნაწილი:

ან > **ა**:

„**მოვაყვანებ** არაბს“ (იქვე).

ენ > **ე**:

„**მოარბენებს** ქატოს“ (იქვე).

VII. იკარგება ს თანხმონი აუსლაუტში:

„**თითქო** თავის დღეში არა სტკიებიარა“ (ძალ. ექ.); „**თითქო** რალაც რეტი აქვსო“ (იქვე).

როგორც მიცემითი ბრუნვის ნიშანი **ს** თანხმონზე ფუძეგათავებულ სახელებთან: „სახლის **უფროს** უნახამ“ (უბედ. მოარშ.); „დღესვე აღ-

ვასრულებ ეკლესიის **ნეს**“ (სიყ. სას.).

მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის ფაქტი სხვა შემთხვევებშიც შეინიშნება:

„ცივი წყალი მიირთვი, **გულ** გააგრილებს“ (კატა-ან.); „ერთ **მაგალით** მოგახსენებ, რადგან სიტყვამ მოიტანა“ (იქვე); „ზოგი კაცი როგორ წაახდენს საქმეს და სხვასაც **სახელ** წაუხდენს“ (იქვე); „შენ **ნილ** ვინ გართმევს“ (იქვე); „განა შენც **ქმარ** უჩივი“ (წარს. დრ. სურ.); „**ფულ** აძლევენ“ (იქვე); „წამოავლებს **პორტრეტ**“ (იქვე); „ჩუჴნ **ერთმანეთ** ვიცნობთ“ (ანჩხ. ცოლ.).

ს იკარგება, როგორც III სუბიექტური პირის ნიშანიც:

„ერთ მხარეს დივანი **დგა**“ (კატა-ან.); „იასაული სახლში **მიდგა**“ (იქვე); „რა დიდი გული გაქვს დანიშნული ხომ არ **გინახამ** სიზმარში“ (იქვე); „ამით **არი** უბედური“ (ანჩხ. ცოლ.).

VIII. იკარგება **შ** თანხმოვანი აუსლაუტში:

„**მა** რა ეშმაკებს მეუბნები“ (ძალ. ექ.).

IX. იკარგება **-მც(ა)** ნაწილაკის **ც** თანხმოვანი **ნეტა** ნატვრით ნაწილაკზე დართვისას:

ნეტამ ეხლა ბუზი მქნა კრაზანა“ (უჩინ. ქ.);
შდრ.: „**ნეტამც** უჩინ მაჩინის ქუდი მაშოვნინა“ (იქვე).

X. იკარგება **ხ** თანხმოვანი:

ხრი > რჩ:

„ჩემ ქმარს და**არჩობენ**?“ (ძალ. ექ.).

XI. იკარგება **-ი**, როგორც თემის ნიშანი: „უნდა სწორე შევიტყო; მე კატას **ავნონ**“ (კატა-ან.).

XII. გიორგი ერისთავის პიესაში „თილისმის ხანი“ და ივანე ერისთავის პიესაში „ძალად ექიმი“ ხშირია ბოლოკი-

დური ხმოვნის დაკარგვის მაგალითები დროის ზმნი-ზედაში **„ეხლავე“** და რაოდენობით რიცხვით სახელში **„ორიოდე“**: „უთხარით იქ ხარაზ ასანას **ეხლავ** ჩემთან მოვიდეს“ (თილის. ხ.); „საჭმელები გაუგზავნეთ **ეხლავ**“ (იქვე); **„ორიოდ** თვე“ (იქვე); **„ეხლავ** ციებას გაგიჩენ“ (ძალ. ექ.).

XIII. -ე ხმოვანზე ფუძეგათავებული სახელი -**ებ-**იან მრავლობითში ერთ ე-ს კარგავს: „ზედ სხედან **მგლოვია-რები**“ (კატა-ან.); **„მგლოვიარები** ზუზუნით იტყვიან, სისო აჩვენებს **მგლოვიარებს** ნიშნებით“ (იქვე); „ცრუ შესყიდული **მონმებისა** არა მნამს-რა“ (იქვე).

ჰაპლოლოგიის მაგალითად უნდა განვიხილოთ და მარცვლის დაკარგვა მიმართებით ზმნიზედაში **სადაც**: „**საცა** ჩვენ გვინდა“ (ძალ. ექ.); „**საცა** მორთულს ქალს დაინახამს“ (ექიმბ.); „**საცა** შენი თქო, ჩემიც იქა თქვი“ (ანჩხ. ცოლ.).

პიესების ტექსტებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ფონეტიკური პროცესია -**ვა** ბგერათკომპლექსის შეცვლა -**ო** ხმოვნით: „არ შემიძლიან **გამოგართო**“ (თილის. ხ.); „სისხლი უნდა **გამოუშოთ**“ (იქვე); **უსომს** (ექიმბ.); **ჩამოისომს** (იქვე); „მე ღვინოს არა **ვსომ**“ (უბედ. მოარშ.); „ნამალი **ნაუსო**“ (ძალ. ექ.); **გამოგიშოთ** (იქვე); „ჩექმას ვერ **ვიცომ**“ (კატა-ან.); „კარგი ვერ **ჩამიცომს**“ (იქვე); „არა **გითქომს** რა“ (ანჩხ. ცოლ.); „**საცა** შენი თქო“ (იქვე); „**უკაცრაოთ** ჩემო მოყვარეო“ (იქვე); შდრ.: **გამოუშვას** (ძალ. ექ.); **ჩამოისვამს** (ექიმბ.).

შენაცვლება ერთგან არატიპურ შემთხვევაშიც დადასტურდა: **უკაცრაოთ** (უჩინ. ქ.; ექიმბ.); **უკაცრაოთ** (სიყ. სას.).

შეინიშნება უკუპროცესიც: -**ო** ხმოვანი იცვლება -**ვა** ბგერათკომპლექსით: „პირში უნდა **ჩაუღვას**“ (თილის. ხ.).

თორემ კავშირის **ო** ასევე **უა/ვა** კომპლექსის შეცვლის შედეგია (თუარა/თვარა). გიორგი ორბელიანის პიესაში „სიყვარულის სასამელი“ ამ კავშირის ძველი ფორმა შენარჩუნებულია: „**თუარემ** არა გვეყურებარა“; „**თუარემ** იმასაც ვერ არიგებენ“; „**თუარემ** არ ვიცი რას გიზამ“; დროებას არა კითხულობთ. **თვარემ**, ამ გვარ სიტყვებს ხშირათ ნახამთ იქ.“

საანალიზო პერიოდის სასაუბრო მეტყველებაში გავრცელებული ფონეტიკური პროცესებია აგრეთვე ასიმილაცია და დისიმილაცია:

ხმოვანთა ასიმილაციის ნიმუშები:

უცხუა (უჩინ.ქ.); **ესტერიკა** (ექიმბ.); **აფთიექარცა** (ძალ. ექ.); „თქვენ ხუმრობთ **მითამ**“ (იქვე); „**დეე** მოვიდეს“ (თილის. ხ.). ასიმილირდება **ამ** ჩვენებითი ნაცვალსახელის ხმოვანი მომდევნო სიტყვის პირველი ხმოვნის გავლენით: „**ემ** მინუტს მოვიყვანო“ (კატა-ან.).

ხმოვანთა ასიმილაციის მაგალითები განსაკუთრებით ხშირია ზმნებში: აქ ასიმილირდება ზმნისწინისეული ხმოვანი:

გა>გე: „არცა რა ამას **გეეგება** ქვეყნისა“ (ანჩხ. ცოლ.); **გეეთრიე** (ძალ. ექ.).

გა>გო: **გოუხდი** (უჩინ. ქ.).

და>დე: **დეისკუნებთ** (უჩინ. ქ.); **დევიმსე** (იქვე); **დევიჭირო** (იქვე); **დეინუნებდი** (იქვე); **დეემტვრია** (ძალ. ექ.); **დეეფანტება** (იქვე); **დეექცეს** (იქვე).

მო>მა: „**მაიცა** მალე ჩაიფლობი ლაფში“ (უჩინ. ქ.); „უნდა **მამიტანოს**“ (იქვე); „ხელი **მამე**“ (კატა-ან.); „იმას ვერავინ **მამაშლევინებს**“ (ანჩხ. ცოლ.); „ნეტავი **მამკლა** და ჩემს ჭირვეულს რძალს **მამარჩინა**“ (იქვე); „თუნდა **მმარჩინო**, თუნდა არ **მმარჩინო**“ (ძალ. ექ.); „ნუ **მამატყუებ**“ (კატა-ან.).

მო>მე: **მეემზადეთ** (ძალ. ექ.).

გამო>გამა: „რათ **გამართვი** და თუ **გამოართვი**“ (თილის. ხ); „ყველაზედ მეტათ ის არ **გამამყავს**“ (ანჩხ. ცოლ.);

ჩა>ჩე: **ჩემივარდა** (უჩინ. ქ.).

ნა>ნე: **ნეიყვანეთო** (უჩინ. ქ.).

ნამო>ნემე: **ნემევიყვან** (უჩინ. ქ.).

ნამო>ნამა: **ნამამხტარა** (უბედ. მოარშ.).

შე>შა: **შაუძლიან** (ძალ. ექ.); „**შა**[ი]ნახამს“ (სიყ. სას.); „პირში წყალი **შაინახე**“ (კატა-ან.); „**შასჭამს** კნიაზი“ (იქვე).

შემო>შამა: **შამამხედამს** (ექიმბ.).

შემო>შემე: „**გული შემეეყრება**“ (ნარს. დრ. სურ.).

ზმნისწინის ხმოვნითი ელემენტის შეცვლა დამახასიათებელია დიალექტებისთვის. სახეცვლილი ფორმები პიესებში

შემოტანილია სხვადასხვა დიალექტზე მოსაუბრე პერსონაჟების მიერ, თუმცა ხშირია მათი გამოყენება (განსაკუთრებით კახური დიალექტისთვის ნიშანდობლივი ფორმებისა) ავტორთა მეტყველებაშიც.

თანხმოვანთა ასიმილაცია: **მოუნთომელია** (თილის. ხ.); **მეორეთაც** (იქვე); **ჩაშჩრიან** (იქვე); **მომიკვტე** (უჩინ.ქ.); **შაფათობით** (იქვე); **გამშინჯე** (ექიმბ.); **გაშინჯამს** (იქვე); **გაშინჯეთ** (იქვე); **გაუშინჯოს** (ძალ. ექ.); **კაბინეთში** (უბედ. მოარშ.); **„მაცთური ენა ჰქონდა“** (კატა-ან.); **„ენის მაცთურობით ნესზედ კი წაყვანილია“** (იქვე);

ხელსახოცი ხშირად **ხელცახოცის** სახით დასტურდება: **„ხელში უჭირამს ხელცახოცით თევზი“** (კატა-ან.); **ხელცახოცს** (ექიმბ.); **„ნიშანი ჩემი ხელცახოცი იყო“** (იქვე); **„მოიტანა შენი ხელცახოცით“** (იქვე); **შდრ.: ხელსახოცს** (ექიმბ.); **„ხელცახოც თვალზედ მიფარებული იტყვის“** (ანჩხ. ცოლ.); **„მოჰკიდებს პატარძალს სარტყელზედ გამობმულზედ ხელცახოც“** (იქვე).

ასიმილაციას განიცდის თემის ნიშნისეული თანხმოვნებიც: **შეიტყოფს** (უბედ. მოარშ.); **იგრძნოფთ** (სიყ. სას.); **შევატყოფ** (იქვე).

შეინიშნება საპირისპირო მოვლენა: იმავე პოზიციაში თემის ნიშანი **-ოფ** სახეცვლილია **-ობ** თემის ნიშნად, ასევე **-ეფ** შეცვლილია **-ებ** თემის ნიშნად, რაც ფსევდოგრამატიზებულ მოვლენად მიგვაჩნია: **„ერთს ავათმყოფს“** (ძალ. ექ.); **„დაიკრებს გულხელს“** (კატა-ან.).

მჟღერდება II სუბიექტური პირის ნიშანი **ს** მომდევნო **დ** თანხმოვნის გავლენით: **„მიზღისხარ, ქაჩალი მექუდესთან კიდევ მივა“** (კატა-ან.).

ფსევდოგრამატიზებულ დაწერილობას მიეკუთვნება აგრეთვე **„წინათ“** დროის ზმნიზედაში ბოლოკიდური **თ** თანხმოვნის გამჟღერების მაგალითი: **„ამას წინად“** (სიყ. სას.).

დისიმილაცია:

ხმოვანთა დისიმილაცია: **„აგება მაშინ მოვახსენო“** (თილის. ხ.); **თიატრი** (უჩინ.ქ.); **გიაშებათ** (ძალ. ექ.); **მიაშება** (იქვე); **გიახლებათ** (იქვე); **გიახელ** (იქვე); **აქიმებში** (იქვე); **მინამ** (იქვე); **გიახლოთ** (სიყ. სას.); **ცხარია** (იქვე); **სინამ** („სინამ

მიეფარებიან“) (უბედ. მოარშ.).

შე>შა: „არ შამიშო“ (უჩინ. ქ.).

არატიპური შემთხვევაა და ზმნისწინის ხმოვნითი ელემენტის შეცვლა უ ხმოვნის გავლენით: **დეუცარილებ** (უჩინ. ქ.).

თანხმოვანთა დისიმილაცია:

მბ>ნბ:

გია**ნ**ბე (ექიმბ.); უა**ნ**ბობს (იქვე); ა**ნ**ბობ (სიყ. სას.); ა**ნ**ბავია (იქვე); ა**ნ**ბავსაც (უბედ. მოარშ.); ა**ნ**ბობს (იქვე); ა**ნ**ბობენ (თილის. ხ.); ვა**ნ**ბობ (ძალ. ექ.); სტა**ნ**ბოლს (უჩინ. ქ.); სტა**ნ**ბოლში (თილის. ხ.); კა**ნ**ბერიც (სიყ. სას.); „კიდევ ა**ნ**ბობ მშიან“ (კატა-ან.); „ა**ნ**ბობენ ანჩხლია“ (წარს. დრ. სურ.); „ყველა ა**ნ**ბობს“ (ანჩხ. ცოლ.); შდრ.: ა**მ**ბავია (უბედ. მოარშ.).

მდ>მთ:

რამთენსამე (ძალ. ექ.).

ზდ>სდ:

გამსდელმა (სიყ. სას.).

რ-ლ > ლ-ლ:

„ვერ ვიტყვი და**ნ**ვლილებით“ (კატა-ან.).

დდ > ნდ:

„ხელი გაუშვი მეთქი სასწორი გა**მ**რუნდება“ (კატა-ან.).

ბგერათმონაცვლეობა, ანუ სუბსტიტუცია:

ბ>პ:

„აპა, რავა საკადრისია“ (ანჩხ. ცოლ.).

ლ>ნ

„ამ თავე სასიკვდინემ“ (კატა-ან.).

ვ>მ:

„ვერე გამსებს გულის სურვილსა“ (წარს. დრ. სურ.);
„მითომ ქალს ეალერსება“ (იქვე).

ვ>ნ:

„შენ კიდენ ქეიფი გინდა“ (წარს. დრ. სურ.).

მ>ნ:

ნიკროსკოპს (ექიმბ.); ინტერვენ (უბედ. მოარშ.); დანა-
ხსოვნეთ (ძალ. ექ.); დანახსომებთ (იქვე); „უნცროსი და ვარ“
(კატა-ან.); „ხომ არ ვთქვი ნანყნდა“ (იქვე); „ფანჯრები დაუნ-
ტ[ვ]რიეს“ (წარს. დრ. სურ.).

ნ>მ:

სამთელი (თილის. ხ.; უბედ. მოარშ.).

ნ>ლ:

მოლოზნათ (ძალ. ექ.).

მ>ზ:

ბჰერა (უჩინ. ქ.).

მ>პ:

უიპე (უჩინ. ქ.).

ბ>პ:

დამეპნევა (თილის. ხ.).

ვ>მ:

მითომ (უჩინ. ქ.; უბედ. მოარშ.; ძალ. ექ.; სიყ. სას.).

გ>კ:

ამხანაკი (უბედ. მოარშ.); მოგეამხანაკდები (სიყ. სას.).

მ>ნ და რ>ნ:

დაინახსოვნეთ (ძალ. ექ.).

ზ>ძ:

განძრახვა (ძალ. ექ.).

ჩ>ც:

ამცნევს (სიყ. სას.).

ხ>ყ:

ეშყში (სიყ. სას.).

ჩქამიერი თანხმოვანი მკვეთრდება სონორი თანხმოვნის მომდევნოდ: **დ>ტ**: „**რამტენი** ავანტყოფი მოგიჩჩენია“ (ძალ. ექ.); „**იმტენი** მე ვიცი“ (იქვე); „**შენოტელმა** ქალმა“ (ანჩხ. ცოლ.).

ზოგჯერ სიტყვა ძველი ფორმითაა მოცემული, მაგ.:
რავდენიმე (სიყ. სას.) **ავდენს** (იქვე); **რავდენსამე** (იქვე); **რავ-
დენჯერ** (იქვე);

საანალიზო ტექსტებისთვის ნიშანდობლივია
თანხმოვნის განვითარების შემთხვევები.

ვითარდება **ვ**:

ცნობილია, რომ რა ფონეტიკურ პირობებშიც იკარგება
ვ ფონემა, იმავე ფონეტიკურ პირობებში ვითარდება. ამისი ნი-
შეუბები ჩვენს პიესებშიც მოიპოვება:

იგი ვითარდება ანლაუტში ბაგისმიერი **ო**, ან **უ** ხმოვნის
წინ:

ო>ვო:

„ვოქრო თვალი და მარგალიტი“ (უჩინ. ქ.).

უ>ვუ:

„ვურმები მოვიდნენ“ (იქვე).

ბოლოკიდური **ო** ხმოვნის წინ: **ო>ვო:**

„ჩემი ცოლი დამპირდა კარგათ ვიქცევივო“ (იქვე); „მი-
მინოვო“ (უბედ. მოარშ.); შე[მ]ატყობინოვო (სიყ. სას.); მიშოვ-
ნოვო (იქვე); სჭამოვო (იქვე).

ინლაუტში ინტერვოკალურ პოზიციაში: **VV>V3V:**

„საუცხოვოა“ (თილის. ხ.).

ზოგჯერ შენარჩუნებულია იქ, სადაც დღეს უკვე და-
კარგულია:

„ფილასოფოსები ვირათ გადაიქცევივოდნენ“ (თილის. ხ.).
ვითარდება **ნ**:

ინლაუტში:

ნ>ნნ:

ნუნნკია (უჩინ. ქ.).

ლ>ნლ:

„სალერლნელი ამეშალა“ (სიყ. სას.); ამ კონკრეტულ მაგალითში, **ნ** ბგერის განვითარება, სავარაუდოდ, გამონვეული უნდა იყოს „ლრლნ“ ფუძის ანალოგიით.

ანლაუტში:

ი>ნი:

ნიდაყვამდინ (ძალ. ექ.).

ვითარდება **მ:**

ანლაუტში:

ლ > მლ:

მღვთისა (ექიმბ.).

ნ > მნ:

„მნვეტის ქუდით“ (ძალ. ექ.).

ხ > მხ:

„ცოლსაც მიეცემა თავისი **მხვედრი**“ (კატა-ან.); „ჩაცმულ-დახურვილნი, ზრდილობიანნი, მოთავაზე, **მსწავლულნი**“ (იქვე).

პიესებში ვხვდებით **მეტათეზისის** ნიმუშებსაც: „**მოსხნიან** შენი ცოლი“ (უჩინ. ქ.); „**არა ვკვდები დამესხენ**“ (იქვე); შდრ.:

„დაეხსენ გაგვეცალოს“ (ექიმბ.); „ვერ შეიტყე ღრუბენატორი ვარ“ (უჩინ. ქ.); „დავსჯდები ქუთაისს ღრუბენატ[ო]რათ“ (იქვე); შდრ.: „კაი ლუბერნატორი ვიქნები“ (იქვე); „ძრიელ ძნელია“ (უბედ. მოარშ.); ქრმებსა (იქვე); საქრმო (ძალ. ექ.); მადრიელი (იქვე); ქრმების (სიყ. სას.); „მემრე ვინ მოგცა?“ (იქვე); „მემრეც გექნება დრო მაგისა“ (იქვე); „შენი რა მადრიელი“ (კატა-ან.); „უძრმოთ არ იჭმება“ (იქვე); „ქრმითა“ (წარს. დრ. სურ.); „ცოლ-ქრმოზა“ (ანჩხ. ცოლ.); „ძრიელ შენუხებულ“ (იქვე).

ქვეშ სიტყვის ანალოგიით უნდა იყოს **ს** თანხმოვანი **შ** თანხმოვნად ქცეული სიტყვაში **ქვეშკნელს** (ექიმბ.).

ვითარებით ბრუნვის ნიშნის დაყრუება, როგორც სახელებთან, ისე ვითარებით ზმნიზედებთან, შეიძლება ითქვას, რომ წესია ყველა პიესისთვის. ამ პერიოდის ტექსტებს ეს ნიშანი გამოარჩევს: ავტორები ხშირად წერენ ისე, როგორც ეს-მით (აღსანიშნავია, რომ იგივე მოვლენა შეინიშნება XIX საუკუნის რუსულენოვან ტექსტებშიც) და, რადგანაც სასაუბრო მეტყველებისთვის დამახასიათებელია მყლერი თანხმოვნის დაყრუება აუსლაუტში, ეს წერით მეტყველებაშიც იჩენს თავს: **კარგათ** (თილის. ხ.); **რათ** (იქვე); **მხიარულათ** (უჩინ. ქ.); **მეტათ** (იქვე); **მდიდრულათ** (ექიმბ.); **ძველებურათ** (იქვე); **ხშირათ** (უბედ. მოარშ.); **უბრალოთ** (იქვე); **ექიმათ** (ძალ. ექ.); **ზეპირათ** (იქვე); **მდიდრათ** (სიყ. სას.); **თავათ** (კატა-ან.); **კაპეიკათ** (იქვე); **რიგათ** (წარს. დრ. სურ.); **ზეზეურათ** (ანჩხ. ცოლ.); **დედოფლათ** (იქვე).

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი ყრუვდება **ა** სავრცობის წინაც: „**კარგათა** ვქენ“ (თილის. ხ.); „ქაბაბი გამიკეთეთ **საუზმეთაო**“ (იქვე); **უკაცრავათა** (უჩინ. ქ.); „კოლოფს **აბაზათა** ვყიდი“ (ძალ. ექ.).

ვითარებით ბრუნვაში მდგარი სახელი იშვიათად სწორი ორთოგრაფიითაცაა წარმოდგენილი: „ახლა ყველაფერი **მზად** არის“ (თილის. ხ.); **ქართულად** (ექიმბ.).

ზემოთ, ასიმილაციის განხილვისას, ზმნისწინებთან დაკავშირებით, აღვნიშნეთ დიალექტიზმების შესახებ. დიალექტური ფორმები სხვა შემთხვევებშიც გამოვლინდება, განსაკუთრებით იმერელი პერსონაჟების მეტყველებაში. მაგ.,

გიორგი ერისთავის პიესის – „უჩინმაჩინის ქუდი“ – იმერელი მსახური ბიჭის – კიკოლას – მეტყველებაში შეინიშნება ისეთი ფორმები, როგორიცაა: **ისდე, ასდე, ესდე** და სხვ; „ბათალიონს რავა კაი ცხენს **ისდე** ატრიალებდნენ“; „**ასდე** ჯარი მოტრიალდება“; „**ესდე** გოუხდი“.

ტექსტებში, ზოგადად, მრავლადაა დიალექტიზმები: **რავა, მარა აქანა, ვინცხლა, აგრეთი, ასრეთი, არაოდეს, იქავ, იმტოლი, იმდონი, რომე, აქნობამდე, მართლადაც, რამდონჯერ, მანდედანა** და სხვ.

კუმშვა-კვეცის ფონეტიკურ მოვლენასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს შემდეგი შემთხვევები:

-**ელ** მარცვალზე ფუძეგათავებული სახელი ზოგჯერ არ იკუმშება, მსგავსად ძველი ქართულისა: **მოუთმენელად** (თილის. ხ.); „ასანა აჩუცნებს **მოუთმენელობას**“ (იქვე).

ასეთივე მოვლენა შეინიშნება -**არ**, -**ან** და -**ალ** მარცვლებზე ფუძეგათავებულ სახელებთანაც: „თქუცნ **მასხარათ** მიგდებთ“ (თილის. ხ.); „ერთი **აფიცარის** ჩაის დალევს“ (უჩინ. ქ.); „გინდა **სულთანის** ქალიც გახდე“ (თილის. ხ.); „**წამალის** მინა“ (ექიმბ.); „**ხორბალის** აწყვაში“ (უბედ. მოარშ.); „**წამალის** მიღების ჯიუტი“ (ძალ. ექ.); „**ჯვარის** სანერათ“ (სიყ. სას.); „**ჯვარის** დასანერათ წავიდნენ“ (იქვე); „ჩვენი **ქმარებსა**“ (წარს. დრ. სურ.); „ჩემი **ქმარის** შტუკაა“ (იქვე); „**დაემუქარე** დაჩუმდი“ (ანჩხ. ცოლ.).

პიესებში იშვიათად ჩნდება გაშლილი ფუძე, მაგ., „**დალალული** იქნებიან“ (უჩინ. ქ.); „არა ვართ **დალალულნი**“ (იქვე); „ცოტა **დალალული** ვარ“ (უბედ. მოარშ.); „სანამ ორნიც **დაილალებიან**“ (იქვე); „**დაილალებოდით** ბატონო?“ (წარს. დრ. სურ.); „**დაილალებოდით**“ (ექიმბ.).

ასევე ხშირად შეუკუმშავია **თანახმა** ფუძის შემცველი ზმნური ფორმები: „მაშინვე **დათანა... ხმდება**“ (სიყ. სას.); „როგორ ჩქარა **დათანა... ხმდეს**“ (იქვე); „**დათანახმდი** გეთაყვანე ქეთევან“; (იქვე); „**დათანახმდი** გეთაყვანე სულში“ (იქვე).

-**ა** ხმოვანზე ფუძეგათავებული სახელის -**ებ**-იან მრავლობითში შენარჩუნებულია ბოლოკიდური ხმოვანი: „მე ვერ ავასრულებ იმ **პირობაებსა**“ (უჩინ. ქ.); შდრ.: „ასრეთი **პირო-**

ბებით არის“ (იქვე); იმავე ფაქტს ვხვდებით ნიკოლოზ ბარათა- შვილისა და გრიგოლ ორბელიანის წერილებში.

ქართულში ერთმანეთისაგან განირჩევა, მოუბარი პი- რის ახლო ნათესავებზეა საუბარი, თუ თანამოუბარის, ან მე- სამე პირისა. მოუბარი პირის ახლო ნათესავების აღმნიშვნე- ლი საზოგადო სახელები უკვეცელია, ხოლო თანამოუბარის, ან მესამე პირის ახლო ნათესავებისა – კვეცადი. მაგ., **დე- დას** ჩანთა, მაგრამ მეგობრის **დედის** ჩანთა. ჩვენს ტექსტებ- ში ერთგან არსებითი სახელი **მამა** უკვეცელია, ოღონდ ის არ არის მოუბარის მშობელი: „ჩემთან თავის **მამათი** მოსულიყო“ (თილის. ხ.).

შეკუმშულია **ქალამანი**, ოღონდ არა ბოლო -**ან** მარცვა- ლი: „სხვები მაგის **ქალმანის** ღირსნი არ არიან“ (ძალ. ექ.).

ზოგჯერ იკვეცება ზმნისწინის ბოლოკიდური ხმოვანი, რაც დიალექტებში შეინიშნება: „ხვალ ქორწილი **გადიხადოს**“ (თილის. ხ.); „მე რომ **გადუხადო** ეგ ვალი“ (იქვე); „რაზედ **გა- დირიე**“ (უჩინ. ქ.); „ორივე **გადიქცევიან**“ (სიყ. სას.).

ხმოვნის მოკვეცა თანხმოვნის წინა პოზიციაშიც ვლინ- დება: „დაპატიჟე და **გადგინედეს**“ (უჩინ. ქ.).

ძველ ქართულში **საკვირველი** იხმარებოდა დაწერი- ლობით **საკრველი**, სადაც **კ** გრაფემა შედგებოდა უმარცვლო **უ**-სგან და სრული **ი** ხმოვნისგან. პიესების ტექსტებში ეს სი- ტყვა საკმაოდ ხშირია დაწერილობით: **საკურველი**, სადაც **უ** ხმოვანი სრულია. „რა **საკურველია** თქუჴნო მაღალ ხარისხო- ვნებაჴ“ (თილის. ხ.); „**რასაკურველია**, ჩემს ვალებს გადავსწყ- ვეტ“ (სიყ. სას.).

სახელთა მორფოლოგიის საკითხებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

საკუთარი სახელი ხშირად ფუძის სახითაა წარმოდ- გენილი სახელობით ბრუნვაში: „**ქეთევან** წამოდგება“ (ექიმბ.); „შემოვა **ქეთევან**“ (იქვე); „**თინათინ** შეჴყურებს საათს“ (იქვე); „შემოვლენ **დურმიშხან** და **ქეთევან**“ (იქვე); „რადგან **ჯანაოზ** ბძანებს“ (ძალ. ექ.); „ტახტზედ მოკეცილი ზის **ხანფერვან**“ (წარს. დრ. სურ.); „შემოდის **ყარამან**“ (ანჩხ. ცოლ.).

თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი -**ა** ხმოვანს გვიჩი-

ვენებს: „მარეხა არის“ (წარს. დრ. სურ.).

წოდებით ბრუნვაში კი იშვიათად საკუთარი სახელი სახელობითის ნიშანს დაირთავს: „ჩემო **სიმონი**, შენი ბატონის მამას რა ჯაფა გაუნევია დედა ჩემზედ“ (კატა-ან.).

-ი დაბოლოებას იშვიათად ინარჩუნებს მიცემითანაც: „**სიმონის** გაუმარჯოს“ (იქვე).

წოდებითი ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელი ზოგჯერ -ვ ბრუნვის ნიშანს გამოავლენს: დედა**ვ** (თილის. ხ.); ურია**ვ** (იქვე).

არსებითი სახელი **დრო** ნათესაობითი ბრუნვის წარმოებისას მისდევს სხვა -ო ხმოვანზე ფუძეგათავებულ სახელთა პარადიგმას: „ძველი **დროსი**“ (ექიმბ.); „შეიყარენით ძველი **დროს** ხალხი“ (იქვე).

ერთ შემთხვევაში არსებითი სახელი მრავლობითი რიცხვის ორივე წარმოების მარკერს გვიჩვენებს: „ეს დიდი და ჭკვიანური კითხვაა **ექიმებთ** შორის საცოდნელათ“ (ძალ. ექ.).

დასტურდება ვარიანტული წყვილები აბსტრაქტულ სახელთა წარმოებისას (ასეთივე ფაქტი შეინიშნება თემის ნიშნების შემთხვევაშიც): **სნეულობა // სნეულება** (ძალ. ექ.); **მეტყველობა // მეტყველება** (იქვე).

გიორგი ორბელიანის პიესაში „სიყვარულის სასმელი“ საკმაოდ ხშირია -ობა მანარმოებელი იქ, სადაც დღეს -ება მანარმოებელია გავრცელებული: **თავისუფლობა, კმაყოფილობა, წლოვანობა, შეხედულობა, ჩვეულობა, მეტყველობა, მოქმედობა**.

გიორგი ერისთავი პიესაში „თილისმის ხანი“ ხმარობს **ნებიერებას**: „ძალიან მიყვარს კუჭის **ნებიერება**.“

შეგვხვდა კნინობითობის მანარმოებელი -უა: „და**უა**“ (ანჩხ. ცოლ.).

XIX საუკუნის ტექსტებისთვის დამახასიათებელია **რალაც** განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთან ბრუნვის ნიშნების ხმარება გამაძლიერებელი **ც** ნაწილაკის წინ: „**რალამაც** ეშმაკმა მომაჯადოვა“ (თილის. ხ.); „მე ვგრძნობ **რალასაც** თავისუფლებას“ (იქვე); „სიზმარში **რალასაც** ლაპარაკობს“ (იქვე); „**რალასაც** ტკბილს წითელ წამალს ასმევს“ (ექიმბ.).

იშვიათად მიმართებით ნაცვალსახელთან **ც** ნაწილაკის წინ სრულადაა შენარჩუნებული მოთხრობითი ბრუნვის **მან** ნიშანი: „**რომელმანც** მიმიზიდა“ (თილის. ხ.); „**რომელმანც** იცის“ (ძალ. ექ.).

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი „**ყველა/სუყველა**“ ზოგჯერ ცვლის ნაცვალსახელს „**ყველაფერი**“ (რომელიც უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელთან მიმართებით გამოიყენება): „**სუყველა** იმას გიგავთ, ტანი, მიმოხვრა და ყოველივე“ (თილის. ხ.); „აი აქ მოეფარენით **ყველას** გაიგონებთ“ (იქვე); „მაგ უგუნურმა **ყველა** დაიჯერა“ (იქვე).

ხშირია სიტყვის გავრცობა ფრაზის, ან წინადადების ბოლოს:

„ჩემს ლეილასა“ (თილის. ხ.); „დიდი ბედნიერება იქნება ჩემთვისა“ (იქვე); „მოიტანენ სინებით ფლავსა ასანა დაუნყებს ჭამასა უთავაზებს ხანსა“ (იქვე); „შევედით ერთ ხელოსანთანა, სადაც მირზა აღიმ შეუკვეთა“ (იქვე); „უნდა გაიყვანოს გართა სუსანა არ უშვებს“ (უჩინ. ქ.); „ჯიგრაშენში ნადი კვირასა“ (იქვე); „ლალუა გვის ტახტსა“ (კატა-ან.); და სხვ.

ემფატიკური ხმოვანი შეიძლება სხვა მეტყველების ნაწილებთანაც შეგვხვდეს: „შენ **ძალიან** ცდილობ“ (ძალ. ექ.); „იმისთანა ავათმყოფობა დაეძგერა, **რომა** ენა ჩაუარდა“ (იქვე); „**როგორაც** სჩანს“ (თილის. ხ.); „**როგორა!** ხანი!“ (იქვე).

კომპოზიტიკში პირველ ფუძესთან ერთ შემთხვევაში ჩანს სახელობითი ბრუნვის ნიშანი: **ვაჟიკაცი** (ძალ. ექ.). კომპოზიტიკში **დეიდაჩემი** შენარჩუნებულია **დ** თანხმოვანი: **დეიდაჩემს** (სიყ. სას.); **დედიდის** (იქვე.).

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების თავისებურებებიდან უნდა გამოიყოს შემდეგი ასპექტები:

მიცემით ბრუნვაში სრული შეთანხმების დომინანტობა განურჩევლად მსაზღვრელ-საზღვრულის რიგისა და მსაზღვრელის ფუძისა: „**ბნელს ღამეს**“ (თილის. ხ.); „**ჩემს ლეილასა**“ (იქვე); „**რას** ფიქრში იყავით“ (უჩინ. ქ.); „**ცოტას ხანში**“ (იქვე); „**მონერილს ნიგნს**“ (ექიმბ.); „**წითელს მიტკალში**“ (იქვე); „**ემსახუროს ნაქებს ექიმთანა**“ (ძალ. ექ.); „**დიდს ბედნიერებას**“ (იქვე); „**მცოდნეს ექიმს**“ (იქვე); „**მორთულს ოთახს**“ (სიყ. სას.);

„ერთს მხარეს“ (იქვე); „ორს მოქმედებაში“ (კატა-ან.); „დიდს ფულს ვერ მოვიგებთ“ (იქვე); „ნლევანდელს ჯვარობას“ (ანჩხ. ცოლ.); „მეორეს დღეს კვირა შეგვესწრო“ (იქვე).

სრული შეთანხმება არცთუ იშვიათად დასტურდება ნათესაობით ბრუნვაშიც: „ბედნიერის სახლის“ (თილის. ხ.); „თქუჴნის ბედნიერის ტახტის“ (იქვე); „ჩვენის ქორნილის“ (ძალ. ექ.); „შენის სიტყვებისა“ (იქვე); „ჩვენის ბატონისა“ (იქვე); „ჩვენის ბატონის ქალისა“ (იქვე); „ექვსის თვის ვადით“ (კატა-ან.); „სამის დღისა“ (იქვე).

როცა საზღვრული მოქმედებითშია, მსაზღვრელი ხშირად ნათესაობითში დგას, რაც დამახასიათებელია ძველი ქართულისთვის: „დაფარულის სახით“ (თილის. ხ.); მხიარულის სახით (ექიმბ.); მალალის ქუდიით (იქვე); „შენის ქცევით“ (უბედ. მოარშ.); „ყოვლის ჩემის საექიმოთი“ (ძალ. ექ.); „ჩემის ფიქრით, გონებით“ (კატა-ან.); „შენის თუნგით და ჩანახით აწყულიო“ (იქვე); „მხიარულის სახით“ (ანჩხ. ცოლ.).

ზმნის მორფოლოგიის საკითხებიდან ყურადღებას იქცევს შემდეგი:

პირის ნიშანთა გამოხატვის თვალსაზრისით ანალოგიური სურათი გვაქვს, რაც ამ პერიოდის სხვა ტექსტებში, კერძოდ:

ხშირია პირის ნიშანთა უფუნქციოდ გამოყენების შემთხვევები: ერთპირიან ზმნებთან – ორი პირის ნიშნის, ორპირიან ზმნებთან – სამი პირის ნიშნის, პირის ნიშანთა დართვა პოზიციის განურჩევლად (ყურადღება არ ექცევა, რომელი თანხმონის წინ ჩნდება ის) და ა. შ.

მაგ., ერთპირიან ზმნას პირის ნიშნად უფუნქციოდ დაერთვის პრეფიქსი **-ს**: „როგორაც სჩანს“ (თილის. ხ.); „დავსჯდები ქუთაისს“ (უჩინ. ქ.); „იმითი სჩანს“ (ძალ. ექ.); „ისინი ძალიან სცდებიან და სტყუვდებიან“ (იქვე).

შეიძლება ერთპირიან ზმნაში ორი პირის ნიშანიც გაჩნდეს უფუნქციოდ: „აქ არა ჰსწერია“ (უჩინ. ქ.).

-ს პრეფიქსი უფუნქციოდ ირიბი ობიექტის **-მ** ნიშნის შემდეგაც დასტურდება: „ჩრდილივით უკან დაშლდევს“ (იქვე).

-ჰს ნიშნები ერთად II სუბიექტური პირის ფორმებშიც

გვხვდება: „ნუ **ჰს**ნუხდებით“ (უჩინ. ქ.).

ისინი სხვა შემთხვევებშიც იჩენს ერთად თავს: „**ჰს**ნვეს ყალიონს“ (თილის. ხ.) „**ჰს**ცემს ცოლსა“ (ძალ. ექ.).

ჰ- პრეფიქსი ხშირად მისთვის არახელსაყრელ ფონეტიკურ პირობებშიც ჩნდება: **ჰ**ცოდნიათ (თილის. ხ.); მო**ჰ**ხვედრია (ძალ. ექ.); „ფიცი **ჰ**თქვი“ (უჩინ. ქ.); „ყაზარა ახდის ზანდუკს, და**ჰ**ხარის ფულებს“ (კატა-ან.).

ხშირად გამოიხატება პირდაპირი ობიექტის ნიშანი III პირში: „რომელიც **ჰ**ყიდის“ (უჩინ. ქ.); „გასწმენდს კოვზს“ (ექიმბ.); „რალა **ვ**სთქვა“ (იქვე); დასდგამს (უბედ. მოარშ.); „ფანჯარაში გამო**ჰ**ყოფს გოგო თავს“ (იქვე); „შერთვის თანხმობა **ვ**სთქვი“ (ძალ. ექ.); „მაშინ გადასწყვეტს საქმესა“ (იქვე); „რომ **ვ**სჭამო“ (სიყ. სას.); წარმოსთქვამენ (იქვე); „თქვენთვის თავი გავსწირე“ (კატა-ან.); „ამ სარგებელს პურსა და ღვინოს გა**ჰ**ყიდის“ (იქვე); „რომელი კაცი შესძლებს ამდენს მწუხარებას“ (ანჩხ. ცოლ.); „თუ ჭკვიანი არ შესცდება, რეგვენი კლდეზედ გარდავარდებაო“ (იქვე), და სხვა მრავალი.

I სუბიექტური (-**ვ**) და III ირიბობიექტური (-**ხ**) პირის ნიშნების ერთად გამოხატვა თანამედროვე ქართულისთვის დამახასიათებელი არ არის, თუმცა XII-XVIII საუკუნეების ძეგლებისათვის ეს მოვლენა უცხო არ არის. ის ჩვენს პიესებშიც შეინიშნება: „**ვ**სტაცებ აქ წვერშიდ ხელს“ (უჩინ. ქ.).

პირის ნიშანთა ხმარების საკითხში არსებული უწესრიგობა თავს ზმნიზედებშიც იჩენს. XIX საუკუნის ტექსტებშიც (ისევე როგორც საშუალო ქართულის ძეგლებში) შეინიშნება პირის ნიშანთა დართვა ზმნიზედებშიც: „**ჰ**სწორეთ ხანი ვარ“ (თილის. ხ.); „იარანალი ვარ **ჰ**სწორეთ“ (უჩინ. ქ.); არ არის გამორიცხული, აქ სიტყვის ანლაუტში არსებული **ს** ბგერა იყოს პირის ნიშნის დართვის მიზეზი: რამდენადაც ზმნებში მის წინ ხშირად იხმარებოდა **ჰ** პრეფიქსი, ანალოგიის შედეგად აქაც უნდა იყოს გაჩენილი.

შეინიშნება პირის ნიშნის დაკარგვის ფაქტებიც. მაგ., ერთპირიან ზმნაში არ არის ასახული III სუბიექტური პირის ნიშანი: „ძვირფასი საათი **ღ**გა“ (ექიმბ.); „წინ **უ**დგა სტოლი“ (უბედ. მოარშ.). შესაძლებელია, აქ ავტორმა ბოლოკიდური -ა

ხმოვანი III სუბიექტური პირის ნიშნად აღიქვა, მაგრამ გვაქვს ისეთი მაგალითებიც, სადაც ამას ვერ ვივარაუდებთ: „სახლის უფროს **უნახამ**“ (უბედ. მოარშ.); „ეხლა სადღა **აქვ** თავი“ (ძალ. ექ.); **მყავრა**“ (იქვე); „რამდენჯერ **მითქვამ**“ (სიყ. სას.); **გიჭირამ** (იქვე).

ცნობილია, რომ **თ** სუფიქსი ძველ ქართულში I და II სუბიექტური პირებისა და პირდაპირი ობიექტის II პირის მრავლობით რიცხვს გამოხატავდა. ირიბი ობიექტის II და III პირების რიცხვის გამოხატვა კი არ ხდებოდა, რის გამოც მორფოლოგიური ომონიმია იქმნებოდა ირიბი ობიექტის II და III პირების შემთხვევაში – მათი მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები ერთმანეთს ემთხვეოდა (გაქუს შენ//გაქუს თქუენ; აქუს მას//აქუს მათ). **თ** სუფიქსმა ირიბი ობიექტის II და III პირების რიცხვის გამოხატვის ფუნქცია მოგვიანებით შეითავსა და ეს მოვლენა ფართოდ გავრცელდა საშუალი საუკუნეების ძეგლებში. სწორედ ამ პერიოდის ტექსტებისთვისაა დამახასიათებელი ირიბი ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი **თ** სუფიქსის წინ III სუბიექტური პირის ნიშნის (**ს** სუფიქსის) შენარჩუნება, რაც თავს ჩვენს პიესებშიც იჩენს: „გახლავ**სთ**“ (თილის. ხ.); „გაქვ**სთ**“ (ექიმბ.); „რა გნებავ**სთ**“ (ძალ. ექ.); „კარგა გესმი**სთ**“ (იქვე); „სათქმელი გაქვ**სთ**“ (სიყ. სას.); „რომ გენყინოს**თ** ხომ კარში გამაგდებ**თ**“ (ანჩხ. ცოლ.); „აქვ**სთ** ლხინი“ (იქვე); „ის კაცი არ დაგანებებ**სთ**, აღარც რჯულის კანონი მოგცემ**სთ**“ (იქვე).

პიესებში ხშირია თემის ნიშანთა მონაცვლეობის შემთხვევები. განსაკუთრებით ეს **-ავ** და **-ამ** თემის ნიშანთა მიმართ ითქმის. უმეტესად **-ამ** თემის ნიშანი ენაცვლება **-ავ** თემის ნიშანს, განურჩევლად იმისა, რომელი გვარისა და მწკრივის ფორმითაა მოცემული ზმნა: **მინახამს** (თილის. ხ.); **მომიპარამს** (იქვე); **ხედამ** (უჩინ. ქ.); **გირთამს** (იქვე); **გვილოცამს** (ექიმბ.); **ჩაჰკრამს** (იქვე); **გკითხამს** (უბედ. მოარშ.); **ამინყამს** (იქვე); **სწირამდე** (ძალ. ექ.); **მიგჯობამ** (იქვე); **გიჭირამს** (სიყ. სას.); **შემირთამს** (იქვე); **მხედამ** (კატა-ან.); „**ჩახედამს, ჩასუნამს** და იღრიჯება“ (იქვე); **გინახამთ** (წარს. დრ. სურ.); **ჩახედამს** (იქვე).

ასეთი ფორმები არა მხოლოდ პერსონაჟთა, არამედ ავტორთა მეტყველებაშიც იჩენს თავს: „**იფშენეტამს** თვალებს“ (თილის. ხ.).

-ავ თემის ნიშანი იშვიათად შენარჩუნებულია: **შეირთავს** (თილის. ხ.); **ვხედავ** (იქვე); „როგორ ვერა **გხედავ** მაგოდენა ვირსა. შენ ვერ **მხედავ**“ (უჩინ. ქ.); **დაინახავთ** (ექიმბ.); **ხედავს** (უბედ. მოარშ.); **გაგზურგავ** (ძალ. ექ.); **გხედავთ** (სიყ. სას.).

ნაკლებად გვხვდება საპირისპირო მოვლენა: -ავ თემის ნიშანი -ამ თემის ნიშნის ნაცვლად: „საღვინეს ძირს **დასდგავს**“ (ძალ. ექ.); შდრ.: „იქით **გადასდგამს**“ (იქვე).

სხვა თემის ნიშანთა მონაცვლეობის მაგალითები:

-ებ > -ობ: „სხვანი იცინიან და ხარხარობენ“ (ექიმბ.); „განა მნამობ რასმე“ (უბედ. მოარშ.); „დამარხვას უპირობდენ“ (ძალ. ექ.); „გენაცვალეთ მართლათ აპირობს“ (ანჩხ. ცოლ.); „შენ ისე მიპირობ“ (იქვე).

-ობ > -ებ: „რომე ესე მეპყრება“ (სიყ. სას.); „ახლა კი დიდკაცურათ ცხოვრებ“ (კატა-ან.).

-ი > -ამ: „არა გეთაყვა სულ სწყევლამ“ (წარს. დრ. სურ.).

-ავ თემისნიშნისანი ზმნა უთემისნიშნოდაცაა მოცემული: „სვაგიო ძვალსა, ჯერ **გაზომს**, მერე **ჩაჰყლაპსო**“ (ანჩხ. ცოლ.).

მოქმედებითი გვარის ზმნათა ერთმა ნაწილმა -ავ თემის ნიშანი მოგვიანებით განივითარა. ივანე ერისთავის პიესაში „ძალად ექიმი“ ერთგან გამოვლინდება ძველი ფორმა: „რა აიტეხე, ძმაო, და რა თავს **იხეთქ**“ (ძალ. ექ.); „გულს ნუ **მიხეთქ**“ (იქვე).

უთემისნიშნო ზმნა თემის ნიშნითაა წარმოდგენილი: „ამდენ რამეებს რომ **სწერამს** ვირი“ (კატა-ან.); „**მწერამს** ძმაო ყაზარ ბაღდასარიჩ“ (იქვე).

-ავ და -ამ თემისნიშნისანი ზმნებთან ანმყოსა და მყოფადის III პირის მრავლობით რიცხვში თემის ნიშანი რედუცირებულია, როგორც ძველ ქართულში ხდებოდა: „დილებს **უკვრენ**“ (თილის. ხ.); „რუსის დიდკაცები რო **სმენ**“ (იქვე); „შამილს **დაინახვენ**“ (უჩინ. ქ.); „ერთი ვსცდი ვნახოთ **დამინახვენ** თუ

არა“ (იქვე); „**ნაუსმენ** პირზე“ (უბედ. მოარშ.); „ვაჭრებსა **ჰბა-ძვენ**“ (იქვე); „ერთმანერთს **ჰკითხვენ**“ (ძალ. ექ.); „**ხვრინვენ** რიგრიგით“ (სიყ. სას.); „**უკვრენ** (იქვე); „**დაასხმენ** ორაგულს მოუსხდებიან“ (კატა-ან.); „**ფრინვენ**, რომ თითქოს ზეციდამ ფერიები **მოჰფრინვენო**“ (იქვე); „თორემ უარესი **გიზმენ**“ (ნარს. დრ. სურ.); „**სმენ** სადღეგრძელოს“ (იქვე); „**დასდგმენ** სუფრათ“ (ანჩხ. ცოლ.); „**სმენ** ზედ ღვინოს“ (იქვე); „ხომ ვერ **მომკლამთ**“ (ანჩხ. ცოლ.); „**ხედამ** რას მეუბნება“ (იქვე).

-**ავ** თემისნიშნისანი ზმნა ანმყოს კავშირებითი იშვიათად გვიჩვენებს ძველქართულისებურ წარმოებას: „ასე რომ ვერა **მხედვიდეს**“ (თილის. ხ.).

ძველი ქართულის ზოგიერთმა მოქმედებითი გვარის **-ებ** თემისნიშნისანმა ზმნამ დროთა განმავლობაში თემის ნიშანი ჩამოიშორა, თუმცა ძველი ფორმები დიდხანს არსებობდა ახალი ფორმების გვერდით. ჩვენს მასალაშიც აქა-იქ გაბნეულია ასეთი **-ებ** თემისნიშნისანი ზმნები: „მუჭაც მეტ-მეტი **გადამიტანებია** ხორბალის აწყვაში“ (უბედ. მოარშ.); „თავის ურმით **მოიტანებენ** ხოლმე“ (კატა-ან.).

დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებთან ალაგ-ალაგ დაჩნდება ანმყოს ძველქართულისებური წარმოება – III სუბიექტური პირის ნიშნად **-ს** სუფიქსი: წარმოსდგების (თილის. ხ.); „ბერაძე მიეკვრის **კედელს**“ (უბედ. მოარშ.); „ორთა მოქმედებათა შინა წარმოსდგების“ (ანჩხ. ცოლ.).

ვნებითის II სერიის მრავლობითის ფორმაში ერთგან ასახულია კონვერსიის შედეგად მოქმედებითი გვარის ზმნის ფორმიდან გადმოსული **-ენ** სუფიქსი: „აი აქ მოეფარენით“ (თილის. ხ.).

პრეფიქსიანი ვნებითის II თურმეობითსა და III კავშირებითი **ვ-** სუბიექტური პირის ნიშანი ერთგან ორმაგად არის გამოხატული, რაც XII-XVIII საუკუნეების ტექსტებისთვისაა დამახასიათებელი: „მე ხანი **ვყოფილვიყავ** იმასაც ვიფიქრებდი“ (თილის. ხ.); „იქნება მე თვითონ როგორმე ვცდებოდე, მართლა ექიმი **შევქნილვიყო**“ (ძალ. ექ.); II თურმეობითში ერთგან პირის ნიშანი მეშველ ზმნას მოუდის: „უნდოდათ ექიმი გამხდარ-**ვიყავ**“ (იქვე).

ორპირიანი დინამიკური ვნებითი გვარის ზმნის II თურმეობითი ერთგან აღწერითი წარმოების ნიმუში დადასტურდა, ნაცვლად ორგანული წარმოებისა: **გაჰყოლიყო** (ძალ. ექ.); **მიჰყოლიყო** (ანჩხ. ცოლ.).

ცნობილია, რომ დინამიკური ვნებითი გვარის ზმნათა დიდმა ნაწილმა დროთა განმავლობაში შეიცვალა წარმოების ტიპი პრეფიქსულიდან სუფიქსურისკენ, კერძოდ, -**ე** პრეფიქსიანი ვნებითებიდან ჩამოყალიბდა -**დ** სუფიქსიანი ვნებითები. ეს პროცესი ქართული ენის დასავლურ დიალექტებში დღესაც გრძელდება. XII-XVIII საუკუნეების ძეგლებში ხშირია როგორც ერთი, ისე მეორე წარმოების ნიმუშები. ჩვენს ტექსტებში იშვიათად ვლინდება პრეფიქსული წარმოების მაგალითები იქ, სადაც დღეს უკვე სუფიქსური წარმოებაა გავრცელებული. ნათქვამი თანაბრად ეხება როგორც ერთპირიან, ისე ორპირიან ვნებითებს: „ახლა **დავერწმუნე**, რომ თქუჴნი მაღალხარისხოვნების ტვინის მდებეირობა ძალიან მოშლილა“ (თილის. ხ.); „ა[მ]ბავი **გამეხსენა**“ (უჩინ. ქ.); „რა **გეხარებოდა**“ (იქვე); „ძიძასაც **ექირება**“ (ძალ. ექ.); „ამიტომ, რომ არ **მომენყინოს**“ (იქვე).

ინვერსიულ ზმნებში ძველ ქართულში სუბიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშანი გამოიხატებოდა. ამისი ფაქტები ჩვენს საანალიზო მასალაშიცაა ასახული, თუმცა ამ ზმნებს ძველი სუბიექტური პირი ხშირად დაკარგული აქვთ: **უხარიანთ** (ექიმბ.); „არ **მეშინიან** შენის მუქარისა“ (ძალ. ექ.); „რატომ არ **გრცხვენიან**“ (იქვე); „**შეუძლიან** მორჩენა“ (იქვე); „თათუა **ჰქვიან**“ (იქვე); „თქვენ ხომ არა **გქვიანთ** თათუა“ (იქვე); „**მირჩვენიან** ყველაზედ თანახმა შევიქმნა“ (იქვე); **გეშინიან** (სიყ. სას.); „მე პური **მშიან** ცოტა პური მაჭამე“ (კატა-ან.); „კიდევ ანობ **მშიან**“ (იქვე); „ნუ **გეშინიან** ბევრსაც ვიცინებთ“ (ანჩხ. ცოლ.); „ისინი არ **მიყვარან** არა, არა, არა და არა, გამაცალე მეთქი რომ არ **მინდანან**“ (ანჩხ. ცოლ.).

პიესებში ზოგჯერ ვხვდებით ცვლილებებს გვარისა და ქცევის წარმოებაში. მაგ., „**დათანხმება**“ ზმნასთან გამოიყენება ნეიტრალური ქცევის ფორმა: „როგორმე უნდა **დავათანხმო** ქეთევან ჩემს შერთვაზედ“ (სიყ. სას.); „ვერ **დავათანხმო**

ისპეჩვენებული“ (იქვე); „უნდა ვეცადო იქნება როგორმე **დავთანხმო**“ (იქვე).

„**იხედება**“ დინამიკური ვნებითი გვარის ზმნა დასტურდება საშუალო გვარის ფორმით: „ხელებგაშლილი **იხედამს** მალლა“ (ექიმბ.).

რამდენიმე საშუალო გვარის ზმნა კი პრეფიქსიან ვნებითურ ფორმას გვიჩვენებს: „**ენვალება** დიდ ხანს“ (უბედ. მოარშ.); „გული მაქვს მწარედ შენუხებული, რა **მენუხება** შენ ხომ კარგათ იცი“ (ანჩხ. ცოლ.).

საშუალო-ვნებითი გვარის ზმნა სტატიკური ვნებითის დაბოლოებას გამოავლენს ანმყოში: „ერთი სული კი **უდგია** პირში“ (ექიმბ.).

„**ვიჩქარი**“ ზმნა „**ვეჩქარები**“ ფორმით არის ნახმარი: „ვსთქვათ მე კიდევ მშობდა და **მოვეჩქარებოდი** და შენ?“ (სიყ. სას.);

„**დაჩქარების**“ მნიშვნელობით ამ პერიოდის ძეგლებში ხშირია „**დაშურება**“ ზმნა, მაგრამ, როგორც წესი, „**ემშურება**“ ფორმით. ჩვენს შემთხვევაში საინტერესო ის არის, რომ ის გამოყენებულია ორპირიანი ზმნის ნეიტრალური ქცევის ფორმით: „**დავაშურებ** ნამალს“ (უჩინ. ქ.); შდრ.: „კიკოლა არ მემშევა ჯუარის წერას, მაგრამ რა **მემშურება**“ (იქვე).

„**მესმის**“ ზმნის სინონიმია „**მეყურება**“: „**მეყურება**, ვილაც იმღერის“ (ძალ. ექ.).

გვხვდება „**უჭირს**“ საშუალო გვარის ზმნის მყოფადის ფორმა: „რასაკურველია **უჭირება**“ (თილის. ხ.).

„**გავერთე**“ ფორმაში წყვეტილის მწკრივის ნიშანი -ე შეცვლილია -ი ნიშნით, რომლის წინაც განვითარებულია ვ თანხმოვანი: „მე **გავერთე** თქვენს ეზოში“ (ძალ. ექ.).

ფუძედრეკად ზმნაში შენარჩუნებულია დრეკადი მარცვლის თანხმოვანი II სერიის ფორმებში: „უთუოთ იმან **დალივა**“ (სიყ. სას.); „ჩვენი სადღეგრძელო **დალივე**“ (იქვე); „ეხლა **მენვივეთ**“ (იქვე).

ცნობილია, რომ ასპექტის სისტემაში განხორციელებული ცვლილების შედეგად I სერიის მწკრივებში მოხდა დროის გადანევა (ახლანდელიდან მომავლისკენ): ანმყოს ზმნისწინ-

იანმა ფორმებმა მყოფადის მნიშვნელობა შეიძინეს, ხოლო ან-
მეოს თავისუფალი ადგილები სხვა ფორმებით შეივსეს. ჩვენს
ტექსტებში, სომეხი პერსონაჟის მეტყველებაში, კვლავ იჩენს
თავს ძველი ფორმები ანმეოს მნიშვნელობით: „ჩემთვის **ილო-
ცამს**“ (უჩინ. ქ.); „ექიმბაში **ჰკითხამს** მიხაკოს: თქვი შენ ალს
რა ჰქვიან, რომელიაო. მამა უჯავრდება, ჩახედე წყალშიო“
(ექიმბ.); „ბაზარში რომ მხედამენ **მეტყვიან**“ (კატა-ან.).

ასპექტის ძველი სისტემის გამოძახილია აგრეთვე ან-
მეოს ზმნისწინიანი ფორმების ახლანდელი დროის მნიშვნე-
ლობით ხმარება, რაც ავტორის მეტყველებაშიც შეინიშნება:
„**დაიხურამს** ქუდსა“ (უჩინ. ქ.); „იმიტომ **მიხვალთ** რუსეთში,
ქართული წესი, ჩვეულობა, სიმღერა და თამაში დაივინყოთ,
და იქა...ურიც ვერა ისწავლოთრა?“ (სიყ. სას.).

II კავშირებითის ერთ-ერთი ფუნქცია ძველ ქართულ-
ში მომავალი დროის თხრობითი კილოს გამოხატვა იყო. ამ
ფუნქციით იგი კვლავ გვხვდება პიესებში: „ეხლა არა მცალი-
ან მერე **გიანზოთ** წვრილათ“ (თილის. ხ.); „რაც გინდა რო-
გორც, გინდა, ისე **მოვიქცე** არ **გაგაჯავრო** გესმის?“ (უჩინ. ქ.);
„მოგეცა ღვთის წყალობა მეც **გავკეთდე** და შენც **გაგაკეთო**“
(იქვე); „შენ გგონია, ლოთო, რომ სულ მუდამ ამ ცხოვრებაში
ვიყვნეთ“ (ძალ. ექ.); „მანამ ორიოდ ჯოხი არ **მოარტყათ**, არ
გაგიტყდებათ“ (იქვე); „მე მგონია კმაყოფილი **შეიქმნათ**“ (იქვე);
„ჩემი სარდაფი, ვინც **ნახოს**, გაუკვირდება“ (უბედ. მოარშ.).

ერთგან მომავალი დროის თხრობითი კილოს შინაარსს
გადმოსცემს მყოფადის კავშირებითიც: „ქეთევანსკი არა უთხ-
რარა, მანამდის არ **მოვიდოდეთ**, გაიგე?“ (სიყ. სას.).

თანამედროვე ქართულში მომავალი დროის მნიშვნე-
ლობა გადმოიცემა ნყვეტილის მწკრივითაც პირობით დამოკ-
იდებულ წინადადებაში. ასეთი ფაქტები XII-XVIII საუკუნეების
ტექსტებშიც გვხვდება და ერთგან საანალიზო მასალაშიც გა-
მოვლინდა: „ვინიცობა[ა] ქეთევანმა არ **მოინდომა** გათხოვება,
მაშინ მხოლო ეძლიოს სარგებელი ხსენებული ფულისა“ (სიყ.
სას.).

იშვიათად საშუალი გვარის ზმნები, რომელთაც დღეს
მეშველზმნური წარმოება ახასიათებთ, ტექსტებში მეშველი

ზმნის გარეშე დასტურდება: „აგრე მალე **მირბი**“ (თილის. ხ.).

დასტურდება **ყოლა** ზმნის სამპირიანი ფორმა: „უშვი-
ლოსაც კი შვილს **აყოლებს**“ (ექიმბ.).

გიორგი ერისთავის პიესაში „უჩინმაჩინის ქუდი“ გამოყ-
ენებულია ხელოვნური ფორმა **და[ა]რწმუნავე**: „**და[ა]რწმუნავე**
ვითომ ერთი არაბი მოვიდა“.

ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში მოქმედები-
თი გვარის ზმნათა ნაწილი, რომელსაც წყვეტილში მწკრივის
ნიშნად **-ე** სუფიქსი მოუდის, ავლენს **-ვი** დაბოლოებას. ამი-
სი ნიმუშები ჩვენს პიესაშიც დადასტურდა: „**დანყევით** აქა“
(თილის. ხ.).

სულიერი საგნის აღმნიშვნელ სახელებთან ზოგჯერ
გამოიყენება უსულო საგნისთვის განკუთვნილი ფუძე: „ყავახ-
ანიდგან პირდაპირ აქ **მოგიტანეს მთვრალი**“ (თილის. ხ.); „მე
არ ვიყავ სასახლეში მე **მომიტანეს** ყავახანიდგან“ (იქვე); „თუ
რომ მე არ **მამიტანეს** სასახლიდგან“ (იქვე); „სად **დაბნეულან**
უბედურები“ (უჩინ. ქ.).

დასტურდება ზმნის მოკლე (სასაუბრო) ფორმები: „შენ
ამას **გაჰყე**“ (თილის. ხ.); „**გენაცვა** განა უცვეთელა წალა არის“
(იქვე); „**მოიტა** დედავ“ (უჩინ. ქ.); „**მოიტა** ხელი“ (ძალ. ექ.).

ორგანულ ნარმოებას ზოგჯერ ცვლის აღწერითი ნარ-
მოება, მაგ., „**უსაყვედურა**“ ზმნის შინაარსს გადმოსცემს ფრა-
ზა „**საყვედურის მიცემა**“: „საყვედურს ნუ მისცემთ“ (თილის.
ხ.).

დარდობს ზმნის მნიშვნელობას შეიცავს გამოთქმა:
„**დარდის განევა**“: „თქვენ რალა **დარდს ეწევით**“ (უბედ. მოარმ.);

გვხვდება ნაკლებად გავრცელებული მიმღებობური
ფორმები: „**უცოდნელ** კაცათ აჩვენებს თავს **მცოდინარეს**“
(ძალ. ექ.).

ნარსული დროის ვნებითი გვარის მიმღებობა გამოავ-
ლენს **უ-ელ** კონფიქსს იქ, სადაც დღეს მხოლოდ **უ-** პრე-
ფიქსი იხმარება: „კარი არის **დაუკეტელი**“ (თილის. ხ.); **უ-არ**
კონფიქსს იქ, სადაც დღეს **უ-ელ** კონფიქსია გავრცელებული:
„**დიახ დაუჩუჭვარი** არის“ (იქვე); ხოლო **-ულ** სუფიქსს იქ, სა-
დაც დღეს **-ილ** სუფიქსი გამოიყენება: „**დაღალული** იქნებიან“

(უჩინ. ქ.); „არა ვართ **დაღალულნი**“ (იქვე).

ზოგჯერ კი პირიქითაა: **-ილ** მანარმოებლის ნაცვლად **-ულ** გვაქვს: „სიმდიდრე და შეძლება ემმაკურად არის **შეძინებული**“ (უბედ. მოარშ.); ეს ძველ ქართულში გავრცელებული ფორმაა. ამ დროს სანყისად გვქონდა **შეძინება** და არა **შეძენა**.

მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმღეობა, რომელიც დღეს **სა-** პრეფიქსით ინარმოება, ტექსტში **სა-ელ** კონფიქსითაა: „**გასაქცეველი** ნამალი“ (ძალ. ექ.).

ჩნდება იშვიათი მიმღეობური ფორმებიც: „იტყვის **გულ ტკივნებული**“ (ექიმბ.).

ნარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობაში **„ნაყიდი“** ასახულია სანყისის მანარმოებელი **ს** აფიქსი: „თერთმეტი თუმანი დამრჩა **ნასყიდ** პურებში“ (უბედ. მოარშ.). იგივე მანარმოებელია სანყისურ ფორმაში: „მამულის **გასყიდვას** მიპირებენ“ (სიყ. სას.).

ყურადღებას იქცევს თანდებულთა ხმარება:

ნათესაობით ბრუნვასთან იშვიათად ჩნდება **„ვით“** თანდებული: „ლაპარაკობს **ადრინდელისავით**“ (თილის. ხ.).

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პიესებში – „უბედური მოარშიყე“, „კატა-ანონა“ – და ივანე ერისთავის პიესაში „ძალად ექიმი“ ნათესაობით ბრუნვაში იხმარება **„თვის“** თანდებულის **„თვინ“** ვარიანტი: **სწავლისთვინ** (უბედ. მოარშ.); **ხათრისთვინ** (იქვე); **საყვარლისთვინაც** (იქვე); „საყვედურს გეტყვი მე **მაგისთვინა**“ (იქვე); „მაშინ დაუძახნია **მსახურებისთვინ**“ (იქვე); „ვთხოვე **ჩემთვინა** სწირე“ „ქათამიც გაასუქე **ჩემთვინა**“ (კატა-ან.); „**ქათმებისთვინ** მინდა მეთქი“ (იქვე); **ყოველთვინ** (ძალ. ექ.); შდრ: **იმისთვის** (იქვე).

ტექსტებში ძალიან ხშირია **„გან“** თანდებულის დართვის მაგალითები მოქმედებით ბრუნვაში მდგარ სახელთან. ასეთ შემთხვევაში, ძირითადად, ბრუნვის ნიშნისეული **თ** თანხმოვანი ასიმილირებულია: **ხარაზობიდგან** (თილის. ხ.); „სულთ გამოდი ჩემის **გვამიდგან** დაიკარგე; გამოდი **პირიდგან, ცხვირიდგან, ყურებიდგან**“ (იქვე); **კარებიდგან** (უჩინ. ქ.); **ავლაბრიდგან** (იქვე); **სახლიდგან** (ექიმბ.); **დღეიდგან** (უბედ. მოარშ.); **დილიდგან** (ძალ.

ექ.); **სამრეკლოდგან** (იქვე); **დღეიდგან** (კატა-ან.); **განჯიდგან** (წარს. დრ. სურ.); **სტოლიდგან** (იქვე).

„**გან**“ თანდებული დაერთვის ადგილის ზმნიზედებსაც. ამ შემთხვევაშიც ასიმილირებულია ზმნიზედის ფუძისეული ბოლოკიდური **თ** თანხმოვანი: **იქიდგან** (თილის. ხ.); „ხარაზი ვარ **შიგნიდგან** და **გარედგან**“ (იქვე).

ამავე ბრუნვაში გამოიყენება „**დამ**“ თანდებულიც: „გამოიღებს **უბიდამ** კოლოფს“ (ექიმბ.); „ლოთი ყოფილა დიდი მოქნილი ოინბაზი, **თოკიდამ** გამოპარული“ (იქვე); „**ზემოდამ** ცემისა და ტირილის ხმა ჩამოდის“ (უბედ. მოარშ.); „თალალა შემოიხედავს მინის **კარებიდამ**“ (იქვე); „**ზანდუკიდამ** ამოიღებს გამოკრულ ორას თუმანს“ (კატა-ან.); „იღებს **უბიდამ**“ (იქვე); „**ნაობახტიდამ** ჯვართ დააყენა“ (წარს. დრ. სურ.) „დაიკარგე **აქედამ**“ (ანჩხ. ცოლ.); „მეორეს **სახლიდამ**“ (იქვე); „რა გინდა მოიტანო **იქიდამ**“ (იქვე), და სხვ.

„**ზედა**“ თანდებული სახელთან შერწყმისას ხშირად წარმოდგენილია „**ზედ**“ ვარიანტი: „გავლენ **გვერდზედ**“ (თილის. ხ.); „სამჯერ მეკრა **ყელზედ**“ (იქვე); „**თუმანზედ** ორი კოდი წმინდა პური“ (კატა-ან.); „შენც მოაწერე **თამასუქზედ** ხელი“ (იქვე); „ლამის **საქმეზედ** მეც გული ამეყაროს“ (ანჩხ. ცოლ.); „იღებს **სარტყელზედ** ხელს“ (იქვე).

ხოლო „**შიდა**“ გვაქვს „**შიდ**“ ვარიანტი: **ლამეშიდ** (უჩინ. ქ.); **ჯარშიდ** (იქვე); **წვერშიდ** (იქვე); „მეც მივეჩქარები **იმერეთშიდ**“ (ანჩხ. ცოლ.).

ვითარებით ბრუნვაში გვხვდება თანდებული „-**მდისინ**“: **ყავახანამდისინ** (თილის. ხ.); იგივე თანდებული გვაქვს **აქა** ადგილის ზმნიზედასთანაც: „მე **აქამდისინ** ჩუმათ ვიყავ“ (იქვე).

-**მდისინ** თანდებულის ვარიანტია -**მდინ**: **აქამდინ** (იქვე); **სალამოდინ** (ძალ. ექ.); **იქამდინ** (იქვე); **როდემდინ** (სიყ. სას.); **ბოლომდინ** (ექიმბ.); „წვერიც **აქამდინ** გამოუვიდა“ (ანჩხ. ცოლ.).

პიესებში ხშირია **თუ** კავშირის გამოყენება **რომ** კავშირის მნიშვნელობით: „უთხრა **თუ** სამი დღე უზმო დილით ფეხტიტველა ფილთაქვაზე დადექ ცოტახანო“ (კატა-ან.); „ვეტყვი **თუ** კატამ ჭამა“ (იქვე).

XIX საუკუნის ტექსტებისთვის, რომლებიც ცოცხალ

სასაუბრო მეტყველებას ეყრდნობა, დამახასიათებელია „და“ ნაწილაკის გამოყენება თხოვნითი „რა“ ნაწილაკის ფუნქციით. ასეთი მაგალითები საანალიზო მასალაშიც დაიძებნა: „ვა! მოდი და?“ (უჩინ. ქ.); „სულ მე ვსვამ, ერთი შენც დალიე და!“ (სიყ. სას.).

ტექსტებში ხშირია „ახარ“ შორისდებული: „ახარ, შენ ხელებსაც არ გაშლი?“ (უბედ. მოარშ.); „წელინადში ახარ რას არ გააკეთებ“ (იქვე).

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პიესებში შეგვხვდა დანაწილის შორისდებული „ვაი ქი“ // „ვუი ქი“: „ვაი ქი დედ-ილო, მე რომ დედაანთსა ვიყავი, ცხონებული მამაჩემი სულ ახალ ახალს ორაგულებს მოიტანდა ხოლმე“ (კატ. ან.); „ახლა ძალიან სცემენ იმ საწყალს, ვუი ქი, ნეტა თუ ვინ არისო“ (უბედ. მოარშ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სინტაქსურად გაუმართავი ფრაზები ხშირია საკვლევ მასალაში. გამოიკვეთა, რომ ფრაზის გაუმართაობას იწვევს როგორც სინტაქსური დამოკიდებულების სახეებში გამოვლენილი უზუსტობები, ისე წინადადების აგებისას დაშვებული შეცდომები:

1. ირიბი დამატება სახელობითშია, ნაცვლად მიცემითისა: „ხარაზი ბაშმაკის კერვაში არ შაუძლიან რომ ერთი ბენო სამუგვე ნაახდინოს, მაშინვე ჯარიმა წაერთმევა“ (ძალ. ექ.);
2. უბრალო დამატება მიცემითშია, როცა შემასმენელი მისგან მოქმედებითი ბრუნვის ფორმას მოითხოვს: „შენ შეხვედრას დიდათ მოხარული ვარ“ (ძალ. ექ.);
3. წინადადების წევრის არასწორი ბრუნვის ფორმა რთულ წინადადებებშიც იჩენს თავს: „ჩექმას ასე გავხდი, როგორც სარკე“ (ძალ. ექ.);
4. ზმნა-შემასმენელი მრავლობითის ფორმით შეეწყობა მხოლობითი მდგარ ირიბ დამატებას: „როგორც თქუწნს მაღალს სულს ეპრიანებათ“ (თილის. ხ.);
5. კომპოზიტური აგებულების ქვემდებარესთან შემასმენელი მრავლობით რიცხვშია შეწყობილი: „ცოლქმარი შერიგებულნი მიდიან“ (უბედ. მოარშ.);

6. მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ წყვილში შეინიშნება მრავლობითი რიცხვის სხვადასხვაგვარი წარმოება: მსაზღვრელი **ნარ-**იან მრავლობითშია, საზღვრული კი – **-ებ-**იან მრავლობითში: „მარტირუხას მდგმურნი აფიცრები“ (უჩინ. ქ.); „ჩვენი მდგმურნი აფიცრები მოსულან“ (იქვე);
7. ასევე მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილში საზღვრული ნათესაობითშია, ხოლო მსაზღვრელი – მიცემითში: „ვითხოვ თქუცნის მონყალეს ტვინისაგან“ (თილის. ხ.); „ის ყოველს მაგ სახელების ღირსია“ (ძალ.ექ.);
8. საზღვრული ნათესაობითშია, ხოლო მსაზღვრელი ფუძის სახით არის მასთან შეწყობილი: „მაგ კეთილ გულისათვს“ (თილის. ხ.);
9. მოქმედებითი მდგარ საზღვრულთან მსაზღვრელი ზოგჯერ მიცემითში დგას: „მარჯვენას კარიდან“ (სიყ. სას.); „მარცხენას კარიდან“ (იქვე); „მეორეს სახლიდამ“ (ანჩხ. ცოლ.);
10. ასევე მოქმედებითი მდგარ საზღვრულთან მსაზღვრელი ფუძის სახითაა შეწყობილი: „ბერადე უკრავს თავს **ყოველ მხრით**“ (უბედ. მოარშ.);
11. განსაზღვრებით ნაცვალსახელთან („ყოველი“), განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთან („ზოგიერთი“//„ზოგი“), თვლად თუ უთვლად რაოდენობით რიცხვით სახელებთან და კითხვით ნაცვალსახელთან („რამდენი“) საზღვრული მრავლობით რიცხვში დგას: „ის ყოველს მაგ **სახელების ღირსია**“ (ძალ.ექ.); „**ზოგიერთი ქალები**“ (ექიმბ.); „**ბევრი ექიმები**“ (იქვე); „**ოთხი პატარა სანყალი შვილები**“ (ძალ. ექ.); „**ზოგი ცოლების საქმე**“ (უბედ. მოარშ.); „**რამდენი ვაჭრების ოჯახებში**“ (იქვე); „**რავდენიმე სკამები**“ (სიყ. სას.);
12. „უკან“, „წინ“ და „ქვეშ“ ადგილის ზმნიზედები თანდებულის მნიშვნელობით სახელს მართავენ მიცემით ბრუნვაში, ნაცვლად ნათესაობითისა:

„ცოტა **ფიქრს უკან**“ (თილის. ხ.); „თქვენს **ბრძანებას ქვეშევ**“ (ძალ. ექ.); „შეაგდებს **ტახტს ქვეშ**“ (კატა-ან.); „პატიოსნება უკან შეინახე **კალთას ქვეშ**“ (იქვე); „დიდ **სარკეს წინ**“ (წარს. დრ. სურ.); შდრ.: „თათუა **თეატრის უკან** იმღერის“ (ძალ. ექ.).

13. „**მეტი**“ სახელს დაერთვის სახელობითში, ნაცვლად „**ზე**“ თანდებულიანი მიცემითისა: „ზემლამერი დადგა ოთხი **თვე მეტი**“ (კატა-ან.);
14. გამოვლინდა წინადადების წყობაში – სიტყვათა თანმიმდევრობაში დაშვებული უზუსტობები, კერძოდ:
 - ა) შემასმენელი არაბუნებრივად თიშავს მსაზღვრელ-საზღვრულს: „კიდევ სისხლს დამიპირებენ გამოშვებას“ (თილის. ხ.);
 - ბ) „**თურმე**“ ნაწილაკი დგას პირდაპირ დამატებასა და შემასმენელს შორის, რაც მისთვის უჩვეულოა: „ჩვენი სახლის პატრონი სულ ყარამანიანს **თურმე** კითხულობს“ (უჩინ. ქ.); „ისეთი გასაშტერებელი ნამლობა **თურმე** იცის, რომ უშვილოსაც კი შვილს აყოლებს“ (ექიმბ.);
 - გ) „**თურმე**“ ნაწილაკი შედგენილი შემასმენლის კომპონენტებს ყოფს ერთმანეთისგან: „ასეთი ექიმი **თურმე** ხარ, რომ რამტენი ავანტყოფი მოგიჩინია“ (ძალ. ექ.);
 - დ) „**უნდა**“ ნაწილაკი დგას არა შემასმენლის, არამედ ირიბი დამატების წინ: „როდი **უნდა** მამას ჩაჰკრა თავში და გააჯავრო“ (ექიმბ.);

შედგენილი შემასმენლის მეშველი ზმნა **არის** ხშირად არ შეერწყმის სახელად ნაწილს: **ბრმა არის** (თილის. ხ.); „ქალი პირველი ხანის ცოლის **მოახლე არის**“ (იქვე); „ამდენი **საქმე არის**“ (იქვე); „დიახ **დაუჩუჭვარი არის**“ (იქვე); „არაძველი **ხუმრობა არის**“ (იქვე); „ზამთარ ზაფხულ ერთ **ჭკუაზე არის**“ (ექიმბ.); „რა ლამაზი **მორთულობა არის** ამ სახლში“ (ძალ. ექ.).

როცა სახელს მსაზღვრელად ახლავს მიმართებითი ნაცვალსახელი, გამაძლიერებელი ნაწილაკი „**ც**“ თანამედროვე

ქართულში, როგორც წესი, საზღვრულს დაერთვის. საანალიზო პერიოდის ძეგლებში „ც“ ნაწილაკი მსაზღვრელსაც მოუდის: „ღმერთმა დაგვიფაროს, ვისიც პური ვჭამოთ, იმას ორგულათ მოგვეცეთ“ (უბედ. მოარშ.); „მაგ სნეულობას მე ვიცი, რაც ნამალი უნდა“ (ძალ. ექ.).

ერთგან ნათესაობითი ბრუნვა გამოსატყვევებს მიზნის გარემოებას -**თვის** თანდებულის გარეშე: „მზა ვარ **თქვენის სამსახურისა**“ (ძალ. ექ.).

დიმიტრი მელვინეთხუცესისიშვილი კითხვითი წინადადების ბოლო სიტყვას ორი ხმოვნით წარმოადგენს, როგორც ისმის ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაში: „შენ არას გეუბნება ხოლმე?“ (უბედ. მოარშ.); „ახარ, შენ ხელებსაც არ გაშლი?“ (იქვე); „ყარაულ დაუძახო?“ (იქვე); „მტვერშიაც უნდა ვიყო?“ (იქვე).

ლინგვისტური კვლევისთვის საინტერესო მასალას წარმოადგენს სომეხ პერსონაჟთა მეტყველება. განვიხილავთ ძირითად თავისებურებებს, რომელიც შეინიშნება სომეხი პერსონაჟების საუბარში:

1. ქვემდებარე გარდამავალი ზმნა-შემასმენლის II სერიის ფორმებთან სახელობით ბრუნვაში დგას: „ვნახოთ თუ **ბობრები** რა **ქნან**“ (იქვე); „ჩემი **ცოლი** ერთ თვე არის სპალნაში არ **შამიშო**“ (იქვე); „ძალიან ბევრი **ამხანაგები მიყვეს**“ (იქვე); „ნეტა არ მინდა ჩემი ცოლი კურკური **გაუკეთოს**, იმ **ფრანტი**“ (იქვე); „შტუკა **გაგიკეთეს** შენი **მდგმურები**“ (იქვე).

მოვლენა სომხურის გავლენით აიხსნება: ქვემდებარე სომხურში მხოლოდ სახელობით ბრუნვაში შეიძლება იდგეს. სახელობითის ძირითადი ფუნქცია სწორედ ქვემდებარის გამოსატყვევა,²³¹ თუმცა, სახელობითის გარდა, ქვემდებარე სხვა ბრუნვებშიც წარმოდგება, კერძოდ:

2. გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის ქვემდებარე მოთხრობითშია, ნაცვლად სახელობითისა: „**სიმდიდრემაც**

231 ი. შილაკაძე, ახალი სომხური ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1971, გვ. 122.

ტყუილი ყოფილა“ (ნარს. დრ. სურ.); „რათ არის გულ-
მა ცივი?“ (იქვე); „განა ვინ მყავს მტერმა“ (იქვე); „ისე
გაჯეილდეს ჩემი ქმარმა, ისე ჯანმა წაუფიდე“; (იქვე);
„დორბლებმა ჩამოსდის“ „ამქრებმა აყალმაყალობენ“
(იქვე);

3. გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარე მიცემითშიც შეიძლება იდგეს, ნაცვლად სახელობითისა: „იმისთანა ოინს არავინ მოგივიდეს“ (უბედ. მოარშ.) ამ წინადადების აზრი არის შემდეგი: „ამისთანა ოინი არავისთან მოგივიდეს.“ ამასთან, უბრალო დამატება აქ არ დგას მიცემით ბრუნვაში, რომელსაც მისგან კონტექსტი მოითხოვს;
4. გარდამავალი ზმნა-შემასმენლის I სერიის ფორმებთან პირდაპირი დამატება სახელობითშია: „როცა ჩემი ცოლი კურკური გა[ა]კეთებდა“ (იქვე); „შაფათობით მწვადი ძლივ ჰსჭამდა“ (იქვე); „ხუთასი თუმანიც პურებში ვიგებ“ (უბედ. მოარშ.); „მთელი ქვეყნის ოქროები მუცელში ჩაიდებს“ (ნარს. დრ. სურ.); „ერთი ტკბილი სიტყვა არ მეტყვის“ (იქვე); „ღარიბ ხალხს ხუთასი ურემი მუქათათ მივცემო“ (იქვე); „მამა ჩემი კვეი ჰყიდდა“ (იქვე). იშვიათად სწორი კონსტრუქციებიც დასტურდება: „რამდენ მადლსა ვიქ“ (იქვე); „იმ ფრანტს ვაჭრებს სულ ასე დავაცარიელებ“ (იქვე); „მოსხნიან შენი ცოლი ბობრიან ვრტნიკს“ (იქვე); „რამტენს შტუკებს გავაკეთებ“ (იქვე).

პირდაპირი დამატება, რომელიც სომხურში პიროვნების აღმნიშვნელი სახელითაა გამოხატული და განსაზღვრულია (მსაზღვრელით, ნანევრით), ნათესაობით-მიცემითში დაისმის, ხოლო თუ განუსაზღვრელად (ე. ი. მსაზღვრელი სიტყვის, ან ნანევრის გარეშე) არის აღებული – სახელობითში; ასევე სახელობითში დგას საგნის აღმნიშვნელი სიტყვა პირდაპირი დამატების ფუნქციით;²³²

5. ირიბი დამატება ფუძის სახით არის მოცემული, ან

232 იქვე, გვ. 130.

სახელობითი დგას: „ჩემი ცოლ ვეტყვი“ (უჩინ. ქ.); „ნეტა არ მინდა ჩემი ცოლი კურკური გაუკეთოს“ (იქვე); „მოსხნიან შენი ცოლი ბობრიან ვრტნიკს“ (იქვე); „ლალს მამა ერთი ოთახი ჰქონდა“ (იქვე); „მშვიდობა თქვენი მობძანება“ (იქვე); „ყარტა მურტა ხალხიც უნდა ძღვენი მივცე“ (წარს. დრ. სურ.);

6. ირიბი დამატება მოთხრობითია: „ჯანმა ნაუვიდეს ჩემი გაუმაძღარი ქმარმა“ (წარს. დრ. სურ.); „აი ინა დავადე იმათ ჭკვამა“ (იქვე); „თქვენი ქრემბმა კანტორაში ქალები ჰყავთ დამალული“ (იქვე).

ირიბი დამატება სომხურში ყველა სახის დამატებაა: ისიც, რაც ქართულში ირიბი დამატებაა და ისიც, რაც უბრალო დამატებაა, მაგრამ ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდებიან როგორც ბრუნვის, ისე მნიშვნელობის მიხედვით:

ივანე შილაკაძის განმარტებით, ირიბი დამატება, რომელსაც ეძლევა, ან მიემართება რალაცა, დგას ნათ-მიცემითში; დამატებას, რომელიც გვიჩვენებს საიდან მომდინარეობს, სად იწყება მოქმედება, ეწოდება დაცილების ირიბი დამატება და დაისმის უთანდებულო დაწყებითში; დამატება, რომელიც გვიჩვენებს, თუ რით, რა საშუალებით, რა იარაღებით სრულდება მოქმედება, ეწოდება საშუალების ირიბი დამატება და მოქმედებით ბრუნვაში დგას.²³³

7. უბრალო დამატება სახელობითია, ნაცვლად მოქმედებითისა: „შენი ქონება შავი მინამ უნდა გაიხაროს?“ (იქვე);
8. მხოლოდით რიცხვში მდგარ ქვემდებარესთან, ან ირიბ დამატებასთან ზმნა-შემასმენელი მრავლობით რიცხვში დგას: „თევზი მოვიდნენო“ (უჩინ. ქ.); „ქართველს ფარი არ უზით“ (იქვე);
9. საზღვრული სახელობითია, მსაზღვრელი – წრფელობითში: „ერთ ფინჯანი არ დავალევი“ (იქვე); „ღირს ათას თუმანი“ (იქვე);
10. საზღვრული სახელობითია, მსაზღვრელად

233 იქვე, გვ. 130.

გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელი კი ირიბი ბრუნვებისთვის განკუთვნილი ფუძით შეეწყობა: „ნეტა არ მინდა ჩემი ცოლი კურკური გაუკეთოს, **იმ ფრანტი**“ (იქვე);

11. საზღვრული მოთხრობითშია, მსაზღვრელი – სახელობითში: „**კარგი ვინმემა** არიან“ (უჩინ. ქ.); „შენი ქონება **შავი მინამ** უნდა გაიხაროს?“ (იქვე); „**გაუმაძლარი ლორმა**“ (წარს. დრ. სურ.); „**შენი ქმარმა**“ (იქვე); შდრ.: „**კარგი ვინმეები** არიან“ (უჩინ. ქ.); (აქ ისიც არის საყურადღებო, რომ **ვინმე -ებ-**იან მრავლობითში ერთ **ე-**ს კარგავს);

12. საზღვრული მიცემითშია, მსაზღვრელი – სახელობითში: „ეს რა უბედურობა ჩამოვარდა **ჩვენი ვაჭრებში**“ (იქვე); „**სულელი** ჩემ **ქმარსკი** ჰგონია“ (იქვე); „**თქვენი ოთახებში** ხომ ხალვათათ ბრძანდებით“ (იქვე); „ჩვენ რას გვემართლება **ყაირათიანი ხალხსა**“ (იქვე); „**ღარიბი ხალხზე** ერთი ათათ ჰყიდიან“ (წარს. დრ. სურ.); „**ჩვენი ქმარებსა**“ (იქვე);

13. საზღვრული მიცემითშია, მსაზღვრელი – მოთხრობითში: „**ყვითელმა** ლემცის **ქალზედა**“ (წარს. დრ. სურ.).

სახელობითში დაისმის სომხურში არსებითით გამოხატული მსაზღვრელი, მაგ., გმირი კაცი, ქვა გული, და რადგან მსაზღვრელი ჩვეულებრივ არ ეთანხმება საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში, ასევე რჩება ყველა ბრუნვაში: ნათესაობით-მიცემითში, ან დანწყებითში.²³⁴

14. შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მოთხრობითშია, ნაცვლად სახელობითისა: „**კარგი ვინმემა არიან**“ (იქვე);

სომხურში შემასმენლის სახელობით ბრუნვაში დაისმის, როდესაც ასეთად არსებითია გამოყენებული.²³⁵

15. პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშნად | პირში გამოყენებულია **-გ** პრეფიქსი **-გვ** პრეფიქსის ნაცვლად: „ჩვენც **გაგაკოტრებს**“ (იქვე);

234 იქვე, 124.

235 იქვე.

16. „ატაროს“ ზმნის მნიშვნელობით ნახმარია „დაარები-ნოს“: „ცოლი ბობრით დაჰყავს ჯანი გავარდეს დაარე-ბინოს თავის ცოლი ბობრითა“ (იქვე);
17. „უთქვამს“ ზმნის მნიშვნელობა აქვს „უთხრამს“ ფორმას: „უთხრამს შენ ვისზედ ნაკლები ხარ ასუმე“ (იქვე);
18. გვაქვს თემის ნიშნის არაბუნებრივი ჩანაცვლება: -ი – -ამ: „ხელზედ რათა ჰკოცნამდი“ (უჩინ. ქ.);
19. „მეტი“ სახელისგან მოითხოვს -ზე თანდებულებას მიცემით ბრუნვას, პიესაში კი მას სახელი სახელობითის ფორმით შეეწყობა: „დავხარჯამ წელიწადში ორასი თუმანი მეტი“ (უბედ. მოარშ.);
20. ორგანული წარმოება შეცვლილია აღწერით: ვიტირებ ზმნა გადმოცემულია ტირილი ვიქ კონსტრუქციით: „მეც ტირილი ვიქ“ (უჩინ. ქ.).

გრიგოლ კიკნაძის აზრით, სომეხ პერსონაჟთა მეტყველება მხატვრულ ხერხადაა გამოყენებული, კერძოდ, იგი „კომიკური ეფექტის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა“, ²³⁶ რასაც სრულიად ვეთანხმებით.

ლექსიკური მხარე ერთ-ერთი საინტერესო უბანია ისეთი ტექსტების შემთხვევაში, რომლებიც აგებულია ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე. ასეთ მასალას განეკუთვნება სწორედ დრამატურგიული ჟანრი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსიციზმები და არმენიზმები, რომლებიც, ძირითადად, ბილინგვთა მეტყველებაში გვხვდება: რუსიციზმები – ქართველი ბილინგვების, რომელთათვისაც რუსული მეორე ენაა, ხოლო არმენიზმები – სომეხი ბილინგვების, რომელთათვისაც სომხური მშობლიური ენაა. თუმცა ზოგჯერ ცალკეული რუსული სიტყვები, ან გაბმული ფრაზები მონოლინგვის საუბარშიცაა გარეული. მაგ., გიორგი ერისთავის პიესის – „უჩინმაჩინის ქუდი“ – ერთ-ერთი პერსონაჟი, იმერელი მსახური ბიჭი კიკოლიკა ოცნებობს ქუთაისის გუბერნატორობაზე და ასეთ მონოლოგს წარმოთქვამს: „ჩემი ბატონი რავა მძიმეთ

236 გ. კიკნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბ., 1972, გვ. 295.

დამიკრამს თავს აპა მე ვაჩვენებ. – მივალ ესდე და **(ჩტო ტაკოე ხოჩიტ)** რავა დამელიჭინება, მერე ვეტყვი. **(ზავტრა პრიშელ)** ყოველ დღე მევიყვან, რავა ჩურჩულს დეინყებს ხალხი, აიპე ჩვენი კიკოლიკა, და მე ისდე ვეჩვენები. – **სეკლეტარს** ესდე ვეტყვი **(ჩტო ხოჩიტ,)** (ამ დროს შემოვა ვარდუა ასე ყურს უგდებს) აა ვარდო **ჩტო ხოჩიტ!**“

ეს ტექსტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ სახელისუფლებო უწყებებში რუსულ ენას გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. ამასთან, უცხოენოვანი ჩანართები პიესაში კომიზმის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა. სხვა მაგალითი: „ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ისა, ვისაც ვინ უყვარდეს. **ბეზ კაპლი შტოლი!** (გაჰკივის და დაღვეს მარდათ)“ (უბედ. მოარშ.).

რუსიციზმებიც და არმენიზმებიც სრულადაა წარმოდგენილი ჩვენი ტომისთვის დართულ ლექსიკონში. რამდენადაც უცხო წარმოშობის სიტყვები პერსონაჟთა მეტყველებაში ხშირად დამახინჯებულია, ტექსტურ მონაცემს ლექსიკონში ახლავს სწორი ფორმა ორიგინალურ ენაზე, რომელიც კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული. რადგანაც მკითხველი ტექსტებში გამოყენებულ უცხო სიტყვებზე ლექსიკონის დახმარებით სრულ ინფორმაციას მიიღებს, მათზე წინამდებარე სტატიაში სპეციალურად აღარ შევჩერდებით. მხოლოდ ჩამოვთვლით ხშირად ხმარებულ რუსიციზმებს: **მინუტი, რამკა, სტოლი, სპალნა, კრაოტი, კრესლა, გორჩიცა, ფოდნოსი, სუხარი, პოდრიადჩიკი, ზალა, სჩოტი, დუხი, გრანიცა, აჩკები, პოლი, პრიკუსკა, ნაჩალნიკი, შტაცკური, გოსტინა, იუბკა, პაჟარნი, სტაქანი, შლაპა, შკაფი, კუშეტკა, უეზდი, ზაკუსკა, ვიშნოვკა, სლედსტვიე, ხუდოჟესტვენნი, ორეტაჟა, დუშეპრიკაშჩიკი, პოჩოტნი, გრაჟდანინი, სუდია, კუპნები, ეტაჟერკა, სეკრეტარი, ფრანცუჟანკა, ვოენი** და სხვ.

ტექსტებში აღმოსავლური სიტყვებიც გვხვდება. მათი გამოყენება ხშირად მიზნობრივია და პიესაში შექმნილი სიტუაციის, ან პასაჟის უკეთ წარმოჩენას ემსახურება. მაგ., პიესაში „თილისმის ხანი“, მთავარი პერსონაჟი, ხარაზი ასანა, ხანმა და მისმა ვეზირებმა, გართობის მიზნით, თრიაქით დაათვრეს, სასახლეში მიიყვანეს, ხანის ტანსაცმელში

გამოაწყეს და გაღვიძებულს არწმუნებდნენ, რომ ის ხანი იყო. ასანას არ სჯეროდა და უმტკიცებდა მათ, რომ ხარაზი იყო. სასახლის ექიმი მას სისხლის გამოშვებით დაემუქრა, თუ მას სიტყვა „ხარაზი“ წამოსცდებოდა. შეშინებული ასანა საუბარში სპარსულ სიტყვას ჩაურთავს, რათა აგრძნობინოს მათ, რომ სჯერა თავისი ხანობისა: „მე ვარ თქუჴნი ხანი! **ინშალახ** უნდა თქუჴნ იყუნეთ ჩემი მარჯვენა ჴელი.“

გვაქვს ლექსიკური ვარიანტული წყვილები: **ყველაფერი//ყოველიფერი** (თილის. ხ.), სადაც კომპოზიტის პირველ წევრებად აღებულია **ყველა** და **ყოველი**. ლექსიკური სინონიმის მეორე წევრი დღეს დიალექტებშია გავრცელებული: „მზათ არის **ყოველიფერი**“ (თილის. ხ.); „იცი **ყოველიფერი**“ (სიყ. სას.); „მე ვიცი **ყოველიფერი**“ (იქვე); შდრ.: „ახლა **ყველაფერი** მზად არის“ (თილის. ხ.).

საანალიზო პერიოდის ძეგლებში ლექსიკური ერთეულები არცთუ იშვიათად, ძირითადი სემანტიკური მნიშვნელობის გარდა, სხვა სემანტიკური მნიშვნელობითაც იხმარება. მაგალითად, სიტყვა **ქეიფი** გამოყენებულია **ხასიათის, გუნება-განწყობილების** მნიშვნელობით: „ვინ იცის რა **ქეიფზე** შევხვდე“ (თილის. ხ.); „შენ ჩემს **ქეიფზე** უნდა იყო“ (ძალ. ექ.); „ჩემი **ქეიფია** და მცემს“ (იქვე); „ჩემი **ქეიფია**, ასე მინდა ვიყვირო“ (იქვე); შდრ.: „დაჯექ და **ქეიფი** გასწიე!“ (თილის. ხ.).

ვოდვეილებში სიტყვა „**უცხო**“, ძირითადად, „**კარგს**“ აღნიშნავს: „**უცხო** მოგონება“ (თილის. ხ.); „მე იმ არაბათ გავხდები, **უცხო** კამედია იქნება“ (უჩინ. ქ.); „შენ **უცხოთ** ითამაშე ხანის ცოლობა და ქალობა“ (იქვე); „**უცხოა**, მაშ იმერელსაც ეგ უნდა მოუხერხოთ“ (იქვე); „**უცხოთ** შეგამკო ქალო ძალუა თქვენმა“ (ექიმბ.); „ამისი პატრონი **უცხოთ** შეამკო თავისმა ძალუამ“ (იქვე); „**უცხო** და პატიოსანი“ (ძალ. ექ.).

აღნიშნული სიტყვის მნიშვნელობა კარგად ჩანს შემდეგ დიალოგში:

„ივანე: ვინ გირთამს!

ვარდუა: კიკოლიკა.

ივანე: მართლა, **უცხოა**.

ვარდო: **უცხოა**, მაგრამ ეჭვიანია.“ (უჩინ. ქ.).

გვაქვს ისეთი ლექსემებიც, რომლებიც თანამედროვე ქართულში მოცემული მნიშვნელობით ნაკლებ გამოიყენება, მაგ., „**შექცევა**“ „**გართობის**“ მნიშვნელობით: „არაფერი **შექცევა** არა არისრა“ (თილის. ხ.); „ხომ არ გნებავს თამაშობით **შეგაქციოთ**“ (იქვე); „შენ მე წუხელ კარგათ **შემაქციე**“ (იქვე).

პიესებში ისეთი ლექსიკური ერთეულებიც იხმარება, რომლებიც უცხოა თანამედროვე ქართულისთვის, მაგ., **ბიაბრუ**, **პლუტი**, **კეთილ გამზრახი**: „გინდა **ბიაბრუ** გაგხადო“ (ძალ. ექ.); „**პლუტო!** უსულო! გლახავ!“ (იქვე); „შენ **კეთილ გამზრახი** კაცი ყოფილხარ“ (თილის. ხ.).

არსებითი სახელი „**ხათაბალა**“ პიესებში კომპოზიტის პირველი წევრით არის წარმოდგენილი: „ოხ, რა დიდი **ხათაა** ცოლის ყოლა!“ (ძალ. ექ.).

იშვიათია არქაიზმები, მაგ., „აქვს **ვიეთიმე** წინააღმდეგობა“ (ძალ. ექ.).

„**გვამი**“ აღნიშნავს „**სხეულს**“, ან „**ადამიანს**“: „საწყალი ჩემი **გვამი** სწორე ხანი“ (თილის. ხ.); „მაგ საქმეში რატომ ყოველთვის ღმერთს მადლობას არ უნდა სწირამდე, რომ ჩემისთანა **გვამი** მოგცა ცოლათ“ (ძალ. ექ.); „მაგისთანა **გვამი** მასხარაობით თავს იმაღავთ“ (იქვე).

საანალიზო პერიოდში ქალბატონებს ჯერ ისევ მიმართავენ „**ბატონობით**“: „**ბატონო** ქეთევან, მოითმინეთ პატარას ხანს“ (სიყ. სას.); „ჩემზედ დარბაისელი, **ბატონო** ქეთევან ნუ გინდათ“ (იქვე).

„**გაკეთებულის**“ სინონიმია „**ნაქნარი**“: „მე ჯადო **ნაქნარი** ვარ!“ (იქვე); „თავის **ნაქნარს** მოგართმევთ ჩაის“ (უჩინ. ქ.).

ადამიანის უარყოფითად დასახასიათებლად გამოიყენება ისეთი გამოთქმა, როგორცაა **სირცხვილის ქმნილება**: „ათი თუმანი განგებ მამცა იმ **სირცხვილის ქმნილებამ**“ (თილის. ხ.).

„**ხათრიჯამი**“ იხმარება „**მშვიდად**“, „**წყნარად**“ ზმნიზედების მნიშვნელობით: „მაგაზედ **ხათრიჯამი** იყავით, მე ვიცი ყოველიფერი“ (სიყ. სას.).

დახმარების, საქმეში ხელშეწყობის გამოსახატავად გვაქვს ასეთი გამოთქმა: „ვითხოვ თქუწნის მოწყალეს ტვინისაგან, რომ თქუწნი ხელები იყოს ჩემის საწყალის თავის ქუდე-

ბათ ამ საქმეში!“ (თილის. ხ.).

პიროვნების სამართლიანობას აღნიშნავს ფრაზა „სიმართლის სასწორი“, ხოლო გონიერებას – „გონების ვარსკვლავი“: „თქუწნა ხართ ჩუწნი მალალ ხარისხოვანი, ჩუწნი **გონების ვარსკვლავი**, ჩუწნი **სიმართლის სასწორი**“ (თილის. ხ.).

„მაგაობა“ გამოხატავს „მასეთ მდგომარეობას“: „და ერთი მიბძანე **მაგაობაში** მე რალა უნდა გავაკეთო ჩემს სახლში?“ (ძალ. ექ.).

„ფუნდრუკი“ ნიშნავს „ცემას“, „ძეერას“: „გულმა **ფუნდრუკი** დამიწყო სიხარულით, რაკი შენ ეგა ბძანე“ (ძალ. ექ.).

„შემდეგ“ ზმნიზედის მნიშვნელობით ავტორის მეტყველებაში გვხვდება „უკან“ ზმნიზედა: „ცოტა ფიქრს **უკან**“ (თილის. ხ.).

„გაძარცვის“ მნიშვნელობას გადმოსცემს ზმნა „გახინწნა“: „ამ ექიმებმა ხომ **გავგხინწნეს**, ბატონო, **გავგხინწნეს**“ (ექიმბ.).

„თავის მობეზრების“ სემანტიკის შემცველია გამოთქმა „ბეზარს მოყვანა“: „თქვენმა სიცოცხლემ, ჩემო მულო, მეც **ბეზარს მომიყვანეს** იმათ“ (იქვე).

საუზმის შეთავაზებისას ასეთი ზმნური ფორმაა გამოყენებული: „ცოტა **დასაუზმდი**“ (იქვე).

„მალლა შეგდებას“ აღნიშნავს ზმნა „შეჩარდახება“: „ეხლა მეწვივეთ ქორწილში აი! (ქუდს **შეჩარდახებს**)“ (იქვე).

ზმნიზედა „ძალიან“ შეიცავს „კარგის“ მნიშვნელობას: „ჩემი მონიფული **ძალიან** კაცია“ (უჩინ. ქ.); „მე მგონია **ძალიან** საქმეს ჩაიდენს“ (ძალ. ექ.); „ქმარი **ძალიან** წამალია, რომელიც ყოველის ქალის სენს არგებს“ (იქვე); „ჩემმა სიყმემა, ბატონო ექიმო, **ძალიან** რამეები მითხარ“ (იქვე); „**ძალიან** წამალი ყოფილა“ (სიყ. სას.); შდრ.: „ჩემთვისაც **ძალიანა** ცდილობს“ (იქვე).

საინტერესოა, რომ ტექსტებში ხშირად გვხვდება „**არიქნა**“ ფორმა იქ, სადაც დღეს, ჩვეულებრივ, „**არიქა**“-ს ვხმარობთ: „მჭვალი **არიქნათ** წამალი მე ვიცი“ (უჩინ. ქ.); „**არ იქნა** ქატო“ (იქვე).

ვოდევილების ტექსტებში საკმაოდ ხშირად იხმარე-

ბა გამოთქმა „**ემე ქნა**“ დროის სხვადასხვა ფორმით. მას, ძირითადად, აქვს „საქმის“, „ამბის“ მნიშვნელობა, ზოგჯერ კი დისკურსის მარკერია, დასტურდება უმთავრესად პერსონაჟის ემოციურ მონოლოგში. არასდროს არ გამოიყენება ავტორის მეტყველებაში.

ნიმუშები: „ახ ნეტა ერთი უჩინმაჩინის ქუდი მომცა გარდაქეშანივით, დალოცვილი ვინც ყარამანიანი **ემე ქნა**“ (უჩინ. ქ.); „ნადი შენ ს[ა]მოვარი **ემე ქენ**“ (იქვე); „ფარალათოვიანთ ცოლი ნახე ბობრიანი ვრტნიკით ესე **ემე უქნია**“ (იქვე); ზოგჯერ „**ემე**“ „**ქნა**“ ზმნის გარეშეცაა: „თუნდ **ემე** ანწლი იყოს!“ (უბედ. მოარშ.).

დადასტურდა კახურ კილოში გავრცელებული დისკურსის მარკერი „**კარგარამ**“: „**კარგარამ** ამიხსენ, თორემ ვინ გაიგებდა“ (სიყ. სას.).

პიესებში ღვთის სადიდებელი ფორმულა გამოხატულია შემდეგნაირად: „**დიდება შენთვის**“ (ძალ. ექ.). დღეს მიღებული ფორმაა: **დიდება შენდა**.

ყოველთვის ინტერესს იწვევს მოფერების ფორმულები, გავრცელებული ამა თუ იმ პერიოდში: მათში ჩანს ადამიანთა დამოკიდებულებები ერთმანეთის მიმართ, აგრეთვე მათი გრძნობითი და ესთეტიკური მხარე. ჩვენს პიესებში მოფერებისას გამოყენებულია ასეთი ფრაზები: „ჩემო სურვილის ნუგემო!“ (ძალ. ექ.); „ჩემო კუჭო“ (თილის. ხ.; ძალ. ექ.); „ჩემო სულო! კუჭო!“ (თილის. ხ); „გაიღვიძე სულოჯან!“ (იქვე).

კამათისა და ჩხუბის დროს კი შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს იყენებენ პერსონაჟები: „მოუკუპრაო ტიკო!“ (ძალ. ექ.); „მუხანათო, ჭირვეულო, მომტყუებელო! ავაზაკო! პლუტო! უსულო! გლახავ! ტანტალავ! ცრუო! ბოროტო! ქურდო! ლოთო!“ (იქვე).

თავადის ქალი მეუღლეს „თქვენობით“ მიმართავს და ზრდილობიანი ფორმებით ესაუბრება: ნიმუშები დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პიესიდან „ექიმბაში“: „ვის ცოდვაში უნდა **ჩადგეთ**?!! კაია მამი **თქვენი** საფლავის მზესა“; „მაგას რათ **ბრძანებ**, ქალებიც შვილები არ არიან? ისინი ხომ კარგები გყვანან, კურთხელ არს სახელი მღვთისა, გულს რათ **გაიტყნებ**“.

განსახილველი ტექსტების ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს ორთოგრაფიული და პუნქტუაციური სიჭრელე. ერთი და იგივე კომპოზიციური შედგენილობის სიტყვა შეიძლება სხვადასხვა დაწერილობით შეგვხვდეს: ცალ-ცალკე, დეფისით, ან ერთად: **დედა ჩემი, დედა-ჩემი, დედაჩემი**. ხშირია ერთმარცვლიანი სიტყვების წინამავალ, ან მომდევნო სიტყვებთან შერწყმის შემთხვევები: „**არმოვა**“, „**არუგდებს**“ „**არა აქუსრა**“ „**აქუნდა მოვიტანო**“ „**ესარის ჯამაგირი**“ და სხვ.

გამოცემაში ბოლომდეა დაცული ავტორისეული ორთოგრაფია და პუნქტუაცია. იმ შემთხვევაში, თუ მოგვეპოვება ავტორის რომელიმე პიესის ხელნაწერი, სხვა პიესების შემთხვევაში გათვალისწინებულია მოცემულ ავტოგრაფში დადასტურებული ავტორისეული პუნქტუაცია. მაგ., გიორგი ერისთავის ხელნაწერი „წარსული დროების სურათები“ დაგვეხმარა, გაგვემართა „თილისმის ხანისა“ და „უჩინმაჩინის ქუდის“ პუნქტუაცია, რომელთა ავტოგრაფები დაკარგულია.

საერთო ენობრივი მახასიათებლები, რაც შეინიშნება ამ პერიოდის პიესებში, არის:

1. ფონეტიკური პროცესების სიმრავლე;
2. ხშირ შემთხვევაში სინტაქსურად გაუმართავი ფრაზები, რაც დასტურდება არ მხოლოდ პერსონაჟთა, არამედ ავტორთა მეტყველებაშიც. ზოგჯერ ეს შედეგია რუსული სინტაქსის გავლენისა, ზოგჯერ კი ავტორთა უყურადღებობისა. არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ ვოდევნილებს ისინი ხშირად ერთ დღეში წერდნენ, რომ მეორე დღეს სცენაზე წარმოედგინათ, ხშირად პიესები მსახიობთა ბენეფისისთვისაც იწერებოდა;
3. რუსიციზმებისა და არმენიზმების სიჭარბე;
4. დიალექტიზმების სიმრავლე;
5. არაერთგვაროვანი სურათი პუნქტუაციისა და ორთოგრაფიის სფეროში;
6. ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები.

დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ წინამდებარე ტომში

შესული ტექსტები მეცნიერულად სანდოა და ენათმეცნიერებს
შეუძლიათ მათი გამოყენება უფრო სკრუპულოზური ლინგვი-
სტური ანალიზისთვის.

ლექსიკონი

აბა – 1. ფართე და გრძელი წამოსასხამი, აქლემის მატყლისაგან ნაქსოვი; 2. თათრული წამოსასხამი ფეხებამდე; 3. საშინაო ხალათი; 4. სქელი მაუდისაგან გაკეთებული წამოსასხამი, მოლი.

აბაზი – ძვ. ოცი კაპიკი

აგება – ეგებ

აგრეთი – ასეთი

ადრინდელისავით – ადრინდელივით

ავანტყოფი – ავადმყოფი

ავანტყოფობა – ავადმყოფობა

ავდენი – ამდენი

აკრუფუშა – ერთგვარი ცეკვა-გასართობი: ერთი ადგება, მეორე დაჯდება.

ალეიქუმ სალამ [არაბ. სალამ ალეიქუმ] – მუსლიმანებში მისალმების ფორმა. ნიშნავს: „მე შენ ჯანმრთელობასა და მშვიდობას გისურვებ.“ „ვა ალეიქუმ სალამ“ მისი საპასუხო ფორმაა, რაც ნიშნავს: „მეც შენ ჯანმრთელობასა და მშვიდობას გისურვებ.“

ალიზი – გამოუწვავი აგური

ალლახი – იგივე ალაჰი, მაჰმადიანთა ღმერთი

ამუთე [სომხ. ամուտ է] – სირცხვილია

ამხანაკი – ამხანაგი

ანბავი – ამბავი

ანგლიჩნობა – ინგლისელობა

აპა – აბა

აპეკუნი [რუს. опекун] – ძვ. ბარბარ. მეურვე

არიქნათ//არ იქნა – არიქა

ასდე – ასე

ასკიკუკა – ასკინკილა

ასონასი – ძველებური ქართული ბანქოს თამაში

ასრე – ასე

ასრეთი – ასეთი

ასტე – ასე

ასტუაც [სომხ. ასთուած] – ღმერთი
ასუმე [სომხ. ასუმ ლ] – ამბობს (სხვათა სიტყვის მნიშვნელობით)
აფარსინ [თურქ.] – დანყ. ეშმაკმა წაგიღოს
აფთეკარი//აფთიეკარი – აფთიეკარი
აფიცრობა – ოფიცრობა
აფსუს – დასანანი, შესანუხებელი
აქამდისინ – აქამდე
აქანა – აქ
აქნობამდე – აქამდე
ალა [თურქ.-სპარ.] – ძვ. ბარბარ. ბატონი, მეპატრონე, დამეირავებელი (იხმარებოდა უპირატესად ვაჭართა წრეებში, მეტწილად აღმოსავლეთ საქართველოში).
აშიფვა//აშიჰვა [რუს. ошидка] – შეცდომა
აჩკები [რუს. очки] – სათვალე
ახარ//ახირ [არაბ. ბოლო, უკანასკნელი, სხვა; ახარ (თურქ.) ბოლოს და ბოლოს]; აქ: შორისდებული.
ახი – სამართლიანი, კუთვნილი, ჯეროვანი
ახრ [სომხ] – განა (ნანილაკი)
ბადია – ქუსლიანი დიდი ჯამი (უპირატესად – ლითონისა)
ბაიათი [არაბ. ლექსის სტრიქონი] – 1. შვიდმარცვლოვანი და ოთხსტრიქონიანი სტროფი. სპარსული ბაიათი. 2. აღმოსავლური ცალხმიანი ჰანგი
ბაკლა – მსხვილი ცერცვი
ბალა – საუბ. უბედურება, ჭირი, ვაგლახი
ბალკონი [რუს. балкон] – აივანი
ბაჟის არქონა – საუბ. ხარჯს არ თხოულობს, უფასოა. **ბარიშალი** [აზერბ. ბარიშალიმ] – შევრიგდეთ
ბას [სომხ. բաս] – აბა, მაშ
ბაყალი – ძვ. ხილით, ბოსტნეულით, სანელებლებითა და ტკბილეულით მოვაჭრე. // საერთოდ, მზა სანოვაგითა და წვრილმანით მოვაჭრე
ბაშმაკი [რუს. башмак] – ფეხსაცმელი
ბეგი [თურქ. ბატონი] – ძვ. ფეოდალი, ბატონი მემამულე (თურქებში, აზერბაიჯანელებში)

ბეზარი – იგივეა, რაც აბეზარი
ბეზარს მოყვანა – თავის მობეზრება
ბეზ კაპლი შტოლი [რუს.] – ნუთუ წვეთის გარეშე
ბზერა – მზერა
ბიაბრუთ გახდომა [სპარს. ბიაბრუ] – უსინდისო, აქ: შერცხვენა, არაფრად ჩაგდება
ბილლა – ფიცის გამომხატველი გამოთქმა – ღმერთის სახელით, ღმერთმანი
ბის მილა რახმანი, რახიმ ინჯილ ისან – ლოცვა: სახელითა ღმრთისაჲთა, შემწყალებლისა და მოწყალისაჲთა
ბიჭი – აქ: მსახური
ბლადაროდნი [რუს. благодный] – კეთილშობილი
ბობრი – თახვი, ძვირფასბუნჯიანი მოზრდილი მღრღნელი. აქ: იგულისხმება ძვირფასი ბუნჯისაგან შეკერილი ზედა ტანსაცმელი (მაგ., ბობრის პალტო).
ბოლინო – ღვინოში ჩამბალი პური
ბოჩკა [რუს. бочка] – კასრი
ბუმაჟნიკი [რუს. бумажник] – საფულე
ბური აველ [თურქ. ბურია გელ] – აქ მოდი
გაზურგვა – ცემა
გაკეთება – ეკონომიურად მომაგრება
გამდელი – გამზრდელი
განსაჯვა – განსჯა
განძრახვა – განზრახვა
გაცლა – მოშორება (გამაცალეთ)
გახინვნა – აქ: გაღარიბება (გაგვხინნეს)
გვამი – აქ: სხეული
გოგო – აქ: მსახური
გორჩიца [რუს. горчица] – მდოგვი
გოსტინა [რუს. гостиная] – სასტუმრო ოთახი
გრაკლა – დაბალი ტანის დეკორატიული დაკბილულფოთლოვანი ბუჩქი; მეტწილად აქვს ფარად შეკრებილი თეთრი, ან ვარდისფერი პატარა ყვავილები.
გრანიცა [რუს. граница] – საზღვარი; აქ: უცხოეთი
გრაჟდანინი [რუს. гражданин] – მოქალაქე

გულ ტკივნეული – აქ: გულატკივებული

დაბნევა – აქ: გადაკარგვა (სად დაბნეულან უბედურები)

დავრიში – (სპარს. დერვიშ) – გლახა, მწირი, მუსლიმთა ბერი, მათხოვარი

დალასი – თბილი ჩასაცმელი, ტყავეული

დამსება – დაღუპვა (დევიმსე)

დანგი – 1. ძველი ფულის ერთეული, შაურის ღირებულებისა;
2. ძველი წონის ერთეული – მისხლის მეექვსედი, ან მეოთხედი

დაბნევა – დაბნევა

დარდის განევა – დარდი (თქვენ რალა დარდს ენევით – დარდობთ)

დართული – მორთული

დასაუზმება – საუზმოზა

დასკუჩნება [რუს. скучный] – მოწყენა

დაუდევნელობა – დაუდევრობა

დაუკეტელი – დაუკეტავი

დაუჩუჭვარი – დაუჩუვეელი

დალალული – დაღლილი

დაღიჭინება – თხოვნა

დაშურება – დაჩქარება

დანუნობა – დანუნება

დედენ ტანნე [სომხ. դեդեն տաննէ] – ეშმაკმა წაგიღოს

დესეტნიკი [რუს. десятник ათისთავი] – აქ: წესრიგის დამცველები ქალაქში

დვარეცი [რუს. дворец] – სასახლე

ღირაგი (ღირეგი) – 1. გათლილი ძელი (ხე), დადებული სახლის ნაწილის (კედლის, კარის, სვეტების...) საძირკველად, ან სარტყლად; 2. გრძელი მორი

ღოვერია [რუს. доверие] – ნდობა, რწმუნება

ღოკტორი [ლათ. doctor] – ექიმი

ღოღლოპროჩნიო [რუს. долгопрочный] – მუდმივი, მოწესრიგებული

ღორი – ზურგის მისაყრდნობი, ან საჯდომი ბალიში

ღოში – ზუთხის (თართის და მისთ.) ლორად გამოყვანილი

გვერდი

დროება – აქ: დრო

დუშე პრიკაჟნიკი [რუს. душеприказчик] – ანდერძის

შემსრულებელი კაცი

დუშკა [რუს. душа] – სულიკო, საყვარელი

დუხი [რუს. духи] – სუნამო

ე [სომხ. է] – მეშველი ზმნა „არის“ (ქრთამე? – ქრთამია?)

ევროპიულათ – ევროპულად

ემ – ამ

ემე – განუსაზღვრელი ფუნქციის ზმნისართი

ერანლობა – გენერლობა

ესაბი [არაბ. ჰესაბი] – ანგარიში

ესტერიკა – ისტერიკა

ეტაჟერკა [რუს. этажерка] – ეტაჟერი, თაროებიანი დგამი
ნიგნების დასალაგებლად

ემყი – ეშხი

ვაი ქი – დანანების შორისდებული

ვალლა – ღმერთმანი, ღმერთს (ალაჰს) ვფიცავარ

ვარაყი [არაბ. ვარაკ „ფურცელი“] – 1. ლითონის (ოქროს, ვერცხლის...) თხელი ფენა, ნივთებზე გადაკრული შესამკობად; 2. ოქროსფერი საღებავით შესრულებული შემკულობა (ნიგნის ყდისა, წარწერისა და მისთ.)

ვაქსი [გერმ. Wachs-იდან სანთელი] – ტყავის ფეხსაცმლის სან-
მენდი სქელი, შავი საცხი

ვახანკ [სომხ. ვახაკ] – შორისდებული; გამოხატავს სიამოვნე-
ბას, სიხარულს, განცვიფრებას

ვიეთიმე – ზოგი, ზოგიერთი

ვინცხლა – ვილაც

ვიშნოვკა [რუს. вишнёвка] – ალუბლის ნაყენი

ვოენნი [რუს. военный] – სამხედრო

ვოქრო – ოქრო

ვრტნიკი [რუს. воротник] – საყელო

ვუი [სომხ. վայ] – ვაი

ვუი ქი – დანანების შორისდებული

ზავტრა [რუს. завтра] – ხვალ

ზაკლადნო [რუს. закладной] – საგირავნო, გირავნობის
ზაკონი [რუს. закон] – კანონი
ზაკუსკა [რუს. закуска] – საუზმე
ზაკუსკობა [რუს. закуска] – საუზმობა
ზალა [რუს. зал] – დარბაზი
ზარაფი – 1. ძვ. საფასურით ფულის დამხურდავებელი; 2. სარგებლით ფულის გამსესხებელი
ზემლამერი [რუს. землемер] – მიწის მზომელი
ზვარა – იგივეა, რაც ზვარაკი
თაბაუთი [არაბ. თარავეუთ „განსხვავება“, „მანძილია“] – აზრი, მნიშვნელობა
თევზის ურმების მოსვლა – სამახარობლო ამბის გაგონება
თიატრი – თეატრი
თოლუთუნარე [სომხ. թուլութիւն ասել თოლუთუნ. პატიება, მიტევება] – შეუნდე, მიუტევე. აქ: შეგინდოს
თრიატი (თრიაქი) [სპარ. თერიაკ] – იგივეა, რაც ოპიუმი
თუარა – თორემ
თუარემ – თორემ
თულა – თულ (პატარა, სუსტი), ა (არის) – პატარაა, სუსტია
თუმანი [სპარ. თუმან] – ათი მანეთი
იალქანი – ძვ. ეთნ. პატარძლის საქორწინო (ჯვრისწერის) გვირგვინი
იანარალი – იხ. **იარანალი**
იანლიში – იაღლიში [თურქ. ანლიშ] – საუბ. შეცდომა
იარანალი – გენერალი
იაღში [აზერბ. იახში] – კარგი
იიმე//იმე – ვაიმე
იმდონი – იმდენი
იმოდენი – იმდენი
იმტენი – იმდენი
იმტოლი – იმდენი
ინა [არაბ. ჰენა] – 1. [Lawsonia inermis] ბოტან. ტროპიკულ აზი-ასა და აფრიკაში გავრცელებული ბუჩქი ცოცხმაგარასებრთა ოჯახისა; 2. ამ მცენარის ფოთლებისგან დამზადებული საღებავი, რომელსაც აღმოსავლეთში

ხმარობენ თმის, ფრჩხილებისა და სხვ. შესაღებად.
ინჩე ასუმ [სომხ. *ჩნչ* *է* რას *սսում*, ამბობ] – რას ამბობ
ინჩხაბარე – [სომხ. *ინჩ* *ჩნչ* – რა], ხაბარ [თურქ. სომხურ-
 შიკ არის: *խაყარ*] – ამბავი, [სომხ. *է* *ე* – არის] – რა
 ამბავია (*ჩნչ* *խაყარ* *է*)
ინშალლახ//ინშალახ – ღმერთმა ქნას, ღმერთმა ინებოს.
ისდე – ისე
იუბკა [რუს. *юбка*] – ქვედაკაბა
იქავ – იქვე
იჭვი – ეჭვი
იჭვნიულობა – ეჭვიანობა
კაი – კარგი
კაკაბური – კაკბის მსგავსი
კამედია (კომედია) [ბერძ. *κῆμῶδία*-დან რუს. ენის მეშვე.] – 1.
 მხიარული სიუჟეტის მქონე დრამატული ნაწარმოები,
 რომელშიც სასაცილოდ არის გამოყვანილი უარსაყოფი
 საზოგადოებრივი (ან საყოფაცხოვრებო) მოვლენა; 2.
 ასეთი ნაწარმოები, სცენაზე გათამაშებული
კეთილ გამზრახი – კეთილად მოფიქრალი
კისეა [რუს. *кисея* ყაზახ. ყასა-დან] – ერთგვარი თხელი გამ-
 ჭვირვალე ქსოვილი, მარმაში
კისტა [ბერძ. *kistē*] – ჩანთა, ქისა, პარკი
კლოკი – ძვირფასი საკაბე მატერია
კნიაზი [რუს. *князь*] – ძვ. საუბ. თავადი
კოდი – მარცვლეულის საწყაო სხვადასხვა ზომისა (ქვემო ქა-
 რთლში – ოთხი ფუთი, ანუ რვა ჩანახი, ზემო ქართლში
 – ხუთი ფუთი, ანუ ათი ჩანახი, და ა. შ.)
კოლოპურტი – ეთნ. ისტ. მიცვალებულის ბოლონაცვამი ტანი-
 სამოსი (დასაფლავების შემდეგ მღვდელს მიჰქონდა)
კრაოტი [რუს. *кровать*] – საწოლი
კრესლა [რუს. *кресло*] – სავარძელი
კრილონინი (კრინოლინი) [ფრან. *crinoline*] – ძვ. ძველებური
 კაბა, რომელსაც განივრად იჭერდა შიგ დატანებული
 ფოლადის სარტყლები (მოდაში იყო XIX ს. ევროპაში).
კულავ – კვლავ

კუპჩი [რუს. купчий] – ნასყიდობის ქალაქი, ნასყიდობის სიგელი

კუპნები [რუს. купец ვაჭარი] – მრ. ვაჭრები

კუტრი – ღარიბი

კუშეტკა [რუს. кушетка] – დივანი

ლათა – იგივე ლათაია – ძვ. არაკი, იგავი, ანეკდოტი

ლემენცი [რუს. Немец] – გერმანელი

ლემცი [რუს. Немец] – გერმანელი

ლიუბოვნის [რუს. любовный] – სიყვარულის

ლომბერნი მაგიდა [რუს. ломберный] – ბანქოს სათამაშო მაგიდა (ჩვეულებრივ, დასაკეცი), რომელზედაც გადაკრულია მწვანე მაუდი, – ძველებური ბანქოს თამაშის „ლომბერის“ სახელის მიხედვით.

ლოტკა [რუს. лодка] – ნავი

ლულა ქაბაბი [სპარს.] – აღმოსავლური საჭმელი, წმინდად დაკეპილი ხორცი, შამფურზე შემწვარი და ლავაშში გახვეული

მადრიელი – მადლიერი

მალიათი [არაბ. მალიათ] – 1. ძვ. ფულადი გამოსაღები; 2. კუთხ. (იმერ. ქიზ.) ქონება, სიმდიდრე, შეძლება

მანდედან – მაგედან

მარა – მაგრამ

მარამ – მაგრამ

მარმაში – თხელი, გამჭვირვალე ქსოვილი

მაშინა [რუს. машина] – მანქანა

მახლას – საუბ. შორისდებული. გამოხატავს დანანებას

მდაბალი – აქ: უბრალო

მდებეირობა – მდგომარეობა

მებელი [რუს. мебель] – ავეჯი

მემრე – მერე

მელაი [სომხ. մեղայ] – შემინყალე

მითამ – ვითომ

მითომ – ვითომ

მინამ – სანამ, ვიდრე

მინუტი [რუს. минута] – წუთი

მიქსტურა [ლათ. Mixture ნარევი] – მედიც. თხევადი დასალევი ნამალი, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ნივთიერების ნარევს.

მიჯობვა – ჯობით ცემა

მოგვერდი – ჭიდაობის ფანდი, ნაქცევის მიზნით მოპირდაპირის თედოზე გადმოგდება

მოთავაზე – თავაზიანი

მოლოზანი – მონაზონი

მონიფული – აქ: ქმარი

მსწავლული – სწავლული

მუზიკა – მუსიკა

მუნჩკაც [სომხ. մուճ կաց] – გაჩუმდი

მცოდინარე – მცოდნე

მწვეტი – წვეტიანი

მჭვალი – ჭვალი

ნალევა [რუს. налево] – მარცხნივ

ნაპიტოკი [რუს. напиток] – სასმელი

ნაპრავა [რუს. направо] – მარჯვნივ

ნარდათ – აქ: ერთიანად, ერთბაშად, მთლიანად

ნასყიდი – ნასყიდი

ნაქნარი – გაკეთებული

ნაჩალნიკი [რუს. начальник] – ხელმძღვანელი, უფროსი

ნებიერება – ნებივრობა

ნემენცურად [რუს. немецкий] – გერმანულად

ნიგილისტკა [რუს. нигилист] – აქ: ეთიკური ნორმების, ქცევის წესების დამრღვევი ქალი

ნიდაყვი – იდაყვი

ნიკროსკოპი – მიკროსკოპი

ნიმუტი [რუს. минута] – წუთი

ორეტაჟა [რუს. этаж სართული] – ორსართულიანი

ორყაბაზული – ეშმაკური, თვალთმაქცური

ოქრომკედი – ოქროს ძაფი და აბრეშუძის ძაფი, ერთად შეგრეხილი

ოჰყაბაზი (ორყაბაზი) – ეშმაკი, თვალთმაქცი

პანციონი – პანსიონი

პაჟარნი [რუს. пожарный] – მეხანძრე
პატენტოვანი – პატენტიანი
პატივის მიცემა – პატივისცემა
პატრიოტკა [რუს. патриот] – პატრიოტი
პაჩი – კოცნა
პეკურნო [რუს. покорно] – მორჩილად
პირის მიცემა – შეპირება, დათანხმება შეთავაზებულ წინა-
 დადებაზე
პირობები – პირობები
პისარი [რუს. писарь] – მწერალი კანცელარიაში
პლუტი – [რუს. плут] ძვ. საუბ. გაქნილი, გაიძვერა, მატყუარა,
 უპატიოსნო
პოდრიადჩიკი [რუს. подрядчик] – მენარდე
პოლი [რუს. пол] – იატაკი
პოლკა [რუს. Полячка] – პოლონელი
პოჩოტნი [რუს. почётный] – საპატიო
პრაზნიკი [რუს. праздник] – სადღესასწაულო
პრიკაზი [რუს. приказ] – სახელმწიფო საკრედიტო ორგანი-
 ზაცია – საზოგადოებრივი მზრუნველობის „პრიკაზი“,
 რომელიც უძრავი ქონების უზრუნველყოფით გასცემდა
 სესხს და იღებდა წლიურ 6%-იან სარგებელს. თუ აღე-
 ბული ვალი დროზე არ დაიფარებოდა, გირაო „პრიკა-
 ზის“ საკუთრებაში პირდაპირი წესით გადადიოდა.
პრიკუსკა [რუს. прикус] – თანკბილვა; აქ შაქრის სამტვრევი
პრიშელ [რუს. пришёл] – მოვიდა
პროშტი – კოცნა
რავა – როგორ
რავდენი – რამდენი
რავდენჯერ – რამდენჯერ
რამკა [რუს. рамка] – ჩარჩო
რამტელი – რამდენი
რამტენი – რამდენი
რახან – რადგან
რევენატი – სავარაუდოდ, რაფინირებული, მაღალი ხარისხის
საზანდარი [სპარს. საზანდე-დან] – საზის დამკვრელი [სპარს.

საზ: აღმოსავლური სიმებიანი საკრავი]

საკურველი – საკვირველი

სალამალექ – გამარჯობა, სალამი

სალთება – დარტყმა

სალოფი – დოღმა, მელიის ბენვის ფართო სამოსელი (მოკლე)

სალფეტკი [რუს. салфетка] – პატარა ხელსახოცი

სამართლათ – აქ: სამართლიანად

სამთელი – სანთელი

სამოვარი [რუს. самовар] – ჩაისათვის წყლის ასადუღებელი ლითონის ჭურჭელი, რომელიც შიგნიდან ნახშირით ხურდება.

სამუგვე (სამოგვე) – ფეხსაცმლის საპირედ დამუშავებული ტყავი (თხისა)

სამური – სიასამური

საფუნდრუკოთ – სახტუნაოდ, სათამაშოდ

საქმის გაჭირება – საქმის გაჭირვება

საყვედურის მიცემა – საყვედური (საყვედურს ნუ მისცემთ: ნუ უსაყვედურებთ)

სანყალობელი – სანყალი

სახლობა – ოჯახი

სეკლეთარი/სეკრეტარი [რუს. секретарь] – მდივანი

სინდისის ქუეშ – სინდისიერად

სინჯაფი [სპარს. სანჯაბ] – იგივეა, რაც ციყვი. აქ: ამ ცხოველის ბენვი

სირაჯი – ძვ. ღვინით მოვაჭრე

სირმა – „ოქროს თმა“ (საბა), ოქროს, ან ვერცხლის ძაფი, – ოქრომკედი

სიყმილი – შიმშილი

სლედსტვიე [რუს. следствие] – აქ: გამოძიება

სოვდა [სპარ. სავდა – გაცვლა-გამოცვლა, ვაჭრობა] – ძვ. ერთიანი, საბითუმო ვაჭრობა, სავაჭრო ოპერაცია

სპალნა [რუს. спальня] – საძინებელი

სტაქანი [რუს. стакан] – ჭიქა

სტაცკი [რუს. штатский] – სამოქალაქო

სტოლი [რუს. стол] – მაგიდა

სტოლოვი [რუს. столовой] – სუფრის
სუდი [რუს. суд] – სასამართლო
სუდია [რუს. судья] – მოსამართლე
სუხარი [რუს. сахарь] – ორცხობილა
სჩოტი [რუს. счѣт] – ანგარიში
ტალი – მაგარი მინერალი; მასზე კვესის ჩამოკვრით ჩნდება ცეცხლი.
ტანცაობა [რუს. танцевать] – ცეკვა
ტარავ [სომხ. տարալ] – წაიღო
ტარატურობა – უსაგნო ლაპარაკი
ტაცებით – გატაცებით
ტერ ასტუაც [სომხ. Տէր Աստուած] – უფალი ღმერთი
ტეროლორმია // **ტერ ვოლორმია** [სომხ. տէր ուղորմիա] – უფა-
 ლო შეგვიწყალე
ტორგი // **ტორღი** [რუს. торг] – საჯარო ვაჭრობა
უეზდი [რუს. уезд] – მაზრა
უიპე – უიმე
უპატიურება – შეურაცხყოფა
ურიშ ბანე [სომხ. ուրիշ բան է] – სხვა საქმეა, სხვა ამბავია
უცოდნელი – უცოდინარი
უცხო – აქ: კარგი
უცხოთ – კარგად
ფალშივი [რუს. фальшивый] – ყალბი
ფარი – ასო „ფ“-ს სახელწოდება
ფეშქაში – საჩუქარი
ფინთი – საუბ. ცუდი, უვარგისი
ფლანი [არაბ. ფულან] – საუბ. ძვ. ვინმე, მავანი
ფოდნოსი [რუს. поднос] – ლანგარი
ფრანტი [პოლ. frant, გერმ. Freund-იდან მეგობარი] – ჩაცმა-
 დახურვას გადაყოლილი კაცი, მოდის მიმდევარი
ფრანციცული [რუს. французский] – ფრანგული
ფრანციუჟანკა [რუს. Француженка] – ფრანგი
ფუნდრუკი – ხტუნვა, კუნტრუში, თამაში
ქაბაზჩი – ქაბაზის გამკეთებელი, მემწვადე
ქათიბი – ქალის ზედა ტანსაცმელი, ბენჯმოვლებული

ქალი – აქ: მსახური

ქალმანი (ქალმანი) – ხამი ტყავის ფეხსაცმელი, კობით ამოსხმული

ქანი – ასო „ქ“-ს სახელწოდება

ქებინი – სასიძოს მიერ საცოლის მშობლებისათვის მიცემული გამოსასყიდი (მაჰმადიანებში)

ქეიფი – აქ: ხასიათი; ნება

ქეფუნ იალში დურ ხოროშ [აზერბ.] – მოიცა, გნახო, კარგ ხასიათზე ხარ. ფრაზა დამახინჯებულია. სწორი ფრაზაა: „ქეფინ იახშიდირ“. „ხოროშ“ რუსიციზმია.

ქეჩა [თურქ. ქეჩა] – 1. იგივეა, რაც ნაბადი; 2. კუთხ. (ქიზ.) უხეში მატყლეული ქსოვილის ჩამონაჭრების წნული საფენი

ქვე – ძვ. და კუთხ. (ფშ. ხევს. რაჭ.) – მტკიცებითი ნაწილაკი, ნიშნავს: კი, ჰო, დიახ; კიდევაც

ქიზგა [ოს.] – ქალი

ქირმანი – ძვირფასი მატყლის ქსოვილი, სახიანი (სპარსეთის ქალაქ ქირმანის სახელის მიხედვით)

ქონიერი – მქონე

ქუ მატალ [სომხ. դու մատալ] – შენი მსხვერპლი ვარ. გადატ. შენ გენაცვალე, შენ შემოგველე

ლალა – ისტ. „ყანის ბეგარა“ (საბა); გადასახადი მიწის სარგებლობისათვის (უპირატესად იხდიდნენ ჭირნახულის ან ფულის სახით).

ლოლო [Rumex erispus] – მრავალწლოვანი მცენარე მათიტელასებრთა ოჯახისა; აქვს მსხვილი, კიდეტალოვანი ფოთლები; იზრდება ნათესებში, ვენახებსა და ბაღებში.

ლრანტე – ღრმა და ვიწრო ხევი; ხრამი

ლრუბენატორი – გუბერნატორი

ყაბლუ ფლავი – ფლავი შემწვარი ხორცი

ყაზაზი [არაბ. კაზაზ „აბრეშუმეულის მქსოველი“] – ძვ. ყაითან-ბუზმენტის მქსოველი ხელოსანი

ყაირათიანი – ფულის მომჭირნედ დამხარჯავი

ყალამა – ნაბდის ქუდის შემოკეცილი ნაწილი

ყალიონი [არაბ.-სპარ.] – თამბაქოს მოსაწევი მონყობილობა

პატარა ჯამივით, რომელსაც ყუნწში უკეთდება ღრუ
ტარი ბოლის სასუტავად; ჩიბუხი
ყანდი [სპარ.-არაბ. კანდ „შაქარი“] – ძვ. დანმენდილი, თეთრი
შაქარი

ყინვარე შაქარი – შაქარყინული

ყოველიფერი – ყველაფერი

ყორჩი [თურქ. კურჩი] – ძვ. მეფის... პირადი მცველი,
შეიარაღებული მხედარი

ყოფა – აქ: ამბავი (დიდი ყოფა აქვთ: დიდი ამბავი აქვთ)

ყურთმაჯი – კაბის სახელო, რომელიც მთელ სიგრძეზე,
ილლიდან ბოლომდე ღიაა და თავისუფლად არის
ჩამოშვებული; ბოლო (მაჯასთან) სამკუთხედად აქვს.

ყურთმაჯშეგდებული – ვისაც ყურთმაჯები მხარ-ბეჭზე აქვს
ანეული, მალლა აკრეფილი;

ყურუმსალი [თურქ. კურუმსაკ „მაჭანკალი“] – სალანძღავი სი-
ტყვაა

შაფათი – შაბათი

შაქანცკ//შანფანცკ [რუს. шампанское] – შამპანური

შეითან [არაბ.] – სატანა, ეშმაკი

შეინროებული – გაჭირვებული

შექცევა – გართობა

შეჩარდახება – მალლა შეგდება

შეცდომილობით – შეცდომით

შეძინებული – შეძენილი

შირბატი//შირბახტი – ბოტან. ერთწლოვანი ზეთოვანი მცენარე;
თესლი შეიცავს 55% მაღალხარისხოვან ზეთს, რომელ-
იც იხმარება საკვებად, საკონდიტრო და საკონსერვო
მრეწველობაში; მისი კოპტონისგან ჰალვა მზადდება.

შირმა [schirm] – ქსოვილგადაკრული ჩარჩოებიანი საკეცი
მოძრავი ტიხრი

შკაფი [რუს. шкаф] – კარადა

შლაპა [რუს. шляпа] – ქალის უფარფლებო ქუდი

შპანცკი [რუს. шампанское] – შამპანური

შტაცკურათ [რუს. штатский] – სამოქალაქო პირის შესაფერისად

შტუკა//შტუკი [რუს. штука] – ოინი, ამბავი

შულო – ორ ხელზე, ან წყრთაზე ამოკეცილი ძაფის კონა

შურება – აჩქარება (რა მიგაშურებს – რა გაჩქარებს)

ჩადრი [სპარ. ჩადირ] – თხელი განიერი წამოსასხამი (ჩადრით მუსულმანი ქალები სახესაც იფარავდნენ); პირბადე

ჩამოლძობა – ჩამოხრჩობა

ჩანახი [თურქ. ჩანაქ „თიხის ჯამი“] – 1. გულამოღებული ხის (ან თუნუქისაგან გაკეთებული) ცილინდრული ჭურჭელი მარცვლეულისათვის (ან ფქვილისათვის) გარკვეული ზომისა; იყენებენ საწყაოდაც; 2. ამ საწყაოს წონისა (დაახლოებით ნახევარი ფუთი)

ჩანგი [სპარ. ჩანგ] – ურეზონატორო, სწორკუთხოვნად მოხრილი, სიმებიანი სამუსიკო საკრავი, რომელსაც თითების გამოკვრით აჟღერებენ.

ჩაფრასტი [სპარ. ჩაფრასთ] – ლითონის (ჩვეულებრივ, ვერცხლის) ერთგვარი შესაკრავი, დუგმის მსგავსი

ჩვეულებრივ – აქ: ჩვევის თანახმად, ჩვევის მიხედვით

ჩოტკები [რუს. чоты] – აქ: ანგარიში

ჩტო ტაკოე ხოჩიტ [რუს. что такое хочет] – რა უნდა

ძალიან – აქ: კარგი

ძილის არმოსვლა – უძილობა (ძილი არ მომივა: არ დამეძინება)

ძრიელ – ძლიერ

წამოკეტება – სხვის საქმეში ჩარევა

წახდენა – გაფუჭება

წვევა – აქ: ვალდებულება (თანამდებობა მანვევს)

წიგნი – წერილი

წილობა – იგივეა, რაც წილი

წონოლა – მაღალი და წაწვრილებული

წუნწკი – წუნწკი

ჭიაფერა [Phytolacca Americana] – ბოტან. მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე; აქვს მონითალო დატოტვილი ღერო, თეთრი წვრილი ყვავილები და ყურძნის მტევნის მსგავსად შეკრებილი ნაყოფი (საღებავად და მეღვინის გასაკეთებლად იხმარება)

ჭკვიდგან გამოსვლა – გამოსულებლება

ხათა – საუბ. იგივეა, რაც ხათაბალა

ხათრიჯამი [არაბ.-სპარ. ხათირჯამ] – ძვ. 1. დარწმუნებული, იმედიანი, არხეინი; 2. იგივეა, რაც ხათრი

ხალვათათ – თავისუფლად

ხარაზი [არაბ. ხარრაზ] – წულა-ჩუსტების მკერავი

ხაშიში – ჰაშიში. ინდური კანაფისაგან მიღებული ნარკოტიკი

ხელმანკიანი – აქ: ცუდი ხელის მქონე

ხეჩაშპერი [სომხ. ხაჩ – ჯვარი] – მეჯვარე

ხოჯა [სპარს. ხოჯა] – ძვ. საპატიო პირი, წარჩინებული კაცი (სპარსეთის შაჰის კარზე)

ხუდოჟესტვენნი [რუს. художественный] – მხატვრული


ჯეჯიმი [სპარ. ჯაჯიმ] – 1. ფარდაგულად ნაქსოვი ზოლიანი ქსოვილი; 2. ამგვარი ქსოვილის საფენი

ჯმნა – ძვ. სახელი „იჯმნის“ ზმნის მოქმედებისა, – განშორება, მოცილება (ვიჯმნი)

ჰაზრი – აზრი



ტონი პასტორი



ტონი პასტორის წარმოდგენის



ბენჯამინ ფრანკლინ ქეითი



უნწყვეტი წარმოდგენების აფიშა ქალაქ ბუფალოს (ნიუ-იორკის შტატი) დიდ თეატრში (1900-იანი წლები)



ქეთისა და ალბის ერთობლივი სპექტაკლის აფიშა




ქეთის „ახალი თეატრი“ ბოსტონში. 1894 წელი



ქეთის თეატრი ბოსტონში. აიგო 1928 წელს.



ვოდევილის თეატრი ლონდონში



ვოდევილის თეატრის სცენა



ყოფილი ვოდევილის სახლი ვოტერბერში



სცენები სპექტაკლიდან „უჩინმაჩინის ქული“

სარჩევი

შესავალი	5
გიორგი ერისთავი	33
თილისმის ხანი	35
უჩინმაჩინის ქუდი	67
წარსული დროების სურათები	91
დიმიტრი მელვინეთხუცესოვი (მელვინეთხუცესიშვილი)	109
კატა ანონა	111
ანჩხლი ცოლი	155
უბედური მოარშიყე	197
ექიმბაში	223
ივანე (ოქროპირ, ოქრო) ერისთავი, ძალად ექიმი	245
გიორგი ორბელიანი, სიყვარულის სასმელი	283
პასპორტები, შენიშვნები, კომენტარები	327
ტექსტისათვის	328
გიორგი ერისთავი	331
ვოდევილი „თილისმის ხანი“	334
ვოდევილი „უჩინმაჩინის ქუდი“	339
ვოდევილი „წარსული დროების სურათები“	346
დიმიტრი მელვინეთხუცესოვი (მელვინეთხუცესიშვილი)	351
ვოდევილი „კატა-ანონა“	355
„კატა ანონა“	365
ვოდევილი „ანჩხლი ცოლი“	393
ვოდევილი „უბედური მოარშიყე“	395
ვოდევილი „ექიმბაში“	396
ივანე (ოქროპირ, ოქრო) ერისთავი	397
ვოდევილი „ძალად ექიმი“	398
გიორგი ორბელიანი	403
ვოდევილი „სიყვარულის სასმელი“	403
ენის საკითხები	405
ლექსიკონი	453
ფოტომასალა	469
სარჩევი	475

